13	Camellia iaponica L.	-Exobasidium cameliae Shirai -Pestalotia quepini Desm. -Phoma cameliae Pass. -Macrophoma cameliae Passer	+++ ++ ++ ++	ძლიერი საშუალო საშუალო საშუალო
14	Camellia sasangua Thunb.	-Exobasidium cameliae Shirai	+++	ძლიერი
15	Cercic Canadensis L.	-Physalospora sp. -Pestalotia truncate Lev. -Sphaeropsis cercideis (Brunaud) Kuntze	++ ++ ++	საშუალო საშუალო საშუალო
16	Colletia cruciata Hook.	-Fusarium sp. -Coniothirium sp.	++ ++	საშუალო საშუალო
17	Cordiline australis Hook.	-Macrophoma cordilines (Tum.) Berk.	++	საშუალო
	Corulrus pontica	Phyllactinia suffulta Sacc.	++	საშუალო
18	Cycas revoluta Thunb.	-Pestalotia cycadis Allesch. -Phyllosticta cycadina Pass. -Coniothyrium olivaceum Bon. -Hendersonia togniniana Pallas	++ ++ ++ ++	საშუალო საშუალო საშუალო საშუალო
19	Deutzia scabra Thunb.	-Phoma deutsiae Allesch.	++	საშუალო
20	Euonymus japonica Thunb.	-Oidium-evonymi-japonici (Arc.) Sacc. -Alternaria sp. -Phomopsis ramaelis (Desm.) Died. -Macrophoma cilindrospora (Desm.) Berl.	++ ++ ++ ++	საშუალო საშუალო საშუალო საშუალო
21	Forsithia viridissima Lindl.	-Gloeosporium sp. -Phoma forsithiae Cooke -Phomopsis dominici (Desm.) Died. -Ascochyta forsithiae (Sacc.) Hoen.	++ ++ ++ ++	საშუალო საშუალო საშუალო საშუალო
22	Hibiscus oculiroseus Brit	-Phoma malvacearum West.	++	საშუალო
23	Hebe andersonii Lindl.	-Metasphaeria sp. -Hendersonia sp. -Colletotrichum veronicae Scaramella	++ ++ ++	საშუალო საშუალო საშუალო
24	Quercus sp.	Microsphaeria alpitoides Griff. Et Maubl.	+++	ძლიერი
25	Hydrangea macrophylla (Thunb.) Ser.	-Oidium hortensiae Joerst. -Phoma ophites Sacc. -Macrophoma ligusticaMagnaghi.	++ ++ ++	საშუალო საშუალო საშუალო
26	Hydrangea paniculata Sieb.	-Collettotrichum hydrangea Dzbal. -Phyllosticta hydrangea Ell. -Phoma hortensiae West.	++ ++ ++	საშუალო საშუალო საშუალო
27	Magnolia grandiflora L.	-Pestalotia quepini Desm. -Phyllosticta magnolia Sacc	++ ++	საშუალო საშუალო
28	Michelia figo Lour.	-Ascochyta sp.	+	სუსტი
29	Nandina domestica Thunb.	-Monilia cinerea Bonord. -Phoma nandinae Tassi	+ +	სუსტი სუსტი
30	Nerium Oleander L.	-Cercospora neriella Sacc. -Cloeosporium oleandri Sacc. -Macrophoma oleandri Pass.	++ +++ ++	საშუალო ძლიერი საშუალო
25	Pheonix canariensis hort.	-Diplodia passeriniana Th.	++	
26	Pieris Japonica (Thunb.) D. Don.	-Phoma sp.	+	საშუალო
27	Pitosporium teniufolim Gaertn.	-Macrophoma sp.	++	საშუალო
28	Pyracanta crenulata (Roxb.) Roem.	-Cercospora circumcissa Sacc. -Pestalotia sp.	+ ++	საშუალო საშუალო
29	Rhaphiolepsis delecauri Andre	-Pestalotia sp.	++	საშუალო

30	Rhododendron indicum (L.) Sveet.	-Exobasidium discoidom Ellis. -Pestalotia rhododendri Cuba. -Phomopsis sp. -Macrophoma falconeri Henn.	++ ++ ++ ++	საშუალო საშუალო საშუალო საშუალო
31	Rhododendron ponticum L.	-Physalospora thisletonia Cooke Grev. -Exobasidium rhododendri C.E. Grammer	++ ++	საშუალო საშუალო
32	Rosa canina L.	-Sphaeroteca pannosa (Wall.Fr.) Lev. Var. rosae -Phragmidium disciflorum (Tode) James. -Botrytis cinerea Pers. -Marsonina rosae (Lib.) Died. -Pestalotia rosae West. -Coniothirium fuckeli Sacc. -Phomopsis piceata Grove	+++ ++ +++ +++ ++ ++ ++	საშუალო საშუალო საშუალო ძლიერი საშუალო საშუალო საშუალო
33	Rosa multiflora Thunb.	-Sphaeroteca pannosa (Wall.Fr.) Lev. Var. rosae -Phragmidium disciflorum (Tode) James. -Botrytis cinerea Pers. -Marsonina rosae (Lib.) Died. -Pestalotia rosae West. -Coniothirium fuckeli Sacc. -Macrophoma camarana Trav.	+++ ++ ++ +++ ++ ++ +	ძლიერი საშუალო საშუალო საშუალო ძლიერი საშუალო საშუალო
34	Rosa roxsborgii Tratt.	-Botrytis cinerea Pers. -Marsonina rosae (Lib.) Died. -Phoma rubiginosa Brun.	++ +++ +	საშუალო ძლიერი საშუალო
35	Rosa sp.	-Cilindrocarpon rosae Sihisch. Et Tsanava	+	ძლიერი
36	Spirea thunbergii Sieb.	-Phoma spiraeina Cooke -Cytospora sybclypeata (Cooke.) Howsv. -Diplodia spireina Sacc.	+ ++ ++	საშუალო საშუალო საშუალო
37	Spirea sp.	-Macrophoma sp. -Camarosporium spireae Cooke -Hendersonia sormentarum West.	+ ++ ++	სუსტი საშუალო საშუალო
38	Viburnum acarifolium	-Phopmopsis tinea (Sacc.) Died.	++	საშუალო
39	Yucca aloifolia L.	-Leptosphaeria obtusispora Speg. -Cloeosporium victorienss D. Sacc.	++ ++	საშუალო საშუალო
40	Yucca recurvifolia Sallieb	-Coniothirium concentricum Sacc.	++	საშუალო

ნეკერჩხლის შავი ლაქიანობა-Rhytisma acerinum (Pers.) Fr. დაავადების დამახასიათებელი ნიშანია ფოთლებზე შავი, კაშკაშა, შესიებული, 15 მმ-დე დიამეტრის, მოყვითალო არშიით გარს შემოვლებული ლაქების განვითარება. შავი ფერის ლაქები პარაზიტი სოკოს მიცელიალური წარმონაქნი - სტრომაა.ზაფხულის პერიოდში სტრომაში წარმოიქმნება სოკოს ნაყოფსხეულები - პიკნიდიუმები. პიკნიდიუმებში ფორმირებული სპორების საშუალებით სოკო ვრცელდება ზაფხულის განმავლობაში და აავადებს ნეკერჩხლის ფოთლებს. გაზაფხულზე ფოთლებზე გადაზამთრებულ სტრომებში ისახება აპოტეციუმები, რომლების შიგნით წარმოიქმნება ჩანთები ჩანთოსპორებით. გაზაფხულზე ნეკერჩხალი სენიანდება ჩანთოსპორებით.

ნეკერჩხლის შავი ლაქიანობა ასუსტებს მცენარის ზრდა-განვითარებას და სიცოცხლისუნარიანობას. დაავადება საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ტყის კორომებში, ტყეპარკებში, სანერგეებსა და სკვერებში.

თავიანი ბუციას ფოთლების მურა ლაქიანობა-Coniothyrium palmarum. დაავადებულ ფოთლებზე წარმოიქმნება მურა, მომრგვალო ან ელიფსური ფორმის მუქი არშიით შემოვლებული ლაქები. ლაქები ხშირად ერთდება და იკავებს ფოთლის ფირფიტის მნიშვნელოვან ნაწილს. ლაქების ზედა მხარეზე სოკოს ნაყოფსხეულები - პიკნიდიუმები ვითარდება, რომლებშიც წარმოიქმნება ერთუჯრედიანი, მომრგვალო, წენგოსფერი სპორები, რომელთა საშუალებით სოკო ვრცელდება ზაფხულის განმავლობაში.

ფოთლების მურა ლაქიანობა ძლიერ ამცირებს მცენარის ზრდა განვითარებას და დეკორატიულ ღირსებებს. დაავადება ყოველწლიურად ვითარდება და ზოგჯერ მცენარეთა სრულ ხმობასაც იწვევს.

კოლხური ბზის სიდამწვრე-Cylindrocladium buxicola. აღნიშნული დაავადება საქართველოში პირველად 2011 წელს იქნა გამოვლენილი მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე კოლხური ტყის (Buxus colchica) კორომებსა და ქვეტყეში რეინჯერების მიერ. სოკო აავადებს ბზის ფოთლებს და ახალგაზრდა ყლორტებს. პირველად ფოთლებზე ვითარდება მუქი-მურა ან ღია არშიით შემოვლებული ღია-ყავისფერი ლაქები. ლაქების ქვედა მხარეზე ვითარდება სოკოს კონიდიალური ნაყოფიანობა. დაავადებული ფოთლები ხმება და ცვივა. დაავადებული ფოთლებიდან სოკოს მიცელიუმი ყლორტებში გადადის და იწვევს მის ხმობას. დაავადებული ბზის ბუჩქის ვარჯი მეჩხერდება და რამოდენიმე წელში ხმება.

დაავადება ფართოდაა გავრცელებული როგორც ბუნებრივი ტყის კორომებში, ასევე ტყე-პარკებსა და სკვერებში.

კამელიის ბუშტა ანუ ეგზობაზიდიუმი-Exobasidium cameliae. ავადდება კამელიის ფოთლები. დაავადებული ფოთლები დიდდება, სქელდება, დეფორმირდება, საბოლოოოდ ხბება და ხეზე რჩება ჩამოკიდებული ხანგრძლივი დროის განმავლობაში. დაავადება ვითარდება როგორც იაპონური კამელიის (C. japonica) ასევე მთის კამელიის (C. sasangua) ფოთლებზე.

სოკო ყოველწლიურად აავადებს C. sasangua ფოთლებს, ხოლო C. Japonica ფოთლების დაავადება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია გამოვლენილი.

ბუშტა ანუ ეგზობაზიდიუმი მკვეთრად ამცირებს კამელიის დეკორატიულ ღირსებებს.

იაპონური ჭანჭყატის ნაცარი-Oidium-evonymi-japonici. ავადდება იაპონური ჭანჭყატის ფოთლები და ახალაგაზრდა ყლორტები, რომელზედაც ჩნდება მოჭუჭყო-მოთეთრო ფიფქი ლაქების სახით. ფიფქი შედგება სოკოს მიცელიუმის, კონიდიათმტარების და ძეწკბვებად შეკრული კონიდიუმებისაგან. დაავადების ძლიერი განვითარების შემთხვევაში ყლორტები და ფოთლები აღარ იზრდება, ადვილად იმტვრევა, ხმება და ცვივა.

დაავადება ყოველწლიურად ვითარდება მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში და ძლიერ ასუსტებს მცენარის სიცოცხლის უნარიანობას და ამცირებს მის დეკორატიულ ღირსებებს.

მუხის ნაცარი - Microsphaeria alpitoides. დაავადებულ ფოთლებზე ვითარდება სოკოს მიცელიუმისაგან შექმნილი თეთრი ლაქები. დაავადების პირველი ნიშნები ჩვეულებრივ ივნისის მეორე ნახევარში - ივლისის დასწყისში ჩნდება. მიცელიუმი თანდათანობით იზრდება, მკვრივდება და მრავალრიცხოვანი კონიდიუმების წარმოქმნის შედეგად ნაცრისფერი ფიფქის სახეს იღებს. კონიდიუმები ოვალის ფორმისაა, ერთეულია, იშვიათად მოკლე ძეწკვებადაა შეკრული. სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში სოკო სპორების

რამდენიმე თაობას წარმოქმნის, რომლებიც მთელი ზაფხულის განმავლობაში აავადებენ მუხის ახალგაზრდა ყლორტებს. ნაცრით დაავადებული მუხის ფოთლებში ქლოროფილი იშლება, ეცემა ფოტოსინთეზის ენერგია, მცირდება წყლის შემცველობა, რაც ფოთლების თანდათანობით ხმობას და ცვენას იწვევს.

ავადდება როგორც ზრდასრული ისე ახალგაზრდა მცენარეები. დაავადების ძლიერი განვითარების დროს ახალგაზრდა მცენარეები იღუპება.

ვარდის ნაცარი-Sphaeroteca pannosa (Wall.Fr.) Lev. Var. rosae). ავადდება როგორც კულტურული ვარდის, ისე ასკილის მიწისზედა ორგანოები. დაავადებული მცენარის ახალგაზრდა ფოთლები, ყლორტები და კოკრები იფარება მოთეთრო მონაცისფრო ფიფქით, რომელიც თანდათანობით მკვრივდება და მურა ნაცრისფერ შეფერილობას იღებს. ნაცრით დაავადებული ყლორტები და ფოთლები წყვეტს ზრდას, სქელდება და ხმება. სოკო ვეგეტაციის პერიოდში ვითარდება კონიდიალურ (Oidium) სტადიაში. ჩანთიანი სტადია ვეგეტაციის ბოლოს იშვიათად წარმოიქმნება.

დაავადება ყოველწლიურად ვითარდება და მნიშვნელოვნად ამცირებს ვარდის დეკორატიულ ღირსებებს

ვარდის შავი ლაქიანობა - Marsonina rosae. აავადებს ვარდების თითქმის ყველა სახეობას და ჯიშს. ზაფხულის მეორე ნახევარში ახალგაზრდა მწვანე ყლორტებსა და ფოთლებზე წარმოიქმნება პატარა მომრგვალო მურა ან შავი მოყვითალო არეალით გარსშემოვლებული ლაქები. ლაქები თანდათანობით იზრდება და ფოთლის ფირფიტის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს. ლაქების ზედაპირზე წარმოიქმნება კონცენტრირებულად განლაგებული სოკოს ნაყოფსხეულები. დაავადების განვითარებას ხელს უწყობს თბილი და ტენიანი ზაფხული.

დაავადების ინტენსიური განვითარების დროს მცენარეთა ზრდა-განვითარება სუსტდება, მკვეთრად მცირდება მათი დეკორატიული ღირსებები და წარმოქმნილი ყვავილების ხარისხი.

დასკვნა

აჭარის ზღვისპირეთში ჩატარებულმა მრავალწლიანმა კვლევამ გვიჩვენა, რომ დეკორატიულ ხეებსა და ბუჩქებზე ფართოდაა გავრცელებული სოკოვანი დაავადებები. ცალკეული დაავადებებიდან შეხვედრილობის სიხშირით და მეტი მავნეობით გამოირჩევა ნეკერჩხლის შავი ლაქიანობა, თავიანი ბუციას ფოთლების მურა ლაქიანობა, კოლხური ბზის სიდამწვრე, კამელიის ბუშტა ანუ ეგზობაზიდიუმი, იაპონური ჭანჭყატის ნაცარი, მუხის ნაცარი, ვარდის ნაცარი, ვარდის შავი ლაქიანობა და სხვა. აღნიშნული დაავადებები თითქმის ყოველწლიურად მასობრივად ვრცელდება და საკმაოდ დიდი ზიანიც მოაქვთ.

Agriculture

The Phytopathological Condition of Some Woody Ornamental Trees and Shrubs on the Seacoast of Adjara

Guram Chkubadze, Rezo Vasadze

The research results of the phytopathological condition of some woody ornamental trees and shrubs in the seacoast of Adjara presented in this article. 85 fungal species causing the diseases of some ornamental trees and shrubs have been revealed. The dominant relatively more dangerous diseases such as Tar Spot of Maple (*Rhytisma acerinum*), Box Blight (*Cylindrocladium buxicola*), Camellia Leaf Gall (*Exobasidium cameliae*), Oak Mildew (*Microsphaeria alpitoides*), Oleander Anthracnose (*Cloeosporium oleandri*), Rose powdery mildew (*Sphaeroteca pannosa (Wall.Fr.) Lev. Var. rosae*), Rose black spot disease (*Marsonina rosae*), Leaf spots of Butia capitata (*Coniothyrium palmarum*), Mildew of Euonymus japonicus (Oidium-evonymi-japonici) and others are revealed on the basis of the study of the harm and spread of disease caused by them. These diseases spread massively almost every year and cause a considerable amount of damage.

ლიტერატურა

1. Методические указания по выявлению и учету болезней сельскохозяйственныхкультур. М., 1975
2. Указатель возбудителей болезней цветочно-декоративных растений. Л., 1980
3. ჩხუბაძე გ., დავითაძე რ. დეკორატიული ბუჩქების დაავადებები ბათუმის ბოტანიკურ ბაღში//სსიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღის მოამბე. ბათუმი, 2009
4. Васадзе Р.Ш., Давитадзе Р.Н., Чхубадзе Г.С. ИНВАЗИОННЫЕ ВРЕДИТЕЛИ И БОЛЕЗНИ САМШИТА ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ // сборник материалов.V Международная научно-практическая конференция АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ СОВРЕМЕННОЙ НАУКИ В 21 ВЕКЕ. г. Махачкала, 29 августа, 2014 *г.*
5. Пидопличко Н. М. Грибы-паразиты культурных растений: Определитель, Киев,1977. Т. 2: Грибы несовершенные. 1978. Т. 3: Пикнидиальные грибы.
6. Ульянишев В. И. Определитель ржавчинных грибов СССР. Л., 1978. Ч. 2.
7. Ellis M. B. end J. P. Ellis. Microfungi on Land Plants on identification Handbook. Grom Heln. 1985.

ნაძვის დიდი ლაფანჭამიის ბიოეკოლოგიური თავისებურება და მისი ზემოქმედებით გამოწვეული ნაძვნარი კორომების სანიტარული მდგომარეობის პრობლემები აჭარაში

რეზო ვასაძე, გურამ ჩხუბაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აჭარაში მავნებელ-დაავადებების შედეგად დეგრადირებული, გამეჩხრებული ტყის ფართობების საბურველქვეშ ძლიერ განვითარებული შამბის, მარადმწვანე ქვეტყისა და სხვა არახელსაყრელი სარეველებით დაბურული ფიტოცენოზები მკვეთრად აუარესებენ ნაძვნარი კორომების კვლავწარმოების პროცესს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს ნაძვნარ კორომებში გავრცელებული ნაძვის დიდი ლაფანჭამიას (Dendroctonus micans) გავრცელების შედეგად გამოწვეული მეტად უარყოფითი შედეგები.

როგორც, ცნობილია აღნიშნული მავნებელი მასიურად გავრცელდა ჯერ ბორჯომის ხეობის ნაძვნარი ტყის ხეობებში, შემდეგ კი საქართველოს ნაძვნარების მთელ ტერი-ტორიაზე. მავნებლის მოქმედებით ნაძვნარების სანიტარიული მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. გაჩნდა ჯგუფურ-კერობრივი ხმობის კერები, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ მავნებელი მწერის რიცხობრივი გამრავლების, გავრცელების არეალის გაფართოებისა და მოქმედებისათვის საქართველოს კლიმატური გარემო მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა.

ნაძვის დიდი ლაფანჭამიას მასიურმა გავრცელებამ მეცნიერები და მეტყევე სპეციალისტები დიდი პასუხიმგებლობის წინაშე დააყენა. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ნაძვის დიდი ლაფანჭამიას წინააღმდეგ საბრძოლველად, გარდა ქიმიური ღონისძიებებისა სხვა მეთოდები ჯერ კიდევ სატყეო პრაქტიკაში დანერგილი არ იყო.

მეცნიერებმა ბევრი კვლევა-ძიების შედეგად გამოსავალი იპოვეს. მსოფლიოში ცნობილი ზოოლოგის, პროფესორმა დავით კობახიძემ ჩეხოსლოვაკიაში გამოავლინა და მოიკვლია ლაფანჭამიას ბუნებრივი მტერი დიდი რიზოფაგუსი - Rhizophagus grandis Gyll, რომელიც შემოიყვანილი იქნა საქართველოში. დამუშავდა და გამოიცა რიზოფაგუსის გამრავლების, გამოყვანის ინსტრუქციები, შეიქმნა ლაბორატორიები, დაიწყო ამ სასარგებლო მწერის ხელოვნურ პირობებში გამრავლება - გამოყვანა, ხოლო შემდგომ ლაფანჭამიათი დასახლებულ ნაძვნარებში ჩასახლება.

გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ჩვენს ქვეყანაში ამ მავნებელთან საბრძოლველად წარმატებით გამოიყენებოდა ეკოლოგიურად უსაფრთხო ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი დიდი რიზოფაგუსის გამოყენებით. უფრო მეტიც, ქართველი მეცნიერების მიერ, ლაბორატორიულ პირობებში სასარგებლო მწერის უახლესი ტექნოლოგიებიც კი იქნა

დამუშავებული. ლაბორატორიულ პირობებში სასარგებლო მწერის გამოყვანის პრაქტიკა შეასწავლეს სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად თურქეთის რესპუბლიკაში დღესაც წარმატებით ხორციელდება რიზოფაგუსის გამოყვანა გამრავლება ლაბორატორიულ პირობებში.

XX საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ დიდი ზიანი მიადგა საქართველოს ეროვნულ სახალხო მეურნეობას. ამ მხრივ გამონაკლისი არც სატყეო დარგი დარჩენილა. თითქმის მთლიანად მოიშალა სატყეო მეურნეობის მართვის სისტემა, როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. ყურადღების გარეშე დარჩა ტყის დაცვა, აღდგენა-განახლება. დაიშალა ლაბორატორიები, სატყეო დარგს გამოეცალა გამოცდილი მეტყევე სპეციალისტები და მეცნიერები, რომელთა მეშვეობით სამეცნიერო დონეზე ტარდებოდა კვლევითი სამუშაოები ლაბორატორიულ და საველე პირობებში.

2005 წლიდან დღემდე ჩვენს მიერ გამოყოფილ მუდმივ და დროებით სანიმუშო ფართობებზე, ბუნებრივი წარმოშობის, ნაირხნოვან, სხვადასხვა შემადგენლობის, სიხ-შირის, სიმსხოსა და წარმადობის კორომებში, წლის სხვადასხვა პერიოდში, ზღვის დონი-დან სხვადასხვა სიმაღლეზე, ქობულეთის, (გომის მთა), ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს სატყეო ადმინისტრაციების სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიებზე განხორ-ციელდა დიდი მაშტაბის მონიტორინგის სამუშაოები. მავნებლის ბიოეკოლგიურ თავისე-ბურებებზე, გავრცელების არეალზე, ხეებზე დასახლების ინტენსივობასა და მათი ზემოქ-მედებით გამოწვეულ ზიანთან დაკავშირებით ჩვენ მოვიპოვეთ მრავალი ფაქტობრივი მასალა, რომლის დიდი ნაწილი დამუშავებულია ლაბორატორიულ პირობებში.

2016 წლის ტყეთმოწყობის მონაცემებით ნაძვნარ კორომების საერთო ფართობი, აჭარის სახელმწიფო ტყის ფონდში 24671,8 ათასი ჰექტარს შეადგენს, რომელიც ძირითადად გავრცელებულია 700 - 2500 მეტრ სიმაღლის ფართობში.

სამწუხარად ნაძვის გავრცელების არეალში სანიტარული მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა, რაც ძირითადში გამოწვეულია ქერჭამიების (Ipidae) ოჯახში შემავალი ღეროს მავნებლების - ნაძვის დიდი ლაფანჭამიას (Dendroctonus micans), მბეჭდავი ქერქი-ჭამისა (Ips typogrsphus L) და კენწეროს ქერქიჭამიას (Ips acuminatusEichn) ზემოქმედებით. იმის გამო, რომ ნაძვნარ კორომებში დასახელებული მავნებლების დასახლების ინტენ-სივობა და მათი უარყოფითი ზემოქმედებით გამოწვეული მატერიალური ზიანი დიდია, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ყველა მათგანზე ჩაგვეტარებინა დაკვირვება როგორც საველე, ასევე ლაბორატორიულ პირობებში. მათ წინააღმდეგ ბიოლოგიური ბრძოლის ღონისძიებები 2013 წლიდან ტარდებოდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მეთოდით.

ნაძვის დიდი ლაფანჭამია (Dendroctonus micans) ოლიგოფაგი მავნებელია. თავისი განვითარების სხვადასხვა ფაზაში, სხვადსხვა ზომის, ფერის და ფორმისაა. კვერცხი ბრჭყვიალა, ღია თეთრია, სიგრძით 1მმ და სიგანით 0,5 მმ, ზრდადასრულებული მატლი თეთრია, მოხრილი, თავი ღია ყავისფერი აქვს, თვალები არ გააჩნია, სიგრძე 11-13 მმ-საა, ჭუპრი თეთრია, სიგრძით 8-9 მმ. ხოჭოს ფერი გარდამავალია, გვხდება შავი, ყავისფერი და რუხი მოყვითალო ფერის. მამრები სიგრძით 5,5-6 მმ, ხოლო მდედრები 7-9 მმ-ია

ჩვენს მიერ განხორციელებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ნაძვის დიდი ლაფანჭამია, აჭარის ნაძვნარებში დასახლების მეტ-ნაკლები სიმჭიდროვით გავრცელებულია ზღვის დონიდან ყველა სიმაღლეზე. ამასთან სხვადასხვა ინტენსივობით დასახლებულია ნაძვნარი კორომების ყველა ბუნებრივი ხნოვანების, სიმსხოსა სიმაღლის ნაძვის ფესვებზე, ხის ღეროს სხვადასხვა სიმაღლეზე (უფრო მეტად და ინტენსიურად სახლდებიან ფესვის ყელიდან 3

მეტრამდე) და მოჭრილი ხეების ძირკვებზე, განსაკუთრებით კი ტყისპირებში ცალკე მდგომ, წაქცეულ და დასუსტებულ ხეებზე, ან კიდევ ბუნებრივად და მექანიკურად დაზიანებულ ხეებზე.

მავნებლის ხეზე დასახლების ამოსაცნობად საკმარისია დავაკვირდეთ ხის ღეროს ან ღია ამოწეულ ფესვებს, რომელზეც აუცილებლად შევამჩნევთ სხვადასხვა ფერის ხის ქერქისა და ლაფნის ნაფრქვევს. ნაფრქვევის ფერი დამოკიდებულია ხის ღეროში მავნებლის ადგილმდებარეობაზე. თუ მავნებელს სასვლელი ხვრელის გააკეთება ახლად დაწყებული აქვს და ჯერ კიდევ ქერქშია, მაშინ ნაფრქვევის ფერი მუქი ყავისფერი, ან მოყვითალო ყავისფერია, ხოლო, თუ ქერქის ნაწილი დასრულებულია და ლაფანშია, მაშინ ნაფრქვევი უკვე თეთრი, ან მოყვითალო თეთრია, ხშირად პირამიდული ფორმის ნაფრქვევის მთელი გუნთა ფისში შეზელილი და გამაგრებული იქვე ხვრელთანაა განთავსებული (სურ.1).

ხის ღეროს ქერქზე გარედან ხოჭოების შესასვლელები, ანუ ნასვრეტები ოდნავ დახრილი ფორმისაა, ზომით 3-5 მმ, ზოგჯერ მეტი, ან ნაკლები, რომლებიც ხშირად ჯგუფურადაა თავმოყრილი ერთმანეთთან ახლოს, ხოლო შიგნით სხვადასხვა სიგრძისა და სიფართის ღარისებრი სასვლელები ექსკრემენტებით, წვრილად ნაღრღნი ხის ქერქისა და ლაფნის მცირედი ნარევით მიემართება სხვადასხავა მხარეს (სურ.2).

- ფისი მასობრივად გამოედინება;

-ხის ტოტებზე შეიმჩნევა წიწვების ფერისცვალება, ყვითლდება და ემჩნევა მოწითალო, ან ღია ყვითელი ფერი, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ ხმება და ცვივა;

სურ.1. ხის ღეროზე ნაძვის დიდი სასვლელები

სურ. 2. ლაფანჭამიას სადედე ქერქის ქვეშ ნაძვის დაზიანებული ქერქი

-ლაფანჭამიას მატლებით დასახლებულ ხეებზე, სახლდება სხვადასხვა ფრინველი, უფრო მეტად კოდალა, რომელიც თავისი მძლავრი ნისკარტით ბურღავს ხეს და იღებს მატლებს საკვებად.

მავნებელი (ხოჭო) კვერცხებს სადედე სასვლელის წვრილ ნაღრნ ფქვილში დებს. კვერცხიდან გამოჩეკილი მატლები აკეთებენ საოჯახო სამატლე სასვლელებს, სადაც ისინი ერთობლივად იწყებენ მცენარის ერთ-ერთი რთული და სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭირო ქსოვილის ლაფნის, ანუ ფლოემას შეჭმას, რომლის ძირითადი ფუნქცია ორგანული ნივთიერებების გადაადგილებაა მცენარეში.

სწორედ ამ ქსოვილის დაზიანება იწვევს მცენარის დასუსტებას. თუ მცენარემ მოასწრო სასვლელების ფისით შევსება და ღეროს შენარჩუნებულია აქვს ქერქის 50% მაინც, მაშინ მცენარე სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს. თუმცა ვეგეტაცია ნელი ტემპით მიმდინარეობს, ამასთან ხდება დაზიანებული უჯრედების მოშუშება. ხოლო თუ უარყოფითი ზემოქმედების პროცესი იმავე ხეზე (ხეებზე) განმეორდა, გარკვეული დროის შემდეგ ხეები იწყებს ხმობას.

სურ.3. ნაძვის დიდი ლაფანჭამია მატლის ფაზაში

სურ.4. ნაძვის დიდი ლაფანჭამია - რიზოფაგუსთან ერთად

მავნებელი იზამთრებს, როგორც ხოჭოს, ასევე ჭუპრის, სხვადასხვა ასაკის მატლის და კვერცხის ფაზაში. გამოზამთრებული მატლები იკვებებიან ცალ-ცალკე და ჭუპრდებიან გაფართოებული სასვლელის ახლოს. ახალგაზრდა ხოჭოები რჩებიან სასვლელებში, ვიდრე მიიღებენ მუქ შეფერილობას, რომლის შემდგომ ტოვებენ დასახლებულ ხეებს და გადადიან სხვა ჯამრთელ ხეებზე. ეს პროცესი იწყება ივნისის ბოლოს და გრძელდება ივლის - აგვისტოში.

ნაძვის დიდი ლაფანჭამიას, ან უკვე სხვადასხვა მავნებლების (ლაფანჭამიებისა და ქერქიჭამიების) ერთობლივი ზემოქმედების შედეგად ნაძვნარ კორომებში გვხდება, როგორც ჩამქრალი, ასევე მოქმედი და ახლადდადასახლებული კერები, სადაც მრავლადაა ჯგუფური და გაფანტული ტიპის ხმობა.

თუმცა უნდა აღინიშნოს (2005-2016წწ), რომ ჩვენს მიერ შერჩეულ სანიმუშო ფართობებზე და მის მიმდებარე ნაძვნარ კორომებში სანიტარული მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით რადიკალურად შეცვლილია, რაც გამოწვეულია დროული სამეურნეო ღონისძიებების გატარებით. კერძოდ 2013-წლიდან დღემდე სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის მიერ ყოველწლიურად ლაბორატორიულ პირობებში ხდება ლაფანჭამიას ბუნებრივი მტრის დიდი რიზოფაგუსის - Rhizophagus grandis Gyll გამოყვანა და ლაფანჭამიათი დასახლებულ უბნებში ჩასახლება.

ცხრ. 1-დან როგორც ჩანს, რომ შუახევის სატყეო ადმინისტრაციის კვ.№27-28 (ლელვანი), კვ.№22 (კვესაური), ბუნებრივი წარმოშობის, ნაირხნოვან ნაძვნარ კორომებში 2008-2010 წლებში ჩვენს მიერ ჩატარებული ცდების შედეგად აღირიცხა 250 ძირი ხმელი და ხმობადი ხეების რაოდენობა, რაც პროცენტულად შეადგენს 27-27%, საღი ხეების

რაოდენობას ხმელ და ხმობად ხეთა რაოდენობას აღემატება. 2016 წელს იგივე სანიმუშო ფართობზე მოზარდიანად აღირიცხა 250 ძირზე მეტი ხე, სადაც მომწიფარი, მწიფე და უხნესი ხეების რაოდენობა შეადგენდა 200 ძირს, მათ შორის ხმელი ხეები შეადგენს 8-ძირს, ხმობადი-10 ძირს და საღი 205 ძირს.

სურ.6. ნაძვის დიდი ლაფანჭამიასა და შემდგომ მბეჭდავი ქერქიჭამიას ზემოქ-მედების შედეგად ჯგუფური ტიპის ხმობა შუახევი-ლელვანის ნაძვნარებში.



სურ.5. ნაძვის დიდი ლაფანჭამიასა და შემდგომ მბეჭდავი ქერქიჭამიას ზემოქ-მედების შედეგად გაფანტული ტიპის ხმობა ხულოს (ნაბადხევის) ნაძვნარებში.

ცხრ.1. ნაძვის დიდი ლაფანჭამიათი დასახლებული ნაძვნარი კორომების სანიტარული მდგომარეობა

სატყეო	2007-2010 წწ						2014-2016 წწ		
ადმინ.	კვარტ.№	შემადგ.	აღიცხ. ხეების რაოდ.	ხმელ.	ხმობ.	საღი	ხმელი	ხმობადი	საღი
შუახევი	ლელვანი 27-28-	8ნძ2სჭ	250	67/27	67/27	116/46	20/8	25/10	205/82
ხულო	ნაკაფი 27-28	10 ნძ+ფჭ	281	25/9	30/11	226/80	15/5	8/3	258/92
	ნასოფლარ-ნადოლაბრ. 24-25-26	10ნძ+ვრხ	260	2 5/9	33/13	202/78	11/4	19/7	230/89

ხულოს სატყეო ადმინისტრაციის ხულო-ღორჯომის სატყეოს კვ.№24-25-26-27-28 (ნაკაფი, ნასოფლარი, ნადოლაბრევი), რომლებიც ბუნებრივი წარმოშობის, ნაირხნოვანი ნაძვნარი კორომებითაა წარმოდგენილი 2008-2010 წლებში და 2014-2016 წლებში ჩატა-რებული მონიტორინგის შედეგები სანიტარიული თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ხმელი და ხმობადი ხეების რაოდენობა 5-10%-ითაა შემცი-რებული.

-გამოყოფილ სანიმუშო ფართობებზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შესაბამისი სატყეო ადმინისტრაციები ხმელ და ხმობად ხეებს აღრიცხავდნენ და ტყეკაფებს გამოყოფდნენ;

-იჭრებოდა ნაძვის დიდი ლაფანჭამიათი და სხვა მავნებლებით დაზიანებული გამხმარი და ხმობადი ხეები;

- მოჭრილ ხეებს იქვე გაქერქავდნენ და ნარჩენებს ხურგავდნენ;

-მბეჭდავი და კენწეროს ქერქიჭამიების წინააღმდეგ ყოველწლიურად (2013-2016წწ) 6000 ცალი მწერსაჭერი ხაფანგი თავსებოდა.

გატარებული სამეურნეო ღონისძიებების შედეგად მინიმუმამდე შემცირდა მავნე მწერების რიცხოვნება და საგრძნობლად გაუმჯობესდა ტყის სანიტარული მდგომარეობა.

Agriculture

Bio-ecological Features of Spruce Beetle (Dendroctonus micans) of Spruce and their Affect on the Sanitary Condition of Spruce Stands in Adjara

Rezo Vasadze, Guram Chkhubadze

The article discusses the history of the spread of Spruce Beetle in Georgia, (Dendroctonus micans), Its negative impact in the different composition and age of spruce stands. Long-term monitoring of the research shows that artificial settlement of Rhizophagus grandis Gyll and also the implemented economic measures improved sanitation of Spruce.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ყანჩაველი, შ. სუპატაშვილი, სატყეო ენტომოლოგია. გამომცემლობა ,,განათლება“, თბილისი-1968;
2. Васечко Г. И. Биология короедов (Coleoptera, Ipidae) –вредителей ели и пихты в Карпатах /Г. И. Васечко// Энтомологич. Обозр.-1971. -50.-№4.
3. Положенцев П.А., Науменко А.Т. Особенности структуры ходов большого елового лубоеда Лесное хозяйство. 1967. №5.
4. Рожков А.А. большой еловый лубоед Защита растений. 1979. №4.
5. რ. ვასაძე, აჭარის ნაძვნარ-სოჭნარების სანიტარული მდგომარეობა. საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი. სამეცნიერო შრომათა კრებული. ტომი I, №2 (43)

Agriculture

The Analysis of the Operative Part of the Mini Rotary Cultivator

M. Mamuladze, F. Abuselidze, M. Lejava

Batumi Shota Rustaveli State University

Abstract This study seeks to establish and analyze themathematicalmodels of the plowingforce and trajectory curve for tiller blades and cultivation blades of a rotary cultivator.Both blades are widely used in Word. To ensure good efficiency and uniformresistance of the plow to soil, the blade must be protected from intertwisting.Thetheoretical and calculated cutting angles are 85.88° and 85.10°, the edge-curve anglesare 55.00° and 56.18°. The rear of well designed plowing blade does not cause anyfriction with the soil. The curve of plowing shows that when the relief angle of thetiller blades is 25°, the turning and the throwing have good performance. When therelief angle of the cultivation blade is 10°, the impact force and the crashing force ofthe blade into the soil will be minimized during plowing.

***Keywords**: Rotary, Tiller blades, Cultivation blades*

IntroductionMini cultivator (fig. 1) that work the soil generate some forcesbetween the tiller blades and the soil, such as thecompression of the soil, the resistance of the soil to itsbeing cut,theadhesive forces on the soil and abrasiveforces with the soil, among others. Several researchers have been interested in establishing the relationships among several design variables and the power requirement of rotary tillers.



Fig. 1. Mini cultivator

Ghosh model- A dimensional analysis of the torque requirementunder different operating conditions was performedby developing a dimensional formula using theangular velocity of the rotor, the depth of working,the velocity of travel, the soil bulk density, the soilcohesion, the acceleration due to gravity and thesoil particle size as independent variables. For agiven soil, the moisture content and compactionconditions in the field, the forward speed of travel, are related in a dimensional equation:

$T_r = K(n)^b(h)^c(\gamma)^d$ (1)

WhereT_r - torque, in kg-cm;

K–constant;

h-depth of working, in cm

γ-forward speed of travel, in cm/s;

n-rotary speed, in rpm;

b,c,d-powers of unknown value.



Fig. 2 force due to soil-soil shear

Gupta model- Based on the predicted behavior of saturatedsoil under impact loading and pure shear, amathematicalmodel to predict the power requirement of a rotarytiller has been developed. The torque required bya rotary tiller is based on the following operations. The impact cutting of the saturated soil by therotary tiller initially starts with compression.When the cutting speed is high, compression isvery quickly followed by impact shear.

Force required to cut the soil in$NF_{CS} = \sigma_{is}A_1$(2).

Whereσ_{is}represents the impact shearstress to cut the soil.$A_1$is the totalwetted area of the cutting surface of the tool, inmm2, andσ_{is}- is given by the equation.

$$\sigma_{is} = \left[\frac{u_s\eta_{is}}{2Rcos^{-1}\left[\frac{R-h}{R}\right]}\right]^{\frac{1}{n_{is}}} + \sigma_{yis} \ (3)$$

Whereσ_{yis}- yield stress impact shear

n_{is}-exponent=1.512

η_{is}- coefficient of viscosity$(2{,}8 \cdot 10^4, N - S/m^2)$

u_s- cutting velocity, in m/s;

(2) Torque required to throw the cut soil sliceThe cut soil slice is thrown away by the

centrifugal action of the rotating blades:Centrifugal force in

N $F_e = \frac{m_s u_s^2}{R}$ (4)

With reference to figure 1:

$$m_s = \frac{hPw\rho_s}{g} \quad (5)$$

Where m_s-mass of the soil slice in kg,P- tillingpitch in mm andρ_s-specific weight of the saturated soil in N/mm^2.

(3) Torque required to overcome soil-metal frictionNormal force N that acts on the tool isequal to weight of cut soil slice given by

$$N = hPw\rho_s \quad (6)$$

Force F_1required to overcome soil-metalfriction is given by

$$F_1 = hPw\rho_s\mu_k \quad (7)$$

where μ_k- kinetic coefficient of soil-metalfriction.

(4) Torque required to overcome soil-soil slidingfriction.

During cutting with the rotary tiller, thecut soil slice is separated from the uncut soil by pure shearing or soil-soil sliding. Equation 8describes the behavior of the saturated soilunder pure shear, according to the experimentsconducted in a coaxial viscometer.

$$\gamma_0 = \frac{-d\gamma}{dr} = \left[\frac{1}{\mu_{PS}(\tau - \tau_{y)}}\right]^{\frac{1}{n_{is}}} \quad (8)$$

The shearing rateγ_0 is a function of thespeed of rotation of the blade and the depth of working:

$\gamma_0 = \frac{V_p}{h}$ (9)

Substituting the value $\gamma_0$of into Eq. 9,yields,

$$\tau = \eta_{PS}\left(\frac{V_p}{h}\right)^{n_\rho} + \tau_y \quad (10)$$

Where

γ_0-shear rate, in Pa

τ-shearing stress under pure shear, in Pa

τ_y-yield stress under pure shear, in Pa

V_p- peripheral speed of the rotor, in m/s

h- depth of working, in cm

n_{ps}-exsponent=0,3

η_{PS}- coefficient of viscosity=49,8 N.s/m^2

The rate of attrition of the tiller blade depends onthe workload of the tractor. According to the analysisby Yamada, four major factors arecorrelated with the attrition of the tiller blades - (1)the conditions of the soil; (2) the quality of the tillerblades; (3) their mechanical conditions, and (4) theoperating conditions. The farming conditions arerelated to the mechanics of the soil. A survey of thesoil on farms, conducted by the Kogi Agriculture andForestry Technology Institute (Japan) showed that ahigher percentage of sand and silt causes fasterattrition of the tiller blades.



Fig. 3. The shapes' scoop-surface and outing function of tiller blades

The attrition of bladesdepends on the quality of the material from which theyare made, their solidity, the emulsion with which theyare sprayed, the heat treatment undergone, theirdepth, toughness and shape, the cutting angle, theedge of the blades, their curvatures, and the angle ofscoop. The attrition of a blade is correlated withmechanical output forces, the arrangement of the tillerblade, the repeated crushing of the soil, and otherfactors. The operating conditions also depend on thetilling area, the compression of the soil, the impactloads, the resistance due to abrasion and sharpening

The geometry of tiller blades is considered to bethe most important factor in their design because boththe shape of the blade tip and the lengthwise of thetiller blades facilitate cutting. The width of the bladetip exceeds the lengthwise of the blade. The contactbetween the blade and the soil moves slowly from thehandle near the center of the shaft to the length of theblade. The tip of the blade at the boundary betweenthe lengthwise of the blade and the blade tip cuts theintact grass. The grass can also be thrown away ortorn off by the outward rotation. This type of bladesperforms well in the soil in Evrope and is extensivelyused in Georgia. Figure 2 shows both theblade tip and the lengthwise of the blade, as segmentsED and Dn, respectively in Fig. 3. The lengthwise ofthe blade must meet two conditions. One is theabsence of intertwisting and the other is a low dragforce during cultivation.The cutting conditions are $T \geq F$ (Fig. 2). $T = Ncot\tau$; $F = Ntan\varphi$; $cot\tau > tan\varphi$; $\tan(90^0 - \tau) > tan\varphi$; $90^0 - \tau > \varphi$; $\tau < 90^0 - \varphi$.

Where$\varphi$is the friction angle of the rootstock withrespect to the blade edge.The lengthwise of the blade is part of an Archimedeancurve whose parametric equation is,

$$R = R_0(1 + K_\theta) \quad (11)$$

$$R_0 = \sqrt{R_{max}^2 + S_x^2 - 2S_x\sqrt{2R_{max} \cdot h_{max} - h_{max}}}\,. \quad (12)$$

whereR_0- initial blade helical line radius, in cm

R- otation radius of the blade, in cm

R_{max}- maximum tilling radius, 24-26 cm

S_x- thickness of soil in transverse section,in cm

h_{max}- maximum depth of working, in cm

θ_{max}- maximum central angle , 35-45°

T- cutting force, in N

F- friction force, in N

Take i as the angle between $AA'$and line Om;

$$i = tan^{-1}\frac{1+K\theta}{K} \quad (13)$$

The angle i increases with the angleθ , but theangleτdecrease, as determined by graphical analysis.The low τ positively affects the cutting work.Equations (14), (15),and (16) present anotherclosed solution (Sakai et al., 1976; Sakai, 1978) whichcan be obtained using polar coordinates on the spiralline (Figure 4). These equations have the samemeaning as Eq. (13).

$$r = r_0 sin^{\frac{1}{K}}\alpha_0\{\alpha_o + K\theta\} \quad (14)$$

$$\alpha^{/} = \alpha_t + \left[\left\{tan^{-1}\frac{n\pi\sqrt{h+2R-h}}{30\gamma - n\pi(R-h)}\right\} + 90\right] \quad (15)$$

$$r = r_0 e^{-(cot\alpha^{/})\theta} \quad (16)$$

Wherer_0 − $m$aximum radius at the tip point of the edgecurve, in cm

α_o − edge-curve angle at the tip point where $r$ismaximum

r- calculated radius of the spiral, in cm

γ- forward speed of travel, in cm/sec

$\alpha^{/}$- 4° or great thanα_t

First, use Eq.(17) to calculate angle β(Fig.3)Angle β_1 can be easily found by using Eq.(18).

First, use Eq.(17) to calculate angle β(Fig.3)Angle β_1 can be easily found by using Eq.(18).

$$\beta = cos^{-1}\left\{\frac{30V}{R}\sqrt{\frac{h(2R-h)}{(30V)^2 - 60n\pi V(R-h) + (Rn\pi)^2}}\right\} \quad (17)$$

$$\beta_1 = \beta \cdot V \quad (18)$$



Fig. 3 Planing design

Then, use Eq. (19) to calculate the forward speedof travel .γ The acceleration can be determined by Eq.(20) according to table 1.

Table 1. Operational model for different tupes of tiller blades

Blade tupe	cm/sec)	n (rpm)	γ^0	$a(cm/sec^2)$
Cultivation blade	20-30	300-400	5-10	0
Cultivation broken bit blade	30-40	250-300	10-15	2,3
Cultivation wasteland blade	40-60	150-250	15-20	0
Tiller blade	40-60	150-300	20-30	2,3
Cutting blade	20-30	250-500	20-30	2,3

$$\gamma = \frac{n\pi R\left[(n\pi c_1 - 30V)\cdot tan\left(180^0 - \gamma - tan^{-1}\frac{-n\pi\sqrt{h(2R-h)}}{30V - n\pi c_1}\right) + n\pi\sqrt{h(2R-h)}\right]}{30\sqrt{(30V - n\pi c_1)^2 + n^2\pi^2 h(2R-h)}\cdot tan\left(180^0 - \gamma - tan^{-1}\frac{-n\pi\sqrt{h(2R-h)}}{30V - n\pi c_1}\right)} \quad (19)$$

$$a = \gamma\frac{cm}{sec^2} \quad (20)$$

Finally, Eq. (21) was used to determine time t forcultivation and the parameters such as $A^2, B, r,$ andD can be determined from Eqs. (22), (23), (24), (25)and (26).

$$t = \frac{-(V+\gamma) + \sqrt{(V+\gamma)^2 + 2a\sqrt{R^2 - C^2}}}{a} \quad (21)$$

$$A^2 = \left\{\sqrt{R^2 - C^2} - (V+\gamma)t - \frac{a}{2}t^2\right\} \quad (22)$$

$$B = (V+\gamma)t \quad (23)$$

$$r = \sqrt{C^2 + A^2} \quad (24)$$

$$\theta = sin^{-1}\left[\frac{C}{r}\right] - \frac{n\pi t}{30} \quad (25)$$

$$D = \frac{a}{2}t^2 \quad (26)$$

Conclusion. This study establishes and analyzes mathematicalmodels of the plowing force and orientation curve oftiller blades and cultivation blades. To ensure good efficiency and uniform resistanceof the plow to soil, the blade must be protectedfrom intertwisting. The theoretical and calculatedcutting angles are 85.88° and 85.10° and, the edgecurveangles are 55.00° and 56.18°, with the data inthe literature. The rear of awell designed plowing blade does notcause any friction with

the soil. The curve ofplowing shows that when the relief angle of thetiller blades is 25°, the turning and the throwinghave good performance. When the relief angle ofthe plowing blade is 10°, the impact force and thecrashing force of the blade into the soil will beminimized during plowing.

აგროკულტურა

როტაციული მინიკულტივატორის სამუშაო ორგანოს ანალიზი

მ. მამულაძე, ფ. აბუსელიძე, მ. ლეჟავა - მამულაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ნაშრომში წარმოდგენილია მინიკულტივატორის სამუშაო ორგანოს გეომეტრიული ანალიზი, მოძრაობის ტრაექტორიის კუთხობრივი მნიშვნელობები და ნიადაგთან ჩაჭიდების კუთხური მნიშვნელობების მათემატიკური ზემოქმედების ანალიზი. Kკვლევის შედეგებში ასახულია სამუშაო ორგანოს მუშაობის პერიოდში მიწასთან წინააღმდეგობის ძალების დაძლევის მეთოდები და მობუქსავების საწინააღმდეგო ღონისძიებები. თეორიულად გამოკვლევულია დანის ნიადაგთან ჩაჭიდება 85,88 და 85,10 გრადუსებისა მჭრელი ორგანოს 55,0 და 56,18 გრადუსების შემთხვევაში. გამოკვლევით დადგინდა აგრეთვე რომ უკანა კუთხის მნიშვნელობა როცა არის 25 გრადუსი ნიადაგის ჭრა ხდება კარგი მწარმოებლობით, ხოლო 10 გრადუსის შემთხვევაში კი მისი მნიშვნელობა მინიმალურია.

References

1. Thakur, T. C. and R. J. Godwin..- The mechanicof soil cutting by a rotating wire. Journal ofTerramechanics, 27 (4): 1990 Y.
2. Gupta, C. P. and R. Visvanathan- Powerrequirement of a rotary tiller in saturated soil.Transactions of the ASAE 36 (4): 1993 Y.
3. Sakai, J., Y. Shibata and T. Taguchi. Designtheory of edge-curves for rotary blade of tractors.1976 Y.

სამთო პირობებში უხეში საკვების დამზადება მცირე მექანიზაციის გამოყენებით

ფადიკო აბუსელიძე, მერაბ მამულაძე, მიხეილ ლეჟავა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში წარმოდგენილია მცირე სიმძლავრის ახალი კონსტრუქციის, სწორხაზობრივად მოძრავი სეგმენტებიანი სათიბელას ექსპერიმენტული ნიმუში, რომლის გამოყენება შესაძლებელია მცირეკონტურიან ნაკვეთებსა და სამთო პირობებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვების დამზადებისათვის. სათიბელა შედგება 3,5 კვტ. სიმძლავრის ძრავას, მჭრელი აპარატის, ძრავას და მჭრელ აპარატს შორის დაყენებული გადაბმულობის ახალი ტექნოლოგიური მოწყობილობისაგან, მჭრელი აპარატის გადიდებული სიჩქარით მუშაობის დროს თიბვის სამუშაო პრიცესის, უსაფრთხოდ და ეკონომიურად წარმოებისათვის.

საკვანძო სიტყვები: *სათიბელა, მჭრელი აპარატი, სეგმენტი.*

მასალა და მეთოდიკა:საქართველოში სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად დარგს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, ამიტომ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა დიდადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. თავის მხრივ სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მცირე მექანიზაციის დანერგვას [1].

ჩვენი ქვეყნის მთიან რეგიონებში, ძირითად სასოფლო-სამეურნეო დარგს მეცხოველეობა წარმოადგენს და საკვების დამზადება, ერთ-ერთი შრომატევადი საქმეა, ამასთან ჩვენს ქვეყანაში თითქმის არ-არის ისეთი მანქანა-მოწყობილობები რომლებიც გადაწყვეტენ აღნიშნულ პრობლემას.

მცირე მექანიზაციის დანერგვას ემსახურება დაბალი სიმძლავრის სათიბელა, სწორხაზობრივად მოძრავი სეგმენტებიანი მჭრელი აპარატით, რომელიც შედგება მჭრელი აპარატისგან 1, ძრავასგან 2, თვლისგან 3, სამართი მოწყობილობისგან 4, ბალახშემაგრო-ვებელისაგან 5 და მჭრელი აპარატის სარეგულირებელი თვლისაგან 6.

სათიბელას ერთ-ერთ საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მჭრელი აპარატი, რომლის საშუალებითაც სრულდება თიბვის სამუშაო პროცესი. სწორედ მჭრელი აპარატის კონსტრუქციასა და მოქნილობაზეა დამოკიდებული ჭრის ხარისხი და სისუფთავე.



ნახ. 1. სათიბელა სწორხაზობრივად მოძრავი მჭრელი აპარატი.

დღემდე არსებული მცირე კონსტრუქციის სათიბელები აღჭურვილია სეგმენტებიანი მჭრელი აპარატებით, რომლებიც ასრულებენ მიმოსვლით მოძრაობას. მიმოსვლითი მოძრაობის დროს სეგმენტი მორიგეობით შედის მის მარჯვნივ და მარცხნივ მდებარე თითებში, გადასაჭრელი ღერო მოჰყვება სეგმენტსა და სადებს შორის, სადაც გადაიჭრება სეგმენტისა და სადების მჭრელი პირებით. თითში ჩადებული სადები ღეროებს არ აძლევენ გადახრის საშუალებას და სრულდება ჭრის პროცესი. აღნიშნული აპარატები მუშაობენ დაბალ სიჩქარეზე და გააჩნიათ რთული კონსტრუქცია.

წარმოდგენილ სათიბელებს გააჩნია მუშაობის მაღალი სიჩქარე, უზრუნველყოფს ჭრის სიჩქარის მუდმივობას, მჭრელი პირის დახრა უცვლელია ჭრის მთელი ფაზის პერიოდში და მჭრელი პირი თანაბრადაა დატვირთული ჭრის განმავლობაში, რაც ქმნის აპარატის მუშაობის ხელსაყრელ პირობებს.

ლაბორატორიული წესით ამჟამად დადგენილია მჭრელი აპარატის მუშა სეგმენტის სისქე მ, სიმაღლე 0,10მ, სიგანე 0,07მ, ალესვის კუთხე $\beta = 40^0$ და დანის სისქე $\delta_0 = 0{,}001$ მ.

მჭრელი აპარატი [2] (ნახ.2) შედგება: ჩარჩოსაგან 1, ამძრავი ვარსკვლავისაგან 2, მჭრელი ჯაჭვისაგან დასმული სეგმენტებით 4, ჯაჭვის სამუშაო არხისაგან 5, დამცავი ზამბარისაგან 7, ამყოლი ვარსკლავას ჩარჩოსაგან 6 გადაბმულობისაგან 9 და ჯაჭვის დამჭიმი მოწყობილობისაგან 8.

სათიბელა მუშაობს შემდეგნაირად: მჭრელი აპარატი 1 აღიძვრება 3-3,5 კვტ. სიმძლავრის შიგაწვის ან ელექტრო ძრავადან 2, რომელიც დაყენებულია თვლიან გადასაადგილებელ მცირე ტექნიკურ საშუალებაზე ნახ(1,2) ზამბარებით, რომელსაც გააჩნია შესაძლებლობა 30^0-იანი კუთხით შემოაბრუნოს მჭრელი აპარატი ძრავასთან ერთად, ეს კი საშუალებას იძლევა ვმართოთ მანქანა მჭრელი აპარატის დამხმარე თვალთან ერთად ნიადაგის კოპირების შესაბამისად.



ნახ. 2. მჭრელი აპარატი

ძრავადან მიღებული მაბრუნი მომენტი გადაეცემა უშუალოდ გადაბმულობას რომელიც შედგება: დამჭიმი მექანიზმისაგან 11, ხუნდებისაგან 12 და ზესადებისაგან 10. როცა მჭრელი აპარატი მუშაობისას გადააჭარბებს ნ/მ² წინააღმდეგობის ძალას, ზესადებები 10 მჭრელ აპარატთან ერთად გაჩერდება, ხოლო ხუნდების საშუალებით, ძრავა გააკეთებს უქმ სვლას. წინააღმდეგობის მოხსნის შემდეგ კი მანქანა დაუბრუნდება თიბვის სამუშაო პროცესს.



ნახ. 3 გადაბმულობის მექანიზმი

დასკვნა. ამრიგად, აღნიშნული ტექნიკური საშუალება შესაძლებელს გახდის, გადაჭრას სამთო პირობებში მეცხოველეობის საკვების დამზადების პრობლემა, რითაც საშუალება მიეცემა ფერმერებს აამაღლონ შრომის ნაყოფიერება და ეკონომიკური მოგება.

Agriculture

Using of Small-Scale Mechanization for Rough Food Preparation in the Mountain Condition

Merab Mamuladze, Fadiko Abuselidze, Mikheil Lejava

Shota Rustaveli State University

The animal breeding represents the main field of Agriculture in the mountain region of our country. Available feed is considered as the labor-consuming business. Besides this, our country does not apply such machine to resolve the abovementioned problem. The experimental model of small-scale mechanization, new construction, straightness moving, segmented sail reaper is represented in this article. Its use is possible in the small outlined plots and for available feed of the cattle in the mountain conditions. The sail reaper is made on the base of 3.5 kW. power combustion engine and consists of the cutting apparatus and new implement of linkage.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. მახარობლიძე- საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის საინჟინრო სფეროს მომავალი. თბილისი 1997.
2. მ. მამულაძე- Mმცირე სიმძლავრის სათიბელების მოდერნიზაცია ახალი ტიპის მჭრელი აპარატის გამოყენებით სამ. სტატია. საქ. სოფ. მეურ. მეც. აკად. ,,მოამბე' #22, თბილისი 2008 წ.

აჭარაში გავრცელებული ვაზის ჯიშებისაგან ღვინის დამზადების ტექნოლოგიები და პროდუქციის კონკურენტუნარიანობა

გურამ პაპუნიძე, ასლან დევაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოში და მათ შორის აჭარაში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებამ საკმაოდ მკაცრი გამოცდის წინაშე დააყენა აგრარული სფეროს ცალკეული დარგები, მათ შორის მევენახეობა-მეღვინეობა. მიუხედავად სერიოზული პრობლემებისა, მევენახეობა-მეღვინეობამ შეძლო შეენარჩუნებინა დარგთაშორისი პრიორიტეტულობა და განვითარების პერსპექტივები. ამის მიღწევის რეალური და მყარი გარანტიები შექმნა მევენახეობა-მეღვინეობაში უკვე გამოყენებული აგრო- და გადამუშავების ტექნოლოგიების სრულყოფამ და სრულიად ახალი პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვამ, მეცნიერული კვლევების გაფართოებამ, მევენახე-მეღვინეთა ცოდნის დონისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლებამ. ამაღლდა წარმოებული ღვინო-პროდუქციის ხარისხი, გაფართოვდა ბაზრების გეოგრაფია და მიწოდების მოცულობა, მსოფლიო აღიარება ჰპოვა ღვინის დამზადების ქართულმა ტრადიციულმა ტექნოლოგიებმა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მევენახე-მეღვინეებმა დაიწყეს ქართული ვაზის ჯიშების გაშენება.

აჭარა ისტორიულად მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების დონით არ ჩამოუვარ-დებოდა ქვეყნის სხვა რეგიონებს. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ აქ დღემდე შენარჩუნებულია ადგილობრივი ენდემური 50-მდე ვაზის ჯიში, რომელთაც გააჩნიათ უნიკალური გამოყენებითი თვისებები და მოკვლეულია მევენახეობა-მეღვინეობის საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარების ისტორიული არქეოლოგიური მასალები.

გასულ საუკუნეში და XXI საუკუნის განვლილ პერიოდში სერიოზული მეცნიერული კვლევები განხორციელდა აჭარაში ვაზის სხვადასხვა ჯიშის გამოკვლევის, დარაიონების და ყურძნის ნედლეულის გამოყენების ტექნოლოგიების შემუშავების მიმართულებით. ამასთან ერთად საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში, როდესაც მაღალია კონკურენცია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დინამიკურად ვითარდება აგრო და გადამუშავების ტექნოლოგიები, მრავალფეროვანი და მაღალი ხარისხისაა ღვინის პროდუქცია ჩვენს ქვეყანაში ამ მიმართულებით განხორციელებულ სამუშაოთა ნუსხა საკმაოდ ფართო და მასშტაბური.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის აგრარული და ეკონომიკური კვლევების დარგობრივმა კომისიებმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან შექმნილ კოორდინატორთა ჯგუფისა და ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სამუშაო პროგრამების ფარგლებში განახორციელეს მეცნიერული კვლევები აჭარის რეგიონში მევენახეობა-

მეღვინეობის დარგის განვითარების პოტენციალის გამოვლენისა და რესურსების წარმოება გამოყენების ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიმართულებით. გამოვლინდა ადგილობრივი ენდემური და ინტროდუცირებულ ვაზის ჯიშებს შორის განსაკუთრებული ხარისხის, ნიშან-თვისებებისა და ბიოქიმიური შემადგენლობის პოტენციალი ჩხავერისაგან, ცოლიკაურისაგან, საწურისაგან, ოჯალეშისაგან და სხვა სახის ვაზის ჯიშებიდან დამზადებულ ღვინოებში.

მეცნიერული კვლევებისა და პრაქტიკული გამოყენებითი პროექტებისა და პროგრამების შემუშავება განხორციელებისათვის პრიორიტეტულ ამოცანად განისაზღვრა ჩხავერის ჯიშის ყურძნის გადამუშავების ტექნოლოგიური და მიღებული ღვინო მასალების დამუშავების მეცნიერულად დასაბუთებული რეჟიმების დადგენა თანამედროვე მასალებისა და მეთოდების გამოყენებით კლასიკური ბოთლური მეთოდით ცქრიალა ღვინის დამზადებისათვის. აჭარის პირობებში ამ მიმართულებით სამუშაოთა შესრულება განპირობებულია იმით, რომ მომხდარიყო სრულყოფა უკვე შემუშავებული და პრაქტიკულად აპრობირებული ტექნოლოგიისა და უარი თქმულიყო მეტალო და ენერგოტევადი ხერხების გამოყენებაზე. კვლევების არჩეული მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგების ეფექტურობა და დანერგვის შესაძლო პოტენციალი გამოვლენილი იქნა ლაბორატორიულ და ნახევრად საწარმოო პირობებში სხვდასხვა წლების ნედლეულის გამოყენებით. საცდელ-ექსპერიმენტული სამუშაოები განხორციელდა სხვადასხვა ტერიტორიიდან და სპეციალურად შერჩეული კრეფის რეჟიმის პირობებში დამზადებული ყურძნით. ჩხავერისათვის აჭარის რეგიონში ყველაზე კარგი ბუნებრივ კლიმატური პირობებია ქედის რაიონში. სწორედ აქ მოწეული ყურძენი გამოყენებულია ტექნოლოგიის შემუშავებისათვის. ყურძენი დაკრეფილი იყო გვიან შემოდგომაზე და გააჩნდა შაქრიანობა 22%, ტიტრული მჟავიანობით 8 გრამი 1 ლიტრზე.

ღვინო მასალის დასახელება	ეთილის სპირტი %	ტიტრული მჟავიანობა მგ/ლ	აქროლადი მჟავიანობა მგ/ლ	გოგირდმჟავა საერთო მგ/ლ	pH	FE
ჩხავერი	11,0	07,3	0,59	7,0	2,97	3,5

ჩხავერის ყურძნის მრავალმხრივი გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ მისი გამოყენება საუკეთესო შედეგს იძლევა ცქრიალა ღვინის წარმოებისას, რაც განპირობებულია იმით, რომ ნედლეულს გააჩნია ბუნებრივად მაღალი მჟავიანობა და ეს არის ჯიშის ერთერთი საუკეთესო თვისება, რომელიც უზრუნველყოფს შამპანური ღვინის საბოლოო პროდუქტის გაკეთილშობილებას.

დამზადებული პროდუქტის ქიმიური და ორგანოლეპტიკური შემადგენლობა სრულად აკმაყოფილებს ცქრიალა ღვინისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ჩხავერის ჯიში აჭარის პირობებში საუკეთესო ხარისხის ცქრიალა და ევროპული ღვინოების დამზადების საშუალებას იძლევა. საუკეთესოა ჩხავერისაგან დამზადებული ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინო არაჩვეულებრივი სასიამოვნო ბუკეტით და რბილი გემოთი, სიმაგრით 9-11% და შაქრიანობით 3-5%. ვეგეტაციის პერიოდში აგროვებს შაქარს 21-24%-ს და ტიტრულ მჟავიანობას 9-10 გრ/ლ. ჩხავერი წითელი ჯიშს მიეკუთვნება და აჭარის მთიანეთის შუა ზოლში კარგად ხარობს. ეს ჯიში ისტორიულად დამახასიათებელი იყო ოჯახური

მეურნეობებისათვის. მისი სამრეწველო დანიშნულებით გამოყენების პოტენციალს ისიც აფართოებს, რომ მას ტრადიციულად მაღლარზე აშენებდნენ და მაღალი მოსავლიანობით ხასიათდებოდა. გარდა ამისა, მას ოჯახურ პირობებში ზამთრის განმავლობაში ინახავდნენ. მოსახლეობამ იცოდა მისგან სხვადასხვა სახის კვების პროდუქტის დამზადება. აჭარაში მცირემიწიანობის პირობებში როგორც დაბლარი ისე მაღლარი ტიპის შერეული ზვრების მოწყობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, ფერმერული და ოჯახური მეურნეობების პირობებში პერსპექტიული მიმართულებაა. მით უმეტეს, რომ დღეისათვის თანამედროვე მცენარეთა დაცვის ქიმიური და ტექნიკური საშუალებები იძლევა ნედლეულის წარმოების გარანტიებს.

ნატურალური, ბუნებრივად ცქრიალა ნახევრადტკბილი თეთრი ღვინო ჩხავერი მზადდება როგორც ტრადიციული ქართული ე.წ. 'ქვევრის“ ისე ქარხნული და ოჯახური ტექნოლოგიებით. ბუნებრივია დღეს ღვინის მსოფლიო და ქვეყნის შიგა ბაზარზე გამძაფრებული კონკურენციის პირობებში აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა, მათი გამოყენებით წარმოებული ღვინის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და შენარჩუნება.

ნახევრადტკბილი სუფრის და ცქრიალა ღვინოების წარმოებისათვის გამოიყენება სხვადასხვა ტექნოლოგიური სქემები.

პირველი კლასიკური სქემა - დურდოს დუღილი ჭაჭის გარეშე (თეთრი და მშრალი ნახევრად ტკბილი ღვინოებისათვის) და ჭაჭასთან ერთად (წითელი მშრალი და ნახევრადტკბილი ღვინოებისათვის);

მეორე სქემა - მშრალი ღვინო მასალა და კონსერვირებული ბადაგის კუპაჟი;

მესამე სქემა - ცქრიალა ღვინის წარმოება კლასიკური ბოთლური მეთოდით;

მეოთხე სქემა - ცქრიალა ღვინის წარმოება აკრატოფორის გამოყენებით;

პირველი სქემის გამოყენებით ჩხავერის ღვინის დამზადების შემთხვევაში ღვინო არის მშრალი და ნახევრადტკბილი. მეორე სქემის გამოყენების შემთხვევაში დამზადებული ღვინო 'ჩხავერი“ შეიცავს 10-11% მოცულობით სპირტს, 3,5% შაქარს, მკრთალი ვარდისფერი ჩალის ფერი, ხილის ბუკეტი, ჰარმონიული გემო. მესამე სქემა საშუალებას იძლევა დამზადებული იქნეს სხვადასხვა კონდიციის უმაღლესი ხარისხის ცქრიალა ღვინო კლასიკური ბოთლური მეთოდით, ხოლო რაც შეეხება მეოთხე სქემას -აკრატოფორის გამოყენება დაჩქარებული მეთოდით სხვადასხვა კონდიციის მიღების საშუალებას იძლევა.

კვლევებმა დაადასტურა მესამე ვარიანტის უპირატესობა, როგორც გამოყენებითი თვალსაზრისით ისე მიღებული ღვინო პროდუქციის ხარისხის გათვალისწინებით. შამპანიზაცია განხორციელდა კლასიკური ბოთლური მეთოდით. ცქრიალა ღვინოების დამზადების ბოთლური მეთოდიითვალისწინებს სატირაჟე ნაზავის მომზადებას, მის ჩამოსხმას ბოთლებში და დახუფვას საცობებით, მეორად დუღილს, ტირაჟის შემდგომ დაძველებას, ნალექის გადატანას საცობზე (რემუაჟი), საცობიდან ლექის მოცილებას (დეგორჟაჟი), საექსპედიციო ლიქიორის დამატებას საცობით დახუფვას, დამაგრებას (მიუზლი), საკონტროლო დაძველებას და ბრაკერაჟს, ბოთლის გარე გაფორმებას და შეფუთვას. ცქრიალა ღვინის ტირაჟირების მეორად დუღილის დაძველება საფუარის ნალექზე ბოთლებში ერთ-ერთი ძირითადი ტექნოლოგიური ფაქტორია, რომელიც უზრუნველყოფს მაღალხარისხიანი პროდუქციის მიღებას.

შემუშავებული ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადებული ცქრიალა ღვინის დეგუსტაციამ წარმოაჩინა პოზიტიური შედეგები, რომლებიც ასეთი სახითაა წარმოდგენილი.

ჩხავერის ნედლეულისაგან დამზადებული ცქრიალა ღვინის სადეგუსტაციო შეფასება

დაძველების ვადების თვეებში	6	12	18	24
ბალური შეფასება	7,9	8,63	8,6	8,2

პრიორიტეტად მიჩნეული ტექნოლოგიის გამოყენებით კვლევები განხორციელდა რამდენიმე წლის განმავლობაში და საბოლოო შედეგები შთამბეჭდავია. აჭარა-ლაზეთის მიტროპოლიტის მეუფე დიმიტრის უშუალო თაოსნობითა და ბსუ აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერების თანამშრომლობით ქ.ბათუმში ჩატარებულ ოჯახური ტექნოლოგიით დამზადებული ღვინის ფესტივალზე ჩხავერისგან დამზადებული ღვინოების მიერ მოპოვებულიპრიზები და მაღალი სადეგუსტაციო შეფასებები ადასტურებს ამ ჯიშის პერსპექტიულობას. აჭარის სოფლის მეურნეობის მონაცემებით დღეს აჭარაში ჩხავერის გაშენების მაღალი სტიმულია მოსახლეობაში, რასაც განაპირობებს მაღალი მოთხოვნა და ფასები, როგორც ღვინო პროდუქტზე ისე ყურძენზე, რეზერვები დიდია და ამ გზით შესაძლებელია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მიწის რესურსების რაციონალური გამოყენება და ა.შ.

განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევა აჭარაში ცოლიკოურის, საწურის, ოჯალეშის, ალადასტურის და ზოგიერთი სხვა ვაზის ჯიშებისაგან მიღებული ყურძნის მოსავალი, რომელთა გადამუშავებით მიიღება მაღალი ხარისხის წითელი და თეთრი ღვინოები, როგორც ბოლო წლების მონაცემები ცხადყოფენ ჩხავერთან ერთად ვაზის ეს ჯიშები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მევენახეობა-მეღვინეობის დარგში.

მართალია რეგიონში ჯერჯერობით ახლა იწყება ყურძნის გადამამუშავებელი ობიექტების შექმნა და განვითარება მაგრამ უახლოეს პერიოდში გაიზრდება ყურძნის წარმოების მოცულობა და შესაბამისად განვითარდება საჭირო ინფრასტრუქტურა.

მნიშვნელოვანია ქედაში ღვინის ქარხნის ამოქმედება, რომელიც ადგილობრივი რესურსების ბაზაზე მუშაობს და სტიმულს აძლევს მევენახეობას დარგის მასშტაბების ზრდას. ასევე მნიშვნელოვანია რეგიონში ე.წ. ღვინის სახლების დაარსება რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ამზადებენ ღვინოებს ქართული ტრადიციული ქვევრის ტექნოლოგიით. რეგიონში ფართოდ მოიკიდა ფეხი ღვინის მარნების შექმნამ, რომლებიც აქტიურად იყენებენ ღვინის დაყენების სხვადასხვა მეთოდებსა და ტექნოლოგიებს, ჩართულნი არიან ღვინის ტურიზმში და ადგილობრივ ბაზარზე ღვინო პროდუქციას უკეთებენ რეალიზაციას.

ბსუ აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი თემატური გეგმების ფარგლებში მიმდინარეობს ადგილობრივი და ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების გამოვლენა და შესწავლა. მზადდება სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით სხვადასხვა კატეგორიის ღვინის ნიმუშები, ხდება მათი ლაბორატორიული შემოწმებები და შეიმუშავება რეკომენდაციები და წინადადებები

შემდგომ პრაქტიკული გამოყენებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, ფერმერული და ოჯახური მეურნეობების მიერ. აჭარაში მევენახეობის განვითარების მასშტაბების გაზრდის ხელშემწყობი გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანია სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და დანერგვითი სამუშაოების შესრულება ყურძნისგან სხვადასხვა სახის საერთო მოხმარების, სპეციალური და ფუნქციონალური კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების შემუშავება. აჭარის რეგიონის დაბლობი და მაღალმთიანი ზონის პირობებში ტრადიციულად გაშენებული დაბალხარისხიანი არასაღვინე ყურძნის ჯიშები, ან ზოგიერთ ზონაში მიღებული მოსავალი საღვინე ჯიშებიდან დაბალი ხარისხისაა ამიტომ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით ამ ტექნოლოგიების გამოყენება გაზრდის დარგის რენტაბელობას.



ბოთლური მეთოდით ცქრიალა ღვინის წარმოების აპარატურულ-ტექნოლოგიური სქემა

1-ემალირებული შემკრები; 2-საფუვრის ნაზავის დამამზადებელი რეაქტორი; 3-ცენტრიდანული ტუმბო; 4-ჩამომსხმელი ავტომატი; 5-დამხუფავი ავტომატი; 6-დამჭერის დასამაგრებელი ავტომატი; 7-ტრანსპორტიორი; 8-ტირაჟის შემდგომი შენახვის შტაბელი; 9-რემუაჟის პიუპეტრები; 10-მარილხსნარის კამერა; 11-დეგორჟაჟისა და ლიქიორის დოზირების კამერა; 12-დამხუფავი ავტომატი; 13-მიუზლის დამჭერი ავტომატი; 14,16-წუნდების ავტომატი; 15-საკონტროლო დაძველების შტაბელი; 17-ფოლგის დასამაგრებელი ავტომატი; 18-ეტიკეტირების ავტომატი; 19-ბოთლის ქაღალდში გასახვევი ავტომატი; 20-მზა პროდუქციის ყუთები.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მასთან არსებული აგროსერვისცენტრის ქობულეთის საცდელ ნაკვეთზე გაშენებული ზვარი სხვადასხვა

ვაზის ჯიშებით მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების საქმეში. თანამედროვე აგროტექნოლოგიების გამოყენებით მიღწეულია ვაზის სხვადასხვა ჯიშის ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან ადაპტაციის, მაღალი მოსავლიანი და ხარისხიანი ყურძნის მიღების პოზიტიური შედეგები. რაც ერთის მხრივ კვლავ ადასტურებს ამ რეგიონში ვაზის კულტურის ფართოდ დანერგვის მაღალ პოტენციალს. მეორეს მხრივ მიღებული ყურძნისაგან ბიოქიმიური შემადგენლობის შესწავლის შემდეგ გამოვლინდება ახალ გარემოში მიღებული ნედლეულის დამახასიათებელი თვისებები და შეიქმნება შესაბამისი გადამუშავების ტექნოლოგიები სხვადასხვა სახის ღვინო პროდუქციის დამზადებისათვის.

ქართული ღვინოების პოპულარიზაციის, ღვინის დამზადების ტექნოლოგიების გაცნობის, მევენახეობა-მაღვინეობაში სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გამოყენების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლის, ურთიერთსასარგებლო პარტნიორული თანამშრომლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო ქ.ბათუმში 2016 წლის 15-16 ნოემბერს ჩატარებული შავი ზღვის რეგიონის ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების პირველი საერთაშორისო კონკურსი. კონკურსის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ენოლოგთა კავშირი, ქართული ღვინო - ღვინის ეროვნული სააგენტო და POLIPROJECT EXIBITIONS (PPE S.R.L) პატრონაჟი ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაცია (O.I.V.).

მრავალფეროვანი იყო კონკურსზე წარსადგენად დაშვებული ღვინის კატეგორიები, მათ შორის:

1.თეთრი მშრალი ღვინოები - საკუპაჟე ღვინოები, მაღალხარისხოვანი ღვინოები - დამდგარი და საკოლექციო.

2.ვარდისფერი და წითელი მშვიდი ღვინოები - საკუპაჟე ღვინოები, სახეობრივი ღვინოები, მაღალხარისხოვანი ღვინოები - დამდგარი და საკოლექციო.

3.თეთრი, ვარდისფერი და წითელი ცქრიალა ღვინოები - გაზირებული ღვინოები, მარგალიტის ფერის ღვინოები, კლასიკური და აკროტოფორული მეთოდით დამზადებული ღვინოები.

4. სამარკო და სადესერტო ღვინოები.

5.ალკოჰოლური სასმელები - ბრენდი, კონიაკი, არაყი, ბალზამი, ლიქიორი.

კონკურსში მონაწილეობდა 7 ქვეყანა და წარმოდგენილი იყო 118 ნიმუში. აქედან 69% საქართველოს ეკუთვნოდა. კონკურსის შედეგებმა დაადასტურა მევენახეობა-მეღვინეობის დარგში გამოყენებული ტექნოლოგიების მრავალფეროვნება და ეფექტურობა, კონკურენტ-უნარიანი და მაღალმოთხოვნადი ღვინო პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიების სრულყოფისადმი მიმართული მეცნიერული კვლევების პრიორიტეტულობა და გამოყენებითი პოტენციალი. კონკურსის შედეგების შეფასებები და ცალკეულ მონაწილეთა წინადადებები და რეკომენდაციები სასარგებლო არის საქართველოს მევენახე მეღვინეებისათვის და მეცნიერ-მკვლევარებისათვის.

აჭარაში ყურძნისა და ღვინო პროდუქციის წარმოების მასშტაბებისა და მათი რეალიზაციით მიღებული შემოსავლების მაჩვენებლების მიხედვით ჩხავერის შემდეგ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ცოლიკოური და საწური. ამ ჯიშის ვაზისაგან მიღებული მოსავლისაგან ღვინის დამზადების ტექნოლოგიები საკმაოდ კარგადაა დამუშავებული და პროდუქციაც მრავალფეროვანი და მოთხოვნადია.

ცოლიკოური ადგილობრივი ჯიშია და ფართოდაა გავრცელებული. მისგან მზადდება მაღალხარისხოვანი სუფრის თეთრი და ბუნებრივად ნახევრადტკბილი სხვადასხვა სადესერტო ღვინოები. გარდა ქარხნულისა გამოიყენება ოჯახური ტექნოლოგიები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მეწარმეთა ინდივიდუალური მიდგომებით ხასიათდება.

საწური ასევე გავრცელებულია აჭარაში და ის აბორიგენული ჯიშია. ის გამოიყენება ორდინარული ტიპის ღვინოების დასამზადებლად. მისგან გარდა ღვინისა მიიღება მაღალი ხარისხის საკონიაკე სპირტი და ყურძნის წვენი.

აღსანიშნავია, რომ ქართული ვაზის ჯიშების საერთო რაოდენობაში საკმაოდ დიდია ისეთი ჯიშების ხვედრითი წილი, რომელთა გამოყენებითი პოტენციალი დღემდე სრულყოფილად არაა დადგენილი, შესაბამისად არის დიდი რეზერვი იმისა, რომ შეიქმნას სრულიად ახალი სახის კონკურენტუნარიანი ღვინოები და ალკოჰოლური სასმელები. რეგიონი ამ გზით შეძლებს ღვინის ბაზრებზე დამკვიდრებას, დაიწყება უნიკალური თვისებებისა მქონე ღვინიოების წარმოება და მიწოდება თანამედროვე ტექნოლოგიური სისტემის გამოყენებით. ამის დასტურია ვაზის იმ ჯიშთა ნუსხა რომელიც გავრცელებულია აჭარაში და დღემდე ბოლომდე არაა შესწავლილი გამოყენებითი თვალსაზრისით.

№	თეთრი		შავი		დანარჩენები		
	ვაზის სახელი	გავრცე-ლება	ვაზის სახელი	გავრცე-ლება	ვაზის სახელი	გავრცე-ლება	ფერი
1	ალმურა (შავი)	მცირე	ალმურა (თეთრი)	მცირე	ახალაკი	მცირე	მუქი წითელი
2	ბაღის ყურძენი	მცირე	ბათომურა	მცირე	კიბურა	მცირე	ვარდისფერი
3	ბროლა	მცირე	ბურძღალა	მცირე	პოვნილი	მცირე	მუქი წითელი
4	გორგოული	მცირე	ბუტკო (ვაზი)	მცირე			
5	თეთრა	მცირე	ვაიოს საფერავი	მცირე			
6	თურვანდი	მცირე	კორწითელა	მცირე			
7	კაიკაციშვილის-ეული თეთრი	მცირე	ლივანური შავი	მცირე			
8	კვირისთავა	მცირე	მაგარა	მცირე			
9	კლარჯული	მცირე	მეკრენჩხი	მცირე			
10	ლივანურა თეთრი	მცირე	მორცხულა	მცირე			
11	მწვანურა	მცირე	სალიკლევი	მცირე			
12	მწვანე აჭარული	მცირე	საფერავი აჭარული	მცირე			
13	ორჟოხული	მცირე	საწური	მცირე			
14	სხალთაური	მცირე	ტამიძურა	მცირე			
15	შავშურა	მცირე	ტყის ვაზი	მცირე			
16	ცვითე	მცირე	ტყის ყურძენა	მცირე			
17	წვიტე	მცირე	ქორქაულა	მცირე			
18	ჭეჭიბერა	მცირე	შიშველი	მცირე			

19	ჯავახეთურა	მცირე	ჩიტისთვალა აჭარული	მცირე			
20			ცხენის ძუძუ აჭარული	მცირე			
21			ჭიპაკური	მცირე			
22			ჭოდი	მცირე			
23			ხარისთვალა აჭარული	მცირე			
24			ჟინეში	მცირე			

საინტერესოა ისტორიული საარქივო მასალები, რომლებიც ადასტურებენ რომ აჭარის რეგიონში მევენეხეობა-მეღვინეობის განვითარების ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში, საბჭოური ეკონომიკური სისტემის პირობებში მიექცა ყურადღება. რამდენიმე ამონარიდი 1924-1929 წლებში აჭარისტანში მევენახეობა-მეღვინეობის პერსპექტული გეგმიდან: 'არსებული ისტორიული მონაცემებით შორეულ წარსულში დღევანდელ აჭარისტანში მევენახეობა მეღვინეობა ფართოდ იყო განვითარებული. აქ იყო მრავალი ძვირფასი ყურძნის ჯიშები. ახლა ეს ჯიშები თითქმის მთლიანად გაქრა დაავადებებისა და მოუვლელობის გამო. აჭარისტანში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მაჰმადიანობის მიღების შემდეგ აქ მევენახეობა უკიდურესად დაეცა. ყურანი კრძალავს ღვინის მოხმარებას და მასთან ერთად ყურძნის კულტურის გაშენებას. დარჩა მხოლოდ დესერტული ყურძნის ჯიშები მათ შორის მეტწილად 'იზაბელა“, რომლის ჯიში აქ შემოტანილია წარსული ასწლეულის განმავლობაში, რომელიც იზრდება ფაქტიურად ველურ გარემოში. აჭარისტანში ყოველ კომლში დარგულია 2-3 ძირი იზაბელა, მისი ნაყოფი საკვებად გამოიყენება და ღვინო არ მზადდება. ყოველივე ზემოთთქმულიდან ჩანს, რომ დღეისათვის მევენახეობა-მეღვინეობა აჭარისტანში სახალხო მეურნეობაში რაიმე მნიშვნელოვან როლს არ იძენს, ადგილობრივი მოსახლეობის მაჰმადიანური მიმდევრობიდან გამომდინარე, მაგრამ ჩვენ უნდა ვიყოთ ოპტიმისტები ამ დარგის განვითარებაში.

ჩვენ შევქმნით მცირე მასშტაბის ზვრებს და ჩავატარებთ ცდებს, შევქმნით სტიმულს მათი გაფართოებისათვის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 1981-1985 და 1990 წლების სასურსათო პროგრამის მიხედვით მევენახეობა-მეღვინეობის დარგში ასეთი მაჩვენებლები დაფიქსირდა.

№	მაჩვენებლები	1971-1975 წლები საშუალოდ	1976-1980 წლები საშუალოდ	1981-1985 წლები საშუალოდ	1990 წელი პროგნოზი
1	მევენახეობაში დაკავებული ფართობი. ჰექტარი	1000	980	900	991
2	წარმოებული ყურძენი ტონებში	3000	4020	4082	5600
3	წარმოებული ღვინომასალა ათ. დეკალიტრი	471,4	546	544	550
4	ყურძნის ღვინო ათ. დეკალიტრი	437,4	550	560	635

დღეს ანალოგიური მონაცემები ბევრად ნაკლებია, მაგრამ ზრდის რეალური პოტენციალი არსებობს.

აგრარული კომისიის მიერ ორგანიზებული სასწავლო-საკონსულტაციო ჯგუფი, რომელშიც შედიან მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მეცნიერ-მკლევარები, პრაქტიკოსები 2015-2016 წლებში აჭარის რეგიონში მომსახურება გაუწიეს სხვადასხვა კატეგორიის მეწარმე სუბიექტებს.

№	მეწარმე სუბიექტი	აგროტექნო-ლოგიების გამოყენება	ყურძნისაგან ღვინის დამზადების ტექნოლოგია	სხვა ალკოჰოლური სასმელების დამზადების ტექნოლოგიები
1	ღვინის ქარხანა		3	5
2	ღვინის სახლები	3	15	8
3	ფერმერთა მარნები	160	205	32
4	მოსახლეობა	650	700	206
5	სხვა სუბიექტები	70	96	19

აჭარის რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის დარგში სწავლება-კონსულტირებით ტექნოლოგიური სრულყოფის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და დანერგვითი სამუშაოების განხორციელებით, სხვადასხვა ფესტივალზე, კონკურსებზე, ფორუმებზე მონაწილეობით 2006-2016 წლების პერიოდში მიღწეული ღვინოპროდუქციის ხარისხის ზრდის დინამიკა ასეთია (მთლიანად წარმოებული პროდუქციის მოცულობაში). ჩაითვალა ხარისხიანად 55-60%. დაიმსახურა უმაღლესი შეფასება 30-35%, დაბალი ხარისხით - 10-15%, უხარისხო 3-10%მდე. კოოპერატიულ, ფერმერული და ოჯახურ მეურნეობებში უკვე ფართოდ გამოიყენება ყურძნის გადამუშავების, შენახვისა და პროდუქციის რეალიზაციის არსებული ტექნოლოგიები. უკვე სახეზეა არამარტო პროდუქციის ხარისხის ამაღლება, არამედ თანდათანობით პრიორიტეტული ხდება ეკოლოგიურად სუფთა, ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხო კონკურენტუნარიანი ღვინოების წარმოება, ფართოვდება ადგილობრივი ენდემური და ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების გამოყენება, დარაიონების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების გამოყენებით. მევენახეობა მეღვინეობის დარგის შემდგომი განვითარების მიზნით გასათვალისწინებელია ზოგიერთი ასპექტები და გარემოებები, კერძოდ

-აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობის დარგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ალტერნატიული მიმართულება შეიძლება გახდეს რეგიონის ეკონომიკაში. სტიმული უნდა მიეცეს ადგილწარმოშობის, საგვარეულო, საფირმო თუ სახელობითი ღვინოების დამზადებას, რაც მცირე მასშტაბების მიუხედავად ბაზარზე თავიანთ სეგმენტს მოიპოვებს, ეს კი სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუქმნის გარანტიებს.

-შერჩეული ღვინოების დამზადების ტექნოლოგიები ხშირ შემთხვევაში არაა დაფუძნებული ქვეყანაში და მსოფლიოსსხვადასხვა ქვეყნებში ღვინის წარმოების

თანამედროვე მიღწევების გამოყენებაზე,რაც მიუთითებს მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში მეწარმეთა ცოდნისა და გამოცდილების დაბალ დონეზე. მიზანშეწონილად

უნდა ჩაითვალოს აჭარაში მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების, სოფლის მეურნეობის 'აგროსერვისცენტრის" ობიექტების ქსელის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება, სასწავლო-საკონსულტაციო მომსახურების ორგანიზება და მეთოდური მასალების მომზადება-მიწოდება.

-უნდა გააქტიურდეს მუშაობა ადგილობრივი ენდემური და ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების დარაიონების, ნაყოფის ხარისხის დადგენისა და გამოყენების შესაძლო მიმართულებების განსაზღვრის მიმართულებით.

-აუცილებელია აჭარის სხვადასხვა ზონებში სავენახე საკოლექციო ნაკვეთების შექმნა, რომელიც სამეცნიერო კვლევების გაფართოებას ასევე მევენახე-მეღვინეთა ცოდნის დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს. მიღწეული იქნება ჯიშთა სიწმინდის დაცვა, გადაშენების გზაზე მყოფი ვაზის ჯიშების შენარჩუნება და გამოყენების გზების დადგენა.

-რეგიონში უნდა წარიმართოს მუშაობა ყურძნის ხარისხის მართვის ტექნოლოგიების დანერგვათანამედროვე მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით.

-აუცილებელია შეიქმნას სანერგე მეურნეობები, რომლებიც ორიენტირებული იქნება რეკომენდირებული ჯიშების ვაზის ნერგების გამოყვანაზე და მიწოდებაზე შემუშავებული დარაიონების სქემების მიხედვით. თითოეული ზონისათვის (მიკროზინისათვის) უნდა შემუშავდეს მოვლა-მოყვანის ოპტიმალური რეჟიმები.

Agriculture

Technologies of Wine Production from Grape Varieties Spread in Adjara and Product Competitiveness

Guram Papunidze, Aslan Devadze

The national economic development strategy and the potential and prospects of traditional fields are fundamentally changed after establishing of market economic relations. The especially important problems in agriculture, the capacity of production, processing and marketing of agricultural raw materials, have extremely reduced. Research, scientific, design and implementation of the works revealed possible directions for use, zoning schemes, grape wine products processing and manufacturing technologies, thus creating a stimulating environment for expanding the cooperative, farming and family farms in grape cultivation and wine production.

The article presents the materials of the wine-making history of the development, production scale, using technology, researched and still completely unexplored wines and local endemic species, species of wine. The article analyses the existing problems and indicates the measures.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კ.მოდებაძე, მეღვინეობა, თბილისი, 1948, გვ.82;
2. ნ.გელაშვილი, მეღვინეობა, თბილისი, 1961, გვ.96;
3. R.J.Clarke, J.Bakker “Wine: Flavour Chemistry' Wiley-Blackwell. 2004-08-27. ISBN:1405105305.
4. მ.ჯავახიშვილი, ენოლოგია, გამომცემლობა 'უნივერსალი“, თბილისი, 2009, გვ41;
5. ე.კირთაძე, გ.პაპუნიძე, გ.კვესიტაძე, ღვინომასალების გარდაქმნა მეორადი ალკოჰოლური დუღილის პროცესში. ვაზისა და ღვინის მსოფლიო კონგრესი მე-89 გენერალური ასამბლეა, თბილისი, 20-25 ივნისი, 2010, ენოლოგია - მოხსენება.
6. ჩხარტიშვილი ნ. ყურძნის მოსავლის გაზრდის რეზერვები საქართველოში; 'ცოდნა“ თბილისი, 1982, გვ. 58;
7. ბათუმისა და ლაზეთის ეპარქია. ოჯახში დამზადებული ღვინის IX ფესტივალი. ბათუმი. 2016;
8. აჭარის ცენტრალური არქივის მასალები.

მეციტრუსეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ფერმერთა სოციალური და ეკონომიკური დონის აღმავლობის მიზნით

ნოდარ ბერიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეციტრუსეობა კვლავაც რჩება განსაკუთრებული მნიშვნელობის დარგად თანამედროვე სოფლის მეურნეობის საწარმოთა ყველა ფორმის, კერძოდ ერთპიროვნული, პარტნიორული (ამხანაგურ)და სააქციო საზოგადოებისათვის, კოოპერაციების და კონცენტრაციის გაზრდის და სრულად განვითარების მიზნით ჩამოყალიბებული მცირე, საშუალო და დიდი ბიზნესის პირობებში.საბოლოო მასშტაბში მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკის პირობების გაუმჯობესებისათვის.ამის საფუძველს ქმნის აგრეთვე უცხოეთში და ჩვენს ქვეყანაში მრავალწლიანი სელექციური კვლევებით მიღებული ახალი ჯიშები და ფორმები, ამასთან უახლოესი აგროტექნიკური და ტექნოლოგიური პირობების შედეგები(1)

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხისა და მოსავლიანობი სამარლებისათვი საუცილებელია ფერმერულ-გლეხურ მეურნეობებში შევინარჩუნოთ სპეციალიზაცია. მეურნეობათა ნატურალიზაციის ტენდენციის გამო, იმისათვის,რომ გლეხს გაუჩნდა მოთხოვნილება აწარმოოს სხვადასხვა სახის კულტურის პროდუქცია მცირე რაოდენობით, საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, კნინდება სოფლის მეურნეობის მთავარი მაპროფილებელიდარგები, მათ შორის მეციტრუსეობა და მეჩაეობა.ამიტომ ამ დარგებში პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის სტიმულირებას,მის შეფასებას მყარი ვალიუტით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.ამდენად, როცა ლაპარაკია სასოფლო - სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციასა და კონცენტრაციაზე,გასაკუთრებილი ყურადღება უნდა დაუთმოთ ქვეყნის ცალკეული რეგიონების ეკონონომიკის გაჯანსაღებისათვის მნიშვნელოვანი დარგების განვითარებას (2)

ცნობილია,რომ მეციტრუსეობის დარგში ყველაზე მეტი ხვედრითი წილი მანდარინის კულტურაზე მოდის.მოსავლის მიღებაზე გაწეული საკმაო დანახარჯების მიუხედავად, მანდარინი ყოველთვის იყო არის და კვლავაც იქნება რენტაბელური კულტურა,ამიტომ ძირითადი ორიენტირი სწორედ მანდარინის წარმოების გადიდებაზე უნდა ავიღოთ.ამასთან სპეციალიტების თვალსაზრისით მანდარუინთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ფორთოხალ ვაშინგტონ ნაველის წარმოებას და მის სამრეწველო გადამუშავებას უნდა მიექცეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ციტრუსოვანთა ნაყოფის მომწიფება გვიან შემოდგომაზე ხდება, ამიტომ აცილებელია შეიცვალოს ციტრუსოვანთა არსებული ჯიშები

საადრეო ჯიშებით, რომელთა ნაყოფი ჩვენში მწიფდება სექტემბრის ბოლოს ოქტომბრის დასაწყისში (3).

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა კალიფორნიის შტატში (აშშ) აპრობირებული და გამოყენებული ციტრუსოვანთა მოვლის ტექნოლოგიების ჩვენს ქვეყანაში დანერგვა მოსავლიანობისა და ნაყოფის ხარისხისამაღლების მიზნით

ცდის ობიექტად აღებულია ციტრუსოვანთა სადემონსტრაციო საცდელი ნაკვეთიდან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის აეროპორტის ტერიტორიაზე, სადაც გაშენებულია მანდარინის 400 და ვაშინგტონ ნაველის 30 ძირი მცენარე. კვლევა ითვალისწინებდა მცენარის გასხვლა-ფორმირების, ნიადაგის საფარის მოვლა-განოყიერების, მავნებელ-დაავადებების წინაღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების გატარება; ნაყოფის აღების და შენახვის ტექნოლოგიები.

ცნობილია, რომ მცენარის გასხვლა-ფორმირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზრდა-განვითარებისათვის. კარგად გასხლული მცენარე გვაძლევს მაღალი სასაქონლო ღირებულების მქონე ნაყოფებს. მცენარის გასხვლა ითვალისწინებს ვარჯის ისეთ ფორმირებას, როცა მცენარის ვარჯში სინათლე და მზის სხივი ადვილად შეაღწევს, რომელიც ხელს შეუწყობს სანაყოფე ტოტების ზრდას. ამასთან ვაცილებთ მცენარეს არაპროდუქტიულ ტოტებს, უნაყოფო ამონაყრებს. ვკვეცავთ მცენარეს სიმაღლეში. კალიფორნიის შტატის მეციტრუსეობის გამოცდილებით მცენარის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 2,5-დან 3 მეტრამდე. ხოლო ქვედა ტოტები ნიადაგიდან დაშორებული უნდა იყოს 75-80 სმ-ის სიმაღლემდე, რითაც თავიდან ვიცილებთ ნაყოფის დამაზიანებელი ნიადაგური პათოგენების გავრცელების საშიშროებას.

მიღებული გამოცდილებით კლიმატური პირობებისა და მცენარის ზრდა-განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით, ჩვენს პირობებში გასხვლა უნდა ჩატარდეს თებერვლის მე-2 ნახევრიდან მარტის თვის ბოლომდე. ამ პეროდში არ არის წაყინვების საშიშროება. ადრე გასხვლა მიზანშეუწონელია. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია სწრაფად განვითარდეს ახალი ყლორტები და დაზიანდეს გაზაფხულის წაყინვისაგან. მცენარის გასხვლა-ფორმირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზრდა-განვითარებისათვის. კარგად გასხლული მცენარე გვაძლევს მაღალი სასაქონლო ღირებულების მქონე ნაყოფებს. მცენარის გასხვლა ითვალისწინებს ვარჯის ისეთ ფორმირებას, როცა მცენარის ვარჯში სინათლე და მზის სხივი ადვილად შეაღწევს, რომელიც ხელს შეუწყობს სანაყოფე ტოტების ზრდას. ამასთან ვაცილებთ მცენარეს არაპროდუქტიულ ტოტებს, უნაყოფო ამონაყრებს. ვკვეცავთ მცენარეს სიმაღლეში. კალიფორნიის შტატის მეციტრუსეობის გამოცდილებით მცენარის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 2,5-დან 3 მეტრამდე. ხოლო ქვედა ტოტები ნიადაგიდან დაშორებული უნდა იყოს 75-80 სმ-ის სიმაღლემდე, რითაც თავიდან ვიცილებთ ნაყოფის დამაზიანებელი ნიადაგური პათოგენების გავრცელების საშიშროებას.

არაპროდუქტიულ ტოტებს, უნაყოფო ამონაყრებს. ვკვეცავთ მცენარეს სიმაღლეში. კალიფორნიის შტატის მეციტრუსეობის გამოცდილებით მცენარის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 2,5-დან 3 მეტრამდე. ხოლო ქვედა ტოტები ნიადაგიდან დაშორებული უნდა იყოს 75-80 სმ-ის სიმაღლემდე, რითაც თავიდან ვიცილებთ ნაყოფის დამაზიანებელი ნიადაგური პათოგენების გავრცელების საშიშროებას.

ასეთი მეთოდით მოხერხილ ადგილას არ არის საჭირო რაიმე სახის მალამოს გამოყენება. მოხერხილი ადგილი ადვილად მოშუშდება და შეხორცდება, რაც მოხერხილ ადგილას მცენარის მიერ ანტისეპტიკური ნივთიერების გამოყოფით უნდა აიხსნას. იგი ხელს უწყობს ადრე შეხორცებას და იცავს მცენარეს ლპობისაგან. მცენარის ვარჯის ფორმირება უკეთესია ჩატარდეს ახალგაზრდა ასაკში, ანუ გაშენებული ნარგაობის 3-4 წლის ასაკიდან. კვლევებმა გვიჩვენა, რომ ამ ასაკში მცენარის ზრდა-განვითარება ინტენსიურად მიმდინარეობს, ამ შემთხვევაში მცენარეს ეძლევა ნახევრად ბუჩქის ფორმა ანუ უნდა შევკვეცოთ ზომით აშოლტილი ტოტები და ასევე ის ტოტები, რომლებიც მიემართებიან ნიადაგისაკენ. ამდენად, ხე ფორმირდება იმ ანგარიშით, რომ მისი სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 2-3 მეტრს.

მცენარის ფორმირებისათვის, გამოიყენება შემდეგი სამუშაო იარაღები: ბაღის სეკატორი (წვრილი ტოტების მოსაჭრელად), სპეციალური სასხლავი ხერხი და გრძელტარიანი სასხლავი ხერხი, ასევე ჯაჭვური ხერხი, რომელიც გამოიყენება შედარებით მსხვილი ტოტების მოხერხვისათვის. ბაღის კიბე. სამუშაო იარაღები ყოველთვის გალესილ მდგომარეობაში უნდა იყოს. დაავადებული ხეების გასხვლის შემდგომ, ჯანმრთელ მცენარეებზე გამოყენებისათვის სამუშაო იარაღების დეზინფექცია აუცილებელია. აღნიშნული ოპერაციების ჩატარების წესების სრული დაცვა ჯანმრთელი მცენარის, აგრეთვე სტანდარტული და ხარისხიანი ნაყოფის მიღების სრულ გარანტიას გვაძლევს, ამით ნაწილობრივ აღმოიფხვრება მეწლეობა, არ გავრცელდება მავნებლები და დაავადებები, რითაც აღარ საჭიროებს დამატებით ფულად თუ მატერიალურ დანახარჯებს.

საცდელ-საჩვენებელ ნაკვეთებზე ტარდებოდა ნიადაგის მოვლა ახალი ტექნოლოგიებით, რომელიც ითვალისწინებს ნიადაგის ბარით დამუშავების აღკვეთას. კვლევებით დადასტურებულია რომ ნიადაგის დამუშავებისას ნადგურდება ზედაპირული მკვებავი ფესვები. მათი განადგურება კი იწვევს მცენარისათვის საკვები ელემენტების მიწოდების შემცირებას, მცენარის ზრდა-განვითარების შეფერხებას და არასტანდარტულ ნაყოფის ფორმირებას. ნიადაგის მოვლის ღონისძიებებათაგან აღსანიშნავია მულჩის გამოყენება. იგი აუმჯობესებს ვარჯის ქვეშ არსებულ ფესვთა სისტემის განვითარებას, ამდიდრებს ნიადაგს ორგანული (4). მულჩად გამოიყენება ნასხლავი ტოტები - დაქუცმაცებული, ასევე ბაღში არსებული ბალახი და სხვა საოჯახო ნარჩენები. ნიადაგური პირობების გასაუმჯობესებლად კარგ შედეგს იძლევა მცენარეთა რიგთაშორისი საფარი კულტურების უმეტესად პარკოსნების თესვა ნაწილობრივ შეიძლება გამოყებელი იქნას მარცვლოვანი კულტურები. იგი აუმჯობესებს ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს, ამდიდრებენ ნიადაგს სხვადასხვა საკვები ელემენტებით და ორგანული მასით აფერხებენ სარეველების განვითარებას. საფარი კულტურების თესვა ხორციელდება შემოდგომით, ვინაიდან გაზაფხულზე ისინი სწრაფად იზრდებიან და გამოიყენება მულჩირებისათვის. კვლევებით დადგენილია, რომ ჰექტარზე 20 ტონა მწვანე მასის, მოყვანის შემთხვევაში აღარაა საჭირო ორგანული სასუქის გამოყენება, 10-12 ტონის მიღებისას საჭირო იქნება ორგანული სასუქის ნახევარი ნორმის შეტანა. მულჩირება მცენარეების ვარჯის ირგვლივ, მთავარი ღეროდან 10-15 სმ-ის დაშორებით თავსდება. ამ შემთხვევაში მცირდება მავნებელ-დაავადებების გაჩენის რისკი. მულჩად გამოიყენება საქონლის, ცხენის, თხის ან ცხვრის ნაკელი, ფრინველის ნაკელი.

მინერალური სასუქებიდან, საცდელ ნაკვეთში მცენარეთა გამოკვებისათვის გამოიყენება აზოტი, ფოსფორი და კალიუმი. აღნიშნული სასუქების გამოყენება ტარდება ნიადაგის ქიმიური ანალიზის ჩატარების შემდგომ. კარგ შედეგს იძლევა ერთ ძირზე აზოტოვანი სასუქი, ნივთიერებიდან საშუალოდ 0,4-0,5 კგ-ის გამოყენება. პირველი დოზა გაზაფხულზე, პირველი ვეგეტაციის დაწყების წინ, ნაყოფის გამონასკვამდე უნდა შევიტანოთ, ხოლო შემდეგი 3 ჯერადი ნორმა შესაბამისი დოზებით, ივნისის ბოლომდე, ივლისის თვის პირველ ნახევარში. აღსანიშნავია, რომ ვადების დარღვევით ჭარბი აზოტის ნიადაგში შეტანა იწვევს მცენარის მიმდინარე წლის ყლორტების ნაადრევ ზრდას, რითაც ადვილად ზიანდება, როგორც საგაზაფხულო წაყინვები საგან, ასევე გვალვებისაგან, ამასთან მცირდება ნაყოფის ხარისხი. პარკოსანი მცენარეების თესვით ნიადაგი მდიდრდება აზოტიანი სასუქებით, რის ხარჯზეც შეიძლება აზოტიანი სასუქების დოზების შემცირება. მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელია, დადგენილი ნორმებით ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქებით გამოკვება. დაუშვებელია ჭარბი ფოსფორიანი სასუქების გამოყენება, ვინაიდან იგი უარყოფითად მოქმედებს ნაყოფის ხარისხზე.

უხვი და მაღალხარისხიანი მოსავლის მისაღებად აუცილებელია მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარული ღონისძიებების ჩატარება მავნებლებისა და დაავადებებისაგან. ამ მიმართებით, პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს თანამედროვე ხელსაწყოებით აღჭურვილი კვლევითი ცენტრის საგამოცდო ლაბორატორიის მიერ ფერმერებზე, როგორც პრაქტიკული მომსახურება, ასევე, კვალიფიციური კონსულტაციების გაწევა მცენარეთა დაცვის სხვადასხვა მიმართულებით (ენტომოლოგია, ფიტოპათოლოგია, ბრძოლა სარეველებთან). ჩვენ მიერ აღებულ საცდელ ნაკვეთზე მავნებლებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია ვერცხლისფერი ტკიპა და სხვადასხვა სახის ფარიანი, დაავადებებიდან კი - ციტრუსბლასტი. აღნიშნული დაავადებები და მავნებლები ჯერ აზიანებენ თვითონ მცენარის ვეგეტატიურ ორგანოებს და შემდგომ კი ნაყოფს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მოსავალს, ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია, მათ წინაღმდეგ ბრძოლის პრევენციული ღონისძიებების ჩატარება. პირველ რიგში, საჭიროა ყველა აგროტექნიკური და ტექნიკური პროცესების სრული დაცვით, მინერალური სასუქების, კერძოდ, აზოტოვანი სასუქების გამოყენება. დროულად და ყველა ტექნოლოგიის დაცვით უნდა ჩატარდეს მცენარის გასხვლა-ფორმირება, სასარგებლო მწერების გამრავლება და სხვა.

ბუნებრივი სასარგებლო მწერების მოზიდვისათვის კარგ შედეგს იძლევა ისეთი საფარი ყვავილოვანი კულტურების გაშენება, როგორებიცაა ქოლგოსანთა ოჯახიდან კვლიავი, ქინძი. პარკოსნებიდან, წითელ და თეთრ ყვავილა სამყურა, ცერცვი, იონჯა და სხვა. ამასთან, კარგია ნაკვეთის ირგვლივ გავაშენოთ ისეთი მოყვავილე მრავალწლიანი ხეები და ბუჩქები, რომლებიც გარკვეულწილად შეასრულებენ ქარსაფარი ზოლის ფუნქციას და ხელს შეუწყობენ სასარგებლო მწერების გამრავლებას.

მცენარეთა მავნებელ-დაავადებების აღსაკვეთად საჭიროა ჩატარდეს ხშირი მონიტორინგი, იგი საშუალებას იძლევა თუ რა პერიოდში რომელი დაავადების და მავნებლის წინააღმდეგ უნდა განხორციელდეს ბრძოლის ღონისძიებები. ქიმიური საშუალებებიდან უნდა გამოვიყენოთ ისეთი პრეპარატი, რომელიც ნაკლებად დააზიანებს სასარგებლო მწერებს. სასურველია შერჩეული იქნას დაბალი ტოქსიკურობის მქონე პესტიციდები. აუცილებელია პესტიციდებით წამლობის ვადებისა და დოზების სრული დაცვა.

ზემოთ აღნიშნული ტექნოლოგიური პროცესების დაცვა ჯანსაღი მცენარის შენარჩუნებას, მაღალხარიისხოვანი და უხვი მოსავლის მიღების სრულ გარანტიას იძლევა.

დღეს ფერმერებისათვის მეციტრუსეობის დარგის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად ითვლება მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების სუსტი განვითარება და დანერგვის ხელშეწყობის (შემნახველი, დამახარისხებელი, შემფუთავი, გადამამუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარების ხელშეწყობა) დაბალი დონე.

იმისათვის, რომ მივიღოთ ევროსტანდარტების შესაბამისად კონკურენტუნარიანი საუკეთესო ხარისხის ნაყოფი, საჭიროა და აუცილებელია დავიცვათ ის ტექნოლოგიები, რომელიც ზემოთ იყო ხსენებული. ხარისხიანი ნაყოფი უნდა აკმაყოფილებდეს შედეგ კრიტერიუმებს: იგი უნდა ავიღოთ სრული სიმწიფის ფაზაში, როცა ნაყოფს აქვს დამახასიათებელი შეფერილობა, ხოლო ზომა და ფორმა აკმაყოფილებს საბაზრო სტანდარტს (საშუალოდ 44-54 მმ). რაც შეეხება ნაყოფის ბიოქიმიურ ანალიზს, სიმჟავე არ უნდა აღემატებოდეს 1,0-1,5%, ხოლო შაქრიანობა კი 8,5-9,0 %-ს. ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული აგრო წესების სრული დაცვით მიღებული მოსავლის 75-85% აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს.

მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია მწიფე ნაყოფის კრეფის ტექნოლოგიური პროცესის დაცვა. ნაყოფი უნდა მოიკრიფოს მშრალ მდგომარეობაში. საკრეფად გამოიყენება სპეციალური ბაღის მჭრელი სეკატორი, დაუზიანებლად ხდება ნაყოფის ყუნწიანად მოკრეფა. უნდა მოვერიდოთ კანის დაზიანებას, ნაყოფი იკრიფება ერთეული სახით. კრეფა სპეცილური ხელთათმანებით ტარდებოდა. მოკრეფილი ნაყოფი ეწყობა სპეციალურ ყუთებში სიმაღლეში 3 რიგად. თუ მცენარეზე დაავადებული ან დაზიანებულია ასეთი ნაყოფები, წინასწარ უნდა იქნას მოცილებული ,რომ არ მოხდეს სხვა ნაყოფების დაავადების გადატანა ან დაზიანება. ასეთნაირად დაკრეფილი ნაყოფი ინახება სპეციალურ შესანახ სარდაფში ან სასაწყობო შენობაში, სადაც მოწყობილია გაგრილების სისტემა, საცავი ხშირად უნდა განიავდეს, რათა გამოვდევნოთ დაგროვილი ეთილენი სარდაფიდან. საცავში ოპტიმალური ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 7,2^{0}C, ტენიანობა 85-90%-ს. ასეთ პირობებში ნაყოფები სარეალიზაციოთ 3-4 თვის განმავლობაში ინახება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოქმედების სტრატეგია ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, მათ შორის ციტრუსოვანთა რეალიზაციის ალტერნატიული სისტემის ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს პირველ ეტაპზე თითოეული მუნიციპალიტეტის სასაწყობო, პროდუქციის პირველადი დამუშავების, თანამედროვე საბაზრო სახით შეფუთვის და სატრანსპორტო საშუალებებით აღჭურვას.

დასკვნა: გასხვლა აუმჯობესებს მცენარის ბიოლოგიურ მდგომარეობას ანუ მცენარე ხდება ჯანსაღი, ვინაიდან ამ დროს ერთნაირად ნაწილდება მზის სხივები მთლიან ვარჯში, ამასთან აღინიშნება სანაყოფე ტოტების ძლიერი ზრდა, მცენარე გვაძლევს 75-80 % სტანდარტულ ნაყოფს. სწორი გასხვლა ამცირებს მავნებლებსა და დაავადებების გავრცელებას. ნიადაგის საფარი არ უნდა დამუშავდეს ბარით. ასეთ შემთხვევაში ზედაპირული მკვებავი ფესვები უვნებელი რჩება და უმჯობესდება მცენარეში საკვები ნივთიერებების მიწოდება. კარგ შედეგს იძლევა მულჩის და მწვანე სიდერატების გამოყენება. ზედმეტი ტენის პირობებში კეთდება სპეციალური დრენაჟები, რითაც

უმჯობესდება ნიადაგის სტრუქტურა და ჰაერაცია. მცენარის მავნებლების წინაღმდეგ გამოიყენება ბუნებრივი მწერები. მათი გამრავლება სხვადასხვა სახის მოყვავილე - უმეტესად პარკოსანი მცენარეების მეშვეობით ხდება. პესტიციდების გამოყენების შემთხვევაში ვიყენებთ დაბალ ტოქსიკურ პესტიციდებს, რომ არ მოხდეს სასარგებლო მწერების (ჭიამაი, კრაზანა, ობობა და სხვა) განადგურება. აუცილებელია პესტიციდების გამოყენების ვადების და დოზების დაცვა. კარგს შედეგს იძლევა აგრეთვე ბრძოლის ლოკალური ღონისძიებები ჩატარება.

ხარისხიანი ნაყოფის მოკრეფისას ვითვალისწინებთ შეფერილობას, ზომებს, ბიოქიმიურ მაჩვენებლებს და მის ვიზუალურ მხარეს. არა სასაქონლო ღირებულების ნაყოფის მოკრეფა დაუშვებელია. ამისათვის საჭიროა ჩავატაროთ შერჩევითი კრეფა. ზუსტად უნდა იქნას დაცული ნაყოფის აღების ტექნოლოგია და შენახვის პირობები.

რეგიონის ტენიან სუბტროპიკულ ზონაში მოსალოდნელი მკაცრი შემოდგომის პირობების გამო, აუცილებელი ფერმერულ მეურნეობებში არსებული ციტრუსოვანთა ჯიშები შეიცვალოს საადრეო უხვმოსავლიანი ჯიშებით. კალიფორნიის შტატში ციტრუსოვან მცენარეთა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების შესწავლით მიღებული გამოცდილება ბევრ სიახლეს წარმოადგენს ფერმერული მეურნეობებისათვის, რაც მისცემთ საშუალებას მივიღონ ციტრუსოვანთა უხვი, ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი მოსავალი. ამის შედეგადაც გაიზრდება დარგის განვითარების მოტივაცია და მეციტრუსეობაში დასაქმებული ფერმერების მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონე და ეკონომიკური მაჩვენებლები.

Agriculture

Implementation of New Technologies in Citriculture for Upbringing the Social and Economic Position

Nodar Beridze

Work reflects the process of obtaining the competitive fruit rising from the modern international market relations of species of citruses, namely mandarin and orange Washington Navel, and this is possible through the way of implementing technologies like: formation-trimming of plant, taking care of soil cover, system of feeding, integrated protection of plants, proper harvesting and preservation.

Especially important is the formation-trimming of plant for growing and developing. The well trimmed plant produce fruits of high commodity value. The trimming of plant considers such formation of crown when the light and the sun beams easily reach the crown

of plant which will assist the growing of fruit twigs. Also, proper trimming decreases the spreading of wreckers and diseases.

Soil was treated on the examination plots with new technologies which foresees the prevention of working on the soil with spade. Based on researches it is verified that when soil is worked on the superficial feeding roots are destroyed. This causes decrease in delivering feeding elements to plant, and abstracts the growth and development of plant, and contributes to formation of non-standard fruit.

For taking plentiful harvest, it is necessary to take mineral fertilization in soil in time, and nitrogen, phosphorous and potassium is used for feeding plants. The aforementioned fertilizers are fed after making chemical analysis to the soil. Nitric fertilizer on one root gives good result; the average 0.4-0.5kg is used from the substance. The first dose should be brought into in spring, before the first vegetation starts, untill fruit is knotted; and the next 3 installments with relevant dosages, untill the end of June, should be taken in the first half of July.

When picking up the plentiful fruit we consider color, size, biochemical indicators and its visual side. It is not allowed to pick the commodity valued fruit.

The experience gained as a result of technology of harvesting citruses in State of California is innovative for farmer economies, which gives possibility to harvest plentiful and competitive fruit.

ლიტერატურა

1. ნ. ბერიძე, სტაჟირების (ციტრუსოვანთა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები) მასალები, აშშ.კალიფორნია, 2001.
2. ვ. პაპუნიძე, ,,მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება აუცილებელია". მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებები რეგიონის აგროსამრეწველო სექტორში, ბათუმი, 2007.გვ.20.
3. ნ. ბერიძე, ზ. ბუკია., ფორთოხლის - Citrus Sinensis (L) Osb. სპონტანური და ინდუცირებული მუტაცია და ეკო მორფოლოგია, მონოგრაფია. ბათუმი, 2009. გვ. 271
4. რ.ჯაბნიძე - სუბტროპიკულ მცენარეთა აგროტექნოლოგია. ბათუმი, 2015. გვ.427

აგრარული სფეროს განვითარების დონე წარსულში და დღევანდელი სტრატეგია აჭარის რეგიონში

ასლან დევაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აჭარის ისე როგორც საქართველოს სხვა რეგიონების ეკონომიკაში აგრარულ სფეროს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა და კვლავაც ინარჩუნებს განვითარების პერსპექტივებს. რეგიონში აგრობიზნესის განვითარების სამომავლო პრიორიტეტული მიმართულების სწორად განსაზღვრა მეცნიერული კვლევების მიზანმიმართულ და კომპეტენტურ დონეზე წარმართვას მოითხოვს რისთვისაც აუცილებელია განვლილი პერიოდების ანალიტიკური მასალების შესწავლა და საჭირო დასკვნების გაკეთება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე პერიოდის განმავლობაში სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების დონის ამსახველი მასალების გამოყენებით შესაძლო პოტენციალის დადგენა, რადგანაც სწორედ ეს პერიოდი იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადამუშავებისა და რეალიზაციის, პიკური მაჩვენებლების მიღებისა. ეს პერიოდი საბჭოური სისტემის სპეციფიკურობით ხასიათდებოდა და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის განვითარების მასშტაბები ჩაკეტილი სივრცის შიგა საბაზრო მოთხოვნაზე იყო ორიენტირებული და არ არსებობდა პროდუქციის რეალიზაციის პრობლემები. დამოუკიდებლობის შემდგომ ქვეყანა შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესში აქტიურად ჩაერთო და საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობები მყარად მკვიდრდება, მაგრამ მთავარია ის რომ აუცილებელია ახალი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების მასშტაბების განსაზღვრა.

აჭარის ცენტრალურ არქივში დაცული მასალების შესწავლა საკმაოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო, გამოყენებითი ღირებულების მქონე ინფორმაციას იძლევა. მასში მკაფიოდ ჩანს, თუ რა მიდგომები და ხედვები დაედო საფუძვლად მთლიანად აგროსფეროს და მისი ცალკეული დარგის განვითარების კონცეფციების შემუშავებას და შემდგომ როგორ განხორციელდა. ამ ინფორმაციული ბაზის შესწავლა გარკვეულ პარალელებს პოულობს საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში 1990-იანი წლებიდან დღემდე აგრარული სფეროს განვითარების მიმართულებით დაწყებულ სტრატეგიასთან. შეიძლება ითქვას, რომ განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ დღეს გამოყენებული აგრო და გადამუშავების ტექნოლოგიები ბევრად უფრო პროგრესული და მეცნიერება ტევადია, თუმცა ყველაფერს ფაქტობრივად ნულიდან ვიწყებთ და ვაკეთებთ ისე და ზოგჯერ არც თუ მეტად განსხვავებულად ვიდრე მაშინ. დღეს აგრობიზნესის სტაბილური და დინამიკური

განვითარებისათვის საჭიროა მასშტაბური, დასაბუთებული, მრავალფეროვანი პროექტებისა და პროგრამების შემუშავება-განხორციელება.

საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების ახალი ისტორიული ეპოქა. ქვეყანამ მიიღო დამოუკიდებლობა და შეუდგა ეროვნული ეკონომიკის საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა რელსებზე გადაყვანას. ეს გზა საკმაოდ მტკივნეული და ძნელად გადასაჭრელი პრობლემების რეალობის წინაშე აღმოჩნდა. ახალი სისტემის ჩამოყალიბება წარსულის შედეგების ანალიზისა და განვითარების პერსპექტივების სწორად გააზრებული, მეცნიერულად დასაბუთებული ხედვის ჩამოყალიბებას მოითხოვს. ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევების ჩატარება საშუალებას მოგვცემს, გავითვალისწინოთ განვლილი პერიოდის ძლიერი და სუსტი მხარეები, მსოფლიო გამოცდილების მიღწევები და დიდი მიახლოებით განსაზღვროთ ახლო და შორეულ პერსპექტივაში აგროსფეროს განვითარების კონტურები.

აჭარის რეგიონში აგრარული სფეროს განვითარების საფუძვლებისა და ტენდენციების ანალიზი სამ პერიოდად უნდა განვიხილოთ:

1. სოციალისტური სისტემის დამკვიდრების საწყისი პერიოდი;
2. გასული საუკუნის 80-90-იანი წლების პერიოდი;
3. საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების პერიოდი

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პერიოდისათვის დამახასიათებელია გარკვეული

სპეციფიურობა აგროსფეროს განვითარებაში. 1928-1932 წლების მონაცემებით ცალკეული სასოფლო სამეურნეო კულტურების მიხედვით დაკავებული ფართობი შეადგენდა (ჰა).

№	კულტურები	1928წ.	1929წ.	1930წ.	1931წ.	1932წ.
1	ნათესი ფართობი სულ	16810	20151	23448	23010	22000
2	მათ შორის					
3	სიმინდი	16500	18000	18452	18672	18672
4	კარტოფილი	100	280	600	664	648
5	ლობიო	1500	3000	8945	6552	6479
6	ჩაი					
7	ციტრუსები					
8	თამბაქო	160	367	807	675	682

პირველ ხუთწლედში (1926-1932 წლებში) სოფლის მეურნეობაში მრავალწლიანი ნარგავების ფართობი შეადგენდა 8509 ჰექტარს, ერთწლიანი ტექნიკური და ბოსტნეული კულტურების ფართობი 2722 დესეტინას. მეცხოველეობა 79969 სულით იყო წარმოდგენილი. საკმაო ყურადღება ექცეოდა სასოფლო სამეურნეო ტექნიკის გამოყენებას. 1932 წელს აღრიცხული იყო შემდეგი სახის სასოფლო სამეურნეო ტექნიკა: ყველა სახის ტრაქტორი - 17, ავტოფარცხი- 4, მოტო კულტივატორი - 5, გუთანი-290, სიმინდის სათესი - 142, ფარცხი-5, შემასხურებლები -150, სილოსის საჭრელი-10, კარაქის დამამზადებელი დანადგარი -200, სეპერატორი -511, სახნისი -2350, კულტივატორები-428, სიმინდის საფშვნელი -20, საცეხველი -15, ჩალის საჭრელი- 50, ინკუბატორი- 15, საცელავი - 7500,

ორმოების ამომღები -15. სასოფლო სამეურნეო წარმოების დინამიკა საკმაოდ შთამბეჭდავ სურათს იძლევა და ასეთი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა.

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება 1928-1932 წლებში ;

№	დასახელება	1928წ.	1929წ.	1930წ.	1931წ.	1932წ.
1	სიმინდი ტ	711,7	805,3	921,5	948,4	1236
2	ლობიო ტ	39,0	45,0	60,0	97,0	106,5
3	თამბაქო ტ	63,5	63,8	308,3	508,3	460,6
4	არახისი ტ			2,8	28,0	35,8
5	სოია ტ			11,2	37,1	17,8
5	ბოსტნეული ტ	120,0	150,0	215,0	452,0	487,2
6	კარტოფილი ტ	48,0	57,6	96,0	192,0	318,0
7	დათესილი ბალახი ტ	12,0	12,0	12,0	15,3	18,4
8	ჩალა ტ	453,6	180,4	583,1	525,5	672,0
9	ჩაის ფოთოლი ტ	270,6	105,8	312,0	317,2	305,5
10	ციტრუსები ტ	500,0	700,0	746,0	1459,1	980,0
11	ბამბუკი 1000 ც.	7,0	7,5	9,3	10,0	10,0
12	საქონლის ხორცი ტ	125,4	134,4	145,8	154,6	173,0
13	ხბოს ხორცი ტ	55,0	69,5	68,6	69,7	87,8
14	ცხვრის ხორცი ტ	50,0	55,0	70,0	80,0	24,8
15	თხის ხორცი ტ	11,4	14,2	17,5	23,3	17,1
16	ქათმის ხორცი ტ	40,0	48,0	48,0	52,0	56,0
17	ბეწვი 1000 ც.	15,0	18,7	21,1	24,3	25,3
18	ბუმბული ტ	3,0	8,5	3,5	4,0	4,0
19	კვერცხი 1000 ც.	112,6	160,0	124,3	135,0	137,0
20	თაფლი ტ	71,1	80,0	93,0	97,0	47,6
21	სანთელი ტ	1,4	6,4	1,3	1,3	1,3
22	აბრეშუმი ტ	56,0	79,5	85,3	79,5	55,7

სულ რეგიონში 8 სამრეწველო ობიექტი მოქმედებდა. მათ შორის ადგილობრივ სასოფლო სამეურნეო ნედლეულზე მუშაობდა ორი ტყავის ქარხანა და ერთი თამბაქოს ფაბრიკა. მთლიანად სამივე საწარმოში დასაქმებული იყო 163 კაცი. იმ პერიოდისათვის აჭარისტანში (ასე იწოდებოდა მაშინ) აგრარული სფეროს განვითარების სტრატეგია შეიმუშავებოდა საკმაოდ მაღალი მეცნიერული და პრაქტიკული დასაბუთებულობით ცალკეული დარგის მიხედვით. გაანგარიშებები სრულდებოდა მიმდინარე, საშუალო და გრძელვადიანი (ხუთწლიანი) პერიოდებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამების შედგენისათვის საჭირო წინასწარი ანალიტიკური მასალები მრავალფეროვანი და ამომწურავი იყო როგორც არსებული მდგომარეობის, ისე მოსალოდნელი გარე და შიგა ზემოქმედი ფაქტორების ზეგავლენის გათვალისწინებით. საინტერესოა ამ მხრივ ზოგიერთი მოკლე ამონარიდები შემუშავებული პროგრამებიდან (პერსპექტიული გეგმა 1924-1929წწ)

1. **მეხილეობა და მებოსტნეობა.**

მეხილეობა და მებოსტნეობა აჭარისტანის სახალხო მეურნეობაში არ თამაშობდა და არ ითამაშებს დიდ როლს ახლაც, რადგანაც მას არ გააჩნია სამრეწველო დანიშნულება. ხილის

ბაღები აქ არ არსებობს სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. აქ მხოლოდ თითოეულ კვამლში (კომლში) არის რამდენიმე ხეხილის ხე და რამდენიმე დესეტინა ფართობის ბოსტანი. აჭარისტანში 11 320 კვამლია და შესაბამისად დაახლოებით 113200 ხილის ხეა. ანუ დაახლოებით 400 დესეტინა ფართობი უკავია. ეს დარგი შეიძლება ჩაითვალოს დამხმარედ. აჭარისტანის დარაიონების მიხედვით მთელი ტერიტორია შემდეგ ჯგუფებად განიხილება.

I ჯგუფში - უმეტესად გავრცელებულია ადგილობრივი და თურქული მსხლისა და ვაშლის ჯიშები;

I I ჯგუფში - იგივე ხილის ჯიშები, ასევე კურკოვნები, კაკალი და თხილი.

I I I ჯგუფში - არის მცდელობა გაშენდეს ევროპული ჯიშები, მაგრამ აქაური კლიმატური პირობების გამო და დაავადებების ზემოქმედებით წარმატებები ამ საქმეს არ მოჰყოლია. გარდა მუშმულის, ხურმისა და ატმის გარდა რომლებიც შესანიშნავად ხარობენ. აჭარიდან საზღვარგარეთ ძირითადში გაიტანეს ხილის ზამთრის ჯიშების ნაყოფი 5000 დან 10 000 ფუთამდე წელიწადში. ასევე თხილი 3000 ფუთი წელიწადში. სულ აჭარისტანში იწარმოება დაახლოებით 169800 ფუთი ხილი წელიწადში“.

2. მებოსტნეობა;

,,ასევე არ თამაშობს დიდ როლს აჭარისტანის სახალხო მეურნეობაში და ითვლება დამხმარე დარგად სოფლის მეურნეობაში. წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი გამოიყენება საკუთარი მოხმარებისათვის. გამონაკლისია სამრეწველო ბოსტანი ბათუმის მიმდებარედ, რომელიც აწარმოებს ბოსტნეულს ბათუმისათვის. ბოსტნეულის სახით ძირითადში იწარმოება ლობიო, გოგრა, კიტრი, პომიდორი, ბადრიჯანი და სხვადასხვა მწვანილი.''

3. სუბტროპიკული კულტურები;

,,ბათუმის სანაპირო ზოლში სუბტროპიკული კულტურების გავრცელების 30 წლის მანძილზე ორი ჯგუფი გამოიყო. სუბტროპიკული ჯიშები, რომლებიც თითქმის ყველა ოჯახში არის და მოსავალს იძლევა და მეორე სხვადასხვა მიზეზის გამო შემორჩა მხოლოდ ცალკეული ეგზემპლარის სახით, როგორც დეკორატიული მცენარე.

I ჯგუფში შედის: ჩაი, ციტრუსები, ბამბუკი, ხურმა და ა.შ.

I I ჯგუფში შედის: აგავები, ლაქის ხე, ქაღალდის ხე, ზეთისხილი, ბანანი და ა.შ.

სუბტროპიკული კულტურების განვითარება განუყრელადაა დაკავშირებული მოხმარებასა და რეალიზაციაზე თუ სიმინდი დღემდე პოპულარულია წარმოებაში. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი გვაქვს ტრანსპორტი და გაცვლა. სინამდვილეში გლეხს სიმინდი ჭირდება მთელი წლის განმავლობაში მისი ოჯახის კვებისა და შინაური ცხოველების გამოკვებისათვის. რაც შეეხება ჩაისა და მანდარინს მათი მოხმარება ძალიან მცირეა. ამიტომ სანამ გლეხი გადაწყვეტს სიმინდისა და სხვა კულტურების მაგივრად გააშენოს ჩაი, ციტრუსები, მუშმულა, ხურმა და სხვა კულტურები იფიქრებს იმაზე ექნება თუ არა მას რეალური გასაღება ამ პროდუქციისა და მიღებული შემოსავლებით იყიდის სხვა საჭირო პროდუქტებს მათ შორის სიმინდს. ამგვარად სუბტროპიკული კულტურების განვითარება მჭიდრო კავშირშია საკუთარი მოხმარებისა და საგარეო ბაზრებზე რეალიზაციის შესაძლებლობების საკითხებთან სტატისტიკური მონაცემებით მანდარინის შემოსავალი 1 ცალი 2 კაპიკი, ჩაი 1 კგ ფოთოლი 15 კაპიკი''.

ამ კულტურების გავრცელებას ხელს უშლის ის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მათი წარმოება სამრეწველო დანიშნულებით ან საერთოდ მოსავალს არ იძლევა“ იმ პერიოდში

მემცენარეობის ცალკეული დარგების განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად საჭირო ტექნოლოგიების ნაკლებობა იყო. ,,ჩვენ ჯერ კიდევ ვმუშაობთ იმ მეთოდებით და მასალებით, რომლებიც 25 წლის წინათ შემოტანილია ექსპედიციების მიერ. წიგნებიდან ვიცით, რომ იაპონელ ყოველ ხელოსანს შეუძლია ბამბუკისაგან კერძების, თეფშების და სხვა ჭურჭლის დამზადება, ჩვენ კი ამის შესახებ წარმოდგენაც არ გაგვაჩნია. ავეჯსაც კი ხეირიანს ვერ ვამზადებთ.

ჩაისთან დაკავშირებით უფრო რთულადაა საქმე, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ არაფერი ვიცით აგურა და ფილა ჩაის დამზადებაზე. ჩვენ არაფერი ვიცით სხვა პროდუქციის დამზადებაზე.“

4. მეთამბაქეობა:

,,თამბაქოს კულტურა აჭარაში მოიყვანება დიდი ხანია და იკავებდა სასარგებლო სავარგულების 6% მთიან ნაწილში. ახლა თამბაქოს წარმოება შემცირდა და ძირითადში საკუთარი მოხმარებისათვის იწარმოება. ის იკავებს სავარგულების მხოლოდ 0,6%-ს. დაახლოებით 50 დესეტინს. ძირითადად იწარმოება ქედის მაზარში და ნაწილობრივ ხულოში. თამბაქოს გაშენების პიონერები იყვნენ თურქები და ლაზები. შემდეგ გადაიღეს ადგილობრივებმა. 1914 წელს მზადდებოდა 20 000 ფუთი თამბაქო. დარგი გლეხობისთვის შემოსავლიანია“.

1924-1929 წლებში სერიოზული ნაბიჯები იდგმებოდა აგრონომიული დახმარების მიმართულებით.

აგრონომიული დახმარება მოსახლეობისათვის ბათუმის ოლქში დაიწყო 1924 წელს. აგრონომიული პერსონალი შედგებოდა ერთი საოლქო აგრონომისგან, ორი მაზრის აგრონომისგან და აგრონომი სტაროსტისაგან. აგრონომიული პუნქტები შექმნილი იყო აჭარისწყალზე და ართვინში. პირველ წელს მოსახლეობაზე გაწეული დახმარების სამუშაოების ნუსხა ასეთია:

- ზეთისხილის ბაღების მორწყვა; პრაქტიკული სამუშაოები მერძევეობის საქმეში ზემო აჭარაში; ბრძოლა მავნებლებთან მეციტრუსეობაში; აგრონომიული პერსონალის მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო აღწერაში; ყველა კულტურის ფართობის შესწავლა და მდგომარეობის შეფასება; მცენარეთა გამოკვლევა ყველა კულტურების მიხედვით; სასოფლო სამეურნეო საწყობების წესრიგში მოყვანა და სასოფლო სამეურნეო ტექნიკის მოსახლეობაზე იჯარით გაცემა; სოფლის მეურნეობის გამოკვლევა მთიან აჭარაში; აგრონომიული რჩევების მიწოდება მოსახლეობაზე; თესვის კომპანიის ხელმძღვანელობა;

1923-1924 წლებში აგროპუნქტების ქსელი კიდევ უფრო გაფართოვდა სტრუქტურა. ასეთი იყო სასოფლო სამეურნეო განყოფილების გამგე ცენტრში და მოადგილე ქედასა და ქობულეთში 2 მაზრის აგრონომი, 4 მეფუტკრეობის ინსპექტორი და 1 ინსპექტორი მეციტრუსეობაში.

შესრულებული სამუშაოები იყო;

- შეძენილი იქნა სასოფლო სამეურნეო იარაღები მათ შორის 2 ტრაქტორი ,,ფორდზონის“ ტიპის ბათუმის, ქობულეთსა და ქედის პუნქტებიდან სასოფლო სამეურნეო ტექნიკა გაქირავებით გაიცემოდა მოსახლეობაზე; მოსახლეობას მიეწოდებოდა ბოსტნეულის და მეცხოველეობის საკვები ბალახების თესლები; ხორციელდებოდა ციტრუსოვანთა მცენარეებისა და ხეხილის ნარგავების მკურნალობა; წესრიგში მოვიდა ახალშენის ციტრუსების სანერგე; გაიცემოდა აბრეშუმის ჭუპრები (ჭიები) მოსახლეობაზე;

მოეწყო საჩვენებელი სკები 14 ცალი ქედის მაზრაში. ჯარა სკებიდან ჩარჩო სკებში გადაყვანილი იქნა 200 ფუტკრის ოჯახი. (სკებში ,,დადანა-ბლატ”); ხულოს მაზრაში ორგანიზებული იქნა საზაფხულო იალაღებზე გადასატანი კარაქის დასამზადებელი დანადგარები; ქედაში შეიქმნა თამბაქოს საჩვენებელი პლანტაცია 0,25 დესეტინა; აგროპუნქტებში ეწყობოდა საუბრები, იკითხებოდა მოკლე ლექციები აგრონომიაში. ეწყობოდა საჩვენებელი ოპერაციები.

სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში განხორციელებული სამუშაოები ასე განისაზღვრა:

მეფუტკრეობაში:

ქედაში გაფართოვდა საჩვენებელი ცდები 13 სკაზე; შეიქმნა საცდელი საჩვენებელი სკების ცენტრი ხულოში, აჭარისწყალზე. ქობულეთში ხუცუბანში. ქედის მაზრაში 17 მეფუტკრე ოჯახს მიეცა საჩვენებელი ფუტკრის ოჯახი. ხულოში 7, აჭარისწყალზე 2, ქობულეთში 4. ჯარა სკებიდან ჩარჩო სკებში გადაყვანილი იქნა 327 ოჯახი. დაიწყო ბრძოლა ფუტკრის დაავადებებთან ყველა მაზრაში. შედეგები წარმატებული იყო. ქედის აგროპუნქტში დამზადდა 13 ფუთი ხელოვნური ფიჭა. ქობულეთში 1 ფუთი გლეხის სანთლისაგან. ყველა სკაზე ხდებოდა დაკვირვება. ქედისა და ქობულეთის პუნქტებისათვის შეძენილი იქნა საჭყლეტები, საწურები და სხვა ინვენტარი.

მებაღეობა- მებოსტნეობაში

ქედის მაზრაში შეიქმნა ხეხილის სანერგე 1,2 დესეტინა. წესრიგში მოყვანილი იქნა საჩვენებელი ბაღი 4 დესეტინა; შეიქმნა სანერგე ხუცუბანში 1,4 დესეტინა; შეიქმნა საჩვენებელი ბოსტანი ქედაში და ქობულეთში 2000 $მ^2$. გაიცა ბოსტნეულის თესლი; მიმდინარეობდა ბრძოლა მავნებლებთან ბაღებში ჭოროხის მაზრაში 3000 ძირ ხეზე. ქედაში 2500 ძირზე. იწარმოა საჩვენებელი შრობა ხილისა ქობულეთში. შეიქმნა ხმელი ხილის საწარმო;

მეთამბაქეობაში:

ქედაში შეიქმნა საჩვენებელი პლანტაცია 0,5 დესეტინა.

მემინდვრეობა:

ქედის, ბათუმის და ქობულეთის გამქირავებელ პუნქტებიდან გაიცემოდა მოსახლეობაზე სასოფლო სამეურნეო ტექნიკა უფასოდ.

მეაბრეშუმეობაში:

მოსახლეობაზე გაიცა ჭიები და ინვენტარი. შეიქმნა პარკის დამუშავების უბანი;

კარაქის წარმოება

შემუშავდა გადასატანი კარაქის პუნქტები, ხულოში 3, ქედაში 2,

მეცხოველეობაში:

შეიქმნა განაყოფიერების პუნქტი ხულოში. ხარი 1, თხა 5,

1924-1929 წლებში პერსპექტიული გეგმა ასეთი იყო: მავნებლებთან ბრძოლა. სპეციალისტების მივლინება ყველა მაზრაში, საჭირო საშუალებების შეძენა; მეხილეობა მებოსტნეობის კვლევითი სამუშაოები;

ჭოროხის მაზრაში;

სარგავი მასალის შეძენა და დარგვა 0,5 დესეტინა; 5 მცირე ფართის საჩვენებელი ბოსტნის მოწყობა; აგროპუნქტების მოწესრიგება; სასოფლო სამეურნეო ინსტრუმენტების და სასუქების შეძენა;

ქობულეთის მაზრა:

1 დესეტინაზე ბოსტნის მოწყობა. სარგავი მასალის შეძენა და დარგვა; 5 საჩვენებელი ბოსტნის მოწყობა. თესლის შეძენა; სასოფლო სამეურნეო ინსტრუმენტების და სასუქების შეძენა;

აჭარისწყლის მაზრა

სუბტროპიკული მცენარეების საჩვენებელი ბაღის მოწყობა 0,3 დესეტინა; ზეთისხილის პლანტაციის გაშენება; საჩვენებელი ბოსტანი, თესლების გაცემა, მოვლა; ხეხილის ბაღის გაშენება 0,3 დესეტინა; ბაღის ინსტრუმენტების და სასუქების შეძენა;

ქედის მაზრა:

ზეთისხილის საჩვენებელი ბაღის მოწყობა; სანერგეს მოწყობა 0,5 დესეტინა;

სუბტროპიკული მცენარეების საჩვენებელი ბაღის მოწყობა; ეთერზეთოვანი კულტურების ბაღის მოწყობა; ხელოვნური სასუქების შეძენა; ხილის საშრობი საწარმოს შექმნა;

ხულოს მაზრა:

ზეთისხილის პლანტაციის მოწყობა; საჩვენებელი ბოსტნის მოწყობა; საჩვენებელი ხილის ბაღის მოწყობა; ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების შეძენა;

1980-1985 წლები აშკარად აჩვენებენ განვითარების ასე ვთქვათ პიკურ მაჩვენებლებს. თავისთავად ამ პერიოდის მასალები გარკვეულ საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ შეფასებული იქნას აგრობიზნესის დარგობრივი სტრუქტურის, წარმოების მოცულობის, მოხმარებისა და რეალიზაციის პროგნოზული პარამეტრები საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების გათვალისწინებით. ამ პერიოდის აგრობიზნესის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია ორი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობდა.

1 საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოება (რა თქმა უნდა იმ დროისათვის საკავშირო სასურსათო ბალანსის შევსების მოთხოვნათა გათვალისწინებით) ძირითადში ეს ეხებოდა ისეთ სასოფლო სამეურნეო კულტურებს, როგორებიცაა: ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ტუნგო, დაფნა და ა.შ.

2 ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენების უზრუნველყოფა შესაბამისი დარგების განვითარების მიღწევა. ასეთ დარგებს შორის განიხილებოდა მეცხოველეობა, ხილი, კარტოფილი, ყურძენი, ღვინო, საკონსერვო პროდუქცია.

აჭარის მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობაში კვების მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილი წლების მიხედვით ასეთი იყო 1980-46,2%, 1985წ - 44,0% და 1990 წელს - 43,4%

გადამამუშავებელი მრეწველობის ძირითადი პროდუქციის მოცულობითი მაჩვენებლები 1975, 1980, 1985 და 1990 წლებში ასე იყო წარმოდგენილი:

პროდუქციის დასახელება	ზომის ერთეული	1975წ. (ფაქტი)	1980წ. (ფაქტი)	1985წ. (გეგმა)	1990წ. პროგნოზი
ღვინო მასალა	ათ.დკლ.	471,4	546,0	544,0	550,0
ყურძნის ღვინო	,,-----''	437,4	550,0	560,0	635,0
პირველადი გადამუშავების შავი ბაიხის ჩაი	ტ	11596,0	12910,0	16050,0	17934,0
მწვანე ჩაი დაწნეხილი	ტ	4798,0	4700,0	5050,0	5500,0

ხილ-ბოსტნეულის კონსერვები	მილ.პირ.ქილა	18,7	27,3	50,0	55,5
პურფუნთუშეული	ათ.ტ.	52,7	61,2	69,7	78,5
საკონდიტრო ნაწარმი	ტ.	4119,0	2910,0	5844,0	6329,0
ლუდი	ათ.დკალიტრ.	739,0	790,0	970,0	1057,0
უალკოჰოლო სასმელები	,,----------''	613,0	780,0	990,0	1188,0
ფერმენტირებული თამბაქო	ათ.ტ.	3066,0	2950,0	3000,0	3000,0
პაპიროსი და სიგარეტი	მილ.ცალი	2798,0	3820,0	4300,0	4700,0
კარაქი	ტ.	67,0	60,0	80,0	85,0
ხორცი და ხორც-პროდუქტები	ტ.	3371,0	4000,0	4450,0	6175,0
რძე და რძის პროდუქტები	ტ.	11820,0	17000,0	17328,0	20794,0
ყველი	ტ.	579,0	700,0	570,0	620,0

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების მრავალფეროვნებასა და მასშტაბებზე მიუთითებს სასოფლო სამეურნეო ნედლეულის წარმოების მაჩვენებლები 1971-1985-1990 წლების პერიოდში.

სასურსათო პროდუქციის ძირითადი მაჩვენებლები

დასახელება	ზომის ერთეული	1971-1975წ. საშუალოდ	1976-1980წ. საშუალოდ	1981-1985წ. საშუალოდ	1990წ. პროგნოზი
მარცვლეული - ფართობი	ჰ	6660,0	5200,0	4702,0	4500,0
წარმოება	ტ	11600,0	12720,0	13604,0	14600,0
კარტოფილი -ფართობი	ჰ	960,0	1189,0	1234,0	1280,0
წარმოება	ტ	4900,0	9660,0	12926,0	17000,0
ბოსტნეული - ფართობი	ჰ	917,0	1013,0	1039,0	1107,0
წარმოება	ტ	9900,0	14600,0	20207,0	24000,0
ყურძენი - ფართობი	ჰ	1000,0	980,0	900,0	991,0
წარმოება	ტ	3000,0	4020,0	4082,0	5600,0
ხილი - ფართობი	ჰ	6500,0	5909,0	5220,0	5400,0
წარმოება	ტ	19279,0	23683,0	20935,0	27600,0
ციტრუსები - ფართობი	ჰ	7020,0	7390,0	8336,0	8600,0
წარმოება	ტ	57300,0	118400,0	150480,0	235295,0
მეცხოველეობა -სულ	სული	115760,0	119685,0	122640,0	124000,0
მათ შორის ძროხა	სული	47341,0	49827,0	51906,0	55350,0
ღორი	სული	3352,0	6550,0	8680,0	10000,0
ხორცის წარმოება - ცოცხალი წონა	ტ	6100,0	7100,0	7200,0	7930,0
რძე	ტ	32800,0	35100,0	40640,0	45000,0
კვერცხი	ათ.ცალი	26800,0	35140,0	51661,0	70000,0

რეგიონის ადგილობრივი რესურსების გამოყენებით სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების მაჩვენებლები ასეთი იყო:

დასახელება	ზომის ერთეული	1980წ.	1985წ.	1990წ
მოსახლეობის რიცხოვნება	ათ.კაცი	381,7	420,9	463,4
ხორცი - ნორმა	კგ.1 სულზე	70,0	70,0	70,0
დაკმაყოფილების დონე	%	37,1	41,4	55,7
მოდის 1 სულზე	კგ	26,0	29,0	39,1
რძე - ნორმა	კგ.1 სულზე	330,0	330,0	330,0
დაკმაყოფილების დონე	%	84,2	90,8	93,5
მოდის 1 სულზე	კგ	277,8	299,5	308,4
კვერცხი - ნორმა	ცალი 1 სულზე	219,0	219,0	219,0
დაკმაყოფილების დონე	% ცალი	64,2	89,8	100,2
მოდის 1 სულზე	ცალი	140,5	177,0	219,0
მარცვალი - ნორმა	კგ.1 სულზე	140,0	140,0	140,0
დაკმაყოფილების დონე	%	121,8	111,6	101,8
მოდის 1 სულზე	კგ	170,5	158,3	142,5
ბოსტნეული - ნორმა	კგ.1 სულზე	119,0	119,0	119,0
დაკმაყოფილების დონე	%	48,6	56,6	58,9
მოდის 1 სულზე	კგ	57,8	67,3	70,1
კარტოფილი - ნორმა	კგ.1 სულზე	66,0	66,0	66,0
დაკმაყოფილების დონე	%	54,7	62,1	72,2
მოდის 1 სულზე	კგ	36,1	41,0	47,6
ხილ-კენკროვნები- ნორმა	კგ.1 სულზე	109,0	109,0	109,0
დაკმაყოფილების დონე	%	18,0	18,8	21,0
მოდის 1 სულზე	კგ	16,5	17,2	19,3
ყურძენი - ნორმა	კგ. 1 სულზე	16,0	16,0	16,0
დაკმაყოფილების დონე	%	32,5	42,3	48,6
მოდის 1 სულზე	კგ	5,2	6,8	7,8
ციტრუსოვნები - ნორმა	კგ.1 სულზე	7	7	7
დაკმაყოფილების დონე	%	120,0	100,0	100,0
მოდის 1 სულზე	კგ	176,8	440,9	507,6
თევზი - ნორმა	კგ.1 სულზე	10,2	10,2	10,2
დაკმაყოფილების დონე	%	75,5	100,0	100,0
მოდის 1 სულზე	კგ	7,7	10,2	10,2

დღეისათვის ეს მაჩვენებლები რადიკალურად განსხვავებულია.

ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების პროცესმა ძირეულად შეცვალა სახელმწიფოსა და მოსახლეობის მხრიდან აგრარული სფეროს განვითარებისადმი დამოკიდებულებანი და ხედვანი. შესაბამისად წარმოჩნდა ახალი გარემოებები და პრობლემები. რომელთა ადეკვატური და ეფექტიანი ქმედებები ჯერჯერობით ვერ განხორციელდა. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა 2017 -2020 წლების მოკლევადიანი სტრატეგიული გეგმა რომელშიც 7 საპროექტო მიმართულებაში გაწერილია სხვადასხვა ღონისძიებათა ნუსხა როგორც რესურსული უზრუნველყოფის ისე მოსალოდნელი შედეგებისა და რისკ ფაქტორების გათვალისწინებით. ღონისძიებები ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი და ეხება დღევანდელი გამოწვევების პირობებში არსებული პრობლემების გადაჭრას, თუმცა არ

შეიძლება დაბეჯითებით თქმა იმისა, თუ რამდენად მაღალია მეცნიერული და პრაქტიკული გამოყენებითი მახასიათებლები.

საქართველოს კანონის ,,კოოპერატივების შესახებ" მიღებას დიდი წვლილი უნდა შეეტანა აგრარული სფეროს განვითარების დაჩქარებაში. თავდაპირველად აგრობიზნესის სუბიექტებს გაუჩნდათ მასტიმულირებელი გარემოს შექმნის მოლოდინი, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალური სურათი არც თუ ისე სასურველი დარჩა. ჩვენი მიზანი არაა, შევაფასოთ კანონის ძლიერი და სუსტი მხარეები, მაგრამ ფაქტია, რომ ის ვერ მოერგო არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. თუ თვალს გადავავლებთ 90-იანი წლებიდან დღემდე ქვეყნის შიგა თუ გარე ინვესტიციების მოცულობას, ჩანს, რომ საკმაოდ სოლიდური რესურსები გაიხარჯა, მაგრამ საწარმოო ინფრასტრუქტურა, რომელიც ადგილობრივი ნედლეულის ათვისებას შეძლებდა, ვერ შეიქმნა.

დღევანდელი სტატისტიკური მონაცემებით, აჭარაში რეგისტრირებულია 350-ზე მეტი სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი. თუ რიცხობრივი რაოდენობით ვიმსჯელებთ, თითქოს სერიოზული გამოცოცხლება უნდა მომხდარიყო ,,კოოპერატივების შესახებ". საქართველოს კანონის მიღების შემდეგ, მაგრამ კვლავაც უცვლელია მდგომარეობა. მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მეხილეობის, მებოსტნეობის, მეცხოველეობის დარგებში.

1990-იანი წლებიდან 2017 წლამდე პერიოდში განვითარებული პოლიტიკური სოციალურ-ეკონომიკური და სხვა მოვლენების განვითარების ფონზე სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე დადგა რეგიონის აგრარული სექტორი. 2017–2020 წლებში რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, რომელიც შემუშავებულია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილია ცალკეული სტრატეგიულ მიმართულებასა და მათში განსაზღვრულ ღონისძიებებში. მათ შორის უნდა აღინიშნოს:

ფერმერთა ცოდნის ამაღლება და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევა; სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარება და მიწათსარგებლობის თანამედროვე მიდგომების დანერგვა; სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა; სოფლის მეურნეობაში საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება; ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და მარკეტინ-გული პროგრამის განხორციელება; სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება, პერსონალის მართვისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის გაძლიერება; საბაზრო ინფორმაციული სისტემის შექმნა, მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და აგრარულ სექტორში დასაქმებულთათვის ეფექტიანად მიწოდება; ფერმერთა რეესტრის შექმნა; სოფლის მეურნეობის სამინისტროს დონის ორგანიზაციათა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის კოორდინაციის განმტკიცების გაძლიერება; აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი მეურნეობების შექმნა და განვითარების ხელშეწყობა; ნიადაგების რაციონალური გამოყენება; რეგიონისათვის სოფლის განვითარებასა და პრიორიტეტულ დარგებში ინვესტირების გეგმის შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი; თესლისა და სარგავი მასალის წარმოების განვითარების მხარდაჭერა; სანაშენე საქმის განვითარება; მოსავლის მიღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა; სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და მომსახურებაზე ხელშეწყობის ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის

ხელმისაწვდომობის ამაღლება; სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგი; სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი და მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება; მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარული კეთილსაიმედოობა; ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება და სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის ბიზნესის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევა; კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის პრინციპებით ხელშეწყობა, ბიომრავალ-ფეროვნებისა და მდგრადი გარემოსდაცვითი პროგრამების შემუშავება; კლიმატოგონივ-რული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა. ზემოთ მოცემული ღონი-სძიებების განხორციელების მიზნად განსაზღვრულია აგრარულ სფეროში განვითარების მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სოფლად მცხოვრებთა შემოსავლების ზრდა; ადგილობრივი წარმოების კონკურეტუნარიანობის ამაღლება; რეგიონის დატვირთვა ახალი სასოფლო სამეურნეო ფუნქციებით; სასურსათო უსაფრთხოება და სურსათის უვნებლობა;

აჭარის რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიასა და ტენდენციებზე შეფასებების გაკეთებისათვის საინტერესოა ზოგიერთი სტატისტიკური მასალების გამოყენება, სულ 2017 წლისათვის სასოფლო სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობი შეადგენს 290,0 ათას ჰექტარს. მათ შორის სასოფლო სამეურნეო დანიშნულებისაა 72,9 ათასი ჰექტარი, სულ მთლიანი ფონდის 15,1% -ია. რეგისტრირებული მიწების რაოდენობა შეადგენს 27,9 ათას ჰექტარს ანუ საერთო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 38%. დაურეგისტრირებელია 45,2 ათასი ჰექტარი, ანუ 62%.

საკუთრებაში რეგისტრირებული სასოფლო სამეურნეო სავარგულებიდან ფიზიკურ პირებზე მოდის 45% და შეადგენს 12,6 ათას ჰექტარს. სახელმწიფოს სარგებლობაშია 42% ანუ 11,6 ათასი ჰექტარი. ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში 10%- ანუ 2,9 ათასი ჰექტარი, მუნიციპალიტეტების, კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და სხვა საკუთრებაში 3% ანუ 0,8 ათასი ჰექტარი.

ფიზიკურ პირებზე რეგისტრირებული სასოფლო სამეურნეო სავარგულების ფრაგმენტაციის მაჩვენებლები ასეთია.: 0,1 ჰექტარამდე, 0,1-0,3 ჰექტარამდე, 0,3 ჰ-0,5 ჰექტარამდე, 0,5ჰ-1 ჰექტარამდე, 1ჰ - 3 ჰექტარამდე, 5 ჰექტარზე ზევით. ამ ფრაგმენტაციაში ჭარბობს მცირე მიწიანი მესაკუთრეები, ანუ მასიური სასოფლო სამეურნეო სავარგულები, რომლებიც მოქცეული იყო კოლმეურნეობებსა და მეურნეობების საწარმოო პროგრამებში. დღეს დაქსაქსულია და რეალურად არაეფექტურადაა გამოყენებული.

რაც შეეხება სასოფლო სამეურნეო დარგების სტრუქტურისა და განვითარების დონეს საკმაოდ არაეფექტური ცვლილებები მოხდა და ნეგატიურად აისახა როგორც პროდუქციის წარმოების სტრუქტურაში, ისე მოცულობით და სოციალურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში. 2015 წლის მონაცემები კი ასეთია:

პროდუქციის დასახელება	2008წ.	2009წ.	2010წ.	2011წ.	2012წ.	2013წ.	2014წ.	2017წ.
ლობიო ათ.ტ	2,1	0,5	0,4	0,4	0,5	0,4	0,4	0,4
კარტოფილი ათ.ტ.	31,6	16,7	11,6	9	13,6	11,7	18,1	12,1
ხილი ათ.ტ.	12,7	8,2	5,7	8,5	12,1	14,4	11,6	14

ციტრუსი ათ.ტ	32,6	78,3	24,7	44,8	51,9	84,6	51,4	65,3
ჩაი ათ.ტ.	0,5	0	1	0,7	1,1	1,1	0,2	0,9
რძე ათ.ტ.	49,7	37,9	30,4	29,8	35,2	35,3	43,7	36,5
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ათი სული	87,7	87,5	79,3	87,7	86,1	86,7	95	86,1
ფუტკრის ოჯახი	9,1	21,2	37,4	49,3	55,2	61,9	56,1	40,3

საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში აჭარის რეგიონში აგრობიზნესის განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის დარგობრივი კომისიები, რომლებიც უზრუნველყოფენ:

აჭარის რეგიონის აგრობიზნესის განვითარების რეკომენდაციებისა და წინადადებების, პროექტებისა და პროგრამების მომზადებას და მიწოდებას, განხორციელებაში აქტიურ ჩართვას;

- რეგიონისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების უზრუნველმყოფი რესურსების გამოვლენის, მათი რაციონალური გამოყენების და ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების, ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, დარგთა გაადგილების კვლევითი სამუშაოების დაგეგმვა შესრულებას;

- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური და ტექნიკური, უზრუნველყოფის სამუშაოთა კოორდინაციას;

- ცალკეული დარგის განვითარების რეალური პოტენციალის დადგენას და მისი გამოყენების გზების განსაზღვრას;

- ახალი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების რეკომენდაციების შემუშავებას;

- დარგთა შეთანაწყობისა და რენტაბელობის პროგნოზირების, მარკეტინგული კვლევების ჩატარება, განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის ეფექტური ღონისძიებების შემუშავება და განხორციელებას;

-მიწის კადასტრების მომზადების რესურსების აღრიცხვა-გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სახელმწიფოს მხარდამჭერი პოლიტიკის გაფართოებისა და სრულყოფის პრობლემების შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადებას.

Economics

The Level of the Agrarian Development in the Past and the Current Strategy in Adjara Region

Aslan Devadze

Agriculture was historically a priority for the Adjara region and still maintains further development prospects. This is caused by geographical location, climatic conditions and field structure. The process of establishment of market economic relations has put the implementation of serious reforms which is quite difficult to achieve, especially in the agricultural sector. Until the 1990s, agribusiness structure in the Adjara region and analysis of production indicate the potential for the use of existing resources in the region. However, there is need for build new structure in the course of integration into the international market for establishing economic relations. It is important to analyze historical materials and develop projects and programs implemented on the basis of new challenges for achieving correct and reasonable decisions. The article describes the statistical, programmed and existing directional evaluation materials.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ.პაპუნიძე., ა.დევაძე, მეცნიერების როლი ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში. მცირე და საშუალო Mბიზნესის განვითარების მიმართულებები რეგიონების აგროსამრეწველო სექტორში .ქ.ბათუმი. 1,2,3 ნოემბერი, 2007, გვ.176-182
2. გ.პაპუნიძე., ა.დევაძე, ოჯახური და ფერმერული მეურნეობების განვითარების პრობლემები და პერსპექტივები აჭარაში. აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა. გამომცემლობა "აჭარა', ქ. ბათუმი . 3,4,5 ივნისი 2008, გვ.292-300
3. ვ.პაპუნიძე., ა.დევაძე., სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები აჭარაში და მისი გადაჭრის შესაძლო გზები. აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ.3, №1 (50), თბილისი, 2009
4. ვ.პაპუნიძე., ა.დევაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონულმა ცენტრმა მეცნიერული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება უნდა შეძლოს. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი. ბათუმი, 2009
5. ა.დევაძე, evrokavSiris regionaluri sainovacio politika , modeli aRmosavleTis partniorobis qveynebis regionebisaTvis. Evropuli kvlevebi saqarTvelos inovaciuri ganviTarebisaTvis. საკონფერენციო მასალები Tbilisi ISBN-278-99-410-65-82-8 2014წ.
6. ა.დევაძე,ვ.პაპუნიძე, აგრარული სფეროს განვითარება ჟურნალი კვალი 2015 წ. თბილისი.
7. ა. დევაძე, ,,საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის როლი განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის პროცესის განვითარებაში", ბათუმი, 2016 წელი. შრომები -1ISSN2449-2507.
8. აჭარის ცენტრალური არქივის მასალები.

ადამიანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში

მიხეილ მახარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის შუა ხანებში ფრანგმა ფილოსოფოს-განმანათლებელმა ჟან ჟაკ რუსომ კაცობრიობა გააფრთხილა, რომ ცივილიზაციის პროგრესი ზნეობაში რეგრესს გამოიწვევს და ამის შესაბამისად საზოგადოებას მოუწოდა: ,,უკან ბუნებისაკენ!.“ რუსოს ეს ეპოქალური აზრი თავის დროზე თითქმის ყურადღების დარჩა, რადგანაც მისი ბოლომდე გაცნობიერებისა და გათავისებისთვის არც საზოგადოება იყო მზად და არც შესაბამისი გარემოება არსებობდა.

რაც მთავარია, რუსოს ეს წინასწარმეტყველური მოსაზრება მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან ერთობ აქტუალური გახდა არა მხოლოდ ფილოსოფიაში, არამედ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ამის დადასტურებაა ფილოსოფიაში ექსისტენცია-ლიზმის წარმომადგენელთა, ლიტერატურაში თომას მანის, ფრანც კაფკას, მაქს ფრიშის და სხვათა მხატვრული შემოქმედება, ფედერიკო ფელინის, მიქელანჯელო ანტონიონის, ინგმარ ბერგმანის, სტენლი კუბრიკის, პედრო ალმადოვარის ... კინოხელოვნება.

ტექნიკური პროგრესი დაფუძნებულია მეცნიერების განვითარებაზე, რაც განსაკუთრებით თვალში საცემია თანამედროვე ეტაპზე. მეცნიერების განვითარებისა და ტექნიკური პროგრესის გარეშე, თანამედროვე ცხოვრება წარმოუდგენელია. დედამიწაზე მოსახლეობის გამრავლების, 'დემოგრაფიული აფეთქების“ პირობებში, ტექნიკური პროგრესის გარეშე შეუძლებელია მოსახლეობის უფროდაუფრო მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ამიტომაც, როცა ვსუბრობთ ტექნიკური პროგრესის შედეგებზე, აუცილებელია წინასწარ განვსაზღვროთ მისი - ტექნიკური პროგრესის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

აქ, ბუნებრივია, ისმება კითხვა - დადებითთან ერთად, რით არის გამოწვეული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უარყოფითი შედეგები?

როგორც აღვნიშნეთ, ტექნიკური პროგრესი მეცნიერებას, უფრო სწორად, მის მაღალგანვითარებულ ტექნოლოგიებს ემყარება. მეცნიერებაში კი დომინირებს ობიექტური სინამდვილის კანონზომიერება, ამიტომაც მასზე ბრმა მიმდევრობა საბოლოოდ განაპირობებს მისდამი დამონებას, რაც ადამიანს ერთ, თავისთავადობას დაკარგულ რიგით ეგზემპლარად გადააქცევს.

A საკითხის არსის გასარკვევად ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ სამყაროს მეცნიერული ხედვა და შემოქმედ-ხელოვანის (ვთქვათ პირობითად) პოზიციიდან დანახული და 'შექმნილი“ სამყარო. ორივე შეთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანის მიმართებას სამყაროსთან, ანუ ფილოსოფიის ენაზე თუ ვიტყვით _ ეს არის სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობა. ერთიც და მეორეც ადამიანის სულიერი მოღვაწეობის სფეროებია, მაგრამ

მათ შორის არსებითი განსხვავებაცაა. ამ განსხვავებიდან კი მომდინარეობს მათი დაპირისპირებაც.

რა განსხვავებაზეა აქ საუბარი? სამყაროს მეცნიერული ხედვა და შემოქმედებითი ხედვა სამყაროსთან ადამიანის ორ განსხვავებულ მიმართებას გამოხატავენ. სამყაროს მეცნიერული ხედვისას^დომინირებს ანუ დომინანტის როლს მუდამ ასრულებს ობიექტი _ ჩვენგან დამოუკიდებული ობიექტური სინამდვილე თავისი კანოზომიერებებით. მაგალითად, ინერციის კანონი რომ ამნაირია, ეს ადამიანის ნებაზე არაა დამოკიდებული და თუ ეს კანონი ადამიანის სამსახურშია ჩაყენებული, ამ შემთხვევაში ადამიანის წვლილი ამოიწურება იმით, რომ მან გამოამზეურა ეს კანონზომიერება. რა თქმა უნდა, ადამიანის გარეშე ობიექტურ სინამდვილეს არავითარი ღირებულებები არ გააჩნია, მაგრამ მათი რაგვარობა ადამიანზე დამოკიდებულია მხოლოდ როგორც აღმომჩენზე. აქ ისიც ხაზგასასმელია (და ეს არსებითია), რომ რახან სინამდვილის მეცნიერული ხედვისას ობიექტური კანონზომიერება დომინირებს, ეს უკვე ნიშნავს, რომ ადამიანი, პიროვნება მეორე პლანზე გადადის. ამაში არაფერია გასაკვირი. მეცნიერული ხედვისას, საუკეთესო შემთხვევაშიც ადამიანი მაინც ,,მაყურებლის“ როლშია. სამყაროში მიმდინარე პროცესები, ყოველი მოვლენა თუ გამოვლენა ერთნაირად აღიქმება და გამომდინარე აქედან ადამიანები ერთგვარ ეგზემპლარებად იქცევიან, ვინაიდან მათ არ ძალუძთ სხვანაირად დაინახონ ესა თუ ის მოვლენა. მაგალითად, ზევით აგდებული ქვა მიზიდულობის ძალით რომ დაბლა ვარდება, ეს ჩვენზე სულაც არ არის დამოკიდებული და ეს პროცესი შეუქცევადია. ეს არის სპეციფიკა მეცნიერული ხედვისა და თუკი იგი ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროზე გავრცელდება, მაშინ ტრაგედია აღარ დაიგვიანებს. ეს იმის გამო, რომ ამ დროს იკარგება ადამიანური, ეს, რითაც ადამიანი განსხვავდება მთელი ცოცხალი სინამდვილისგან.

ისიც უნდა ითქვას, რომ თუკი გაიმარჯვებს სინამდვილის მეცნიერული ხედვა, რასაც თანამედროვე ფილოსოფიაში მეცნიერებისადმი, მისი მონაპოვრისადმი განუსაზღვრელი ნდობით აღნიშნავენ, ამ ხედვის არსიდან გამომდინარე გაქრება პიროვნება, მისი თავისებურება, მოხდება ადამიანის სტანდარტიზაცია.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ობიექტთან სუბიექტის, ანუ სამყაროსთან ადამიანის შემოქმედებითი მიმართებისას მუდამ დომინირებს სუბიექტი, ისაა ახალი სამყაროს შემქმნელი და ა.შ. აქედან გამომდინარე ცხადია ისიც, რომ ადამიანის თვისებურება,^ ერის სფეციფიკურობა არსებითად სინამდვილის შემოქმედებითი ხედვისას მჟღავნდება. ამიტომაცაა,^ რომ ერის სული უფრო მწერლობაში, მუსიკაში, საერთოდ ხელოვნებაში მჟღავნდება, ვიდრე მათემატიკაში, ფიზიკასა თუ ქიმიაში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სულაც არ ნიშნავს მეცნიერების როლის დაკნინებას და ხელოვანის მეცნიერზე მაღლა დაყენებას. ვიმეორებთ ორივე ადამიანის სულიერი მოღვაწეობის სფეროა და აქ მათ არსზეა საუბარი. ხშირად კი ეს მომენტი დავიწყებულია და ადგილი აქვს ცალმხრივ მსაჯულობებს, ან შემოქმედებითი სფეროების სასარგებლოდ, ან კიდევ მეცნიერების სასარგებლოდ. ორივე ეს სფერო ადამიანისთვის აუცილებელი და საჭიროა. ტრაგედია მაშინ იქნება, როცა ეს ხედვები აღრეულია და ერთ-ერთი მათგანი გამოდის ორივეს სახელით. აქ ძორითადად იგულისხმება მეცნიერულ ხედვა და ამის საფუძველზე აღმოცენებული ტექნოკრატიული მსოფლმხედველობის გაფეტიშება, როგორც ეს გვხვდება გამოჩენილი შვეიცარიელი მწერლის მაქს ფრიშის რომანში _ Homo Faber.

თუ რა საფრთხეებს შეიცავს ეს მტკივნეული საკითხი კარგად აქვს დანახული და გაანალიზებული ზურაბ კაკაბაძეს. მისი აზრით, ,,ცალმხრივად განვითარებული და გააბსოლუტებული ტექნიკა ადამიანის ბედნიერების წინააღმდეგაა მიმართული. ის ქმნის ბომბებს, რომელთაც შეუძლიათ ააფეთქონ ადამიანთა პლანეტა, ქმნის მანქანებს, რომლებიც იმონებენ ადამიანებს, ართმევენ მათ დამოუკიდებლობას, ის ბოლოს ადამიანს წყვეტს ,,დედაბუნებისაგან" და ა.შ." [1, 33].

ეს, ზ. კაკაბაძის აზრით, არის ადამიანის ექსისტენციური კრიზისი და მისგან გამოსვლა შესაძლებელია მეცნიერებაზე დამყარებული ნატურულისტურ-პოზიტივისტური მსოფლმხედველობის დაძლევით. აქ ზ. კაკაბაძე აკეთებს საყურადღებო შენიშვნას, რომლის თანახმადაც, ეს დაძლევა არ უნდა მოხდეს ძველთან მექანიკური დაბრუნებით, რადგან ძველი დამძიმებული იყო ობიექტივისტური შეცდომებით, ამ შემთხვევაში ადამიანი წარმოდგენილი იყო, როგორც ობიექტი, გარედან განპირობებულ, თავისუფლების არამქონედ, მაშინ, როცა კრიზისისგან ,,გამოსვლა" შესაძლებელია მხოლოდ პოზიტივიზმისა და ,,ობიექტივისტური" ტრადიციების რადიკალური დაძლევით [1, 30-32].

ამავე თემაზე საინტერესოა ნოდარ კაკაბაძის მოსაზრებები. ის ეხება კულტურისა და ცივილიზაციის სპეციფიკას. მისი აღნიშვნით, კულტურასთან დაპირისპირებული ცივილიზაცია ტექნიკურ-მატერიალურია. ცივილიზაცია არის ის, რასაც ტექნიკა და ზუსტი მეცნიერებანი ქმნიან და, რომელიც ადამიანის ეკონომიკურ-მატერიალურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. რაც შეეხება კულტურას, რასაც ხელოვნება და ჰუმანიტარული დარგები ქმნიან, თავის არსებით ნიშნად ეთიკას, მაღალ ზნეობას და ეროვნულობას გულისხმობს. ცივილიზაცია არ არის ნაციონალური, ის კოსმოპოლიტურია, კულტურა კი ყოველთვის გარკვეულ ერთანაა დაკავშირებული [2,185].

საინტერესო და საყურადღებოა ნ. კაკაბაძის ის შენიშვნა, რომლის თანახმადაც, ზუსტი მეცნიერებანი არ იფარგლებიან თავიანთი სფეროებით და ჰუმანიტარული დარგების უზურპაციას ცდილობენ, რაც საბოლოოდ ყველაფრის ნიველირებას, სტანდარტიზაციისა და ადამიანის, ადამიანურის გაუქმებისკენაა მიმართული.

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ უკვე შეიძლება განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა სპეციფიკური ნიშნებით ხასითდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგები.

ტექნიკურ პროგრესისთვის უპირველესად დამახასიათებელია ინფორმაციის მოზღვავება და ეს ბუნებრივიცაა. მეცნიერების განვითარება, რასთანაც უშუალო კავშირშია ტექნიკური პროგრესი, უახლეს ტექნოლოგიებს გვთავაზობს. ამ ტექნოლოგიებში იგულისხმება საინფორმაციო საშუალებები - პრესა, რადიო, ტელევიზია, კომპიუტერული ქსელები ...

ინფორმაციის ამ მრავალმხრივი საშუალებებით ადამიანი უწყვეტ რეჟიმში მიყურადებულია და პულს უსინჯავს სამყაროში მიმდინარე პროცესებს, მის მაჯისცემას. ეს კი მას საშუალებას აძლევს მუდმივად იყოს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების საქმის კურსში.

ტექნიკური პროგრესის მეორე მნიშვნელოვანი ნიშანია ტემპების დაჩქარება. ამ დროს ადამიანის ირგვლივ მიმდინარე პროცესები ელვის სისწრაფით იცვლება, რაც განპირობებულია როგორც ინფორმაციის მოზღვავებით, ისე მაღალგანვითარებული ტექნოლოგიებით. ადამიანი მიმდინარე პროცესებს, რომ არ ჩამორჩეს თავს ძალა უნდა დაატანოს და მექანიკურად აჰყვეს მას, რაც იწვევს ჩვეული რიტმიდან მის ამოვარდნას.

ყველაფერი ეს, რაც ითქვა, განაპირობებს ადამიანის იზოლირებას გარშემო მყოფთაგან, ადამიანებს შორის ურთიერთობის გაცივებას, ჩაკეტილობას, მარტოობა-მარტოსულობას ... სხვანაირად ის ვერ აჰყვება თანამედროვე გამოწვევების შემოთავაზებულ რიტმსა და ტემპებს. ეს არის ტექნიკური პროგრესის შედეგების კიდევ ერთი მიშანი.

ამ ზოგადი შენიშვნების შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ ტექნიკური პროგრესის როგორც დადებით, ისე, აგრეთვე, მის უარყოფით მხარეებზე. როცა ტექნიკური პროგრესის მოტანილ სიკეთეზე ვსაუბრობთ, უპირველესად მხედველობაში უნდა გვქონდეს თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა - ადამიანთა სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებები, რომლებიც დაკმაყოფილებას საჭიროებენ. ტექნიკური პროგრესისა და მის საფუძველზე შექმნილი ახალი ტექნოლოგიების გარეშე ამ გამოწვევას ვერ ვუპასუხებთ. ასე რომ, თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელი მზარდი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რაც შეუძლებელია ტექნიკური პროგრესის გარეშე, ამ უკანასკნელის დადებითი შედეგია.

ასევე აღსანიშნავია დიდი მიღწევები ჯანდაცვის სფეროში, რაც უშუალოდ უკავშირდება და გამომდინარეობს ტექნიკური პროგრესიდან. უახლესი სამედიცინო აპარატურა, რასაც ემყარება გამოკვლევები და რაც საშუალებას იძლევა თითქმის უტყუარი დიგნოსტიკისთვის, ტექნიკური მიღწევების გარეშე წარმოუდგენელია.

აღნიშნულის გარდა, ტექნიკური პროგრესი აადვილებს კომუნიკაციებს როგორც სწრაფი გადაადგილების, ისე კავშირ-ურთიერთობების თვალსაზრისით. დღეს უკვე დედამიწის ყოველი კუთხე მისაღწევია და ძალიან მოკლე დროში. აღარაფერს ვამბობთ მობილურ და სხვა კავშირებზე.

ტექნიკური პროგრესის ეს დადებითი შედეგები ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ემსახურება და საფუძველს უქმნის მაქსიმალური კომფორტისთვის. კომფორტი და კომფორტული ცხოვრებისკენ ლტოლვა კი, ნებისმიერი ადამიანისთვის სრულიად ლეგიტიმური მისწრაფებაა.

რაც ითქვა, ყველაფერი კარგია, მაგრამ სამწუხაროდ, მედალს მეორე მხარეც აქვს. თუკი ტექნიკურ პროგრესს მეორე მხრიდან შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ ასე საოცნებო და სასურველ დადებით შედეგებს თუ მეტი არა, არანაკლები ჩრდილოვანი მხარეები გააჩნია. ეს კი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ტექნიკური პროგრესის მიერ მოტანილი უარყოფითი /თუ სავალალო არა!/ შედეგები.

როდესაც ტექნიკური პროგრესის უარყოფით მხარეებს შეეხება მსჯელობა, პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის დაპროგრამებას, მისი მოქმედებების ერთგვარი რეგლამენტის ჩარჩოებში მოქცევას, სტანდატიზაციას. ამ ვითარებაში ადამიანს რაღაც უხილავი ძალები მართავენ შინ და გარეთ. სახლში ტელევიზიით მოწოდებული სხვადასხვა ინფორმაცია, თუ სოციალური ქსელის მომხმარებელი ხარ, დროს გამონახავ თუ არა კომპიუტერს მიეჯაჭვები და ეს მრავალმხრივი ინფორმაცია უკვე თავის გავლენაში გაქცევს და შენ თავს აღარ ეკუთვნი და შენც ისე იქცევი, როგორც ათასობით და ათიათასობითთ სხვა.

ამ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ქალაქი, ქუჩა, ტრანსპორტი, სამსახური. ყველგან და ყველაფერში გარეშე ვითარებების ტყვე ხდება ადამიანი.ამ გარემოებების გამო, შენც ისეთივე უსახო ეგზემპლარი ხარ, როგორც ათასობით სხვა. შენ უკვე ლამის მანქანა თუ არა,

მანქანის დანამატი ხარ. სწორედ ამიტომაც თანამედროვე ეპოქაში გაჩნდა ხელოვნური ადამიანის - ადამიანი-მანქანის შექმნის იდეა.

ასეთ ვითარებაში ადამიანი თანდათანობით იცლება ადამიანური ღირებულებისგან და იქცევა უბრალოდ, როგორც ამას მწერალი მაქს ფრიში თავის რომანში - Homo Faber, იტყოდა - მომხმარებელ ადამიანად. Homo Faber-ი - ადამიანი მომხმარებელი კი დაცლილია ყოველგვარი ღირებულებისგან, ემოციებისგან, დაკარგული აქვს საკუთარი მე და გარე ვითარებების კარნახით მოქმედებს, უფრო მკაცრად თუ ვიტყვით - ის გარედანაა მართული, გარედან 'მოსული" დირექტივების უსიტყვო შემსრულებელია.

მოკლედ, ასეთია დაპროგრამირებული და სტანდარტიზებული ადამიანის ხვედრი.

ყველაფერი, რაც ითქვა, რაღაცის ხარჯზე ხდება. ეს 'რაღაცა" კი ადამიანის ფუნდამენტური ღირებულებებია, რომლებსაც ემყარება საზოგადოების, კაცობრიობისა და საერთოდ ადამიანთა მოდგმის ნორმალური არსებობა. ფუნდამენტური ღირებულებებიდან გადახვევა, მათი მეორე პლანზე გადატანა და უარეს შემთხვევაში სულაც იგნორირება, ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი ცხოვრების კატასტროფის წინა ხანაა.

რა იგულისხმება და რას წარმოადგენენ ადამიანის ფუნდამენტური ღირებულებები?

უპირველესად ეს არის ადამიანთა ურთიერთობები, მოყვასის სიყვარული, შემწყნარებლობა - იქნება ეს რელიგიური თუ განსხვავებული აზრი და სხვა, სამშობლოს სიყვარული, ზრუნვა გარემო სინამდვილეზე და ა. შ. დაპროგრამირებული და სტანდარტიზებული ადამიანისთვის ყველაფერი ეს უცხო და არაფრისმთქმელია.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ადამიანების მხრიდან მათი ფუნდამენტური ღირებულებებიდან გადახვევა, ტექნიკური პროგრესის ერთი მთავარი და არსებითი უარყოფითი მხარეა. ტექნიკური პროგრესის უარყოფითი მხარეების გვირგვინი არის - გ ა - უ ც ხ ო ე ბ ი ს ფენომენი.

რა არის გაუცხოება? ზ. კაკაბაძე ასე განმარტავს გაუცხოებას: ,,გაუცხოება ნიშნავს ადამიანის ისეთ მდგომარეობას, როცა ის თავისი მოქმედებით, თავისის საქციელით ეწინააღმდეგება თავისი საკუთარი არსებითი მისწრაფებების რეალიზაციას" [1, 308].

ასევე საყურადღებოა ზ. კაკაბაძის ის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უარყოფით გავლენას ახდენს სამყაროს მიმართ ადამიანის ემოციურ დამოკიდებულებაზე, იგი არღვევს ადამიანსა და ბუნებას, ადამიანსა და საზოგადოებას შორის კავშირს, წარსულთან, სამშობლოსთან მიმართებას და ა. შ. [3, 81].

მაქს ფრიში ზემოთ ნახსენებ Homo Faber-ში დამაჯერებლად აჩვენებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით გამოწვეული ტრაგედიის არსს. რომანის დასასრულს ნაწარმოების გმირის - ვალტერ ფაბერის აღსარება-მონოლოგი ერთგვარი განაჩენია ყველა იმათ მიმართ, ვინც ტექნიკის განვითარებით მოტანილი სიკეთეების იქით არ იხედება, ბოლომდე სჯერა და ბრმად არის მინდობილი ამ 'სიკეთეებზე". ნათქვამის კარგად გასაგებად სრულად დავიმოწმებთ ამ მონოლოგს:

'ჰანას /ვალტერის მეგობარი ქალი-მ.მ./ თქმით, ტექნიკა არის ერთგვარი ხერხი, რომელიც საშუალებას იძლევა ისე მოაწყო ეს ქვეყანა, რომ ადამიანმა იგი ვეღარ შეიგძნო. ტექნიკოსს იმიტომ სჭირს სამყაროს ათვისების მანია, რომ თვითონ, როგორც პარტნიორი სუსტია, ტოლს ვერ უდებს მას. ტექნიკის მეშვეობით უნდათ მოსპონ სამყაროს წინააღმდეგობა, თუნდაც ტემპის აჩქარებით ისე სეასუსტონ იგი, რომ ადამიანმა ვეღარ სეიგრზნოს სამყარო (რას გულისხმობს ამაში ჰანა, არ ვიცი). თვითონ ტექნიკოსს სამყარო არ

გააჩნიაო (რას გულისხმობს ამაში ჰანა, არ ვიცი). ჰანა არ მსაყვედურობს, მას წარმოუდგენლად მიაჩნია ჩემი ურთიერთობა ზებეტთან. მე, ჰანას აზრით, არასდროს არ მცოდნია ასეთი ურთიერთობის ფასი, ახლაც ვერ ჩავწდომივარ, მცდარად შემიფასებია იგი და თავისთვის ჩამიგონებია, შეყვარებული ვარ მეთქი. ეს შემთხვევითი შეცდომა არ ყოფილა. ეს შეცდომა ჩემთვის ისევე ორგანულია, როგორც ჩემი პროფესია, როგორც მთელი ჩემი ცხოვრება. ჩემი შეცდომა ის არის, რომ ჩვენ ტექნიკოსები, ვცდილობთ სიკვდილი უგულვებელვყოთ. სიტყვასიტყვით: შენ ცხოვებას უყურებ არა როგორც ერთ მთლიან ფორმას, არამედ როგორც შესაკრებთა ჯამს, ამიტომ უგულებელყოფ სიკვდილსაც და დროსაც. ცხოვრება არის დროის ფარგლებში მოცემული ფორმა. ჰანა აღიარებს, ჩემი ნათქვამის ახსნა არ შემიძლიაო. ცხოვრება მხოლოდ მატერია როდია, რომ ის ტექნიკამ დასძლიოს. აი რა შეცდომა მომივიდა ზაბეტთან: მე ისე ვიქცეოდი, თითქოს არავითარი ასაკი არ არსებობდეს ამ ქვეყნად. აქედან გამომდინარე, ვიქცეოდი ბუნების საწინააღმდეგოდ, შეკრება ვერაფერს გვიშველის, ჩვენ არ ძალგვიძს ასაკის უგულებელყოფა, თუნდაც საკუთარი შვილები შევირთოთ ცოლად“ (4, 167. დალი კოკაია-ფანჯიკიძის თარგმანი).

ციტატის კვალობაზე ამ ვრცელი ამონაწერიდან ცხადად ჩანს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებით დაბრმავებული ადამიანის - ვალტერ ფაბერის ტრაგედია. ადამიანი, რომელიც ამრეზით უყურებს ხელოვნებას და ტკბება ტექნიკის მიღწევებით. მას არც კი უფიქრია იმაზე, რომ მეგობარი ქალი, რომელსაც დაშორდა, შეიძლება მისგან შვილს ელოდებოდეს; ის არაფრად აგდებს ასაკს და ურთიერთობას ამყარებს ქალთან, რომელიც მას ლამის შვილისშვილად ერგება. საბოლოოდ კი, აღმოჩნდება, რომ ის სწორედ მისი ქალიშვილია. აი სადამდე და რა დიდ ტრაგედიამდე მიიყვანა ნაწარმოების გმირის ტექნიკური მიღწეევებით აღტაცება-გატაცებამ.

საქმე ის არის, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანს აპროგრამებს, არგებს სტანდარტებს და საბოლოოდ ყველას მსგავს ერთ მორიგ ეგზემპლარად აქცევს. ვალტერ ფაბერიც ამ მსოფლმხედველობის მსხვერპლია, ის ყველა ქალს უყურებს, როგორც ეგზემპლარს, რომელიც უნდა გამოიყენო და გადააგდო. ასე უყურებდა ის თავის დროზე ჰანას, შემდეგ ზაბეტსაც და ტრაგედიამაც არ დაახანა.

მაქს ფრიშის ეს ნაწარმოები გაფრთხილებაა კაცობრიობისადმი, კერძოდ: ფრთხილად უნდა ვიყოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებისადმი და კულტურას (ნაწარმოებში მის ერთ-ერთ სახეს - ხელოვნებას), რომელმაც რეგულატორის ფუნქცია უნდა შეასრულოს, ნუ მოვექცევით, როგორც გერს.

ამ მიმართებით საყურადღებო აზრები აქვს გამოთქმული ცნობილ თურქ მწერალს, ნოველისტს ჰალდუნ თანერს. მისი აზრით, ცივილიზაცია გადალახავს მთებს, აგებს სხვადასხვანაირ ხიდებს, გაჰყავს ავტობანები, მაგრამ ადამიანებს შორის კავშირ-ურთიერთობების დამყარება მის ძალებს აღემატება. ჩვენ გავიჭერით კოსმოსში, ხიდი გავდეთ დედამიწასა და მთვარეს შორის, მაგრამ ადამიანებს შორის თბილი ურთიერთობის დამყარება, გულწრფელი დიალოგის წარმართვა არ ძალგვიგძს (5, 237-238).

თანერი ფიქრობა, რომ დღევანდელ ვითარებაში ყველაფრის თავიდან დაწყება გვმართებს. ამისთვის საჭიროა, შევქმნათ ნორმალური პირობები ადამიანებს შორის ნორმალური ურთიერთობებისთვის. სხვანაირად ტექნიკის ეს მიღწევები საბოლოო და ძირითადი მიზნებისთვის უსარგებლო იქნება. როგორც ვხედავთ ჰალდუნ თანერი

მიიჩნევს, რომ თუკი ადამიანი, ადამიანური ურთიერთობები უგულებელყოფილი იქნება, არავითარი ფასი არა აქვს ტექნიკის მიღწევებს.

მანქანაზე, ტელევიზორზე, კომპიუტერზე მიჯაჭულობა და წიგნზე, თეატრზე, ხელოვნებაზე უარის თქმა ადამიანის მხრიდან საერთოდ ცხოვრების შემოქმედებით უნარებზე უარის თქმაა, რაც საბოლოოდ სიკეთეს არ მოუტანს ადამიანს, საზოგადოებას, კაცობრიობას.

როგორც ვნახეთ, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, რომელიც დამახასიათებელია მაღალგანვითარებული საზოგადოებისთვის, დადებითთან ერთად უარყოფითი შედეგებიც მოაქვს. ამასთან, ეს ვითარება ვინმეს ნება-სურვილზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ის აუცილებლობით არის განპირობებული. ეს ერთგვარი **გარდაუვალი აუცილებლობაა**.

რა იგულისხმება 'გარდაუვალ აუცილებლობაში“? ამ კითხვაზე პასუხისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თანამედროვე ეპოქაში ადამიანი უარს ვერ იტყვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მონაპოვარზე /თვითმფრინავი, ავტომობილი, ტელევიზორი, მობილური კავშირები, კომპიუტერი და სხვა/, ეს უბრალოდ შეუძლებელია. სხვა შემთხვევაში, საზოგადოება წინ ვერ წავა, შეუძლებელი იქნება მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ასე რომ, ჩვენი მოქმედება გარდაუვალი აუცილებლობით, თანამედროვე გამოწვევებზე შესაბამისი პასუხია. სხვანაირად, უბრალოდ შეუძლებელია.

მაშინ რაშია გამოსავალი? მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში მცხოვრები ადამიანი უარს ვერ იტყვის ამ ეპოქის მოტანილ სიკეთეებზე, ეს, როგორც აღვნიშნეთ, უბრალოდ შეუძლებელია. მაგრამ, ამასთან, მხოლოდ ადამიანზე, საზოგადოებაზეა დამოკიდებული, რომ არ იყოს ვითარების მონა და ბრმა მიმდევარი. მხოლოდ ადამიანს შეუძლია, რომ ტექნიკის მონაპოვარს შეხედოს არა როგორც მიზანს, არამედ საშუალებას საკაცობრიო იდეალების მისაღწევად. ამისთვის კი საჭირო და აუცილებელია ადამიანმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სულიერ კულტურას, მის კონტროლს დაუქვემდებაროს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები. სხვა შემთხვევაში, კულტურის კონტროლიდან გამოსული ტექნიკის მიღწევები შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს კაცობრიობისთვის ზოგადად და ადამიანისთვის კერძოდ.

ასე რომ, ადამიანის მომავალი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და კულტურის ჰარმონიაშია. ამის თაობაზე კარგად აქვს აღნიშნული ზ.კაკაბაძეს: 'გამოსავალი თანამედროვე კრიტიკული სიტუაციიდან გულისხმობს ადამიანთა ცხოვრების ჰარმონიულობის მიღწევას, თანაც ისე, რომ შენარჩუნებული იყოს ადამიანის, სწორედ როგორც პიროვნების უფლებები, თავისუფლების, აქტივობის, შემოქმედების უფლებები“ [1, 38-39].

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში არსებული სულიერი კრიზისის პირობებში ადამიანის ბედი და მისი პრობლემების გააზრება ფილოსოფოსების გარდა, ასევე აქტუალურია მწერლობასა და ხელოვანთა შემოქმედებაში. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ეს პრობლემატიკა აქტუალური გახდა ქართულ ფილოსოფიაში და მათი კვლევა-ძიების ვექტორი გამორჩეულად იქნა მიმართული ადამიანის პრობლემებისადმი.

აქვე შეიძლება დავამატოთ, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად, მეცნიერული კვლევის პრიორიტეტული მიმართულება გახდა - ადამიანი, კულტურა, ღირებულებები.

Philosophy

Man in the Era of Scientific and Technical Progress

Mikheil Makharadze

The modern society lives in the era of scientific-technical progress. This is a challenge that people should be prepared in every way; otherwise they might find themselves facing certain challenges.

Positive and negative consequences are both characteristic of scientific-technical progress. This article discusses the negative consequences, namely: information retrieval, acceleration of tempo, human programming, etc., which people become dependent on without of the circumstances and make faceless copies of the masses.

The negative side of scientific and technical progress stems from the fact that it is based on the sciences. In science, the objective nature of reality supercedes the subjective freedom and creativity.

The article reviews the views of Max Frish, Haldun Taner, Swiss and Turkish writers respectively, and Zurab Kakabadze, a Georgian philosopher.

ლიტერატურა:

1. კაკაბაძე, 2012 - ზურაბ კაკაბაძე.რჩეული ფილოსოფიური შრომები. ბათუმი.
2. კაკაბაძე, 1971 - ნოდარ კაკაბაძე. პორტრეტები და სილუეტები. თბილისი.
3. კაკაბაძე, 1988 - ზურაბ კაკაბაძე. ფილოსოფიური საუბრები. თბილისი.
4. ფრიში, 1986 - მაქს ფრიში. Homo Faber. თბილისი.
5. Танер, 1994 - Халдун Танер. Избранное. Москва.

History

The Agrarian Policy of the Russian Empire in Adjara in 1880-1900

Otar Turmanidze, Nugzar Zosidze, Nadim Varshanidze

Batumi Shota Rustaveli State University

After the war between Russia and Turkey in 1877-1878, Ajara entered the boundaries of the Russian Empire. The new government for the purpose of establishing the Russification regime in a short period of time begins implementing different types of reforms. One of the most significant reforms was the carrying out of agrarian policy and homestead reforms under the Tsarist Russia rule. The Russian agrarian formation significantly differed from the land possessing rule established in the Ottoman Empire. In the mentioned period the state treasury, prince summons/office and nobility maintained the monopolize possession on the land plot. The bulk part of the homestead appeared under the possession of Bourgeoisie. Even in Georgia in 1864-1871 years, after the peasant reform, more than 30% of entire land remained in the possession of the nobility. At the beginning of the century, more than 77% of land under private ownership belonged to the nobility (1:525-526).

It's obvious, that the agrarian relationships in Batumi District were distinguished from the Russian one. Social-economic reforms were implemented in quite contradictory situation. Despite this, Russian government, pursuing its colonial interests, began introducing serious changes in the nature and forms of land-plot possession and land using issues. The local national land-owner nobility AGHA-BEGS did not support tsarist because, the tsarist did not deemed them as the social basis of them.

The government of Russia disregarded the actual state of private ownership onto the homesteads (land plots) of Batumi District population. For the purpose of disregarding the actual state of local population's land plot possession or use, Russian government applied to the Ottoman agricultural legislation too.

Tsarizm deemed such method of approach profitable for reaching its goal. According to the thought of the government, the ottoman agrarian legislation would be the legal basis for legalizing the Russian treasury property onto the homesteads (land-plots), for transferring the local population without distinction, in the rank of peasant. By realizing of this intention, the state treasury income would increase and would settle the colonists here, by which, would create the loyal social foothold. The government also showed some caution, since the defiling of interests and rights onto the land-plots of the local population was connected to the mass public demonstrations. Immediately after annexation of the Batumi District, the population was informed that land-plot possession and land-plot usage, taxes and tax-obligations would return to what they were before the Ottoman rule.

Before clearing out the forms of the land plot possession, only selling and purchasing would be banned (2: 3-4).

In March of 1879 year, the special commission was established to clarify the homestead issues in the Batumi District. By the special instruction from the government, the commission should study all forms of land possession or using; also the legal and actual state existing to gather the document of land-plot possession and primarily to identify the free treasury land-plots (2:5).

The commission collected the documents of land-possession and using, studded the actual state existing at the place though faced to the great opposition. Many of the land-possession documents were deemed questionable, since they were issued in August of 1878, when the Ottomans were leaving Batumi. The company assured that the collected documents did not make it possible to clarify the homestead issues.

The commission of homestead did not bring the desired result for the Russian government. The commission activity was terminated in December 1880. In 1883, a new homestead commission was created which was headed by Batumi oblast Governor.

By the order of Caucasus Chief Dondukov-Korsakov, in August 1888, well-known Georgian historian D. Bakradze was sent to Constantinople. His task was to reveal the new homestead documents in the archives of the Ottomans. Though, because of different objective reasons, he could not bring any important documents from the archives of Istanbul (4:13-15).

The commission again made mall advancement. Despite this, the government of Russia out of fiscal-colonic interests, declared the land plots of Batumi and Karsi Districts as the treasury property and the population as the peasants of the state. The Ottoman agrarian legislation was used as the formal basis for this act.

For the purpose of accelerating colonization of Ajara, transferring of land plots under the control of the central government of empire was more beneficial. Due to this, the code of 1888 was drafted, which stipulated that the land plots of Karsi, Batumi and Artvin were under control of the state property, ministry and councilor. In 1893, a new order by the government was issued, according to which, all kind of land-plots of Karsi, Batumi and Artivn districts in relation to which the population did not have the documentations, transferred to the property of land action and state land property ministries. Pursuant to the aforementioned normative act, all kinds of land in Batumi and Artvin districts become the property of state treasury in the form of land-action and the property of the state state ministry.

In 1895-1896, Land plots of Karsi, Batumi and Artvin districts were described, the respective acts were drafted and were transferred to Erevan and Kutaisi province division of state property ministry (5: 88).

Transferring of Batumi and Karsi districts' land plot from local administrative division to the land plot-action and state property ministry created the additional difficulties. Transferring of Batumi and Karsi districts' land plots to the land plot-action and state property ministry was not the legal solution of the issue. The government of Russia was fully aware of this and as a result began elaboration of the homestead legislation.

The land plots considered the property of the state, only the small area were left under property of the local population. According to the possibilities, the habitants of the village would be given the nearby free land plots and forests in common use. The population was taxed for land-plot

possession-using for the benefit of the state. The new habitants were given the acquired land-plots in use for descendants by the permission issued by the appropriate bodies. Purchasing of homesteads with the ownership rights or acquiring and selling, trading by the wood from the village land plots, forests were strictly forbidden (6:1-3).

This draft law also applied to the land plots of religious institutions. Christian churches and monasteries had those land plots which they already owned during the ottoman rule, though they could not sell them. In case of cancellation of churches and monasteries, the homesteads were transferred to the treasury office. The land plots of the Muslim religious institutes should have been acquired by the state in the villages, and in the cities – the city boards. After acquiring, their management would be arranged according to the Transcaucasia Muslim institutions (7: 92).

In 1892, the commission was created in Tbilisi, which was headed by I. Medvedev. The commission was given the mentioned draft law for discussion. After studying the issues, I. Medvedev wrote the long letter concerning Transcaucasia 5 state peasant homestead land arrangement. He excluded any possibility of otherwise solving this issue (8: 70-71).

In October 1894, on the basis of I. Medvedev letter, a special meeting was held in Petersburg between the representatives of state property, internal affairs, military, justice ministries and the Caucasus Chief Governor. The meeting showed the obviously different approaches to the issue. The representatives of Caucasus Chief Governor and ministries strictly refused the ownership right of the local population over the homesteads.

The representatives of justice and military ministries had a different vision of the issue. The first ones protected the interests of the colonists and acquiring of homesteads by the new habitants according to the limitation age possession law deemed to be legal. Contrary to this, the military ministry vice versa, out of the actual state, justified the right of aborigine population concerning selling of homestead on the basis of legal age limitation on ownership (9:3-22 / 7: 86).

The meeting could not elaborate the specific recommendations. In 1898, Gallitzin, the Chief Governor of Caucasus, decided to reconsider the aforementioned draft of law. On 1 May 1900, Emperor Nicolay I approved the draft law concerning arrangement of land-plots of Transcaucasia 5th province, but that law did not apply to the homesteads of Kari, Batumi and Arvin districts (10: 8).

At the imperial court of Petersburg, in the high instance of the government they once again assured that inclusion of the land plot of these areas in the state treasury was not easy. On 24 May 1901, the Chief Governor of Caucasus wrote to the military ministry concerning this issue: "I do my best to solve this issue as soon as possible, an appropriate measurement are being carried out in this way, since, unfortunately, there is no sufficient material to clarify this very important and difficult issue, as it tackles the economic life of the local population, special caution is required while solving it. Therefore, creation of a new draft law concerning arrangement of the Karsi, Batumi and Artvin districts' homestead is not possible in short period of time. Despite this, I take all the measure to foster this process (11: 137-138).

Both the local authority and the imperial court knew the attitude of the population. The population of Batumi and Karsi districts would not consent such decision of the homestead issue. In the letter sent to the Caucasus king viceroy the military governor of Batumi district noted that the actual state of homestead was not envisaged in the draft law. The draft law protected the new

residents and required approval of land plot under their possession to be transferred into their ownership (12: 218).

The supreme government in Petersburg was informed concerning the point of view of the Governor of the Batumi District; though studying of documentation took long. The table below shows the land-plots of the Batumi District population according to regions and sections.

The names of police and districts stations	1890	
	Villages	Land plots
Kintrishi	41	5862
Gonio	61	3341
lower Adjara	64	3530
Upper Adjara	130	7491
Average in Batumi districts	296	20224
Artvin	57	2011
Artanuji	51	4294
Shavshet-Imerkhevi	59	5791
Average in Artvin districts	167	12096
Totally in Batumi District	463	32320

The land lease became essential for the landless and landowner peasants. Both long-term and short-term land-leasing was used in the region. The tenants were state treasury, Mosques, and village bourgeoisie. There were two forms of leasing Batumi: natural and monetary. Selection of the form depended on the tenant. The state treasury and the capitalists issued the plots of land for monetary leasing and the Messrs and landowners issued the land plots basically for natural income. For example the Khimshiashvilis received the pastures leasing fee in the form of livestock products. The quantity of the land plot leasing depended on the land-plot usefulness and the land owners issued the land-plots for half, third and fourth partial leasing fee (13:220). Furthermore, the mixed form of lease was also accepted. In 1899, this form was used in tobacco making (14:7). Local Georgians and Lazi who came from Turkey as well non-Georgians, Armenians and others received the leased land plots in partial use (15:21).

The exact accounting of Batumi district Muhajirs' homesteads is complicated. This is explained by the continuous character of the migration. Despite this, the existing incomplete materials on land-plots of Muhajirs, shed some light on the issue. According to accounting held in 1897, the land-owners in Batumi counted 984 people of both genders, which amounted to 1.1% of the population (16:38-39).

According to the same accounting, their number in Artaani and Oltisi Districts, Karsi District amounted to 277 people, which was 0,3% of the population (17:2). If assumed that the family

consisted of 5 persons, then about 200 families were in Batumi District and about 50 in Artaani and Oltisi Districts.

Thus, the nature and the forms of land-plots possession in Batumi District underwent significant changes. The state ownership on homesteads was approved, which existed in nominal form during the Ottoman rule. The homesteads of local AGHA masters and land-owners decreased due to the division of ancestral or selling of the land-plots, the nature of land-plot registering and tax system were altered dramatically. The new group of land-plot owners, agricultural Bourgeoisie, was created in the form of traders, entrepreneurs, and Tsarizm officials. The processes had evolutional development.

ისტორია

რუსეთის იმპერიის აგრარული პოლიტიკა აჭარაში 1880-1900 წლებში

ოთარ თურმანიძე, ნუგზარ ზოსიძე, ნადიმ ვარშანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ აჭარა რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა. ახალმა ხელისუფლებამ რუსიფიკატორული რეჟიმის სწრაფად დამკვიდრების მიზნით მალე დაიწყო სხვადასხვა სახის რეფორმების გატარება. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ კუთხეშიაგრარული პოლიტიკისა და საადგილმამულო რეფორმების ჩატარება. აღნიშნულ პერიოდში რუსეთში მიწაზე მონოპოლიური საკუთრება შეინარჩუნეს სახელმწიფო ხაზინამ, საუფლისწულო უწყებამ და თავადაზნაურობამ. საქართველოშიც საგლეხო რეფორმის შემდეგ, მიწის საერთო ფონდის 30%-ზე მეტი თავადაზნაურობას დარჩა. ამ ძირძველი ქართული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ათვისება წინააღმდეგობრივად, რთულ სიტუაციაში მიმდინარეობდა, მიუხედავად ამისა, რუსეთის ხელისუფლება მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ხასიათსა და ფორმებში, კოლონიური ინტერესებიდან გამომდინარე, სერიოზული ცვლილებების შეტანას შეუდგა, ცარიზმს აქ მსხვილი ეროვნული მიწათმფლობელი თავადაზნაურობა აღა-ბეგები ხელს არ აძლევდა, რადგან მათ თავის სოციალურ დასაყრდენად არ თვლიდა.

თავიდანვე რუსეთის მთავრობამ უგულებელყო ბათუმის ოლქის მოსახლეობის კერძო-მესაკუთრული ფაქტობრივი მდგომარეობა ადგილმამულზე. ადგილობრივი მოსახლეობის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის არსებული მდგომარეობის იგნორირების მიზნით მან ოსმალური აგრარული კანონმდებლობაც მოიშველია.

1879 წ. მარტში კავკასიის მეფისნაცვალმა ბათუმის ოლქში საადგილმამულო საკითხის გასარკვევად შექმნა სპეციალური კომისია. მთავრობის სპეციალური ინსტრუქციით კომისიას ექვს თვეში უნდა შეესწავლა მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ყველა ფორმა. საადგილმამულო კომისიის მუშაობას რუსეთის მთავრობისათვის სასურველი შედეგი არ მოუტანია. კომისიის საქმიანობაც 1880 წ. დეკემბერში შეწყდა. 1883 წელს ახალი საადგილმამულო კომისია შეიქმნა ბათუმის ოლქის გუბერნატორის თავჯდომარეობით.

კავკასიის მთავარმართებლის დონდუკოვ-კორსაკოვის დავალებით 1888 წლის აგვისტოში კონსტანტინოპოლში მიავლინეს ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე. მისი ამოცანა იყო ოსმალეთის არქივებში გამოევლინა მიწათმფლობელობის ახალი დოკუმენტები, თუმცაღა სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო, მან ვერ შეძლო სტამბოლის არქივებიდან რაიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტების ჩამოტანა. კომისიის მუშაობა ამჯერადაც უშედეგოდ დამთავრდა.

აჭარის კოლონიურია თვისების დაჩქარების მიზნით იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლების დაქვემდებარებაში მიწების გადასვლა უფრო მოგებიანი იყო. ამით იყო ნაკარნახევი 1893 წ. ივნისის კანონი, რომლითაც ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების მიწები მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს გამგებ-ლობაში შედიოდა. ადგილობრივი ადმინისტრაციის გამგებლობიდან ბათუმისა და ყარსის ოლქების მიწების მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლამ დამატებითი სიძნელეები შექმნა. მიწები სახელმწიფო საკურებად ითვლებოდა, ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას მფლობელობა-სარგებლობაში რჩებოდა მხოლოდ ნადელები. შესაძლებლობების მიხედვით, სოფლის საზოგადოებებს საერთო სარგებლობაში მიეცემოდათ ახლომდებარე თავისუფალი მიწები და ტყეები.

ეს კანონპროექტი რელიგიური დაწესებულებების მიწებსაც შეეხო. ქრისტიანულ ეკლესიებსა და მონასტრებს ის მიწები რჩებოდათ, რომლებიც ოსმალთა ბატონობისას ჰქონდათ, მაგრამ გაყიდვის უფლება არ ჰქონდათ. ეკლესიებისა და მონასტრების გაუქმების შემთხვევაში ადგილ-მამულები სახაზინო უწყებაში გადადიოდა. მუსლიმანური რელიგიური დაწესებულებების მიწები სოფლად სახელმწიფოს უნდა გამოსეყიდა, ხოლო ქალაქებში - საქალაქო გამგეობებს. გამოსყიდვის შემდეგ მათი მართვა ამიერკავკასიის მუსლიმანური სასულიერო დაწესებულებების მართვის ანალოგიურად მოეწყობოდა.

მოსახლეობის განწყობა კარგად იცოდნენ ადგილობრივ მმართველობაშიც და საიმპერატორო კარზეც. ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობა საადგილმამულო საკითხის ამგვარ გადაწყვეტას არ ეთანხმებოდა. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნავდა, რომ კანონპროექტში გათვალისწინებული არ იყო მიწათმფლობელობის ფაქტობრივი მდგომარეობა.

ბათუმის ოლქის მუჰაჯირთა მამულების ზუსტი აღრიცხვა სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ეს იმით აიხსნება, რომ ემიგრაციას განუწყვეტელი ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, არსებული არასრული მასალები მუჰაჯირთა მიწების ოდენობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის.

ამრიგად, ბათუმის ოლქის მიწათმფლობელობის ხასიათსა და ფორმებში საგრძნობი ცვლილებები მოხდა, სახელმწიფოს საკუთრება ადგილმამულებზე რეალურად დამყარდა. ვაჭარ-მრეწველთა და ცარიზმის ჩინოვნიკების სახით სოფლად მიწისმფლობელთა ახალი ჯგუფი - აგრარული ბურჟუაზია ჩამოყალიბდა.

Used sources and Literature:

1. I. Antelava, Agrarian relationship in Georgia in the next century after the reform. – Essays on Georgian history, volume V, TB., 1970, Pg. 525-526
2. Central state historic archive of Georgia- hereinafter (CSHAG), fund. 229, extraction. 1, case. 48. Pg.3-4.
3. Thereby, pg. 5.
4. Thereby, fund. 12, Ext. 10, C. 162, Pg. 13-15.
5. (CSHAG), F. 243, Ext. ,4 C. 88, Pg. 42; O. Turmanidze, name. Work. Pg. 88.
6. (CSHAG), F. 12, Ext. 10, C. 1026, Pg. 1-.3
7. O. Turmanidze, Homestead relations in southern-west Georgia, in the period of ottoman rule. Batumi 2001, Pg. 92.
8. I.G. Antelava, Land-plot reform of State peasants in Transcaucasia, at the end of nineteen century. (Documents and Materials) Sokhumi, 1952, Pg.. 70-71(Russian Language)
9. (CSHAG), F. 231, C. 196, Pg. 3-22; O. Turmanidze, Name. Work. Pg. 86.
10. (CSHAG), F. 13, Ext. 7, C. 2866, Pg. 8.
11. Thereby, page. 137-138
12. S. N. Timofeev, Agricultural draft in Batumi backyard. – "Batumi and its backyard', Batumi 1906, Pg. 218 (Russian Language)
13. S.N. Timofeev, Agricultural draft in Batumi backyard. – "Batumi and its backyard', Batumi 1906, Pg. 220 (Russian Language)
14. Central state historical archive of Kutaisi, Fund. 130, case. 166, page 7.
15. "Russian Subtropics', N2, 1914, Pg.21
16. The first general census of Russian empire in 1897 year, Kutaisi Governorate, St-Petersburg 1905 y. Pg. 38-39 (Russian Language)
17. The first general census of Russian empire in 1897 year, Kutaisi Governorate, St-Petersburg 1905 y. Pg. 2 (Russian Language)

დიმიტრი ბაქრაძე და საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

ოთარ თურმანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890 წწ.) საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი ეკუთვნოდა ამ მოძრაობის ჰუმანიტარულ-დემოკრატიულ მიმდინარეობას და ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის თანამებრძოლი და თანამოზიარე იყო. დიმიტრი ბაქრაძეს ჩინებული განათლება ჰქონდა. 1846 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი, ხოლო 1850 წელს – მოსკოვის სასულიერო აკადემია, მიანიჭეს კანდიდატის წოდება და 1851 წელს სამშობლოში დაბრუნდა. 1952-1957 წლებში გორის სამაზრო სასწავლებელში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. 1858 წელს მუშაობას იწყებს ქუთაისის გუბერნიის კანცელარიაში განსაკუთრებულ დავალებათა მოხელედ. აქედან მიავლინეს პარიზში, სადაც დაეუფლა ფრანგულ ენას. ამავე დროს დიმიტრი ბაქრაძე კარგად ფლობდა ძველ ბერძნულ, რუსულ და ოსურ ენებს.

დიმიტრი ბაქრაძე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა: მონაწილეობდა გაზეთ 'დროების“ დაარსებაში, კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების ჩამოყალიბებაში, თანამშრომლობდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან და კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიასთან. დიმიტრი ბაქრაძეს ეკუთვნის არაერთი ნაშრომი საქართველოს ისტორიასა და ეთნოლოგიაში (დუმბაძე, 1950:10-45).

დიმიტრი ბაქრაძემ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საადგილმამულო საკითხის შესწავლაში. კავკასიის მეფისნაცვლის 1879 წლის პირველი მარტის ბრძანებით შეიქმნა ბათუმისა და ყარსის ოლქების დროებითი საადგილმამულო კომისიები. ბათუმის ოლქის კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა დიმიტრი ბაქრაძე. კომისიის მთავარი ამოცანა იყო: გაერკვია ოსმალური აგრარული კანონმდებლობის მოქმედების რეალიები ბათუმისა და ყარსის ოლქებში. დაედგინა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმები, წოდებათა უფლებები და მესაკუთრეთა კატეგორიები, მუჰაჯირთა მიწები, საადგილმამულო გადასახადები, რუსული ახალშენების მოწყობისათვის საჭირო მიწის ფონდი.

კომისიის საქმიანობის ვადა განისაზღვრა ექვსი თვით. საადგილმამულო კომისიების ამოცანები ჩამოყალიბებულია დებულებაში, რომელიც 1979 წლის 11 ივნისს დაამტკიცა კავკასიის არმიის მთავარსარდალმა სვიატოპოლკ მირსკიმ. ამ დებულების შესაბამისად დიმიტრი ბაქრაძემ შეადგინა პროგრამა, რომელიც შედგებოდა ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მოცემულია პრაქტიკული ამოცანები, რომელიც ითვალისწინებდა ადგილზე

არსებული რეალური ვითარების შესწავლას. მეორე ნაწილი მიზნად ისახავდა ბათუმისა და ყარსის ოლქების ისტორიის მეცნიერული გამოკვლევას როგორც ზოგადად, ისე საადგილმამულო ურთიერთობის მიმართებით.

პროგრამის შესაბამისად დიმიტრი ბაქრაძემ 1979 წლის ნოემბერში იმოგზაურა ბათუმის ოლქში, მოინახულა ქვემო და ზემო აჭარის, ლივანის, შავშეთის, იმერხევის, არტანუჯის და სხვა კუთხეების სოფლები: ქედა, დანდალო, ხულო, სხალთა, ხიხაძირი, ტბეთი, ციხისძირი (შავშეთი), მარადიდი და მდინარე ჭოროხის სამდინარო გზით (ნავით) დაბრუნდა ბათუმში. დიმიტრი ბაქრაძემ 18789 წელს ასევე იმოგზაურა კინტრიშის უბანში, მოინახულა და აღწერა სოფლების დიდი ნაწილი. ბათუმის ოლქში მოგზაურობისას დიმიტრი ბაქრაძის ინფორმატორები იყვნენ მურად-ბეგ თავდგირიძე, ისმაილ-აღა ცეცხლაძე, შირინ-აღა იაშვილი, ხუსეინ-ბეგ აბაშიძე, ჰაიდარ-ბეგ ბეჟანიშვილი (ბეჟანოღლი) და სხვები (კინტრიშის უბანი), ასლან-ბეგ შერვაშიძე, სულეიმან ეფენდი ბერიძე, იუსუფ ეფენდი ბერიძე (ქვემო და ზემო აჭარა), ნური-ბეგ ხიმშიაშვილი, ჰაქი მუსტაფ ეფენდი მიქაძე (შავშეთ-იმერხევი) და სხვები.

დიმიტრი ბაქრაძემ 1881 წელს იმოგზაურა ყარსის ოლქში. მისი მარშრუტი იყო თბილისი-ერევანი-ყარსი. მოინახულა და აღწერა ანისი, არტაანი, ველი, ოკამი, ტაოსკარი, ფანასკერტი, ოლთისი და სხვა დასახლებანი. 1886 წელს სოხუმის ოკრუგში იმოგზაურა და მოინახულა მთელი რიგი დასახლებანი. ამ მოგზაურობის დროს შეკრიბა საინტერესო ცნობები მოსახლეობის თვისებრივ-რაოდენობრივი მდგომარეობის, სამეურნეო საქმიანობის, მიგრაციისა და სხვათა შესახებ, შეადგინა ვრცელი დღიურები, რომლებიც დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის დიმიტრი ბაქრაძის ფონდში (საქმე 32).

დიმიტრი ბაქრაძემ საველე ექსპედიციების დროს შეკრებილი მასალები სისტემაში მოიყვანა და მეცნიერულად გაანალიზა. ამასთან ერთად, გულდასმით შეისწავლა ოსმალური კანონმდებლობანი საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ, საარქივო და დოკუმენტური მასალები, რომლებიც ეხება საერთოდ საქართველოს, კერძოდ მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის ისტორიას. დიმიტრი ბაქრაძის საველე-საექსპედიციო და მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგები განზოგადებულია შრომებში 'ყარსის ოლქის ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი“ (1882 წ.), 'თურქული კანონმდებლობანი მიწათმფლობელობის შესახებ“ (1884 წ.), 'მოკლე ცნობები საკანონმდებლო კრებულიდან 'დასტური“ მიწათსარგებლობის თურქეთის კანონების შესახებ (1884 წ.), 'ისტორიული ნარკვევი მიწათმფლობელობის თურქული სისტემის შესახებ“ (1884 წ.), 'კინტრიშის უბანი“ (ბათუმის ოლქი) და სხვა.

ოსმალეთის იმპერიაში 1839-1870 წლებში გატარდა აგრარული რეფორმა, რომელიც ისტორიაში ცნობილია თანზიმათის სახელწოდებით. აღნიშნული რეფორმა ყარსისა და ბათუმის ოლქებში მოგვიანებით, კერძოდ, XIX საუკუნის 60-იან წლებში განხორციელდა. ამის ძირითადი მიზეზია მოსახლეობის, კონკრეტულად აღა-ბეგების შეურიგებელი ბრძოლა ახალი საადგილმამულო კანონმდებლობის შემოღების წინააღმდეგ. სულთნის ხელისუფლება სიფრთხილეს იჩენდა, რამდენადაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეს რეგიონი რუსეთის სახელმწიფოს მოსაზღვრე იყო.

აგრარული რეფორმის შედეგად ოსმალეთში გაუქმდა მიწათმფლობელობის სამხედრო-ლენური სისტემა. ახალი წესის მიხედვით იმპერიის ყველა ქვეშევრდომი, განურჩევლად წოდებისა, მიწათმფლობელობისათვის იხდიდა გადასახადს. ქართული

წარმომავლობის აღა-ბეგებმა დაკარგეს საკუთრების უფლება ადგილ-მამულზე. ახალი კანონმდებლობით აღები უფლებრივად გლეხებს გაუთანაბრებს, ხოლო ბეგები მიწებს დაუტოვეს სამემკვიდრეო მფლობელობის უფლებით.

ოსმალური საადგილმამულო კანონმდებლობით ადგილ-მამულები სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა. ახალი კანონმდებლობით ოსმალეთის იმპერიაში ადგილ-მამულების მფლობელობის 22 კატეგორია არსებობდა, მაგრამ ძირითადი იყო ხუთი: 1.სახელმწიფო მიწები (ერაზი-მირიე), რომლებიც მუდმივ მემკვიდრეობით მფლობელობაში გადაცემული ჰქონდათ სოფლის საზოგადოებებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს; 2. კერძო საკუთრების მიწები (მულქი), რომელშიც შედიოდა სახლ-კარმიდამო და გამონაკლისის სახით ჩიფთლიქი (სახნავი მიწის ნაკვეთი). მულქის კატეგორიის მიწები ოსმალთა ბატონობის ბოლო წლებში შემორჩენილი იყო შავშეთ-იმერხევსა და მაჭახელში; 3. ვაყუთვი-რელიგიურ დაწესებულთა მიწები. ვაყოფი ორი სახისა იყო: საკუთრივ მეჩეთების მიწები, რომლებიც დაარსებისას მათ საკუთრებაში ითვლებოდა და მეორე, მეჩეთზე შეწირული მიწები; 4. საზოგადოებრივ სარგებლობაში მყოფი მიწები (მეთრუქე), რომელთაც მიეკუთვნებოდა გზები, სოფლის საერთო საძოვრები, ტყე და საერთო სარგებლობის სხვა ადგილები. ამ კატეგორიის მიწების გასხვისება არ შეიძლებოდა; 5. დაუსახლებელი ადგილები (მევათი), რომლებიც დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით მდებარეობს და სოფლის საზოგადოებისა და ფიზიკური პირების საკუთრებაში არ შედიოდა (სცსსა, ფ. 13, ნ. 7, ს. 2909, ფურც. 80-81).

საველე პრაქტიკული მუშაობის შედეგად დიმიტრი ბაქრაძემ დაადგინა, რომ ყარსისა და ბათუმის ოლქების ადგილობრივი მოსახლეობა არ იცნობდა ოსმალურ აგრარულ კანონმდებლობას. იგი აღნიშნავდა, რომ ადგილზე არსებული რეალური ვითარება და ოსმალური აგრარული კანონმდებლობა შესატყვისი არ იყო. რუსეთის მთავრობა კი ყველა საშუალებით ცდილობდა ყარსისა და ბათუმის ოლქების მოსახლეობა სახელმწიფო გლეხთა დასახლების კატეგორიაში გადაეყვანა, რაც ადგილობრივ მიწისმფლობელთა საპასუხო რეაქციას იწვევდა. რუსეთის მთავრობა დროებითი საადგილმამულო კომისიისაგან კატეგორიულად მოითხოვდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას აგრარულ კანონმდებლობაში, კრძალავდა მიწის ყიდვა-გაყიდვას, გასხვისების სხვა ფორმას საკითხის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტამდე.

ბათუმის დროებითი საადგილმამულო კომისია სერიოზული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. მას არ გააჩნდა კონკრეტული საბუთები ადგილობრივი მოსახლეობის მიწათმფლობელობის ფორმების შესახებ. ოსმალური ზოგადი საადგილმამულო კანონმდებლობით პრობლემის შესწავლა შეუძლებელი იყო. მართალია, 1879 წლის ზაფხულში ტრაპიზონიდან მიიღეს მიწათმფლობელობის დავთრების ასლები, ხოლო 1880 წელს ტრაპიზონსა და რიზეში სპეციალურად მიავლინეს სახელმწიფო მოხელე საადგილმამულო დოკუმენტების ჩამოსატანად და კიდევაც ჩამოიტანა, მაგრამ ამ საბუთებმა სამართლიანი ეჭვები გამოიწვია მათი ნამდვილობის შესახებ. საქმე ის გახლავთ, რომ მიწათმფლობელობის დოკუმენტების დიდი ნაწილი გაცემული იყო 1878 წლის აგვისტოში, როდესაც თურქები ბათუმს სტოვებდნენ. ამრიგად, დროებითი საადგილმამულო კომისიის მუშაობა მნიშვნელოვანი შედეგებით ვერ დამთავრდა.

დიმიტრი ბაქრაძე 1881 წელს ზაქათალას ოკრუგში მიავლინეს იქაური მოსახლეობის საადგილმამულო საკითხების გამოსარკვევად, სადაც ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი

მუშაობა გასწია. ბათუმისა და ყარსის ოლქების საადგილმამულო საკითხები გადაუწყვეტელი რჩებოდა. ამიტომ 1883 წელს ახალი საადგილმამულო კომისია შეიქმნა, რომლის თავმჯდომარედ დანიშნეს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი, სპეციალისტად კვლავ მოიწვიეს დიმიტრი ბაქრაძე. საკითხის შესწავლას ამჯერადაც ართულებდა სანდო საბუთების ნაკლებობა. ამიტომ 1888 წელს დიმიტრი ბაქრაძე სტამბოლში მიავლინეს ახალი სარწმუნო საბუთების გამოსავლინებლად. მასთან ერთად მიავლინეს მთარგმნელი მოხელე მესტერბიშევი. მაგრამ თურქებმა ამჯერადაც ნამდვილი საბუთები დამალეს. მიუხედავად ამისა, დიმიტრი ბაქრაძემ სტამბოლიდან ჩამოიტანა 46766 თურქული საბუთის ასლები, მათ შორის 23 დავთარი, რომლებშიც მოცემულია ყარსისა და ბათუმის ოლქების ოსმალთა ბატონობისდროინდელი ისტორია, საარქივო დოკუმენტები სამიწათმოქმედო საკითხების შესახებ და სხვა (დ. ბაქრაძე, ИОПСЗ, 1889:1-33; სცსსა, ფ. 12, ან. 10, ს. 162, ფურც. 13-21).

მიუხედავად იმისა, რომ საადგილმამულო კომისიას არასაკმარისი საბუთები ჰქონდა, საკითხის შესწავლაში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. მან დაადგინა მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის რეალური ვითარება, მესაკუთრეთა კატეგორიები, მოსახლეობის მიგრაციული პროცესები, საადგილმამულო გადასახადები. აგრარული რეფორმის გატარების შემდეგ ყარსისა და ბათუმის ოლქების (1883-1903 წლებში ბათუმისა და ართვინის ოკრუგები) ფეოდალებს კერძო საკუთრებაში მიწები აღარ ჰქონდათ, მხოლოდ მუდმივ სამემკვიდრეო მფლობელობაში გადაეცათ. სანაცვლოდ დაენიშნათ სამემკვიდრეო პენსიები. მაგალითად, შავშეთ-იმერხევში საადგილმამულო პენსიას იღებდა ჯაყელების საგვარეულოს 7 ბეგი, ზემო აჭარაში–შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, მაჭახელში-ერთი, ქვემო აჭარაში–თუფან შერვაშიძე, კინტრიშის უბანში–თავდგირიძეების 10 ბეგი, ბათუმის უბანში–აბაშიძეების 6 ბეგი, ართვინის მხარეში–ათაბაგი ჯაყელების 23 ბეგი (სცსსა, ფ. 231, ან. 1, ს. 36, ფურც. 6-7).

მართალია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფეოდალებს, თანზიმათის შემდეგ, კერძო საკუთრების მიწები თითქმის აღარ ჰქონდათ, მაგრამ მფლობელობის უფლებით შეინარჩუნეს ადგილ-მამულები. ყველაზე მსხვილი მემამულე იყო შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, რომლის მფლობელობაში ითვლებოდა 8300 დესეტინამდე. აქედან ზემო აჭარაში მდებარეობდა 5834 დესეტინა, ხოლო არტაანის ოკრუგის ურისა და ყარაბახის სოფლებში–2462. თანზიმათის გატარების შემდეგ ამ ოდენობის მიწებიდან შერიფ ბეგს კერძო საკუთრებაში დაუტოვეს 16 დესეტინა (სცსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2820, ფურც. 103). მეორე მსხვილი მემამულე იყო თავდგირიძეების საგვარეულო, რომელთა საკუთრებაში მოქცეული მიწები მდებარეობდა ციხისძირიდან ჩოლოქამდე. მაგრამ ქობულეთელი თავდგირიძეები 1878 წელს ოსმალეთში წავიდნენ და მამულები ბედის ანაბარად მიატოვეს (ასმხფ, ს. 49, ფურც. 31-32).

საადგილმამულო კომისიამ დიმიტრი ბაქრაძის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით შეისწავლა სავაყუფო მიწები, დაადგინა მათი ხასიათი, ფართობი, შემწირველები და სამართლებრივი სტატუსი. ბათუმისა და ყარსის ოლქებში მეორე კატეგორიის სავაყუფო მიწები არსებობდა, რომლებიც მეჩეთებს შეწირეს ფიზიკურმა პირებმა, ანდა მათ გადაეცა სახაზინო მიწის ფონდიდან. ამ კატეგორიის მიწებს სამოქალაქო სამართალი არეგულირებდა. ბათუმის ოკრუგში სავაყუფო მიწები ჰქონდათ ბათუმის აზიზიეს მეჩეთს (10 დესეტინა), რომელიც 1861 წელს გადაეცა სახაზინო მიწის ფონდიდან.

ქობულეთელმა თავდგირიძეებმა მიწები შეწირეს ჩურუქსუს მეჩეთს, ბიბინეიშვილებმა–ერგეს მეჩეთს (50 დესეტინა). ახმედ ხიმშიაშვილმა 1829 წელს ხულოს მეჩეთს შეწირა ზემო აჭარის 4 სოფელი (ღორჯომი, დიდაჭარა, პაქსაძეები, ალმე). შავშეთ-იმერხევის ხუთი სოფელი (დაბა, ახალდაბა, ზენდაბა, ვერხუნალი, ხანთუმეთი) ათაბაგმა ჯაყელებმა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში შეწირეს ერზრუმის ლალა-ფაშას მეჩეთს. გარდა ამისა ბათუმის ოლქში არსებობდა საშუალი და წვრილი სავაყუფო მიწები. სავაყუფო მიწების საერთო ფართობი 144 დესეტინას შეადგენდა (ბათუმის ოკრუგში–85, ხოლო ართვინის ოკრუგში–59 დესეტინა). შედარებით მსხვილი სავაყუფო მიწებიდან აღსანიშნავია ლეღვას მეჩეთის (10 დესეტინა), სოფელ ქობულეთის (8 დესეტინა), დაგვის მეჩეთის (7 დესეტინა) მიწები (სცსსა, ფ. 12, ან. 10, ს. 2026, ფურც. 45-51; ფ.13, ან. 7, ს. 2909, ფურც. 82; ფ. 13, ან. ს. 604, ფურც. 42-45).

საადგილმამულო კომისია ასევე დიდი მუშაობა ჩაატარა სამიწათმოქმედო გადასახადების შესწავლისათვის. მან დაადგინა საადგილმამულო გადასახადების და მოსაკრებლების სახეები, რაოდენობა, გადახდის წესები და სხვა. თანზიმათის განხორციელების შედეგად ძირითადი საადგილმამულო გადასახადი იყო აშარი (მიწის შემოსავლის ერთი მეათედი), მოსაკრებლები-რუსუმათ-არმაზი და აღნამ-რასმი (საძოვრებზე დაწესებული). აშარის რამოდენიმე სახე არსებობდა. მის ფულად სახეს თახშირი ეწოდებოდა, რუსუმათ-არაზს ახდევინებდნენ მსხვილფეხა პირუტყვზე, ხოლო აღნამ-რასმს- წვრილფეხა პირუტყვზე (სცსსა, ფ.229, ან.2, ს. 674, ფურც. 10–52).

დ. ბაქრაძემ საყურადღებო ცნობები შემოგვინახა ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან მოსახლეობის მიგრაციის შესახებ. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით (1878 წლის ივლისი) მუჰაჯირობის სამწლიანი ვადა დაწესდა. ამ მიმართებით რუსეთმა და ოსმალეთმა თავიანთი ვალდებულებანი იკისრეს. ყარსის ოლქიდან მოსახლეობა მასობრივად გადასახლდა ოსმალეთში. რუსეთის მთავრობამ ყარსის ოლქის მუჰაჯირობის მიწები გამოისყიდა, შესაბამისი თანხა გადაუხადა ემიგრირებულ მოსახლეობას. ბათუმის ოლქში ეს არ მომხდარა. დიმიტრი ბაქრაძის ცნობით 1878-1880 წლებში ბათუმის ოლქიდან ოსმალეთში გადასახლდა 21370 სული. მათ შორის იყო: 10512 მამაკაცი და 10858 დედაკაცი. ეს რაოდენობა დაახლოებითია, რამდენადაც ადგილი ჰქონდა უკუმიგრაციასაც (სცსსა, ფ. 229, ან.1, ს. 12, ფურც. 20).

საადგილმამულო კომისიამ ვერ შეძლო მუჰაჯირობის მიწების ფართობის ზუსტი დადგენა. საქმე ის არის, რომ ზოგიერთმა გაყიდვა მოასწრო, დანარჩენებმა ნათესავებს დაუტოვეს. ჩაქვის ხეობის ხუთ სოფელში (ჩაქვი, სახალვაშო, დიდიჯამე, გორგაძეები, ჩაქვისთავი) მუჰაჯირთა მიწები 1300 დესეტინას შეადგენდა, რომლიც მოგვიანებით საუფლისწულო უწყებას გადაეცა. მუჰაჯირების დანარჩენი მიწები ბათუმისა და ყარსის ოლქების სამხედრო გუბერნატორების გამგებლობაში გადავიდა და დაიწყო მათი იჯარით გაცემა.

ბათუმის ოლქის მიწისმფლობელებმა, რამდენადაც მათ კერძო საკუთრების დამადასტურებელი საბუთები არ გააჩნდათ, თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებისთანავე დაიწყეს მიწების გაყიდვა. ბათუმელმა აბაშიძეებმა 1879 წელს 457 დესეტინა და 1527 კვადრატული საჟენი მიწა მიყიდეს რუსეთის არმიის ვიცე-პოლკოვნიკ იასონ იოსელიანს 60 ათას რუბლად, რომელიც მდებარეობდა ქალაქის ნავსადგურის სიახლოვეს და სოფელ ურეხში. იმავე წელს აბაშიძეებმა 724 კვადრატული საჟენი მიწა მიყიდეს დურმიშხან ჟურულსა და ივანე შადინოვს. 1882 წელს 10 დესეტინა და 1848 კვადრატული

საჟენი მიწა მიყიდეს თურქეთის ქვეშევრდომებს მუსტაფ ეფენდი ჰაჯი მამუდ ზადეს და ოსმან ეფენდი ხალილ-აღა ზადეს 4000 რუბლად. ყიდვა-გაყიდვის საბუთებს აბაშიძეების მხრიდან ხელს აწერდნენ ხუსეინი, ახმედი, იბრაიმი და დურსუნი. ყიდვა-გაყიდვის საბუთები გააფორმა ბათუმის ნოტარიუსმა. ამ გარიგებებს მეფის მთავრობა არ ცნობდა და გაუთავებელი დავა მიმდინარეობდა აბაშიძეებს და მთავრობის მოხელეებს შორის (ო. თურმანიძე, 2009:139-140). მიწები გაყიდეს სხვა მიწისმფლობელებმაც, კერძოდ საქველმა ბეჟანიძეებმა და სხვებმა. მაგალითად, XIX საუკუნის 80-იან წლებში აჭარაში ადგილობრივი მოსახლეობიდან მიწები იყიდეს კოლონისტებმა: სოლოვცოვმა (300 დესეტინა), დალფონსმა (123 დესეტინა) და სხვებმა.

რუსეთის მთავრობის ღონისძიებები მიწების ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ არაეფექტური აღმოჩნდა. საადგილმამულო კანონმდებლობაში მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ სერიოზული ხარვეზები გამოვლინდა. ამიტომ მთავრობა ჩქარობდა საადგილმამულო საკითხის კანონმდებლობით გადაწყვეტისათვის. 1884 წელს შეადგინეს პირველი კანონპროექტი 'ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების მოსახლეობის მიწათმოწყობის შესახებ“, მაგრამ ადგილობრივი მიწათმფლობელების წინააღმდეგობის გამო ვეღარ დაამტკიცეს. 1889 წელს შეიმუშავეს ახალი კანონპროექტი 'ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ადგილობრივი მოსახლეობის საზოგადოებრივი მმართველობისა და მიწათმოწყობის შესახებ“. პროექტის პირველი ნაწილი ითვალისწინებდა სასოფლო მმართველობის რეფორმას, ხოლო მეორე ნაწილი – მიწის საკუთრებისა და საგადასახადო სისტემის კანონმდებლობით გადაწყვეტას. ამ ახალი კანონპროექტით, აღნიშნული რეგიონების ადგილ-მამულები სახაზინო საკუთრებად ითვლებოდა, ხოლო მოსახლეობა–სახელმწიფო გლეხთა დასახლებად. ამრიგად, ადგილობრივ მოსახლეობას მიწები ეძლეოდათ მხოლოდ მფლობელობა-სარგებლობის უფლებით.

აღნიშნულ კანონპროექტს საფუძვლად ედო საადგილმამულო კომისიის მიერ მოძიებული მასალები და შესაბამისი დასკვნები. საქმე ის გახლავთ, რომ ოსმალეთის მთავრობის მიერ მოწოდებულ მასალებში არ აღმოჩნდა მიწებზე კერძო საკუთრების დამადასტურებელი საბუთები. მართალია, დიმიტრი ბაქრაძემ ამ რთული პრობლემის შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა, მაგრამ მას არ შეეძლო სხვაგვარი დასკვნის გაკეთება. დიმიტრი ბაქრაძე 1890 წელს გარდაიცვალა. 1889 წლის კანონპროექტი კავკასიის სამეფისნაცვლომ დასამტკიცებლად პეტერბურგში გადააგზავნა, მაგრამ მეფის მთავრობამ ამჯერადაც არ დაამტკიცა. მიზეზი იყო აქაური მიწათმფლობელების თავგანწირული ბრძოლა ადგილ-მამულზე კერძო საკუთრების აღიარებისა და საკანონმდებლო წესით გადაწყვეტისათვის.

XIX საუკუნის 90-იან წლებში იყო არაერთი მცდელობა საკანონმდებლო წესით მოეწესრიგებიათ ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობის საადგილმამულო საკითხები. 1894 წლის ოქტომბერში პეტერბურგში საგანგებო თათბირიც გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა, შინაგან საქმეთა, სამხედრო, იუსტიციის სამინისტროებისა და კავკასიის მთავარმართებლის წარმომადგენლები. თათბირზე დაფიქსირდა განსხვავებული პოზიციები. შინაგან საქმეთა, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროების, კავკასიის მთავარმართებლის წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფდნენ ადგილობრივი მოსახლეობის კერძომესაკუთრულ უფლებას მიწაზე. არაკანონიერად თვლიდნენ მიწების ყიდვა-

გაყიდვას, მოითხოვდნენ ამ საკითხზე ნოტარიუსისა და სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვასა და გაუქმებას.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი კოლონისტებს იცავდა. კანონიერად თვლიდა მოახალშენეების მიერ ბათუმისა და ყარსის ოლქებში მიწების შეძენას, ამის თაობაზე ნოტარიუსისა და სასამართლოს გადაწყვეტილებებს. სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელი ადგილობრივი მოსახლეობის კერძომესაკუთრულ უფლებებს იცავდა, მოითხოვდა მიწების კერძო საკუთრებაში დამტკიცებას ხანდაზმულობითი მფლობელობის კანონმდებლობის საფუძველზე. აღნიშნული კანონი როგორც რუსეთში, ისე ოსმალეთში მოქმედებდა. ამ თათბირზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, პრობლემა გადაწყვეტილი დარჩა.

ბათუმის ოლქის მიწათმფლობელები განუწყვეტლივ დავობდნენ მიწაზე კერძო საკუთრების საკანონმდებლო წესით გადაწყვეტისათვის. 1906 წლის მარტში ბათუმის ოლქის მოსახლეობის წარმომადგენლებმა მოხსენებითი ბარათი გადასცეს კავკასიის მეფისნაცვალს, მოითხოვდნენ მიწების კერძო საკუთრებაში დამტკიცებას, გასხვისების უფლებას, სახელმწიფო ტყით უფასოდ სარგებლობას, მუჰაჯირების მიწების სოფლის საზოგადოებებზე გადაცემას, სკოლებისა და საავადმყოფოების გახსნას და სხვა (სცსსა, ფ. 229, ან.1, ს. 1163, ფურც. 7-8). რუსეთის პირველი რევოლუციის გავლენით კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი ლიბერალიზმის ფარაჯაში გაეხვია. 1907 წლის 10 თებერვლის წერილში, რომელიც პეტერბურგის უმაღლეს ინსტანციაში გააგზავნა, ვორონცოვ-დაშკოვი მოითხოვდა ბათუმისა და ყარსის ოლქების ადგილობრივი მოსახლეობის კერძო საკუთრებაში მიწების დამტკიცებას ხანდაზმულობითი მფლობელობის კანონის საფუძველზე (cxao, IV. 1955:86-87).

რევოლუციის დამარცხების შემდეგ ვორონცოვ-დაშკოვმა გადაიძრო ლიბერალიზმის ნიღაბი. იგი გამოვლინდა 1910 წლის კანონპროექტის განხილვისას, რომელიც ითვალისწინებდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიწების უსასყიდლოდ კერძო საკუთრებაში დამტკიცებას. ვორონცოვ-დაშკოვი მოითხოვდა პროექტის გადამუშავებას და მიწების კერძო საკუთრებაში დამტკიცებისათვის მიწათმფლობელებისათვის გამოსასყიდი თანხის გადახდას. გადამუშავებული პროექტი 1912 წლის 12 ივლისს განიხილა მეფისნაცვლის საბჭომ. იგი მოიწონეს და პეტერბურგში გადააგზავნეს დასამტკიცებლად. კანონპროექტის მიხედვით ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობას 1912 წლის პირველი იანვრიდან კერძო საკუთრებაში დაუმტკიცდებოდა მათ მფლობელობაში არსებული ადგილ-მამულები, ამისათვის 28 წლის განმავლობაში წლიურად უნდა ეხადათ 18 ათასი რუბლი. პეტერბურგში აღნიშნული კანონპროექტის განხილვა-დამტკიცება გაჭიანურდა.

მიუხედავად ამისა, 1902-1812 წლებში ადგილ-მამულები დაუმტკიცეს მოახალშენეებს, რომლებმაც ნაყიდ მიწებზე სუბტროპიკული კულტურები გააშენეს. ადგილობრივი თავადაზნაურებებიდან გამონაკლისი იყო შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის მემკვიდრეები. რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ მეორის 1912 წლის 25 აპრილის ბრძანებით შერიფ ხიმშიაშვილის მემკვიდრეებს კერძო საკუთრებაში დაუმტკიცეს 8000 დესეტინაზე მეტი მიწა. ამ ბრძანების საფუძველი იყო შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის დამსახურება რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში (სცსსა, ფ.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ შეიცვალა პოლიტიკური ვითარება, რის გამო ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობის მიწათმოწყობის საკითხმა

აქტუალურობა დაკარგა. კანონპროექტი პროექტად დარჩა. 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების შემდეგ ახალი რეალიები შეიქმნა. ამჟამად საადგილმამულო საკითხის შესახებ კანონპროექტები და მოსახლეობის თავგანწირული ბრძოლა ადგილ-მამულისათვის ისტორიის გამოცდილებაა, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან მეცნიერულ შესწავლას იმსახურებს. ამ გამოცდილების შესწავლა მნიშვნელოვნად წაადგება თანამედროვეობას.

History

Dimitri Bakradze and Homestead Relations in South-West Georgia

Otar Turmanidze

As a result of the 1877-1878 Russian-Turkish War, South-west Georgia was liberated from the domination by the Ottomans. The districts of Karsi and Batumi were formed. The main problem of the Russian colonial policy towards these regions was the clarification of the issue related to the homestead and its legislation solution. This led to formation of the special committee 1879. The chairperson of the committee was Dimitri Bakradze.

The article studies Dimitri Bakrade's merit in the study of the ottoman forms and rules related to the homestead. The committee under the leadership of Dmitri Bakradze studied the actual condition. The article states that in the Ottoman Empire after the agrarian reform there were five forms of Land ownership. Among them, the state land was the main (Erzi Mirie).

The committee concluded that there were not any private ownership forms of land. All lands belonged to the state. Based on the findings of the committee according to the instruction of the Russian Government in 1890 the draft law was made about the ownership of land in the districts of Karsi, Batumi, and Artvini. the draft law meant that the lands of Karsi and Batumi districts became treasury property and the local residents were announced that it was a state settlement. The resistance of the population resulted in changing the draft law several times. According to the draft law of 1912, the districts of Karsi and Batumi became the state property, and the population could acquire the lands. However, after the WWI draft Law of 1912 was not approved. Now this draft belongs to history.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი (ფ) 12, ანაწერი (ან.) 10, საქმე (ს.) 162, 2026.
2. სცსსა, ფ. 13, ან.7, ს. 2909; ან. 10, ს. 604.
3. სცსსა, ფ. 229, ან.1, საქმეები (სს. 12, 1163).
4. სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674.
5. საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის დიმიტრი ბაქრაძის ფონდი (სხიდბფ) 32.
6. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი (ასხმსფ), ს. 49.
7. Сельское хозяйство и аграрные отношения, том IV, Тбилиси, 1955 (схао).
8. Д. Бакрадзе, историко-экономический очерк карской области, известия кавказского отдела императорского Русского географического общество, т. VII, №1, 1882-1883 (Д. Бакрадзе, иэоко).
9. Д. Бакрадзе, О землепользовании по Турецким законам, юридическое обозрение, 1884, № 150, 151.
10. Д. Бакрадзе, Краткий свод законов Турецкий по поземельному закону из дустура. Юридическое обозрение, 1884, №153, 158.
11. Д. Бакрадзе, Исторический очерк Турецкой системы землепользования к протоколу Кавказского юридического общества, 1889, №9.
12. Д. Бакрадзе, Кинтришский участок (Батумской области), ქართული ისტორიოგრაფია (ქი). თბილისი, 1975.
13. მ. დუმბაძე, დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950.
14. ო. თურმანიძე, საადგილმამულო ურთიერთობანი და აგრარული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1929 წლები). ბათუმი, 2009.

ახალი მასალები გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყების შესახებ

ოთარ გოგოლიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1841 წელს გურიაში მოხდა გლეხთა დიდი აჯანყება, რომელიც სამნახევარ თვეს, 22 მაისიდან (ახალი სტილით 4 ივნისიდან) სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდა. აჯანყება მიმართული იყო გლეხთა აუტანელი ექსპლოატაციის, მძიმე გადასახადების, ცარიზმის მიერ შემოღებული რუსული დესპოტური მართვის სისტემის, ბატონყმური წყობილების, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, იგი არ იყო განკერძოებული მოვლენა და თავისი არსით ობიექტურად უკავშირდებოდა მთელი რუსეთის გლეხობის ბრძოლას დამყარებული ბატონყმური ცხოვრების წესის წინააღმდეგ, როგორც საერთო დემოკრა-ტიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი სახელოვანი, გმირული ეპიზოდი.

მართალია ეს აჯანყება იყო სტიქიური, ნათელ, სწორ პროგრამასა და ხელმძღვანელობას მოკლებული მოვლენა, რამაც განაპირობა მისი მარცხი, მაგრამ მან შეასრულა მნიშვნელოვანი პროგრესული როლი. იგი ეკუთვნის იმ აჯანყებათა ნაკადს, რომლებაც შეარყია ბატონყმობისა და ცარიზმის ბატონობა.

აჯანყება ასე დაიწყო. 1841 წლის მაისში აკეთის უბნის მსაჯული თავადი ბარათაშვილი ახალი ფულადი გადასახადის აკრეფას შეუდგა. გადასახადს რუსული ფულით თხოულობდნენ. მოსახლეობამ, რომელსაც არ გააჩნდა ასეთი ფული, უარი განაცხადა გადასახადის გადახდაზე. 24 მაისს გადასახადის ამკრეფმა ოჯახებიდან ძალით წაიღო საოჯახო ნივთები, სამეურნეო ინვენტარი (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი # 220, ფურც. 16-18).

გლეხობის მოთმინების ფიალა აივსო. ჭანჭათელი გლეხების ჯგუფი ენუქა, გოგია და ათანასე ვადაჭკორიების მეთაურობით თავს დაესხა გადასახადის ამკრეფ გოგოსი დოროძეს და წაართვა მას აკრეფილი ფული და ნივთები. შემდეგ გლეხებს შეუპყრიათ აკეთის ნაცვალი, რომლისთვისაც ნახევარი წვერი გაუპარსავთ და ჭანჭათიდან გაუგდიათ. უბნის მსაჯული ბარათაშვილი თავად გაეშურა გლეხთა დასაპატიმრებლად.

ენუქა, გოგია და ათანასე ვადაჭკორიებმა შეკრიბეს აკეთისა და ლანჩხუთის გლეხები და შეადგინეს 300 კაციანი ფირალთა რაზმი. 28 მაისს გლეხთა რაზმი კვლავ მიადგა ბართაშვილის ბინას. გლეხებმა სთხოვეს მსაჯულს მაზრის უფროსისათვის გადაეცათ მათი მოთხოვნები: 1 გაეუქმებინათ ახალი გადასახადი. 2. არ დაესაჯათ აჯანყების წამომწყები გლეხები. 3. გადაეყენებინათ აკეთის ნაცვალი (სცსსა, ფ. 229, აღწ. 1, საქ. 1496, ფურც 25).

მაზრის უფროსი იაცენკო აკეთში ჯარისკაცთა ასეულით მისულა და მტკიცედ მოუთხოვია გადასახადის ფულით გადახდა (სცსსა, ფურც. 29-31). გლეხთა მღელვარების მოთავენი ტყეში დაიმალნენ.

30 მაისს ახალი გადასახადის შეტანაზე უარი განაცხადეს სოფელ ვანის გლეხებმაც, იქაც მივიდა მაზრის უფროსი. გლეხთა მღელვარება გრძელდებოდა ლანჩხუთში, მაგრამ მაზრის უფროსმა ლანჩხუთში წასვლა ვეღარ გაბედა და დაბრუნდა ოზურგეთში.

აკეთში გლეხთა აჯანყება გრძელდებოდა. გლეხთა რაზმმა კურსი აიღო ოზურგეთისაკენ. აჯანყება მოედო გურიის სხვა სოფლებსაც.

ლიხაურის თემში აჯანყებულებს წინამძღოლობდნენ გლეხები ოთარ და ნიკოლოზ თოიძეები, გოჩა გორდელაძე და სხვები. ასკანაში- მამუკა ანთაძე და მუხარბეგ დოლიძე. შემოქმედში- გოგია და როსტომ მამინაშვილები. ჯვარცმაში- იორდანე პაიჭაძე, გუბაზეულის ხეობაში- ბუღარა მამალაძე (სიხარულიძე, 1956:19-20).

აკეთიდან წასულ გლეხთა რაზმი მივიდა შემოქმედში. გლეხებმა იქ მოსალაპარაკებლად მიიწვიეს მაზრის უფროსი, რომელმაც აჯანყებულებთან მისვლა არ იკადრა. შემოქმედიდან გლეხები გაემართნენ ლიხაურისაკენ, სადაც მათ შეუერთდნენ იქაური აჯანყებულები გოჩა გორდელაძის, ოთარ და ნიკილოზ თოიძეების, აზნაურ სიმონ გოგოლიშვილისა და სხვების მეთაურობით. ლიხაურიდან ჯანყის მონაწილენი გადავიდნენ დვაბზუში, ჩახერგეს გზები და შემდეგ გაემართნენ გურიანთისაკენ. მაზრის უფროსმა თავად მაიორ გიორგი ნაკაშიძეს უბრძანა ცეცხლის გახსნა აჯანყებულების წინააღმდეგ. დაიწყო შეტაკება, რომლის დროს მოკლეს სახაზინო გლეხი როსტომ მჟავანაძე, ელიზაბედ გურიელის ყმა - გოგია მენაბდე, დაჭრეს ყმა დიონისე ჭანუყვაძე, გლეხობა გაიფანტა (სიხარულიძე, 1956:22).

9 ივნისს განახლდა აჯანყება აკეთში და შემდეგ მთელ გურიაში. აჯანყების ჩაქრობა დაევალა ახალციხის სამხედრო ოლქის უფროსს, პოლკოვნიკ მოსე არღუთინსკის, რომელიც დაუქვემდებარეს საქართველო- იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორ კახანოვს. იგი 12 ივნისს ოზურგეთში ჩამოვიდა. 13 ივნისს დაღესტნიდან დაბრუნდა გურიანთაში მდგარი ჯარების უფროსი პოლკოვნიკი ბრუსილოვი. მ. არღუთინსკი ახალციხეში გაბრუნდა.

გლეხობა თითქოს მიწყნარდა და 16 ივნისს გურიიდან წავიდა გუბერნატორი კახანოვი.

მალე გლეხობა კვლავ ამოქმედდა. 17 ივნისს ასკანელმა გლეხებმა განაცხადეს უარი ახალი გადასახადის შეტანაზე. 20 ივნისს ჯანყი კვლავ გაძლიერდა შემოქმედში მებატონე ელისაბედ გურიელის რეპრესიული მოქმედების წინააღმდეგ. 21 ივნისს, სოფელ ჯვარცმიდან საჯავახოსკენ გაემართნენ აჯანყებულნი, რომელთა რიგები გზადაგზა იზრდებოდა. 1500-მდე კაცს ითვლიდა გლეხთა რაზმი იორდანე პაიჭაძის მეთაურობით.

გუბერნატორი კვლავ ჩამოვიდა გურიაში, მოიარა მღელვარე სოფლები. ამჯერად გლეხებმა შეასრულეს მისი ბრძანება და დაიშალნენ. მოძრაობა მინელდა.

გამოსვლები განახლდა ივლისის დასაწყისში. 4 ივლისს თხილვანელმა გლეხებმა განაცხადეს უარი ახალი გადასახადის გადახდაზე. მათ სწრაფად გამოეხმაურნენ აკეთელი გლეხები. შემდეგ მოძრაობა გურიაში ისევ მიწყნარდა, მაგრამ იმ პერიოდში გლეხთა აჯანყებამ იმერეთში იფეთქა.

ივლისის დამდეგს ხელახლა აჯანყდნენ ოზურგეთის უბნის რიგი სოფლების გლეხები, 26 ივლისს სოფელ ხვარბეთში შეიკრიბა 200-მდე შეიარაღებული გლეხი, მათ მიყვნენ გურიანთის, ლიხაურისა და სხვა სოფლების გლეხები (სცსსა, ფ. 548, აღწ. 1. საქ. 5709, ფურც. 62).

მაზრის უფროსი იაცენკო 1 აგვისტოს მივიდა გურიანთაში და აჯანყებულებს უბრძანა დაშლილიყვნენ, მაგრამ უმრავლესობა მას არ დაემორჩილა.

აჯანყებულთა ერთი ნაწილი გაიგზავნა გურია- იმერეთის საზღვარზე, რათა გზა ჩაეკეტა გურიაში მიმავალი სამხედრო ძალებისათვის. მეორე ნაწილი დაიძრა შეკვეთილისაკენ, რომელსაც ეწოდებოდა წმინდა ნიკოლოზის სიმაგრე.

8 აგვისტოს გურიაში შეიარაღებული აჯანყება აზვირთდა. 9 აგვისტოს, დილის 5 საათზე, ბრუსილოვი 200 კაცის თანხლებით გაემართა ოზურგეთიდან შეკვეთილისაკენ. გოგორეთთან მათ დაუხვდათ აჯანყებულთა 500 კაციანი რაზმი აბესა ბოლქვაძის მეთაურობით. ბრუსილოვმა აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა კაპიტანი გაბაშვილი, მაგრამ მოლაპარაკება ვერ მოხერხდა. გაჩაღდა ბრძოლა. აჯანყებულებმა უკუაქციეს და დაამარცხეს ბრუსილოვის რაზმი. ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი აბესა ბოლქვაძემ, რომელიც ისტორიკოს ჩუდოვინის ცნობით დაიჭრა კიდეც.

გრიგორეთის ბრძოლაში გამარჯვებამ ხელი შეუწყო აჯანყების გაძლიერებას, მის გაფართოებასა და განვითარებას (საქართველოს ისტორია, 1956:424).

აჯანყებულთა ერთმა რაზმმა 200 კაცის შემადგენლობით ხელთ იგდო ჩოლოქის საგუშაგო. გლეხთა ერთმა ჯგუფმა კი აზნაურ გოგია ქარცივაძის მეთაურობით დაიკავა ნატანების საგუშაგო. მალე მთლიანად აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა სამხრეთ- დასავ-ლეთი გურია, ხოლო აღმოსავლეთ გურიაში ოზურგეთ - ქუთაისის საკომუნიკაციო ხაზი.

შემდეგ სამხრეთ- დასავლეთ გურიაში აჯანყებულებმა 10 აგვისტოს იერიში მიიტანეს შეკვეთილის წმინდა ნიკოლოზის სიმაგრეზე, რომლის აღების შემდეგ ფოთისაკენ გაემართნენ.

გურიაში რეაქციული ძალების მისაშველებლად 18 აგვისტოს ფოთიდან გამოვიდა დავით დადიანი. იმავე საღამოს მისი ხელმძრვანელობით სამეგრელოს 500 კაციანმა მილიციამ შეძლო აჯანყებულთა უკუგდება მალთაყვიდან. ორი დღის ძლიერი ბრძოლის შემდეგ კი დაიკავეს გრიგოლეთი. როგორც ისტორიკოს ნ. მურავიოვის გადმოცემა ადასტურებს, აჯანყებულები მოწინააღმდეგეებს ასე მიმართავდნენ: ,,რისთვის მოდიხართ თქვენ ჩვენზე? თქვენთანაც იქნება ისე, როგორც ჩვენთან არის, თქვენთანაც აიღებენ გადასახადს“ და სხვა. ასეთ მიმართვას შედეგი გამოუღია. მეგრული მილიციის გლეხურმა ნაწოლმა არ ისურვა წინსვლა და შინ დაბრუნდა. გრიგოლეთის ბრძოლაში სამეგრელოს მილიცია დამარცხდა. 23 აგვისტოს კი მან უკან დაიხია ფოთისაკენ.

აჯანყებულებმა გარემოიცვეს ოზურგეთი. ბრიუსილოვის რაზმი საფრთხეში იყო. გარნიზონი შველას ითხოვდა. აჯანყების ჩამქრობ ექსპედიციას სათავეში ჩაუყენეს პოლკოვნიკი მ. არღუთინსკი.

16 აგვისტოს ნაგომარში მივიდა იმერეთის პოლიცია პოლკოვნიკ წერეთლის ხელმძღვანელობით, მაგრამ გზა ვერ განაგრძო. რადგან ნასაკირალის გადასასვლელზე გამაგრებულნი იყვნენ აჯნყებულნი. მილიციამ უკან დაიხია და მოახერხა პორუჩიკ ლევინსკის რაზმთან შეერთება.

ოზურგეთის ასაღებად აჯანყებულთა იერუშის დაწყება გაჭიანურდა. აჯანყების წინამძღოლებს შორის ერთსულოვნება არ იყო.

მეორე მხრივ, გახშირდა მილიციელთა გადასვლა აჯანყებულთა ბანაკში, განსაკუთ-რებით 27-28 აგვისტოს ღამით. სწორედ ამ მომენტში თავი იჩინა თავადაზნაურობის მისწრაფებამ - ესარგებლათ აჯანყებით თავიანთი დაკარგული პრივილეგიების აღსადგენად.

აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა თავადი დავით გუგუნავა, რომელიც ოზურგეთის იერიშის დროს იდგა ერთ-ერთი რაზმის სათავეში. ლანჩხუთიდან რაზმით უნდა მოსულიყო დავით გურიელი- პოეტ მამია გურიელის მამა.

აჯანყების მთავარი წინამძღოლი გახდა თავადი ამბაკო შალიკაშვილი. იგი 1794 წელს დაბადებულა სოფელ ვანში. დასახლებულა სოფელ შემოქმედში, მსახურობდა მეფის არმიაში, იყო პროპრორშჩიკი. გლეხთა აჯანყების დაწყებისას იგი ოზურგეთის მილიციაში ირიცხებოდა. შემდეგ, ავადმყოფობის მიზეზით გამოსულა იქედან და აჯანყებას ჩადგომია სათავეში.

აჯანყებულთა იერიში ოზურგეთზე წარუმატებლად დამთავრდა, ვერ განოხორციელეს ერთდროული შეტევა ყველა მხრიდან. დაქსაქსულად მოქმედებდა ოზურგეთში გამაგრებული ჯარი, რომელიც შეიარაღებით სჯობდა აჯანყებულთა რაზმებს.

9 სექტემბერს დილის 9 საათზე ოზურგეთში მივიდა აჯანყების ჩასახშობად დიდი შეიარაღებული ექსპედიცია მ. არღუთინსკის მეთაურობით, გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა, აჯანყებულები დამარცხდნენ.

მ. არღუთინსკის გურიაში ახლდა და დამსჯელ ექსპედიციაში მონაწილეობდა პოეტი გრიგოლ ორბელიანი. როგორც ელ. მაღრაძე აღნიშნავს, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანის გენიალური დისშვილი, სრულიად სამართლიანად საყვედურობდა ბიძას უდანაშაულო გურული გლეხების სისხლის დაქცევას. შემდგომში გარკვეულ სინანულს გრძნობდა თვით გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც გაუხარდა დაპატიმრებული აჯანყებულთა გათავისუფლება.

აჯანყების მონაწილე შეიარაღებული გლეხთა რიცხვი 7200 კაცს აღწევდა. აჯანყების დროს ბრძოლებში გმირულად დაიღუპნენ აბესა ბოლქვაძე, გიორგი ვადაჭკორია და სხვები.

ქუთაისში 1842 წლის 3 თებერვალს დაიწყო და 13 მარტს დამთავრდა სამხედრო სასამართლოს პროცესი აჯანყების აქტიური მონაწილეების წინააღმდეგ. მთავარმმართველმა გოლოვინმა დაამტკიცა მკაცრი განაჩენი 34 ბრალდებულის შესახებ.

განაჩენი ასეთი იყო: პირველი თანრიგის, პირველი ხარისხის დამნაშავეებად სცნეს თავადი ამბაკო შალიკაშვილი, აზნაურები ქაიხოსრო გუგუნავა და სიმონ ჭყონია. მათ ერთმეოდათ ყოველგვარი უფლება და იგზავნებოდნენ ციმბირში საკატორღო სამუშაოებზე. ასევე ციმბირში იგზავნებოდნენ მეორე თანრიგის მესამე ხარისხის დამნაშავე ალექსანდრე ნაკაიძე, პირველი თანრიგის მეორე და მესამე ხარისხის დამნაშავე გლეხები: ესიკა მამულაიშვილი, გოგია ჯიბლაძე და სხვები. ისინი შპიცრუტენებით დასაჯეს შემდეგ იგზავნებოდნენ ბობრუისკის პატიმართა ასეულში 10 წლის ვადით. მეორე თანრიგის პირველი ხარისხის დამნაშავენი ენუქა ვადაჭკორია, გოგია ვადაჭკორია და სხვები. ასევე, შპრიცრუტენებით დასჯის შემდეგ 10 წლის ვადით იგზავნებოდნენ სევასტოპოლის პატიმართა ასეულში, ხოლო ათანასე ვადაჭკორია, ნიკოლოზ ვადაჭკორია, დავით მეგრელიძე- ბრესტ-ლიტოვსკში (სცსსა. ფ. 648, აღწ. 1. საქ. 709, ფურც. 90-100).

არ გაუსამართლებიათ თავადი დავით გუგუნავა, აზნაური ათარმიზა თოიძე და სხვები, რომლებიც ბოლომდე არ მიყვნენ აჯანყებას.

აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მან პროგრესული როლი მაინც შეასრულა. მას საპატიო ადგილი უჭირავს ცარიზმის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მატიანეში. ამ აჯანყებამ მეფის ხელისუფლებაც კი აიძულა გამოეტანა სათანადო დასკვნები. გამოიგზავნა კომისია მდგომარეობის შესამოწმებლად. Aამის შემდეგ სენატმა უარყო

რუსეთის გუბერნიების წესები საქართველოში ბრმად გადმოღებისა და შეიმუშავა ახალი წესები.

რუსეთის ხელმწიფე ნიკოლოზ პირველიც კი იძულებული გახდა შეეცვალა სამხედრო სასამართლოს განაჩენი. ა. შალიკაშვილის გარდა, ყველას აპატია დანაშაული. ა. შალიკაშვილი კი ციმბირში კარგახანს დარჩენილა. შემდეგ იგი რუსეთის იმპერატორს კატორღიდან გაუთავისუფლებია აღმოსავლეთ ციმბირის გუბერნატორის ს. მურავიოვის შუამდგომლობით, რადგან ადრე ა. შალიკაშვილს ს. მურავიოცი სიკვდილისაგან უხსნია კავკასიაში სამსახურის დროს.

სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ საზღვარგარეთ გადახვეწილ აჯანყების აქტიურ მონაწილეებსაც: თავად მიხეილ მაქსიმელაშვილს, აზნაურებს სიმონ გოგოლიშვილს და გიტო გოგორიკიძეს, გლეხებს გოგია გორდელაძეს, როსტომ სიხარულიძეს, მქსიმე ხუხუნაიშვილს. ისინი სამშობლოში დაბრუნებულან.

History

The Peasants' Rebellion of 1841 in Guria

Otar Gogolishvili

In 1841 there was a great rebellion of peasants in one of the Georgian parts, Guria, which lasted for three months and a half, from May 22 (June 4 by the Gregorian calendar) to September. This rebellion was directed against the unbearable exploitation of peasants, heavy taxes, Russian tsarist despotic system of governing, serf dome system, social and national oppression. That was not a single event. With its significance it was the objective part of the struggle of Russian peasants against the serfdom style of life and the one of the glorious, heroic episodes of common democratic-liberation movement

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი #220
2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (შემოკლებით სცსსა), ფ. 229, აღწ. 1, საქ. 1496
3. იური სიხარულიძე, გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს, ბათ. 1956,
4. სცსსა, ფ. 548, აღწ. 1. საქ. 5709, ფურც. 62
5. საქართველოს ისტორია, თბ. 1956
6. სცსსა. ფ. 648, აღწ. 1. საქ. 709, ფურც. 90-100

History

The German-Georgian Poti Agreement of May 28th 1918

Nugzar Zosidze, Levan Katcharava

The relation of Georgia and Germany has started from late Middle Ages. German travelers, diplomats and scientists provide information to Germany and whole Europe about Georgia, Georgian people, their political belief and history, culture and nature. Among the most remarkable ones are: Shitberberg, Guldenstedt, Reinex, Haxtauzen, Vinkelman, Kant, Lesing, Wolf, Steder, Bodenstedt, etc.

Such interest in Georgia and Transcaucasia was not accidental, if the latter, part of Minor Asia, Persian Gulf and East Coast of Mediterranean Sea would find itself in the hands of German states in the form of main central parts of commercial magisterial, which would bring economic and political success.

The closeness of Georgia and Germany lasts in the 19th century. Till 1848, German colonies existing in Georgia were referred as “German colonies of Georgia' [7:6]. From middle ages of the 19th century German capital expressed its great interest towards Georgia. Since 1858 German company 'Siemens' starts to appear in Georgia establishing the network of telephone lines. The word achievement of this period is London-Calcutta telephone landline (10 000 km in length). Its main establishment was Tbilisi. Brothers Walter and Otto Siemens are buried in Tbilisi, though their graves unfortunately are lost.

Particularly the interest of Germany increased towards Transcaucasia during the period of First World War. Germany found itself facing difficult political dilemma. If it on the one hand tried to realize the own interests towards Caucasus through Ottoman people, on the other hand for the same purposes it sought for basis in Transcaucasia in the face of Georgia.

After signing the Peace of Brest-Litovsky of March 3rd 1918, Ottoman Turkey required the transfer of Batumi Karsi and Artaani regions. But Transcauacias denied he requirement of Turkey. The Commissariat of Transcaucasia realized quite well that starting war with Ottoman Turkey was destined from the beginning, that’s why they tried to use diplomatic ways to settle conflict. Eaxctly this was followed by Trabzon and Batumi Peace Conferences. From May 1918, before Germany would lost the alliances in world war, this relation was gaining the military-political alliance signs. [8:27].

The events taken place in Batumi, in May 1918 convinced German delegation that nothing would obstruct the demolish of Transcaucasia Federation Republic. In May 25th they left conference and left Batumi by commercial ship “Mina-Horn.' The reason for leaving conference was ultimatum of May 26th claimed by Ottoman people, which Halil Bey was warned about in advance. Ultimatum required much than it was considered under Brest Agreement. This prevented the interests of German in Transcaucasia.

The representative of Emperor's Government of the Imperia of Germany, the Mayor General of Bavarian Kingdom Von Losov declared officially when leaving Batumi that was leaving for the consultations with own Government, but "Mina-Horn' arrived to Poti instead of Costanzia (Romania) in May 26th. Here according to advance agreement, Von Losov waited for representatives of Georgia, who after Federation fell down, left Batumi officially. But in real they arrived to Poti from station Samtredia.

Georgian delegation in Samtredia joined the Prime Minister of Georgia from Tbilisi, N. Ramishvili. On May 28th after the three-hour exchange of ideas on "Mina-Horn", Von Losov and the Minister of Foreign Affairs of the Republic of Georgia Akaki Chkhenkeli signed the agreement with Otto Von Vezendok in Batumi, with agreed texts. It was called a "temporary agreement on the establishment of preliminary interdependence between Georgia and Germany".

Four agreements were signed. The main point of view was the introduction of the preliminary regulation of relations between Georgia and Germany and introduction of new regulations, which would be defined not only by the relations of the signatories, but also the restriction of the interests of the neighboring country-Ottoman interests in Georgia. This Agreement recognizes the Treaty of Bret-Litovsky as a determination between the two countries and imposed diplomatic representations in the capital of the two countries. The text of the agreement is as follows:

"Article I. The Government of Georgia recognizes the peace agreement signed on March 3, 1918, on the one hand, Germany, Austria-Hungary, Bulgaria and Turkey and on the other hand Russia, on the basis of which it will be possible to establish relations with Germany.

Article II. During the war, the Government of Georgia allows the four Allies to transfer troops and use of railways in the borders of Georgia. To this end, the military commission is headed by Germany under the guidance of the Government of Georgia with the agreement with the Government of Georgia to take over the movement of the railway. Representatives of the four Allied States can participate in this Commission. Railway stations and Poti port will be occupied by German commanders and guardians.

Article III. The diplomatic representation of the German government and the diplomatic representation of Georgia is in Berlin.

Article IV. The Georgian government allows the German ambassadors to be appointed to the Georgian state in the areas where the German government considers it to be desirable.

Article V. This Preliminary Agreement shall enter into force on the date of signature and as soon as possible in the State Agreement of both Parties "[5: 33-40].

As we see in the first article of the treaty, Germany was partially defending the interests of Ottoman interests, however, country's neighbors' The Ottomans could not demand other territories of Georgia and if it was tried then Germany was to defend the Georgian side's interests and security. And it seemed that Bret-Litovsky's truce would not be eternal. Sooner or later, the articles of the treaty that were directly related to Georgia were subject to revision and amendment

It was also favorable for Georgia as well as Article II of the Basic Agreement which allowed the German Railway to use the four countries' military and military equipment before the end of the war. The Georgian-German Military Committee was headed by Germany under its guidance. Meanwhile, "Railway stations were occupied by German commanders and guards". By doing this, Ottoman predatory plans for Georgia have been restricted. The guarantees of maintaining the

territorial integrity of Georgia outside the Agrarian Breast Agreement and the prospect of recognition of independence of the country by Russia's interference in the next stage appeared [1: N28].

Separate temporary agreements were signed to accelerate the incursions of both sides. The exchange of currency interdependence and the ships in Georgia's disposal of the German war in the use of war. It was also decided that both sides would jointly minimize Georgia's minerals, namely mining-industrial raw materials [2: 86-90].

In relation to the exchange of military prisoners, the Government of Georgia was obliged to get rid of their liberation and transfer to Georgia in the immediate vicinity of Russia and the Caspian Sea in the immediate vicinity of prisoners in neighboring countries. According to the Article V of the same Agreement, the German soldiers who had been sent to their homeland were transferred to Poti without having to go to the German Commission. The current expenditures cover the Georgian side. The Germans also provided transport vessels. The above-mentioned rule can be applied to Austrian-Hungarian military captives as well.

The Government of Georgia allowed the German military to provide military equipment in Georgia with the purpose of creating and equipping military units. Georgia was obliged to ensure that the troops entered the country with food. Food supply should have been smooth. The German Commission of Food Gained Cash for Cash [5: 40-43].

Georgia declared independence together with the foundation for economic and financial relations between Georgia and Germany. Obviously this is duly reflected in the agreement of Poti. Various conventions with Poti signed an agreement ,,Monetary interdependence preliminary settlement between Georgia and Germany '' [5: 31/10: 34-41]. The above-mentioned document highlighted states that - ,, because of the government according to the wish of Georgia to reveal the German army, with its current requirements, first of all, to satisfy the country's stock and they will need a strong payment means, which are not dependent on the volatility of prices on the government Representative of Foreign Affairs, Mr. Chkhenkeli and the German imperial government official, Major-General of the Kingdom of Bavaria, Mr. Von - Losov, agreed that the German by Bulgaria and Romania signed such an agreement with the like of the following:

ARTICLE I. The Government of Georgia is obliged to allow German currency in the state as well as in its own country, as a legitimate pay-in and at a steady rate, which must be precisely determined. The course should be identified immediately, in conjunction with this Agreement, between the two Governments in particular agreement.

The native currency is recognized only by the government of Georgia by the law.

Article II. The action of this agreement, which comes into force since its signing, among then, will be concluded in the final state contract about monetary and exchange relations. In addition, each party has the right to refuse this agreement on advance notification six months '' [5: 43-44]. The Republic of Georgia did not have its own money at the moment of concluding the agreement, and therefore was forced to withdraw from the banking monetary unit of the Transcaucasia Commissariat (Bonnie L.) until July 11, 1919. Circulation of Transcaucasian Bonuses and German Stamps continued on the territory of Georgia from May 28th to December, 1918 than German Of respondents were in the area.

In connection with the finances, an extraordinary agreement was signed. In particular, it is said

that the Georgian Railway belonged to the state. The Poti Port itself was also owned, and if the revenue of these agencies would be to cover the future loan interest, then the German side requested a representative commission of both parties to be given the right to exploit their control and control.

The Second Additional Agreement gave Diplomatic Representatives and Consulates rights to protect German interests in Georgia, including those of German colonists who have long lived in Georgia and are subordinate to the Georgian government. The Georgian government should not prevent them from leaving the country. The German colonists also maintained their full freedom and advantages [5:49].

It is true that the German Empire had a preliminary position with these agreements in the sphere of exploitation of the Georgian Railways, Plant, Minerals and other fields required for the military economy but, Georgia's interests were also. In particular, the shares were equally distributed at the disposal of mineral deposits; Germany was obliged to "as quickly as possible" to "economically maritime traffic with Georgia. In Poti it was reported that the Government of Georgia will pay 6 percent of the loan for a period of 28 years - 54 million rubles.

The document was created separately on the transfer of ships to the Germans in Georgian ports. It meant all the ships (passenger, ships, ships, carpets, motorboats, etc.) at the port of Poti. Captains of the vessel were given temporary certificates, in relation to their German service [5: 45-46].

In a letter sent from Poti to the Government of Georgia, Gene Von Lovoy assumed responsibility that the German government would help Georgia to "negotiate" the Russian Empire with the Russian Empire and to recognize Georgia as a free and independent name''. The German envoy was also undertaking to take measures to "help the German state to safeguard Georgia for the protection of Georgia and in the norms of relations with neighboring states" [2: 89].

In the same letter, it was mentioned that Georgia's borders are in the former Tbilisi and Kutaisi provinces and Sokhumi regional area. In the same way, the Batumi District was excluded from the Georgian Border (due to the Brest Treaty), but the Ottomans presented the preparations presented at the Batumi Conference on the Akhaltsikhe and Akhalkalaki Machines of Germany Did not take into consideration.

It is noteworthy that the Sokhumi region was considered as part of the Georgian state. "If the confederation of the peoples of the Caucasus and the confederation of Georgia entered Georgia, then the inhabitants of Sokhumi should be allowed to decide their own situation in the Caucasus countries.

In other words, the inhabitants of Abkhazia were able to choose to join Georgia, enter into the Mountainous Union, or as a separate State-Canton, to participate in the Confederation of the Caucasus. "[2:91].

The letter was reported as saying that the troops arrived in the German army. German soldiers were stationed in Tbilisi, Gori, Sighnaghi, Borchola and Tetritskharo [6: 50-51].

The direct participant of the German-Georgian Poti Agreement, Chief Advisor of the Georgian Government on Foreign Policy, Professor Zurab Avalishvili, assessed the issue as follows: "Poti agreements were arranged to deal with the urgent questions of the war; On the other hand they were considering German help, ie. Germany's capital support is mainly in state restructuring and economic development of Georgia. Germany will provide significant advantages to Georgia, especially in the future; But Georgia also had direct benefit from this agreement.

By the end of the treaty, Georgia was liberated from the threat of Ottoman threats: and none other than Germany could not have done it in the summer of 1918. Germany emerged as the goddess of state independence - and only this time he could do that role. "[2:89].

The general attitude of the Georgian society is reflected in the opinion of General Shalva Maghlakelidze, the famous representative of Georgian emigration, that the disaster of the Germans lost in World War I was the calamity of Georgia [9:96]. Grigol Lortkipanidze, Deputy Chairman of the Government of the Democratic Republic of Georgia, wrote in his memoirs that the German ally of Georgia saved our homeland from the Ottoman Hordes [3: 206-207]. This was the actual recognition of Georgia by the German authorities and the German control over the Georgian Railway during the war [2: 89/4: 498]. Georgia-Germany Poti Agreement was the first international diplomatic act of the Georgian Democratic Republic.

ისტორია

1918 წლის 28 მაისის გერმანია-საქართველოს ფოთის ხელშეკრულება

ნუგზარ ზოსიძე, ლევან კაჭარავა

ამიერკავკასიისადმი გერმანიის დაინტერესება განსაკუთრებით გაიზარდა პირველი მსოფლიო ომის დაწყებისა და მისი მსვლელობის დროს. გერმანია რთული პოლიტიკური დილემის წინაშე აღმოჩნდა. იგი, ერთის მხრივ, ცდილობდა ოსმალების ხელით კავკასიის მიმართულებით საკუთარი ინტერესების რეალიზებას, მეორეს მხრივ, იგივე მიზნებით, ამიერ კავკასიაშივე ეძებდა საყრდენს საქართველოს სახით. ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმს კარგად ესმოდათ, რომ ომის დაწყება ოსმალეთთან თავიდანვე განწირული იქნებოდა, ამიტომ დიპლომატიური გზით სცადეს კონფლიქტის მოგვარება. სწორედ ამას მოჰყვა ტრაპიზონისა და ბათუმის საზავო კონფერენციები. 1918 წლის მაისიდან ვიდრე გერმანია დამარცხდებოდა მსოფლიო ომში იგი საქართველოს მოკავშირეს წარმოადგენდა. ეს ურთიერთობა სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ნიშნებს იღებდა.

28 მაისს ფოთში სამხედრო გემ „მინა-ჰორნზე" სამ საათიანი აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ფონ ლოსოვმა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა აკაკი ჩხენკელმა ხელი მოაწერეს ოტო ფონ ვეზენდონკთან ჯერ კიდევ ბათუმში შეთანხმებული ხელშეკრულების

ტექსტებს. მას ეწოდებოდა „დროებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ“.

საქართველოს მთავრობა ნებას რთავდა გერმანიის მხარეს სამხედრო შენაერთების შექმნისა და აღჭურვის მიზნით უბაჟოდ შემოეტანათ საქართველოში სამხედრო აღჭურვილობა. საქართველო იღებდა ვალდებულებას უზრუნველეყო ქვეყანაში შემოსული შენაერთები სურსათით. სურსათით მომარაგება უნდა მომხდარიყო შეუფერხებლად. სურსათს გერმანიის კომისია იძენდა ნაღდ ფულზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საფუძველი ჩაეყარა საქართველო გერმანიის ეკონომიკურ და ფინანსურ ურთიერთობებსაც. ცხადია ეს სათანადოდ აისახა ფოთის შეთანხმებაშიც. სხვადასხვა კონვენციასთან ერთად ფოთში ხელი მოეწერა „შეთანხმება სავალუტო ურთიერთდამოკიდებულების წინასწარი მოწესრიგების შესახებ გერმანიასა და საქართველოს შორის“. ფინანსებთან დაკავშირებით დაიდო ფრიად საყურადღებო დამატებითი შეთანხმება. კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ საქართველოს რკინიგზა ეკუთვნოდა სახელმწიფოს. ასევე მისი კუთვნილება იყო ფოთის ნავსადგურიც, და თუ ამ უწყებების შემოსავალი განკუთვნილი იქნებოდა მომავალი სესხის პროცენტის დასაფარად, მაშინ გერმანიის მხარის მოთხოვნით იქმნებოდა ორივე მხარის წარმომადგენლობითი კომისია, რომელსაც გადაეცემოდა მათი ექსპლუატაციის და კონტროლის უფლება. მეორე დამატებით შეთანხმება გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლებსა და კონსულებს აძლევდა უფლებებს, დაეცვათ საქართველოში მყოფი გერმანელების ინტერესები, მათ შორის იმ გერმანელი კოლონისტებისაც, რომლებიც დიდი ხანია ცხოვრობდნენ საქართველოში და წარმოადგენდნენ საქართველოს მთავრობის ქვეშევრდომებს.

საქართველოს მთავრობისადმი ფოთიდან გამოგზავნილი წერილით გენერალი ფონ ლოსოვი კისრულობდა პასუხისმგებლობას, რომ გერმანიის მთავრობა დაეხმარებოდა საქართველოს „რუსეთის მთავრობასთან რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან გამოსვლის გამო მოლაპარაკებაში და გამოყოფის შემდეგ იცნოს საქართველო თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“. გერმანიის რწმუნებული კისრულობდა, აგრეთვე, მიეღო ზომები, რათა „გერმანიის სახელმწიფოს დახმარება გაეწია საქართველოსათვის საზღვრების დაცვასა და მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის ნორმალიზებაში”.

საზოგადოების იმჟამინდელ განწყობას ესადაგება ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლის, გენერალ შალვა მაღლაკელიძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანელთა უბედურება საქართველოს უბედურებაც იყო და გერმანიისა, არ შეეძლო, 1918 წლის ზაფხულში მაინც, ეს მოემოქმედა. საქართველო-გერმანიის ფოთის შეთანხმება წარმოადგენდა

საქართველოს დემოკრატი-ული რესპუბლიკის პირველ საერთაშორისო დიპლომატიურ აქტს.

Bibliography:

1. Harvard Archive Materials Fund, Case #28.
2. Z. Avalishvili "Independence of Georgia in International Politics of 1918-1921,' Tbilisi, 2011.
3. G. Lortkipanidze, Thoughts about Georgia, Tbilisi, 1995.
4. V. Gurgenadze, Poti Agreement (1918), Georgian Diplomacy, Volume 10.
5. German occupiers in Georgian in 1918, Collection of Documents and Materials, executed and prepared for printing by M. Gabrichidze, Tbilisi 1942.
6. Zosidze N., Political Situation and National Movement in Adjara in 1918-1920, Batumi 1995.
7. A. Songulashvili, German people in Georgia, Tbilisi 1995.
8. N. Javakhishvili, Ordain of King Tamar, Tbilisi 1998.
9. Georgian under German flagduring World War II. Materials were prepared for printing, introduction and notes were made by V. Rtskhiladze, Tbilisi 1994.
10. G. Pipia, Politics of Germany in Transcaucasia in 1918, Collection of Documents, Tbilisi 1971.

კიდევ ერთხელ მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების შესახებ

უჩა ოქროპირიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ცნობილი ქართველ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწე აბაშიძე 1916 წელს გაზეთში ,,მეგობარი“ წერდა, რომ ,,ქართველი ერის გამთლიანებას XX საუკუნის დასაწყისში ხელს უშლიდა ორი რამ: პოლიტიკური სერვილიზმი და პოლიტიკური ავანტიურიზმი. Pპოლიტიკური დაჩაგრულობა ჰქმნიდა მონურ ფსიქოლოგიას, რაც ასე იგრძნობოდა ჩვენს ერში. ,,დამონებულსა და დაბეჩავებულ ადამიანს სჩვევია სულ იმაზე ფიქრი, რომ რაღაც სასწაული მოხდება და ვიღაც იხსნის მას მონობისაგან, რომ სადღაც, სიზმარეთის ქვეყანაში არის ვიღაც დევგმირი და იგი მის ჩაგვრას ბოლოს მოუღებს... ასეთი მონა თავის დღეში გარკვეულ გზას ვერ დაადგება. იგი ყოველთვის პოლიტიკური ავანტიურისტების ყმა იქნება'. ერმა თვით უნდა იბრძოლოს და მიიღოს თავისუფლებაო... მას მიაჩნდა, რომ ასი წლის მონობამ გადააჩვია ქართველი ხალხი საღ აზროვნებას, გონივრულ პოლიტიკურ მსჯელობას [ჭუმბურიძე, 2007: 99]. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმიდან ზუსტად 100 წელია გასული, მაგრამ საქართველოს ისტორიის საბჭოთა და თანამედროვე პერიოდმა არა თუ აღმოფხვრა ზემოთ აღნიშნული დიდი ეროვნული სატკივარი, არამედ ახალი, მრავლისმეტყველი შტრიხები შესძინა მას ქართულ ხასიათში გამოვლენილი სიბარიტიზმის და კიდევვ უფრო ღრმად გამოხატული კოლაბორაციონიზმის სახით, რაც თავისებურ პრობლემად იქცა ქართული ეროვნული თვითშეგნებისა და ცნობიერების, და რაც მთავარია, ისტორიული მოვლენების სწორად გაგებისათვის არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთში მცხოვრები ზოგიერთი ქართველისათვის.

რამდენიმე ხნის წინ ჩვენმა აწ გარდაცვლილმა კოლეგამ სიმონ გოგიტიძემ, მოგვიტანა ,,აჭარის კულტურული ასოციაციის“ მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი თურქეთში გამოცემული თავისებური სამახსოვროს პირველი ნომერი [The cultural association..., №1, p.1-10]. აქ აღარაფერს ვიტყვით მასში საქართველოს ისტორიის რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების გადმოცემისას დაშვებულ შეცდომებსა და ლაფსუსებზე, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით აქვე დაფიქსირებულ მოსაზრებას, რომ ,,სარფის საზღვრის გახსნის შემდეგ ორივე მხარის მნცხოვრებმა აჭარლებმა, გაიგეს მოსკოვის პროპაგანდის სიყალბე, რომელიც მათ ქართველებთან აერთიანებდა...' *[იქვე, 1].* სტალინის გარდაცვალების შემდეგ სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცათ იმ აჭარლებს, რომლებიც იწერებოდნენ ქართველებად. დღეისათვის გადასახლებულ აჭარელთა რეპატრიაცია და გაქართველება ხდება... *[იქვე, 7].* აქვე მოხსენიებულია 1921 წლის 16 მარტის მოსკოვისა და 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებები, მათში დაფიქსირებული აჭარის ოფიციალური სტატუსი და თურქეთზე ბათუმის პორტში მინიჭებული შეღავათები *[იქვე, 8].*

აჭარელთა გაქართველებასა და მათ ქართველებად ჩაწერაზე, მისი აბსოლუტური აბსურდულობის გამო, ყურადღებას აღარ შევაჩერებთ, ხოლო 1921 წლის 16 მარტის მოსკოვისა და ამავე წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებათა უახლოეს წინარე ისტორიასა და პირადად მათ შესახებ ვეცდებით შედარებით უფრო ღრმად და შინაარსეულად ვისაუბროთ, მით უმეტეს, რომ აღნიშნულ შეთანხმებებს მეტად მიზანმიმართული ტენდენციურობითა და ვოლუნტარული თვალსაზრისით ეხება ზოგიერთი ქართველი ,,ექსპერტ-მკვლევარიც".

ამ ბოლო დროს ისევ გაღვივდა ვნებათაღელვანი 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ე. წ. ხელშეკრულების ირგვლივ. ერთ-ერთი ქართველი ,,ექსპერტ-მკვლევარი" სიმონ კილაძე ინტერნეტში მის შესახებ, სხვათა შორის ისტორიული მასალის საკმაოდ დიდი ნაწილის ობიექტური წარმოჩენის შემდეგ, ,,კასრი თაფლის ერთი წვეთი კუპრით გაფუჭების" პრინციპით, გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას: "1992 წელს თურქეთთან გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულება, რომელშიც ჩაიწერა ყარსის ხელშეკრულება ძალაშია... არც ყარსის და არც რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულებაში, (იგულისხმება 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულება) საიდანაც გამომდინარეობს ყარსის ხელშეკრულება, არ არის მითითებული ვადა...', ამასთან, თითქოსდა, ,,საქართველო ვერ მოახერხებს ყარსის ხელშეკრულების დენონსაციას, იმიტომ რომ მასში ჩართულია მესამე მხარეც. მაშინ ამიერკავკასიის რესპუბლიკები _ საქართველო, სომხეთი, Aზერბაიჯანი _ გამოდიოდნენ ერთ მხარედ...

საქმე ისაა, _ აგრძელებს ბ-ნი სიმონი, _ რომ ეს ხელშეკრულება არ არის დამოუკიდებელი დოკუმენტი. ის დაკავშირებულია მოსკოვის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებასთან... (სწორედ ეს გარემოება ქმნის მისი დაუყოვნებლივ ბათილად ცნობის საერთაშორისო სამართლებრივ საფუძველს, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ _ უ. ო.). საქართველოს თეორიულად შეუძლია განაცხადოს, რომ გამოდის ამ ხელშეკრულებიდან, მაგრამ უნდა ვიანგარიშოთ, რა მოჰყვება ამას?!.. გამოდის, რომ საზღვრები გვრჩება უპატრონოდ და მისი დადგენა უნდა დავიწყოთ ხელმეორედ... დაგვეთანხმება ამაზე თურქეთი?! იქვე დადგება აჭარის საკითხიც _ ამბობს ავტორი და რეზიუმეს სახით აკეთებს დასკვნას: "...ყარსის ხელშეკრულების დენონსაციის მოთხოვნა ფანტასტიკის სფეროა...' [mpress/2016/01]. ხოლო იგივე ავტორიMგაზეთში "კვირის პალიტრა' ფართოდ განიხილავს საქართველოს ისტორიის სხვა საკითხებთან ერთად ყარსის ხელშეკრულებასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც და ზემოთ დასახელებული იმავე პრინციპით აკეთებს საბოლოო დასკვნას: "საქართველომ არც ის უნდა დაივიწყოს, რომ ყარსის ხელშეკრულება, შეიძლება ითქვას, ,,უკვდავია"... იქვე იმეორებს ძველს და ამასთანავე აყენებს შემდეგ ახალ დებულებებს: ა) ცალმხრივად მისი დენომსაცია შეუძლებელია, რადგან საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი დოკუმენტში ერთი მხარის სტატუსით სარგებლობენ. მართალია, დღევანდელი სომხეთი ყარსის დებულებებს სასაზღვრო საკითხებში არ აღიარებს, მაგრამ აზერბაიჯანისათვის ყარსის ხელშეკრულებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს _ ნახჭევანის კუთვნილების გამო; ბ) სანამ არსებობს მოსკოვის ხელშეკრულება, იარსებებს ყარსის დოკუმენტის პირობებიც, რადგან რუსეთი და თურქეთი მოსკოვის ხელშეკრულებას ურთიერთობის მომწესრიგებელ უმთავრეს და უპირველეს სამართლებრივ აქტად მიიჩნევენ. Mმას დღესაც უვადოდ თვლიან. ყოველწლიურად განსაკუთრებულად აღნიშნავენ მისი ხელმოწერის დღესაც და შესაბამისად, გინდაც გავაუქმოთ, ამით საქმე არ

გამოსწორდება, რადგან ძაღლის თავი მოსკოვშია დამარხული“ [გაზ. “კვირის პალიტრა', 2011].

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!.. როგორც ჩანს, “ექსპერტ-მკვლევარის' მიერ მთელი რიგი ისტორიული მოვლენების სტატიაში შედარებით ობიექტური წარმოჩენა იმას ემსახურება, რომ ბოლოს დასკვნის სახით ეს ,,უტყუარი“ დებულება შეეთავაზებინა მკითხველისათვის. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ თურმე ,,დღევანდელი სომხეთი ყარსის დებულებებს არ აღიარებს“, ხოლო აზერბაიჯანისთვის მას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონია ნახჭევანის კუთვნილების გამო, და მარტო საქართველო ყოფილა ვალდებული ყოველთვის აღიაროს და ანგარიში გაუწიოს მას, მიუხედავად იმისა, შეიცავს მისთვის რაიმე სასარგებლოს და ლახავს თუ არა მის სასიცოცხლო ინტერესებს. ამასთან, აღნიშნულ ავტორს, როგორც ჩანს, არაფერი გაუგია იმის შესახებაც, რომ საქართველოს სუვერენულ უფლებებზე მოძალადე ბოლშევიკური რეჟიმის პირდაპირმა სამართალმემკვიდრემ, თავად საქართველოს კომუნისტურმა მმართველობამ “საქართველოს უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე დაგმო, დაპყრობა და ანექსია უწოდა 1921 წლის 25 თებერვლის გასაბჭოების ფაქტს. ბათილად გამოაცხადა ყველა კანონი და დეკრეტი, მას შემდეგ მიღებული ქართველი ხალხის სახელით“ [დამოუკიდებლობა, 1990: 4-9]; ყოველივე ამან სათანადო ასახვა ჰპოვა დოკუმენტებში _ 1990 წლის 9 მარტის “საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ' [საქართველოს სსრ.., #3, 1990: 8-10] და იმავე წლის 20 ივნისის “საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაში დამატებების შეტანის თაობა-ზე' [საქართველოს სსრ.., #6, 1990: 11-12]. რომელთაგან პირველში პირდაპირ ნათქვამია: “მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის დაცვის გარანტია შეიძლება იყოს თვით რესპუბლიკა...' (როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნის აღნიშნულ უფლებას არ აღიარებენ ს. კილაძე და მისი მიმდევარნი...). იქვე აღნიშნულია, რომ “საქართველო სსრ უზენაესი საბჭო ადასტურებს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევას და პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისიის დასკვნას და აღიარებს, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობილების დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით _ ფაქტობრივ ანექსიას; გმობს საქართველოს ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიასა საბჭოთა რუსეთის მიერ, როგორც საერთაშორისო დანაშაულს და ესწრაფვის საქართველოსთვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებას და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს უფლებების აღდგენას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აცხადებს უკანონოდ და ბათილად 1921 წლის მუშურ-გლეხურ ხელშეკრულებას საქართველოს სსრ-სა და რუსეთის სფსრ-ს შორის, 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულებას ამიერკავკასიის სფს-ს რესპუბლიკების შექმნის შესახებ.

დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შესახებ, ვინაიდან 1922 წლის 22 დეკემბრის ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ საქართველოს მიმართ არაკანონიერია'... ხოლო 1990 წლის 20 ივნისის დოკუმენტში

აღიარებულია, რომ "...ინტერვენციისა და ოკუპაციის შედეგად საქართველოში დამყარებული ხელისუფლება _ ჯერ არაარჩევითი ხელისუფლება (რევოლუციური კომიტეტი), ხოლო შემდეგ შეზღუდული, ვიწრო კლასობრივ საწყისებზე აგებული საბჭოები _ არ გამოხატავდა ქართველი ხალხის ჭეშმარიტ, თავისუფალ ნება-სურვილს; საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აცხადებს უკანონოდ და ბათილად ყველა აქტს, რომელიც აუქმებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სხვა ინსტიტუტებს და ცვლიდა მათ გარეშე ძალაზე დამყარებული პოლიტიკური და სამართლებრივი დაწესებულებებით'...

ყოველივე ზემოთ აღნიშნული საშუალებას გვაძლევს სრულიად დავეთანხმოთ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ კონცეფციაში" ჩაწერილ დებულებას, რომ "საქართველოში 1921 წლის 17 მარტის შემდეგ, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ დროებით შეაჩერა საქართველოს კონსტიტუცია, ადგილი არ ჰქონია არცერთ კანონიერ სახელმწიფოებრივ აქტს, რის დეკლარირებაც თავად საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ და მისმა უზენაესმა საბჭომ მოახდინა, რომელიც ზემოთ აღნიშნული აქტებით (თავისი დანაშაულის შეგნებითა და პირდაპირი აღიარებით _ უ. ო.), ბათილად ცნობს, როგორც უკანონოს, ყველა შემდეგდროინდელ სახელმწიფოებრივ დოკუმენტს, მათ შორის საკუთარ თავსაც' *[ჟურნ. "გუშაგი', 1990: 16].* აქ კი, უპირველეს ყოვლისა, უკანონოდ და ბათილად არის ცნობილი, როგორც 1921 წლის 21 მაისის საქართველოს სსრ-სა და რუსეთის სფსრ-ს შორის დადებული ხელშეკრულება, ასევე 1922 წლის 12 მარტის შეთანხმება ამიერკავკასიის სამოკავშირეო სფს რესპუბლიკის შექმნის შესახებ (1921 წლის 13 ოქტომბერს კი, ყარსის ხელშეკრულების დადებისას, ამიერკავკასიის სფსრ არც არსებობდა). ამის შესახებაც აღნიშნულმა "ექსპერტ-მკვლევარებმა' და მათმა ამყოლ-დამყოლებმა, თითქოსდა არაფერი იციან და არც სურთ იცოდნენ, რადგან მათთვის მთავარია ე. წ. ყარსის ხელშეკრულების "უკვდავება' დაამტკიცონ და არაფრად დაგიდევენ მის გარშემო თუნდაც ამ აქტების მიღების შემდეგ შექმნილ რეალურ ვითარებას; რომ აღარაფერი ვთქვათ 1921 წლის 13 ოქტომბრის განმსაზღვრელ ამავე წლის 16 მარტის მოსკოვის რუსეთ-თურქეთის შეთანხმებაზე, რომლითაც მოხდა მათი ერთობლივი აგრესიის შედეგად მოპოვებული, ჯერ კიდევ ცოცხალი ნადავლის (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს კონსტიტუცია დროებით შეაჩერა და მისმა მთავრობამ საქართველო დატოვა 1921 წლის 17 მარტს) გაყოფა და მისი პირველი მუხლით თურქეთს გადაეცა საქართველოს კუთვნილი ტერიტორია ართვინ-არდაგანის ოლქი, 13046 კვ. კილომეტრის მოცულობით [ნათელაშვილი, 1990].

ასე, რომ ყარსის ხელშეკრულებამ სათავე დაუდო საქართველოს დაქუცმაცებას, რის შედეგადაც ქვეყნის ტერიტორია 91,1 ათასი კვ. Kკილომეტრიდან (ეს ტერიტორიები საქართველოს შემადგენლობაში, შესაბამისი ციფრობრივი მონაცემით ცნობილი იქნა ერთა ლიგის მიერ 1918 წელს...), 69,7 ათას კვ. კილომეტრამდე შემცირდა [სარალიძე, 2016: 286].

ეტყობა, ,,მკვლევარ-ექსპერტებს" არც ამის შესახებ სურთ რაიმეს გახსენება და, რა თქმა უნდა, არც არაფერს იტყვიან საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით აღნიშ-ნულ ხელშეკრულებათა სრულ უკანონობასა და ბათილად ცნობაზე.

მოსკოვისა და ყარსის ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებები კი უკანონო და ბათილია დღეს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმით შემდეგ

გარემოებათა გამო: 1969 წლის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ ვენის კონვენციამ დააკანონა პრინციპი საერთაშორისო ხელშეკრულებების მესამე სახელმწიფოზე გაუვრცელებლობის შესახებ (მუხლი 34). კერძოდ, ორ ქვეყანას შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ლახავს მესამე სახელმწიფოს ინტერესებს, მით უფრო თუ იგი დაფუძნებულია ძალადობასა და აგრესიაზე, ითვლება ბათილად [ნათელაშვილი, 1990].

იმავე კონვენციის 52-ე მუხლის თანახმად, ძალით დადებული ხელშეკრულებები ითვლება ბათილად. იმ დროისათვის საქართველო რომ ძალით იყო დაპყრობილი, უკვე საყოველთაოდ ცნობილია და ეს ამ დანაშაულის ჩამდენ-თანამონაწილემაც აღიარა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების და მისი უზენაესი საბჭოს სახით; 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს სუვერენული დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთმა, ქემალისტურ თურქეთთან ტანდემში, მოახდინა აგრესია, რასაც შედეგად მოყვა საქართველოს სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის გაქრობა მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან.

ვენის ამავე კონვენციის 52-ე და 53-ე მუხლების თანახმად საერთაშორისო ხელშეკრულება, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სამართლის ისეთ იმპერატიულ პრინციპებს, როგორიცაა ძალის გამოუყენებლობა და აგრესიის დაუშვებლობა, საზღვრების ურღვევობა და ხელშეუხებლობა, სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა.

როგორც ცნობილია, მოსკოვის აღნიშნული შეთანხმება და მისგან გამომდინარე ყარსის ხელშეკრულება ამ მოთხოვნათა დარღვევის კლასიკური ნიმუშია. ამ დოკუმენტების უკანონობა იმდენად აშკარა იყო, რომ სტალინის რეჟიმიც კი, იძულებული გახდა 1945 წლის 19 მარტს მოეხდინა 1925 წლის საბჭოთა კავშირ-თურქეთის ხელშეკრულების დენონსაცია. უარი ეთქვა თურქეთთან სამოკავშირეო ურთიერთობაზე და პოტსდამის კონფერენციაზე ოფიციალურად დაეყენებინა ტერიტორიული პრეტენზია _ ყარსისა და არდაგანის რეგიონში საზღვრების გასწორებაზე.

და-ბოლოს, ყველაფერ ზემოთ ნათქვამს თავი რომ დავანებოთ, 1921 წლის 13 ოქტომბრის Yყარსის ხელშეკრულების დადების დროს საქართველო უკვე აღარ იყო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ხოლო ასეთი დოკუმენტები შეიძლება დაიდოს მხოლოდ სუბიექტებს შორის [ნათელაშვილი, #28, 1992].

აღარაფერს ვამბობთ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარი სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად საქართველოს ხელკისუფლებაში მოსულ ე. შევარდნაძის უკანონო რეჟიმის მიერ 1992 წლის 30 ივლისს თბილისში საქართველო-თურქეთს შორის დადებულ ხელშეკრულებასა და მის სამართლებრივ შედეგებზე, რადგან ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, მასში ყარსის ხელშეკრულების მოხსენიება საერთაშორისო სამართლებრივი ნონსენსია.

ყველაფერ ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ ჩვენს მიერ ადრევე დასმულ კითხვას: როდესაც ვლაპარაკობთ ურთიერთშორის კეთილმეზობლურ და მეგობრულ ურთიერთობებზე, ნუთუ თურქეთის სახელმწიფოს მესვეურთ არ აფიქრებთ ის ფაქტი, რომ არც 1921 წლის ყარსისა და არც 1992 წლის საქართველო-თურქეთის თბილისის ხელშეკრულებებზე ხელმოწერა არ გაუკეთებია საქართველოს უფლებამოსილ, ლეგიტიმურ, კანონიერ ხელისუფლებას და როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მან ხელშეკრულება გააფორმა ქართველ ხალხზე აშკარად მოძალადე უზურპატორებთან?! თუ

ვიფიქროთ, რომ თურქეთის მთავრობისა და ხელისუფლების წარმომადგენელთათვის სულ ერთია, ოღონდაც დროებით მათთვის რაიმე სასარგებლო მიიღონ და რა გზით, ეს სრულებითაც არ ანაღვლებთ?! Aანდა, ორივე შემთხვევაში ეს ჩვენთან კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის მოსურნე ოსმალეთი თუ თურქეთი, რატომ აღმოჩნდა ქართველი ხალხის ნების უარმყოფელთა მხარეს?!

ჩვენ კარგად ვიცით, _ ამ უახლოეს მეზობელთან (და სხვებთანაც) კეთილმოსურნე და მეგობრულ ურთიერთობას, ალტერნატივა არა გააჩნია, მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ იმპერიული სულისკვეთების მატარებელი სახელმწიფოები შეიძლება ისევე გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან, როგორც ეს წინათაც მომხდარა, _ ეს კითხვები კი დარჩება სამარადისოდ, თუ ქართველი ხალხის ნამდვილ წარმომადგენელთან, რომელიც ამისათვის აუცილებელი ქართველი ხალხის ნდობის მანდატით არ იქნება აღჭურვილი, არ გადაწყდება მათი მოგვარება' [ოქროპირიძე 2014: 159-171 (166-167)].

გვინდა აქვე შევეხოთ ზემოთ ჩვენს მიერ გამოყენებული, თურქეთში გამოცემული კრებულის შესავალში გამოთქმულ მრავალმხრივ დამაფიქრებელ კიდევ ერთ პასაჟს, რომ **"აჭარისა და** აჭარლების თვითმყოფადობის მომავალს განამტკიცებენ აჭარელი ინტელექტუალები' [The cultural association..., №1: 1]. რა შეიძლება ვთქვათ ამის შესახებ? _ რომელი აჭარისა და აჭარლების თვითმყოფადობის მომავლის განმტკიცებაზეა ლაპარაკი და რომელი "აჭარელი ინტელექტუალების' მიერ?!

აჭარამ უკვე კარგა ხანია შეუმცდარად გაიგნო გზა დედა-სამშობლო საქართველოს გულისაკენ და იგი დღეს ქართული სახელმწიფოს, ქართული სოციალურ-პოლიტიკური, ქართული კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების წინმსვლელობის ერთ-ერთი უმთავრესი ბურჯი-ბუჯთაგანია და მას საკუთარი თვითმყოფადობის განსამტკიცებლად არავის ნაძალადევი მეურვეობა არ სჭირდება.

მითუმეტეს, რომ ჩვენ კარგად ვხედავთ, თუ საქართველოს ძნელბედობის ჟამს ზოგიერთი აჭარელი თუ უცხოელი "ინტელექტუალების' მიერ მოტყუებული და მუჰაჯირებად ქცეული, ამასთან დღეს თურქეთის საქართველოში მცხოვრები ჩვენი სისხლი და ხორცი, როგორ კარგავს სწორედ საკუთარ ინდივიდუალობას და ეს წარსულში ქართული კულტურის უდიდესი აკვანი, თანდათანობით როგორ ეფლობა ეროვნული გადაგვარებისა და გათურქების პროცესში.

ჩვენ ამ პროცესის შეჩერების გზაზე, დიდ იმედად გვესახებოდა თურქეთში ჯერ კიდევ ძლივს შემორჩენილ ქართულ სოფლებში ქართული სკოლების გახსნა; მაგრამ, როგორც 2015 წლის სექტემბერში თურქეთის საქართველოში (ტაო-კლარჯეთი) ექსპედიციის დროს დავრწმუნდით, ამ იმედს აღსრულება არ უწერია; თურქეთის ოფიციალური ხელისუფლება ამის დეკლარირებას დიდის ამბით ეწევა, მაგრამ, როგორც გავიგეთ, ქართულ სოფლებში სკოლებს საერთოდ აუქმებს და აქაურ მოსწავლეთა კონტიგენტს თავს უყრის საქალაქო ცენტრებში სწორედ ამ მიზნით დაარსებულ სპეციალურ სკოლებში. იქ კი ბავშვებისთვის ოჯახებში ნასწავლი ქართულის შენარჩუნებაც კი შეუძლებელია, რადგანაც სწავლება მხოლოდ სახელმწიფო, თურქულ ენაზე მიმდინარეობს. შეიძლება სადმე შემორჩენილიც იყოს ერთი-ორი საჩვენებელი ქართული სკოლაც, მაგრამ ქართული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად ეს ზღვაში წვეთია. შეიძლება უმოკლეს დროში მათი ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობისაგან აღარაფერი დარჩეს და მათი საბოლოოდ გათურქე-

ბის პროცესი სამწუხარო რეალობად იქცეს. Aამის გამო სასტიკად ირღვევა თურქეთის საქართველოში მცხოვრები უძველესი აბორიგენი მოსახლეობის, ამ უნიკალური ისტორიული უნიკუმის საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული ფუძემდებლური პრინციპები და მათგან გამომდინარე უძირითადესი უფლებები.

აქედან გამომდინარე, თურქეთის საქართველოში და საერთოდ, თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისადმი დარღვეულია გაეროსა და სხვა საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული უფლებები: 1960 წლის 14 დეკემბრის "კონვენცია განათლების დარგში დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ', კერძოდ, მისი მე-3 მუხლის a) პუნქტი განათლების დარგში დისკრიმინაციული ხასიათის ადმინისტრაციული პრაქტიკის მიუღებლობისა... c) პუნქტი, _ ეროვნულ უმცირესობათა უფლება, ეწეოდნენ საკუთარ საგანმანათლებლო მუშაობას, ხელმძღვანელობდნენ სკოლებს, იყენებდნენ და ასწავლიდნენ საკუთარ ენას და სხვა [გაეროს ძირითადი დოკუმენტები.., 1995: 241];

თუმცა ჩვენ ისიც კარგად ვუწყით, რომ ამავე კონვენციის მიხედვით, "ამ უფლების განხორციელება ხელს არ უნდა უშლიდეს იმ პირთ, რომლებიც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნიან ესმოდეთ მთელი კოლექტივის კულტურა და ენა და მონაწილეობდნენ მის საქმიანობაში'... და ამასთან, უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოს უფლება, რომ "ეს ძირს არ გამოუთხრის ქვეყნის სუვერენიტეტს' [იქვე, მე-5 მუხლის c პარაგრაფის I პუნქტი].

აგრეთვე უგულებელყოფილია "ევროპის ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ' [ადამიანის უფლებათა.., 1999: 132-144]; მისი II ნაწილის მე-7 მუხლის I პარაგრაფის a, b, c, h პუნქტები და ამავე მუხლის მე-2 პარაგრაფი, თითქმის მთელი III ნაწილის მე-8 მუხლი, "განათლება', ამასთან "ჩარჩოკონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ', მისი მე-4, მე-5 და განსაკუთრებით, მე-14 მუხლი, რომელიც აღიარებს, რომ "ყოველ პირს, ეროვნულ უმცირესობას რომ ეკუთვნის, აქვს უფლება შეისწავლოს თავისი უმცირესობის ენა... ან ისწავლოს ამ ენაზე...' [იქვე, 145-152]; კანონი მიღებულია 1995 წ. 1 თებერვალს. ან კიდევ, "ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის მონაწილე სახელმწიფოთა ვენის შემაჯამებელი დოკუმენტის' [იქვე, 179-185] ეროვნულ უმცირესობათა უფლებებისადმი მიძღვნილი მე-18 და მე-19 მუხლები, რომლებიც ეხება ეროვნულ უმცირესობათა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას, მათ შორის, მათთვის ეთნიკური, კულტურული ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობის წახალისებას [იქვე, 183].

ასე, რომ ყველანაირად გზაგაგნებული და დედა-სამშობლო საქართველოს წიაღში საბოლოოდ დაბრუნებული აჭარისადმი ვერავის პრეტენზიებს სერიოზულად ვერ მივიღებთ; პირიქით, თუ ჩვენთან ამ სულისკვეთებით ურთიერთობის გაგრძელებას მოინდომებს ვინმე, ამან შეიძლება გვაიძულოს კიდევ ბევრი რამ გავიხსენოთ... მაგრამ, სიამოვნებით მინდა ავღნიშნო ერთი რამ: ზემოთ ჩვენს მიერ მოხსენიებული თურქეთის ექსპედიციის დროს მეტად სასიამოვნოდ აღვითქვით ფაქტი, რომ თურქეთის საქართველოს ჩვენს მიერ ნახულ თითქმის ყველა ცნობილ ქართულ ისტორიულ კულტურულ ძეგლზე თურქულსა და ინგლისურთან ერთად, ტრაფარეტის სახით გაკეთებულია ქართულ ენაზე დაწერილი მოკლე ისტორიები, მათი ამშენებელი ქართველი მეფეებისა თუ ისტორიული მოღვაწეების აღნიშვნით (ხახულის ტაძარზე ეს გაკეთებულია ლათინური ასოებით). საიდანაც კარგად ჩანს, რომ სურვილის შემთხვევაში, ჩვენს ორ მეზობელ ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთპატივისცემასა და კეთილმოსურნეობაზე აგებული ურთიერთობის მიღწევა პრობლემას არ წარმოადგენს. ეს მისასალმებელია და სამომავლოდ

კარგ, იმედის მომცემ პერსპექტივას სახავს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გასაგრძელებლად.

რაც შეეხება უცხოელი და განსაკუთრებით, ქართველი "მკვლევარ-ექსპერტების' მიერ ბრესტის ზავის, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებათა, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატურ აღქმას, განსაკუთრებით, ორი უკანასკნელის ხელახლა გამოცოცხლებისა დაK 'უკვდავად' გამოცხადების ცდებს, ამის არავითარი რეალური საფუძველი არ არსებობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკვე ისტორიის ასპარეზიდან წასული მათი შემოქმედი ძალების სამართალმემკვიდრეთა მიერ აშკარა აგრესიის ისევ დაშვების შესაძლებლობას. თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯერ კიდევ არსებულ პრობლემათა გადწყვეტას საქართველოს კანონიერ, სრული ლეგიტიმურობით აღჭურვილ ხელისუფლებასთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მოგვარებას, ალტერნატივა არ გააჩნია, რა თქმა უნდა, ურთიერთსასარგებლო კონსესუსებისა და ერთმანეთის ინტერესთა, შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველმხრივ გათვალისწინების მეშვეობით.

ამასთან, აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ქართველი ე. წ. "მკვლევარ-ექსპერტები', სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ჩარჩენილები არიან საბჭოთა კავშირისა და მისი იდეოლოგიის ინტერესთა სამსახურის ჩარჩოებში და თავიანთი ქმედებებით კვლავ ცდილობენ ქართული საზოგადოებრივი აზრის დაშინებას, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით არარსებულ საფრთხეებზე მითითებით, რომლებიც ზემოთ განხილული "შეთანხმებების' გამო, თითქოსდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრება. ამით ისინი, ერთი მხვრივ, იმპერიული საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთის ინტერესების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, თურქეთისაგან მოსალოდნელი "საფრთხით' გვაშინებენ, მეორე მხვრივ კი, იქეთ თურქეთს უქნევენ ხელს და ამ "კოზირის' მის სასარგებლოდ გამოყენების შესაძლებლობაზე მიუთითებენ, რაც ასევე ქართული საზოგადოებრივი აზრის დაშინებაზეა გათვლილი. Oორივე შემთხვევაში კი, მიზანი ერთია _ საქართველოსადმი გარკვეული შესაძლო ფარული პრეტენზიების მქონე ამ ორ უცხო სახელმწიფოებისადმი ჩვენს საწინააღმდეგოდ სამოქმედო გეგმის შეთავაზება, ბლეფის ეფექტის გამოყენებით. თორემ ამ "ექსპერტ-მკვლევარებმა' კარგად იციან (ყოველ შემთხვევაში უნდა იცოდნენ, როდესაც ასეთ სერიოზულ და შორს გამიზნულ პოლიტიკურ პრობლემებზე მსჯელობენ _ უ. ო.), და უპირველეს ყოვლისა, რუსეთისა და თურქეთის სახელმწიფოთა მესვეურებმა იციან ყველაზე უკეთ, ამ ე. წ. ხელშეკრულებების ნამდვილი ფასი, თუკი ისინი ქართული სახელმწიფოს მიმართ აგრესიას არ ისახავენ მიზნად.

ამ შემთხვევაში კი "მკვლევარ-ექსპერტები', ეს ჩვენი მარადიული ეფიალტეები, ასეთი აგრესიის გასამართლებლად, უბირ ხალხზე გათვლილი საბაბის შექმნას ცდილობენ და აქედან გამომდინარე, თავად განსაჯეთ, ვინ არიან ისინი... სწორედ ამ მიზნით არიან, ეს სიბარიტები, ჩანერგილი ჩვენი ქვეყნის შიგნით უცხო სახელმწიფოთა სპეცსამსახურების მიერ და აქ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ზუსტად ეს არის ამ კასტის მიერ მათი ძვირად ღირებული, პრესტიჟული ცხოვრებისათვის გადახდილი რეალური საფასურიც.

ამ ურთულესი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი, _ ლუსტრაციის კანონია.

History

Once again on the Moscow and Kars Treaties

Ucha Okropiridze

The article offers the critical analysis of some wrong assumptions made in Turkey mainly concerning the Treaties of Moscow (16 March of 1921) and Kars (13 October of 1921). The Georgians living in Turkey conducted a brief analysis of the legal status and proper assessment of the United Nations and the European human rights acts.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ადამიანის უფლებათა.., 1999: _ ადამიანის უფლებათა ევროპის აქტები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ბათუმი;
2. გაეროს ძირითადი დოკუმენტები.., 1995: _ გაეროს ძირითადი დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, ქართული თარგმანი და ტექსტის რედაქტირება, ვლადიმერ ცეცხლაძისა;
3. გაზ. "ერთობა', #230, 1919 _ გაზ. "ერთობა', #230, 1919 წლის 10 ოქტომბერი;
4. გაზ. "ერთობა', #224, 1919 _ გაზ. "ერთობა', #224, 1919, 3 ოქტომბერი;
5. გაზ. "ერთობა', #76, 1920 _ გაზ. "ერთობა', #76, 1920 წლის 9 აპრილი;
6. გაზ. "სამუსლიმანო საქართველო', #1, 1919 _ გაზ. "სამუსლიმანო საქართველო', #1, 1919 წლის 11 იანვარი;
7. გაზ. "სამუსლიმანო საქართველო', #5, 1919 _ გაზ. "სამუსლიმანო საქართველო', #5, 1919 წლის 17 იანვარი;
8. გაზ. "სამუსლიმანო საქართველო', #295, 1920 _ გაზ. "სამუსლიმანო საქართველო', #295, 1920 წლის 17 თებერვალი;
9. გაზ. "კვირის პალიტრა', 2011 _ გაზ. "კვირის პალიტრა', 2011 წლის 13 ოქტომბერი;
10. დამოუკიდებლობა, 1990: _ დამოუკიდებლობა, ჟურნ. "გუშაგი', 1990 წლის #22, პარიზი;
11. ნათელაშვილი, 1990: _ ნათელაშვილი შ., საერთაშორისო სამართალი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, გაზ. "სახალხო განათლება', 1990 წლის 23 აგვისტო;
12. ნათელაშვილი, #28, 1992: _ ნათელაშვილი შ., ყარსის ხელშეკრულება: ლენინი, ხრუშჩოვი... ესტაფეტა გრძელდება, გაზ. "7დღე', #28, 1992 წლის 13-19 აგვისტო;
13. ოქროპირიძე, 2001: _ ოქროპირიძე უ., აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან, ბათუმი;
14. ოქროპირიძე, 2011: _ ოქროპირიძე უ., აჭარის ავტონომიის შექმნა, თბილისი;

15. ოქროპირიძე, 2014: _ ოქროპირიძე უ., საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(14), თბილისი;
16. რეგიონალური კონფლიქტები.., 2002: _ რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში _ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2001), პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბილისი;
17. სარალიძე, 2016: _ სარალიძე ლ., ყარსის ხელშეკრულება, საქართველო-თურქეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, წიგნი II, თბილისი;
18. საქართველოს სსრ.., #3, 1990: _ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წლის #3;
19. საქართველოს სსრ.., #6, 1990: _ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წლის #6;
20. სიორიძე, 1991: _ სიორიძე მ., ბათუმი და სამხრეთ რუსეთის კონტრევოლუცია (დენიკინი, ვრანგელი), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, გამომც. "მეცნიერება', თბილისი;
21. სემიმა, ფ. 4, ს. 87 _ საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმის არქივი, ფონდი 4, საქმე 87;
22. სემიმა, ფ., 4, საქმე 90, ტ. II _ საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმის არქივი, ფონდი 4, საქმე 90, ტ. II;
23. ჩავლეიშვილი, 1993: _ ჩავლეიშვილი მ., მემედ აბაშიძე და აჭარის ავტონომია, ბათუმი;
24. ჭუმბურიძე, 2007: _ ჭუმბურიძე დ., კიტა აბაშიძე (მოღვაწეობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ზოგიერთი ასპექტის შეფასებისათვის), ახალი და უახლისი ისტორიის საკითხები, 2, თბილისი;
25. ჭუმბურიძე, 1999: _ ჭუმბურიძე დ., აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, გამომც. "მატიანე', თბილისი;
26. «Демократическое правительство» грузии...,1928: – «Демократическое правительство» грузии и английское командование, подгатовлего к печати С.Е. Сефом, с предисловием Н.Н. Покровского, Заккнига;
27. Газ. «Наш край», №204, 1919 – Газ. «Наш край», #204, 18 сентября 1919 года;
28. mpress/2016/01 - რატომ განიხილება თურქეთის ვილაეთად აჭარა? _ ინტერნეტ-რესურსი: mpress/2016/01;
29. The cultural association..., №1 – The cultural association of Adjaria, Iznik-Batum – and the surrounding Areas publication, №1, p. 1-10 (აჭარის კულტურული ასოციაცია, პუბლიკაცია იზნიკი-ბათუმის მახლობელი არეალის შესახებ, #1, გვ: 1-10);

ბრინჯაოს მეტალურგიასთან დაკავშირებული მეგალითური კულტურის ძეგლები აჭარაში

ამირან კახიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩვენი ქვეყანა მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს მეტალოგენურ კერას წარმოადგენს. პრობლემის მიმართ ინტერესი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80–იანი წლებიდან გაჩნდა, გასული საუკუნეში განხორციელდა ეპიზოდური საველე სამუშაოები კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე განლაგებული სამთამადნო წარმოების ძეგლების კვლევის მიზნით (აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა და კახეთი – ზემო ალაზანი). ასევე ითქმის სამხრეთ კავკასიონის სამხრეთული ექსპოზიციის მიმართაც (მხედველობაშია ბოლნის–დმანისისა და აჭარა–გურიის სამთო–მეტალურგიული კერები). მიკვლეულ იქნა არაერთი მადანგამონამუშევარი როგორც ღია, ასევე დახურული კარიერების სახით; მოპოვებულია მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი არტეფაქტები. სპეციალისტები სპილენძის წარმოების ერთ–ერთ პრეისტორიულ და მნიშვნელოვან კერად მდ. ჭოროხის აუზში მდებარე ართვინის ზონას, კერძოდ, მურღულს მიიჩნევენ. გაკეთებულია დასკვნები, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ნეოლითელი თუ ენეოლითელი საზოგადოების წარმომადგენლები ჩართული იყვნენ წინააზიური კულტურების განვითარების ერთიან სისტემაში. ერთდროულად იწყება მადნეული საბადოების ათვისება. მნიშვნელოვანია იმის აღიარებაც, რომ ხელშემწყობ გეოგრაფიულ ფაქტორს წარმოადგენდა ანატოლიისა და მესოპოტამიის უძველეს ცივილიზაციებთან კონტაქტებისათვის ისიც, რომ მდინარეები ტიგროსი, ევფრატი, ჭოროხი და არაქსი ერთი მთის მასივში იღებენ სათავეს. მკვლევართა დიდი ნაწილი მიდის ერთიან დასკვნამდე, რომ მიგრაციების დაწყებას კავკასიაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა ჩრდილოეთში მაიკოპის, ხოლო სამხრეთში მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებაში (იხ.: გობეჯიშვილი, მუჯირი, ინანიშვილი, მაისურაძე, 1983:441–442; მაისურაძე, ინანიშვილი, 1984:86–89; ჩართოლანი, 1996; ინანიშვილი, ჩართოლანი, მაისურაძე, გობეჯიშვილი, მუჯირი, 1998:52–62; ღამბაშიძე, მინდიაშვილი, გოგოჭური, კახიანი, ჯაფარიძე, 2010; ფიცხელაური, 2011:62–89; ჯაფარიძე, 2013; ღამბაშიძე, 2016; Иессен, 1935:7-237; Гобеджишвили, 1952:183-190; Чартолани, 1989).

ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის მიხედვით კარგად ჩანს, რომ ადრე არსებითად შეისწავლებოდა სამთამადნო საქმიანობასთან, ლითონის მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემები. ბოლო სამი წლის აღმოჩენებმა აჭარაში ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა კონკრეტული ძეგლების მიხედვით საგანგებო კვლევის საგნად გვექცია უკვე კარიერებიდან გამოტანილი ნედლეულის ტექნოლოგიური დამუშავების პროცესები წყლის ენერგიის გამოყენებით. დროის ამ მოკლე მონაკვეთისათვის მიკვლეულ იქნა 30 ძეგლი, რომელთა მსგავსი ადრე უცნობი იყო არქეოლოგიური მეცნიერებისათვის. არსებითია ისიც, რომ

სრულიად სიახლეებთან გვაქვს საქმე მათი გეოგრაფიულ გარემოში განლაგების, მეტად ფართო მასშტაბის მეგალითური ხასიათის სამუშაოების შესრულებისა და მადნეულის დაფშვნა–დანაწევრების პროცესებში ახალი, შეიძლება ითქვას, ნოვატორული ხერხების დანერგვის თვალსაზრისით. ჩვენ მიერ შემუშავებულ იქნა ამ მეტად საყურადღებო უნიკალური ძეგლების კვლევა–ძიებისა და არქეოლოგიური გათხრების მეთოდიკა. ჯერჯერობით საქართველოსა და აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოების ფინანსური მხარდაჭერით საველე სამუშაოები ვაწარმოეთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ძეგლზე. ესენია: სარფი, თხილნარი და სკურდიდი (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით), ასევე სოფელ მურვანეთსა დას კაპნისთავში (აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით). ბუნებრივია, ჩვენ გამოვხატავთ მადლიერების გრძნობას ზემოთ დასახლებულ დაწესებულებათა მიმართ. დანარჩენი 25 ძეგლი ჩვენი მუზეუმის ექსპედიციების მიერ სადაზვერვო სამუშაოებისას განხორციელებული ფოტოფიქსაციითა და ზოგიერთი სახის არტეფაქტების შეგროვებით შემოიფარგლება. ბუნებრივია, აუცილებელია ზოგიერთ მათგანზე მომავალში განხორციელდეს არქეოლოგიური გათხრები. მით უმეტეს, ბევრი მათგანი სიახლის მომცემი იქნება. ცალკეული რაიონების მიხედვით ბრინჯაოს მეტალურგიის უძველესი კერები აღმოჩენილია აჭარის შემდეგ პუნქტებში: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში – სარფი, მურვანეთი, თხილნარი (4 კერა), თხილნარის აგარა, სიმონეთი–ჯაზიგოლი (2 კერა), სიმონეთის ქეციქედი, მარადიდი (2 კერა), ძაბლავეთი, სკურდიდი, კაპნისთავი; ქობულეთის მუნიციპალიტეტში: ჩაქვი, კინკიშა, დაგვა; ქედის – ბზუზბუ (2 კერა), ნამლისევი (კალაშხევი), ქედაში – აგარა (3 კერა), ცხემლიმინდორი, ძენწმანი, ორცვა, მახუნცეთი, კვაშტა; შუახევში – გოგაძეები; ხულო – თეთრობის მთა და სხვ.

უახლესი მონაპოვრების მიხედვით ჩანს, რომ სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს მკვიდრთ ბრინჯაოს ეპოქაში მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანიათ როგორც სამთამადნო, ასევე, განსაკუთრებით მეტალურგიულ თუ ლითონდამამუშავებელ ინდუსტრიაში. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით ყურადღებას გავამახვილებთ ძირითად სიახლეებზე. უკვე ეჭვს აღარ იწვევს ის გარემოება, რომ ჩვენი მხარე, განსაკუთრებით მდ. ჭოროხის აუზი, წარმოადგენდა მსოფლიო ცივილიზაციის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს მეტალურგიულ კერას. ადრეული ეტაპისათვის, კერძოდ, ძვ.წ. V ათასწლეულისა და IV ათასწლეულის პირველი ნახევრისათვის ღია თუ დახურულ კარიერებში გამოტანილი ქურაში გამოსადნობი ნედლეულის დაქუცმაცება-დანაწილება ხდებოდა საგანგებოდ დამზადებულ ქვის სანაყ-გობებში. ამ მიმართებით ყურადღებას იქცევს ჩაქვის ჩაისუბანში აღმოჩენილი ძეგლი, სადაც წარმოდგენილია როგორც ნეოლითის, ასევე ენეოლითური საფეხურის ამსახველი კულტურული ფენები. სწორედ აქ მოვიპოვეთ ერთ–ერთი ქვის გობ–სანაყი in-situ მდგომარეობაში (სურ. 1). მას პარალელი ეძებნება სვანეთის, კერძოდ, ზაარგაშის მიდამოების შემთხვევით აღმოჩენათა შორის (ღამბაშიძე და სხვ., 2010:35, სურ. 23). ვფიქრობთ, რომ ამ დროისათვის მძიმე სამუშაო პროცესებთან დაკავშირებულ სამთო საქმესა და მეტალურგიას ფართო ხასიათი არ უნდა ჰქონოდა. აკმაყოფილებდა უპირატესად ადგილობრივ თვითკმარ მოთხოვნებს. სურათი მკვეთრად იცვლება ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრისა და III-II ათასწლეულებისათვის. ეს ის დროა, როცა ნეოლითური ტრადიციების კვლადაკვალ წარმოებით ურთიერთობაში თანდათანობით წამყვან

ადგილს ლითონის იარაღი იკავებს; მსოფლიო ოიკუმენის სხვადახვა ადრე დაწინაურებულ ცენტრებში გაჩნდა მაღალგანვითარებული კლასობრივი საზოგადოებანი და ურბანისტული ცივილიზაციები. მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება პოლიმეტალებზე. ბუნებრივია, მსგავსი ნედლეულით მდიდარი ჩვენი მხარე იზოლირებული ვერ აღმოჩნდებოდა მსოფლიო ისტორიული პროცესებისაგან. უახლესი აღმოჩენების მიხედვით ეჭვი არ გვეპარება, რომ მესოპოტამიის, ანატოლიური და, როგორც ჩანს, ეგეოსური ცივილიზაციების შექმნაში წონადი წვლილი ჩვენს წინაპრებსაც შეუტანიათ. ამის თქმის შესაძლებლობას იძლევა ძველ მემთამადნე–მეტალურგთა ნოვატორული შემოქმედება. მოკლედ შევჩერდებით ზოგიერთ ნოვაციაზე, რისი მოწმენიც გავხდით ბოლო 2-3 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა–ძიების შედეგად. დასტურდება, რომ პროფესიონალ მეტალურგებს შრომის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით არაერთი ხერხისათვის მიუგნიათ; არსებითია ამ მეტად რთულ და შრომატევად პროცესებში წყლის ენერგიისა და მათ მიერ შექმნილი მარტივი მექანიზმის ფართოდ დანერგვა–გამოყენების პრაქტიკა. პირველი გენიალური სიახლე საბადოებიდან გამოტანილი ნედლეულის ფუჭი ქანებისაგან გათავისუფლებას, ე.წ. გამდიდრება–ფლოტაციას უკავშირდება. მელითონეები მიხვდნენ, რომ ადრე არსებული შედარებით ნაკლებ ნაყოფიერი ხერხები (მხედველობაშია მექანიკური, ცეცხლის და წყლის გამოყენება) ვეღარ აკმაყოფილებდალითონზე გაზრდილ ეპოქალურ მოთხოვნებს. საჭირო გახდა განსხვავებული მიგნებანი. ამ სახის სამუშაოების შესასრულებლად ძველ მეტალურგებს აურჩევიათ სრულიად ახალი, შეიძლება ითქვას, საოცარი გეოგრაფიული გარემო. ჩვენი ექსპედიციების მიერ ფიქსირებული ყველა ძეგლი ტოპოგრაფიულად, როგორც ჩანს, განლაგებულია თავიანთ საცხოვრისთან ახლომახლო მდებარე პატარა, ზოგჯერ მოზრდილ მდინარეთა ხეობებში; სრულიად არა შემთხვევით, წარმოების ახალი კერის შექმნისას ისინი უპირატესად ირჩევენ მეტ-ნაკლები დაქანების მქონე სიპ-კლდოვან, ქარაფოვან ადგილებს. პირამიდების ეპოქაში ჩვენს მეტალურგებსაც სათანადო ბაზის მოწყობის მიზნით ჩაუტარებიათ გრანდიოზული მასშტაბის ქვის სამტეხლო, ე.წ. მეგალითური სამუშაოები. საკმაოდ ხშირად საწარმოო კერის დასაწყისშიპირველ რიგში შეუქმნიათ კლდოვან ერთიან მასივებში შედარებით მოსწორებული მოედან-პლატფორმები (სურ. 3). შესანიშნავად იკითხება ამ მიზნით განხორციელებული ქვის სამტეხლო სამუშაოების კვალი და მასშტაბები. მოედანს მოსდევს დაქანებული ფლატე. კლდეებში წყლის ნაკადის კონცენტრაციისა და დინების უფრო ჩანჩქერისებურად გაძლიერების მიზნით გაუჭრიათ სხვადასხვა სიფართის, სიღრმისა თუ სიგრძის ერთი თუ რამდენიმე არხი. მსგავსი არტეფაქტებითაა დასერილი მთელს სიგრძეზე თითქმის ყველა ძეგლი (სურ. 4,5). ბუნებრივია, ისმება კითხვა, თუ რას ემსახურეოდა მსგავსი ხასიათის ქვის მუშაკობა. შევეცადეთ მოგვეცა სათანადო ახსნა. ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ ესენი ჩაედინებიან კლდის მონოლითებში, საგანგებოდ ამოკვეთილ ქვის აბაზანისებრ გოლებში. მათი ზომები შთამბეჭდავია. ზოგიერთი მათგანის დიამეტრი 14, 12,9 X 6,4,2 მ-ზეა, სიღრმე კი წყლის ზედაპირიდან – 3,2,5, 2 და 1,5 მ. სწორედ ამ ადგილებში ეშვებოდა არტახებში მოქცეული ჩანჩქერები, რომლებიც გოლებში მორევისებურ ბრუნვას ქმნიდნენ. მივედით დასკვნამდე, რომ მემთამადნე მეტალურგები ამ გოლებში ათავსებდნენ კარიერებიდან გამოტანილ პირველად ნედლეულს, რათა ზემოდან დაცემული ჩანჩქერების მიერ შექმნილ მბრუნავ მორევებში განთავისუფლებულიყო ფუჭი ქანებისაგან. არ გამოვრიცხავთ, რომ ქვის გოლების შედარებით მდორე ადგილებში, სადაც ჩანჩქერის მოქმედება ნაკლებ

ეფექტური იქნებოდა, დანერგილი ყოფილიყო ხის ჯოხებით მორევის პრაქტიკაც (სურ. 6,7,8). საკმაოდ ხშირად ფიქსირდება გოლებთან მისადგომი კლდეში ნაკვეთი სხვადასხვა ზომის ბილიკები. ზოგჯერ კი – ქვის საფეხურებიც.

სურ. 1 სურ. 2



სურ. 3 სიმონეთი (ჯაზიგოლი) სურ. 4 სიმონეთი (ჯაზიგოლი)

ემპირიული ცოდნით აღჭურვილმა ძველმა მელითონეებმა იცოდნენ, რომ ლითონის ქურებში გამოსადნობად მომზადებამდე საჭირო იყო მადნის გამდიდრება. მის შემადგენ-ლობაში სასურველი ნივთიერებების კონცენტრაციის გაზრდა, მსუბუქი ფრაქციების მოშორება (ქვა–ღორღი, მიწა, ვულკანური ლავის ნარჩენები და სხვ.). ქვის გოლებში ადგილ-ზევე რჩებოდა ლითონის შემცველი მასა, რომელთა სიმკვრივე 2-3-ჯერ აღემატებოდა უსარგებლო ქანებისას. ფუჭი ქანები მიჰქონდა მდინარეს. ხშირად გოლის მაღალ გადასასვლელსაც უკეთდებოდა 15–20 სმ სიღრმის არხი. ასე, რომ სასარგებლო ქანების დანაკარგი მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი. ბუნებრივია, ამ გზით მკვეთრად, შეიძლება ითქვას ინდუსტრიულ დონემდე, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ასეთია ჩვენ მიერ გამოყოფილი პიველი ნოვაციიის არსი. არანაკლებ საინტერესოა მომდევნო სიახლეც.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ პირველი ხანებისათვის მადნის დაფცქვნა–დაქუცმაცება ხდებოდა მაგარი ჯიშის ქვისაგან დამზადებულ სანაყ გობებში. მელითონეს უნდა შეესრულებინა საკმაოდ მძიმე, დამქანცველი შრომა. ამასთან, მის მიერ დაღვრილი ოფლის შედეგები მაინც და მაინც არ უნდა ყოფილიყო ბარაქიანი. ჩვენს ხელთ არსებული არტეფაქტების მიხედვით ჩანს, რომ ხმარების პროცესში გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ზოგიერთი მათგანის ფსკერი იხვრიტებოდა, ან კიდევ, გობი შუაზე სკდებოდა (სურ. 2). საჭირო იყო ახალი, უფრო რაციონალური მიგნებების ძიება. შესაბამისად, ჩვენი ექსპედიციის მიერ გამოვლენილი ძეგლების მიხედვით ეს მორიგი ნოვაციაც გამოიკვეთა.

კვლავაც მდინარეთა სიპ-კლდოვან ქანებში ზემოთ უკვე აღნიშნული ქვის გოლების ორივე მხარეს მრავლადაა ამოკვეთილ-ამოხვეწილი სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ქვის სანაყ–გობები. მათმა რიცხვა რამდენიმე ასეულს უკვე გადააჭარბა. მარტო 2016 წელს თხილნარში, სკურდიდში, სარფსა და აგარაში განხორციელებულმა საველე სამუშაოებმა 100 ასეთი არტეფაქტის არსებობა დაადასტურა. ისინი ნაკვეთია მდინარეთა როგორც სანაპირო კლდოვან ქანებში,ასევე უშუალოდ კალაპოტებში. ამ მონაკვეთებშიც ეძებენ მკვრივ ქანებს. ზოგჯერ გვაქვს შემთხვევა, როცა დაუწყიათ გობის ამოხვეწა, ჩასულან გარკვეულ სიღრმე-ში, გამოჩენილა არამკვრივი ძარღვოვანი ქანები და მუშაობაც შეუჩერებიათ. თხილნარში ყურადღება მიიქცია ასეთმა ფაქტმა – კლდის ზედაპირზე შემოუვლიათ ნახევარწრე, შესანიშნავად იკითხება წალკატის პირველივე დარტყმების ყველა კვალი, მაგრამ არც აქ მოსწონებიათ შერჩეული ადგილი და მაშინვე შეუჩერებიათ დაწყებული სამუშაოები. არის სხვა ბევრი ნიუანსიც. ქვის გობების მსგავსი განლაგება ჰიდროგრაფიულ ქსელში მეგალითური კულტურის მორიგი ნაირსახეობაა, რომელთა მიგნება-შესწავლის, ფუნქციო-ნალური დანიშნულებისა და მეცნიერულ მიმოქცევაში შეყვანის პატივი ჩვენ გვერგო. მაგრამ ყოველივე ეს თავისით არ მოსულა. კლდეში ნაკვეთმა გობებმა პირველად თხილნარის (მდ. ბოლოყოს მარჯვენა სანაპირო) მაგალითზე 40 წლის წინ მიიქცია ყურადღება. ერთადერთი მიწისზედა ძეგლის მიხედვით რაიმე კონკრეტული დასკვნის გაკეთებისაგან ამ ხნის განმავლობაში თავს ვიკავებდით. არც რაიმე სახის ინფორმაცია არსებობდა მსგავსი არტეფაქტების შესახებ. კვანძი თითქოსდა 2014 წლისათვის გაიხსნა. მივიღეთ ინფორმაცია ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მდ. კინკიშას შესანიშნავი ხეობის ერთ–ერთი რესტორნის ეზოში დამუშავებული ქვის არსებობის შესახებ. ადგილზე დათვალიერებისას იგი მწვადების შესაწვავად განკუთვნილი თანამედროვე ნახელავი აღმოჩნდა. მოხდა თითქოს სასწაული – მისგან დაახლოებით 10-მ-ის მოშორებით შევნიშნეთ სიპ კლდეში ამოკვეთილი ქვის გობი, რომელიც აშკარად თხილნარის ორეულს წარმოადგენდა. ჩვენ, ბუნებრივია, ვეღარ დავფარეთ ემოცია. რესტორნის მეპატრონემ მოგვაწოდა ახალი ცნობები, რომ ზემოთ, მდინარის შეყოლებაზე, უფრო მეტია მსგავსი ნაკეთობანი. მართლაც, 100-150 მ-ის გავლის შემდეგ ჩვენს წინაშე გადაიშალა შესანიშნავი პანორამა არაერთი ქვის გობის, გოლებისა და არხების სახით. ამ აღმოჩენას წინ უძღოდა იმავე 2014 წლის გაზაფხულისათვის მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. მარადიდში განხორციელებული საველე სამუშაოებისას მოპოვებული ქვის ექვსი გობი. მარადიდის შემდეგ მცირე მასშტაბის საველე სამუშაოები ვაწარმოეთ მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. ჭარნალის მურვანეთის პატარა მდინარის ხეობაში. ქვის გობების რიცხვი გაიზარდა. მიემატა დამუშავებული ურიები. ნათელი გახდა, რომ უახლესი აღმოჩენები ბრინჯაოს მეტალურგიასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. კინკიშას მეგალითურმა ძეგლმა ეს რწმენა განგვიმტკიცა. სწორედ ამის შემდეგ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის სადაზვერვო ჯგუფმა განახორციელა საინტერესო სამუშაოები აჭარის ტერიტორიაზე მსგავსი ახალი ტიპის მეგალითური კულტურის ძეგლების გამოვლენის მიზნით. დავუბ-რუნდეთ ქვის გობებს.

ქვის გოლების ფუნქციონალური დანიშნულების გარკვევის შემდეგ ჩვენს წინაშე გაჩნდა მორიგი კითხვა: რამ განაპირობა ქვის გობების გაჩენა მდინარეთა ასეთ მიუვალ, ქარაფოვან ადგილებში? ტექნიკური და განსაკუთრებით ეთნოგრაფიული მონაცემების

გათვალისწინებით შევეცადეთ მიგვეცა სათანადო ახსნა მაღალი პროფესიონალური ცოდნით აღჭურვილ მეტალურგთა მსგავსი ქმედებებისათვის, არანაკლებ საოცარი ნოვაციისათვის. წინასწარეულად ვიტყვით, რომ სიახლეთა ძიების არსებით მოტივაციას, როგორც ჩანს, წარმოადგენდა ადრებრინჯაოს ხანიდან სამთამადნო მეტალურგიულ პროდუქციაზე მეტად გაზრდილი მოთხოვნილება საერთაშორისო ბაზარზე. აუცილებელი იყო შრომის ნაყოფიერების გაზრდა, მეთემეთა კიდევ უფრო მეტი პერსონალის ჩართვა ამ პროცესებში. ცნობილია, რომ მადნის გამდიდრების შემდეგ სპეციალურ ქურებში დნობის, ე.წ. ლღობის პროცესების დაჩქარების მიზნით აუცილებელი იყო გორობ-ნატეხების დაფცქვნა-დაქუცმაცება. ვიცით, რომ მსგავს სამუშაოს პატარა ზომის საგულდაგულოდ ნაკეთებ ქვის გობებში ადრეც აკეთებდნენ. ჩვენმა წინაპრებმა ახალი ეპოქების დაკვეთების შესაბამისად შემოგვთავაზეს ახალი გენიალური აღმოჩენები. ჯერ ერთი, ახლად მიკვლეული კულტურის ძეგლების ქვის მონოლითში ამოკვეთილი ქვის გობები უკვე მუდმივი გამოყენებისათვის იყო გამიზნული. მეორეც, ღვთით ბოძებულ უზარმაზარ კლდოვან მასივებში სათანადო ქვის სამტეხლო სამუშაოების შესრულების შემდეგ ნებისმიერი ზომის ქვის გობის ამოშანდაკება შეიძლებოდა. თითქმის ყველა ძეგლის მიხედვით ეს, მართლაც, ასეა. გვაქვს როგორც პატარა, ასევე მოზრდილი მოცულობის მომცველი სანაყ-გობები. გაოცებას იწვევს ხელოსანთა ემპირიული ცოდნა-გამოცდილება. როგორც ითქვა, ისინი კარიერებზე ეძებენ ვარგის, მკვრივ ქანებს. ქვის გობთან დაკავშირებული მთავარი სიახლე სულ სხვა ხასიათისაა, რამაც განსაზღვრა კლდოვან ქარაფიან მასივებში გოლების ირგვლივ სოკოებივით მიმოფენილი სხვადასხვა ზომის ქვის გობების არსებობა(სურ. 9,10,11). ჩვენი რწმენით, სწორედ ამ მრავალრიცხოვან სანაყ–გობებში ხდებოდა გამდიდრებული ნედლეულის დაფშვნა–დაქუცმაცება კვლავაც წყლის ენერგიის გამოყენებით. წყლის ენერგიის გამოყენების პრეცენდენტი ქვის გოლების მაგალითზე ერთხელ უკვე ვნახეთ. აქ უკვე სრულიად განსხვავებულ სურათთან გვაქვს საქმე. აქაურმა მეტალურგებმა წყლის ენერგიის გამოყენების მიზნით მარტივი, მაგრამ მეტად საინტერესო მექანიზმი შექმნეს. მისი კონსტრუქცია ჩვენ ასე გვესახება: მზადდებოდა გარკვეული სიგრძის ხის ბერკეტი. მის ერთ ბოლოზე იკიდებოდა წყალგაუმტარი მსუბუქი წნული ხის ჭურჭელი. მეორეზე მაგრდებოდა ქვის ურო. ბერკეტს შეაყენებდნენ საჭირო სიმაღლის სადგამიან ღერძზე ისე, რომ ღარით მიყვანილი წყლის ნაკადი ჭურჭელში ჩაედინებოდა, ხოლო ქვის ურო მიმართული იყო სანაყ-გობისკენ. ხის ჭურჭელი თანდათანობით წყლის მარაგის მატებასთან ერთად ქვემოთკენ ეშვებოდა, ხოლო ურო კი შესაბამისად ზემოთკენ მიემართებოდა. გარკვეულ ზღვართან მიახლოებისას წყლის ჭურჭელი მყისიერად იღვრებოდა, ხოლო ცაში გამოკიდული ქვის ურო მოწყვეტით ეცემოდა ქვის გობში ჩალაგებულ მადნის ნატეხებს. წყლის ჭურჭელი უბრუნდებოდა საწყის მდგომარეობას. ხელოსნის მეთვალყურეობით მექანიზმის მოქმედება გრძელდებოდა უწყვეტად მანამდე, სანამ არ დასრულდებოდა მადნის დაქუცმაცების პროცესი. ბუნებრივია, ამ გზით მკვეთრად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. მადნის გამდიდრების მსგავსად, მეტალურგიის ეს აუცილებელი ეტაპი აყვანილ იქნა ინდუსტრიულ დონემდე. ყოველივე ეს გახლავთ ახალი სიტყვა მეტალურგიის ისტორიაში. მსგავსი მექანიზმის არსებობისა და ფართოდ გამოყენების შესახებ ჩვენი მოსაზრებანი უფრო დამაჯერებელი გახადა სარფის აღმოჩენებმა: მე-6 ქვის გობში in situ მდგომარეობაში დაგვხვდა ქვის ურო, რომლის წონა 99 კგ-ია, ხოლო მის ქვემოთ – მადნის ნატეხები (სურ. 11). ჩვენი კონსულტაციით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკოსმა

შოთა ბოლქვაძემ გარკვეული მოდერნიზაციით დაამზადა მოქმედი მექანიზმი, რომელიც დამონტაჟებულია ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ეზოში.

სურ. 5 სარფი სურ. 6. გოგაძეები

სურ. 7 კინკიშა სურ. 8 თეთრობი

სურ. 9. თხილნარი სურ. 10 სიმონეთი (ჯაზიგოლი)

სურ. 11 სარფი სურ. 12 სიმონეთი (ჯაზიგოლი)

ქვის გოლებისა და სანაყ–გობების სიმრავლესთან ერთად შთამბეჭდავია ქვის ურoების ზომა–წონაც. იწყება 15 კგ-დან და აღწევს 300 კგ-მდე (სურ. 12,13,14,15,16). აშკარაა, რომ ადრებრინჯაოს ხანიდან (ძვ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი) მკვეთრად უნდა გაზრდილიყო მოთხოვნილება საერთაშორისო ბაზარზე კავკასიურ პოლიმეტალებზე. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მთავარი მოტივაცია სამხრეთული იმპულსების, კულტურათა ცნობილი მიგრაციებისა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო აჭარის ტერიტორიაზეც მძლავრი მეტალურგიული კერების შექმნას. ეჭვი არ გვეპარება, რომ ძველაღმოსავლური ცივილი-ზაციების შექმნაში წონადი წვლილი შეუტანიათ ჩვენს წინაპარ მემთამადნე–მეტალურგ ტომებს. მათ მიერ შექმნილი ამ სახის პროდუქციის დიდი ნაწილი ანატოლიის, მესოპოტა-მიისა თუ ეგეოსური სამყაროს ქვეყნებში მიედინებოდა. აჭარის მსგავსი ძეგლებით უნდა ყოფილიყო დაფარული დიდი თუ მცირე კავკასიონის სამხრეთი ფერდები. ყოველივე ეს კი მომავალი კვლევის საგანია. ასე რომ, არქეოლოგიაში გაჩნდა ბევრი ასპექტის მომცველი სხვადასხვა მიმართულება.



სურ. 13 თხილნარის აგარა

სურ. 14 სკურდიდი

სურ. 15. სარფი

სურ. 16. ჭარნალის მურვანეთი

Archaeology

Megalithic Cultural Monuments Related to Bronze Metallurgy in Ajara

Amiran Kakhidze

Georgia is listed among ancient metallogenic centers. During the last three years, due to discovery of ancient sites of bronze metallurgy on the territory of Ajara, processes of manufacturing of the raw material with water energy usage, which had been brought to almost industrial level, has become the subject of our special research. It is a question of many innovations in the history of the bronze metallurgy. According to monuments, circa 30, discovered by the Batumi Archaeological Museum expeditions, inhabitants of south-western Georgia actively participated in development of metal-working industry in the Bronze period. They were creators of many pioneering ideas. First of all, in order to construct the surface facilities for the mine they fitted out absolutely new geographical environment, namely, rocky sloping banks of rivers and rivulets, which situated in the certain distance from their settlements. In the new centers of metallurgy, megalithic works of colossal scale have been traced. They can be characterized as great inventions of skillful metallurgists, which can be represented by two basic novelties.

The first one is that in a certain areas of manufacturing cycle, artificial pools of various sizes and depths were hollowed out in sloping rocks along the rivers. In many cases their sizes are quite impressive. Rapid and powerful current of one or two waterfalls were turned through dug canals towards such artificial pools, where water generated a whirlpool. Hence, it follows, that metallurgists placed original raw material from an opencast mine exactly into such artificial pools in order to wash it from impurity substance owing to an inside whirlpool. Correspondingly, it made it possible to increase working efficiency (fig. 3,4,5,6,7,8).

Not less interesting one has proved to be the second novelty. Beside the artificial stone pools lying in the same sloping rocks on the banks of the rivers, stone mortars of varied shapes and sizes has been hollowed out. Their number exceeds some hundreds. As it is generally known, after ore-dressing treatment (flotation), in order to speed up the process of its melting in a furnace, its preparatory crushing and reduction was necessary. For this purpose our ancestors concurrently with manual labor put some brilliant innovations into operation. We have come to the conclusion that such works had been carried out also with the help of water energy, in the stone mortars, which are scattered all over the river banks in the gorges (fig. 9,10,11).

Experienced metallurgists invented a water energy-assisted piece of machinery. After preliminary calculation wooden lever of a certain size was made, having a vessel of watertight light wood attached on its one end and a stone hammer on its other end (fig. 12,13,14,15,16). The lever was supported by a bearing axle so that stream running through a chute could flow down into the water vessel, which went up due to the weight of the hammer. To the extent of water quantity

increasing the vessel was going down, while the hammer directed towards the stone mortar with the same speed was going up. Having approached a certain point, the water vessel immediately flew down and the stone hammer simultaneously heavily fell into the mortar filled with ore pieces. The water vessel returned to its home position. Under the eye of a skillful master such a piece of machinery could run nonstop until the process of ore crushing would come to an end. Naturally, it resulted in working efficiency increasing. Such processes, like those ones of ore dressing treatment, were almost brought up to industrial level. We have reconstructed an operational model of such gear, which is located in the yard of Batumi Archaeological Museum.

Naturally, from the Early Bronze Period (the second half of the 4th millennium BC) international demand for Caucasian complex ore should have considerably increased. This very fact should have served as the basic motivation for known cultural migration and contributed to creation of high-powered metallurgic centers on the territory of Ajara. There is no doubt that tribes of our ancestors engaged in metallurgy greatly contributed to creation of the Ancient East civilization. The most part of their production was sent to Asia Minor, Mesopotamia and Aegean world. Monuments similar to those ones from Ajara should have been found on the southern slopes of Greater and Lesser Caucasus. All these will become the subject of future research. Thus, archaeological science puts new questions and multiple-aspect directions ahead of us.

ლიტერატურა

1. გობეჯიშვილი, მუჯირი, ინანიშვილი, მაისურაძე, 1983 - გ.გობეჯიშვილი, თ.მუჯირი, გ.იანიშვილი, ზ.მაისურაძე, მთიანი რაჭის უძველესი ბრინჯაოს წარმოების ისტორიისათვის. – სმამ, 111, #2, თბ.
2. ინანიშვილი, ჩართოლანი, მაისურაძე, გობეჯიშვილი, მუჯირი, 1998 – გ.ინანიშვილი, შ.ჩართოლანი, ზ.მაისურაძე, გ.გობეჯიშვილი, თ.მუჯირი, საქართველოს უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლები, ძიებანი. – #2,თბ.
3. მაისურაძე, ინანიშვილი, 1984 - ზ.მაისურაძე, გ.ინანიშვილი, ბრინჯაოს წარმოების ძეგლები კახეთის სპილენძის გამადნების ზოლში. – მაცნე, #3.
4. ფიცხელაური, 2011 – კ.ფიცხელაური,სამხრეთ კავკასია, წინა აზია, ჩრდილო შავიზღვისპირეთი და ევროპა ენეოლით–ბრინჯაოს ხანაში. არქეოლოგიურ კულტურათა კონტექსტების დინამიკა. – საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები, თბ.
5. ღამბაშიძე, მინდიაშვილი, გოგოჭური, კახიანი, ჯაფარიძე, 2010 – ირ.ღამბაშიძე, ზ.მინდიაშვილი, გ.გოგოჭური, კ.კახიანი, ი.ჯაფარიძე, უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში, თბ.
6. ღამბაშიძე, 2016 – ირ.ღამბაშიძე,საყდრისის ოქრო – კაცობრიობის პირველი ოქროს სამთო წარმოება, თბ.
7. ჩართოლანი, 1996 – შ. ჩართოლანი, ძველი სვანეთი, თბ.
8. ჯაფარიძე, 2013 – ო.ჯაფარიძე, ბრინჯაოს ინდუსტრიის ისტორიისათვის უძველეს საქართველოში, თბ.
9. Гобеджишвили, 1952 – Гобеджишвили Г.Ф., Памятники древнегрузинского горного дела и металлургии в окрестностьях с. Геби. – СМАМ, XIII,Тб.
10. Иессен, 1935 – Иессен А.А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. – ИГАИМК, вып. 120.М.
11. Чартолани, 1989 – Чартолани Ш.Г., К истории нагорья Западной Грузии доклассовой эпохи, Тб.

ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის არქეოლოგიური აღმოჩენები აფსაროსიდან

მერაბ ხალვაში, შოთა მამულაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აფსაროსის ციხე (სურ.1) მდებარეობს საქართველოს სამხრეთ–დასავლეთ ნაწილში, სოფელ გონიოში, მდინარე ჭოროხის(ძველი აფსაროსი) მარცხენა სანაპიროზე, ქ.ბათუმიდან 12 კოლომეტრის მოშორებით. რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში არაერთგზის მოხსენებულმა ციხემ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80–იან წლებიდან მიიქცია მეცნიერთა ყურადება. ჰენრიხ შლიმანი, ნიკო მარი და თევდორე უსპენსკი აღნიშნავდნენ აფსაროსის არქეოლოგიური შესწავლის მნიშვნელობას მეცნიერებისათვის, მიუხედავად დიდი მცდელობისა მაშინ გონიოში არქეოლოგიური სამუშაოები ვერ განხორციელდა. სახელმწიფო საზღვართან სიახლოვისა და საბჭოთა გარნიზონების დგომის გამო არც XX საუკუნეში მიეცათ მეცნიერებს აფსაროსის საფუძვლიანი შესწავლის საშუალება.



სურ. 1.

მხოლოდ 1995 წლიდან დაიწყო და დღემდე წარმატებით მიმდინარეობს სტაციონალური არქეოლოგიური გათხრები ციხესა და მის შემოგარენში.

ციხის დაარსებასთან დაკავშირებული ახ.წ. I საუკუნის შუახანების და განსაკუთრებით მეორე ნახევრის გამოკვეთილი კულტურულე ფენები კვლევის ამ ეტაპზე აღმოჩენილია ციხის როგორც შიდა, ისე გარე ტერიტორიაზე.

საფორტიფიკაციო ნაგებობის სამხრეთ კედელთან (SW–IX სექტორი) შესწავლილ ავზებსა და კედლის ზღუდის მონაკვეთს შორის არსებულ კულტურული ფენა ზოგადად ახ.წ. I–II საუკუნეებით თარიღდება. ნაპოვნი მასალა (ამფორები, მინის ნაწარმი)შედარებით ზუსტად განსაზღვრავს ფენის ქვედა თარიღს – ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარი. აქვე გამოვლენილი №1 წყლის ავზიც მონეტის მიხედვით ახ.წ. I საუკუნით თარიღდება (ვ.ჯაფარიძე, გონიო–აფსაროსი,3, 2002, გვ.190).

კვლევის ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ციხის ცენტრალურ მონაკვეთში (NW–I სექტორი) გამოვლენილი არქიტექტურული კომპლექსი– პრინციპია. მის №2 და №3 სათავსების იატაკების პრეპარაციისას აღმოჩნდა: ქვაბქოთნის ფრაგმენტები, რელიეფურყურიანი წითელლაკიანი ჯამები(,,EasternSigilata“), იმპერატორ ნერონის სახელით (54–68 წ.წ) და ახ.წ.I ს მეორე ნახევარში სირია ანტიოქიაში მოჭრილი მონეტები. აშკარაა, რომ ნაგებობა ახ.წ. აღ. I საუკუნის შუახანიდან იწყებს ფუნქციონირებას.

ახ.წ. I საუკუნის შუახანებისა და მეორე ნახევრის გამოკვეთილი კულტურული ფენა და შესაბამისი არტეფაქტები (აგრიპა I ჰეროდეს (37–44 წწ) სახელით მოჭრილი მონეტა, ცხენის გამოსახილებიანი ჭრაქი, ბერძნულწარწერიანი მინის სასმისი და სხვა.) მოგვცა ციხის დასავლეთი კედლის გარეთ, სამხრეთ მონაკვეთში (SW–XII სექტორი) გაკეთებულმა თხრილმა.

<u>**აფსაროსში აღმოჩენილი არქეოლოგიური არტეფაქტები:**</u>

წითელლაკიანი კერამიკა. აფსაროსში, როგორც პარალელური მასალების მიხედვით, ისე სტრატიგრაფიული მონაცემებით წითელლაკიანი კერამიკის ადრეულ, ახ.წ.I საუკუნის, უფრო ზუსტად კი მისი მეორე ნახევრის, ჯგუფს ქმნის 'ბარბორტინოს“ დეკორით გაფორმებული სასმისები, პატარა ზომის ჭურჭლები– "EasternSigilata', რომელთა სწორი მაღალი პირი გარე ზედაპირზე შემკულია ნახევარმთვარისებური, რელიეფური ყურებით, ასევე წითელლაკიანი ჯამის ფრაგმენტი პატარა რელიეფური ყურებით (ებრალიძე, 2005:37. ტიპი–5, სურ.12) და რომელიც შესაძლოა იყოს "EasternSigilata'–ს ვარიაცია, რადგან თიხის სტრუქტურა და ლაკის ხარისხი იდენტურია, მსგავსებაა სახელურების გაფორმების მხრივადაც.

თიხის ჭრაქების მრავალრიცხოვანო კოლექციიდან ახ.წ.აღ. I საუკუნის მეორე ნახევარით თარიღდება რამდენიმე ნიმუში, ესაა ციხის გარეთ სამხრეთ–დასავლეთ კუთხეში (SW–XII სექტორი) ნაპოვნი ჭრაქი,რომლის ჩაზნექილ ფარაკზე მოცემულია ცხენის გამოსახულებაა(სურ.2). ანალოგების გარდა ჭრაქის დათარიღებისათვის საიმედოა თანმხლები მონეტა, რომელიც ნერონის სახელით არის მოჭრილი.

ციხის ჩრდილოეთი კედლის გარეთ, მე–2 თხრილის მე–6 კვადრატში ნაპოვნია ჭრაქის ფარაკი (სურ.3), რომელიც შემკულია მარცხნივ მიმართული ფეხზე მდგარი ეროსის გამოსახულებით (პლონტკ–ლუნინგი, 2002:76–78), დათარიღებისათვის სხვა მასალებთან ერთად მნიშვნელოვანია ამავე თხრილში თითქმის ამავე დონეზე ნაპოვნი კაპადოკიის კესარიაში მოჭრილი ნერონის ტემიდრაქმა, რომლის რევერსზე მოცემულია ვიქტორიის ფიგურაა. ფიქრობენ, რომ ამ ტიპის მონეტები მოჭრილია კორბელინის არმენიაში ლაშქრობასთან დაკავშირებით 58–60 წლებში (პლონტკ–ლუნინგი, 2002:77).

სურ. 2.

სურ. 3.



სურ. 4.

სურ. 5.

კასტელის დასავლეთი კედლის კოშკის (№2) რომაული ხანის ფენაში აღმოჩნდა თითქმის მთლიანად გადარჩენილი ჭრაქი. ფარაკზე, ხელშუბის ფონზე, გამოსახულია მაღალქუსლიანი ჭურჭელი, ხოლო საპატრუქე მილთან ვოლუტისებური ხვიები (სურ.4). პარალელური დათანმხლები მასალის მიხედვით (ებრალიძე, 2005:57–58, სურ.34) ჭრაქი სავარაუდოთ ახ.წ.აღ. I საუკუნის მეორე ნახევრით შეიძლება დათარიღდეს.

ლუთერიები. სამზარეულო დანიშნულების ჭურჭლებში ლუთერიებს წამყვანი ადგილი უკავიათ, მათი ძირითადი ნაწილი აღმოჩენილია ახ.წ. II–IIIსაუკუნეების კულტურულ ფენებში, რომლებიც სისადავითა და მასიურობით ხასიათდებიან.

მხოლოდ რამდენიმე განსხვავებული სინოპური თიხის ლუთერიის ფრაგმენტია ნაპოვნი პრინციპიის მე–3 სათავსში და ციხის დასავლეთი კედლის გარეთ(SW–XII სექტორი) ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრის ფენებში, რომელთა გადაშლილი პირის ზედაპირი შემკულია პორიზონტალურად განლაგებული ფოსოებით(სურ.5). გაფორმებით ისინი განსხვავდება ახ.წ. II–III ლუთერიებისაგან და ამ მხრივ ერთგვარად იმეორებენ ელინისტური ლუთერიების ფორმებს.



1



2





3

სურ. 4.

მინის ნაწარმი. აფსაროსის მრავალფეროვანი მინის ნაწარმიდან ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრის ფენებში ძირითადად გვხვდება მოზაიკური ჭურჭლის(ძირითადად ფიალების) ფრაგმენტები(სურ.6.1,2) როგორც ცნობილია ამ ტექნიკამ აყვავებას ძვ.წ. I–ახ.წ. I საუკუნეებში მიაღწია და შემდეგ პერიოდში ძირითადად აღარ გვხვდება (კახიძე,შალიკაძე, 2009:54–56,ტაბ.XVII/53,54,56). ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება, სამეცნიერო ლიტერეტურაში 'Rippenschalen' სახელწოდებით ცნობილი ე.წ. მილეფიორის ტექნიკით, დასავლეთ ევროპის სახელოსნოებში, დამზადებული ვერტიკალურწიბოიანი მინის ფიალები(სურ.6.3), პრინციპიის №3 სათავსის იატაკზე აღმოჩენილი სანელსაცხებელი, ლოტოსის გამოსახილებიანი სასმისი, კრატერისკი, ჭდეებით შემკული ლანგარი,სამელნის ხუფი (კახიძე, შალიკაძე, 2009: 57,60,65,67,70,75; Fig.1,4,8,12,16,25).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ციხის დასავლეთი კედლის გარეთ (SW–XII სექტორი) 1995 წელს აღმოჩენილი მინის სასმისი. რომელიც ბერძნულწარწერიანი რელიეფური ორნამენტითაა შემკული(სურ.7). შემორჩენილ გვირგვინში ჩასმულია სამი ბერძნული ასო 'KHN“.ერმიტაჟში დაცული ნიმუშის მიხედვით მოხერხდა ჭურჭლის სრული რეკონსტრუქცია – მას ამკობდა ბოლოებ განასკვული ოთხი გვირგვინი, თითოეულ გვირგვინში სამი ბერძნული ასოა მოცემული. მთლიანობაში წარწერა იკითხება: LAB ETH NNI KHN, რაც ნიშნავს 'გაიმარჯვე“ და იგი მიჩნეულია სპორტულ შეჯიბრებებში დასაჯილდოებელ საპრიზო ჭურჭლად (კახიძე, შალიკაძე, 2009:58–59; Fig.2). სპორტულ შეჯიბრებები თუ მსგავსი სანახაოები ცხადია აფსაროსშიც იმართებოდა, მით უფრო, რომ პროკოფი კესარიელის ცნობით აფსაროსს ძველად ჰქონია თეატრი და ჰიპოდრომი(BG, VIII.2).



სურ. 7.

სურ. 8.

მონეტები. არქეოლოგიური გათხრებისას ციხის სხვადასხვა უბანზე (ამ ეტაპზე საერთო ფართობის მხოლოდ მესამედია შესწავლილი) და გარე ტერიტორიაზე ნაპოვნია 200-ზე მეტი რომაული ხანის მონეტა, რომელთაგან 30 მონეტა ახ.წ. I საუკუნით თარიღდება. ესენია: ტიბერიუსის (14–37 წწ.) დენარი (სურ.8.1), ჰიპპრია (37/38–38/39 წწ.), მოჭრილი ბოსფორის სამეფოში 39 წელს, აგრიპა I ჰეროდე (37–44 წწ.), მოჭრილი იუდეაში 42/43 წელს

(სურ,8.2), ანტიოქიაში მოჭრილი ნერონის (54–68 წწ.) მონეტები (სურ.8.3), ვესპასიანეს (69–79 წწ.) დენარები მოჭრილი ეფესოსა და რომში 71 და 74 წელს(სურ.8.4). იმპერატორ დომიციანეს (81–96 წწ.) სახელით(სურ.8.5) ანტიოქიაში და ტიტუსის (79–81 წწ.) სახელით დეგაპოლისში (სირიის პროვინცია) მოჭრილი მონეტები და რამდენიმე მონეტეა, რომელიც ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრში ანტიოქიაშია მოჭრილი და ზურგზე გამოსახულია **SC** დაფნის გვირგვინში (ვარშალომიძე,2009:10–16).

ამფორები. აფსაროსში მოპოვებული კერამიკული მასალის დაახლოებით 80% ამფორებია, ისინი ძირითადად ღვინის, მარცვლეულის, ზეითუნის ზეთისა და სხვა სახის პროდუქტების ტრანსპორტირებისათვისა და შენახვისათვისაა გამოყენებული. დასტურ-დება ასევე რამდენიმე შემთხვევა მათი მეორადი გამოყენებისა სამარხებად და სამშენებლო მასალად.



სურ. 9.

2005 წლის მონაცემებით გამოყოფილია რომაული ხანის 20–მდე ტიპი, რომელთგან მხოლოდ სამი ტიპი (Khalvashi, 2010;33,Pl.17.2,3; ხალვაში, 2002:19,21-25. სურ.12,13,16-19; ტაბ.V-VI) ფიქსირდება რომაული ხანის ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრის კულტურულ ფენებში, ესენია: ყავისფერკეციანი კოლხური ამფორები (სურ.9.1), ორმაგყურიანი სტაფილოსებური კორპუსის (სურ.9.2) მქონე კოსური წარმოების ამფორები(Dressel 2-4), რომლებიც ძირითადად ახ.წ.აღ. I საუკუნის შუა ხანებით თარიღდება, რადგან არც ერთ

შემთხვევაში ისინი არ დაფიქსირებულა იმ კომპლექსებში, რომელთა ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი როგორც სტრატიგრაფიულად, ისე თანმხლები მასალით ახ.წ.აღ. I საუკუნის დასასრულითა და II საუკუნის დასაწყისით განისაზღვრება. ქიმისებურ-შვერილიანი სახელურების მქონე იტალიური წარმოების (Dressel 5,43) ამფორები (სურ.9.3), პარალელური მასალების მიხედვით ეს ტიპი ძირითადად გავრცელებულია ძვ.წ.აღ. I და ახ.წ. აღ. I საუკუნეებში. მართალია ისინი აფსაროსშიც ახ.წ. აღ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება, მაგრამ ხშირად ფიქსირდება ახ.წ. აღ. II საუკუნის მასალებთან ერთად, რაც ადასტურებს, რომ ამფორების ეს ტიპი არსებობს ახ.წ.აღ. II საუკუნის დასაწყისშიც. ანალოგიური მდგომარეობაა კოლხურ ამფორებთან მიმართებითაც.

აფსაროსში დადასტურებული კულტურული ფენებისა და ნაგებობათა ნაშთების (პრინციპია, წყლის ავზი, დასავლეთი კედლის გარეთ გამოვლენილი კედლის ნაშთები და სხვა.) მიხედვით ჩანს, რომ ახ.წ.აღ. I საუკუნის შუახანებისათვის, არაუგვიანეს ახ.წ.აღ. I საუკუნის მესამე მეოთხედისათვის აფსაროსი მოქმედი ციხეა და აქ უკვე რომაული გარნიზონებია, რაც თავის მხრის ადასტურებს გაიუს პლინიუსსეკუნდუსის ახ.წ. აღ. 77 წლით დათარიღებული ცნობის უტყუარობას, რომ ტრაპეზუნტიდან 14000 ნაბიჯით დაშორებულ მდინარე აფსართან ამავე სახელის ციხესიმაგრე დგას (NH,VI,11).

განხილული ამფორების, ლუთერიების, წითელლაკიანი კერამიკის, მინის ნაწარმისა და მონეტების მიხედვით დასტურდება, რომ ამ პერიოდისათვის აფსაროსში დაბანაკებული რომაელთა გარნიზონები უპირატესად აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან და რომის იმპერიის დასავლეთი პროვინციებიდან მარაგდებოდა.

Archaelology

The Archaeological Evidence of the 1st Century AD from the Fort of Apsarus

Merab Khalvashi, Shota Mamuladze

The Apsarus fort (Fig. 1) is situated in the south-western part of Georgia, in the village of Gonio, on the left bank of the river Chorokhi (ancient Apsarus), 12 km away from Batumi. The fort, numerously mentioned in the Roman and Byzantine sources, attracted scholars' attention as early as 1880s. Heinrich Schliemann, Nicholas Marr and Fyodor Uspenskiy remarked the importance of archaeological study of Apsarus for the scholars. Despite all attempts, no archaeological excavations were conducted in Gonio at that time. Owing to the closeness to the state border and the soviet garrisons stationed there the scholars were deprived of the opportunity of thorough study of Apsarus in the 20th century as well.

The stationary archaeological excavations began in the fort and its vicinity only in 1995 and they are still successfully going on to this day.

Cultural layers of mid 1st century AD and particularly the second half, connected to the foundation of the fort, are found in inner as well as outer territory of the fort at the current stage of research.

At the southern wall of the fortification (SW-IX) the cultural layer between the studied basins and wall section is generally dated to 1st-2nd centuries AD. The find (amphoras, glassware) relatively precisely determines the lower date of the layer – second half of the 1st century AD. The #1 water basin found here is dated to 1st century AD according to the coin (Japaridze 2002, 190).

From this viewpoint of the research the architectural complex – *Principia* – found in the central section of the Castle is particularly interesting. The following was found during the preparation of the floors of #2 and #3 repositories: fragments of pots, relief-handled red-glaze bowls ("Eastern Sigilata'), coins minted in Syria Antioch in second half of 1st century AD in the name of the Emperor Nero (54-68).

It is obvious that the construction began functioning from the mid 1st century AD.

The revealed cultural layer of mid and second half of the1st century AD as well as corresponding artifacts (a coin minted in the name of Agrippa I Herod (37-44), oil lamp with a horse image, a glass goblet with Greek inscription, etc.) were given by the ditch made outside the western wall of the fortress, in the southern section (SW-XII).

Archaeological artifacts found in Apsarus

Red glaze pottery. In Apsarus, according to the parallel materials as well as stratigraphic data, the goblets decorated with "Barbortino' and the small size vessels – "Eastern Sigilata', the straight tall mouth of which on the outer part is ornamented with crescent, relief handles, as well as a fragment of a red glaze bowl with small relief handle (Ebralidze, 2005: 37, fig. 12, type 5)which can be a variation of the "Eastern Sigilata' as the clay structure and glaze quality are identical - create the group of the red glaze pottery of the early, 1st century AD, more precisely, the second half of it.

From the numerous collections of clay oil lamps several specimens are dated to second half of the 1st century AD. Such sample is the oil lamp found in the south-western corner (SW-XII sector) outside the fort, on the concave surface of which a horse image is made (Fig. 2). Apart from the analogies, the dating of the oil lamp becomes trustworthy by the accompanying coin in the name of Nero.

Outside the northern wall of the fort, in the 6th square of the 2nd ditch an oil lamp surface is found (Fig. 3) which is decorated by the leftwards directed standing image of Eros (Plontke-Lüning 2002, 76-78). Apart from other materials, the Nero temidrachmminted in Cappadocia Caesarea is very important for dating as it was found in almost the same layer, and on the reverse of which a figure of Victoria is depicted. Supposedly, such types of coins were minted in connection with invasion of Corbel in Armenia in 58-60 (Plontke-Lüning, 2002: 77).

In the Roman layer of the fortwestern wall (tower #2) a completely survived oil lamp was found. On the cover, against the background of hand spear, a high-heel vessel is depicted while there are volute rolls at the wick nozzle (Fig. 4). According to the parallel and accompanying materials (Ebralidze, 2005: 57-58, fig. 34) the oil lamp can supposedly be dated to second half of the 1st century AD.

Loutheria. Loutheria take the leading place among the kitchenware. Majority of them is found in the 2nd-3rd centuries AD cultural layers and are characterized by plainness and massive form.

Only several different fragments of Synopean clay louterion are found in 3rd repository of *principia* and outside the western wall of the fort (SW-XII sector) in the second half of the 1st century AD layers. The flare mouth surface of them is decorated with horizontally arranged holes (Fig. 5). In decoration they differ from the 2nd-3rd centuries AD loutheria and in this aspect they somewhat repeat the shapes of Hellenistic loutheria.

Glassware. Among the diverse glassware from Apsarus in the layers of second half of the1st century AD, mosaic vessel fragments (mostly bowls) are often found (Fig. 6.1-2). As it is known this technique reached its peak in the1st BC and 1st AD centuries and are no longer met in later periods (Kakhidze, Shalikadze 2009: 54-55, pls 17.53-54,56). They are: glass bowls with vertical cones made in the Western European workshops with the so called *millefiori* technique (Fig. 6.3), known in scientific literature as 'Rippenschalen'; perfume-like samples found on the floorof #3 repository of *principia*, goblet with lotus image, *crateriscos*, tray decorated with thick lines and inkpot lid (Kakhidze and Shalikadze 2009, 57, 60, 65, 70, 75, figs 1,4,8,12,16,25). Particularly interesting is a glass goblet found outside the west wall of the fort (SW-XII sector) in 1995. It is decorated with Greek inscription relief ornament. Three Greek letters "KHN' are inserted into the preserved crown (Fig. 7). The complete reconstruction of the vessel became possible in accordance with the sample preserved at Hermitage – it was decorated with four crown with four crown knotted at the end. In each crown three Greek letters are given. In the whole the following inscription is read: LAB ETH NNI KHN, meaning "be victorious' and it is regarded as a vessel used as a reward prize in sports competitions (Kakhidze, Shalikadze, 2009: 54-55, fig. 2). Sports competitions or similar events were obviously held in Apsarus too, moreover, that according to Procopius of Caesarea, Apsarus used to have theatre and hippodrome (*Wars* 8.2).

Coins. During the archaeological excavations at various sections of the fort (at this stage only one third of the whole area is studied) as well as outside territory over 200 Roman coins are found including 30 coins dated to the 1st century AD. These are: Tiberius (14-37) denar (Fig. 8.1), Hypepria (37/38-38/39) minted in Bosporus kingdom in AD 39, Agrippa I Herode (37-44), minted in Judea in 42/43 (Fig. 8.2), Nero (54-68) coins minted in Antioch (Fig. 8.3), Vespasian (69-79) denars minted in Ephesus and Rome in 71 and 74 (Fig. 8.4); the coins minted in Antioch (Fig. 8.5) in the name of Emperor Domician (81-96) and in Degapolis (Syrian province) in the name of Titus (79-81), as well as some other coins minted in Antioch in the second half of the1st century AD on the back of which SC is inscribed within a laurel crown (Varshalomidze, 2009: 10-16).

Amphoras. About 80% of ceramic ware found in Apsarus is amphoras. They were mainly used for transportation and storage of wine, grain, olive oil and other types of products. Several cases are also confirmed of their secondary utilization as burials and building materials.

According to the data from 2005, about 20 types of Roman age are singled out, only three types of which are confirmed in the Roman cultural layers of the second half of the 1st century AD (Khalvashi, 2002: 19, 21-25. pls 12, 16-19; 2010, 33, pl. 17.2-3). These are: brown-glaze Colchis amphoras (Fig.9.1), double-handledCosianamphoras (Fig. 9.2) with carrot-like body (Dressel 2-4) which are mostly dated to mid 1st century AD as they have never been found in the complexes the lower chronological limit of which are determined by the end of 1st century AD and beginning of 2nd century AD from the stratigraphic point of view as well as according to the accompanying materials.Amphoras of Italian production with pointed handles (Dressel 5,43)are mainly spread in

the 1st century BC and 1st century AD according to the parallel materials. Although they appear in Apsarus from the second half of the 1st century AD, they are still often found together with the materials of the 2nd century AD. It confirms the fact that this type of amphora exists at the beginning of the 2nd century BC as well. The situation is analogous in connection to the Colchis amphorae too.

According to the confirmed cultural layers and building remains (Principia, water basin, wall remains outside the western wall, etc.), it becomes clear that by the mid 1st century AD or no later than the third quarter of the 1st century AD, Apsarus is a functioning fort and there are already Roman garrisons here. It confirms as well the authenticity of the information by Gaius PliniusSecundus, dated to 77 AD that near the river Apsarus, 14 000 steps away from Trapezus there stands the fort of the same name (NH,VI,11).

According to the amphoras, luotheria, red-glaze pottery, glassware and coins it is confirmed that the Roman garrisons stationed in Apsarus at this time were provided mostly from eastern Mediterranean littoral and western provinces of the Roman Empire.

გამოყენებული ლიტერეტურა:

1. ებრალიძე, 2005 - ტარიელ ებრალიძე, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გვიანანტიკურსა და რომაულ ხანაში.– გონიო–აფსაროსი VI, ბათუმი,2005;
2. ვარშალომიძე, 2009- ირინე ვარშალომიძე, მონეტები გონიო–აფსაროსიდან.- გონიო–აფსაროსი VII, ბათუმი,2009;
3. კახიძე, 2009-ამირან კახიძე,თამარ შალიკაძე, მინის ნაწარმი სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან, ფიჭვნარი IV, გონიო–აფსაროსი IX,ბათუმი–ოქსფორდი, 2009;
4. პლონტკ–ლუნინგი, 2002-ანეგრეტპლონტკ–ლუნინგი, ნადინეფელმუტი, ანგელიკაგაიერი, გონიო–აფსაროსის გერმანულ–ქართული ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია.–გონიო–აფსაროსი,III, 2002, გვ.71–81;
5. ხალვაში, 2002- მერაბ ხალვაში, კერამიკული ტარა გონიო–აფაროსიდან.– გონიო–აფსაროსი II, ბათუმი, 2002, გვ.19-25;
6. ჯაფარიძე, 2002- ვახტანგ ჯაფარიძე, არქეოლოგიური სამუშაოები აფსაროსის ზღუდის სამხრეთ მონაკვეთში (სექტ.SW-IX), გონიო–აფსაროსი,III, 2002, გვ. 184–207);
7. Merab Khalvashi, Roman amphorae from Gonio-Apsarus. “produqtion and Trade of Amphorae in the Black Sea' Actesdela Table Rounde Intrrnationale de Batoumi et Trabzon, 2719 April 2006, TATABS I, Varia Anrtolica XXI, Paris, 2010, pp. 33–34, Pl. 17;

ნალია კლარჯეთის ეთნოგრაფიაში

ნუგზარ მგელაძე, თემურ ტუნაძე, ბექა მგელაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართველი ხალხის ისტორიული თუ თანამედროვე განსახლების არეალში უძველესი დროიდანვე სახეზე გვაქვს საკმაოდ დაწინაურებული და განვითარებული აგრარული კულტურა. ამასთან ერთად, სახეზეა მიწათმოქმედებისათვის დამახასიათებელი ბინადარი ცხოვრების წესი, რამაც საფუძველი დაუდო საკარმიდამო კომპლექსის მოწყობის დროში მდგრად ტრადიციულ კულტურას. ბინადრობამ ადამიანს სამეურნეო-კალენდარული ციკლის სტაბილურობა მისცა. სტაბილურობამ კი წარმოშვა სწრაფვა, რომ დროში საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობები მეტნაკლებად მდგრადი და გამძლე გაეხადა, შედეგად სამშენებლო ტექნოლოგიური მიღწევები დაიხვეწა და იგი ტრადიციული კულტურის განუყრელ ნაწილად ჩამოყალიბდა. სტაბილურმა ბინადარმა ცხოვრებამ, თავის მხრივ, აქტუალური გახადა კარმიდამოს დაგეგმარების სტანდარტული მოდელები, რაც ყოველთვის შეხამებული იყო კონკრეტულ ლანდშაფტთან და სამეურნეო პირობებთან. აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება, კერძოდ ის, რომ სამეურნეო პირობები, შეიძლება საერთო და მსგავსი იყოს გაცილებით ფართო გეოგრაფიული არეალისათვის, მაშინ როცა მთაგორიანი რელიეფის შემთხვევაში, ერთი დასახლებული პუნქტის, ერთი სოფლის შიგნითაც კი - სამოსახლო ადგილის რელიეფი ერთმანეთისაგან განსხვავდე-ბოდეს. ერთგვაროვანი სამეურნეო პირობებისა და განსხვავებული რელიეფის ურთიერთმიმართება, კარმიდამოს დაგეგმარების სხვადასხვა მიდგომებს განაპირობებდა. კარმიდამოს დაგეგმარების ამგვარი თავისებურება, ძირითადად, სამეურნეო და კულტურული ეზოების ურთიერთ-მიმართებაშიც, მაგალითად, კარმიდამოში ეკოლოგიური ფუნქციური ზონების განლაგებაშიც პოულობდა გამოხატულებას. ეს საკითხი კლარჯეთის მოსახლეობისათვის დამახასიათებელი კარმიდამოს გეგმარებაში, მასში ცალკეული სეგმენტის განთავსების, მათ შორის, ნალიის მდებარეობის თვალსაზრისითაც, ერთობ საინტერესოა, რასაც ქვემოთ უფრო კონკრეტულად შევეხებით.

ქართველი ხალხის განსახლების არეალში საკარმიდამო კომპლექსი სოციალური უჯრედების არსებობისათვის აუცილებელ და საჭირო სამეურნეო-ეკონომიკური, სოციალური, სულიერი, თავდაცვითი თუ ჰიგიენური ხასიათის მქონე ყველა ასპექტსა და ელემენტს ითვალისწინებდა. ეს აუცილებელი თუ საჭირო ელემენტები, უპირველეს ყოვლისა მიწას და მასზე მდგარ შენობა ნაგებობებს - უძრავ და მოძრავ ქონებას გულისხმობდა. ამ ქონების ურთიერთ-შესაბამისობაც სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ექვემდებარებოდა ისე, რომ დიდი მიწის ქონა, ბუნებრივია, უმრავლეს შემთხვევაში, დიდი საცხოვრებელი კომპლექსისა და სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების შესაბამისი ნაგებობების არსებობაზეც მიუთითებდა და, პირიქით. ქართულ ხალხურ კარ-მიდამოში ცენტრალური ადგილი საცხოვრებელ სახლს მიეკუთვნებოდა. კარ-მიდამოს

დაგეგმარებისას, უპირველეს ყოვლისა, საცხოვრებელი სახლის მდებარეობა და სხვა აუცილებელი დამხმარე სამეურნეო ნაგებობების მდებარეობაც მასზე დამოკიდებულებით შეირჩეოდა.

ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი საველე მასალების გათვალისწინებით კლარჯეთში სახეზე გვაქვს კარ-მიდამოს დაგეგმარებასთან დაკავშირებული ყველა მატერიალური ფორმის განლაგებითი მიმართება.

კლარჯეთის ტრადიციულ კარ-მიდამოში სახლს ძირითადი და თვალსაჩინო ადგილი ეკავა. თავის მხრივ საცხოვრებელი სახლი ფასადით ყოველთვის ეზოსკენ - იმ მხარისკენ იყო მიმართული, საიდანაც გარე სამყაროსთან: სოფელთან, უბანთან ქუჩასთან კომუნიკაცია მყარდებოდა. ამგვარი მიდგომა ზოგადად, ქართული გარემოსათვის იყო დამახასიატებელი, მათ შორის, კლარჯეთის ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის. უფრო მეტიც, ზოგიერთი მონაცემით შეიძლება დავუშვათ, რომ აქცენტი საცხოვრებლის ამგვარ მდებარეობაზე უნივერსალურ მოვლენასაც წარმოადგენდა. ეს, უპირველეს ყოვლისა იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანს ყოველთვის გააჩნდა სოციალური მოთხოვნილება სხვებთან კომუნიკაციაში ყოფილიყო. საცხოვრებელთან კონტექსტში, კარ-მიდამოში მცხოვრები სოციუმის სოციალური მოთხოვნილება კი იყო კომუნიკაცია ჰქონოდა ისეთ გარე სამყაროსთან, როგორიც სოფელი, უბანი, ქუჩა იყო, კონტაქტი განეხორციელებინა მეზობელთან, სტუმართან... კომუნიკაციის ეს თავისებურებები, გარკვეულწილად, კარმიდამოში საცხოვრებლის მდებარეობის განსაზღვრის პრინციპებს ერთგვარ ტრადიციულობას ანიჭებდა და თაობათა შორის გარდამავალი ხდებოდა. ნალიაც ასეთი ტრადიციული ტრანსმისის ნაწილი იყო.

იმ ხალხთა ტრადიციულ კულტურაში, სადაც მიწათმოქმედება და მესაქონლეობა სიმბიოზურად ვითარდებოდა, სამეურნეო ხასიათის შენობები ჰიგიენური და არაჰიგიენური ნიშნით დაყოფას ექვემდებარებოდა. ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომ პერიოდში, ეს ფაქტორი, უფრო შესამჩნევია, თუმცა რიგი მონაცემის მიხედვით, მაგალითად, ჭოროხის აუზის ადგილობრივი მოსახლეობის ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინებით, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ჰიგიენური ნორმების მიხედვით სამეურნეო ნაგებობათა დიფერენცირება საკმაოდ ძველი იყო. იგი ხანგრძლივი ტრადიციულობითაც გამოირჩეოდა და აქტუალობას თანამედროვე საზოგადოებაშიც არ კარგავს. მატერიალური კულტურის ჩვენთვის საინტერესო ელემენტი - **ნალია**, ჰიგიენური თვალსაზრისით, გამორჩეული იყო. ნალია არ მოითხოვდა აუცილებლად სახლის უკან, ეზოს სამეურნეო ნაწილში მდებარეობას და, შესაბამისად, როგორც კლარჯეთის ეთნოგრაფიული მასალებიც მიუთითებს იგი კარმიდამოში მდებარეობის მრავალგვარობითაც ხასიათდებოდა. კლარჯეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ნალია გამორჩეული ნაგებობა იყო. იგი თითქმის ყოველთვის სახლის გვერდით იდგა, რაც ძირითადად, მისი ფუნქციური დანიშნულებით იყო განპირობებული. ნალია კლარჯეთში სამეურნეო ხასიათის სხვა ნაგებობებთან შედარებით, როგორც ითქვა, თანამედროვეობაშიც უკეთაა შემონახული, რაც მის განსაკუთრებულ და არაერთფეროვან სამეურნეო ფუნქციაზე, შესატყვისად, ტრადიციულ სამიწათმოქმედო ყოფაში კულტურის რიგი არქაული ელემენტის კონსერვაციაზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა წარსულში ნალიას დიდი სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა თუ არა, დღეს მან ეს ფუნქცია ფაქტიურად მაინც დაკარგა, რაც თურქეთში ურბანულმა პროცესებმაც განსაზღვრა. მიუხედავად ამისა, ტრადიციული

სამეურნეო ფუნქციის გარეშე დარჩენილმა ნალიამ, როგორც ეროვნულმა კულტურულმა ფასეულობამ, ვიზუალურად დღემდე თავი მაინც შემოინახა, რაშიც კლარჯთა ეთნიკური მეობის, ეროვნული კულტურული ღირებულებებისადმი ფაქიზი დამოკიდებულებაც გამოსჭვივის.

კლარჯეთში, კარ-მიდამოს ჰორიზონტალურ სივრცეში სახლთან ერთად წარმოდგენილი იყო **ნალია** ისე, როგორც საბძელი და სხვა ტიპის სამეურნეო ნაგებობები. ნალიას ზოგჯერ თურქული ტერმინი **სერენი** (**სერენდერი**) ცვლიდა, თუმცა უფრო ხშირად სიტყვა **მერეგი** (//**მერეღი**) გამოიყენებოდა. ***მერეგსა*** და ***ნალიას*** შორის მცირეოდენი ფუნქციური განსხვავება მაინც არსებობდა. ტერმინთა არსიდან გამომდინარე **მერეგი** თითქოს უფრო **ბეღელი**'ს ტიპოლოგიური შესატყვისი უნდა იყოს, მაგრამ ესეც სულ ასე არაა. ასეთივე მიმართება გააჩნდა **ნალია**'ს იმ ნაგებობასთანაც, რომელსაც **სერენი** ეწოდებოდა. **ნალია**, **სერენი** - სიმინდი სადაც ხმებოდა კლარჯეთში ის ადგილი იყო, ხოლო **მერეგი** (//**მერეღი**) - თივის შესანახი ნაგებობა. მოსახლეობის გაგებით, 'ნალია რომ არ ქონოდა კაცს, ხანედ (ოჯახად, კომლად) არ ითვლებოდაო'. როგორც რესპოდენტები გვიდასტურებენ, **ნალია** ყანაში კეთდებოდა, **მერეგი** კი კარ-მიდამოში ანდა მასთან ახლოს. მერეგში 'ჩალა, ბალახი, ფუჩეჩი და ცაცხვის ფურცლები, ნალიაში კი - მხოლოდ სიმინდი ინახებოდა' [**მთხრობელი**: ალი ჯებეჯი (ალეკო გობეჯიშვილი), 60 წლის, 2 აგვისტო, სოფელი მარადიდი, კლარჯეთი (ნიგალის ხეობა), თურქეთის რესპუბლიკა, 2014].

საბძლებთან ახლოს, რომლებიც ადრე ძირითადად ჯარგვალური იყო, წვრილფეხა საქონლის სადგომებიც იყო შემოღობილი. ყანისპირებსა და გზისპირებში პატარა ქოხები - **ფაცხები** იდგა, სადაც მფლობელები ღამესაც ათენებდნენ, რათა ყანებში ნათესები გარეულ ღორებს არ შეეჭამათ. ტერმინი **საბძელი** კლარჯებს თითქმის აღარ ახსოვთ. მათი მონათხრობით, ადრე სახლის გვერდით - 'ღობის შიან, ანდა გარეთ' **სერენი**/**მერეგი** იდგა, რომელიც სახლიდან ხუთი-ათი მეტრით იყო დაცილებული. ჩვეულებრივ, სახლეულის ოჯახებიდან ერთი პირი გამოიყოფოდა, რომელიც ნალიას ღამითაც იცავდა, რათა მოსავალი დათვს არ შეეჭამა. რატომ ინახავდნენ ყანებში განთავსებულ ნალიებში სიმინდს და არ სარგებლობდნენ კარ-მიდამოში მდებარე მსგავსი ნაგებობით? ახსნა მარტივ ლოგიკას ეფუძნება. ჩვეულებრივ, ყანები ზოგჯერ კარ-მიდამოს საკმაოდ იყო მოცილებული, რომელსაც *შორ ყანებს* ეძახდნენ. ამიტომ სახლეულის წევრები ამჯობინებდნენ ნალიები ყანებში გაემართათ და მოტეხილი ***სიმინდის აბარგვისა*** თუ ***სიმინდის აწევის*** შემდეგ იქვე შეენახათ. სხვათაშორის, ნალიაში შენახული საქონლის საკვებიც - სიმინდის **ფუჩეჩი**'ც (**ფუნჩალი**'ც) ყანაშივე ირჩეოდა და იქვე ხმებოდა, თუმცა ეს ყოველთვის ასე როდი იყო. სიმინდის გარდა ნალიაში ხაპს, დერგში მჟავესაც ათავსებდნენ, რათა მღრნელთათვის სახლეულის პროდუქტები ხელმიუწვდომელი ყოფილიყო. საერთოდ, ნალია უმეტესად კარ-მიდამოში იყო წარმოდგენილი და, ძირითადად, სასიმინდის ფუნქციას ასრულებდა, **მერეგი** კი - როგორც აღინიშნა, უმთავრესად, სახლეულის წლიური მარაგის, მათ შორის, საკვები პროდუქტების სათავსო იყო, თივის, ე. წ. **მოლი**'ს შესაყარადაც გამოიყენებოდა. ტერმინი **მერეგი** სიტყვა *მარაგთან* უნდა იყოს დაკავშირებული. **მერეგი** კარ-მიდამოში ცალკე იდგა, მაგრამ ზოგჯერ ფიცრულად ნაშენი **მერეგი** პირუტყვის სადგომის - **ახორი**'ს თავზეც იყო აგებული: 'ქვეშაჲ ახორი, ზეით მერეგი'. ახორის თავზე მოწყობილი ეს ნაგებობაც სასურველი იყო საცხოვრებელი ნაგებობიდან არაუმეტეს ათი-თხუტმეტი მეტრით ყოფილიყო დაცილებული, რადგან ძირითად შენობაში რძის შემოტანა, ხოლო

საცხოვრებლიდან ახორამდე **ნარცხი**'ს გადაადგილება გაიოლებულიყო. ისე **ახორი**, უფრო ხშირად, მაინც სახლზე იყო მიშენებული, ერთგვარად საცხოვრებლის გაგრძელებას წარმოადგენდა და სასურველი იყო სათანადო რელიეფის შემთხვევაში ბოსტნისკენ ყოფილიყო ორიენტირებული. ნალია ღიობებით ისე კეთდებოდა ნიავი, რომ გაეტარებინა, რათა მარცვლეული, განსაკუთრებით, სიმინდი გამხმარიყო - ადგილობრივთა თქმით: 'მაღლაზე ქარმა გოუქროლოს და სიმინდი გახმესო'. ***მერეღშიც*** სასურველი იყო ქარს ექროლა, რადგან ნიავის საშუალებით **თივა** შრებოდა. იქ თივა, **ჩაირი** იყო დაწყობილი და მასში სინესტეს არ უნდა გაევლო. დღეს ეს ჩაირები სოფლებში არდაგანიდან მოაქვთ და ადგილზე ყიდიან, რაც ჩაის კულტურის აღმავლობას განუპირობებია. ჩაის გაშენების შემდეგ სათიბებმაც იკლო და, შესაბამისად, თივაც საკმარისი აღარ იყო. ნალიებს ქვემოდან მომრგვალო ფორმის ხის **ფარფა** ჰქონდათ აკრული, ***მერეღს*** კი - არა. ამას ადგილობრივი მოსახლეობა იმით ხსნის, რომ თუ **მერეღში** (//***მერეგში***) თაგვი ავიდოდა, რეალურად ვერაფერს ვერ დააზიანებდა. ე. ი. ნალიასა და მერეღს შორის მოხმარების თვალსაზრისით ფუნქციური სხვაობა მაინც არსებობდა.

სურ. 1. ნალიის დამცავი საშუალება ხისა და თუნუქის - 'საჯის' ფარფა , იგივე, ორგო

ნალია და **მერეგი**, უმეტესად, ფიცრულად ანდა თიხის - **ტალახი**'ს მასალისაგანაც იყო ნაგები. თავად სამშენებლო აგურიც თიხისაგან მზადდებოდა. საერთდ კი - ნალია შესაძლოა ჯარგვალურიც ყოფილიყო. ფიცრით ნაგებ ნალიას **ფიცრის ნალია**'ს უწოდებდნენ. ჩვეულებრივ ისინი გამძლე ხისგან – წაბლისაგან კეთდებოდა. ნალია სხვადასხვა კონსტრუქციული ელემენტისაგან შედგებოდა. მშენებლობის წესი თავდაპირველად სამშენებლო ადგილის შერჩევას და ნალიის მიმართულების განსაზღვრას ითვალისწინებდა. ამის შემდგომ, ფერდობის შემთხვევაში ნალიისათვის განკუთვნილ ადგილს მოასწორებდნენ და მიწაში წინასწარ შერჩეულ და დამუშავებულ ქვებს ჩასვამდნენ. რაც უფრო ბრტყელი იყო ქვა იგი მით უფრო კარგი იყო, რადგან ნალიის სრული სიმძიმე, ძირითადად, აღნიშნულ ქვებზე მოდიოდა, გრუნტი მაგარი და ქვა ბრტყელი უნდა ყოფილიყო. ქვების ზედაპირი ერთმანეთის თანაბარი იყო, მათზე ჯერ ჰორიზონტალურად ხის ძელები ეწყობოდა, რომლებიც ერთმანეთზე თავებით იყო ჩაჭდობილ-ჩამაგრებული. ეს

აუცილებელი იყო იმ მოტივით, რომ ნალიის ოთხკუთხა ფორმა შეკრულიყო. აღნიშნულ ძელებზე აღიმართებოდა ვერტიკალური ბოძები, რომლებსაც **დირეღი** ერქვა. იგი თავითაც და ბოლოთიც ხის ჰორიზონტალურ ძელებთან იყო დაკავშირებული. ***დირეღს*** ზემოდან მრგვალი ხე ჰქონდა ჩამოცმული, რომელსაც კლარჯეთში **ფარფა** ერქვა. **ფარფა**'ს, ზოგჯერ ***საჯს*** - ლითონის თხელ ფირფიტას წრიულად მიაჭედებდნენ. როგორც მთხრობელებმა აგვიხსნეს - 'თაგვმა ჭოჭი რომ არ მოდვას ქვემოდან ფარფას საჯს მიაჭედებდნენ' (**ტაბულა I**: **სურათი 1**). ქვებიდან აღმართულ ფარფიან დირეღებს ჰორიზონტალურად 'ხე უნდა გუდვა ზეიდან'. ხდებოდა ერთმანეთში ჩასაჭდობი ადგილების **ამოჭრა**, რომლებშიც ზედა დირეღები იდებოდა. ამის მერე ნალიას კიდევ ერთი ხე გაედებოდა, რომელთაც ხისგან დახეული ლატანები თუ ლარტყები ირგვლივ შემოეჭედებოდა. სწორედ აქ უნდა ყოფილიყო დაშორება, რათა როგორც ზემოთაც აღინიშნა, სიმინდის გახმობის მიზნით ნალიაში ქარს უნდა ექროლა.

ყველა ტიპის სამეურნეო ნაგებობა ერთნაირად, საერთო პრინციპით იხურებოდა. გვხვდებოდა, როგორც ირფერდად, ისე ოთხფერდად გადახურული ვარიანტები (**ტაბულა I**: **სურათი 2**). ადრე ნალიები ყავრით, შემდეგ, კრამიტით - **კერემიტი**'თ, გვიან კი - თუნუქით და **საჯი**'თ, ე. წ. **ტენეკი**'თაც კი იხურებოდა. **ფედევინი**'ცა თუ **კრამიტი** (**ქერემიტი**) ბოლო ხანებამდე აქტიურად გამოიყენებოდა. მასზე ადრე კი, უფრო, **ყავარი** იყო გავრცელებული. **ფედევრა**, იგივე, **ყავარი** წაბლის ხისგან მზადდებოდა, მაგრამ ყავრის დასამზადებლად ყველა წაბლის ხე როდი გამოდგებოდა. სასურველი **თაზე წაბლი** იყო, რადგან 'კარგი წაბლიდან ფედევრა არ გასკდებოდა'. პატარა ზომის წაბლის ხის ქერქი სახურავისათვის ყველაზე მისაღები იყო. წაბლის ხეს გაატყავებდნენ, რასაც **დახეთქვა** ერქვა და ხისგან ამოღებული საგანგებოდ დამზადებულით ქერქით ნალიას დახურავდნენ. მასალას ლურსმნით, ე. წ. **მუხით** დაჭედავდნენ. **მუხი** ხისაც იყო და რკინისაც. ადრე, როცა კრამიტს მოსახლეობა არ იცნობდა ანდა მისი მოპოვება ჭირდა, მაშინ ნალიის ისე, როგორც საცხოვრებლის გადახურვა ყავრით ხდებოდა. ნალიის ყავარს - **ნალიის ფედევრა**, ხოლო სახლისას - **სახლის ფედევრა** ეწოდებოდა. არსებობს ასეთი აღწერილობაც: ნალიაში, რომელიც ყანისპირებშიც იდგა, წაგრძელებული ოთახი საკმაოდ დიდი, ზოგიერთი, დაახლოებით 8-9 მეტრის სიგრძისაც კი იყო და საცხოვრებლადაც გამოდგებოდა. ასევე, ზოგიერთ მათგანს ქვემოთ ახორის მსგავსი ბაგაც გააჩნდა, სადაც საქონელი იყო დაბმული. ბუნებრივია მას ჰქონდა **ბაგა** და **ზღვე**'ც. სხვათაშორის, შავიზღვისპირეთის სანაპიროს გორა-ბორცვებსა და ჭოროხის აუზში მცხოვრები ლაზების კარ-მიდამოთა ნალიების ქვემოთაც ზოგჯერ საქონლის სადგომი იყო მოთავსებული. ლაზების ერთ ნაწილს კი ბოსელი - **ბაკი** სახლის გარეთ ჰქონდა გატანილი და კარ-მიდამოს ფარგლებში, შესაფერის ადგილზე, მოთავსებული. სწორედ ასეთ ბაკებს, ხშირ შემთხვევაში, თავზე ნალია - **ბაგენი** ჰქონდა დადგმული. ჩვეულებრივ, ლაზთა კარ-მიდამოში პირუტყვის სადგომს - ბაკს სამეურნეო ნაგებობებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. საცხოვრებლის ბოლოში **ბაკი** ძროხებისათვის, თხებისა და ცხვრებისათვის ცალკ-ცალკე იდგა, მაგრამ ზოგჯერ ამგვარი ბაკები, იგივე, **ახორი**, ძირითადად, ძროხების სადგომად სახლის ქვეშაც იყო გამართული. ისმის კითხვა: თუ ბაკი კარ-მიდამოში უმეტესად ღია ცის ქვეშ იდგა, მაშინ ტრადიციულად ბაკის თავზე **ნალია** რატომ იდგმებოდა. როგორც ჩანს, კარ-მიდამოში ადგილის მოგების მიზნით. საერთოდ, აჭარის-წყლისა და, საერთოდ, ჭოროხის ხეობის თითქმის ყველა სოფელში განლაგებულ კარ-მიდამოთა დიდ ნაწილში, ახორის თავზე ე. წ.

ნალია თუ **მერეგი** იდგა, სადაც საქონლის საკვებს - თივას ინახავდნენ. პირუტყვისა და მისი საკვების ვერტიკალურ განზომილებაში ერთად განლაგება საკმაოდ პრაგმატული იდეა იყო და ზამთრობით მეახორეს საქონლის მოვლას უიოლებდა. ნალიაზე კიბე - **კვათა** იყო მიდგმული (**ვანილიში**, 1978:129). ნიშანდობლივია, რომ ნალია - **ბაგენი** ვერტიკალურ განზომილებაში ახორთან ერთად ნაგებობის ორგანულ ნაწილს ყოველთვის არ წარმოადგენდა. ასეთი ორგოებიანი ნალიიები ბოძებზე იყო შედგმული. ზოგჯერ, ნალიის ზედა სართულზე სიმინდის ჩალა, თივა და მისთანანი ინახებოდა: ერთ მხარეზე აღებული მოსავალი, ხოლო მეორე მხარეზე _ მოჭრილი ჩალა თავსდებოდა, ქვედა სართული კი შეშისათვის, ასევე, სამეურნეო ინვენტარის _ გოდორისა და გიდელის შესანახად იყო განკუთვნილი (**მგელაძე**, 2014:134, 146-147, 164).

ნალიები განზომილების მიხედვითაც განირჩეოდა. ზოგიერთ ნალიას ორი-სამი კარიც ჰქონდა, ე. წ. **იაზლოღები** - დერეფნებიც გააჩნდა, სადაც თხილსა და კაკალს გაფენდნენ. **საჩაღი** - ჭერი ნალიის აუცილებელი კონსტრუქციული ელემენტი იყო. არსებობდა კვადრატული - ოთხბოძიანი, ორგოებით, გრძელი ოთხკუთხედი - ექვსბოძიანი, ორგოებით, ასევე, რვაბოძიანი ნალიები შესატყვისი ორგოებით. სართულების მიხედვით არამარტო ერთი და ორი, არამედ სამსართულიანი ნალიებიც დასტურდებოდა. ბუნებრივია, ნალიათა ხარისხში სოციალური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, შესაბამისად, ნალიათა ტერმინოლოგიური ნაირსახეობანიც შეინიშნებოდა, განსხვავებანი კონსტრუქციული ფორმის მიხედვითაც არსებობდა. გხვდებოდა ისეთი ნალიებიც, რომლის ქვედა ნაწილი ქვების შრეებით ამოშენებული – **ყორე** იყო, ხოლო ზედა ნაწილი ხით იყო ნაგები (**ტაბულა I**: **სურათი 2**; **ტაბულა II**: **სურათი 2**). ბევრ ნალიას რამდენიმე **ლარტყი** გააჩნდა. იგი ნალიის საბჯენების - ბოძების შემაკავშირებელი და ნალიის საყრდენი იყო. საყრდენ ბოძებს - **დირეგი ხე**'ს ეძახდნენ. ზედა ნაწილში დირეგის ხის ოდნავ მომრგვალებული სარტყელი - რგოლები **ყია**'დ, ხოლო კიდევ უფრო ზემო სარტყელი - ***გოლებად*** იწოდებოდა. ეს ის ნაწილები იყო, რომლითაც სამეურნეო პროდუქცია მღრენელებისაგან იყო დაცული. ნალიის ძირის დირეგს - საყრდენს **დასაჯდომელი** ერქვა. **დასაჯდომელი** მდინარის ქვებით ანაწყობ კედელს - **ყორე**'ს აწვებოდა, რომელიც რეალურად ნალიას იჭერდა. ნალიას ზემოთ ვერტიკალური განზომილების ბოძები აჯდებოდა. ნალიას გააჩნდა კიბე, რომელსაც ***ასასლელ კიბეს*** უწოდებდნენ. ნალიას, ასევე, ოთახი ჰქონდა. მას **შიან**'ს (**შინაურობა**'ს) ეძახდნენ. მასში საკვებ პროდუქციას - პურის მარცვალს, სიმინდს, ფქვილს ინახავდნენ, ასევე, როგორც ნალიის მეპატრონეები მოგვითხრობდნენ - ნალიაში უფრო 'სიმინდს დავკიდავდითო'. ამდენად, **შინაურობა** ნალიაში ის ადგილი იყო, სადაც მარცვლეული და სიმინდის ფქვილი ინახებოდა. აქ ამ მიზნისათვის ე. წ. **ქილერი**'ც იდგა. ასე, რომ სიმინდის ფართოდ გავრცელების შემდეგ, ეს მარცვლეული კულტურა ანატოლიურ და კავკასიურ ***ნალიასა*** თუ ***სერენში***, მთავარ ბინადრად იქცა, თუმცა როგორც ადგილობრივები გვამცნობდნენ, მათში შესაძლოა ხაპიც განელაგებინათ და დერგებიც დაეწყოთ, რომელშიც მჟავეს ინახავდნენ. ამავე დროს, ნალიას სხვა დანიშნულება და ფუნქციაც ჰქონდა. შესაბამისად, დანიშნულების მიხედვით გვქონდა მარცვლეულის გასახმობი და შესანახი ნალიები ისე, როგორც ამ ტიპის ხეხილის გასახმობი და შესანახი ნაგებობები.

სურ. 2. ნალიის სხვადასხვა ვარიანტები და სახურავის ფორმები

სურ. 3. ნალიის საყრდენი კონსტრუქციები

ფრიად საყურადღებოა ნალიათა მეფუტკრეობის მიზნით გამოყენების ფაქტები. არსებობდა ნალიები, სადაც ფუტკრის სკები იწყობოდა. არანაკლებ საინტერესოა ისიც, როცა ნალიები ადამიანთა მიერ საცხოვრებლადაც გამოიყენებოდა. მაგალითად, გრძელი, ოთკუთხედი ფორმის ნალიის ერთ-ერთ განყოფილებას კლარჯეთის სოფლებში საცხოვრებლად იყენებდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახალდაქორწინებულებს ძირითად საცხოვრებელში საკუთარი ოთახი არ გააჩნდათ ანდა ნალიაში ზოგჯერ მშობლების მიერ დასჯილი შვილიც კი გადიოდა საცხოვრებლად. საცხოვრისი ფართის კედლები ღოჯის ფიცრულით შენდებოდა და ისეთივე კონსტრუქციით იყო წარმოდგენილი, როგორიც სახლში განთავსებული ჩვეულებრივი ოთახები (**მიქელაძე**, 2014). ასეთ ნალიებში, ჩვეულებრივ, ოთახი დიდი ზომისა იყო, ამასთან, ოდნავ წაგრძელებული - 8 თუ 9 მეტრის შეფარდებით. ქვემოთ საქონლისათვის ***ბაგითა*** და ***ზღვეთი*** ახორი იყო გამართული. მრგვალი მორები - ჯარგვალი ბოლოებში ამოიჭრებოდა ისე, რომ ერთმანეთში მყარად ჩამჯდარიყო. ასეთ ამონაჭრებს **ნაჭტოვი** ეწოდებოდა. ბოლოს მორები

ზემოდან მიწით დაიტკეპნებოდა, რათა ნალია-საცხოვრებელში ახორიდან სუნი არ ასულიყო. ამას **მომიწვნა** ერქვა. სწორედ ამ ოთახში მიმდინარეობდა ცხოვრებისეული ციკლისათვის დამახასიათებელი ყველა სახის საქმიანობა - რთვა და ქსოვა, ტრაპეზი, ძილი თუ ცეცხლისპირას მასლაათი, ოჯახის საჭიროებისათვის აუცილებელი საკითხების განხილვა. ამგვარი ნალია-საცხოვრებლები გადახურული იყო ე. წ. **ხარტომი**'თ. წიფლის ანდა წაბლის ხეებს დახეთქავდნენ, გაატყავებდნენ და **ხარტომა**'ს დაამზადებდნენ. ესეც თითქოსდა ყავრის აღმნიშვნელი სიტყვა იყო, მაგრამ როგორც მთხრობელები გვინმარტავდნენ, **ხარტომა** მოკლე, ხოლო **ყავარი** უფრო გრძელი, ნაძვის ხისა იყო. ხე ძარღვიანი არ უნდა ყოფილიყო, რათა ადვილად გაპობილიყო. ყანისპირებში გამართული ზოგიერთი ამგვარი ნალია საცხოვრებლის მსგავსად 'სახლად მორთული' იყო. რესპოდენტები იმასაც გვეუბნებოდნენ, რომ 'სახლად მორთულ ნალიაში ტურისტი დათევს ღამესო'. ნიშანდობლივია, რომ ზემო აჭარაშიც, ბინადრობის თვალსაზრისითაც, **საბძელი** ცალკე ნაგებობას წარმოადგენდა. იგი სპეციალურ ლიტერატურაში ამ სახის ნაგებობათა პირველ ეტაპადაა მიჩნეული, რადგან ბოსლის ზედა სართული ადამიანის საცხოვრებელ ბინად ითვლებოდა, რომლის რელიქტებმაც ჩვენ დრომდე მოაღწიეს. ასევე, სავსებით შესაძლებელია მართებულად მივიჩნიოთ აზრი, რომლის თანახმადაც, ადრინდელ ხანაში ადამიანი კარ-მიდამოში საბძელს სახლთან ახლოს ცალკე აშენებდა, ნაგებობათა განვითარების გარკვეულ საფეხურზე კი ეს წესი შეიცვალა და ადამიანმა საბინადრო დამოუკიდებელი სახით ააგო, რის გამოც ბოსელი საცხოვრებლის სისტემას ჩამოშორდა. სწორედ იმ ეტაპზე ჩანს დაწყებული ბოსელზე დაშენებული მეორე სართულის საბძლად გარდაქმნის პროცესი (დაწვრ. იხ.: **ადამია**, 1956:62-63). საერთოდ, ნალიისა და საბძელისათვის განკუთვნილი ოთახის საცხოვრებლად გამოყენება უდავოდ საინტერესო ფაქტია, მაგრამ ის ვარაუდიც უნდა დავუშვათ, რომ ეს საქორწინო წყვილების განლაგების ფაქტთან ყოფილიყო დაკავშირებული. მართლაც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დიდი ბეღელის გადატიხრული ოთახი: ბეღელ-ოთახი თუ ხულა ახალდაქორწინებულთა საცხოვრებლის დანიშნულებითაც გამოიყენებოდა, ასევე, სასტუმროდაც. ამდენად, საქართველოს ამა თუ იმ რეგიონში ბეღელი პატარა ოთახსაც ითავსებდა, რომელსაც ახალდაქორწინებულები თაფლობის თვეში საცხოვრისად იყენებდნენ (**რუხაძე**, 1976; შდრ. **ქართული მატერიალური**..., 2012:64). ეს საინტერესოა ეთნოგრაფიული შინაარსის მოვლენაა, რომლის მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზით განსაზღვრული დასახლებებისათვის პარალელების საფუძველზე განზოგადებაც სავსებით შესაძლებელია. ახლად შეძენილი საქორწინო წყვილების საცხოვრებელში დაბინავება ჭოროხის აუზის ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობაში წარსულში საცხოვრებლის აგებამდე ითვალისწინებოდა, მაგალითად, ზემო აჭარულ საცხოვრებელში, ე. წ. **იაზლოღი** - შუა დერეფანი, კონსტრუქციულად დიდ როლს ასრულებდა. დერეფნის გარდი-გარდმო ერთმანეთის გვერდით ოთახები იყო განლაგებული, რომლებიც დიდ სახლეულში ძმებსა და მათ ოჯახებს ეკუთვნოდათ. ნალიაში საცხოვრებელი ოთახის მოწყობა, ბუნებრივია, ზემო აჭარული საცხოვრებლის ტიპის ყველგან გავრცელებულობაზე არ მიუთითებდა. ამიტომ, ქართველი ხალხის საცხოვრებელთა ისტორიაში კლარჯულის მსგავსად გამოიკვეთა ტენდენცია, რომელიც საცხოვრებელზე საქორწინო წყვილთათვის ბინის მიშენებას ითვალისწინებდა. ამ მხრივ საყურადღებოა **მოდგმულა სახლი**, და, შესაბამისად, ზემო აჭარაში, კერძოდ ღორჯომის ხეობაში ე. წ. **ცალპირა სახლი**, რაჭაში **სადედოფლო** (**მგელაძე**,

1987:98). აჭარაში საცხოვრებელი ნაგებობის თითოეულ ოთახს თავისი ფუნქცია და დანიშნულება ჰქონდა. აჭარული საცხოვრებელი ნაგებობა ორსართულიანი იყო და მისი ოთახები საქორწინო წყვილთათვის წინასწარ სეგმენტირებული სახით შენდებოდა. გარკვეული საჭიროების დროს, ძირითადად, ახალი საქორწინო წყვილის შემომატების შემთხვევაში, შესაძლოა აქაც ნაგებობისათვის პატარა ოთახი მიეშენებინათ ანდა იქვე ეზოში ახალი საცხოვრებელი აეგოთ (**Ачугба,** 1984:42,56). სოციალური და ქონებრივ-უფლებრივი ურთიერთობის სფეროში დაფარული ქართულ-კავკასიური, კერძოდ, დასავლურ-ქართული და სამხრეთ-ქართული პარალელებიდან, ამ მხრივ, კლარჯულთან და აჭარულთან სხვა კუთხეების მსგავსად, რაჭის ეთნოგრაფიული მონაცემებიც ახლოს დგას. რაჭაში საცხოვრებელ ნაგებობებს მოდგმული პატარა ოთახები ე. წ. **სადედოფლო**'ები გააჩნდათ, რომლებიც ახალგაზრდა საქორწინო წყვილთა საცხოვრებლად იყო განკუთვნილი მანამ, სანამ ოჯახს კვლავ ახალი ცოლ-ქმარი არ შეემატებოდა, რის შედეგადაც ძველი ცოლ-ქმარი ***საჯალაბო სახლში*** შემოდიოდა და ***დიდ ჯალაბს*** უერთდებოდა, ხოლო ახალნი – საცხოვრებლად სადედოფლო ოთახში მკვიდრდებოდნენ. ხშირად, საცხოვრებელს ყოველი ახალი საქორწინო წყვილის გაჩენასთან ერთად ე. წ. **სადგომა** მოშენდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო. სოციალური პარამეტრებით მსგავსება ბალყარების ეთნოგრაფიულ ყოფასთანაც შეინიშნება, სადაც ვაჟის დაცოლშვილების შემდეგ, არსებული წესის შესაბამისად, ძველ სახლს ოთახს მიუშენებდნენ. ჭოროხის აუზში ზემო აჭარული საცხოვრებელი ნაგებობა ამავე ხეობის სხვა კუთხეების სახლებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ იქ საცხოვრებელი ნაგებობის აგებამდე საქორწინო წყვილებისა და ოთახების რაოდენობა წინასწარ ითვალისწინებოდა. ნაგებობის კონსტრუქციაც ამის მიხედვით განისაზღვრებოდა. ალექსი რობაქიძე მატერიალური კულტურის მოცემულ ძეგლთა ამ სპეციფიკის გათვალისწინებით, ქართულ საცხოვრებელ ნაგებობათა ტრადიციული ფორმებიდან, ბალყარულ სახლთან ყველაზე ახლოს ჭოროხის აუზიდან აჭარულ საცხოვრებელს აყენებდა. ბალყარეთში ყოველი საქორწინო წყვილისათვის ძველ სახლთან ახალი ოთახის მიშენების პრაქტიკაში საცხოვრებელი ფართის გამოყენების თავისებურება გამოიხატებოდა მაშინ, როცა სვანეთში ანდა ხევსურეთში სახლეულის შიგნით ახალი საქორწინო წყვილის გაჩენა საცხოვრებელი ფართის სეგმენტაციას არ იწვევდა. ავტორი აჭარულ და ბალყარულ საცხოვრებელში განსხვავებას, უპირველესად, იმაში ხედავდა, რომ აჭარული სახლი ორსართულიანი იყო და თავიდანვე სეგმენტირებული სახით შენდებოდა, ხოლო ბალყარული სახლი ერთსართულიანი იყო და მისი სეგმენტაცია ოჯახში საქორწინო წყვილების გაჩენის მიხედვით წარმოებდა (**რობაქიძე**, 1960:93-107, 98-99). აქვე იკვეთება საინტერესო მსგავსება კავკასიის ხალხთა ტრადიციულ კულტურასთან, რომელიც მაგალითად აფხაზეთში საქორწინო წყვილთათვის განკუთვნილი ნაგებობის არსებობაში იყო გამოხატული. მას **ამჰარა** (**ამხარა**) ეწოდებოდა (**Инал-Ипа**, 1954; 1965; **ბახია**, 2011). საერთოდ, აჭარაში საქორწინო წყვილთა გაჩენის შესაბამისად საცხოვრებელზე ახალი ოთახების მიშენება იშვიათად ხდებოდა. მას განსაკუთრებით მაშინ შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი, როცა მრავალრიცხოვანი ოჯახი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა და ახალი საცხოვრებლის მშენებლობას თავს აარიდებდა, რადგან დასაშვებია ამ ფაქტს **ერთიანობის სახლი**'ს დაშლა განეპირობებია. გაყრისას იმ ძმას ანდა ბიძაშვილს, რომელიც მამა-პაპისეულ ფუძე-საცხოვრებელში რჩებოდა, გარკვეულ სიტუაციაში, სახლი უნდა

გამოეხსნა. საწინააღმდეგო ვითარებაში ძმები და ბიძაშვილები საერთო ჭერქვეშ კვლავ აგრძელებდნენ ცხოვრებას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ განაწილებული საოჯახო ქონების გვერდით გაუყოფლად მხოლოდ საცხოვრებელ ნაგებობას ტოვებდნენ. გაუყოფელი საცხოვრებლის ჭერქვეშ თითოეულ ძმა-ბიძაშვილს დამოუკიდებელი მეურნეობა და საკუთრება გააჩნდა. ოჯახში დარჩენილი მოძმის მიერ დანარჩენების კუთვნილი ფართის დაუხსნელობის შემთხვევაში, შეთანხმების ნიადაგზე, სახლს შლიდნენ და თითოეული მოწილე ნაგებობობის მასალას იქვე, ფუძე-საცხოვრებლის გვერდით, ახალი სახლის ასაშენებლად იყენებდა. ძველ სახლს ამის შემდეგ **ცალპირა სახლი**, იგივე, **ჩამოჭრილი სახლი** თუ **გახეული სახლი** ეწოდებოდა. ეს მონაცემები სოლიდარობაზე დაფუძნებული დიდი სამმო ოჯახის თავისებურებებსა და სინამდვილეს უნდა გადმოგვცემდეს, კერძოდ, იგი ოჯახის განვითარების იმ საფეხურის ამსახველი იყო, როცა სახლობისა და ერთობის დემოკრატიული ხასიათი ჯერ კიდევ თითოეული მოწილისათვის ყველა საოჯახო ქონების სამმო-იდეალური წილის გამოყოფას ითვალისწინებდა. ევოლუციის ამ ეტაპზე მომმეთა შორის გარკვეული წინააღმდეგობებიც იჩენდა თავს და საოჯახო ყოფის ტრადიციულ ნორმებში თანდათანობით ახალი სახის ქონებრივ-უფლებრივი ურთიერთობები იჭრებოდა. ადრე სამმო-იდეალურ წილში საცხოვრებელი ნაგებობაც შედიოდა, ამიტომ ***სახლის გახევამდე*** და ახალი საცხოვრებლების აგებამდე, როგორც აღინიშნა, გაყრილი ძმები კვლავ ერთ ჭერქვეშ აგრძელებდნენ ცხოვრებას და დროებით **ერთიანობის სახლი**'ს იმ ოთახებს იყენებდნენ, რომლებიც მეორე სართულზე გამყოფი დერეფნის - **იაზლოღი**'ს გარდი-გარდმო მოპირდაპირე მხარეებზე ერთმანეთის გვერდით იყო განლაგებული. შემდგომში თითოეული განაყოფი ახალ საცხოვრებელს, როგორც ითქვა, დანარჩენების აქტიური დახმარებით აგებდა. ოჯახში დარჩენილი მომმე მუდამ ცდილობდა ერთობის დროინდელი საცხოვრებელი ნაგებობა ჩამოჭრისაგან დაეხსნა (დაწვრ. იხ.: **მგელაძე**, 1987:96-99). ***ძველ ოჯახში*** დარჩენილი განაყოფის მიერ მომმეთა კუთვნილი საწილო საცხოვრებელი ფართის დახსნის ჩვეულება გვიან, თუმცა დამატებითი საწილოების ფორმირებამდე ჩანს გაჩენილი, როცა საცხოვრებელი ნაგებობა მისი გამოხსნის გარეშე უფროს ძმას ანდა მშობლებთან დარჩენილ უმცროს ძმას რჩებოდა, მაგრამ მიუხედავად პატრიარქალური ბუნებისა, **ცალპირა სახლი**'ს შინაგანი სტრუქტურა ***მომმიანობის*** სახის **ნოგრო**'ს [1] – პატრონიმიული ორგანიზაციის ერთ-ერთი გენეალოგიური შტოს სოლიდარული ბუნების არსს სრულად პასუხობდა (დაწვრ. იხ.: **მგელაძე**, 1987:96-99). სხვათაშორის, დიდი სახლეულის სეგმენტაციისას საცხოვრებლის ორ ნაწილად გაყოფას ადგილი კლარჯეთშიც ჰქონდა. აქ, ნიგალის ხეობაში, სახლის ერთი ნაწილი, ოჯახიდან გასულ ძმას ეკუთვნოდა. კლარჯეთშიც ამგვარ სახლს **ცალპირა სახლი** ეწოდებოდა. თავდაპირველად, მამასთან, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნავენ, უმცროსი - **მონალევაᲥ ძმა** რჩებოდა (იხ.: **მალაყმაძე**, 2008:127). კლარჯეთში ნალიაში ბინადრობის ფაქტი, ისე როგორც შავშეთსა და აჭარაში ცალპირა სახლებში ცხოვრება ტიპოლოგიური თვალსაზრით ურთიერთმიმართებაში უნდა განვიხილოთ. ორივე მოვლენა საერთო სოციალურ ამოცანას - სახლეულში გაჩენილ საქორწინო წყვილთა დაბინავებას ემსახურებოდა. ყველა შემთხვევაში, უფროსი და უმცროსი ძმის ქონებრივ-უფლებრივი,

[1] **ნოგრო** ესაა საერთო წინაპრის შთამომავალთა სოციალური გაერთიანება. იგი პატრონიმიული ორგანიზაციის იმ ნებისმიერი რიგისა და ფორმის გენეალოგიური სეგმენტის ზოგადი აღმნიშვნელი სახელწოდებაა, რომლის წევრებიც სისხლით ნათესაობით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

სოციალური და მმართველობითი სტატუსები, როგორც ხალხურ ყოფაში, ისე სამეფო დინასტიებსა და ზოგადად ანტიკურ თუ ელინისტურ ეპოქებსა და შუასაუკუნეების ქართულ ფეოდალურ საზოგადოებებში ცალკე შესწავლის საგანია.

სურ. 4. ნალიის ფორმები

ნალიას სოციალური სტატუსის განმსაზღვრელი ფუნქციაც ჰქონდა. ადგილობრივ მოსახლეობას, ამ მხრივ, საკუთარი შეხედულებაც ჰქონდა, რაც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მათ სხარტ გამონათქვამშიც აისახა - 'ნალია, რომ არ ჰქონდეს კაცს, ხანედ (სახლად, ოჯახად) არ ითვლებაო'. ნალიის ფართოდ გავრცელებულობასა და სამეურნეო ყოფისათვის მის დიდ მნიშვნელობაზე ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიც მიუთითებს. მაგალითად, ერთ ხალხურ ლექსში ხაზგასმულია: 'ხოზორეთის ზეგნებში, საცხა მიხვალ ნალია'. ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ნალიისადმი დღესაც განსაკუთრებული დამოკიდებულება, პატივისცემა იგრძნობა. ნალიის თითოეული დეტალი საგრძნობი სიფაქიზითაა დამუშავებული. რეალურად დღეს ტაო-კლარჯული

ნალია, რომელიც კარმიდამოში, სოფელში, შარასა და გზის-პირებშია წარმოდგენილი, ეგზოტიკურ ნაგებობად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელსაც წარსული ისტორიების კულტურული სურნელება თან ახლავს. ნალიისადმი პატივისცემა, მოკრძალება და გამოყენებითი როლი იმდენად დიდი იყო, რომ ნალიის მაკეტებსა თუ სურათებს ისეთ ადგილებშიც შეხვდებოდით, მაგალითად, როგორიც იყო დიდი ოფისები, უნივერსიტეტის რექტორის სამუშაო ოთახი... ამდენად, **ნალია**'თა გარკვეული ნაწილი დასახლებაში დღეს ესთეტიკური კომპოზიციის ნაწილს წარმოადგენს. ისინი, როგორც აღინიშნა, ხშირად, გზისპირებში როგორც საზოგადოებრივი სარგებლობის და ისტორიული მეხსიერების ნიმუშები ისეა განლაგებული. სოფელ ჩაიყურში (ჩაიკურში) დგას ნალია, რომელიც გზის პირში იმგვარადაა ჩამჯდარი, რომ უკანა მხრიდან ხეობის უზარმაზარ სივრცეს გადაჰყურებს და სოფლელთათვის ეგზოტიკურ შესაკრებსა და დასვენების ადგილს წარმოადგენს. პირველი სართული საჰაერო - დასასვენებელი და სამასლაათოა, მაგიდითა და საჯდომებით, ხოლო, იმავდროულად, ნალიის ზედა ნაწილი - სამეურნეო ფართია და, შესაბამისად, ტრადიციული ფუნქციით გამოიყენება. ნაგებობა კონსტრუქციულადაც ტრადიციულ ფორმებს იმეორებს. ნალიის კარ-მიდამოში შენარჩუნება მხოლოდ სამეურნეო ტრადიციას არ განუპირობებია. ისინი ვინც კარ-მიდამოში მას ინახავდნენ, ამით წინაპართა კულტურისადმი პატივისცემას გამოხატავდნენ და ისტორიულ მეხსიერებაში, ვიზუალურად, ტრადიციული ტრანსმისიების მცველები ხდებოდნენ. სხვათაშორის, კლარჯ მუჰაჯირებში, რომლებიც შავი და მარმარილოს ზღვების არეალებში არიან განსახლებულნი, ნალიაც ეროვნული კულტურისადმი კუთვნილებით განიხილება და მისი იქ ამგვარად აღქმა უფრო მძაფრი და ემოციურია. კლარჯ მუჰაჯირებში ტრადიციული მატერიალური კულტურიდან ცვლილებები განიცადა საცხოვრებელმა და სხვადასხვა ტიპის სამეურნეო ნაგებობებმა, ქრობა დაიწყო წისქვილებმა, კარ-მიდამოში ამა თუ იმ დანიშნულების საგნებმა, სამეურნეო და შრომის იარაღებმა - სახვნელმა, სათოხნმა, საჩეხმა, საოჯახო-საყოფაცხოვრებო ინვენტარმა. ისინი თანდათანობით ისტორიას ბარდება ანდა აქა-იქ უფუნქციოდ თუღაა შემონახული. ნალიამ კი კარ-მიდამოში პოზიცია მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ასე თუ ისე მაინც მეტ-ნაკლებად უცვლელად შეინარჩუნა. ეს იყო უცხო გარემოში მიგრირებული ქართული ოჯახების სხვებისაგან განმასხვავებელი ნიშანი. კლარჯი მუჰაჯირიც გარემომცველი სამყაროსაგან თავს კულტურის სწორედ ამდაგვარი ელემენტებით გამოყოფდა. ბუნებრივია, ეს ცხოვრებისეული ციკლის სხვა სფეროებსაც ეხებოდა, რაც მიგვანიშნებს, რომ ქართველ მუჰაჯირებში ყურადღება, უპირველესად, მატერიალურ ფასეულობებში ეთნიკური და კულტურული იდენტობის გამოვლინებებზე იყო გამახვილებელი. კარ-მიდამოში ნალია, როგორც აღინიშნა, ხშირად, ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამეურნეო ფუნქციას აღარ ასრულებდა და, შესაბამისად, პრაქტიკული დანიშნულებაც აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც კარ-მიდამოსათვის უცვლელი შემადგენელი ნაწილი იყო. რაშია საქმე? რატომ შეინარჩუნა ქართველმა, მათ შორის, კლარჯმა მუჰაჯირმა ნალია თურქეთში, როცა მას კარ-მიდამოში შეეძლო მოდერნიზებული თანამედროვე სტილის ნაგებობა დაედგა? საქართველოში ქართველთა მუჰაჯირობისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ სემინარზე ფიგურალურმა გამონათქვამმა გაიჟღერა: 'თურქეთში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ნალიაში ქართული მზერა იგრძნობა ... სწორედ ნალიაში იგრძნობა ეს მზერა იმიტომ, რომ იგი შავშ-კლარჯთა და საქართველოდან თურქეთში გადასახლებულ გურჯთა ყოფის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი დეტალია.

ამასთან, ნალია აუცილებლად სოფელთან ასოცირდება და ჭოროხის აუზის მოსახლეობაში იგი, უპირველესად, სოფელმა შეინახა' (**ჩოხარაძე**, 2013). აქ, ნალიის იმ სამეურნეო, სოციალურ და საკრალურ დანიშნულებებზე გამახვილდა ყურადღება, რომლებიც ნაგებობის ეთნიკური შინაარსითაც იყო განპირობებული. უფრო მეტიც, კარ-მიდამოში ნალიის არსებობა გვიდასტურებს, რომ მისი შემოქმედნი ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ და მიწათმოქმედნი იყვნენ, უფრო ზუსტად, მათი მეურნეობა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზს ეფუძნებოდა. ტრადიციულ გარემოში კულტურის ამდაგვარი ელემენტები გავლენას არა მარტო მენტალობაზე, არამედ ზოგადად ეროვნულ ცნობიერებასა და ეთნიკურ ხასიათზეც ახდენდა. ამიტომაც გადაიქცა ნალია ქართული კარ-მიდამოს ორგანულ ნაწილად. ამიტომაც შემოინახეს იგი გურჯებმა ასე სათუთად, როგორც მეობისა და ყოველდღიური ყოფიერების სიმბოლო. ნალია ჭოროხის აუზში ნიგალის-ხეველი კლარჯებისა და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების თითქმის ყველა კარ-მიდამოში ტრადიციული იერსახით გვხვდებოდა. იგი ისტორიული მეხსიერების ნაწილს წარმოადგენსდა, რითაც ქართველი, კულტურული თვალსაზრისით, თავს განსაზღვრული ფორმულის - 'ჩვენ' და 'ისინის' ფარგლებში სხვებისაგან განასხვავებდა. ამდენად, თანამედროვე თურქეთის ქართულ დასახლებებში ნალია ჩნდება კარმიდამოს, როგორც არქიტექტურული ანსაბლის სტილიზებული დეტალი, როგორც მინიშნება არა მარტო სიძველისადმი პატივისცემაზე, არამედ კულტურული იდენტობის პრიზმიდან ნაციონალურ - ეთნიკურ იდენტობაზეც (**მგელაძე**, 2015:264-265; 2016:338-339). თურქეთში მოქცეულ ქართულ მოსახლეობაში, კერძოდ, შავშეთში მსგავსი პრობლემების კვლევის პროცესში ტრადიციისა და ეროვნული ცნობიერების თანაფარდობის განსაზღვრის საკითხი დაისვა. მიიჩნევენ, რომ თურქეთში შავშური ოჯახი და ქორწინება ის სოციალური საყრდენი იყო, რომელმაც აქაურთა ყოფაში ქართული ტრადიციების შენახვასა და, შესაბამისად, ეთნიკური იერსახის შენარჩუნებას შეუწყო ხელი. წეს-ჩვეულებათა შედარებითმა ანალიზმა ცხადყო ლოკალური კულტურების აშკარა მსგავსება ზოგად-ქართულ ტრადიციებთან. მსგავსება უფრო ხელშესახებია აჭარულ ეთნოგრაფიულ გარემოსთან მიმართებაში, რაც როგორც შავშეთში, ისე აჭარაში ისტორიული ბედის გარკვეული ერთობით - ოსმალთა ოდინდელი მმართველობის სპეციფიკითაა ახსნილი, თუმცა ოსმალებთან თანაცხოვრების, ეთნიკური შერევისა და ადაპტაციის ხანგრძლივი პროცესის შედეგად ბევრი რამ კულტუროლოგიური თვალსაზრისით ერთმანეთს შეერწყა, რის გამოც ხშირად მოსახლეობას თურქული და ქართული ყოფითი ტრადიციების ერთმანეთისაგან გარჩევა უჭირთ. ამის გამო, გაუთვითცნობიერებელ ადამიანს შეიძლება სამართლიანად გაუჩნდეს ეჭვი და დასვას კითხვა: 'ქართველობა შავშელთათვის ცნობიერებაა თუ ტრადიცია'. ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. დაკვირვებული თვალი მაშინვე შენიშნავს საკუთარ ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს პოლიტიკურ საზღვრებში მცხოვრები ქართული მოსახლეობის მიერ საკუთარი ძირძველი ქართული ტრადიციების შემონახულობას. ორთოდოქსალურმა ისლამურმა გარემომ ვერ აიძულა შავშები კულტურის ქართული ტრადიციული საფუძვლები დაერღვიათ. ამ ავტორთა აზრით, ისლამურ გარემოში ცხოვრების მიუხედავად, შავშეთის ქართველობამ ბოლომდე დაიცვა ქართული ყოფისა და კულტურისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, რითაც იგი დაუპირისპირდა ისლამურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებულ ოსმალური ცხოვრების წესს (**ფუტკარაძე**, 2011:131). აჭარის მაგალითზე ამდაგვარი მოსაზრებები ისტორიკოსებისა

და ეთნოლოგების მიერ ადრეც იყო გამოთქმული (ალექსი რობაქიძე, ვლადიმერ მგელაძე...). მართლაც, რასთან გვაქვს საქმე: ტრადიციებთან ეროვნული ცნობიერების გარეშე თუ ორივესთან ერთად? თუმცა აღნიშნული ცნებების - 'ტრადიციისა' და 'ეროვნული ცნობიერების' თანაბარ სიბრტყეზე განხილვა შესაძლოა უფრო მეტ დაზუსტებას საჭიროებდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ეროვნული ცნობიერება ტრადიციას, როგორც ერთ-ერთ უმთავრეს ეთნიკურ კომპონენტს ეფუძნება. იგი უფრო ფართო ცნებად გამოიყურება. არატრადიციულ გარემოში ადამიანთა ჯგუფი ზნე-ჩვეულებათა კომპლექსს ეთნიკური და ისტორიული მეხსიერების რეალიზაციის მიზნითაც ინარჩუნებდა. ტრადიციებს ისინი არა მარტო სოციალურ - უხილავ გარემოში, არამედ მატერიალურ, ვიზუალურ სფეროსა და ყოველდღიურობაში ინახავდა. ზოგადად ცნობიერებაცა და ტრადიციაც ეთნოსის შემადგენელი მნიშვნელოვანი კომპონენტებია. ეროვნული ცნობიერება ტრადიციებითაც იკვებება. აქედან გამომდინარე, ეროვნული ცნობიერების სტრუქტურის განსაზღვრისას დიაქრონიაში, იერარქიულ წყობასა და ჰორიზონტალურ - სინქრონულ განლაგებაში უპირველესად უნდა დადგინდეს ტრადიციული კულტურული ერთობის, როგორც ეთნოსის უმნიშვნელოვანესი ნიშნის, ადგილი და როლი.

ამრიგად, კლარჯული ნალია ქართველი მეურნის ყოფაში მატერიალური კულტურის იზოლირებულ, კულტურის ცალკე აღებულ ელემენტს არ წარმოადგენდა და იგი კომპლექსში ცხოვრებისეული ციკლის მრავალ სფეროსთან იყო დაკავშირებული.

Ethnology

’Nalia’ in Klarjeti Ethnography

Nugzar Mgeladze, Temur Tunadze, Beqa Mgeladze

Batumi Shota Rustaveli State University

In Klarjeti, houses with a 'nalia' (Georgian: 'ნალია“- literally a small building for drying cereals) were of crucial importance in the household , similar to 'sabdzeli' (Georgian: 'საბძელი' - literally a building for storing hay, box, straw, etc.), which was sometimes replaced with the term 'sereni' or 'serenderi' (Georgian: 'სერენი' or 'სერენდერი'); however, the term 'Meregi' (Georgian: 'მერეგი//მერეღი') was more frequently used. A 'Meregi' and 'nalia' should have differed slightly. Likewise, there was an insignificant difference between a 'nalia' and 'sereni.' According to the locals, a family without a 'nalia' in Klarjeti is not considered the family. According to our respondents, a 'nalia' was built in a corn-field, whereas a 'meregi' was a part of the household. The members of household in a 'meregi' kept straw, grass, basswood, and corn husks, while in a 'nalia' they stored only corn [the narrator is 60 year-old Ali Jebeji (Gobejishvili) residing in the village of Maradidi of the region of Klarjeti (Nigali Gorge), Turkey, August 2nd, 2014]. In addition to this, one member of the household took responsibility to guard the 'nalia' at night to prevent bears from eating the harvested corn.

It would be interesting to know why they kept corn in a 'nalia' and not in other buildings in the household. The answer to this question is simple and has a logical explanation. Sometimes corn-fields were far from the houses and household, and they were called remote corn-fields which is why the members of the household preferred to build a 'nalia' in the corn-field and keep corn there. It is also noteworthy that corn husks which were used as food for livestock underwent all necessary procedures in corn-fields, were kept in a 'nalia' and dried there. This was not always like this, however. Besides corn, 'nalia' kept pumpkins and other household products to protect them from gnawers.

As it has been mentioned, a 'nalia' was built in households and functioned almost as a corncrib, whereas a 'meregi' was a structure used for the storage of annual household supplies and food, as well as hay, the so-called 'moli' (Georgian: 'მოლი'). The term 'meregi' was associated with the word 'maragi' (Georgian: 'მარაგი' - supply). A 'Meregi' was mainly separated from other buildings in the household; however, sometimes this wooden building was constructed over a livestock structure called an 'akhori' (Georgian: 'ახორი'). Ideally, the distance between this building over a livestock structure and the household should have been 10 or 15 meters. However, an 'akhori' was mainly attached to the house and, if it was possible, faced a vegetable plot. A 'Meregi' was either a wooden structure or was built from clay or even mud. A 'nalia' could have also been wooden, and a wooden 'nalia' was called a 'pitsris nalia' (Georgian: 'ფიცრის ნალია', literally 'wooden nalia').

In the past, a 'nalia' was of significance agricultural importance and had important functions; however, today it has lost its significance. This is due to the urbanization processes in Turkey. It is true that a 'nalia' has lost its functions but this functionless building has been preserved as a national heritage in the region of Klarjeti thanks to the locals' delicate approach to the cultural values.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ადამია, 1956 - ილ. ადამია. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება - აჭარა, თბილისი, 1956.
2. Аугба, 1984 - Т. А. Аугба. Семья и сумейный быт в Аджарии (вторая половина XIX - наало XX ввю).-«Дисертация на соискание уенной степени кандидата историеской наук, Тбилиси, 1984.
3. ბახია, 2011 - ს. ბახია-ოქრუაშვილი. აფხაზთა ეთნოლოგია, თბილისი, 2011.
4. ვანილიში, თანდილავა, 1964 - მ. ვანილიში, ა. თანდილავა. ლაზეთი, თბილისი, 1964.
5. ვანილიში, 1978 - გ. ვანილიში. ლაზური საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი.-'სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, VI, თბილისი, 1978.
6. Инал-Ипа, 1954 - Ш. Д. Инад-Ипа. Очерки по истории брака и семьи у абхазов, Сухуми, 1954.
7. Инал-ипа, 1965 - Ш. Д. Инал-ипа. Абхазы, Сухумы, 1965.
8. მთხრობელი, 1014 - ალი ჯებეჯი (ალეკო გობეჯიშვილი), 60 წლის, 2 აგვისტო, სოფელი მარადიდი, კლარჯეთი (ნიგალის ხეობა), თურქეთის რესპუბლიკა, 2014.-ნ. მგელაძე. ავტორის საველე კომპლექსური ექსპედიციის დღიურები, კლარჯეთი (ნიგალის ხეობა), თურქეთის რესპუბლიკა, პირადი არქივი, 2014 .
9. მიქელაძე, 2014 - ჯ. მიქელაძე. კლარჯეთის ეთნოგრაფიული საველე ჩანაწერები, ხელნაწერი, პირადი არქივი, 2014.
10. მგელაძე, 1987 - ნ. მგელაძე. ნოგრო'ს წევრთა ქონებრივ-უფლებრივი ნორმები აჭარაში. - 'სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა', XIV, თბილისი, 1987.

11. მგელაძე, 2004 - ნ. მგელაძე. აჭარული ნოგრო და გვარი, ბათუმი, 2004.
12. მგელაძე, 2014 - ნ. მგელაძე. სარფი - ეთნოგრაფიული პორტრეტი.-სარფი, ბათუმი, 2014.
13. მგელაძე, 2015 - ნ. მგელაძე. კლარჯ მუჰაჯირთა ყოფისა და კულტურის საკითხები.-'აჭარა (წარსული და თანამედროვეობა)', კრებული II, ბათუმი, 2015.
14. მგელაძე, 2016 - ნ. მგელაძე. კლარჯეთის ეთნოლოგია.-'კლარჯეთი', ბათუმი, 2016.
15. რობაქიძე, 1960 - ალ. რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის აჭარაში.-ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 'შრომები', I, ბათუმი, 1960.
16. რუხაძე, 1976 - ჯ. რუხაძე. ხალხური აგროკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 1976.
17. ქართული მატერიალური... 2012 - ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 2012.
18. ფუტკარაძე, 2011 - თ. ფუტკარაძე. შავშეთის ეთნოგრაფია.-'შავშეთი', თბილისი, 2011.
19. ჩოხარაძე, 2013 - მ. ჩოხარაძე. 'ქართული მზერა - მუჰაჯირები'.-საველე ჩანაწერები.-იხ.: პირადი არქივი.

მეტსახელი გვარები ჭოროხის ხეობიდან

მამია ფაღავა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოში გვარის გენეზისის შესახებ ბევრი დაიწერა, ურთიერთგამომრიცხავი აზრებიც გამოითქვა, მაგრამ საძიებელი ჯერაც ბევრია. პრობლემის საკვლევად წერილობით წყაროებთან ერთად საყურადღებო მასალას ვპოულიბთ დიალექტებში. საველე ექსპედიციების დროს დაგვიგროვდა მრავალფეროვანი მასალა, რომლის კლასიფიკაცია და ანალიზი იძლევა ზოგიერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას. საკითხი საინტერესოა ეთნოლოგიის, სოციოლინგვისტიკის, ენის ისტორიის, დიალექტოლოგიისა და კულტურის ისტორიის თვალსაზრისით.

პიროვნების სახელდება, სახელის შერჩევა ნებისმიერია: ახალშობილს სახელს არქმევენ მშობლების შეთანხმებით: არქმევენ წინაპართა სახელებს, რითაც პატივს მიაგებენ მათ, ნათლობისას – რომელიმე წმინდანის სახელს უწოდებენ... ყველა შემთხვევაში სახელი ნებისმიერია და სრულებითაც არ მიანიშნებს იგი სახელდებულის ნიშან–თვისებასა თუ ხასიათზე. მეტსახელს კი პიროვნებებს, გვარებსა თუ შტო–გვარებს შეარქმევენ მისი ხასიათიდან, საქმიანობიდან, წარმომავლობიდან თუ გარეგნობიდან... გამომდინარე. სხვაგვარად, მეტსახელი რაიმე ნიშნით ახასიათებს მის მატარებელს.

მეტსახელს ქართულ კულტურაში სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ, კერძოდ:

– აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში (ხევსურული, თუშური, ფშაური) მეტსახელის მნიშვნელობით **თიკუნი** იხმარება (იხ. ღლონტი, 1984). აკ. შანიძე **თიკუნს** ასე განმარტავს: ,,Ã. **ზედმეტი სახელი** თავის მიერ ან სხვის მიერ დარქმეული. თიკუნი უფრო მოშაირეებშია გავრცელებული და ფსევდონიმს მოგვაგონებს. ამას გარდა თიკუნია, შვილი რომ მამას სახელს გამოუცვლის და სხვა სახელს ეძახის (უფრო ხშირად **გაგას** ეძახიან), აგრეთვე რძალი რომ მამამთილსა და დედამთილს სახელს გამოუცვლის. უფროსი კაცის სახელი რომ ბავშვსაც ერქვას, იმასაც სხვა სახელი უნდა დაარქვას. ამნაირად დარქმეული ზედმეტი სახელი თიკუნი არის. ფშავშიც იგივეა: რძალი დედამთილსა და მამამთილს მაზლის სახელობით ეძახის: **ხიწუას დედა**, **ხიწუას მამა**...“ (შანიძე, 1984:329)[1]. მოყვანილი განმარტებიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში **თიკუნი** მრავალი მნიშვნელობით იხმარება, თუმცა ამ მნიშვნელობებს აქვს საერთო: თიკუნი პიროვნების მეტსახელია სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა მიზნით შერქმეული. მეტსახელიც ხომ ,,ზედმეტი, შერქმეული სახელია“ (ქეგლ).

[1]**თიკუნი** და **მეტსახელი** სინონიმური ცნებებია ,,ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით: ,,მეტსახელი – ზედმეტი, შერქმეული სახელი“; **თიკუნი** – შერქმეული სახელი, მეტსახელი“ (ქეგლ).

აჭარულში მეტსახელის გამოსახატავად არაბული **ლაღაბი**//**ლაღუბი** იხმარება (ნიჟარაძე, 1971)[2]. იგივე ტერმინი დასტურდება სხვა სამხრულ კილოებშიც, – შავშურსა და კლარჯულში.

შავშურში იხმარება **ლაღაბი**: ,,კიკვიები **ლაღაბია**, დაბალი კაცები არიან და ისე იტყვიან (ჩიხ. იხ. ფაღავა... 2011:191).

კლარჯულში გვხვდება **ლაღაბ**'ის ფონეტიკური სახესხვაობანი: **ლაღაბი**//**ლაღუბი**//**ლაყაბი** (იხ. ფაღავა... 2016,1059).

ლაღაბი დაუცავს ჭოროხის სხვადასხვა ,,ქვეყნიდან" გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებს (იხ. ფუტკარაძე, 1993:492).

აჭარულში, კერძოდ, ქვემოაჭარულსა (ბათუმურსა) და ქობულეთურში იმავე მნიშვნელობით იხმარება **სიგელიც**: ,,ზედმეტი სახელი ან გვარი. იცი, მაგას რა **სიგელი** აქ? ალიჯანა□" (ნოღაიდელი, 2015);

,,– რატომ იჩხუბეს ბაღნებმა?

–**სიგელი** დუუძახა ოსმანამ და თამაზამ არ მუუთმინა, ბერაბუზასავეთ შეასკდა...

– რა სიგელი?

– **დაქანებული**! ისე იმანაც დუუძახა **დიდთავა**□ მარა მაინც იჩხუბეს..." (ორთაბ.).

მოვიყვანთ კიდევ ერთ დიალოგს, ჩაწერილს მუჰაჯირთა შთამომავლებისაგან:

,,– ერთმანეთს **ძეგლს** დუუძახებთ?

– **ძეგლი** რაა?

– **სიგელი**, გასაჯავრებლად რომ ეტყვიან ერთმანეთს!

– **სიგელს** ვეტყვით. **სიგელის** ბაბაები მინანოღლები არიან, დარქმობა იმათ უყვარან, იმიზა ვჩივი ასე: **ქოსა**□ **დულჯი**, **ბუცუნაკა**□ **ხაბაზოღლი**..." (მუჰაჯირი, 331).

თანამოსაუბრე ჩურუქსუელ მუჰაჯირთა შთამომავალია.

ლაღაბი გვხვდება სხვა დიალექტებშიც, კერძოდ:

ჯავახური: ,,მეტსახელი ადამიანისა რაიმე ნაკლოვანების მიხედვით (იმეორებს შ. ნიჟარაძის განმარტებას – ავტ.). **ლაღაბი** და **ლაყაფი** ორივე ერთი უნდა ყოფილიყო, ორივე ერთად კავშირშია **ლაყბობასთან**, მეტ ლაპარაკთან (ბერიძე, 1981). ვფიქრობთ, საინტერესო დაკავშირებაა, მაგრამ არა ახალი. ჯერ კიდევ სულხან–საბა წერდა: ,,**ლაყაფი** ქართულად **ცუდმოუბარს** ნიშნავს, სპარსულად **მეორე სახელს**" (ორბელიანი, 1949).

შევნიშნავთ: 1. **მეორე სახელი** – მეტსახელია.

2. ჩანს, თავდაპირველად **მეტსახელს**//**მეორე სახელს** ზედმეტად მოლაპარაკეს, მოლაყბეს არქმევდნენ, შემდეგ გაფართოვდა მისი გამოყენების არეალი.

ინგილოურში იხმარება **ლაღაბი**//**ლაღუბი** ფონეტიკური სახეოსხვაობებით: **ლაყაფ, ლაყაპ, ლაყაბ** (ღამბაშიძე, 1988).

ბარემ აღვნიშნავ, რომ **ლაღაბი** ქართულ ქვეკულტურებში – შავშურსა და კლარჯულში შემოსულია თურქულის გზით, ინგილოურში – აზერბაიჯანულიდან.

---

[2] შ. ნიჟარაძის განმარტებით, **ლაღაბი, ლაღუბი** ზედმეტი, შერქმეული სახელია, ვისიმე დაცინვის ან აბუჩად აგდების მიზნით... ავტორი გვაგზავნის საბასთან, ნ. ჩუბინაშვილთან, არნ. ჩიქობავასთან... (ნიჟარაძე, 1971). მცირე შესწორებას შევიტანთ მოყვანილ განმარტებაში: შერქმეული სახელი ყოველთვის დაცინვას და აბუჩად აგდებას არ გამოხატავს, იგი დადებით ნიშანზეც/ნიშნებზეც მიგვანიშნებს. აქვე ბარემ აღვნიშნავთ, რომ ჯ. ნოღაიდელი **ლაღაბ/ლაყაფ**'ის განმარტებისას მიუთითებს – ზედმეტი სახელი ან გვარი (ნოღაიდელი, 2015). საყურადღებო მინიშნებაა, მრავალი გვარი მეტსახელიდან მომდინარეობს.

სამხრულ მეტყველებაში **ლაღაბის** გვერდით იხმარება **ძეგლი**. მუჰაჯირების შთამომავლებთან ჩავიწერეთ: ,,ჭუხა – ქვაბითაველების **ძეგლია**. Áაღი გუუფენიან ქვაბითაველებს და შაშვ შუუჭამია. მაშინ **,,ჭუხა“** დიგვიძახეს ჩვენ“.

მეტსახელის მნიშვნელობით **ძეგნე**//**ძეგნი** (**ძიგური** – ვიწ.) იხმარება ლაზურში (თანდილავა, 2013).

მეგრულში იხმარება **კილი** – ნაკლის მნიშვნელობით (ქაჯაია, 2002). **კილი** იმავე მნიშვნელობით გვხვდება სვანურშიც (თოფურია, ქალდანი, 2000).

კილი მეტსახელის მნიშვნელობით იხმარება მაჭახლურშიც. მოვიყვანთ ერთი დიალოგის ამონარიდს მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავალთან:

,,– ქუჩუქ ბატონო, თქვენთან **,,მეტსახელს“,,,სიგელს“** დუუძახებენ ერთმანეთს, გააჯაღინებენ? – ვცდილობ, მათთვის გასაგები ენით ვისაუბრო.

– ვერ მივხტი!

– **კილს** თუ დაარქმენო, გეკითხება, – ჩაერთო საუბარში ალი.

– **კილს** დაარქმენ **გამობმულები**, ჩვენებურებმა **კილი** დარქმევა არ იციან: **შავი ალია□, თეთრი ალია□**..“ (მუჰაჯირი, 372).

ამდენად, მეტსახელის მნიშვნელობით ქართულში უხმარიათ: **თიკუნი, ძეგლი, სიგელი, ლაღაბი, კილი** (შეიძლება, რომელიმე ქვეკულტურაში სხვა ტერმინიც იხმარება დღემდე ჩვენთვის უცნობი – ავტ.). ყველა მათგანი მეტ–ნაკლებად განსხვავებულ მნიშვნელობებს გამოხატავს, თუმცა თითოეულისათვის ერთ–ერთი მნიშვნელობაა – მეტსახელი.

ქვემოთ ვისაუბრებთ მეტსახელებისაგან ნაწარმოებ გვარებზე, რომელთაც **მეტსახელ გვარებს** ვუქოდებთ.

* * *

ისტორიის გარკვეულ ეტაპზე, როდესაც საჭირო გახდა პიროვნების ორწევრა აღნიშვნა, მეტსახელიც დაედო საფუძვლად გვარ–სახელებს, სხვაგვარად, ლაღაბი გაფორმდა როგორც ,,გვარ–სახელი“. აქ ერთ ფაქტს მივაქცევთ ყურადღებას: რესპოდენტთა შეფასებით, ძველი, ოსმალობისდროინდელი ე.წ. გვარები **ლაყაბია** და არა **სო□ადი** (თ. Soyad - გვარი). მეტი სიზუსტისათვის მოვუსმინოთ მუჰაჯირთა შთამომავლებს:

,,შერიფოღლი, იმამოღლი, გუმრუქჩიოღლი, უსტაშერიფომეროღლი, შაჰველედოღლი... ა□ლაყაბია, **სოÁადი** არ იყო ჯერ. 1934–დან დე□წყო სო□ადი“ (მუჰაჯირი, 2016:409);

ანდა: ,,ენწინ **ლაღაბი** მქონებიან იშტე, ახლა ლაღაბი გედევდა (მუჰაჯირი, 2016:363).

გამომდინარე მსჯელობიდან, ოსმალობისდროინდელ ე.წ. ,,გვარებს“ ვუწოდოთ **,,ლაღაბი გვარები“**||**,,მეტსახელი გვარები“,** რომ განვასხვავოთ ისინი გვარებისაგან.

მივყვეთ მოვლენებს:

შავშეთში, ზაქიეთში დასტურდება: **ჰაჯიენთები, კილდიენთები, ხატიჯენთები, სურათიენთები, ჭეჭელოღლები** (ფაღავა, 2011:44–45).

ჰაჯის ჩამომავლები – **ჰაჯიენთებად** იწოდნენ;

ხატიჯეს ჩამომავლები – **ხატიჯენთებად**;

ჭეჭელას ჩამომავლები – **ჭეჭელოღლებად** (ჭეჭელას შესახებ იხ.ნიჟარაძე, 1971).

გაუგებარია, რატომ უწოდეს **სურათიენთი**. სურათი (თ. surat) თურქულში ორი მნიშვნელობით გვხვდება: 1. შესახედაობა, სახე; 2. უკმაყოფილო (დაბღვერილი)

(თურქული, 2001). დასაშვებია სურათის მეორე მნიშვნელობა დაედო საფუძვლად მეტსახელს.

კილდიენთი გვაფიქრებინებს, რომ იგი **კლდია**'საგანაა (>კილდია) მიღებული, თუმცა **კლდია** საკუთარი სახელი, გინდაც ზედწოდება შავშეთში არ დაგვიდასტურებია. შესაძლებელია, ახლა არ იციან, უწინ კი არქმევდნენ აღნიშნულ სახელს?

შავშეთში, ზიოსში დავადასტურეთ ლაღაბი გვარი **ფალაზი**: შეშასავეთ დადიან **ფალაზები** (ფაღავა... 2011:601). **ფალაზი** თურქულია (palas) და ქართულად ნიშნავს **ნაცვეთი**, **ნაგლეჯი** ტანსაცმელი, ძველმანი, ძონძი (ნიჟარაძე, 1971). აჭარულში გვხვდება ზმნური ფორმა **ეფალაზება.** ქვემოაჭარულში, ბათუმურ აჭარულში **ფალაზას** იტყვიან საჭიროზე დიდი ზომის ტანსაცმელზე: ,,შეხედე, ციცას დინენეÁს კაბა ჩუუცვამს და **ეფალაზება**" (ორთაბ.).

ლაზოღლი – შავშეთში დადასტურებული ლაღაბი გვარია, ეთნონიმ **ლაზიდან** მომდინარე (შდრ. ლაზიშვილი) (ფაღავა..., 2011:70).

აქვეა: **ქოსიენთი** (შდრ. **ქოსა**), **მელიქიენთი** (შდრ. მელიქი, ახალ დროში გვარი მელიქიშვილი).

ჰაჯიენთი და მისთანა ლაღაბი გვარები ნაწარმოებია **–ენ–თ** მრ. რიცხვის რთული ფორმანტით (ჯორბენაძე...1988:150), გვხვდება რაჭულში, აჭარულში, შავშურში... შესაძლებელია სხვა კილოებშიც.

შავშეთში, კოკბერეთში დავადასტურეთ ლაღაბი გვარები:

ყავეჯოღლი, ხოჯიოღლი, ჭიკვიოღლი, ყარსელოღლი...

წელწათში||წერწათში ჩავიწერეთ – **დელიოღლი.**

რაბათში – **უზუნი** (იხ. ფაღავა, 2011:157).

ყავეჯოღლი ხელობის სახელია (შდრ. ქართ. მეყავე, სიტყვასიტყვით: მეყავისშვილი). **ყავეჯოღლი** გვხვდება აჭარაშიც, ორთაბათუმის თემში შტო–გვარია ერთი ძველი ორთაბათუმური გვარისა.

ხოჯიოღლი – მეტსახელი გვარია, ძირეული მასალაა **ხოჯა.**

ჭიკვიოღლი – შდრ. მეტსახელი **ჭიკვი** (იხ. ზემოთ).

ყარსელოღლი – მეტსახელ გვარს საფუძვლად უდევს წარმომავლობის სახელი **ყარსელი.**

დელიოღლი – ლაღაბ გვარს საფუძვლად უდევს **დელი** (გიჟი, გადარეული).

უზუნი – კონკრეტული მეტსახელი ქცეულა ლაღაბ გვარად.

მექართულე შავშეთში შოლტისხევის უბანია **სომეხეთი.** შავშეთში, ზოგადად და შოლტისხევში, კერძოდ, **სომეხი** არ იციან, იტყვიან – **ერმენი**. **,,სომეხი"** შოლტისხევის უბნის მცხოვრებთა მეტსახელია, ლაღაბია (იხ. ფაღავა, 2011:181–182).

უბეში ჩავიწერეთ **დევრიშოღლი,** რომლის ფუძეა **დევრიში** (<დერვიში'საგან. შდრ. თ. Derviş), რაც ნიშნავს: 1. დერვიში, მოხეტიალე. 2. მათხოვარი, გლახა, ღარიბი, ღატაკი, ბოგანო. 3. მორიდებული, მოკრძალებული, თავმდაბალი (თურქული..., 2001). რომელიმე ამ მნიშვნელობათაგანი, უფრო მეორე ან მესამე უდევს საფუძვლად ხსენებულ ლაღაბ გვარს.

გვარი ლაღაბები დასტურდება კლარჯეთშიც:

კანჯა□ შდრ. თ. Kanca – ზამბარა, კაუჭა (ნიჟარაძე, 1971).

ქესკინი, შდრ. თ. Keskin - ძლიერი, უდრეკელი, ურყევი... შევნიშნავთ, რომ ქესკინი ქვემოაჭარულში უფრო **ყოჩაღს, გამჭრეს** აღნიშნავს.

დემირი, შდრ. თ. Demir – რკინა.

ფახირი, შდრ. თ. Bahir - სპილენძი. შევნიშნავთ, რომ ქვემოაჭარულმა იცის **ბახირი**.

თოფჯი, შდრ. თ. Top – 1. ზარბაზანი, 2. ბურთი, სფერო. შესაბამისად, თოფჯი – მეზარბაზნე ან მობურთალია. ამ ორი მნიშვნელობიდან ერთ–ერთი უდევს საფუძვლად ლაღაბ გვარს.

კლარჯეთში, ხებაში გვითხრეს: ,,ძველი გვარები გამოვცვალეთ, სხვა□ გავხდითო“, თუმცა ე.წ. ,,ძველი გვარები“ ახსოვთ და ჩაგვაწერინეს კიდეც: **ბარასოღლი, □ელქენჯოღლი, მუხტაროღლი, მელიქოღლი, სერთოღლი, ოდაბაში, ფესიანი.**

ბარასოღლი, შდრ. თურქულში **ბარას**'ი კანის უკურნებელი დაავადებაა ალისფერი და თეთრი ლაქებით. **ბარასოღლი** ლაღაბი გვარია ამ სენით მატარებლის ჩამომავალთათვის.

□ელქენჯი (შდრ. მეიალქნე), გვხვდება **□ელქენჯოღლიც** (ქართ. მეიალქნიშვილი). პირველი ხელობის სახელია მეტსახელ გვარად ქცეული, მეორეც – იმავე დანიშნულებით იხმარება.

მუხტაროღლი (ქართ. მამასახლისისშვილი) – ხელობის სახელი ლაღაბ გვარად ქცეული.

მელიქოღლი – ხელობის სახელი მეტსახელ გვარად ქცეული. **მელიქი** დ. ჩუბინაშვილთან ასეა განმარტებული: **მელიქი** (არაბ.), ს. ძველად ნიშნავდა მეფესა, აწ ქალაქის გამგეს და მოურავის ხელქვეითს, სომხეთის სოფლებში: მამასახლისი, ქევხა (ჩუბინაშვილი, 1984). **მელიქი** – ჩანს, იგივეა, რაც მუხტარი, მამასახლისი.

სერთოღლი (შდრ. თ. Sert) –მაგარი, მყიფე, ფიცხი, ადვილად ტეხადი. გად. სასტიკი, მკაცრი (ადამიანი) (ნიჟარაძე, 1971). სწორედ ეს გადატანითი მნიშვნელობა ქცეულა ლაღაბის საფუძვლად.

ოდაბაში (შდრ. თ. Oda - ოთახი) – ქართ. ოდისთავი? (შდრ. ძვ. საწოლთუხუცესი). ყველა შემთხვევაში ხელობის სახელი ქცეულა ლაღაბი გვარის საფუძვლად.

ფესიანი – ფესი ,,ისტორიულად ბერძნების თავსაბურავი იყო, წითელი, ფოჩიანი, შემდეგ თურქებმა მიითვისეს“ (ნოღაიდელი, 2015). კაცის მეტსახელია – **ფესატა**□(ნიჟარაძე, 1971). **ფესიან**'ს გად. ხოჯასაც ეძახიან ქვ. აჭარაში. ფესიანი აგებულებით ქონების სახელია მეტსახელ გვარად ქცეული.

მურღულის ხეობაში დასტურდება ლაღაბი გვარი **ჩოლოქოღლი** (<ჩოლაქოღლი), რომლის მატარებლები **ჩოლოყაშვილობას** ჩემულობენ და ერთ ამბავსაც მოგვითხრობენ, თუმცა საგვარეულო თქმულება მხარს არ უჭერს მათ ჩოლოყაშვილობას: ,,ჩემი უწინდელი დედე□ცხენზე დამჟდარი მოვდოდა. ვინცხებმა კლავი მოჭრეს. კლავი დაახტა, გე□ქცა და იმის მემრე **ჩოლოქოღლი, ჩოლოყაშვილი** უთქმიან... ლომიკეთ წასლიხან ცხენი ზურგს ვეტყვით, იქიდან გამოახტა და კლავი მოჭრა“. მოთხრობიდან ჩანს, რომ **ჩოლოქოღლის** წინაპარი ჩოლაღი (თ.çolak) – ცალხელა, უხელო, ინვალიდი...(ნიჟარაძე, 1971) ყოფილა. ლაღაბი გვარიც – **ჩოლოქოღლი** პიროვნების ფიზიკური მდგომარეობის ამსახველია და არაფერი აქვს საერთო **ჩოლოყაშვილთან** (შდრ. მაისურაძე, 1990:202. კლარჯული გვარ–სახელების შესახებ იხ. ფაღავა, 2014).

ლაღაბი გვარები დავადასტურეთ ისტორიულ ტაოშიც: **ჰაჯიაჰმედოღლი, უსტიოღლი, თოფალოღლი, ჩაუშოღლი, აბდულიანი, ფერსათოღლი, ფესტილი, ფოლაქი, თერძი, ჩორაფჯი, ხოჯაანი**...

ყურადღებას მიიქცია **აბდულიანმა** და **ხოჯაანმა**. ვფიქრობთ, **ხოჯაანი** იგივე **ხოჯიანია**. ორივე სახელი ისეთივე წარმოებისა ჩანს, რაც აჭარაში გავრცელებული **-ენთ** წარმოებიანი ,,გვარები“: **ხოჯიენთი, აბდულიენთი...**

რამდენიმე ტაოურ ლაღაბ გვარს საფუძვლად დადებია ხელობის სახელები: **უსტიოღლი** (შდრ. **უსტა**), **ჩაუშოღლი** (შდრ. **ჩაუში**), **თერძი, ჩორაფჯი** (-**ჯი** სუფიქსი თურქულში ხელობის სახელებს აწარმოებს). სხვებს ადამიანის ფიზიკური მდგომარეობა - **თოფალოღლი** (შდრ. **თოფალი** - კოჭლი). საძიებელია, რატომ შეარქვეს **ფესტილი** (შდრ. **ფესტილი** - თ. pestil 1. მოდუღებული ყურძნის ტკბილისა და ხორბლეულის წმინდა ფქვილისაგან გაკეთებული გაკეთებული ფაფის გაშრობილი თხელი ფენა (ტყლაპივით); 2. ტყემლის ტყლაპი იხ. ნიჟარაძე, 1971. შდრ. ფუტკარაძე, 1993). აჭარაში იტყვიან: ,,ისე ცემა, ფესტილი გახადა, გააპტყელაო“. დასაშვებია, ფესტილის რომელიმე მნიშვნელობა დაედი საფუძვლად დასახელებულ მეტსახელ გვარს.

ლაღაბი გვარები წაიღეს მუჰაჯირებმაც, ზოგსაც ახალ სამშობლოშიც შეარქვეს, ასე ჩამოყალიბდა: **დურალები** (დურალი მამაკაცის სახელია –ავტ.), **ზადაღაები, ჩახაები, გვარდაები** (შდრ. **გვარდა**□– კასრი, მასში ჩვეულებრივ რძის პროდუქტს ინახავენ. ნიჟარაძე, 1971). **გვარდა**□კაცის მეტსახელი ჩანს, რომლის ჩამომავლებიც უნდა იყვნენ **გვარდაები**.

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავალმა ხასან გოგმაჩაძემ გვითხრა, ჩემი ,,ძველი გვარი“ **სამკაცოღლიაო** და განმარტებაც მოაყოლა: ,,რეიზა უთხრობიან სამკაცოღლი? მაგარი ე’რი კაცი ყოფილა, სამი კაცი წუუქცევია... სამი კაცის ილაჯი აქო, თქვეს და **სამკაცოღლი** უთხრობიან“ (მუჰაჯირი, 2016:184).

მუჰაჯირთა შთამომავლებს წინაპართა მეტსახელზე –**ოღლი** სუფიქსის დართვით უწარმოებიათ ლაღაბი გვარები: **შირინოღლი, ყა□ღოღლი, ყანლიოღლი, მეთაფლიოღლი, ბულკოღლი, როღოღლი, ურუმოღლი, ეწროღლი** (<ეწეროღლი), **სულიოღლი, ბალჯოღლი, მემიშოღლი, კოლოტოღლი, დელახმედოღლი, უზუნომეროღლი, დემირჯოღლი, სარალოღლი, კოტიოღლი, ნადიროღლი, კოთხოღლი, ჩილოღლი, თათაროღლი, მეშიოღლი, საბზელოღლი, დაუდოღლი, მეუდოღლი, ყალინჯოღლი, ყაჯილოღლი, უსუფოღლი, ჭაღალოღლი, მუთიოღლი...**

მოყვანილი ლაღაბის ფუძეები სხვადასხვა აგებულებისაა, კერძოდ:

ა. ნაწილი ლაღაბის ფუძეებისა ქართულია: **მეთაფლიოღლი** (სხვაგან გვითხრეს – **ბალჯოღლი**, მისი თურქული შესატყვისი, ხელობის სახელი ჩანს, თარგმნეს), **ეწროღლი** (<ეწეროღლი), **ნადიროღლი, კოთხოღლი, საბზელოღლი, ჭაღალოღლი, კოლოტოღლი.**

კოლოტოღლის ფუძეა **კოლოტი**, რომელსაც სამხრულ მეტყველებაში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. კარგად მოსხმული მტევანი (აჭ. ნიჟარაძე, 1971); 2. ნაცარკვერი (კლარჯული): ,,ჩემი დედეს **კოლოტი** ეამებოდა, ნაცარში გამომცხვარი ჭადი და **კოლოტოღლი** დაარქვეს“ (მუჰაჯირი, 2016:269).

ბ. ლაღაბი გვარი ნაწარმოებია საკუთარი სახელისაგან: **შირინოღლი, სულიოღლი, დელახმედოღლი, მუთიოღლი, უზუნომეროღლი, უსუფოღლი, ჩილოღლი** (<ჭილოღლი. შდრ. საკ. სახელი ჭილა, გვარსახელები: ჭილაძე, ჭილაია, ჭილაშვილი), **დაუდოღლი, მეუდოღლი** (<*მევლუდოღლი?), **მუთიოღლი** (შდრ. საკ. სახელი მუთია, გვარ–სახელი **მუთიძე**).

გ. მეტსახელი გვარი უწარმოებიათ ხელობის სახელისაგან: **მეთაფლიოღლი, ბალჯიოღლი, დემირჯოღლი.**

დ. მეტსახელი გვარი ნაწარმოებია სატომო სახელისაგან: **ურუმოღლი** (შდრ. ურუმი, რუმი), **თათაროღლი**.

ე. გვარი ლაღაბი ნაწარმოებია მეტსახელისაგან: **ყანლიოღლი, ბულკოღლი** (ბულკი?), **როღოღლი**...

ლაღაბი გვარების ნაწილი –ოღლის გარეშეა: **ბოგალები, ბაირაღი, აჯარი, ბუძგა, კალაშა, ჩურუქსული, გენჯაღა...**

მუჰაჯირთა შთამომავლებს შეუნახავთ წინაპართაგან სამშობლოდან წაღებული ან მის თარგზე შექმნილი მეტსახელი გვარები: **ჭანისანი, დურჩელისანი** (შდრ. დურჩა, დურჩელი), **მოლაუსუფისანი, ხოიცანი** (<*ხოისანი), **ქუჩუგისანი, მუჰელიმისანი, მოლაიბრაიმისანი, ზუბეიცანი** (<*ზუბეისანი), **თოფალისანი, ხოშავისანი, ცვაირისანი, ხოჯიოღლისანი...** (მუჰაჯირი, 2016:359).

დასახელებული ,,გვარები“ ნაწარმოებია **–ისანი/–სანი** აფიქსით, რომელიც საენათმეცნიერო ლიტერატურაში ასეა განმარტებული: ,,ადამიანის ჩამომავლობისა და კუთვნილების აღმნიშვნელი აფიქსი, დაერთვის ოჯახის უფროსის გვარსა თუ საკუთარ სახელს, პროფესიის ან ნათესაური ურთიერთობის გამომხატველ სახელს“ (ნიჟარაძე, 1971).

–ისანი/–სანი სუფიქსიანი სახელები გვხვდება როგორც აჭარისწყლის ხეობაში, ისე ბათუმურ მეტყველებაში: **ჯემალბიძაისანი** სახში არ არიან (ორთაბ.); **ჯაფერისანი** ბათუმ წევდენ (ქედა)...

ანალოგიური წარმოება გვხვდება ლეჩხუმურში (ალავიძე, 1941:114) და იმერულში (ქავთარაძე, 1964:142). **–ისანი//–სანი** ფუნქციით უახლოვდება **–ენთ**'ი და **–ეთ** სუფიქსებს, რომლებიც გამოიყენება ,,გვარ–სახელებში ერთი გვარის სხვადასხვა შტოს აღსანიშნავად“ (ჯორბენაძე...1988:149; თოფურია, 1959:45; ძიძიგური, 1940:72; შდრ. ფაღავა, 2015:3–41). ივ. ქავთარაძე მოხეურში ადასტურებს **–ენ**'ი სუფიქსს, რომელიც ,,გამოიყენება გვარ–სახელთა და მცენარეთა სახელისაგან ნაწარმოებ ტოპონიმებში: **თემურ–ენ–ი** (შდრ. თემურ–ეთ–ი), **გოგიანი** (გოგიენი, შდრ. გოგი–ეთ–ი) (ქავთარაძე, 1985:72).

* * *

პიროვნების ორწევრა აღნიშვნისათვის ქართულ კულტურაში ფართოდაა გამოყენებული მეტსახელი გვარები, რომელიც იგივეა, რაც ლაღაბი, კილი, ძეგლი, სიგელი და არა გვარი ტრადიციული გაგებით.

მეტსახელი გვარების წარმოებას ქართული სინამდვილეში ერთნაირი საფუძველი აქვს, – ოჯახის წინაპრის გარკვეული მახასიათებელი, რომელიც ჩვეულებრივ გაიაზრება მეტსახელად. ამავე რიგში უნდა განვიხილოთ ზოგიერთი შტო–გვარიც: ჯასიმბეგიშვილები (შტო–გვარი ორთაბათუმში), ყარაღიშვილები (შტო–გვარი ქედაში) და ა.შ.

მეტსახელი გვარები გვარის მაგივრობას ასრულებს გარკვეულ პერიოდში.

გვარი და მეტსახელი გვარი პარალელურად იხმარება.

მეტსახელი გვარის პოვნიერება ქართულ კულტურაში კიდევ ერთი დასტურია, რომ გვარი ტრადიციული გაგებით ერთდროულად არ ჩამოყალიბებულა...

Linguistics

Surnames Containing Nicknames in Chorokhi Valley

Mamia Paghava

The Georgian culture includes some terms denoting nicknames: Tikuni, Dzegli, Sigeli, Laghabi, Kili. The use of some different terms in any other subculture is possible as well.

The surnames containing nicknames are based on nicknames themselves (the author's term); they are used to nominate the binomial nature of a person. The research represents the analysis of the material collected during the expeditions to the Muhajir villages of different provinces of Historic South Georgia and the Republic of Turkey.

The analysis of the diverse empirical material drove us to the following conclusions: in South Georgia the surnames containing nicknames have been derived from:

a. a proper name: **Shirin**oghli, **Suli**oghli, **Akhmed**oghli...

b. a craft name: **Metapli**oghli (metaplie – a person who takes honey), **Demirj**oghli...

c. a nickname: **Rogh**oghli, **Bulk**oghli...

The surnames containing nicknames are derived from a suffix: *oghli (Etsroghli)* or without a suffix: Bogali, Adjari…

It seems that the Muhajirs preserved the surnames with nicknames, brought from their historical homeland, and created the new ones by their analogy: Chanisani, Durchelisani compare with Khojioghlisani, Topalisani…

We have found out that surnames containing nicknames were used side by side until they eventually became ordinary surnames.

The analysis of surnames with nicknames has shown that in Georgian culture a surname was not established all at once in the traditional sense.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიძე, 1981 – გრიგოლ ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ.
2. მუჰაჯირი, 2016 – მამია ფაღავა, მუჰაჯირთა შთამომავლებთან, თბ.
3. ფაღავა... 2011 – მამია ფაღავა, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტკარაძე, მაია ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე, შავშეთი, თბ.
4. ნიჟარაძე, 1971 – შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. ბათუმი.
5. თანდილავა, 2013 – ალი თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბ.
6. თოფურია, ქალდანი, 2000 – ვარლამ თოფურია, მაქსიმე ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ.
7. თურქული, 2001 – თურქულ–ქართული ლექსიკონი, ლია ჩლაიძის რედაქციით, თბ.
8. ფაღავა 2011(1) – მამია ფაღავა, შავშური ჩანაწერები, თბ.

9. ფაღავა, 2014 – მამია ფაღავა, გვარ–სახელები კლარჯეთიდან. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, VIII, ბათუმი.
10. ფაღავა, 2015 – მამია ფაღავა, ოდენსუფიქსური წარმოება კლარჯეთის ტოპონიმიაში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, X, ბათუმი.
11. ფაღავა...2016 – მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, კლარჯეთი, თბ.
12. ფუტკარაძე, 1993 – შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი.
13. ჯორბენაძე...1988 – ბესარიონ ჯორბენაძე, მანანა კობაიძე, მარინე ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ.
14. ნოღაიდელი, 2015 – ჯემალ ნოღაიდელი, აჭარული კილოს სალექსიკონო მასალალები, ბათუმი.
15. ორბელიანი, 1949 – სულხნ–საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბ.
16. მაისურაძე, 1990 – ილია მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ.
17. ალავიძე, 1941 – მიხეილ ალავიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი. ქპი შრომები, II, ქუთაისი.
18. ქავთარაძე, 1964 – ივანე ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს, I, თბ.
19. ქავთარაძე, 1985 – ივანე ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ.
20. ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად. ტ. 1–8, თბ. 1950–1964, თბ.
21. თოფურია, 1959 – ვარლამ თოფურია, მთარაჭულის დახასიათებისათვის. ქესს, 1, თბ.
22. ძიძიგური, 1940 – შოთა ძიძიგური, კონიუნქტივის კატეგორია რაჭულში უძველესი ქართულის მესამე პირის სუბიექტური პრეფიქსის პრობლემასთან დაკავშირებით. ენიმკის მოამბე, V-VI, თბ.
23. ღლონტი, 1984 – ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო–თქმათა სიტყვის კონა, თბ.
24. შანიძე, 1984 – აკაკი შანიძე, ქართული კილოები მთაში. თხზ. 12 ტომად, ტ. 1, თბ.

გულ-კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმები ქართულში

ნანა ცეცხლაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფრაზეოლოგიზმების კვლევა მისი შემქმნელი ხალხის ეთნიკური და მენტალური თავისებურებების შესწავლასაც გულისხმობს. დღეს, როცა ასე აქტუალურია კულტურათა და ენათა სინთეზისაკენ, კაცობრიობის კულტურული ერთიანობისაკენ სწრაფვა, მით უფრო მძაფრდება ამა თუ იმ ეთნოსის კულტურული იდენტობის შესახებ მეცნიერული ცოდნის მოპოვების სურვილი.

როგორც ვიცით, უხილავი სამყაროს შემეცნება აგებულია მეტაფორებზე. მეტაფორულობა კი, თავის მხრივ, თვალნათლივ ჩანს სომატურ ფრაზეოლოგიზმებში. მათში ძირითადად მონაწილეობს სხეულის ნაწილები, ორგანოები, როგორებიცაა: **გული, თვალი, ხელი, ნაღველი და ა.შ.** ფრაზეოლოგიურ გამოთქმებსაც უმთავრესად ამ კონცეპტების მიხედვით შეისწავლიან, რადგან ისინია მაფრაზეოლოგიზებელი სიტყვები, სემანტიკური დომინანტები. ჩვენ საკვლევად ავიღეთ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიტყვა-კონცეპტი **გული.**

აღნიშნულ თემას მკვლევრები პირდაპირ ეხებიან ემოციების შესწავლის დროსაც, რადგან ემოცია სამყაროს აღქმის, შემეცნებისა და შეფასების ერთ-ერთი ფორმაა..ის უმნიშვნელოვანესია მოტივაციის, სოციალური კომუნიკაციისა და ნებისმიერი საქმიანობისათვის. ვინაიდან იგი რთულად ორგანიზებულ სისტემას წარმოადგენს, მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესწავლის ობიექტია.

ამ საკითხების კვლევა განსაკუთრებით გააქტიურდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. უკანასკნელ ხანს ფსიქოლოგიაში პოპულარობით სარგებლობს ემოციების დიფერენციული შესწავლა. კ. იზარდის მიხედვით, ემოცია განიხილება, ,,როგორც რთული ფენომენი, რომელიც მოიცავს ნეიროფოზიოლოგიურ და სამოძრაო გამომხატველობით კომპონენტებს და სუბიექტურ განცდას. ამ კომპონენტების გავლენა ინტრაინდივიდუალურ პროცესზე ქმნის ემოციას, რომელიც ევოლუციურ-ბიოგენეტიკურ მოვლენას წარმოადგენს. ადამიანში ემოციის განცდისა და გამოხატვის უნარი თანდაყოლილია, ზოგადკულტურულია და უნივერსალური“ (იზარდი, 2002: 69).

მიაჩნიათ, რომ **გული** ემოციების ქართულენოვანი სურათის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, იგი არის ორგანო, რომელსაც უკავშირდება შემეცნება, აზროვნება, ფსიქოლოგია, ფიზიოლოგიური შეგრძნებები. ,,**გული-ს** შემცველი ფრაზეოლოგიზმების ორიგინალურობას ადასტურებს ძველი ქართულის მონაცემები. შენიშნულია, რომ სახარების ტექსტში, ხშირ შემთხვევაში, იქ სადაც გარკვეული გუნება-განწყობილება თუ გრძნობაა გადმოცემული, ქართულში გვხვდება გული-ს შემცველი ფრაზეოლოგიზმები, ბერძნულში – არა“(ბერიშვილი, 2002:108).

ც. მოდებაძემ შეისწავლა ,,ემოციის გამოხატვის ფორმები ლექსემა გულის საშუალებით გერმანულ და ქართულ ენებში“ და გამოავლინა, რომ გერმანულში შემდეგ ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს არ მოეძებნებათ ანალოგი: გულზე არ ეხატება, გულზე გადაიყარა, გულზე გასკდომა, გულიდან ამოგლეჯა, გულზე ცეცლის მოკიდება, გულის დაწვა, გულის დადგომა, გულის გადაყოლება, გულის გაკეთება, გულზე ხელების დაკრეფა, გულის გაპარვა, ვინმეზე გულის შევარდნა (მოდებაძე, 2015: 410).

ლ. მარგველანმა საგანგებოდ შეისწავლა ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმები და აჩვენა, რომ ქართულში გული-ს შემცველი ფრაზეოლოგიზმები მეორეული განცდების ფუნქციით საკმაოდ ფართოდ გამოყენება, რაც სხვა ენებისათვის შედარებით შეზღუდულია, კერძოდ, **ინგლისურში** ამგვარ შეზღუდულობაზე მიუთითებს ა. ვეჟბიცკა (ვეჟბიცკა, 1999: 540-41) გარდა ამისა, წარმოდგენილი მასალა იძლევა კიდევ ერთი დასკვნის გაკეთების საფუძველს. ნაშრომი რუსულადაა დაბეჭდილი და ფრაზეოლოგიზმები, რომელთაც მეტ-ნაკლებად ზუსტი რუსული ანალოგი არ მოეპოვებათ და ამიტომ თარგმანი ხელოვნურია, ვარსკვლავით არის აღნიშნული. თვალში საცემია, რომ მონიშნული ფრაზების უმეტესობა სწორედ გულს შეიცავს. ასეთებია, მაგ., **გული უკანკალებს, გული წაუვიდა, გულზე ცეცხლი შემოენთო და** სხვ. (მარგველანი,1978). ამდენად, როგორც ჩანს, ამ ტიპის ფრაზები ქართულისათვის სპეციფიკურია.

ქართული მდიდარია ფრაზეოლოგიზმებით, რომელთა სახელადი კომპონენტიც **გულია.** თ. სახოკიას ,,ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონში“ დადასტურებული აქვს 150-ზე მეტი ასეთი იდიომი.

როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებს: 'გული წარმოდგენილია აზროვნებითი პროცესების ცენტრად, გრძნობების წყაროდ, ტემპერამენტ-ხასიათის განმსაზღვრელად და ორგანული შეგრძნებების (გულის რევა, გულის შემოყრა) ამთვისებლად, ერთი სიტყვით, მას ეკისრება ფუნქცია, ტვინის, გულის, კუჭისა და, ნაწილობრივ, პერიფერიული ნერვული სისტემის მაგივრობა გასწიოს – სიცოცხლის მატარებელი გულია“ (ჩიქობავა, 1938: 66).

ხატოვან სიტყვა-თქმებზე დაკვირვების საფუძველზე თ. სახოკია აღნიშნავს: 'გული ჩვენს ხალხს მიაჩნია ჩვენი ნერვების შესაკრებელ ორგანოდ, რომელზეც უშუალოდ მოქმედებს ყველა ფსიქიკური განცდა: სიყვარული, სიხარული, სიმამაცე, სიძულვილი, მწუხარება, დარდ-ნაღველი“(სახოკია,1979:119). ქართველის წარმოდგენით, დადებითი თუ უარყოფითი ემოციები: დარდი, მწუხარება, სიხარული, სიძულვილი, ჯავრი 'ადამიანის გულ-მკერდში გროვდება, ხოლო თვით გულ-მკერდი, ხატოვნად, შედარებულია ბუხარს, რომელიც, კვამლის მსგავსად, მაღლა უშვებს გამოსამზევებლად შიგ დაგროვილ თითოეულ ამ გრძნობათაგანს და ენა-პირის საშუალებით სხვას უზიარებს“ (სახოკია, 1979: 110).

საინტერესო ვითარებაა დაცული მეგრულში: **გულს** უკავშირდება **სიყვარული-** გულში ვიღაცის ჯდომა, **სიხარული**- გული გახარებული აქვს; **მწუხარება**- გულის ტირილი; **ძლიერი განცდა-** გულზე დარტყმა; **კმაყოფილება, უკმაყოფილება**-გულის ავსება, გულს მაკლია; **სიკეთე-** გულალალი; **დარდი-** გულის დარდი; **მოწონება-** გულში ჩახატვა, **იმედგაცრუება**- გულის გატეხა, **მობეზრება-** გულის ყელში ამოსვლა; **შებრალება-** გულის დაწვა; **აღტაცება**- გულის ფრენა; **ტკივილი** - გულამდე მისვლა ტკივილისა; **ძლიერი** სურვილი- გულით მინდა, გულს მოსწყურდა; **გაზრდა-** გულის ზრდა; **ნუგეში**- გულის შემსუბუქება; **ჯავრის ამოყრა-** მეგრ. გურის ჭორაფა; **შიმშილი-** გურქ მემაწირწოლე, ლაზ. გურის მემოწილუ- გულის მოწურვა აჭ. გული მომეწინწკილა; **გულის კარნახი**.

ქართულისგან განსხვავებით, აქ მობეზრება **გულის ყელში ამოსვლაა;** აღტაცება - **გულის ფრენა;** ტკივილი- **გულამდე მისვლა ტკივილისა;** გაზრდა- **გულის ზრდა;** ქართულში გვაქვს **გულზე ქონის მოკვრა,** შიმშილი- **გულის მოწურვა** (ფონიავა, 2011: 36-38).

ლაზურში ო. მემიშიშმა აღნუსხა შემდეგი იდიომები: გური აჭერელენ– გული ეჭრელება, მოეწონება, მოუნდება; **გურის Áაღი ქელვადუ–** გულზე ქონი მოედო: დიდ სიამოვნებას მოგვრის, გაუხარდება; **გური უხცინაფს–** გულს ულპობს: უსიამოვნო ლაპარაკით, ქცევით თავს მოაბეზრებს; **გურიში გალე ვარ ზოპონს–** გულის გარეთ არ იტყვის, გულში ჩაიმარხავს, საიდუმლოს შეინახავს; **გურიშ გალე უყოონ–** გულის გარეთ ჰყავს; გულთან ახლოს არა ჰყავს, სძულს; **გურიში დიცხირი დუხომინუ–** გულის სისხლი გაუშრო, გაამწარა, გააწვალა, შეაწუხა, გული გაუწყალა.

ქართულის მსგავსად, **გულს** აქაც უკავშირდება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ემოციები. ნ. ფონიავამ გამოიკვლია, რომ სტატისტიკის მიხედვით, ზოგადად უარყოფითი სჭარბობს დადებითს, ეს არის უარყოფით-დადებით ემოციათა ასიმეტრიულობა ენაში. მეგრულში დადასტურდა 225 ერთეული, ლაზურში- 170 (ნ. ფონიავა).

დადებით ემოციათაგან გულს უკავშირდება: **სიყვარული, სიხარული, კმაყოფილება, მოწონება, სიკეთე, შებრალება, ნუგეში...** უარყოფით ემოციათაგან - **მწუხარება, შიში, დარდი, ძლიერი განცდა, იმედგაცრუება, გაბრაზება, ჯავრის ამოყრა, სიძულვილი.** მასვე უკავშირდება ინტელექტუალური პროცესებიც: **ფიქრი, ინტუიცია, მრწამსი, შთაგონება, დამახსოვრება, მონდომება**, ფიზიოლოგიური მოლენებიც: **შიმშილი, ზრდა და** მორალური საკითხებიც.

საშუალი ქართულის კლასიკური ძეგლების ფრაზეოლოგიზმებსა თუ იდიომებში ყველაზე ხშირად 'გულია"სემანტიკურად წამყვანი კომპონენტი. დასტურდება რამდენიმე ათეული ასეთი ფრაზეოლოგიზმი. მათ სხვადასხვა სემანტიკის გადმოცემა აკისრია.

თავდაპირველად განვიხილოთ **დადებითი სემანტიკის** გამოხატვა.

დაიმედება: *ერთაი ესე ასმათი და დამრჩეს ორნი მონანი, ჩემნი **გულისა მდებელნი** და ჩემნი შემაგონანი (ვტ. 582,2); ჩემთა ლაშქართა ზურგი და **გულის დამდები** შენ ხარო (რუს. 283, 31).*

სიყვარული: ეს გრძნობა, უპირველეს ყოვლისა, გაიგება, როგორც **მიჯნურობის <u>თესლის გულში დათესვა, სიყვარულის გულში ჩავარდნა, ჩადება ან გულზე ტრფიალების ეშხის შემოყრა:</u>** *მისი **ეშყი** გულსა ჩემსა **შემოყრია** უკუ საყრად (შჰნმ. 281,48); ახლა რა შენ გიხილე, შენი **სიყვარული გულში ჩამივარდაო** (ყარ. 648,6); მე შენგან კიდე **სიყვარული გულსა არავისი ჩავიდვა** (ვისრ.241,24); შენ **მიჯნურობისა თესლი გულსა შიგან დაგეთესვის** (იქვე, 191, 33).*

სიყვარული შეყვარებულისათვის თავდადება, **<u>გულის მიცემაა:</u>** ***გული** შენთვის საკუთრად **მომიცია** (ვისრ. 279,23); შეცთომით **გული გიძღვნია** მისთვის (იქვე, 31,7).*

ფათერაკიანი, ტრაგიკული სიყვარული განსახილავ მასალაში ხშირად **<u>გულის დაჭრადაა</u>** გაგებული: *ვისის ცეცხლით იდაგება, ვისი **გიჭრის გულსა დანა**? (თამარ.74,6). შენი მკლიდეს სიყვარული, **გულსა დანა ასაქმარი** (ვტ.132,4) მოეწერა, გიბრძანებსო ვისი **მესვა გულსა დანა** (იქვე, 385,2).*

` **ჭრის**˜ სემანტიკას უახლოვდება **<u>სობაც:</u>** *გულჩინს შემოხედა და მისი ტრფიალის **ისარი გულსა განეწონა** (ყარ. 302, 12). ასი ათასი **ისარი მარჭვია** (ვისრ. 62,3) .მისსა გულსა შიგან **ჭანგი ჩაემაგრა** (ვისრ. 88, 28).*

შეყვარება გაიგივებულია <u>სიყვარულის სასმელის შესმასთან:</u> *სამსალისაებრ სიყვარულისა სასმელი დიდად უსვამს (ვისრ.72,14).*

გულის ძლევასთან, მიცემასთან უნდა იყოს დაკავშირებული `ვისრამიანში~ დადასტურებული ფრაზეოლოგიზმი: *ცოლი კიდე გააძე და **სიყვარულის კლიტე სხვასა ვისმე შეჰვედრე** (ვისრ. 116,13).*

რაც შეეხება <u>**გულის ადუღებას,**</u> იგი ქართულში **გაბრაზებას** ნიშნავს, მაგრამ `ვისრამიანში~ შეყვარების სემანტიკითაა დატვირთული. გვაქვს მისი გავრცობილი ვარიანტებიც: *ტკბილი ჭურვით გულის ადუღება: ზოგჯერ ტკბილისა ჭურვით **გული აუდუღდებოდა** (ვისრ. 23, 18).*

საანალიზო მასალის მიხედვით სიყვარული <u>**გულის დნობაცაა:**</u> ***დადნა გული*** *და ტანი ჩემი შენითა გონებითა (ვისრ. 76, 16);* ***დადნა ცვილივითა*** *გული ჩემი სიყვარულითა გულარის ცეცხლისათა (რუსუდ. 554, 9).*

სიყვარულის სემანტიკა ძალიან ხშირად <u>**ცეცხლის მოდებასთან**</u> ასოცირდება. ასეთი ფრაზეოლოგიზმებით სათქმელი ჰიპერბოლიზებულია: ***ერთი ცეცხლი მომედვა*** *მე და შენ (ვისრ. 346,18); ვაი, გულო ვირემდინ* ***მიგზნებ ცეცხლსა****? (ვისრ. 276,17); ვიროს* ***მგზნებარე ცეცხლი მოედვა გულსა*** *(იქვე, 46,15).*

ცეცხლის მოკიდება, გზნება თავისთავად <u>**წვას**</u> ნიშნავს. განსახილავ მასალაში სიყვარულის სემანტიკა **გულის დაგვა, გულის დაწვა** იდიომებითაც გადმოიცემა: *წიგნი ვნახე, მისი იყო* ***ვისი მდაგავს ცეცხლი გულსა*** *(ვტ. 369,1); აწ გახსენებ, ვისგან* ***ჩემი დაუდაგავს გული ალსა*** *(იქვე, 318,4);* ***მიჯნურისა გული*** *წელიწადითა წელიწადამდის* ***ცეცხლსა შიგან იწუის*** *(ვისრ. 63,6); რა ზავ მის მზისა ხმა გაიგონა,* ***გული დაეწვა*** *(რუს. 70,4).*

`ვისრამიანში~ სიყვარული გაგებულია ასევე ***გულის უკვამლო ცეცხლით წვად:*** *გული მისი უკვამლოისა ცეცხლისაგან იწოდა (ვისრ. 334, 4).*

ამავე მნიშვნელობით გამოიყენება იდიომი ***გულის დადაღვაც:*** *მიკვირს, თუ გული ალმასი შავმან წამწამმან დაღა რად (ვტ.705, 3); ზალდასტანს* ***მიჯნურობისა ცეცხლი გულსა უდაღვიდა*** *(შჰნმ. 1258,1).*

სიყვარული, შეყვარება **გულის** <u>**დატყვევებაცაა:**</u> *გულნი ჩუენნი გაუშვებლად დაეტყვევნეს მისით მახით (ვტ. 1150,4); შეუპყრიხარ სიყვარულსა* ***გული შენი დაუტყვია*** *(იქვე, 128,4); გამოჩნდა ვისის პირი და მისისა გამოჩენისგან* <u>***დატყვევდა რამინის გული***</u> *(ვისრ. 61,24).*

`შაჰნამეში~ გვხვდება <u>**გულის შეპყრობაც:**</u> *მან* ***შეიპყრა*** *კაცთა* ***გული,*** *ლომი მისგან მოკუდების (შჰნმ.2646,2); ქალისა გონებაცა* ***მიჯნურობისა ქამანდს შეეპყრა*** *(იქვე,123,4);* ***გული ჯაჭვით შეკრული მაქვს,*** *გამიხსენი, მომეხმარე (თამარ. 68, 3).*

ქამანდი საგდებელია, მარყუჟიანი თოკია. ქამანდის გდება ანუ კვრა არის განსაზღვრა ვისამე დაჭერის ხელში ჩაგდებისა. იგი საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში, იხმარებოდა ცხენების დასაჭერად, რომელიც ჩვეულებრივ, ზამთარ-ზაფხულ მინდვრად ჰყავთ ხოლმე და ამიტომ ნახევრად გარეულები იყვნენ (სახოკია 1979: 673).

შეყვარებული, **გამიჯნურებული გული** <u>**დაბმულია.**</u> ბმის სემანტიკა აქ გავრცობილია მხატვრული ელემენტებითაც: *აჯაბთა მქმნელნი მჭვრეტელთა* ***გულსა*** *მუნ* ***დააბმიდიან*** *(ვტ.612,2);* ***გულო, შავ-გულო, დაბმულხარ,*** *ნუ აეხსნები, აწ ები (იქვე, 1280,4); ჩაიჭრა ჩემი გული შენის სიყვარულისაგან უნებლივ, ვითა ნადირი ბადესა (ვისრ.63,22); შენისა* ***სიყვარულისა ლაგამი ამდებია პირსა*** *(ვისრ. 300, 35).*

მეტად საინტერესოა `ვისრამიანში~ მოპოვებული მაგალითები: *რა მოყვარემან ჩემმან თმანი დამიგრუზნა, მუნითგან მით სურნელითა ტოილოთა* ***გული ჩემი დაუბამს მაგრად*** *(ვისრ. 177,32). გული დავაბი* ***ათასითა ბასრითა ტოილოითა*** *(ვისრ.279, 4). აქ, როგორც ტექსტიდან ჩანს, სიყვარულზე კი არაა საუბარი, არამედ ვნებისგან თავშეკავება გულის დაბმა, გრძნობების მოთოკვაა.*

ამავე სემანტიკას გამოხატავს **გულში ჩაებეჭდა, გული მისცა, გული მოსტაცა**. სიყვარული **გულის ადუღება და გულის შევარდნა ან გულში ვინმეს ჩავარდნაა.**

<u>**სიხარული, დამშვიდება, დარდის უკუყრაც**</u> **გულს** უკავშირდება: **გულის განათება//ლხენა//დაწყნარება// დადნობა** ან **გულიდან დარდის// ჟანგის// ნაღველის// ცეცხლის ამოსვლა/განქარვება/ გაგდება/ დაშრეტა/ დავსება...**

ღმერთმან ***გული გამინათლა****, გახეთქილი გა-ცა-მწყერალი (ვტ.1422,2); რა შეხედნა, ყმასა* ***გულმან*** *გაუფეთქნა,* ***გაუნათლდა*** *(ვტ. 857,1);* ***გულსა ალხინე*** *ჩემისა მოშორვებისა მთმობელსა (იქვე, 1294, 3); ნახვისა მოლოდნა* ***გულსა*** *ეგრეცა* ***ალხენდა*** *(ვისრ. 134,18); ვერ იპოვის, რა ქმნას ანუ* ***გული რითა დაიწყნაროს*** *(ვტ. 758,4);* ***გული*** *თრთოლისაგანცა* ***დაიწყნარა*** *(ვისრ. 242, 20); სიცილით ლაღობს, მიეცა* ***გულით ამოსვლა დარდისა*** *(ვტ. 81,4); დაიდვეს წინა ნადიმი,* ***გარდუშვეს*** *გულსა* ***დარდია*** *(შჰნმ. 556,2); შენ ჩემისა* ***გულისა ნაღველი განაქარვე*** *(რუსუდ. 96,32); ლამიანი ჰერანგი აიხადა,* ***გულისგან შეჭირვება*** *გააგდო (ვისრ.142,26); აწ შენისაგან* ***გულისა შენისაგან ჟანგი მოიხოცე*** *(ვისრ. 285,15); აწ გარდაიგდე სრულიად გულისგან მძიმე ტვირთისა (ვისრ. 355,4); დამატკბო და მომასვენა,* ***გულზე ჟანგი გარდამბანა*** *(თამარ. 57,7); მისისა* ***გულისგან ცეცხლი და კვამლი დაშრიტა*** *(ვისრ. 95,19; აწ ვინღა* ***დაავსებს გულისა ჩემისა ცეცხლს*** *(ვისრ. 321,1); უკუვიყრი კაეშანსა, არ* ***დამესმის გულსა მანა*** *(შაჰნ. 105,3).* გახარება **გულზე ვარდის გადაფენაცაა.**

მოკლედ, სიხარული არის **გულის ლხენა/ დაწყნარება** ან **გულიდან დარდის გაშვება/ შეჭირვების გაგდება/ ნაღველის განქარვება/კვალმის დაშრეტა/ ცეცხლის დავსება/ ჟანგის მოხოცვა ან დაბანა.**

როგორც აღვნიშნეთ, **გული** ხშირად გადმოსცემს უარყოფით ემოციებსაც: მასვე უკავშირდება **გაჭირვება და მწუხარებაც**: **გულის დნობა/ დალევა/დუღილი/ დადაღვა, ან გულზე ცეცხლის// ვარამის მოდება/ მოგზნება...**

შვილთა ***მწუხარებამან გულსა ცეცხლი მომიგზნა*** *(ყარ.125,29); რა ესრეთი მწუხარების ხმა გაიგონა, ხოსროვშირისგან,* ***გულსა ცეცხლი მოედვა*** *(იქვე, 355, 5);* ***ამევსო გული ცეცხლითა****, რათგან ამისი ღირსი ხარ და ამასვე სოფელსა ნახე ჯოჯოხეთი (ვისრ. 262,28); დღეთა მეტად ნუ მოჰკვდები,* ***გული ჩემი ნუ დადნების*** *(ვტ. 188,2); არ მეამების კაცთა ნახვა,* ***მიდაღვიდეს გულსა დაღნი*** *(იქვე, 588,3); ვპოვე წამალი* ***გულისა, აქამდე დადაღულისა*** *(იქვე 595,4); ეგრე მითხრა* ***მდუღარითა გულითა და ცრემლითა მწარითა*** *(რუს.140, 24);* ***გულს ვარამი გარდამესხმის****, უკურნებელს ჭირს მარგუნებს (თამარ. 42,7); შეჭირვებისა ცრემლმან* ***დამილია გული*** *(ვისრ.142,19);* ამავ სემანტიკისაა **გულის დათუთქვა:-** გული მეთუთქება, ან მეთანაღრებაო,- იტყვის ქართველი, თუ ვინმეს ძლიერი შეცოდება უნდა გამოხატოს.

გამწარების, ტანჯვის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები ზოგჯერ შემოქმედებითი ნიჭის პროდუქტია: *მის სიმწარესა* ***გულსა ნასკვი დაუჭერია*** *(რუს. 33,16); მე შენი* ***ჯავრი გულსა დაღად დამრჩენია*** *(ვისრ. 298, 3);* ***გულის სანთელი*** *თავისა ხელით* ***დამივსია*** *(იქვე 267,27).*

შიშის გამოხატვაც უმთავრესად **გულს** უკავშირდება. თედო სახოკია აღნიშნავს: ,,როცა კაცი აღშფოთებულია ბრაზისგან, გულმოსულია, შეშინებულია ან კიდევ გახარებული, ეს სულიერი განცდა, პირველყოვლისა, მოქმედებს გულზე, აფორიაქებს მას, არღვევს მის წონასწორობას, გამოჰყავს იგი დამშვიდებული მდგომარეობიდან: გული საგულეში აღარ ჩერდება, ბუდეში ვეღარ ეტევა, ბორგავს, გარეთ გამოხტომას ლამობს!" (სახოკია, 1979:113). აღსანიშნავია სიტყვა გულმოშიშობა, რომელიც 'ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება: ,,ვა თუ საქმე გამიმჟღავნდეს!, - კვლა ამისთვის გულ-მოშიშობს, - ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს.'

<u>**გულის გახეთქა/ დნობა/დაჭრა:**</u> *შიშით **გულს შემოეყრება** და უჭკუო შევიქნებიო (იქვე, 284,36); მისსა მნახველსა დევსაცა შიშით **გული გაუსქდებოდა** (იქვე, 159, 25); ამისა მებრძოლსა **გული** ვით არა **დაუდნებაო** (იქვე, 166,21); თუალთა ცრემლი ადგებოდა, **გული უთრთოდა,** საუბრისა ძალი არ ჰქონდა (ვისრ. 231, 32). **გული** მი და მო იარდა, **კრთებოდა** და **მელალვოდა** (ვტ. 373,3); მე რომ მცირეს ხანს თქვენთან ვიყო, **გულს გამიხეთქამსო** (ყარ. 285,8); ეს სახე გამოჩენილთა დევთა ენახათ, მათ შიშით **გული გაუსკდებოდათ** (ყარ.30,8).*

შიშით გულის გახეთქა დღესაც გვხვდება. ამ კონტესტში კი **ნაღველა** არ გამოიყენება. წყენის გამოსახატავად თურქულში სხვათა გვერდით გამოიყენება გამოთქმები: **ღვიძლში ისარივით ჩაესო, ღვიძლი ეწვის, ღვიძლი ეფლითება** (Ok gibi **cigerine isledi, Cigeri yanar, Cigeri parcalarir).** ქართველი კი არცერთ შემთხვევაში **გულს** არ ჩაანაცვლებს სხვა სიტყვით. ნათარგმნ ძეგლებში, ,,ვისრამიანსა“ და ,,ყარამანიანში,“ ასეთ გამოთქმებში **ღვიძლი** გამოიყენება: ,,მოაბადს ღვიძლს ცეცხლი ედებოდა“ (ვისრ.127,4). თუმცა დიდი დარდის გამოსახატავად ქართულში გულთან ერთად გხვდება **ღვიძლიც: გულ-ღვიძლში ცეცხლი დაუტრიალდა.**

მწუხარება `ვეფხისტყაოსანსა“ და ,,ყარამანიანში~**გულის დაჭრასთან** ან **ეკლის/ ნარის სობასთან** ასოცირდება: *მაშა, მაშინ რაგვარ დავრჩე, რა ლახვარი გულსა მესო (ვტ.525,4). **გული რარიგად ეჭრებოდა** (ყარ. 300,4); ფატმანის გული მას აქათ **ლახვართა შენახევია.** მითხრა: ვაშად ამოვიღე, არ **გასვლია გულსა ნარი** (ვტ. 386,3).*

სასოწარკვეთა. უიმედობით გამოწვეული **სევდა, დარდი, ნაღველი** საშუალ ქართულში შემდეგი იდიომებითაა გადმოცემული: **გულის დაჭმუნება// შეურვება//დაღამება// დაკოდვა// განასკვა// შემურვა// შავად შეღებვა.**

*ნაცვლად მათი წყალობითა **გულნი მათნი შევუარვენ** (იქვე 846,4); გული **ენასკვოდა** და პირსა ზედა აჩნდა დაღრეჯილობა (ვისრ.205,4); ჩვენი თხოვნა არ მიიღო, სევდით **გული დაგვიკოდა** (თამარ. 148,2); ავთანდილსაც ატირა, მისგან ცრემლმან **გულსა მურა** (ვტ. 319,2); ვერა ვხედავთ ერთმანეთსა, **გვიღამდება** მტვერი **გულსა** (შჰნმ. 1948,3); **გული შავად შემიღებე**, სიბნელესა მიმეც ხშირსა (ვტ. 947,2); მარტო დავრჩი, **სევდა** რამე **შემომექცა გულსა მურად** (ვტ. 1115,4); უშენოსა **დამეცემის გულსა ბინდი** (ვტ. 772,3); მათ ვერა გარგეს, მე **გულსა ბინდი დამეცა** ბნელისა (იქვე,355,1); მას დაუმძიმდა, **მოედვა** კვლა **გულსა კვამლ-ალმურობა** (იქვე, 1469,3); თურმე ნამეტნავმად ტირილმა **გული შემიღამა** (რუსუდ. 243,12); ზედა უშანგ-შაჰაც შეწუხდა და **გულთ შემოეყარა** (ყარ. 386,32).*

გულიან ფრაზეოლოგიზმთა სტრუქტურულ ვარიანტებში თურქულთან შედარებისას გამოვლინდა, რომ იქ სხვა კომპონენტია წარმოდგენილი. სიყვარულის, ნდობის, პატივისცემის დაკარგვა, შეძულება, ათვალწუნება ქართულში გადმოიცემა **გულიდან ამოგდება** ფრაზეოლოგიზმით (თანდილავა, ცეცხლაძე 2015:105). გამოთქმა **თვალიდან**

ჩამომივარდა იშვიათად გამოიყენება სამხრულ კილოებშიც. თურქულში გვაქვს **თვალიდან ჩამოგდება Gözundenduşer** (ქართ. გული, თურქ. თვალი). იგი თურქული **Gözundenduşer**-ის კალკია (ნიჟარაძე, 1971: 209).

გულიდან ამოღება დავიწყების მნიშვნელობით თურქულშიცაა (მამულია 2006: 133), გვხვდება **თვალიდან ამოღებაც** (იქვე,138), მაგრამ თურქულს ამავე მნიშვნელობის სხვა ფრაზეოლოგიზებიც აქვს: **საშლელი გადაუსვა, რუკიდან ამოშალა-დავთრიდან ამოშალა** (მამულია, 2006: 89, 206, 207).

„შეძულება“ ქართულში უფრო ღრმა სემანტიკისაა და უსათუოდ გულს უკავშირდება: **„გულიდან ამოიღო“,„გულიდან ამოირეცხა, „გულიდან ამოიხოცა“, „გული გაუგრილდა“**დასტურდება **გულის გარეცხვა, გულიდან ამოხოცვა**– დავიწყება, შეძულება, გულიდან ამოგდება. შეინიშნება, რომ ამავე მნიშვნელობისაა „თვალში ამოღებაც“ (სახოკია, 1979: 267). **გულის ამორეცხვა** ნეგატიური განცდებისგან გათავისუფლებაა, თუმცა ზოგჯერ სხვა სემანტიკასაც ითავსებს: *გევედრები, გზიდან ჩამომეცალე, გულიდან ნუ ამომარეცხინებ შენს სიყვარულს (ილია).*

ქართულში გაბრაზება, გაგულისება ***გულის გაშმაგებას*** *გაფიცხებას, გამხეცებას, ადუღებას ანდა ანთებას უკავშირდება.* **გულის გაფიცხება** ძველ ქართულშიც გვქონდა.

ქართველ მუჰაჯირთა მეტყველების შესწავლამ მიგვიყვანა თურქულის ვითარების გათვალისწინებამდე. **ზოგი ფრაზეოლოგიზმი ორივე ენაში გვაქვს, მაგრამ განსხვავდება მნიშვნელობით, რაც თარგმნისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. Icin eatar** (გულში ჩადება) თურქულში საიდუმლოს შენახვაა, ქართულში წყენის დამახსოვრება; **Içininyagierir - გულის ცხიმი უდნება** (მამულია, 2006: 166) - თურქულში ნიშნავს **დარდს,** აჭარულსა და შესაბამისად, სამხრულ კილოებში, **გულზე იაღები დაადნა ჯავრის ამოყრაა. Yüregine kar ağar (გულზე ათოვს)** თურქულში ეჭვიანობაა, ქართულში- მწუხარება. *მაგ. მაგას რომ დავინახავ, გულზე მათოვს, მეცოდება ობოლი გოგო..*

გულ კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმებიდან ზოგი იშვიათია: აჭარულ დიალექტში წვალებას გამოხატავს იდიომი– **გულზე ქვა დაიკიდა.** 'ქართლური დიალექტის ლექსიკონში“ ლექსიკურ ერთეულად გატანილია ფრაზეოლოგიზმი: **გულის ადგილი აღარ აქვს.** მისი სინონიმური ფრაზეოლოგიზმია ***გული მაქვს გაწყალებული*** *('აღარავის გულის ადგილი არა მაქ, ისე მაქ გული გაწყალებული“).* გაფუჭების, დამთავრების მნიშვნელობით გამოიყენება **გულის დახურვაც.**

გულბოროტი, ავი ადამიანი, დაუნდობელი უმოწყალო ადამიანი **გულძვირი, უგულო, გულქვაა**, უშიშარს კი **ქვის გული აქვს.**

ქართულში უსაქმურობა გადმოიცემა ფრაზეოლოგიზმით - **გულზე ხელის დაკრეფა**, უდარდელობა **გულიდან ლოდის აცლა**. ნიჭი, ალღო, მიხვედრილობა გადმოიცემა კომპოზიტით **გულისყური**, მავიწყარა ადამიანს **გულმავიწყი** ეწოდება, სტუმართმოყვარეს- **გულქართლი**, ძვირფას, ახლობელ ადამიანს - **გულისგული.**

საიდუმლოს გამჟღავნება ქართულში **გული გადაშალა,** საიდუმლოს გაცემა- **გულიდან კლიტეს აგლეჯაა,** ორგულობა კი- **გულის აგორება. გულის ბუხრის ამოყრა** დარდის თქმაა, **გულის აყრა-** მობეზრება. სპეციფიკურია ასევე **გულის აკორკოტება** (მეტისმეტი მონდომება): მაინც **ააკორკოტა გული** ამ გრაგნილმა (ო.ჩხეიძე).

ქართულში **გულის** სინონიმი ხშირად არის **სული**, იშვიათად **გონებაც**. მან მისთა მჭვრეტთა წაუღის **გული, გონება და სული** (ვტ.33,3). სინონიმებია ასევე გულისლევა (ვისრ. 142,19); სულის ლევა (რუსუდ. 184,34).

ქართულში წყენის დამახსოვრების, ვერდავიწყების, დაბოღმვის მნიშვნელობით გამოიყენება ფრაზეოლოგიზმები: **გულში ჩაჭედვა, გულში ჩახვევა, გულში ჩარჩენა გულში შენახვა** (სახოკია, 1979:122-123). ვერდავიწყება, დახსომება – **გულიდან ვერამოღებაა, გულში ჩაჭედვა, გულში ჩახვევა, ჩარჩენაა**. სამხრულ კილოებში ამავე მნიშვნელობით გამოიყენება **„გულში გამოკოჭვაც“:** შენ ხარ გამთხუარი და მე არ მომყუებიო!-გულში გამეიკოჭა მეგემ. გვაქვს **გულში გამობოყვაც (ორთ.).** დღესდღეობით ამ იდიომების გვერდით გამოიყენება **გულის ფიცარზე დაწერაც.** 'რუსუდანიანში“გამოვლინდა **ავი გულის ჩადება.**

შაჰინმა მაჭახელში დაადასტურა **გულში დადგომაც,** რომელიც ძველი ქართულის კუთვნილებაა და განზრახვას ნიშნავს. აქვე დასტურდება **გულსა და გონებაში დადებაც:** წმიდასა მას ქალწულსა დაემარხნეს სიტყუანი ესე და **დაედვა გულსა თვისსა** (sin 16,35); **დაიდევ გონებასა** შენსა და გიჩუენო შენ (იქვე 66,15). **გულში ჩადება** თურქულშიც გვხვდება, ოღონდ საიდუმლოს შენახვას ნიშნავს (მამულია 2006: 68). ზემოთ დასახელებული სემანტიკა კი გადმოიცემა **თავში (გონებაში) ჩადება** ფრაზეოლოგიზმებით (იქვე 30).

ამრიგად, ქართულში გონებასთანაა დაკავშირებული ის, რის უბრალო დამახსოვრებაცაა საჭირო, რაც გრძნობებს უკავშირდება /წყენა, ბოღმა../**გულ-იანი** იდიომით გადმოიცემა.

თურქი გულწრფელობის აღსანიშნავად იყენებს ფრაზეოლოგიზმს **სულით, თავით... Canla basla**, ქართველი იტყვის, **სულით, გულითო.** ამის დასამტკიცებლად ჩვენში იტყვიან, **გულზე ხელი დაიდოო**, თურქი იტყვის, **ხელი სინდისზე დაიდოო** -Elini vicdanina koyadu. Iciniokur -მის სულს კითხულობს -მის გულში იხედება (თანდილავა, ცეცხლაძე, 2015: 67).

გულთანაა დაკავშირებული ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობანი. **გულში დება-** არის ფიქრი, განზრახვა რისამე გაკეთებისა. ეს ფრაზეოლოგიზმი ძველ ქართულშიც გვქონდა. სირთულის, სიძნელის დაძლევა, მონდომება – **გულის დადებაა:** საქმეს გული ვერ დაუდო. **გული მითქვამს- გულის კარნახია. გული მისდის** – მოთმინება ეკარგება, ძალიან შია (შდრ. კუჭი ეწვის).

გულის გამოცვლა საშუალი ქართულის ძეგლებში, კერძოდ კი 'ყარამანიანში“ გვხვდება და აზრის, მრწამსის შეცვლას ნიშნავს. აქვე გვაქვს **'გულის გაგრილებაც“** (შდრ. კომპოზიტი გულგრილი).

გულის აჩვილება იგივე აჩუყებაა. ამავე შინაარსისაა 'ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული **'გულის მომდედრებაც,“** თანამედროვე ქართულში ეს იდიომი არ გვაქვს, მაგრამ გვხვდება კომპოზიტი **'გულდედალი“**, რაც შეიძლება ამავე სემანტიკას გადმოგვცემდეს. ჯაბანს, მხდალს, ჩვილი გული აქვს, მშიშარაა. **'გულის მოქცევა“, იგივე 'გულის მობრუნება“ ქართულისთვის სპეციფიკურია, თურქულში არ გვაქვს** (ჩიმქე, 2015: 551). თურქული იდიომი **გულის ბაზარზე გამოტანა** (უღირსი ადამიანის შეყვარება, გამორჩევის გარეშე ნებისმიერ ადამიანთან, მისი პიროვნული თვისებების მიუხედავად, ურთიერთობის დამყარება (იქვე).

ქართულისა და თურქულისთვის საერთოა: ***ავი გულის პატრონი, შავი გულის, გული გაუშავდა, გული არ აქვს, სუფთა გულის.***

ამრიგად, კლასიკურ ქართულ ლიტერატურაში არსებობს ძალიან ძლიერი ტენდენცია **გულის** გამოყენებისა, განსაკუთრებით კი ეს არის ,,ვეფხისტყაოსნის“ ენის თავისებურება. ,,რუსთაველის პოეტურ ლექსიკაში გული უტყუარი, სწორი, ჭეშმარიტი ადამიანური ურთიერთობების სიმბოლოა; ადამიანის მოქმედება მისი გულის მსგავსია, განსჯა, სამართალი მართალი გონების ფუნქციას წარმოადგენს. მაგრამ იგი მაშინ მიდის გულამდე, როცა მართალი გულის ნაყოფია. გული სინონიმური მნიშვნელობითაა ნახმარი ისეთ სიტყვათა რიგში, როგორებიცაა: **იმედი, სიცოცხლე, გონება, სული...** (ღლონტი, 1955:34-41).

,,იმდენად, რამდენადაც გული შინაგან, არახილვად ორგანოებს მიეკუთვნება, როგორც წესი, განიხილება როგორც **ემოციის**, განცდის ცენტრი, თუმცა იგი მონაწილეობს გამოთქმებში, რომლებიც **ემოციების თანმხლებ ფიზიოლოგიურ ცვლილებებზე** მიუთითებენ. ემოცია მოიცავს ნეიროფიზიოლოგიურ და სამოძრაო-გამომხატველობით (ნერვულ-კუნთოვან) კომპონენტებს (ლოლაძე, 2010).

განსახილავი მასალა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ქართულში გონებასთანაა დაკავშირებული ის, რის უბრალო დამახსოვრებაცაა საჭირო, რაც გრძნობებს უკავშირდება /წყენა, ბოღმა../ **გულ-იანი** ფრაზეოლოგიზმით გადმოიცემა. შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულში **სიყვარული, სიხარული, მწუხარება, დანანება, დარდი, ნაღველი, წყენა, ადამიანის ღრმა გრძნობები და განცდები** ძირითადად **გულს, მის მოძრაობას** უკავშირდება. **გულთანაა** დაკავშირებული ადამიანის ემოციური და ინტელექტუალური შესაძლებლობანი.

ქართულში ზოგი ფრაზოლოგიზმი ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელობას გადმოგვცემს. პოლისემიურ ფრაზეოლოგიზმთა წარმოშობის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ზმნას ძირითადი მნიშვნელობის გარდა გადატანითი მნიშვნელობაც გააჩნია. სწორედ ეს უკანასკნელია ტროპული. თუკი სიტყვის ნორმატიული და გადატანითი მნიშვნელობები პოლისემიაში ერთიანდება,ასეთივე დამოკიდებულებაა თავისუფალ შესიტყვებასა და იდიომს შორისაც. ლექსიკურთან შედარებით ფრაზეოლოგიური პოლისემია ვიწროა.

ავიღოთ გულის დნობა. ის არის 1) მყარი ნივთიერების ლღობა გახურებისაგან; 2) თანდათანობით დალევა, გაქრობა; 3)გახდომა, დასუსტება (ჯავრისაგან) (ქეგლ. 362). გულის დნობა განსახილველ მასალაში გადმოგვცემს შიშსაც და სიყვარულსაც.

რაც შეეხება გულის ადუღებას, იგი ქართულში გაბრაზებას ნიშნავს, მაგრამ `ვისრამიანში~ შეყვარების სემანტიკითაა დატვირთული.**გულში ცეცხლის გზება** არის სიყვარულიც და გაბრაზებაც; **გულის დაწვა** (სიბრალული, აღშფოთება); **გულის ადუღება** სიყვარული, გაბრაზება... **გულის დადება** _ გადაწყვეტილება, მონდომება; **გულის ლევა** (ტანჯვა, უიმედობა, სიყვარული); **გულის დაბმა** საანალიზო მასალაში გადმოგვცემს სიყვარულსაც, თავშეკავებასაც და მწუხარებასაც.

ამრიგად, **გულიანი** იდიომების ანალიზმა გვაჩვენა, რომ მწუხარების თუ სიხარულის გამოსახატავად ხშირად გამოიყენება უნივერსალური ფრაზეოლოგიზმები. მათი არსებობა შეიძლება აიხსნას აზროვნების მიზეზ-შედეგობრივი კანონებით, სხვადასხვა ენაში ისინი, შესაძლებელია, დამოუკიდებლად იყოს გაჩენილი, ანდა კალკირების შედეგი იყოს. შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულში **სიყვარული, სიხარული, მწუხარება, დანანება, დარდი, ნაღველი, შიში, წყენა, სტუმართმოყვარეობა, სიზარმაცე, შიმშილი, დაბნედა.** ადამიანის ღრმა გრძნობები და განცდები ძირითადად **გულს,** მის მოძრაობას უკავშირდება.

Linguistics

Georgian Idioms Containing the *Heart*-component

Nana Tsetskhladze

Idioms containing the word *Heart* are very interesting for studying ethnic peculiarities and the means of expressing emotions in Georgian, because emotions are essential for world perception, for motivations, for social communication and for any activity. Georgian differs from English, German, Greek and Turkish, because it reveals absolutely different kinds of idioms.

Both, positive and negative emotions are connected to *Heart* in Georgian and in Megrelian-Tchanuri. This demonstrates asymmetric ratio of positive and negative emotions of a language. Love, joy, satisfaction, liking, disliking, kindness, pity, comfort etc. are those positive emotions that are expressed by *Heart* idioms. Negative emotions expressed by *Heart* idioms are sorrow, fear, anxiety, strong negative feelings, disappointment, irritation, revenge, hatred etc. Some intellectual qualities as well as individual features (thoughts, intuition, belief, memory, desires, hospitality, laziness), physiological phenomena (starvation, growth, fainting), and moral issues are associated with it.

წყაროები

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 2012- 2013 წლების ექსპედიციის მასალები;
2. ,,ვისრამიანი“ _ ალ. გვახარიას და მ. თოდუას რედაქციით. 1962.
3. ,,ვეფხისტყაოსანი“ _ საიუბილეო გამოცემა 1966 წ.
4. მაჭახელა. `შაჰინი~, Macacheli net, dejimler;
5. ორდუელ მუჰაჯირთა მეტყველება, 2012 წლის ექსპედიციის მასალები.
6. ხახუტაიშვილი 2009: ხახუტაიშვილი მ. ფუტკარაძე შ., ქობულეთური კილოს მასალები ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.Hჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი კრებული VI.
7. წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი ნაკვ. I შესაქმისაÁ, გამოსლვათაÁ ბ. გიგინეიშვილისა და ც. კიკვიძის რედაქციით, თბ. 1989 წ.
8. Oონიანი, 1966: ონიანი ალ. ქართულ-სვანური იდიომატიკის საკითხები 1954 ქართული იდომები
9. ,,რუსუდანიანი“ _ სარგის ცაიშვილის რედაქციით. 1965წ;
10. ,,შაჰნავაზიანი“ ფეშანგი გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით. 1935 წ.
11. ,,ყარამანიანი“ ალ. გვახარიასა და ს. ცაიშვილის რედაქციით. 1965 წ

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანდრონიკაშვილი, 1996: ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ლიტერატუ-რული ურთიერთობიდან, გამომცემლობა,, ირმისა“თბ.;
2. ბერიშვილი, 2002: ბერიშვილი ე., ფრაზეოლოგიზმთა ერთი ნაწილისათვის ქართული სახარების ორი ძველი რედაქციის მიხედვით, ენათმეცნიერების საკითხები, 2 (14);
3. ვეჟბიცკა, 1999: Вежбицкая À., Семантические универсалии и описание языков Москва;
4. თანდილავა, ცეცხლაძე *2015:* Gürcüce-Türkçe deyimlerin variyantlara göre kültürel dialoglar, *Universe Culture ISSN: 1308-619;*
5. თანდილავა, ცეცხლაძე *2015:* გულ-კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმები ქართულსა და თურქულში, Gürcücede ve Türkçede yürek/kalp ile ilgili yer alan bileşik kelimeler, ლინგვისტურ მეცნიერებათა სწავლების ინტერნაციონალური სიმპოზიუმი, უდესი, ნევშეჰირის უნივერსიტეტი, თურქეთი, მასალები. www.pegem.net;
6. ლოლაძე, 2010: ლოლაძე ნ., ემოციების გამოხატვის ენობრივი სურათი HTTPS://SEMIOTICSJOURNAL.WORDPRESS.COM/2010/08/07/;
7. მარგველანი, 1978: Маргвелани Л. П. Грузинские выражения обозначающие чувства и их описание в терминах лексических фукнкций Язиковые процесоры и распознование речи საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომები, XVII: 2, 1978;
8. მოდებაძე, 2015: მოდებაძე ც., ემოციის გამოხატვის ფორმები ლექსემა გულის საშუალებით გერმანულ და ქართულ ენებში, *კულტურათშორისი დიალოგები, შრომები. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თელავი; გამომცემლობა ,,მერიდიანი“;*
9. ნიჟარაძე, 1971: ნიჟარაძე შ., ქართული ენის ჭარული დიალექტი. ლექსიკა, ბათუმი, გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა“;
10. ფრანგიშვილი, 1944: ა. ფრანგიშვილის `გულ~ სიტყვისა და მისგან ნაწარმოებ სიტყვათა სემანტიკასთან დაკავშირებით ფრაზეოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ, ფრაზეოლოგია. ტ. III. თბ.;
11. ფონიავა, 2011: ნათია ფონიავა, გულთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და იდიომატური გამოთქმები მეგრულ ლაზურში (31-ე რესპ. დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები ეძღვნება ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავს);
12. მამულია, 2006: მამულია ე., თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. გამომც. ,,ცისარტყელა“თბ.;
13. სახოკია, 1979: სახოკია თ. ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბ. გამომცემლობა, ,, მერანი“
14. ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა;
15. ჩიქობავა, 1938: ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ.;
16. ჩიმქე, 2015: ჩიმქე ჰ., გულთან დაკავშირებული იდიომები ქართულსა და თურქულში, *კულტურათშორისი დიალოგები, შრომები. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თელავი; გამომცემლობა ,, მერიდიანი“*
17. ჯეიმსი ,1890: James W., The principles of psychology, New York, Dover, 1950
18. ხახუტაიშვილი, ფუტკარაძე, 2006: ხახუტაიშვილი მ., ფუტკარაძე შ., ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველების ნიმუშები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. მე-6 კრებული. გამომცემლობა ,,ბათუმის უნივერსიტეტი“ ბათუმი;
19. კიკვაძე, ხახუტაიშვილი 2014: კიკვაძე მ., ხახუტაიშვილი მ., ქართულ-თურქული ფრაზეოლოგიზმების თარგმნის პრობლემები, ენის, ლიტერატურისა და სტილისტიკის მე-14 ინტერნაციონალური სიმპოზიუმი15-17 ოქტომბერი, 2014, იზმირი, თურქეთი.

სახელთა ბრუნების თავისებურებანი მარადიდის მკვიდრთა მეტყველებაში

ნათელა ფარტენაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარადიდის (ჭოროხის ხეობის ქვემო ნაწილის) მკვიდრთა მეტყველება, ტრადიციულად, აჭარული კილოს ქვემოაჭარულ კილოკავად მიიჩნეოდა, თუმცა, პირველივე კვლევებიდან ჩანს, რომ იგი აჭარული კოლოსგან გარკვეულწილად განსხვავდება. ბოლო პერიოდის კვლევების შედეგად კირნათ-მარადიდის მკვიდრთა მეტყველება კლარჯულ დიალექტს მიეკუთვნა (ფაღავა, 2003, კლარჯეთი, 2016:527).

ნაშრომში საანალიზო მასალად გამოყენებულია კლარჯული კილოს მასალები (კლარჯეთი, 2016:701-1083).

მარადიდელთა მეტყველებაში ბევრ სხვა თავისებურებასთან ერთად რიგი თავისებურებები ვლინდება სახელთა ბრუნების დროს.

ხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვას აწარმოებენ არქაული ფორმით, დაირთავენ ნახევარხმოვან **-ჲ**'ს**:**

ჩემი მამამთილის ***დაჲ*** *იქიდანაა (949); მისი* ***დაჲ*** *აქ იყო და იმან მასხრობდა (938); ყორე იყო,* ***ხეჲ*** *უუწევია და ყორე თლათ ჩაშვებულა (938); ე რაბელაა, გო? თავიდან ბოლომდე გაშვებულა* ***ხოზიკაჲ****, ახლა წევდეთ ემრიეს ნაპირზე. აქ რამდონი* ***ხოზიკაჲ****ა (938)...*

ზოგჯერ **ი**-ზე ფუძეგათავებული სახელების სახელობით ბრუნვაში გვაქვს აი>აჲ კომპლექსი:

ჩემი ***ბიბიაჲ*** *გათხოვილა (949)... ზოგჯერ კი ო-ზე ფუძეგათავებულ სახელებში ო' ჩანაცვლებულია ა-ხმოვნით და არ იკვეცება: ვერ მოასუფთეს ბახჩეფში* ***ლობიაჲ*** *(940); აგზე* ***ლობია*** *გავფინე (937); ე, რაჲს თესლია, აბლავ?* ***ლობიასი?*** *(938)...*

მოთხრობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებს, როგორც საზოგადოს, ისე საკუთარს, აქვთ **-მა**' ნიშანი:

ჩემი ***დამა*** *მასე'ნა მითხრას (943); ერთმა* ***გოგომა*** *ის დამაწავლენ მე და შენ (942); ეჲწია* ***ყანამა*** *რამდონი ხანია (944); ის გოგო* ***აიშემა*** *იცნოფს (945);* ***მერიმა*** *გაზეთი არ მომიტანა (943)...*

იშვიათია **-მან'** ნიშანი: ***ხოჯამან*** *დუუძახავს (942);* ***ღმერთმან*** *გიყუროსო (943)...* ლივანურში არქაული ნიშანი -მან' ჩვეულებრივი მოვლენაა [ფუტკარაძე, 1995:16].

მარადიდის მკვიდრთა მეტყველებაში საკმაოდ ხშირია მოთხრობითბრუნვიანი ფორმები, მართალია, გარდაუვალ ზმნასთან მათი გამოყენება არ არის უცხო შავშური და ტაოური კილოებისთვის და ზოგადად სამხრული დიალექტებისთვის,:

კაცმა *წეიქცევა, ისეირებენ-ჰო? (939);* ***ქორმა*** *დეეცა მეგერ (933); ჰა, ამის* ***ფასმა*** *ყველას აწყოფს (937); მოხთა ყორეზე* ***დერგმა*** *და გატყდაო (933); ერთმა დედაბერმა* ***ქალმა*** *მოვდა*

*(932); წევდენ **დივებმა** ჰაცხან საქმეზე (929); გამოვდა მეგერ **თევზმა** (928); წევდა მეგერ ეს კაცი და შეეყარა **დათვმა** (928); სახში ერთმა **ქალმა** დაგვხთა (930); იარა და შეხთა **ღელემ** (928); გამოვდა **ქალმა** და იძახის (930); შემოვდა დიდმა **დათვმა** (931); **ცხენმა** არ გამოვდა (930); **თუთუნებმა** გახმა და **სიმინდებმაც** ჩეილეწა (941)...*

საანალიზო მასალაში ხშირად მოთხრობითი ბრუნვის ფორმები (და არა მარტო) წინადადებაში არასწორი კონსტრუქციით არის გამოყენებული, რაც უფრო ენის უცოდინარობის მაჩვენებელი უნდა იყოს და არა მეტყველების თავისებურება:

***ბადიშებმა** იკითხებენ ქითაბ (949); რამდონი **შოფერმა** ამუშავებდა ის მანქანა (940); ნაჩალნიკის მაშინას **ჩვენმა მანქანამ** ჯობნის (940); **მიმინომ** წეიყვანს ჭუჭული (939); ამ **ბალახმა** რამხელა ხელი გვიშლის (938); **ბაღნებმა** რას ამბობენ? (937); **ხალხმა** უკრეხო ზდიან და თქვენ ისე ვერ ზდით (936); **გულმა** მებნეოდა ვარი (933); **ქორმა** თუ წეადღებს, თელი ხომ წეადღებს (933); **დათვმა** სამობს დავლი ხმაზე (931); მისი **ბაღანამ** ხან ყუმარ თამაშოფს, ხან მანქანაზეა (943)...*

მიცემით ბრუნვაში როგორც თანხმოვანზე ფუძეგათავებულ, ასევე ხმოვანფუძიან არსებით სახელებს ზმნასთან ხმარებისას ეკარგებათ **-ს** ბრუნვის ნიშანი:

***ნაცარ** შევაყრიდი, შევნახდი, **შიშა** ჩავყრიდი, არ ქონდეს, რას იქს? (948); **საქათმე** ვერ გააკეთეფს კაცმა და რა'ნა ქნა? (936); წაადა **წყალ** შუუშვირე თავი (932); ამან ჭუჭულები აასხა და **კროხ** მიაბა ფეხზე (933); ერთი ნაცარქექიაადა იყო მეგერ და დეეფხანაკა **დივებ** (929); ბაღნებმა **ძაღლებ** აჯაღინებენ კალოზე (943); ჰემ რეკავს აირანი, ჰემ **საქმე** აკეთეფს (933); ჩვენ **ძაღლებ** წუხელი ეფეიჯა უნადირებიან (936); ავწიე და ვუკრავ **დავლ** (931); იმდონ **ყველ** ჩამეიტანდა **ადაღ** ვერ მოვრეკდი ებბედი (944); **შიშა** ჩავყრიდი, არ ქონდეს, რას იქს? (948)...*

ეს მოვლენა დამახასიათებელია შავშური და ტაოური კილოებისთვისაც (შავშეთი, 2011:457), საკმაოდ გავრცელებულია ზემოიმერულში, მხოლოდ თანხმოვანფუძიან სახელებთან, იშვიათია ქვემოიმერულში, ხშირია კახურსა და, განსაკუთრებით, ქიზიყურში [ძოწენიძე, 1973: 20].

ხშირია, აგრეთვე, მიცემითის ნაცვლად სახელობითის გამოყენება ზმნებთან:

***წყალი** ვსვავ, **ფილავი** ვიქავთ, **კომბოსტო** გავაკეთავთ (948); გეეჩვია და ღამეშიც ახილებს **თვალი** (940); რაფერ დავნიშნო, **ჩხირი** დავასოფ (930); ბათუმის გოგომ **სიმინდი** მეიკიდავდა და მეიტანდა (942); ჰემ რეკავს **აირანი**, ჰემ **საქმე** აკეთეფს (933); რა ვიჯები და **მუცელი** ვწვავ (929)...*

ბევრი კუმშვადი სახელი უკუმშველადაა წარმოდგენილი და კვეცადი - უკვეცელად:

*ა. ჩვენი **სოფელის** ამბვებია (943); **მაყარის** სახში პირველი მახარობელი მივა (932)... ბ. დღეს ჩვენ გევდეთ იქა, **ბინაის** იერზე (936); იგზე რომ ყურძენია, **ღვინოისთინ** ისია კაი კამა (936); დივმა მეიტანა დიდი **გუდაათ** წყალი (929)...*

მხოლობითის მსგავსად, მრავლობითშიც -ებ' დაერთვის შეუკუმშავ სახელურ ფუძეს:

*მე უთხარ ბიძას ე **ამბავები** (942); **ბებერების** თეთრი თმა, ნუ გინდაო ბევრი თქმა (951); იმას კაი **სხალები** უსხია (942); ახლა აღარ მაქვან **სხალები** (942); **აკვანები** დავარწევით (949); ვისია ეს **გოდორები**? (939); **ცხვარები** დარჩენ შიერები (945)...*

რაც შეეხება ხმოვანფუძიანებს, აქაც შეუკვეცელ ფორმებს დაერთის -ებ მრავლობითის ნიშანი, ოღონდ ფუძისეული ხმოვანი უმეტესწილად დისიმილირებულია, განსაკუთრებით ე-ზე დაბოლოებულ სახელებში:

*ჩემი მამის **მამაები//მამიები** ყოფილან შამილიშვილები (949); რა ამბვობაა აჯაფ **ბახჩიეფში** (942); ამ **ყანიებიდან** აწერილი გაქვა, სიმინდი რომ ვიზარალეთ? (938); ამ **ყანიების** ზომვა ღმერთმა ნუ გიმიხადონ საქმედ(938); იმა **ქიები** გამეესხა (932); ახლა ჰა ამფერ **ყანიეფს** რაფერ **სიცხიეფს** დაარტყავს იცი? (940); რაცხა ბევრი **საქმიები** მქონდენ (945); ბაბი! მაჲ საქათმეჲსთან რაფერი **ხიები** მოგიტანია (936); არც ჩამოვდა ერთი ანტერმა აქ, **ვაკიებში** (937); **ხიებზე** მუშაობს ტყეში (936)...*

ო-ზე დაბოლოებული ხმოვანფუძიანი სახელები და ზოგიერთი თანხმოვანფუძიანი სახელი მრავლობითში გვხვდება -იებ' დაბოლოებით:

*მიიყვაჲთ და ჩააგდეთ **ხობოები**, რას უყურებთ?! (940) //**ხობიები** ჰად არიან, ჩანან? (941); შენი **დერდიებს** ყველამფერს გიგიგნებს (928)...*

არც გავრცობილი ფორმაა უცხო მარადიდის მეტყველებისთვის:

*ჩემ **ბაბოსა** ქაზიმი ერქვა (972)...*

მრავლობითის ფორმით გვხვდება მოქმედების აღმნიშვნელი და ნივთიერებათა სახელები:

***წყევლები** არ ვიცი (949); **თუთუნებმა** გახმა და **სიმინდებმაც** ჩეილეწა (941); **სიმინდებ** რომ აწევ, თესლი ბევრი იქნება (941); **სიმინდებ** ვერ ვწევ, თურმე წვერებ მოკოჭვენ (939); რაფერ გაჯლიკნა **თუთუნები** (934)...*

მარადიდის მეტყველებაში ბრუნების თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა ადამიანის საკუთარი სახელები. ხშირია თანხმოვანფუძიანი ადამიანის საკუთარი სახელის ფუძეზე -ა' ს დართვა და ხმოვანფუძიანად გადაქცევა, რომლებიც სახელობითშიც დაირთავენ ნიშანს, ძირითადად -ჲ'ს, ისე, როგორც ხმოვანფუძიანები:

***ჯემალაჲ** გიძახს (942); მას **ჰურმიზაჲ** ერქვა (936); **ქაზიმაჲ** არ გამეიარა ერთი (940); **მუიდინაჲ** წევდაო?, რომელი **მუიდინაჲ?** (937)...// **ფიქრიეჲ** ხომ ის არ იყო, აკვანის ბაღანა?(943); **ემრიეჲ** ჰა წევდა, გო? (942); **მერიკოჲ** რწებელია თუ? (939); **ზექიეჲ** იყო, მგონია, კარქა ვერ ვიცან (936); **ფეზლაჲ** ჰა წევლა აქამომდე? (938)...*

მოთხრობითში ასეთ სახელებს **-მ'** ნიშანი მოუდით:

***ჯემალამ** რა გთხოვა?(942); **ჯემალამ** გიძახს, ჩამოვდესო (943); მე და **თახსინამ** რა დავარქვით ერთმანებ (935); მე და **თახსინამ** ვჭრიდით იმ ტყეში შიშა (945); **ჯემალამ** წორე იძახს განა! (939)...*

თუმცა ხმოვანფუძიანებთან შეიძლება შეგვხვდეს **-მა** ნიშანი:

***მერიმა** გაზეთი არ მომიტანა (943); მე და **გულომა** ვისეირავთ, შენ რომ ბათუმ ჩიგიყვანენ (935); **ფიქრიემა** ტირის, ბაბამ მომკლისო (942); ის გოგო **აიშემა** იცნოფს (945); **ავნიმა** ურტყავს ბაღანას (945); გამგეობა **ნაილემა** იჯება (939)...*

ხმოვანფუძიანად ქცეული თანხმოვანფუძიანი ადამიანის საკუთარი სახელები ნათესაობითში ორივე ფორმით გვხვდება:

***მურთაზას//მურთაზაჲს** სხალი დამპალა თლათ (942); რომელი მუიდინაჲ? - **იუსუფასი//იუსუფაჲს** (937); ეს ვისია, გო? **ხოშნეთაჲს//ხოშნეთასი** (937); **ოსმანაჲს// ოსმანას** ქალმა გამატანეს (935)...*

ასეთ პარალელურ ფორმებს ხმოვანფუძიანებშიც ვხვდებით: ***ნეფიეს //ნეფიეჲს** დედამთილი ჩემი ბიბიასთან იყო (941)...*

აღნიშნული სახელები წოდებითშიც ორი ფორმით გვხვდება, ნიშნით (-ო' ან -ვ') ან თანხმოვანი ფუძით:

ჰაჯერავ, ჰაჯერ! *რაები წაგაკითხიო (935);* ***თახსინ//თაჰსინავ,*** *ბრიგადაში რატონ არ წეხვალ? (936);* ***ილიასავ, ილიას!*** *სახში ეხველ (942); ზაკუსკა ამოგიტაჲ,* ***ხასან*** *(937)...*

რაც შეეხება ხმოვანფუძიან სახელებს, ესენიც წოდებითში ორივე ფორმით გვხვდება, თუმცა ბრუნვისნიშნიანი ფორმები ჭარბობს:

რემზი, რემზავ, *ცოტა ადრე ნება აართვი და წამოდ (939);* ***რემზო!*** *ერთი გოგომა ის დამაწავლენ (942);* ***ემრიევ,*** *ღმერთმა გაგაშეშა, გო, არ ამოხვიდე და არ წეიღო (938);* ***ნაზიევ,*** *რემზაჲ არ მოვდა? (936)...*

რიგი თავისებურებები ახასიათებს *ნაცვალსახელთა* ბრუნებასაც. მესამე პირის **იგი'** ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის ფორმას (მხოლობითში) სხვა ბრუნვებში უპირისპირდება **იმან, იმას, იმის, იმით** და არა: მან, მას, მის...

იმან *ბედიავა წევდა იქ (939);* ***იმას*** *მიდევს ბათუმ ჩემი ძმა (936);* ***იმის*** *თვალი არ გეცეს (947);* ***იმით*** *მეიტანს (941) თუმცა მიცემით ბრუნვაში ხშირად ბრუნვის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი: მე რომ* ***იმა*** *დუუყვირავ რა იციან (944); გურჯიჯა სიმღერების ქასეტი აქვა ჩემ ბიჭსა და* ***იმა*** *ეძებდა ახლა (971); ხარმანობა რომ მექნება, შენ* ***იმა*** *მეტყვი, რომ არ წეხვიდეო? (938); დღეს ქორმა გამაწია, თვარა მოვკლიდი* ***იმა*** *(939)...*

მესამე *პირის ნაცვალსახელის* სახელობითი ბრუნვის ფორმას მხოლობით რიცხვში დაერთვის ემფატიკური **ი',** რომელიც საკმაოდ ხშირია კირნათ-მარადიდის მეტყველებაში:

ერთპირ რომ გეტყვიან, დეიჯერე ***ისი*** *(943); შენ დეგელაპაჲკა* ***ისი*** *ქომო (936); მობილი იმას ყიდავს* ***ისი*** *(971);* ***ისი*** *მომყვება (939)... ნაცვალსახელი* ***ეს'*** *კი გვხვდება* ***ესე' // ესა'*** *ფორმითაც:* ***ესე*** *თავრობის ადგილი იყო (954);* ***ესა*** *ჩემი გელინის დაჲა (965);* ***ესა*** *ღარჭებ აკითხავს (965);* ***ესა*** *ჩემი გოგოს ბადიშია (971);* ***ესა*** *ჩემ ტაჲას გოგოს გოგოა (967)...*

აღნიშნული ნაცვალსახელები მრავლობით რიცხვს აწარმოებენ ორივე ნიშნით (**-ებ'** და **-ნ'**) ერთდროულად და თან ბოლოკიდურა ხმოვანი არ გადაჰყვებათ:

ისნები *რომ ლაპაჲკობდა, ვერ ხედვიდა იგზე მის დედემისს (944); ამდონხანს ჰა ყრიან* ***ისნები*** *(945);* ***ისნები*** *ბათუმ მივდოდენ და რა ვიცი, რა იფიშმანეს? (936)... ასევე სხვა ბრუნვის ფორმებსაც: ზეიდან რომ ვაშლი გადმუარდა, დეეცა* ***იმნებს,*** *ერთმა ვაშლმა ხუთი გააცვენია (941);* ***მაგნებმა*** *რა იციან? (944);* ***მაგნები*** *ხალხი არიან თუ? (944); რამდენმა ხალხმა დეიმარცხეს და* ***მაგნები*** *რა არიან?! (937)...*

-ებ' სუფიქსი დაერთვის **თ'**-ანიანი მრავლობითის ფორმასაც:

ისინი ***იმათებს*** *უძახიდენ (937);* ***მათებ*** *რაცხა დუურქმევიან (939)...*

კითხვითი ნაცვალსახელი **ვინ'** შეიძლება შეგვხვდეს გავრცობილი ფორმით: ***ვინა*** *არიან? (941)... და მრავლობითის ფორმითაც: გო,* ***ვინები*** *მოგდევენ? (942); მაგზე* ***ვინები*** *არიან აჯაფ? (936);* ***ვინები*** *არიან აქ ნეტაჲ (937)...*

რა' კითხვითი ნაცვალსახელი მიცემითში ძირითადად ფუძის სახით გვხვდება:

რა *ლაპაჲკობ?! (937); დედამთილმა* ***რა*** *თხოვს? (943);* ***რა*** *იჯებიან? (930)...* ნათესაობითსა და მოქმედებითში კი შეუკვეცელი ფორმები ჭარბობს:

ე ***რაჲს*** *თესლია? აქ* ***რაჲს*** *შეჲთანია? (930);* ***რაჲსთინ*** *მოტეხე ახლა მაგა? (935); დაკალ, გო,* ***რაჲსთინ*** *არ კლი მაი ქათამი? (943);* ***რაჲსთინ*** *მირბი ასე ჩქარი? (942);* ***რაჲთ*** *ჭრი, გო? (934)...*

ხშირად **ი', ე'** ხმოვნებით არის წარმოდგენილი მსაზღვრელად გამოყენებული **ის', ეს'** *ჩვენებითი ნაცვალსახელები* ძირითადად სახელობით ბრუნვაში:

ე ყურძენი უფრო ტკბილია (936); ე ძაღლები, ერთი ნალიქვეშ დავაბავ (936); ე ვაშლიც შეწვილა (944); ი სოფელი ქედ-ქედს იქითაა (945); ი ხარი აქ არ არი, ი ხარი კარჩხალშია (947)...

ჩვენებით ნაცვალსახელთა ამგვარი გამარტივებული სახით ხმარება გავრცელებულია ლეჩხუმურსა და მთარაჭულშიც, ოღონდ აღნიშნულ დიალექტებში გამოიყენება ყველა ბრუნვის ფორმასთან:

ე კაცმა გაშალა სამართობელი; ე შვილებს კიდო სადა აქვენ; უთხრა ე ქალ... (ძიძიგური, 1971:178).

სახელობით ბრუნვაში ჩვენებითი **ეგ'** ნაცვალსახელის ნაცვლად ხშირია **მაგ'** ფორმის გამოყენება:

მაგ ქათამი *დაკლილი ჩამოგეყვანა (944);* ***მაგ*** *ქალი ხომ არ მოსულა გუშინეზე კირნათ? (941); თუ დატიე* ***მაგ*** *კატა მარტოდ (943);* ***მაგ*** *ვაშლი მე მოვამცრიე წაღან (942)...*

კუთვნილებითი ნაცვალსახელები ძირითადად ფუძის სახითაა წარმოდგენილი:

ჩემ გოგოს *კაცი მოკდა, მიერე გოგოს კაცი არი (951); მაჭახლელმა,* ***ჩემ ნენემა*** *იცოდა (948);* ***ჩვენ წისქვილმა*** *არ ფქვავს და არ ჩამევტადი (944); გურჯიჯა სიმღერების ქასეტი აქვა* ***ჩემ ბიჭსა*** *და იმა ეძებდა ახლა (971);იმას მიდევს, ბათუმ,* ***ჩემ ძმას*** *(936);* ***მის კაცმა*** *თუ რამ არ ამბოფს (943)...*

ხშირია ასევე *კუთვნილებით ნაცვალსახელთა* ზედმეტად (ორმაგად) გამოყენების შემთხვევები:

ისნები რომ ლაპადკობდა, ვერ ხედვიდა იგზე ***მის დედემისს*** *(944); ვერ გააგონეფ* ***მის მაამის*** *და სხვა რამ არ უნდა (943); დაგანდო* ***შენმა ნენეშენმა,*** *ედიო? (943);* ***ქაზიმას დედამისმა*** *მიძახს (945)...*

თავისი' კუთვნილებითი ნაცვალსახელის ნაცვლად ყველგან გვხვდება - **მისი'** :

კაცმა ***მისი*** *არ აკეთებს და კოლექტივისა გააკეთეფს? (941); ყველამ რომ* ***მისი*** *ყანა მან აწევს, მალე იქნება (938)...*

ხმოვანფუძიან ნაცვალსახელებს, არსებითის მსგავსად სახელობითში აქვთ **ი',** მოთხრობითში მოუდის **-მა'** ბრუნვის ნიშანი და არა **-მ'**:

მიერე დღეს ***ყველაი*** *მაბიწყდება (928);* ***სხვამა*** *სხვა იჯებოდა (943);* ***ყველამა*** *ერთმანებს ეხმარებოდენ (945)...*

განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებში ნაწილაკშეზრდილი წარმოებაა დამახასიათებელი: ვინ-ცა-ღა, რა-ცა-ღა, რომელიც ასიმილაციის შედეგად გვაძლევს **ვინცხა', რაცხა'** ფორმებს:

შენი მული ახლოპირ იყო აქ, ***ვინცხა*** *ეახლა (935);* ***ვინცხა*** *რომენ საჭმელ ჭამდა (931); აგზე გეიარა,* ***ვინცხა*** *მაღალი ქალი იყო (937);* ***რაცხა*** *გამოწრობა იყო (936)...*

თითქმის ყველა შემთხვევაში *უარყოფითი* ნაცვალსახელების ნაცვლად გამოიყენება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები და უარყოფის გამოხატვა ეკისრება ნაწილაკებს (როგორც წესი, ასეთ ფორმებში ორმაგი უარყოფა არაა საჭირო):

რა ამბვობაა ***ვინმემ*** *(=არავინ იცის) <u>არ</u> იცის? (942); ერთი ჭამა* ***რამეს*** *(=არაფერს გიზამს) <u>არ</u> გიზამს (943)...*

რაც შეეხება *რიცხვით სახელებს,* ძირითადად, თურქული შესატყვისები გვხვდება, ქართულ სახელებში, არსებითის მსგავსად, აქაც ვხვდებით ბრუნვისა და რიცხვის თავისებურ წარმოებას. კერძოდ:

*ჩაირი ჭრაზე რომ მივდენ, **ერთი** არც დატევენ (937); ჭრაზე არ კეთდება, იმიტომ, რომ **ორ - სამმა** ჭრიან (937); მოვკალ უჩაღმაღო თოფით **ორნავეჲ** იხვი (932); **ორნავემ** დეეწიკეთ და ჩააბით (934)...*

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მარადიდის მკვიდრთა მეტყველებაში სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული ბევრი თავისებურება საერთო სამხრული მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი, ზოგი კონკრეტულად აღნიშნული დიალექტის თავისებურებაა.

Linguistics

Peculiarities of Noun Declination in the Speech of The Maradidi Residents

Natela Phartenadze

A lot of peculiarities of the noun declination in the speech of the Maradidi residents are typical to the Samkhruli speech in general: some of them characterize a particular dialect, whereas others are so unnatural that they indicate the ignorance of the language.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, კლარჯეთი, კლარჯული კილო (მასალები), ბათუმი, 2016.
2. მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, შავშეთი, თბილისი, 2011.
3. ფუტკარაძე, 1995: - ფუტკარაძე შუშანა, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებები ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადისერტაციო მაცნე, თბილისი;
4. ძიძიგური, 1971: - ძიძიგური შოთა, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი;
5. ძოწენიძე, 1973: - ძოწენიძე ქეთევან, ზემოიმერული კილოკავი, თბილისი.

'დედაბრული ხელის“ სოციო- და ფსიქოლინგვისტური ასპექტები

მზია ხახუტაიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ლიტერატურაში 'დედაბრული ხელი“ ქალის ხელით, ცუდი მხედრულით შესრულებულ წერას ნიშნავს. ამგვარი წერა, გარკვეულად მოდიფიცირებული, ქობულეთ-აჭარაშიც გამოიყენებოდა. წერის ამგვარი თავისებურება ისტორიულმა რეალობამ შეაპირობა, ამიტომაც მისი კვლევა საინტერესო აღმოჩნდა არა მხოლოდ პალეოგრაფიისა და ლინგვისტიკის, არამედ სოციო- და ფსიქოლინგვისტიკის თვალსაზრისითაც.

ქართველთა ტრადიციული მემკვიდრეობითი კულტურის საგანძურის ერთი დიდი ნაწილია ხელნაწერი წიგნები, მათი გადაწერა და გამრავლება. 'წიგნის წერის ჯელოვანთ“ არაერთი უნიკალური ხელნაწერი წიგნი გადაუწერიათ. სწორედ ამ საგანძურის ნაწილია ქალის ხელით, ცუდი მხედრულით, 'დედაბრული ხელით“ გადაწერილი ხელნაწერები. სამეცნიერო ლიტერატურაში 'ტერმინი 'დედაბრული ხელი“ სიმონ ჯანაშიას სახელს უკავშირდება, 1948 წელს კი იგი ნიკო ბერძენიშვილმა გამოიყენა“ (სილოგავა, 2008: 138), თუმცა ჩვენი აზრით, იგი გაცილებით ადრე დაადასტურა აპოლონ წულაძემ (წულაძე, 1916). ეს ტერმინი არ გვხვდება ივ. ჯავახიშვილთან. 1873 წელს ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელმაც იმოგზაურა გურიასა და აჭარაში, გამოავლინა და პირველად დაახასიათა ეს ერთგვარად თავისებური წერის მანერა და 'ქობულური“ უწოდა. ყველა ამგვარი ხელნაწერის შესწავლის საფუძველზე გავარკვიეთ, რომ ქობულეთ-აჭარაში გავრცელებული 'დედაბრული ხელი“ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ჭეშმარიტად უნიკალური დაწერილობის სახეა, მისი ორიგინალურობის საფუძველი კი ის ისტორიული რეალობაა, რომელშიც დასაბამი მიეცა ამგვარ წერას. თავად ხელნაწერი მემკვიდრეობა სრულყოფილად ასახავს ქობულეთ-აჭარის კულტურულ და სულიერ მდგომარეობას ოსმალთა ბატონობის პერიოდში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მტარვალნი აჭარლებში ეროვნული გრძნობის მიძინებას, იმის დავიწყებას ცდილობდნენ, რაც მათ მამა-პაპასთან, ქართველობასთან აკავშირებდა: 'ისლამის ბრალია, რომ ქართული ენა სულ ერთიან დათრგუნულია“ (ბაქრაძე, 1987: 73); 'აქ არ არის სახალხო სკოლები, წიგნიერება დაცემულია, საკუთარი ლიტერატურის რაიმე ნიშანიც კი არ არსებობს. ...მხარეში წერა-კითხვის მცოდნე ცოტაა“ (ფრენკელი, 2012:129). 1914 წელს 'სახალხო გაზეთში“ გრიგოლ ბურჭულაძე სტატიაში 'ქართული ენა ქართველ მაჰმადიანებში“ წერს: ,,ქართულ ენას სდევნიან ბათომის ოლქში. ...ქართულის სწავლების ნებას არ აძლევენ. ხალხს კი დიდი სურვილი აქვს თავისი დედა ენა, ქართული იცოდეს; წერა-კითხვა მაინც შეისწავლოს“ (ბურჭულაძე, 1914).

დამპყრობთა ამგვარი სისასტიკის მიუხედავად, მოსახლეობა ლაპარაკობდა ქართულად და ქართულ ზნე-ჩვეულებებს ინარჩუნებდა. მათ შემოინახეს ხალხური სიბრძნის, ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები, საკუთარი იდენტობის ძირითადი ნიშანი, ქართველობის შენარჩუნების უმთავრესი პირობა, ქართულად წერა. ამის დასტურია 1914 წელს 'სახალხო გაზეთში" გრიგოლ ბურჭულაძის წერილი აჭარელი ქალის ღვაწლის შესახებ: '...განსაკუთრებით ქალებშია ქართული ენისადმი სიყვარული გავრცელებული; ამათ მიწერ-მოწერა ქართულად აქვთ. ...მიწერ-მოწერისათვის ***განსაკუთრებული ასოებიც კი შეუქმნიათ მაჰმადიან ქართველებს***" (ბურჭულაძე, 1914: №1169). ენციკლოპედიაში 'ქართული ენა" ვალერი სილოგავა წერს:'დედაბრული ხელი" ქართული მხედრული დამწერლობის სახეობაა. უპირატესად გავრცელებული იყო ქალებს შორის (სილოგავა, 2008: 138). ნიკო ბერძენიშვილის მიხედვით, 'დედაბრული ხელი" ნიმუშია ქართული დამწერლობისა, რომელიც იხმარებოდა... უმთავრესად ქალებში (ბერძენიშვილი... 1948: 324). თედო სახოკიას აზრით, ,,...მანდილოსნებს შორის არის დაცული ძველებური ქართული წერა" (სახოკია, 1950: 245). ხარიტონ ახვლედიანის მიხედვით, '...ქართული დამწერლობის განსაკუთრებული სახე ცნობილი იყო 'დედაბრული ხელის" სახელწოდებით, რადგან მას უმთავრესად ქალები ხმარობდნენ" (ახვლედიანი, 1978: 231). ალ. ფრენკელის ცნობით, ქართული წერა კარგად იცოდნენ ბეგებმა, განსაკუთრებით კი ქალებმა (ფრენკელი, 1879: 41). აჭარელი ქალის ღვაწლზევე წერს აპოლონ წულაძე: ,,ხანუმების წყალობით არ მოისპო ქართული წერა. ქობულეთსა და აჭარაში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ხანუმები ქართულ ენაზე, ქართული ასოებით (ანბანით) მიწერ-მოწერის მცოდნენი" (წულაძე, 1916). ჩანს, საკითხით დაინტერესებული მკვლევრების მოსაზრება ერთგვაროვანია.

'ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით" შესრულებული ხელნაწერები მოწმობენ, რომ აქ ხელნაწერი წიგნის ტრადიცია ოსმალთა ბატონობის პერიოდშიც არ მოშლილა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ტრადიციის შენარჩუნება ისევ და ისევ ქალს უკავშირდება. მისი შექმნა ამ შემთხვევაშიც ქალმა იტვირთა, იტვირთა ქართული ენის გადარჩენა, ქართული ცნობიერების შენარჩუნება. მნიშვნელოვანია, რომ ეს იმ მეობის გამოვლინებაა, რომელიც ეთნოსს დაეკისრა არსებულ სიტუაციაში და, რომელიც აუცილებელი გახდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. შეიძლება ითქვას, 'ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი" ეთნოსის მიერ გაცნობიერებული, გააზრებული მოვლენის შეფასებითი დამოკიდებულებაა წერითს მეტყველებაში გამოხატული. ესაა 'საზოგადოებრივი ცნობიერების ენობრივი ხორცშესხმა". ჩანს, ისტორიულმა ფაქტმა სოციუმის თვითიდენტიფიკაციას შეუწყო ხელი.

რაც შეეხება იმას, თუ რა აუცილებელი ნიშნები გახდა საჭირო იდენტობის გამოსახატავად და შესანარჩუნებლად, კარგად ჩანს 'ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით" წერის თავისებურებებში. ეს ის კულტურული მეხსიერებაა, რომელიც ეთნოსის საზღვრებს ადგენს. როგორც ჰუმბოლდტი ამბობს: 'ენა არის ერის სულის უშუალო გამოხატულება".

მართალია, 'დედაბრული ხელი" მხედრული ანბანის მოდიფიკაციაა, იგი საკმაოდ ორიგინალური დაწერილობაა. როგორც აღვნიშნეთ, 'ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი" სხვა ამგვარი ხელნაწერებისაგან განსხვავდება იმით, რომ 1. უშუალოდ უკავშირდება ოსმალთა ბატონობას და 2. განირჩევა პალეოგრაფიული ნიშნებით.

დასახელებულ ხელნაწერთა პალეოგრაფიულ თავისებურებებს შორის მნიშვნელოვანია ასოთა კუთხოვანი მოხაზულობა. ეს ის გრაფიკული თავისებურებაა, რომელიც 'ქობულურ-აჭარულ დედაბრულ ხელს“ განასხვავებს სხვა ცუდი მხედრულით, 'დედაბრული ხელით,“ შესრულებული ხელნაწერებისაგან.

მეორე უმნიშვნელოვანესი ნიშანი, რომელიც ახასიათებს 'ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ წერას, არის ხმოვანმეტობა. იგი, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის ტექსტის წაკითხვას: **ხუმაყო ხუმითა დიდითა თქუვა: კურუთუხეული ხარ შე დედათა შორისუ. კუთუხეულ არისუ ნაყოფი შენი მუცელისა შენისა და ვინუ ესე ჩემუდა რათა მოვიდა** (20 r, H 1258).

მესამე, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი თავისებურება, რაც 'ქობულურ-აჭარულ დედაბრულ ხელს“ განასხვავებს 'დედაბრული ხელით“ შესრულებული სხვა ხელნაწერებისაგან და, რაც მის ამოკითხვას ასევე ართულებს, არის სიტყვების გაუმიჯნაობა, უინტერვალო წერა. ეს კი დაფარვისა და გასაიდუმლოებისათვის მნიშვნელოვანი საშუალება იყო.

მეოთხე თავისებურება სასვენი ნიშნების უქონლობაა.

ყველა ზემოთ დასახელებული ნიშანი მნიშვნელოვანი მახასიათებელია 'ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელისა,“ როგორც წერის მანერისა, ეს კი საფუძველს გვაძლევს, რომ მას ვუწოდოთ საიდუმლო დამწერლობის ერთ-ერთი სახე, თუ გავითვალისწინებთ იმ ისტორიულ რეალობას, რა რეალობაშიც იგი შეიქმნა.

საინტერესოა, რომ 'ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელის“ შექმნის აუცილებლობა უკავშირდება სოციოლინგვისტიკის ზოგად პრობლემათაგან ერთ-ერთს, ენის სოციალურ და პროფესიულ დიფერენციაციას. საკითხი ასევე საინტერესოა ფსიქოლინგვისტიკის თვალსაზრისითაც. წერის ამგვარი მანერის შემუშავება ეთნომენტალობის გამოძახილია, წერით მეტყველებაში ასახული. როგორც ცნობილია, ოსმალთა ბატონობის პერიოდში გადამწერებს უხდებოდათ მათთვის საჭირო სახარების შემცველი ავგაროზის ტექსტების 'გარდანუსხვა:“'...წინაშე თვალთა მისთა ეს ებისტოლე **ანგაროზი** იახლოს ზეცისა და ქვეყნისა და მისა ხატოვანებითა ევლიასითა“; 'გადაარჩინე ამ **ანგაროზის** ბატონი ყოველისა მარცხისაგან...“. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იმ სოციალური ჯგუფის, პროფესიული წრის მეტყველების ნაირსახეობაა, რომელიც მხოლოდ ამავე წრისთვის უნდა ყოფილიყო გასაგები. ამგვარი ნაირსახეობა კი - არგოა. დაშიფრული გამოთქმები მხოლოდ შემლოცველისათვის უნდა ყოფილიყო გასაგები. შეიძლება ითქვას, ეს რიტუალური არგოა, რომლის მიზანი ნათქვამის დაფარვა უნდა ყოფილიყო. იგი ხელოვნურად შექმნილი მეტყველებრივი ნაირსახეობაა, ამიტომაც შემლოცველი იძულებული იყო გაესაიდუმლოებინა ტექსტი. გასაიდუმლოებისთვის კი 'ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ტექსტებში სხვადასხვა პრინციპი გამოიყენებოდა. სავარაუდოდ ამ პრინციპების ტრანსფერი შემდეგ უკვე სხვა ტიპის ტექსტებშიც მოხდა, მათ შორის, პირად წერილებში. ამგვარად, 'ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერები ერის კულტურის, მისი მსოფლხედვის მაუწყებელია. ცხადია, ქობულეთ-აჭარაში, მიუხედავად ძალმომრეობისა, ეროვნული სულისკვეთება, თვითშეგნება არ მოდუნებულა. მისი გადარჩენა ქალმა იტვირთა და 'ჩვენებურ“ წერაში, წერით მეტყველებაში კოდირებული ცნობიერება წარმოგვიდგინა. ამგვარი დაწერილობა ის

სიმბოლოა, რომლითაც კოლექტიური მეხსიერება შეიქმნა. კოლექტიური მეხსიერება კი, როგორც წესი, განსაზღვრული სოციალური ჯგუფით იქმნება.

ასევე საინტერესოა აღნიშნული მოვლენის ეთნოსოციოკულტურულ კონტექსტში განხილვა. ადამიანის ცნობიერება ყოველთვის განპირობებულია ეთნიკურად. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ყველა სპეციფიკური ნიშანი, რომლებიც გასაიდუმლოებისათვის გახდა საჭირო, იმ ეთნოლინგვისტურ იმუნიტეტზეც მეტყველებს, რომლის შემუშავების აუცილებლობაც ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად გახდა აუცილებელი ქობულეთ-აჭარის მკვიდრთათვის. 'ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ტექსტები ეთნოსის ენობრივი ცნობიერებაა და ამგვარი წერის მანერა კი – კომუნიკაციის ეროვნული სპეციფიკა. აშკარაა, რომ 'ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით წერა“ უნივერსალური კულტურული ინფორმაციის შემცველია. როგორც პაული აღნიშნავს, ფსიქოლოგიური ცოდნა უნდა მოვიპოვოთ ენის ფაქტებიდან, რამეთუ ენაში უკუფენილია ხალხთა ,,ფსიქიკური შემოქმედება.“

'ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“ ფენომენია. ის კონკრეტული სოციუმის სოციოკულტურული რესურსია. საკმაოდ ორიგინალური მხედრული მძლავრი ფაქტორი გახდა ეთნიკური და ეროვნული ერთიანობის შეგნებისა, რასაც არაერთხელ გადაურჩენია ქართველობა თავისი ისტორიული არსებობის განმავლობაში სრული გადაგვარებისაგან.

კოლექტიური მეხსიერებისა და თვითშემეცნების, იდენტობის ასეთივე ნათელი დასტურია ბუხრის სარტყლის წარწერა, რომელიც მოვიპოვეთ თურქეთში, ფაცის რაიონის სოფელ კაბაქდაღში, ქობულეთელ მუჰაჯირთა სოფელში. ის 'ქობულურ-აჭარული ხელითაა“ შესრულებული. უნდა ითქვას, რომ თურქეთის ქალაქ ფაცის სოფლების უმეტესობა ქობულეთელი მუჰაჯირებითაა დასახლებული. მუჰაჯირად გახიზვნის შემდეგ უცხო გარემოში მეტად გამძაფრებიათ მამულისა და მშობლიური ენის სიყვარული და გაფრთხილებიან მას. ამ ხსოვნამ გადაარჩინა ჩვენებურები უცხო ტომში აღრევას და შეანარჩუნებინა საკუთარი იდენტობის ძირითადი ნიშანი - ქართული ენა და ასევე კიდევ ერთი ძირითადი კომპონენტი ეროვნული თვითდამკვიდრებისა, ქართულად წერა.

კაბაქდარში ხასან-თახსიმ ბეჟანიძის წინაპართა მიერ აშენებულ საცხოვრისში, ბუხრის სარტყელზე კარგადაა შემონახული 'ქობულურ–აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული წარწერა.

ბუხრის წარწერა ამოკვეთილია და შესრულებულია 'ქობულურ-აჭარული დედაბ-რული ხელით“. ხასან-თახსიმ ბეჟანიძის თქმით, ოსტატი 'გამკეთებლის“ გახსენებას ითხოვს. წარწერის შინაარსი ამგვარია: **ამ ქემერის ამშენებელს გახსენება უნდა** (ქემერი-თურქ.-სარტყელი).

ისლამის მიღების შემდეგ თურქეთში მცხოვრები ქართველების ცხოვრების წესმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, მაგრამ ეთნიკურად მათი დიდი ნაწილი მაინც ქართველებად დარჩნენ. ძირითადად ქართულია მათი ტრადიციულ-ყოფითი კულტურა.

ფაცაში ნაპოვნი ბუხრის ლაპიდარული წარწერა ზოგადქართული ელემენტებით ხასიათდება. ესენია: წრიული დისკო, რელიეფური ორნამენტები. აქ წარმოდგენილია

მრგვალი წრე-დისკოების კომბინაცია. სიმბოლო-ნიშანი მზის გამოსახულებაა. ორნამენტირებული არშია ,,ქემერს“ ირგვლივ შემოუყვება; საზოგადოდ, მზებორჯღალათი მზისა და ცეცხლის მსგავსება იყო გამოხატული. მნიშვნელოვანია მცენარეული მოტივიც. სამი ამოზრდილი რტო ასევე წრე-დისკოთი ბოლოვდება. აქვეა არაბულით შესრულებული 'ალლაჰ“, 'მაშაალლაჰ“. შემდეგ კი დათარიღებულია, სავარაუდოდ, ჰიჯრით 1317 წელი (614+1317=1931 ჩვ. წელთა აღრიცხვით).

ქობულეთელი მუჰაჯირის მიერ ფაცის ბუხარზე შესრულებული უნიკალური წარწერა, რომელზეც მისი შთამომავლები დღემდე ამაყად საუბრობენ, უტყუარი ნიშანია უცხო გარემოში თვითდამკვიდრებისა და განსხვავებული კულტურული და რელიგიური იდენტობის ეთნოსთა შორის კომუნიკაციისა და კოლექტიური მეხსიერებისა. ასევე მუჰაჯირთა ისტორიული მეხსიერებისა და იდენტობის ნათელი დასტურია. კულტურული მეხსიერება ეროვნული ცნობიერების უმთავრესი განმსაზღვრელი ნიშანია და, როგორც ასმანი ამბობს, კულტურა არის 'წარმომავლობის შემაჩერებელი სადაზღვევო სისტემა საყოველთაო დავიწყების წინააღმდეგ“ (ვიმოწმებთ: თანდაშვილი, 2016: 25-ის მიხედვით). იგი მეხსიერების უმაღლეს ფორმად კულტურულ მეხსიერებას მიიჩნევს.

ამრიგად, 'ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“, რომელიც ოსმალთა ბატონობის პერიოდში შეიქმნა, იდენტობისა და ისტორიული მეხსიერების ნათელი დასტურია. ის ეთნოსის ენობრივი ცნობიერებაა, კომუნიკაციის ეროვნული სპეციფიკაა, სიმბოლოა, კოლექტიური მეხსიერების ნაწილია. კულტურული მეხსიერება კიდევ ეთნოსის საზღვრებს ადგენს. მისი ფსიქოლოგიური დატვირთვა კი არსებულ სიტუაციაში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაა.

Linguistics

Socio- and Psycholinguistic Aspects of the Georgian Writing ’Dedabruli Kheli’

Mzia Khakhutaishvili

’Dedabruli Kheli’ is woman’s bad handwriting in Mkhedruli. This kind of modified handwriting was also used in Kobuleti, Ajara. The usage of this similarly modified handwriting was conditioned by the historical context, and this makes this issue interesting not only for Paleography and Linguistics, but also for Socio-and Psycholinguistics.

’Kobuletian-Ajarian Dedabruli Kheli’ differs from other kinds of handwritings in the following ways: 1. It is directly connected to the Reign of the Ottoman Empire; and 2. It is

distinctive with its paleographic marks. Among these paleographic peculiarities are: angular outline of letters; extra vowels; non-separated words; no intervals; no punctuation marks.

'Kobuletian-Ajarian Dedabruli Kheli' is the proof of the fact that creation of handwritten books and preservation of the tradition of rewriting are connected to the woman's role. 'Kobuletian-Ajarian Dedabruli Kheli' is the written expression of the nation's evaluation of events. Historical facts made the basis for the self-identification of the society.

Creation of 'Kobuletian-Ajarian Dedabruli Kheli' is directly connected to the social and professional differentiation of the language, and this provokes the interest in the sphere of Psycholinguistics. This kind of writing is the echo of the ethno-mentality. During the reign of the Ottoman Empire, it was necessary to rewrite necessary amulets containing testament texts. This is the speaking variety of the social groups. This is kind of ritual Argo and their purpose was to conceal. This kind of concealment had different principles. Supposedly, these principles were lately transferred in different kinds of texts and private letters are among these texts. Concealment is the herald of nation's culture and its ideology. The aforementioned fact is the collective memory which was created by the definite social group.

Specific marks created for concealment are the indicators of the ethno-linguistic immunity, creation of which became essential for maintaining national identity for Kobuleti, Ajara. concealment is the national consciousness of the ethnos and this kind of writing manner is the national mark of communication. 'concealment conveys universal cultural information.

The excellent example of the national memory and self-consciousness is the inscription we found in the fireplace zone in the Turkish village Kabaktagh.

''Kobuletian-Ajarian Dedabruli Kheli' is the evident proof of identity and historical memory. It's language consciousness of the ethnos, the national specificity of communication that establishes the borders of this ethnos, and its psychological function is keeping the national self-identity in the given situation.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სილოგავა, 2008: სილოგავა ვ., ენციკლოპედია ქართული ენა, თბ.;
2. ახვლედიანი, 1978: ახვლედიანი ხ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა." ბათუმი;
3. ბაქრაძე, 1987: ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა," ბათუმი;
4. ბერძენიშვილი... 1948: ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია. ნაწილი I. სახელგამი;
5. ბურჭულაძე, 1914: ბურჭულაძე გრ. სახალხო გაზეთი;

6. სახოკია, 1950: სახოკია თ., მოგზაურობანი. თბილისი;
7. სურმანიძე, 1996: სურმანიძე რ., ქართული კარაბადინი. გამომცემლობა ,,ალიონი“, ბათ. 1996;
8. წულაძე, 1916: წულაძე აპ., 'ქართველი მუსლიმანები და ქართული წერა“ გაზ. 'საქართველო“, №274;
9. ფრენკელი, 2012: ფრენკელი ალ., ნარკვევები ჩურუქ-სუ-ზე, გამოსაცემად მოამზადა, ავტორის ბიოგრაფია, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, თბ. 2012
10. ხაჟომია, 1949: ხაჟომია თ., ქართული დამწერლობის ერთ-ერთი თავისებური სახე, 'მიმომხილველი,“ I, თბილისი, ტაბ. I-X;
11. თანდაშვილი, 2016: თანდაშვილი მ., ენის დიგიტალური დოკუმენტირება (შესავალი დოკულინგვისტიკაში), გამომც. ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი, ბათუმი.

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების მიმართებისათვის სალიტერატურო ბერძნულთან

თეონა აბულაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ლიტერატურაში პონტოური დიალექტის წარმოქმნა ახ. წ.აღ. VI-VII საუკუნით თარიღდება. პონტოს რეგიონის გეოგრაფიულმა მდებარეობამ, აქ მცხოვრებ ელინთა გამუდმებულმა კონტაქტებმა სხვადასხვა ხალხებთან, პონტოურ დიალექტს მისცა თავისი სხვა, ბერძნული დიალექტისაგან მკვეთრად გამორჩეული ხასიათი. ამასთან ერთად, აჭარაში მცხოვრები ბერძნული მოსახლეობა, მართალია, პონტოს დიალექტზე მეტყველებს, მაგრამ იგი გარკვეული ისტორიულ-გეოგრაფიული პირობების გამო, უკვე ერთგვარად დაშორდა ბერძნული ენის პონტოური დიალექტის სხვა შტოებს (ბერძენიშვილი...1990:135).

საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა დიალექტის შემდგომი განვითარება დაუკავშირდა იმ ახალ ენობრივ გარემოს, სოციალურ-კულტურულ კონტექსტს, რომელიც აქ დახვდათ. სწორედ ამიტომ, საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა დიალექტის საფუძვლიანი შესწავლა ბევრ საინტერესო და საყურადღებო მოვლენას წარმოაჩენს არამარტო ბერძნულ დიალექტთა ისტორიის, არამედ საერთოდ დიალექტოლოგიის თეორიული საკითხების კვლევისთვის(ბერძენიშვილი...1990:135).

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა პონტოურიმეტყველებისჩვენებას იმ სახით, როგორადაც მათ მეხსიერებას შემორჩა და რა ფორმითაც დღემდე მოიტანეს. შევეცადეთ, პონტოური მეტყველების თანამედროვე ბერძნულ ლექსიკასთან ურთიერთმიმართებით ზოგადი სურათი შეგვექმნა იმისა, თუ რამდენად არის დაცილებული დიალექტი საკუთრივ ენას.

საანალიზო მასალა აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა ზეპირი მეტყველებიდანაა აღებული, პროექტის - ,,პონტოელი ბერძნები აჭარაში- წარსული და თანამედროვეობა“ ფარგლებში.

შედარებითი ანალიზისთვის გამოვყოფთ სიტყვათა შემდეგ ჯგუფებს:

1. საერთო სიტყვები, რომლებიც ფორმითაც ერთნაირია და მნიშვნელობითაც;
2. საერთო ძირის მქონე ფონეტიკურად სახეცვლილი, მნიშვნელობით ერთნაირი სიტყვები;
3. ფორმით განსხვავებული, მნიშვნელობით ერთნაირი სიტყვები;
4. ფორმით / მნიშვნელობით განსხვავებული,მნიშვნელობაშეცვლილი სიტყვები;

1. პონტოურილექსიკის შედარებით მცირე ნაწილს შეადგენს სიტყვები, რომლებიც პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში ფონეტიკურადაც და სტრუქტურულადაც ზუსტად ისეა შენარჩუნებული, როგორც ეს თანამედროვე ბერძნულშია,თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ზოგ შემთხვევაში სალიტერატურო ბერძნულში ერთი სემანტიკის მქონე სიტყვას რამდენიმე

სინონიმი დაეძებნება ახალში, პონტოურს მათგან მხოლოდ ერთი შემოუნახავს და პირიქით. მაგ:

ა. ბიცოლა, მამიდა, დეიდა ახ. ბერძნულში გამოითქმის ერთი სიტყვით - θεία, ასევეა პონტოურშიც - θεία მამიდას, დეიდას, ბიცოლას აღნიშნავს;ადამიანი - άνθρωπο (პონტ.) - άνθρωπος (ახ. ბერძ.);დედამთილი - πεθερά (პონტ.) –πεθερά (ახ. ბერ.); ვაჟი, ვაჟიშვილი - γιος (პონტ.) –γιος (ახ. ბერძ.); მამამთილი πεθερός (პონტ.) –πεθερός (ახ. ბერძ.); მამა (მამიკო, მამილო) οπατέρας, οπάππας (პონტ.) –οπατέρας, οπάππας (ახ. ბერძ.); სიძე - γαμπρός (პონტ.) –γαμπρός (ახ. ბერძ.); ქალი - γυναίκα, γαρίν (პონტ.) -γυναίκα, γαρίν (ახ. ბერძ.); სარკმელი - παράθυρο (პონტ.) – παράθυρο (ახ. ბერძ.); თევზი -ψάρι (პონტ.) –ψάρι (ახ. ბერძ.); ლამპა - λάμπα(პონტ.) – λάμπα (ახ. ბერძ.); კიბე - σκάλα (პონტ.) – σκάλα (ახ. ბერძ.); კარი - πόρτα**(პონტ.) –** πόρτα (ახ. ბერძ.); მაკრატელი - ψαλίδι (პონტ.) –ψαλίδι(ახ. ბერძ.); ტახტი - καναπέ (პონტ.) – καναπέ (ახ. ბერძ.);სახე - πρόσωπο (პონტ.) –πρόσωπο (ახ. ბერძ.); სისხლი - αίμα (პონტ.) – αίμα (ახ. ბერძ.); თითი - δάχτιλο (პონტ.) -δάχτιλο (ახ. ბერძ.);გემრიელი - νόστημο (პონტ.) –νόστημο (ახ. ბერძ.); წარბი - φρύδι**(პონტ.) –**φρύδι (ახ. ბერძ.); ქინძისთავი - καρφίτσα**(პონტ.) –**καρφίτσα (ახ. ბერძ.); დაკეტილი - κλειδομένος (პონტ.) – κλειδομένος (ახ. ბერძ.); და სხვა.

ბ. თანამედროვე ბერძნულისთვის დამახასიათებელი ორმაგი თანხმოვნები პონტოურში ერთი ბგერით გამოითქმის. შესაძლებლად მიგვაჩნია ეს მოვლენა ქართველური ფონოტაქტიკის გავლენის შედეგი იყოს, სადაც ორი იდენტური თანხმოვანი ვერ ძლებს, მაგ:ენა - γλώσα (პონტ.) -γλώσσα (ახ. ბერძ.); საწოლი - κρεβάτι (პონტ.) – κρεββάτι (ახ. ბერძ.); ეკლესია -εκλησία(პონტ.) – εκκλησία (ახ. ბერძ.);

გ.პონტოელი ბერძნები სიტყვის ბოლოს ხშირად გამოიყენებენ **-ნ/მ** ფონემებს, რაც პონტოურში კუთვნილებას გამოხატავს და თურქული ენის გავლენით მიღებული უნდა იყოს: და - αδελφή –**ν** (პონტ).–αδελφή (ახ. ბერძ); ღილი - κουμπί-**ν** (პონტ.) – κουμπί (ახ. ბერძ.);καρδιά-**μ** (პონტ) -გული **-** καρδιά-ახ. ბერძ.);

დ. დედა (დედიკო) პონტოურში გამოითქმის - μαμά, μάνα, ახ. ბერძნულშიორივე ფორმა (μαμά, μάνα)გვაქვს, გარდა ამისა,**დედა** თანამედროვე ბერძნულში გამოითქმის **μητέρα** და ეს ტერმინი უფრო ხშირად გამოიყენება, რაც პონტოურში არ ჩანს;დაბალი - χαμελόν, κοντόν (პონტ.) – χαμηλός**(ახ. ბერძნული);**

ე. პონტოურში გვხვდება სიტყვები, რომლებიც თანამედროვე ბერძნულთან მიმართებით სხვა სქესის სახელებად გვევლინება: საყურე - σκουλαρίκ**(პონტ.) –** σκουλαρίκι (ახ. ბერძ.);სახლი - οσπίτ (პონტ.) – σπίτι(ახ. ბერძ.);

წინა პერიოდის პონტოურ ტექსტებს თუ დავაკვირდებით, ნათელია, რომ ლექსიკურადაც და გრამატიკული წყობითაც უფრო ახლოს დგას ძველ ბერძნულთან. აჭარის პონტოელთა დღევანდელ მეტყველებაშიშეინიშნება თანამედროვე ბერძნული ენის ლექსიკური ერთეულების მასიური დამკვიდრება, რაც ელინურად მეტყველ ბერძნებთან მჭიდრო ურთიერთობებით უნდა აიხსნას. აქ მცხოვრებთა შვილები დაშვილიშვილები საბერძნეთში ცხოვრობენ, ელინურ ბერძნულზე მეტყველებენ და მათთან ხშირი კონტაქტების შედეგად ფეხს იკიდებს ახალი ბერძნულის ლექსიკა პონტოურში.

2. პონტოურში გვხვდება სიტყვები, რომელთაც ძირი სალიტერატურო ბერძნულთან მიმართებით საერთო აქვთ, პონტოურში გარკვეული ფონეტიკური სახეცვლილებით დამკვიდრებულა:

ა. ბებია (ბებიკო) - γιαγιά /γιαγιάκα /γιαούκα, γιαούτσι(პონტ.) –γιαγιά (ახ. ბერძ.). γιαγιάκα /γιαούκα, γιαούτσι უფრო მოფერებითია - ქართული ბებიკო/ბებუკას შესატყვისი;

ბ. შედგენილი სიტყვით გადმოიცემა პონტოურში: ჟინჟღლი ψιλβρε[sh]ήν (პონტ.) – ψιχαλίζει/ ψιλοβρέχει(ახ. ბერძ.)-(ψιλο+βρε[sh]χει);

ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი,ახალ ბერძნულშიგამოითქმის ერთი სიტყვით - ξάδερφος/ξαδέρφη,დიშვილი, ძმიშვილი -ανεψιά/ος, პონტოურში გვხვდება αδερφοπαίδ (αδερφος/αδερφη+παίδ); შვილიშვილი-τηπαίδισιμ[το]παίδι (პონტ.) (παίδι+παίδι),εγγονός/η-შვილიშვილი (ახ. ბერძ.); შესაძლებელია,პონტოურში მსგავსი სიტყვების წარმოება ქართულის გავლენაიყოს.

გ. ბერძნული კონსონანტიზმისათვის უცხოა ე.წ. ქართული აფრიკატების (ძ.წ.ც.ჯ.ჭ.ჩ),ნაპრალოვნების (ჟ-შ) შესატყვისი ბგერები. ეს არც ძველ და არც ახალ ბერძნულში არ ჩანს. ამ ბგერების არსებობის შესახებ პონტოურში ჯერ კიდევ ე. ლაზარევი მიუთითებს (ვიმოწმებ ბერძენიშვილი..1990:149). უნდა აღინიშნოს, რომ პონტოურ მეტყველებაში ნათლად დასტურდება აფრიკატების შესატყვისი ბგერები,როგორც ნასესხებ, ასევე საკუთრივ პონტოურ ლექსიკაში, რაც კავკასიური ენების გავლენა ჩანს: ბაგე - [sh]ίλια (პონტ.) –χείλος (ახ. ბერძ.); წამწამი - ματο[ch]α[ch]α (პონტ.) – ματόκλαδο / βλεφαρίδα (ახ. ბერძ.); ავდარი - ε[sh]κέβρε[sh] (პონტ.) - βροχή (ახ. ბერძ.); თოვა - [sh]ιονίζ – (პონტ.) – χιονίζω (ახ. ბერძ.); წვიმა - βρε[sh]ήν (პონტ.) – βροχή (ახ. ბერძ.); ფეხსაცმელი - ταπαπού[ch]ιαμ (პონტ.); παπούτσι / υπόδημα**(ახ. ბერძ.);** საცერი -κο[sh]κίν (პონტ.) - κόσκινο (ახ. ბერძ.); დანა - μα[sh]έρ (პონტ.) μαχαίρι (ახ. ბერძ.); სქელი/მსხვილი - χοντρόν/πα[sh]ίν (პონტ.)- χοντρός / παχής**(ახ. ბერძ.);**ჯიბე [ch]όπιαν (პონტ.) – τσέπι/ θυλάκιο(ახ. ბერძ.);სამაჯური βρα[sh]ιόλ (პონტ.) – βραχιολι (ახ. ბერძ.); ჭურჭელი - [sh]κέβια (პონტ.) σκεύος (ახ. ბერძ.); ფრჩხილი - νύ[sh]α, νύ[sh]ι - **παρένθεση /νύχι** -ბრჭყალი, ფრჩხილი, კლანჭი (ახ.ბერძ.);

დ. ზოგ შემთხვევაში ბგერა განვითარებულია: ბაბუა, პაპა (ბაბუკი)- παπούλης (παπουληκα) (პონტ.) –παππούς (ახ. ბერძ.); აქ - αδακά (პონტ.) – εδώ (ახ. ბერძ.); გუფთა - κοπφτάδες/ σαρμάδες (პონტ.) –κεφτές'(ახ. ბერძ.); ვახშამი - βραδιζνό(პონტ.) – βραδινό(ახ. ბერძ.);

ე. ბგერის დაკარგვა: ლოყა - μάγλο (პონტ.) – μάγουλο (ახ. ბერძ.); თბილა - ζεστιάεν(პონტ.)-ζεστός (ახ. ბერძ.); სავარცხელი - χταν (პონტ.) – χτένα / χτένι**(ახ. ბერძ.);** ბადრიჯანი - μαντζάνα (პონტ.) – μελιτζάνα (ახ.ბერძ.);

3. ასიმილაცია-დისიმილაციის შემთხვევები: მრგვალი - στρογκιλόν (პონტ.) – στρογγυλός**(ახ. ბერ.);** სათითე - δαχτιλίτρα (პონტ.) - ζαχτυλίθρα–(ახ. ბერძნული);

ο<ε: სავსე - γομάτον (პონტ.) –γεμάτος (ახ.ბერ.);

ο<ου: მაყვალი - μόρια (პონტ.) – μουριά

ε<υ: ქალიშვილი- θεγατέρ (პონტ.) - θυγατέρα (ახ. ბერძ.);

ω<αυ: ყური - ωτίν/ωτία (პონტ.) – αυτί (ახ. ბერძ.);

3. პონტოური ლექსიკის დიდი ნაწილი ფონეტიკურად სრულიად განსხვავდება თანამედროვე ბერძნულისაგან,რაცერთი შეხედვით გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს სტრუქტურულად ელინურისაგან განსხვავებულ მეტყველებასთან, თუმცა პონტოელთა ლექსიკაზე დაკვირვებითა და შედარებითი ანალიზით ნათელი ხდება, რომ დიდი ნაწილი ამ ლექსიკისა თურქული წარმომავლობისაა, ნაწილი რუსული ენიდან მიღებული, ნაწილი საკუთრივ ბერძნულია,შეინიშნება ქართული ენის გავლენის კვალიც.

ა.თურქული ენის გავლენები:საქმრო/საცოლე პონტოურად გამოითქმის - νου[sh]αλού, ახ. ბერძნულად–**αρραβωνιαστικός/η, შდრ. თურქ. Nisanli (ნეფე, საქმრო), შდრ. აჭარ. ნიშანლობა (ზ. აჭ. ვაჟის მიერ ქალის დანიშვნა, ნიშნობა (ნიჟარაძე 1971: 287)**;

იღლია - γκολδούχια (პონტ.) - **μασχάλη** (ახ. ბერძ.), შდრ. თურქ. Koltukalti-იღლია;

სისხლძარღვები -ταμάρια – (პონტ.) -**αιμοφόρο /αγγείο** (ახ. ბერძ.) შდრ. აჭარ. ტამარი (თურქ. ,,damar"-1.ძარღვი, ნერვი; 2. გად. ზნე, ხასიათი (ნიჟარაძე 1971:328);

ულვაში - πουίχια (პონტ.)-**μουστάκι (**ახ. ბერძ.), შდრ. თურქ. Biyik-ულვაში ;

ლურჯი (მუქი) μοβ (პონტ.) -**μπλε (**ახ. ბერძ.), შდრ. თურქ. Mavi-ლურჯი;

მოხერხებული - πε[ch]αροχλής (პონტ.) -δεξιοσύνη -επιδεξιότητα (ახ. ბერძ.), შდრ. თურქ. Becerikli-მოხერხებული;

ია - μανου[sh]άκια(პონტ.) -**ίον** (ახ. ბერძ.), შდრ. თურქ. Menekse-ია;

ნესვი - γαβούν (პონტ.) -**πεπόνι** (ახ. ბერძ.), შდრ. თურქ. Kavun-ნესვი;

ავეჯი - ταμεμπέλια (პონტ.) -**έπιπλα** (ახ. ბერძ.), შდრ. თურქ. Mobiya / აჭარ. მებელი - ავეჯის სახეობა;

ზეწარი [ch]αρ[ch]άφ (პონტ.)- **σεντόνι** (ახ.ბერ.), შდრ. თურქ.carsaf-თეთრეული ;

ლეიბი - τε[sh]άκ (პონტ.) -**στρώμα** (ახ. ბერ.), შდრ. თურქ.dosek/yatak-ლეიბი, ლოგინი;

ყავადანი- [j]εβζέ (პონტ.) -შდრ. აჭარ. ჯეზბე/ჯეზვე (თურქ. Cezve - სპილენძის ან თუნუქის პატარა ჭურჭელი, რაშიც ყავას ადუღებენ (ნიჟარაძე 1971: 443);

ატამი - [sh]οφτάλια(პონტ.) -**ροδάκινο** (ახ. ბერ.), შდრ. თურქ. Seftali-ატამი ;

ქამარი γάι[sh]-(პონტ.) -**ζώνη** (ახ. ბერ.), შდრ. თურქ. Kayis,შდრ. აჭარ. ყაიში - ქამარი (ნიჟარაძე 1971: 367);

პირსახოცი - πε[sh]κίρ (პონტ.) – **πετσέτ (ახ. ბერ.), შდრ. აჭარ. ფეშკირი>თურქ. Peskir-პირსახოცი;**

ბ.რუსული ენის გავლენა:თავსაფარი - κα[sh]κίν (პონტ.) - μαντήλι-თავშალი, მანდილი, ცხვირსახოცი (ახ. ბერძ.), შდრ. რუს. Косынка/აჭარ. კასინკა/კაშნი- თავსაფარი;

ქუდი - [sh]άπκαν (პონტ.) - **καπέλο / πίλος** (ახ. ბერ.), შდრ. რუს. Шарка-აჭარ. შაფხა-ქუდი, ცილინდრი;

ქოლგა - ζόντικον- (პონტ.) -**ομπρέλα** (ახ. ბერ.), შდრ. რუს. зоитик- ქოლგა;

გ. საკუთრივ ბერძნული:შვილიშვილი - ανε[psh]ιός (პონტ.) -**εγγονός** (ახ. ბერძ.);

ზურგი ρά[sh]α (პონტ.) - **πλάτη** (ახ. ბერძ.);

კანი - πετσί (პონტ.) - **δέρμα** (ახ. ბერძ.);

ტერფი - πλακ(პონტ.) -**πατούσα** (ახ. ბერძ.);

ქუსლი - κό[ch]α (პონტ.) - **φτέρνα** (ახ. ბერძ.), შდრ. კოჩარი -პონტოური ცეკვა.

შუბლი - κατσίν (პონტ.) - **μέτωπο** (ახ. ბერძ.);

ძვალი - στούδι(პონტ.) -**κόκαλο -** (ახ. ბერძ.);

ხელისგული - βούραν (პონტ.) - **παλάμη** (ახ. ბერძ.);

რბილი -τριφερόν (პონტ.)-**ήπιος** (ახ. ბერძ.);

მთელი - ολοέν (პონტ.) -**πλήρης (** ახ. ბერძ.);

ცარიელი - έφκερον(პონტ.) -**άδειος** (ახ. ბერძ.);

გარეთ - οκ[sh]οκά/οκ[sh]ουκά(პონტ.) -έξω (ახ. ბერძ.);

გუშინ - οψέ(პონტ.) - **χτες (ახ. ბერძ.);**

გვალვა - λόχα, [ch]ιπλόχαε (პონტ.) -**ξηρασία** (ახ. ბერძ.);

პერანგი (ღამის) –νυχτικό (პონტ.) - **πουκάμισο -υποκάμισο** (ახ. ბერძ.);

მარწყვი - χαμούχτας(პონტ.) -**φράουλα** (ახ. ბერძ.);

მსხალი - απίρ (პონტ.) -**αχλάδι** (ახ. ბერძ.);

პიტნა - βασιλικό (პონტ.) - **Μέντα** (ახ. ბერძ.);

განქორწინებული - χωρισμένος, χωριμέντζαγάριν (პონტ.) –διαζύγιο - განქორწინება, გაყრა (ახ. ბერძ.);

მეუღლე - αντράçιμ, γαρίμ, γάριν (პონტ.)-**σύζυγος** (ახ. ბერ.);

ბრტყელი - πατσομενό (პონტ.) -**ίσος -επίπεδος -ισόπεδος** (ახ. ბერ.);

დაწინწკლული - κουκουτσλίν (პონტ.) – πιτσιλισμένος-მიწინწკლებული (ახ. ბერძ.);

წინდა - ορτάρια (პონტ.) – **κάλτσα/περιπόδιο** (ახ. ბერ.);

ყელსაბამი - αλεσίδα (პონტ.) -**κολιέ - περιδέραιο** (ახ. ბერ.);

თარო (წიგნების) πόλκας (პონტ.) **- ράφι** (ახ. ბერ.);

თეთრეული - τακρεβατικά (პონტ.)-**σεντόνι** (ახ. ბერ.);

ღუმელი [ch]αχ – (პონტ.) -**φούρνος /σόμπα- (ახ. ბერ.);**

დ. ქართული ენის გავლენა: მუშტი - μούστα (პონტ.) -**γροθιά** -მუჭი, მუშტი, მჯიღი (ახ. ბერძ.). შდრ. ქართ. მუშტი;

კოკორი - κουκούτς (პონტ.) –შდრ. აჭარ. კუკუტი- კოკორი, შ. ნიჟარაძესთან განმარტებულია - 1. წაწვეტებული თავი რისამე, წვეტი, 2. მაჭვის თავი (ნიჟარაძე 1971: 234) - μπουμπουκιάζω-ვიკოკრები, μπουμπουκι-კოკორი (ახ. ბერძ.);

შარვალი - [sh]αρβάλ (პონტ.) - **παντελόνι** (ახ. ბერ.), შდრ. ქართ. შარვალი;

მუთაქა - Μουρτάκα (პონტ.) **-μαξιλάρα** (ახ. ბერ.), შდრ. აჭარ. მურთაქა-ბალიშისმსგავსი, გრძელი, ვიწრო, ბალიშის ქვეშ დასადებად იყენებენ;

სკამი - σκάμιν (პონტ.) - **καρέκλα** (ახ. ბერ.);

პიჯაკი - πιτζάκ (პონტ.) -παλτό πανωφόρι (ახ. ბერძ.);

ჩაქუჩი - Τσακούτς (პონტ.) -**σφυρί** (ახ. ბერ.), შდრ. ქართ. ჩაქუჩი > თურქ. cekic;

ბრინჯი - πριντς (პონტ.) -**ρύζι** (ახ. ბერ.);

თავთავი - κοκία(პონტ.) –αυτιά (ახ. ბერ.);

თუთა - τούτια(პონტ.) **-μούρο** (ახ. ბერძ.), შდრ. ქართ. თუთა;

კარტოფილი - καρτόφα (პონტ.)- შდრ. აჭარ. ყართოფი/ყართოფაჲ- კარტოფილი(ნიჟარაძე 1971: 369) - **πατάτα –(ახ. ბერ.).**

3. ცალკე გამოვყოფთ ლექსიკის ნაწილს, სადაც სემანტიკური გადახრები იჩენს თავს, ახალ ბერძნულთან მიმართებით სიტყვის მნიშვნელობა დავიწროებულია, შეცვლილია ან გაფართოებულია.

ბიჭი (ბიჭუნა, მოზარდი) – χάταλον, αγούρ, **μωρον**(პონტ.) -ახ. ბერძნულში გამოითქმის αγόρι. **Μωρό** ახალში - **ჩვილი ბავშვს** ნიშნავს - μώρον -კენკრა, **μωρός - ჭკუასუსტი.**

კაცი (ყმაწვილი) – **νεος** - νέισα -ახალგაზრდა ქალი პონტოურში, **-**νεαρός/νέα –(ახ. ბერ), გარდა ამ მნიშვნელობისა, ახალ ბერძნულში **νέος** აღნიშნავს ზედსართავ სახელს -**ახალი.**

პონტოურში ცოლის და გამოითქმის -**παλδού**/γυναικάδελφη, შდრ. აჭარ. **ბალდუზი**(თ.baldiz-**ცოლის და,** ქვისლი (ნიჟარაძე 1971: 101) - ახ. ბერძნულში -κουνιάδος / γυναικάδελφη (γυναικα+αδελφη)/- **κουνιάδα- ცოლის და,** ხოლო **ცოლის ძმა** და **ქმრის ძმა** ახალ ბერძნულში აღინიშნება ერთი სიტყვით **κουνιάδος**, რაც პონტოურში არ ჩანს. პონტოურშიგვხვდება γυναικάδελφος-ცოლის ძმა, ხოლო αντράδελφομ- ქმრის ძმა;

ძმა პონტოურში გამოითქმის **καρτάsh / αδελφός**, შდრ.აჭარ. **ყარდაში**>თურქ.-ძმა, **ახალ ბერძნულში** გვაქვს **αδελφός**. ასეთივეა **ბიძა - θείος, ταής**პონტოურში, შდრ. აჭარ. **ტაია**(თურქ.) -**ბიძა,ელინურში** გვაქვს - **θείος;**

პონტოურში**τσιτσία** აღნიშნავს **მკერდს** (ქალის), რაც **ახალში** გამოითქმის **στήθος, ხოლო ამავე ფუძისგან ნაწარმოები τσιτσίδι -დედიშობილას;**

პონტოურში - **ακονή** აღნიშნავს **საფეთქელს**, **ელინურში სალესავს.საფეთქელი ელინურად** არის -**κρόταφος.**

იასამნისფერსპონტოურად ეძახიან - **μελιτζανιχρώμα,თანამედროვე ბერძნულში** -**μενεξεδί /βιολετί** -იასამნისფერი, იისფერი, მეწამული, **μελιτζανί-ელინურად ბადრიჯანს** აღნიშნავს.

დიდი - ზედსართავი სახელი პონტოურში გამოითქმის **τρανόν,ახალ ბერძნულში - μεγάλος. Τρανός ახალში - ბუმბერაზს,** სახელგანთქმულს აღნიშნავს.

პონტოურში**ბლაგვი** გამოითქმის - **ακόνιγον.** ახალში-**αμβλύς**. –ακονη-თანამედროვებერძნულენაზეაღნიშნავს**სალესავს**, **ακονιζω-ვლესავ** (ახ. ბერ.);

ადგილის გარემოების აღმნიშვნელი სიტყვა -**ახლოს**პონტოურად გამოითქმის - **σούμα**.ახალ ბერძნულ ენაზე **σούμα** -ნიშნავს **ჯამი**, პირველნაჟური(ახ. ბ.);

სუნამოს პონტოელები **λεβάντι** ეძახიან, რაც ახალ ბერძნულ ენაზე ითარგმნება **ლავანდა (მცენარის სახელი).**

გასაღები - პონტოურად არის **ανοιγάρ,** ახალ ბერძნულად **κλειδί, შდრ.** ახ. ბერ. **ανοιγω-ვაღებ, ვხსნი;**

დასახელებული ლექსიკით, ბუნებრივია, არ ამოიწურება ის თავისებურებები, რაც პონტოელთა მეტყველებაში ვლინდება. პონტოურის როგორც ფონეტიკური, ასევე ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებები ცალკე კვლევის საგანია, აქ შევეცადეთ ზოგადად გაგვეხილაპონტოური მეტყველების ახალ ბერძნულ ენასთან მიმართების საკითხები.

ვფიქრობთ, აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა მეტყველების გამოწლილვით შესწავლა, მნიშვნელოვანი დასკვნების საშუალებას მოგვცემს, რაცგარკვეულ წვლილს შეიტანსპონტოურიდიალექტის ლინგვისტური სურათის აღდგენაში.

Linguistics

Literary Greek and Speech of the Pontus Greeks residing in Adjara

Teona Abuladze

The Greek population residing in Ajara speaks the Pontus dialect; it is worth mentioning though that it is somehow different from the other branches of the Pontus dialect because of the certain historical-geographic conditions, and its further development is connected to the new linguistic environment and the socio-cultural context which they faced here.

The present work aims to demonstrate Pontus speech of Greeks residing in Ajara with the same shape as it is kept locally.

The analysis covered the folklore of the Greeks residing in Ajara in the frame of the project 'Pontus Greeks in Ajara – the Past and the Contemporaneity'.

1. Small part of Pontus lexis is full of words which are identical to the modern Greek, for example: Human -άνθρωπο (Pontus.) -άνθρωπος (Modern Greek); Window - παράθυρο (Pontus) – παράθυρο (modern Greek).

2. The words having the same roots to literary Greek are found in Pontus, which are represented with some changes, for example: here - αδακά (Pontus) – εδώ Modern Greek). The sounds similar to Georgian affricates are found in Pontus Greek borrowed in Pontus lexis as well, which should be the influence from the Caucasus languages: lip - [sh]ίλια (Pontus) –χείλος (ModernGreek); eyelash - ματο[ch]α[ch]α (Pontus) – ματόκλαδο / βλεφαρίδα (ModernGreek); Snow - [sh]ιονίζ – (Pontus) – χιονίζω (ModernGreek);

3. The lexis established by the influence from foreign languages is observed in the spoken Pontus language (Russian, Turkish, Georgia), for example: Groom/Bride -**νου[sh]αλού**(Pontus) - **αρραβωνιαστικός/η** (Modern Greek**), TurkishNisanli (fiancé, Groom), Adjarian-nishanloba - engagement-betrothal;** melon - **γαβούν** (Pontus) -**πεπόνι** (Modern Greek), Turkish **Kavun**-melon; umbrella - **ζόντικον**- (Pontus) -**ομπρέλα** (Modern Greek), Russian **зонтик**-umbrella; mulberry – **τούτια** (Pontus) **-μούρο** (ModernGreek), Georgian Mulberry ;

4. Besides semantic deviations are revealed in the spoken language, for example: Pontus **τσιτσία** – means breast (women'sbreast), which is pronounced in modern Greek as **στήθος, stark-naked derived from the same root -τσιτσίδι; big** – adjective in Pontus is pronounced -**τρανόν,** in modern Greek **- μεγάλος. Τρανός** in modern Greek **- giant, means distinguished**.

We consider that studying spoken language of Pontus Greeks residing in Adjara will provide the opportunity of making appropriate conclusions which will contribute to restoration of linguistic picture of the dialect.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი... 1990: ბერძენიშვილი ლ., გარაყანიძე ი., გორდეზიანი რ., მიქაბერიძე ა., ტონია ნ., ფხაკაძე მ., შახპაზიდი მ., ჩეპიდი ა., ჯანაშია ნ., ბერძნები საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორია; თბილისი;
2. ბერძნულ-ქართული 2005: ბერძნულ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი, Ελληνο-Γεωργιανο λεξικο; თბილისი;
3. ბერძნულ-ქართული ლექსიკონი, მის.:https://ka.glosbe.com/el/ka/;
4. თურქულ-ქართული ლექსიკონი, მის.:https://ka.glosbe.com/tr/ka;
5. ნიჟარაძე 1971 - შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი; თბილისი;
6. რუსულ-ქართული ლექსიკონი, მის.:https://ka.glosbe.com/ru/ka/;
7. ქეგლ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ენის მოდელირების ასოციაცია, მის.: http://ena.ge/.

დეტერმინაცია ლაზურში

ომარ მემიშიში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლაზურში სახელების მრავლობითის მაწარმოებლად გამოყოფენ ორ ალომორფს: –ფე და –ეფე. –ფე ერთვის ა, ე, ო და უ ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს, –ეფე კი – ი ხმოვნით დაბოლოებულებს, რომლებიც წარმოშობით ბოლოთანხმოვანიანი ფუძეებია. ამის მიხედვით გვაქვს: 'თომა –ფე 'თმები“, ბერე – ფე 'ბავშვები“, ბაღუ–ფე 'ბეღლები“, ჯოხო–ფე 'სახელები“, და, მეორე მხრივ, – კოჩ-ეფე 'კაცები“, ოხორ-ეფე 'სახლები“.

ამავდროულად, ა ხმოვნიან რამდენიმე სახელს მრავლობითის მაწარმოებლად – ლეფე მიმდევრობა დაერთვის: და-ლეფე 'დები“, ჯუმა–ლეფე 'ძმები“, სიჯა–ლეფე 'სიძეები“ და სხვ.

ნ. მარის აზრით, ლ ამ ფორმებში ფუძისეულია, ფუძის ბოლოკიდური ლ მხოლობითში დაკარგულია, მრავლობითში კი დაცულია (მარი, 1910:14). დასახელებულია მაგალითები: და–დალეფე 'და–დები“, ნუსა–ნუსალეფე 'რძალი–რძლები“, ოხორჯა – ოხორჯალეფე, 'ქალი–ქალები“ მოყვანილია სხვა მაგალითებიც.

ნ. მარი შენიშნავდა, რომ იაფეტური ენების ისტორიის არცოდნის გამო მიაჩნდათ მკვლევარებს ეს შემთხვევები მრავლობითი რიცხვის განსაკუთრებულ ფორმად. მარს მხედველობაში ჰქონდა ჰრ. აჭარიანის განცხადება: რამდენიმე ა ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეს სუფიქსის წინ ლე ემატებაო, დასახელებულია ნიმუშები: ჯუმალეფე, ოხორჯალეფე... (აჭარიანი, 1899:67 [405] – 68 [406]).

ი. ყიფშიძის მიხედვით, მეგრულის ხმოვანფუძიანი ზოგი სახელის მრავლობითში (დალეფი, ჯიმალეფი...) წარმოჩენილ –ლეფ მიმდევრობაში ლ ელემენტი ფუძისეულია (ყიფშიძე, 1914:026) მან გაიმეორა მარისეული ახსნა.

ასევე ახსნა – ლეფე დაბოლოებიანი ფორმების წარმომავლობა არნ. ჩიქობავამ: 'ა-ზე დაბოლოებული ფუძეები მრავლობითში ხშირად აღადგენენ ხოლმე ფუძის ბოლოკიდურ ლ-ს, რომელიც მხოლობითში არსად ჩანს: ჯუმა 'ძმა“ – ჯუმალეფე; და 'და“ – დალეფე (ჩიქობავა, 1936:61).

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, '–ლ ელემენტი (რომელიც თავის მხრივ შესაძლებელია Á ელემენტისაგან მომდინარეობდეს) მეგრულ-ჭანურში შედარებით გვიანდელი ჩანართი იყოს ხმოვნებს შორის არსებული ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965:149).

არნ. ჩიქობავა შენიშნავდა, რომ 'ხოფურში ზოგჯერ ეს აღდგენილი –ლ იკარგება და გვაქვს ჯაეფე, ჰაეფე, ქრაეფე (ჩიქობავა, 1936:62).

გ. კარტოზია დასავლურ ლაზურში ბოლოხმოვნიან ფუძესთან პარალელურად ასახელებს როგორც – ლეფე, ისე –ფე ალომორფებს; პირველი რიგისაა: ჯალეფე/ჯაეფე, ქრალეფე/ქრაეფე, თხალეფე/თხაეფე, მეორე რიგისაა: მტკო-ფე (ვიწ. – არქ.)/მტუ–ფე (ათინ.–

ართაშ), მწკო–ფე (ვიწ.–არქ.)/მწუ–ფე (ათინ.–ართაშ.), თიფე, მიფე, მუფე (კარტოზია, 2005:87). მკვლევარი იქვე დასძენს, რომ –ეფე ალომორფი –ლეფეს პარალელურად ბოლოხმოვნიან ფუძეთაგან მხოლოდ ერთმარცვლიანებს დაერთვის ხოფურ–ჩხალურში:

გ. კარტოზია –ეფე/–ფე ალომორფების პარალელურად –ლეფე ალომორფს განიხილავს ზედსართავებსა და კუთვნილებით ნაცვალსახელებშიც: მჭითა 'წითელი“ მჭითაფე/ მჭითა-ლეფე 'წითლები“, უჩა 'შავი“ – უჩაფე/უჩალეფე, 'შავები“, ჩქიმი 'ჩემი – ჩქიმეფე/ჩქიმილეფე 'ჩემები“. ორმარცვლიანი ფუძის მქონე ზედსართავები თუ ლეფე ალომორფს დაირთავენ, ერთმაცვლიანებს – ელეფე დაერთვის: მსქვა 'ლამაზი“ –მსქვალეფე 'ლამაზები“, მχვე 'ძველი“ მχვეელეფე 'ძველები“ (კარტოზია, 2005:89).

ამგვარად, გ. კარტოზია სახელთა მრავლობითის სუფიქსად გამოყოფს –ფე, –ეფე, –ლეფე და –ელეფე ალომორფებს; მათი განაწილების წესის მიხედვით ხოფურ–ჩხალური დიალექ-ტი უპირისპირდება ვიწურ–არქაბულსა და ათინურ–ართაშენულ დიალექტებს (კარტოზია, 2005:90).

ლაზურში, ქართულისა და მეგრულისაგან გაენსხვავებით უფუნქციო მორფოლოგიუ-რი ელემენტები სხვა სახელებთანაც დაჩნდება ხოლმე. ლაზურში ქონების სახელთა მაწარმოებლად –ონ სუფიქსი გამოიყენება. თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან სახელებთან –ონ სუფიქსის წინ ჩაერთვება –ოლ, –ლ ელემენტი.

ლაზური მეგრული ქართული

წკარ–ოლ-ონი წყარამი წყლიანი
ქვა–ოლ-ონი ქუალამი ქვიანი
თი–ოლონი დუდამი თავიანი
χუმუ–ლო–ონი χიმუამი მარილიანი
ქორბა–ლ–ონი ქვარამი მუცლიანი
თომა – ლ–ონი თუმამი თმიანი
ყუχ–ოლ–ონი ყუχამი ყურიანი
უფ–ოლ–ონი უფუამი ოფლიანი
მთუგ–ოლ–ონი ჭუკამი თაგვიანი
მსვა–ოლ–ონი სუალამი ფრთიანი

ლაზურ კილოკავებში შეიძლება შეგვხვდეს პარალელური ფორმებიც: წკაროლონი/ წკარონი 'წყლიანი:, თიოლონი/თიონი 'თავიანი“, მთუგოლონი/მთუგონი 'თაგვიანი“ და მისთ.

ო- —-ე (ქართ. სა– —— –ე) დანიშნულების სახელებს ჩაერთვის –ალ, –ლ ელემენტი, როგორც თანხმოვან – ასევე ხმოვანფუძიან სახელებთან.

ლაზური მეგრული ქართული

ოქოთუმ–ალე ოქოთომე საქათმე
ოკიზ–ალე ოკიზე საკოვზე
ოთი–ალე ოდუდე სათავე
ოკუჩხ–ალე ოკუჩხე საფეხო
ოკიც–ალე ოკუცე საკეცე
ომკომ–ალე ოკუმე საკვამლე
ომტუტ–ალე ოტუტუ სანაცრე
ომჭაფუ–ლე ოტურე სატურე

ომჯუმ–ალე ოჯიმე სამარილე

ოლემშ–ალე ოლიშე სანემსე

დასტურდება პარალელური ფორმებიც: ოთიალე/ოთიე 'სათავე", ომქიალე/ომქიე 'საფქვილე" და სხვ.

–ელ ელემენტი წარმოჩინდება უარყოფით ზედსართავებში ქართულისა და მეგრულისაგან განსხვავებით.

ლაზური მეგრული ქართული

უკუჩხ–ელი უკუჩხე უფეხო

უჩხვინდ–ელი უჩხვინდე უცხვირო

უწკარ–ელი უწყარე უწყლო

უმქირ–ელი უქვირე უფქვილო

უყუჯ–ელი უÏუჯე უყურო

უბაბ–ელი უმუმე უმამო

უნან–ელი უდიდე უდედო

უნენ–ელი უნინე უენო

უპიჯ–ელი უპიჯე უპირო

უკოჩ–ელი უკოჩე უკაცო

დასტურდება პარალელური ფორმებიც: უწკარელი/უწკაე 'უწყლო", უჩხვინდე-ლი/უჩხვინდე 'უცხვირო´ და სხვ.

მეგრულში მრავლობითის წარმოებისას ზოგჯერ ინტერვოკალურ პოზიციაში ჩნდება ლ სონორი და მრავლობითის ფუძე მხოლობითისაგან განსხვავდება –ლ–ეფ მიმდევრობით. სამეცნიეკრო ლიტერატურაში ინტერვოკალურ პოზიციაში ჩართული ლ კვალიფიცირდება ხმოვანთგამყარად (ეპენთეზად) (გერსამია, 2013:156).

ლაზურში –ლ, –ელ, –ალ, –ოლ სახელებში ჩართული მორფოლოგიურად უფუნქციო ელემენტები დეტერმინანტ სუფიქსებად გვესახება, რომლებიც ძირს დაერთვიან და ახალ ფუძეს წარმოქმნიან.

Linguistics

Determination in the Laz Language

Omar Memishishi

In the Laz language, urimorphologically dysfunctional elements given in -l, -el, -al, -ol names seem to be determinant suffixes that are attached to the root of the word and create new stems.

ლიტერატურა

1. მარი 1910:Н.Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматии. и словарем, С.-Пб. 1910.
2. აჭარიანი 1899: H.Adjarian, Etude sur La Langue Laze: Extrait mtmoires de Lasociete de Linguistique de Paris, 1899,tx
3. ყიფშიძე 1914:И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб. 1914.
4. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: თ, გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. თბ., 1965.
5. ჩიქობავა 1936: არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.
6. კარტოზია 2005: გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2005.
7. გერსამია 2013: რ. გერსამია, მორფემათა ჯგუფები და სახელურ მორფემათა რანგობრივი სტრუქტურა მეგრულში, კრებ. ენათმეცნიერების საკითხებს, თბ., 2013.

კულტურის საკვანძო კონცეპტები და “სიკვდილ–სიცოცხლის' კონცეპტი

ციალა ლაგვილავა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანტროპოცენტრული პარადიგმის მიერ ადამიანის წამოყენება პირველ ადგილზე ეფუძნება ენის როლის აღიარებას, როგორც ადამიანის მთავარი მაკონსტრუირებელი დახასიათების აღიარებას. ყველა სააზროვნო პროცესში შეჭრით, ენა ქმნის ახალ მენტალურ სივრცეებს და გამოყავს ადამიანი უშუალო დაკვირვების სფეროს მიღმა. იგი ასახავს ადამიანის აზრის მოძრაობას, აშენებს შესაძლო სამყაროებს, აფიქსირებს აზრის დინამიკასა და ენობრივი რესურსების მეშვეობით მისი წარმოდგენის საშუალებებს. კომუნიკაციური ლინგვისტიკის ძირითად მიმართულებებს შორის, რომლებიც ანტროპოცენტრული პარადიგმის ჩარჩოებში ყალიბდება, საჭიროა აღინიშნოს ლინგვოკულტუროლოგია, ლინგვისტური პრაგმატიკა, კოგნიტური ლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა, ეთნოფსიქოლინგვისტიკა და სხვა. თუ ლინგვოკულტუროლოგიას აინტერესებს ენა, როგორც კულტურის ფენომენი, რომელიც ახდენს სამყაროს ხედვის რეალიზაციას ნაციონალური ენის პრიზმის მეშვეობით, კოგნიტური ლინგვისტიკა ოპერირებს 'ინფორმაციის“ კატეგორიით და ადამიანის აზროვნების მიერ მისი დამუშავების შედეგად მიღებული 'ცოდნის სტრუქტურის“ კატეგორიით, რომელიც ადამიანის გონებაში და ენობრივ ფორმებში რეპრეზენტირდება. თუ კოგნიტური ლინგვისტიკა სხვა მიმართულებებთან ერთად, რომლებიც ქმნიან კოგნიტოლოგიას, ცდილობს უპასუხოს კითხვას იმის შესახებ, თუ რა პრინციპითაა ორგანიზებული ადამიანის გონება, როგორ შეისწავლის ის სამყაროს, თუ რა მონაცემები ყალიბდება ცოდნად სამყაროს შესახებ, როგორ იქმნება მენტალური სივრცეები, კულტუროლოგიის მთელი ყურადღება გადატანილია კულტურაში ადამიანის არსებობაზე და მის ენაზე , რაც შემდეგი საკითხების ანალიზს მოითხოვს:

როგორ ხედავს ადამიანი სამყაროს, როგორია მეტაფორისა და სიმბოლოს როლი კულტურაში, როგორია ცნობიერების როლი კულტურის რეპრეზენტაციაში და ა. შ. ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკასთან დაკავშირებულია ისეთი დისციპლინაც, როგორიცაა ეთნოფსიქოლინგვისტიკა, იგი წარმოადგენს მიმართულებას, რომელიც სამეტყველო აქტივობას ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის ჭრილში განიხილავს და იკვლევს, აგრეთვე, ენობრივი ცნობიერებისა და კომუნიკაციის ეთნოფსიქოლინგვისტურ დეტერმინირებას.

თავისი ბუნებით აზრის ფენომენი გულისხმობს, ერთი მხრივ, ადამიანისგან დამოუკიდებელ მატერიალურ სამყაროს, რომელსაც იგი ასახავს, მეორეს მხრივ კი – მისი გამოხატვის ვერბალურ საშუალებებს. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ლ. შესტაკი,

არსებობს პირველადი საბაზო კონცეპტები, რომელთაგანაც შემდგომ წარმოიშობა სხვა დანარჩენები. ყველაზე მნიშვნელოვანი კონცეპტები თვით კონცეპტუალურ სივრცეს აწესრიგებენ და მისი სეგმენტაციისას ძირითად რუბრიკებს წარმოადგენენ. კონცეპტუალური სისტემის ძირითად კონსტიტუენტებს წარმოადგენს აღქმის ობიექტი და მისი ნაწილები: ცვალებადობა (მოძრაობა და ობიექტთან ურთიერთქმედება), ადგილი (სივრცე), დრო და ობიექტთა და მოქმედებათა ნიშნები. სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის ფარგლებში განხორციელებული მრავალრიცხოვანი მცდელობის მიუხედავად (მათ შორის წმინდა ლინგვისტურ), ტერმინ 'კონცეპტის" განსაზღვრების პრობლემა ჯერაც აქტუალურია, თუმცა, უნდა გამოიყოს უნივერსალური მახასიათებელი, რომელსაც ყველა აღიარებს— აბსოლუტური ანტროპოცენტრულობა, რაც სუბიექტის (კოლექტიური თუ ინდივიდუალური) ცნობიერებას უკავშირდება. როგორც აღვნიშნეთ, ანტროპოცენტრიზმი წარმოადგენს თანამედროვე მეცნიერების განვითარების ძირითად მიმართულებას. ადამიანი ხდება კოორდინატთა გადაკვეთის ცენტრში, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე ლინგვისტიკის საგანს, ამოცანებს, მიზნებს, ღირებულებრივ ორიენტირებს.

თავის მხრივ, თვით ენაა ანტროპოცენტრისტული. ადამიანის არსებობის ფაქტორი «თავს იჩენს ენის ფუნქციონირების მთელ სივრცეში, თუმცა განსაკუთრებით ჩანს ლექსიკასა და სინტაქსში – სიტყვათა სემანტიკაში, წინადადების სტრუქტურასა და დისკურსის ორგანიზაციაში».

მიუხედავად მრავალრიცხოვანი მცდელობისა, ჯერ კიდევ მრავალი პრინციპული პრობლემა საკმაოდ შორსაა გადაწყვეტის სტადიისაგან. ერთ–ერთი ამგვარი პრობლემაა კონცეპტისა და ცნების გამიჯვნა. აქ ორგვარი მიდგომა იკვეთება. პირველი პოზიციის მომხრენი ამ ორ ცნებას აიგივებენ. ამგვარი გაგება კონცეპტის თეორიის ერთ–ერთი ავტორის, ფილოსოფოს ასკოლდოვ-ალექსეევის თვალსაზრისს უკავშირდება, რომელიც კონცეპტს, როგორც ცნობიერების აქტს, მენტალურ წარმონაქმნს განიხილავს, რომელიც აზროვნების პროცესში ჩაანაცვლებს ერთგვაროვანი საგნებისა და მოვლენების რიგს. მის ძირითად ფუნქციად ავტორი სუბსტიტუციურ ფუნქციას მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი 'კონცეპტის" გაგება ფილოსოფიასა და ენათმეცნიერებაში დიდ მსგავსებას ამჟღავნებს, არ შეიძლება ვისაუბროთ მათ იგივეობრიობაზე. ფილოსოფიაში კონცეპტი (ლათ. conceptus – ცნება') გაგებულია როგორც ცნების შინაარსი, მისი აზრობრივი შევსება მისი გამოხატვის კონკრეტულ-ენობრივი ფორმისგან დამოუკიდებლად. კონცეპტი მისი შემადგენელი ნაწილების გადაკვეთის წერტილი, აზრის ხატია». [Новейший филос. словарь 2001:503-504].

სხვადასხვა ადამიანის ცნობიერებაში ერთი და იგივე დასახელების კონცეპტების არსებობა არ შეიძლება აიხსნას კონცეპტისა და ცნების გაიგივების გზით, რის გამოც ენათმეცნიერებაში წარმოიშვა კონცეპტისა და ცნების ურთიერთდამოკიდებულების განსხვავებული ინტერპრეტაცია, რომლის თანახმადაც, კონცეპტი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მისი ალტერნანტი. ვ.კარასიკი კონცეპტს როგორც მრავალგანზომილებიან მენტალურ წარმონაქმნს განიხილავს და აღნიშნავს, რომ ის მოიცავს სამ განზომილებას – **ხატოვან** (გრძნობის ორგანოების საშუალებით აღქმულ და ჩვენს მეხსიერებაში ასახულ მხედველობით, სმენით, ტაქტილურ, გემოვნებით, მახასიათებლებს), **ცნებით** («კონცეპტის ენობრივი ფიქსაცია, მისი აღნიშვნა, აღწერა, დეფინიცია, თვისობრივი სტრუქტურა, სხვა

კონცეპტებსა და კონცეპტუალურ რიგთან შეპირისპირება») და **ღირებულებრივს** (ამ ფსიქიკური წარმონაქმნის მნიშვნელობა ინდივიდუმისა და კოლექტივისათვის).კონცეპტის სტრუქტურის სირთულეზე მიუთითებს ი. სტეპანოვიც: «С одной стороны, к ней принадлежит все, что принадлежит строению понятия; а с другой стороны, в структуру концепта входит все то, что и делает его фактом культуры – исходная форма (этимология), сжатая до основных признаков содержания история; современные ассоциации; оценки и т.д.».

ბევრი მეცნიერი აცნობიერებს 'ცნებისა" და 'კონცეპტის' დუბლეტურ ხასიათს და ცდილობს გამიჯნოს ისინი. ასე, მაგალითად ს.ვორკაჩოვი, განაზოგადებს რა კონცეპტთან დაკავშირებულ შეხედულებებს ლინგვისტიკაში, მიდის შემდეგ დასკვნამდე: «Концепт - это единица коллективного знания/сознания (отправляющая к высшим духовным ценностям), имеющая языковое выражение и отмеченная культурной спецификой».

ამ განსაზღვრებაში ზოგადი ხასიათისაა სახეობრივი ნიშანი – იდეალურ სფეროსთან კავშირი, გვაროვნული განსხვავებები კი (ცოდნის /ცნობიერების ფორმა — ლოგიკური / რაციონალური / ფსიქოლოგიური / ხატოვანი) ნეიტრალიზდება და მათ ადგილს იკავებს ვერბალიზება და ეთნოკულტურული მარკირებულობა. ლექსემა 'კონცეპტის" ტერმინოლოგიზაციასთან დაკავშირებით სტეპანოვი აღნიშნავს, რომ ის გამოწვეულია 'სემანტიკური ერთეულების კავშირით ენობრივ პიროვნებასთან, რაც მათი 'ეთნოკულტურული ავტორიზაციის მოთხოვნილებას უკავშირდება. ვ. კოლესოვის აზრით: «...понятие есть приближение к концепту, это явленность концепта в виде одной из его содержательных форм».

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში კონცეპტის თეორიას მრავალი შრომა მიეძღვნა, მეცნიერებმა ჯერ ვერ შეიმუშავეს ამ მოვლენისადმი და მისი ანალიზისადმი ერთიანი მიდგომა. ამ ტერმინის დამკვიდრების პროცესი საკმაოდ დაწვრილებით აქვს განხილული ა. რუდაკოვას. ტერმინთან დაკავშირებულ შეხედულებებს შორის გამოვყოფთ შემდეგ ინტერპრეტაციებს: 'კონცეპტი არსის მრავალგანზომილებიანი მთლიანობაა' , «კონცეპტი არსებობის შინაარსობრივი კვანტია», «კულტურის გენია», «მნიშვნელობის თავისებური პოტენციაა», და «კულტურის— ადამიანის ცნობიერებაში, ის, რა სახითაც კულტურა შედის ადამიანის მენტალურ სამყაროში» — სააზროვნო ოპერაციის ემბრიონია».

აზროვნების პროცესში რეალური სინამდვილე ადამიანის ცნობიერებაში აირეკლება, როგორც დაგროვილი ცოდნა ამ სინამდვილის შესახებ, რომლის რეპრეზენტაციაც ხდება ენის მატერიალურ ფორმებში. ენა უზრუნველყოფს ადამიანის აზროვნების ისეთი ფორმებით ოპერირებას, რომელთა ექსპლუატაცია ხდება ვერბალური ფორმების სემანტიკაში. ამგვარად, აზროვნება არა მარტო არსებობს მისი რეპრეზენტაციის ფორმებში, არამედ მისი რეალიზება ხდება კონკრეტულ ვერბალურ ფორმებში. გონებრივი და ენობრივი სტრუქტურების შეფარდებისა და სინამდვილის შემეცნებაში მათი როლის შესწავლამ ტ.ფესენკოს, სხვა მკვლევრების მსგავსად (ნ.ი. ჟინკინი, ი.ს. სტეპანოვი და სხვა), საშუალება მისცა მოეხდინა 'აზრის შუალედური ენის" პოსტულირება, რომელიც, როგორც 'მენტალური კონსტრუქციების ენა", გვევლინება 'შუალედური კოდის" სახით უნივერსალურ საგნობრივ კოდსა და რეალურ მეტყველებას შორის და ახორციელებს ვერბალურ ნიშნებში აზრობრივი კოდის შინაარსის 'ტრანსკოდირებას". მის ერთ–ერთ სტრუქტურულ კომპონენტად ტ. ფესენკო თვლის კონცეპტს, რომელიც არსებობს ადამიანის

მენტალურ რეალობაში, როგორც ცოდნისა და ინფორმაციის ერთობა რეალურ სამყაროში არსებულ აქტუალურ ან საქმეთა სავარაუდო ვითარების, ემოციების, განცდების, ასოციაციებისა და ა.შ. კონტექსტში. მისი, როგორც მენტალური წარმონაქმნის, აღქმა საშუალებას გვაძლევს კონცეპტუალური სისტემის მატარებლის მენტალური სამყაროს რეკონსტრუირება მოვახდინოთ და გამოვავლინოთ მისი ეთნომენტალური მახასიათებლები.

ბოლო ათწლეულების მანძილზე საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოებასთან დაკავშირებით, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს კულტურათა დიალოგის თემა. კულტურულ ანთროპოლოგიაში სხვადასხვა კულტურათა ურთიერთქმედებას ინტერკულტურული კომუნიკაცია ეწოდა. ინტერკულტურული კომუნიკაცია წარმოადგენს დიალოგს განსხვავებულ კულტურათა რეპრეზენტანტებს შორის, რომლებიც თანაარსებობენ განსაზღვრულ სივრცულ - დროით კონტინუუმში. ბუნებრივია, კომუნიკანტები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან და დიალოგის საშუალებით ცდილობენ მიაღწიონ ურთიერთგაგებას, რომლის ადეკვატურობაც დეტრემინირებულია შესაბამისი კულტურების აქსიოლოგიით. ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში ვლინდება როგორც ზოგადკულტურული, ასევე ეთნოსპეციფიკური და ლინგვოპერსონოლოგიური სპეციფიკა. უცხო ენაზე კომუნიკაცია აკულტურაციის პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომლის ეფექტურობაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კომუნიკაციური სტრატეგიების სწორად გააზრებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. წინამდებარე ნაშრომი ინტერკულტურულ კომუნიკაციას განიხილავს, როგორც 'მოლაპარაკე ცნობიერებათა" დიალოგს, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს განსხვავებული კულტურების წარმომადგენელთა კომუნიკაციური სტრატეგიების რეალიზაცია. ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესი ენობრივ პიროვნებათა დიალოგია , რომელთაც სამყაროს განსხვავებული ხედვა გააჩნიათ,ხოლო კომპრომისის ძიებაში ხდება თვალსაზრისთა დაახლოება საკომუნიკაციო ენის ლინგვოკულტუროლოგიურ რესურსებზე ორიენტირებით. თანამედროვე ლინგვისტიკაში, ინტერკულტურული კომუნიკაციის თვალსაზრისით, ენობრივი პიროვნების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს გამოვავლინოთ როგორც ენობრივი , ასევე კომუნიკაციის პროცესში დაშვებული სხვა სახის შეცდომების ბუნება. მსგავსი სახის შეცდომების ანალიზი და განზოგადება ინტერკულტურული კომუნიკაციის ჰარმონიზაციის მექანიზმის შესწავლას უწყობს ხელს და, ამა თუ იმ ზომით, ასახავს ენობრივი პიროვნების ენობრივ და კულტურულ სამყაროს, რადგანაც მასში რეალიზდება არა მხოლოდ ენის სისტემა, არამედ სოციოკულტურული და კოგნიტური სისტემაც. ეს საკითხი აქტუალური და მნიშვნელოვანია, რადგანაც ინტერკულტურული ურთიერთობა, რომელზედაც ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია მშვიდობიანი თანაარსებობის პროცესი, შეიძლება წარიმართოს როგორც პოლიტიკურ და დიპლომატიურ, ასევე ყოფით, პიროვნულ, არაფორმალურ ურთიერთობათა დონეზე.

ანტროპოცენტრისტულმა პარადიგმამ პირველი რიგის ამოცანად წამოაყენა ენის შესწავლა მისი კავშირების მთელი მრავალფეროვნების გათვალისწინებით. სემანტიკასა და სინტაქტიკას შეენაცვლა პრაგმატიკა, რამაც განაპირობა ლინგვისტიკის ინტერესთა სფეროში კომუნიკაციის პროცესის მონაწილე ენობრივ პიროვნებათა ინტერაქციულ ურთიერთქმედების შესწავლა, რომლის დროსაც მათი სამეტყველო ინტენციები ვლინდება.

ენობრივი ნიშნების უკან დგას ადამიანი, რომელიც მათი საშუალებით ცდილობს, მიაღწიოს გარკვეულ მიზანს, გამოიწვიოს მსმენელთა (კომუნიკანტთა) სასურველი რეაქცია. აღნიშნული პრობლემატიკიდან გამომდინარე, პოპულარული ხდება ისეთი სამეცნიერო დისციპლინები, როგორიცაა – სამეტყველო აქტების თეორია და ლინგვისტური პრაგმატიკა. პირველი გვთავაზობს კომუნიკაციური სიტუაციის ორიგინალურ მოდელს. კომუნიკაციური აქტის ტრადიციულ ცნებით აპარატს (ადრესანტი, ადრესატი, გამონათქვამი, გარემოებანი და ა.შ.). სამეტყველო აქტების თეორია ამდიდრებს სამეტყველო აქტის მიზნისა და შედეგის კატეგორიებით. სამეტყველო აქტი განიხილება, როგორც ენობრივი ნიშნების გამოყენების გზით მიზნის მიღწევის ერთ–ერთი საშუალება. რაც შეეხება ლინგვისტურ პრაგმატიკას, ის, ფაქტობრივად, ინტერაქციულ ფაქტორს ეყრდნობა და ენობრივი ნიშნის გამოყენების პრაგმატული მექანიზმების თავისებურებებს აანალიზებს .

ენობრივი პიროვნების წინა პლანზე წამოწევამ, რაც ანტროპოცენტრისტული პარადიგმის ჩამოყალიბების შედეგია, კულტურული იდენტობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. რამდენადაც ენობრივი პიროვნების ჩამოყალიბება ამა თუ იმ კულტურის ჩარჩოებში ხდება , მეცნიერებმა მიზნად დაისახეს იმ ენობრივი ფაქტორების შესწავლა, რომლებიც 'ენობრივი პიროვნების" 'კულტურულ პიროვნებად" ქცევას უწყობს ხელს. აღნიშნული კუთხით მნიშვნელოვანია ისეთი ლინგვოკულტურული ნიშნების შესწავლა, როგორიცაა ლინგვოკულტურემები. სხვა ტერმინოსისტემებში ' კონცეპტები', ლინგვოკულტურული სტერეოტიპები, 'ლოგოეპისტემები' და ა.შ.. ამ უკანასკნელთა სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ლინგვისტურისა და ექსტრალინგვისტურის ერთიანობას წარმოადგენენ და შეიცავენ როგორც ენის , ასევე კულტურის სეგმენტს. ლინგვოკულტურემა წარმოადგენს ერთგვარ კოდს, თავისებურ მატრიცას, რომელიც ასახავს აზროვნების წესს , წარმართავს მენტალური და ენობრივი რეპრეზენტაციების შინაარსსა და ფორმას.

იმის მიუხედავად, რომ სამყაროს კულტურული ხატი უფრო მდიდარია, ვიდრე ენობრივი ხატი, ნათელია, რომ სწორედ ენაში რეალიზდება და თაობიდან თაობას გადაეცემა სამყაროს კულტურის ხატი. ენა თითქოს იმორჩილებს სამყაროს აღქმისა და შემეცნების პროცესს მისი მატარებლების მიერ. სწორედ კულტურათა ურთიერთქმედებასთანაა დაკავშირებული თანამედროვე სამყაროს ფუნდამენტური პრობლემები, რომელთა გადაჭრის საშუალებას ვხედავთ კულტურულ ღირებულებათა ურთიერთგათვალისწინების პროცესში.

ჩვენს ნაშრომში განიხილება სამეტყველო აქტების ტიპოლოგიზაციის პრინციპები, სამეტყველო აქტის გამოვლინება ქართულსა და თურქულში. ენა არის კულტურის სარკე, მასში ისახება არა მხოლოდ ადამიანის გარშემო არსებული რეალური სამყარო, არამედ ერის საზოგადოებრივი თვითშემეცნება, მისი მენტალიტეტი, ეროვნული ხასიათი, ცხოვრების სტილი, ტრადიციები, ჩვეულებები, მორალი, ღირებულებები, თვალთახედვა. ენა არის კულტურის მატარებელი, მისი გადამცემი, სწორედ ენის საშუალებით გადაეცემა თაობებს ეროვნული კულტურის განძი. ბავშვი ითვისებს რა დედაენას, მასთან ერთად ითვისებს წინა თაობების კულტურულ გამოცდილებას.

ენა ასევე შეიძლება მოვიაზროთ, როგორც კულტურის იარაღი, ერთგვარი ინსტრუმენტი. ის აყალიბებს ადამიანის, ენის მატარებლის, პიროვნებას, თავს ახვევს მას

ენაში ჩადებულ სამყაროს ხატს, მენტალიტეტს, ადამიანების მიმართ დამოკიდებულებას და ა.შ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ენა არ არსებობს კულტურისაგან დამოუკიდებლად. ენა გვევლინება ძლიერ იარაღად ,რომლის მეშვეობითაც ენობრივი კოლექტივის მიერ კულტურის, ტრადიციების შენახვისა და გადაცემის გზით ხდება ეთნოსის ფორმირება.

სხვადასხვა კულტურების წარმომადგენელ ადამიანებს შორის ეფექტური კომუნიკაციისათვის ენობრივი ბარიერის გადალახვა სრულიად არ არის საკმარისი. ამისათვის საჭიროა კულტურული ბარიერის დაძლევა. ი.მორკოვინა და ი. სოროკინი თავიანთ კვლევაში აღნიშნავენ, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა კონტაქტის სიტუაციაში ენობრივი ბარიერი არ წარმოადგენს ერთადერთ წინააღმდეგობას ურთიერთგაგებისათვის. კომუნიკანტების კულტურათა გარკვეული კომპონენტების ეროვნულ-სპეციფიკურ თავისებურებებს შეუძლია გაართულონ ინტერკულტურული ურთიერთობის პროცესი. კულტურის მდგენელებს, რომელთაც გააჩნიათ ეროვნულ-სპეციფიკური ელფერი, შეიძლება მივაკუთვნოთ სულ მცირე შემდეგი კომპონენტები:

ტრადიციები (ან კულტურის მყარი ელემენტები), ასევე წეს-ჩვეულებები (ტრადიციები კულტურის 'სოციონორმატიულ“ სფეროში) და რიტუალები (ასრულებენ მოცემულ საზოგადოებაში გაბატონებულ ნორმატიულ მოთხოვნებთან დამაკავშირებელ ფუნქციებს);

ყოფითი კულტურა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ტრადიციებთან, რის შედეგადაც მას ხშირად უწოდებენ ტრადიციულ-ყოფით კულტურას;

ყოველდღიური ქცევა (ზოგიერთი კულტურის წარმომადგენელთა ჩვევები, ზოგ სოციუმში მიღებული ურთიერთობის ნორმები), ასევე ამასთან დაკავშირებული მიმიკური და პანტომიმური (კინესთეტიკური) კოდი, რომელსაც იყენებენ ზოგიერთი ლინგვოკულტურული საზოგადოების წევრები;

სამყაროს ეროვნული ხატი (სურათი), რომელიც ასახავს ამა თუ იმ კულტურის წარმომადგენელთა მიერ გარესამყაროს სპეციფიკურ აღქმას, აზროვნების ეროვნულ თავისებურებს;

მხატვრული კულტურა, რომელიც ასახავს ამა თუ იმ ეთნოსის კულტურულ ტრადიციებს.

ენისა და რეალობის, ენისა და კულტურის ურთიერთობა და ურთიერთქმედება მეტად მნიშვნელოვანია ჩვენს კვლევაში. ამ პრობლემატური საკითხების იგნორირება ხშირად დაკავშირებულია წარუმატებელ ინტერკულტურულ კომუნიკაციასთან. როგორც ცნობილია, ენა გარესამყაროს სარკეა, ის ასახავს, ირეკლავს რეალობას და ქმნის ამ ენაზე (როგორც ურთიერთობის საშუალებაზე) მოსაუბრე ყოველი ენისა და ყოველი ერის, ეთნიკური ჯგუფის, სამეტყველო კოლექტივის სპეციფიკურ, უნიკალურ სამყაროს ხატს. თითოეული სიტყვის უკან დგას რეალური სამყაროს რომელიმე საგანი ან მოვლენა. ენა ასახავს ყველაფერს - გეოგრაფიას, კლიმატს, ისტორიას, ცხოვრების პირობებს. ფაქტია, რომ ენასა და მის მატარებელ ადამიანს შორის არის მჭიდრო კავშირი. ენა ხომ ადამიანებს შორის ურთიერთობის საშუალებაა და დაკავშირებულია იმ სამეტყველო კოლექტივის განვითარებასთან, რომელიც ამ ენას იყენებს, როგორც ურთიერთობის საშუალებას. ენის საზოგადო ბუნება ვლინდება მისი ფუნქციონირების დროს (ბილინგვიზმი, მულტილინგვალიზმი, ენების სწავლება და ა.შ.), ასევე, თვით ენის სტრუქტურაში - გრამატიკაში , ლექსიკაში და ა.შ.

საკვლევი კონცეპტები განხილულია კულტურის სემიოტიკურ სივრცეში ენობრივ მექანიზმებთან და შესაბამის კონცეპტოსფეროსთან მიმართებაში.

ვერბალურ ნიშნებში აზრობრივი კოდის შინაარსის "ტრანსკოდირების' ერთ-ერთ სტრუქტურულ კომპონენტს კონცეპტი წარმოადგენს, რომელიც ადამიანის მენტალურ რეალობაში არსებობს, როგორც ცოდნისა და ინფორმაციის ერთობა აქტუალური ან სავარაუდო საქმეთა ვითარების (რეალურ სამყაროში ემოციების, განცდების, ასოციაციების და ა.შ.) კონტექსტში. მისი, როგორც მენტალური წარმონაქმნის, აღქმა გვაძლევს საშუალებას, მოვახდინოთ კონცეპტუალური სისტემის მატარებლის მენტალური სამყაროს რეკონსტრუირება და მისი ეთნომენტალური დახასიათება. ი. ს. სტეპანოვის მსგავსად, ჩვენ ვახდენთ კონცეპტის, როგორც ადამიანის ეთნოკულტურული სამყაროს ფრაგმენტის ინტერპრეტაციას მის მენტალურ სამყაროში. ინტერპრეტაციულ რეჟიმში ვერბარული მნიშვნელობების სისტემა შეეფარდება ენის მატარებლის სოციო- და ეთნოკულტურულ კომპეტენციას, რომლის კონცეპტუალური შიგთავსი წარმოადგენს ერის მენტალიტეტის ერთ-ერთ გადამწყვეტ თვისებას. სინამდვილის ფრაგმენტის ინტერპრეტაცია კონცეპტუალურ სისტემაში არის, უპირველეს ყოვლისა, გარკვეული სამყაროს ან 'სამყაროს სურათის" შესახებ ინფორაციის კონსტრუირება. უდავოა, რომ საბაზო კონცეპტების შინაარსი ბევრად უფრო მოცულობითია, ვიდრე ერთგვაროვანი ენობრივი არსების შინაარსი, ვინაიდან მათი გაცნობიერება მოიცავს მთელ იდეოგრაფიულ სფეროს. იდეოგრაფიულად ორგანიზებული ენობრივი გამონათქვამების კონცეპტუალურ სისტემასთან უდაო კავშირის არსებობა გვაძლევს საშუალებას განვიხილოთ ვერბალური იდეოგრაფიული ორგანიზაცია რეპრეზენტაციის კონცეპტუალური მოდელის სახით, რომელიც მოიცავს სამყაროს შესახებ ცოდნასა და იმ ღირებულებებს, რომელიც დაგროვილია მოცემული სოციუმის მიერ. კონცეპტების განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენენ 'კულტურული კონცეპტები" (ჩვენ შემთხვევაში, კონცეპტები 'სიცოცხლე" და 'სიკვდილი"). როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითოეულ კონცეპტს, გამოხატულს ვერბალური საშუალებებით, გააჩნია საკუთარი სემანტიკური ფორმა, დეტერმინირებული მნიშვნელობებით, რომელიც ხასიათდება ეთნოკულტურული განპირობებულობით, ვინაიდან მასში გამოსახულია ყველა: კონოტაციური, მოდალური, ემოციური, ექსპრესიული, პრაგმატული და სხვა შეფასებები. 'კულტურული კონცეპტები", ან სხვა ტერმინოსისტემაში, 'კულტურის საკვანძო კონცეპტები", წარმოადგენენ სამყაროს სურათის ბირთვულ ერთეულებს, რომლებსაც გააჩნიათ ეგზისტენციალური მნიშვნელობა, როგორც ცალკეული ენობრივი პიროვნებისთვის, ისე მთელი ლინგვოკულტურული ერთობისთვის მთლიანობაში. კონცეპტები დ. ს. ლიხაჩოვის თქმით, ჩნდებიან ადამიანის გონებაში არა მარტო როგორც მინიშნებები შესაძლო მნიშვნელობებზე, არამედ როგორც ადამიანის საპასუხო რეაქცია წინა ენობრივ გამოცდილებაზე მთლიანობაში – პოეტური, პროზაული, მეცნიერული, სოციალური, ისტორიული და ა.შ. 'კულტურის უნივერსალურ კატეგორიებს" (ისეთი, როგორიცაა დრო, სივრცე, მოძრაობა) უპირისპირდება 'ნაციონალური კულტურის კატეგორიები", რომლებიც მნიშვნელოვან მდგომარეობას იკავებენ ერის კოლექტიურ ენობრივ ცნობიერებაში. კოლექტიური ენობრივი ცნობიერების კვლევის პრობლემა, რომელიც გამოხატავს ენაში დამკვიდრებულ გარკვეულ კანონზომიერებებს სიტყვებისა და წინადადებების ორგანიზაციაში, ჩვენ განვიხილეთ უნივერსალური კონცეპტების: 'სიცოცხლე" და 'სიკვდილი" საფუძველზე, რომლებშიც მჟღავნდება ნაციონალური

სამყაროს სურათების სპეციფიკურობა. ნებისმიერი ენის კონცეპტოსფეროში კონცეპტები 'სიცოცხლე“ და 'სიკვდილი“ იკავებენ ცენტრალურ ადგილს კულტურულ კონცეპტებს შორის, ვინაიდან მათში შემავალი ცნებები ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანია, როგორც ცალკეული ადამიანისთვის, ისე კაცობრიობისთვის ზოგადად.

ნაშრომში კონცეპტის სამუშაო განსაზღვრება ასეთია: კონცეპტი ველის პრინციპით ორგანიზებული კოგნიტური წარმონაქმნია, რომელიც მასთან **დაკავშირებულ ცნებებს, ცოდნას, წარმოდგენებს, ასოციაციებს, განცდებს** აერთიანებს როგორც კოლექტიური ცნობიერებით გამომუშავებულ ცნებით კატეგორიების საფუძველზე სტრუქტურირებულ ბირთვს, ასევე ინდივიდუალურ-ასოციაციებთან დაკავშირებულ პერიფერიას. კონცეპტი მოიცავს ვერბალიზირებულ და არავერბალიზებულ ნაწილებს. ვერბალიზირებული ნაწილი შეიძლება სხვადასხვა ემპირიული წყაროების ანალიზის (განმარტებითი, ეტიმოლოგიური, ფრაზეოლოგიური, ენციკლოპედიური, ასოციაციური, პარემიოლოგიური, ლექსიკონები და ექსპერიმენტების შედეგად მიღებული მონაცემების) პროცესში აღვწეროთ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია კონკრეტული პიროვნების მიერ შექმნილი ტექსტები, რომლებიც კონცეპტის ინდივიდუალური ვარიანტების შესახებ გვაძლევენ წარმოდგენას, რომელიც ენობრივ ფაქტს არ წარმოადგენენ და მეტყველების სფეროთი შემოიფარგლებიან.

აზროვნების პროცესში რეალური სინამდვილე ადამიანის ტვინში აირეკლება, როგორც დაგროვილი ცოდნა ამ სინამდვილის შესახებ, რომლის რეპრეზენტაციაც ხდება ენის მატერიალურ ფორმებში. ენა უზრუნველყოფს ადამიანის ისეთი აზრების ფორმებით ოპერირების დონეებს, რომელთა ექსპლუატაცია ხდება ვერბალური ფორმების სემანტიკაში. ამგვარად, აზროვნება არამარტო არსებობს აზრის ფორმებში, არამედ მისი რეალიზება ხდება კონკრეტულ ვერბალურ ფორმებში.

საკვლევ კონცეპტებს განვიხილავთ, როგორც ადამიანის მენტალურ სამყაროში ასახულ ეთნოკულტურული სამყაროს ფრაგმენტებს. ინტერპრეტაციულ რეჟიმში ვერბალური მნიშვნელობების სისტემა შეეფარდება ენის მატარებლის სოციო- და ეთნოკულტურულ კომპეტენციას, რომლის კონცეპტუალური შიგთავსი წარმოადგენს ერის მენტალიტეტის ერთ-ერთ განმსაზღვრელ თვისებას. სინამდვილის ფრაგმენტის ინტერპრეტაცია კონცეპტუალურ სისტემაში არის, უპირველეს ყოვლისა, გარკვეული სამყაროს ან 'სამყაროს სურათის“ შესახებ ინფორმაციის კონსტრუირება. როგორც აღვნიშნეთ, საბაზო კონცეპტების შინაარსი ბევრად უფრო მოცულობითია, ვიდრე ერთგვაროვანი ენობრივი არსების შინაარსი, ვინაიდან მათი გაცნობიერების არეალი ვრცელდება მთელ იდეოგრაფიულ სფეროზე, რომელიც მოიცავს კატეგორიის სხვადასხვა გამოსახულებას.

იდეოგრაფიულად ორგანიზებული ენობრივი გამონათქვამების კონცეპტუალურ სისტემასთან უდაო კავშირის არსებობა საშუალებას გვაძლევს ვერბალური იდეოგრაფიული ორგანიზაცია რეპრეზენტაციის კონცეპტუალური მოდელის სახით განვიხილოთ, რომელიც მოიცავს ყველა სახის ცოდნას სამყაროს შესახებ, ღირებულებათა მთელ სისტემას, გამოცდილებას, რომელიც დაგროვილია მოცემული სოციუმის მიერ. კონცეპტუალური მოდელი არა არის ჩაკეტილი სისტემა და 'ღიაა“ მომავალი შესაძლებლობებისთვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითოეულ კონცეპტს გააჩნია მნიშვნელობებით დეტერმინირებული საკუთარი სემანტური ფორმა, რომელიც

ხასიათდება ეთნოკულტურული განპირობებულობით, ვინაიდან მასში ასახულია ყველა: კონოტაციური, მოდალური, ემოციური, ექსპრესიული, პრაგმატული და სხვა შეფასება. 'კულტურული კონცეპტები", ან სხვა ტერმინოსისტემაში, 'კულტურის საკვანძო კონცეპტები", წარმოადგენენ სამყაროს სურათის ბირთვულ ერთეულებს, რომლებსაც გააჩნიათ ეგზისტენციალური მნიშვნელობა, როგორც ცალკეული ენობრივი პიროვნებისთვის, ასევე მთელი ლინგვოკულტურული ერთობისთვის ზოგადად. დ. ლიხაჩოვის თქმით, კონცეპტები ადამიანის გონებაში ჩნდებიან არამარტო როგორც შესაძლო მნიშვნელობებზე მინიშნებები, არამედ როგორც ადამიანის საპასუხო რეაქცია წინა ენობრივ გამოცდილებაზე ზოგადად – პოეტური, პროზაული, მეცნიერული, სოციალური, ისტორიული და ა.შ.

თანამედროვე კონცეპტოლოგიაში ფართო გამოყენება ჰპოვა კონცეპტის ინტეგრაციულმა ანალიზმა, რომლის თანახმადაც კონცეპტი განისაზღვრება როგორც კულტურით განპირობებული რთული სტრუქტურულ-სემანტიკური,უპირატესად, ლექსიკური საშუალებებით ვერბალიზებული წარმონაქმნი, რომელიც ცნებით კატეგორიას ეფუძნება,მოიცავს ხატოვან სახესა და შეფასებას, და რეფლქსიისა და კომუნიკაციის პროცესში ადამიანის სუბიექტურ დამოკიდებულებაში ვლინდება.

Linguistics

Key Concepts of Culture and 'Life and Death' Concept

Tsiala Lagvilava

The article deals with an important issue of a bigger study of the relations and interactions of language and reality, language and culture.

Language reflects everything: geography, climate, history, life conditions. Actually, there is a close connection between the language and its speakers.

The concepts in question are discussed in the semiotic light of culture in relation with the linguistic mechanisms and relevant conceptual fields.

Special types of concepts are 'cultural concepts' – in our case the concepts of 'death' and 'life'.

The concepts under study are regarded as the fragments of ethno-cultural world reflected in human's mental world.

The article provides the working definition of a concept as follows: concept is a cognitive formation organized in field principle that unifies related ideas, knowledge, beliefs,

associations and feelings as a nucleus structured on the basis of conceptual categories produced with collective consciousness as well as a periphery related to individual associations.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რამიშვილი ვ.— კულტურათშორისი კომუნიკაცია. ფილოსოფია, თბილისი, 2010
2. Бабушкин А.П.— Типы концептов в лексико-фразеологической семанике языка. Воронеж, 1996.
3. Маслова В. А.— Лингвокультурология. М., 2004
4. Пименова М.В.— Методология концептуальных исследований / М.В. Пименова /Антология концептов / Под ред. В.И. Карасика, И.А.Стернина. М.: Гнозис, 2007
5. Попова З.Д.; Стернин, И.А.— Очерки по когнитивной лингвистике / З.Д.Попова; И.А. Стернин, Воронеж, 2001
6. Рудакова А. В.—Когнитология и когнитивная лингвистика, М. 2014
7. Стернин И.А.— Методика исследования структуры концепта // Методоло-гические проблемы когнитивной лингвистики. Воронеж, 2001

ლაპიდარულობა, როგორც იგავ-არაკის ტექსტის თავისებურება

თამილა დილავეროვა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

როგორც განსაკუთრებული ტიპის მოთხრობები, იგავ-არაკები, იმეორებს მოთხრობის სტრუქტურულ და სემანტიკურ თვისებებს და ხშირადაა დაკავშირებული მორალთან. სწორედ მორალის გამოა, რომ იგავ-არაკების გაგების დროს უფრო მეტი კოგნიტური პროცესია საჭირო. იმის გარდა, რომ იგავ-არაკის მკითხველს უწევს გაიაზროს ტექსტში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი, ჩასწვდეს, თუ რა იგულისხმა ავტორმა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ერთი და იგივე იგავ-არაკი შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვანაირად, სადაც ავტორი იყენებს ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორიების ფართო სპექტრს, რიტორიკულ, დისკურსულ სტრატეგიებს, რათა მორალი ზუსტად და სწორად მიიტანოს მკითხველამდე. აღსანიშნავია, ისიც, რომ იგავ-არაკი, მისი მარტივი სტრუქტურის მიუხედავად, სემანტიკურად ძალიან ღრმაა. მოთხრობის სტრუქტურა არის მიღებული და დამკვიდრებული ტერმინი და მისი ფსიქოლოგიური ღირებულებაც ნათელია. მიუხედავად იმისა, რომ იგავ-არაკის სტრუქტურა მნიშვნელოვანია, მისი ზუსტი ჩარჩოების დადგენა ჯერ კიდევ საკამათო თემაა ენათმეცნიერთა შორის (კვონგი, 2001).

ჰასანი (1996) აღწერს იგავ-არაკის სავარაუდო სტრუქტურას და ამბობს, რომ იგავ-არაკი მოიცავს:

ადგილმდებარეობას; **საწყის მოქმედებას**; **თანმიმდევრულ მოქმედებას**; **საბოლოო მოქმედებას**; **ფინალს; მორალს.**

ო. ქვონგი კი თავის ნაშრომში ,,იგავ-არაკების სტრუქტურა და სემანტიკა“ გვთავაზობს იგავ-არაკის სრულიად განსხვავებულ სტრუქტურულ ჩარჩოს:

იგავ-არაკის ჩარჩო: მოთხრობის ჩარჩო გვაძლევს ინფორმაციას, თუ ვინ არის იგავ-არაკის მთავარი პროტაგონისტი თუ სად, რა კონტექსტში ვითარდება ეს მოქმედება.

ეპიზოდი - მოთხრობის ეპიზოდი აღწერს ტექსტის ერთ რომელიმე მოვლენას. ტექსტის ჩარჩო და ეპიზოდი მოიცავს უამრავ დისკურსულ სეგმეტს;

შინაგანი მოქმედება - შიდა მოქმედება აღწერს პროტაგონისტის კოგნიტურ მოქმედებებს, მის ფიქრებს, გეგმებს და ვარაუდებს;

შინაგანი მდგომარეობა - შიდა მდგომარეობა ეს არის პროტაგონისტის ემოციების და მდგომარეობის აღწერა;

მოვლენა - აღწერს ტექსტში მიმდინარე მოვლენებს და ამ მოვლენების ცვლას;

მდგომარეობა - ის აღწერს მსოფლიოს და პერსონაჟის საერთო მდგომარეობას;

მეტყველება, საუბარი - ყველა ზეპირსიტყვიერი საუბარი მიეკუთვნება ამ ეტაპს;

მორალი - მორალი ანუ შეგონება არის მოთხრობისგან მიღებული გაკვეთილი, რომელიც ხშირად დამატებითი წინადადების სახითაა წარმოდგნელი ნაწარმოების დასასრულს.

ვფიქრობთ, მისი შემოთავაზებული სტრუქტურა იდეალურად ერგება როგორც ანტიკურ, ასევე თანამედროვე იგავ-არაკებს.

წერილობითი ფორმის მიხედვით არსებობს **პროზაული**, **ლექსად დაწერილი** და **შერეული ტიპის** (პროზა+პოეზია) იგავ-არაკები.

შერეული ფორმის იგავ-არაკებში ნაწარმოების აღწერილობითი ნაწილი დაწერილია პროზაულად, ხოლო გმირების დიალოგები და მონოლოგები - ლექსად. მოცემული სტრუქ-ტურა შეიძლება გამოიყენებოდეს ნებისმიერი ნაწარმოების მიმართ, რადგანაც ადვილია საკითხავად. აღწერის პროზაული ნაწილი მკითხველს განაწყობს სერიოზული აღქმისთვის, მაშინ როცა პოეტურს (მოქმედი პირების დიალოგები და მონოლოგები) მოაქვს განტვირთვა.

პოლუიანოვა თავის ნაშრომში ,,Лингвостилистические особенности текста басни: На материале англоязычной литературной басни.“ აღნიშნავს, რომ იგავ-არაკი მიეკუთვნება თხრობითი ტიპის ტექსტებს და შესაბამისად აქვს მკვეთრად გამოხატული თხრობითი (ნარატიული) სქემა ან სქემატური სუპერსტრუქტურა. ის შეიცავს შემდეგ 5 კომპონენტს:

ტექსტის მოკლე შინაარსი;დასაწყისი;ძირითადი მოვლენების განვითარება;
კვანძის გახსნა;მორალი.

იგავ-არაკის თხრობით სქემასა და აზრობრივ ორგანიზაციას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი და ურთიერთდამოკიდებულებაა. იგავ-არაკის არსი ვითარდება თანმიმდევ-რობით, მოცემული ნარატიული სქემის ელემენტების შესაბამისად.

,,თუ კი შევადარებთ მოცულობით ანტიკურ პროზაულ იგავ-არაკებს და ლექსის ფორმით დაწერილს, ეს უკანასკნელი ბევრად მეტია. პროზაული ანტიკული იგავ-არაკები მოკლეა (ორი-ათი მარტივი წინადადება), თავისი არსით ისინი იყო არაკები. ლექსად დაწერილი იგავ-არაკები მოცულობით ორჯერ და სამჯერ უფრო გრძელია. აღწერილობითი ელემენტის გაზრდა გამოწვეულია მხატვრული ლიტერატურის ჩარჩოებთან მიახლოების მოთხოვნილებით''(პოლუიანოვა, 2001:45)

მთავარი პრობლემა უნდა გაიშალოს სინტაქსური კონსტრუქციებისა და სიუჟეტური ხაზის ერთდროულ გამოყენებაზე. იგავ-არაკებში ისმება განსაზღვრული აქტუალური პრობლემა, რომელიც იშლება თანდათანობით და ბოლოვდება მორალით.

განისაზღვრა იგავის, როგორც ზეპირსიტყვიერი ჟანრის მთელი რიგი ფუძემდებლური მახასიათებელი. იგავს დამწერლობამდელ პერიოდში უნდა ჰქონოდა ისეთი თვისებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ტექსტის დამახსოვრებას და მის შემდგომ ზეპირ გადაცემას, ამ დროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ტექსტის ზომა, მისი მოცულობა. ზეპირი გადაცემისას ტექსტის მოცულობა ვერ დარჩებოდა სტაბილური, მუდმივად შეიცვლებოდა. მოცულობა უზრუნველყოფდა იგავის მაქსიმალურ ეფექტურობას. რაოდენობრივი ცვლილებები ეხებოდა ფორმის, ფორმისა და შინაარსის კორექტირებას. ყველა ტრანსფორმაციის შედეგად, იგავმა მიიღო შესაბამისი ფორმა და რიგი სემანტიკური თავისებურება, რომლებსაც ჩვენ აღვნიშნავთ საერთო ტერმინ **ლაპიდარულობით.** ლაპიდარულობის ცნებაში შედის მცირე მოცულობა, სიუჟეტის თავისებურებები, მოქმედი პირების შეზღუდული რაოდენობა, სახეების სისტემის

სპეციფიკა, კონტექსტურ-ვარიაციული დაყოფისათვის დამახასიათებელი ორგანიზაცია, კონტინუმის სივრცითი და დროის თავისებურებები (პოლუიანოვა, 2001).

ლაპიდარულობა იგავის ტექსტის ერთ-ერთი სპეციფიკური რელევანტური თვისებაა. სიუჟეტი ერთიანია, გამორიცხულია მისი დატოტვილობა, რომელიც ხელს შეუშლიდა მკითხველის ყურადღების კონცენტრაციას იგავის ჩანაფიქრის გახსნაში. იგავში ის განვითარდება გარკვეული სქემის მიხედვით, რომელშიც გამოიხატება მოკლე შინაარსი, ძირითადი ნაწილი გახსნა, შეფასება და კოდი. რიგ იგავში ერთი მიმართულება უზრუნველყოფილია ერთგვარი სიტუაციის მოდელირებით, პერსონაჟების ქცევის სავარაუდო ხაზის კომბინირებით, მოქმედი გმირების შეზღუდული რაოდენობით. ტრადიციული იგავარაკული სიუჟეტის ადაპტაციის პროცესში სხვა კულტურულ გარემოსთან და ისტორიულ შინაარსთან, ავტორს შემოაქვს ცვლილებები, არამარტო მოქმედი პირების რაოდენობაში, დეტალებსა და მოქმედების მოწყობის დეტალებში, არამედ თვითონ მოქმედების განვითარებაშიც.

კანონიკური იგავები განსხვავდება ლაპიდარულობის მაღალი ხარისხით, რაც განპირობებულია სპეციფიკით. პოლუიანოვას აზრით, კანონიკური იგავების ლაპიდა-რულობა მიიღწევა პირველ რიგში აბზაცების და წინადადებების დამახასიათებელი აგებულებით, ინვერსიით, პერსონაჟების საუბარში შეყვანით, მოქმედი პირების ირიბი დახასიათებით.

არაკანონიკური იგავები კანონიკურებთან შედარებით მოკლეა. მათი ლაპიდარულობა მიიღწევა ნაწილობრივ იმავე ხერხებით, რაც კანონიკურისა (განმეორების ფონური სახეო-ბების გამოყენება, პერსონაჟების ირიბი დახასიათება), თუმცა მას აქვს თავისებურებები.

არაკანონიკური იგავების კონტექსტურ-ვარიაციული დაყოფისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დიალოგებს. დიალოგში რეპლიკების მეშვეობით ინფორმაციის ჩქარი გაცვლა უზრუნველყოფს მათს შინაარსობრივ ტევადობას. სალაპარაკო ზმნებისა და ავტორის სიტყვების გამოტოვება რეპლიკების შეყვანისას რეალიზებას უკეთებს ისეთ სტილისტიკურ თვისებას, როგორიცაა სიმოკლე.

იგავის ტექსტის ლაპიდარულობა ფორმირდება კონტინუუმის სპეციფიკით. იგავის კონტინუუმის თავისებურებაა თხრობის აბსტრაჰირება დროისა და სივრცეში. ის მჭიდროდაა დაკავშირებული იგავური თხრობის თემატიკასთან, რომლის შინაარსობრივ საფუძველს შეადგენს ადამიანური ყოფიერების მთავარი მორალური, ზნეობრივი, ფილოსოფიური პრობლემები, და აგრეთვე მისი ორგეგმიანობა, ალეგორიულობა. იგავში დროის აბსტრაჰირება განისაზღვრება მხატვრული დროის სპეციფიკასთან შეფარდებით. იგავში, დრო, ისტორიული ეპოქა და ადგილი არ არის, ან ზედმიწევნით პირობითია, ამიტომ თხრობითი დრო, როგორც მხატვრული დროის ფორმა, იგავში პრაქტიკულად არ არის განსაზღვრული, სიუჟეტური დროის ზეგავლენა აბსტრაჰირებაზე უმნიშვნელოა.

ტექსტებს (ზეპირ ინტერპრეტაციაში) არ აქვთ მუდმივი ფორმა 'ტექსტი ექვემდებარება მუდმივ ცვლილებებს, მაშინაც კი როდესაც მას იმეორებს ერთი და იგივე მთხრობელი“ (პოლუიანოვა, 2001).

ჩვენ ვთვლით, რომ ლაპიდარულობა არის იგავის ტექსტის სპეციფიკური რელევანტური დახასიათება. ის დამახასიათებელია არა მარტო იგავისთვის, არამედ სხვა მცირეფორმატიანი ჟანრებისათვისაც. იგავის ტექსტის ლაპიდარულობა იქმნება პირველ რიგში სიუჟეტის ერთმიმართულებიანობით. იგავის ტექსტი შეიცავს ერთს ან რამდენიმე

პატარა ეპიზოდს, რომლბიც ექვემდებარება ძირითად ჩანაფიქრს და ეხმარებიან მკითხველს მის გახსნაში. სიუჟეტის ერთიანი მიმართულება არ უარყოფს ტექსტში პარტიტურობის კატეგორიის არსებობას. მაგალითად, რ. ბრედბერის იგავის "შერისხულები" ტექსტში თხრობა ორგანიზებულია ისე, რომ აღწერილი მოვლენები ხდება ორ სხვადასხვა ადგილას: მარსსა და კოსმოსური ხომალდის გემბანზე და მათი მონაწილეები არიან პირები, რომლებსაც არ აქვთ ერთმანეთთან არანაირი ურთიერთობა, თუმცა ერთ-ერთ ეპიზოდში (მეორე ტექსტური სეგმენტი) ორივე ხაზი ერწყმის ერთმანეთს და გვამცნობს ტექსტს მთლიანობასა და შეკავშირებას.

როგორც ვხედავთ, სიუჟეტის ერთმიმართულებიანობა გამორიცხავს მის განტოტვილობას. ეს უკანასკნელი ხელს შეუშლიდა მკითხველს ყურადღების კონცენტრაციაში იგავის ჩანაფიქრის გახსნის დროს.

Linguistics

Lapidarity as a Fable Text Peculiarity

Tamila Dilaverova

A fable is an allegorical story, in which animals are represented with humans' features. As special stories, fables and short stories have similar structural and semantic features, but a fable mainly ends with a moral. A fable can be written in the form of prose or poetry, but it can also have a mixed form of prose and poetry. In the mixed form, narration is written in prose and dialogues are written in poetry.

One of the main characteristics of fables' structure is its lapidary style, which means concentrating on laconic style of speaking. Lapidary style of fables is achieved, first of all, with characteristic style of passages and sentences. Canonic and non-canonic fables differ in the level of lapidarity.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამირხანაშვილი 2012: ამირხანაშვილი ი. "სიბრძნესიცრუისა, ტექსტიდაკონტექსტი";XVI-XVIII საუკუნეებისქართულილიტერატურა, თბილისი
2. ჰასანი, 1996-Hasan1996- Hasan R. '' *Ways of Saying: Ways of Meaning*, London;
3. კვონგი, 2001-Kwong2001-Kwong Oi Yee ''Annotating the Structure and Semantics of Fables'' China;
4. პოლუიანოვა, 2001-Полуянова, 2001: ПолуяноваЛ. Н. ,,Лингвостилистические особенности текста басни:На материале англоязычной литературной басни"; Москва

არქაული შრომის ლექს-სიმღერა კლარჯულ ფოლკლორში

თინა შიოშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოში ძველთაგან ყანის მკისა და თიბვის დროს და, აგრეთვე, ფერხულებში ტრადიციულად იმღერებოდა თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული ლექსი "... ლეკებმა რომ დამიჭირეს..." ("... სამი ქალი თივას თიბდა...").

ლექსის ხნოვანებაზე ისიც მიუთითებს, რომ მის გამოძახილს, ზეპირსიტყვიერების სხვა მრავალ ნიმუშთან ერთად, ვხვდებით დავით გურამიშვილთან. თავისი ხალხის სულიერ კულტურასთან სიყრმიდან ნაზიარები პოეტი "დავითიანში' ლეკების მიერ მისი დატყვევების ამბავს რომ მოგვითხრობს ("დავით გურამიშვილის ლეკთაგან დატყოება'), ამ დრამატული ვითარების გადმოცემის ვერბალურ სურათს მშობელი ხალხის ზეპირპოეტური წიაღიდან სესხულობს:

შემიპყრეს, წამომიყვანეს,
ჯელ-ფეჯს მომიდვეს გენია,
გარდმომატარეს ასი მთა,
მინდორი ცხრა იმდენია...
(გურამიშვილი, 1964: 72)

არქაული ხალხური სამკალი ლექს-სიმღერის ("... ლეკებმა რომ დამიჭირეს...') თანახმად, რომლის დასაწყისიც, სიტუაციური თანხვდენილობის გამო, დავით გურამიშვილის უკვდავი სტრიქონების შთაგონების წყარო გამხდარა, მთიბელები ქალები არიან და ლექსის პათოსიც სწორედ ეს არის _ მთქმელს უკვირს ცელიანი მანდილოსნების ხილვა. ლექსში მოთხრობილია მთიბელ ქალთა ცელების წკრიალსა და მათ ხმაშეწყობილ სიმღერაზე შრომის პროცესში.

ამ არქაული ლექს-სიმღერის ერთ-ერთი გუდამაყრული ვარიანტი ამგვარია:

მე რო ლეკებმ დამიჭირეს,
დამდგომ იყო კათათვისა;
სამი მთა გადამავლივეს,
სამივ კავკასიონისა.
ჩერქეზთ მინდორ გადმახედვეს,
ნისლი იდგა შავი ზღვისა;
სამი ქალი თივას სთიბდა,
სამივ ჩერქეზთ ბატონისა;
სამთავ ეჭირა ცელები,
პირი ქონდა ალმასისა;

მარმარილოს სალესები,
იმით მოუწყობდეს პირსა.
სამნივ ისე დასძახოდნენ,
როგორც ანგელოზი ცისა.

(ქ.ხ.პ., 1983: 134-135)

მთქმელის შენიშვნით, ლექსს მღერიან თიბვაში, ყანის მკაში ან ფერ□ისაში. იგი კოლექტიური შესრულებისაა და საქართველოს ყველა კუთხეში იმღერებოდა ნადის დროს (ქ. ხ. პ., X: 509).

ლექს-სიმღერის ტექსტებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ უმეტეს ვარიანტებში უშუალოდ მთიბელი ქალების მწობრი მუშაობის აღწერამდე გვეძლევა ცნობა იმის შესახებ, რომ მთქმელი, ანუ მხილველი ამ პროცესისა, დატყვევებულია ლეკთა მიერ, მიჰყავთ (ალბათ დაღესტანში), გადაატარეს "ასი მთა" და სწორედ იქ, მთაში, ჩერქეზეთის მინდორში, იხილა მთიბელი ქალები; თუმცა, დასავლეთ საქართველოში დაფიქსირებულ ზოგიერთ ვარიანტში ფრაზა "ლეკებმა რომ დამიჭირეს" აღარ გვხვდება და ეს ბუნებრივიც არის, რადგან ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი; ამდენად, დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ამ ლექს-სიმღერის ვარიანტები ძირითადად იწყება ჩერქეზეთის მინდვრის წარმოდგენით ("გადვიხედე ჩერქეზ მინდორს"):

ჩერქეზ მინდორს გადვიხედე,
ნისლი იყო შავი მთისა;
სამი ქალი თივას ჰთიბდა,
სამივ ჩერქეზ ბატონისა;
ხელში ეჭირათ ცელები,
პირი ჰქონდათ ალმასისა;
სიმღერასა დასძახოდნენ,
როგორც ანგელოზნი ცისა.

(ქ.ხ.პ., 1983: 510-511)

ამ ლექს-სიმღერის არქაულობასა და ძველი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე განფენილობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მისი ვარიანტი დადასტურდა კლარჯეთში, მურღულის ხეობაში; 2007 წლის 1 აგვისტოს თავისოფელში ("ბაშქოი") 79 წლის ეზიზ აღა (სულეიმან) ბაიდინისაგან (კამკამიძე) ჩავიწერე ამ ლექს-სიმღერის ვარიანტი, რომელიც კონტამინირებულია ტრადიციული ქართული ფირალის ეპოსის ნიმუშთან: ვინმე დათიკო "ტრაჟნიკებს" შეუპყრიათ და მიჰყავთ; გადაატარეს ასი მთა კავკასიონისა და იქ ნახა სწორედ ჩერქეზთა ბატონის მთიბელი ქალები. ლექსის მთლიანი სახე ასეთია:

მშვიდობით დედავ, ცოლ-შვილო,
აღარ გყავთ შენი დათიკო!
შენ დაილოცე, ჭელიზე,
რომ გამიკეთე ვახშამი!
ძველის ღვინო ბევრი გქონდა,
ხმელი თხილი და ქათამი.
თქვენ-კი იცით, რა ვიქმოდი
მოწამლული თრალი კაცი, _

ერთი თოფი გავისროლე,
ტრაჟნიკ მივამტრიე ტრინკი.
ასი თა გადამატარეს,
თები კავკასიონისა.
ნისლი იდგა შავი ზღვისა.
სამი გოგო თივასა თიბდა,
სამთავ ჩერქეზ ბატონისა.
ხელში ეჭირნეს ცელები
პირებისა კალმასისა.

(შიოშვილი, 2017: 337)

ბუნებრივია, ტრადიციული ქართული შრომის ლექს-სიმღერის დასაწყისია "ასი მთა გადამატარეს...'. მთქმელს, მისივე განმარტებით, ლექსი მამისაგან აქვს დასწავლილი, მამამისს კი _ მისი წინაპრისაგან. ლექს-სიმღერის ეს ვარიანტი ჩვენთვის ერთის მხრივ საინტერესოა იმით, რომ კლარჯეთის ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაში დაფიქსირდა ტრადიციული ხალხური ლექსი, რომელსაც ჩვენში მკისა და თიბვის დროს, აგრეთვე ფერხულებში, მღეროდნენ; მეორეს მხრივ კი ნიშანდობლივია, რომ ამ ლექსისათვის ზოგადქართულ ფოლკლორში დამოწმებული წინაპირობა (შეპყრობილი ადამიანი მიჰყავთ მთიანი გზით, სადაც გახდება თვითმხილველი მთიბელი ქალებისა) კლარჯეთშიც სახეზეა (თანაც, უფრო მოზრდილი ფორმით), ოღონდაც ზოგადქართულ ვარიანტებში თავჩენილი ლეკების აგრესია აქ შეცვლილია რუსის ("ტრაჟნიკის") აგრესიით, რაც, ჩვენი აზრით, ერთის მხრივ ამ კუთხეში რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ შემოღებული რუსული მმართველობისადმი ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილების გამოძახილი უნდა იყოს, მეორეს მხრივ კი _ ქართული ხალხური ფირალის ეპოსისა.

ლექსის მრავალი ვარიანტია დაფიქსირებული აჭარის ზეპირსიტყვიერებაში (ბსუ ნბიფა, საქმე 171: 74; საქმე 151: 58-59 და სხვა); მათი ნაწილისათვის დამახასიათებელია დასაწყისი "ლეკებმა რომ დამიჭირეს", ნაწილი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირდაპირ იწყება ჩერქეზეთის მინდვრის ხილვით ("გევხედე ჩერქეზ მინდორში"); ზოგი ვარიანტით კი ეს უბრალოდ მინდორია ("გავიხედე ჩეს მინდორსა'). ერთ-ერთი სრულყოფილი აჭარული ვარიანტი ამგვარია:

ლეკებმა რომ დამიჭირეს,
დამდეგ იყო მკათათვისა.
ასი მთა გადამატარეს,
მთები კავკასიონისა.
გავხედე ჩერქეზ მინდორსა,
ნისლი იდგა შავი ზღვისა;
სამი ქალი თიბას თიბდენ,
სამივ ჩერქეზ ბატონისა.
ხელში ეჭირათ ცელები,
პირი ქონდა ალმასისა.
მარმარილოს სალესავით
იმით მოუწყობდენ პირსა.

სამნივ ისე დასძახოდენ,
როგორც ანგელოზი ცისა.
არ მენახა, გამიკვირდა
მუშაობა დიაცისა.

(ბსუ ნბიფა, საქმე #277: 17-18)

ისევე როგორც კლარჯულში, აჭარულ ვარიანტებშიც დატყვევებულს ასი მთის გადალახვა უწევს. ლექსის საინტერესო ვარიანტი 1959 წელს მკვლევარმა ჯემალ ნორაიდელმა ჩაიწერა ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკაში იბრაიმ ნოღაიდელისაგან (ა. ხ. პ., 1969: 49). მისი განხილვისას მკვლევარი წერდა: "როგორც ტექსტიდან ჩანს, ეს ლექს-საჩივარი შექმნილი უნდა იყოს კავკასიის მთის კალთებთან. საქართველოშიც გვხვდებოდა შემთხვევები, რომ ქალი გენახათ თესვაში, თოხნასა და მარგვლაში, მკასა და ტეხვაში, კრეფაში და სხვა, მაგრამ ცელვა ძირითადად მამაკაცების საქმეს წარმოადგენდა. ალბათ, ამიტომ გაჰკვირვებია მოტაცებულ ტყვეს, როცა ცელით მომუშავე ქალები დაუნახავს; თუმცა, აჭარის მთიან მხარეში სათიბავშიც მონაწილეობდნენ ქალები" (ნოღაიდელი, 1971: 106-107). აქვე აღვნიშნავთ, რომ თიბვაში ქალთა მონაწილეობით გამოწვეული გაკვირვება ძირითადად აჭარულ ვარიანტებშია გამოთქმული; სოფელ წყავროკაში დაფიქსირებული ვარიანტის მსგავსად, სოფელ ქაქუთში ჩაწერილ "საჩივარშიც', რომელიც, მთქმელის განმარტებით, გურული სუფრული სიმღერაა, გამოხატულია ას მთაგადავლილის გაოცება მთიბელი ქალების ნახვით:

... სამივ ისე დასძახოდნენ,
როგორც ანგელოზი ცისა.
არ მენახა, გამიკვირდა
მუშაობა დიაცისა.

(ბსუ ნბიფა, საქმე #277: 18)

ერთ-ერთ შუახევურ (სოფ. ფურტიო) ვარიანტში ნათქვამია:

... მარმარილოს სალესავით
მათ მოუწყობდეს და პირსა;
არ მენახოს, გამიკვირდა
მუშაობა ანგელოზი დიაცისა.

(ბსუ ნბიფა, საქმე #171: 74)

ჩვენ მიერ კლარჯეთში, სოფელ ბაშქოიში (თავისოფელი), ჩაწერილი არქაული შრომის ლექს-სიმღერა უფრო მეტ სიახლოვეს ავლენს აჭარულ ვარიანტებთან, რაც სრულიად ბუნებრივია მეზობელ კუთხეთა ზეპირსიტყვიერების ტრადიციულ ურთიერთობაში; ისიც საგულისხმოა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად საქართველოს ისტორიულ კუთხეთა შემოერთების შემდეგ ინტენსიური მისვლა-მოსვლა იყო აჭარასა და კლარჯეთს შორის, რაც ბუნებრივია, ხელახალი კულტურული დიალოგის საშუალებასაც იძლეოდა, მით უფრო _ ყველაზე უფრო ქმედითი და პოპულარული ხალხური პოეზიის დონეზე.

Folklore Studies

Archaic Work Songs in the Klargeti Folklore

Tina Shioshvili

Traditional Georgian genres, certain samples and related habits and customs have been preserved in the Klarjeti folklore to this day. One of them is the work song "... when Leks caught me...'. This archaic work song has variants of the common-Georgian, especially the Ajarian ones.

ლიტერატურა:

1. ა. ხ. პ., 1969 - აჭარის ხალხური პოეზია, I, თბ.,
2. ბსუ ნბიფა, საქმეები 171, 272 - ბათუმის სოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი, ბათ.
3. გურამიშვილი, 1964 - დავით გურამიშვილი, "დავითიანი', თბ.,
4. ნოღაიდელი, 1971 - ჯემალ ნოღაიდელი, "ნარკვევები და ჩანაწერები', წ. I, თბ.
5. ქ. ხ. პ., 1983 - ქართული ხალხური პოეზია, ტ. X, თბ.,
6. შიოშვილი, 2017 - თინა შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი, თბ.

პოსტკლასიკური ფოლკლორი

ელგუჯა მაკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზეპირსიტყვიერების ისტორიაში პერიოდების, ეტაპების, საფეხურების გამოყოფის საკითხი ქართულ ფოლკლორისტიკაში ადრევე დადგა. ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველამ ფშავლების პოეზიაში შეამჩნია ორი პლასტი - ძველი და ახალი. მათ შორის კი განსხვავება დაინახა თემატიკაში, პრობლემატიკაში, განწყობილებაში, შემოქმედებით პათოსში (ვაჟა-ფშაველა, 1937: 99-100). ქართული აკადემიური ფოლკლორისტიკის გარიჟრაჟზე ალ. ხახანაშვილი, რუსული ისტორიული სკოლის გავლენით, ხალხური შემოქმედების განვითარებაში გამოყოფდა მითიურ, გმირულ და ისტორიულ პერიოდებს (ხახანაშვილი, 1905: 4-5). მომდევნო პერიოდის ფოლკლორისტები (მ. ჩიქოვანი, ე. ვირსალაძე, ქ. სიხარულიძე) ამკვიდრებენ ტრადიციას, რომლის მიხედვით ერთმანეთისაგან განირჩევა ძველი და ახალი ზეპირსიტყვიერება. ძველი ზეპირსიტყვიერებას ხშირად სხვა ტერმინებითაც აღნიშნავენ: წარმართული, არქაული, პრეისტორიული, კლასიკური, ტრადიციული. ხოლო ახალ ანუ თანამედროვე ზეპირსიტყვიერებაში, ცნობილი იდეოლოგიური კლიშეს გავლენით, მეტწილად, ე.წ. საბჭოთა, ძირითადად, მუშათა ფოლკლორს გულისხმობენ. საგულისხმოდ მიგვაჩნია საკითხისადმი ხალხური ლექსის აღიარებული სპეციალისტის, ჯ. ბარდაველიძის, მიდგომა: მკვლევარი ხალხური ლექსის ისტორიაში გარდამტეხ მოვლენად მიიჩნევს მწერლობის აღმოცენებას და შესაბამისად, მიჯნას ავლებს ლიტერატურამდელ და ლიტერატურული ეპოქის ხალხურ ლექსს შორის (ბარდაველიძე, 1998, 1999). ამდენად, ქართულ ფოლკლორისტიკაში ზეპირსიტყვიერების ისტორიული სტრატიფიკაციის საკითხი უცხო არ არის, თუმცა, საკითხის გაშუქებაში მეტი სიცხადის, სიზუსტის, კონკრეტიკის, განსაკუთრებით, უფრო რელევანტური ტერმინების შემოტანის ამოცანა კვლავ დგას დღის წესრიგში. პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ ფოლკლორული ისტორიის დაწერა, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია, გულისხმობს არა ცალკეული ტექსტის (ტექსტების) ისტორიის გადმოცემას, არამედ მთლიანად ხალხური შემოქმედების ტრადიციული მდგომარეობების რეკონსტრუქციას და მათი დროში მონაცვლეობის აღწერას. შესაბამისად, ფოლკლორის განვითარების ისტორიული სტადიების გამოკვეთა, მონიშვნა უნდა დაემყაროს მის უმნიშვნელოვანეს თავისებურებას - მემკვიდრეობითობას, შემოქმედებითი აქტების თანმიმდევრობას. მით უმეტეს, რომ ხალხურ შემოქმედებაში, როგორც პოლიტრადიციულ სისტემაში, ახალწარმონაქმნის გვერდით ძველიც ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, მოდის თუ არა მასთან წინააღმდეგობაში (მეტწილად კი მასთან ერთად ჰიბრიდულ მთლიანობას ქმნის). ხალხურ შემოქმედებაში კლასიკური, ტრადიციული, გნებავთ, უძველესი, არქაულ-მითოლოგიური მოდელები, მატრიცები, უკვე დესაკრალიზებული, დემითოლოგიზირებული, პერიოდულად აღდგება, როგორც ტექსტის ქმნადობის პროგრამა. ასეთია 'კოლექტიური არაცნობიერი“ აზროვნების

ბუნება, რომელსაც ფოლკ-კულტურა ემყარება. სწორედ ის, რომ ტრადიციულობის ტიპები დროში მონაცვლეობს და, იმავე დროს, გვედიგვერდ არსებობს, გვაძლევს საშუალებას, ფოლკლორის ისტორიაში გამოვკვეთოთ ძირითადი სტადიები, ეტაპები, პერიოდები, უკეთ, ტრადიციულობის ტიპები. ამ დროს, განსაკუთრებით უძველესი პერიოდის რეკონსტრუქციის პროცესში, საჭიროა არა მარტო ფოლკლორული მონაცემების, არამედ არატექსტური რეფერენციების, (ისტორიული რეალიების, ტოპონიმიკის, არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, წერილობითი, ლინგვისტური ცნობების) გათვალისწინებაც. შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ასეთი კომპლექსური მიდგომის შემთხვევაშიც კი, შესაძლებელია ფოლკლორის ყოვლისმომცველი ისტორიის დაწერა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გამოვკვეთოთ ზეპირსიტყვიერების ტრადიციულობის ტიპები, სქემატურად აღვწეროთ ისინი, მივუთითოთ მათ დომინანტურ როლზე ისტორიის კონკრეტულ ეტაპზე და, შეძლებისდაგვარად, მოვნიშნოთ თითოეული ეტაპის ქრონოლოგიური ჩარჩო. ვფიქრობთ, ფოლკლორის ისტორიაში, სწორედ მისი ტრადიციულობის ტიპების გათვალისწინებით, შეიძლება გამოვყოთ სამი ეტაპი, პერიოდი: 1) არქაული 2) კლასიკური 3) პოსტკლასიკური. არქაულ და კლასიკურ ფოლკლორს შორის გზაჯვარედინზე დგას ორი ფუნდამენტური ისტორიულ-კულტურული ფაქტორი: დამწერლობის აღმოცენება და ქრისტიანობის გავრცელება. სწორედ ეს ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ავლებს მიჯნას არქაულ და კლასიკურ ფოლკლორულ ტრადიციებს შორის. რაც შეეხება მესამე, პოსტკლასიკურ პერიოდს, მისი ათვლა უნდა დავიწყოთ XIX-XX საუკუნეებიდან, როდესაც სახეზე გვაქვს კლასიკური, ტრადიციული ფოლკლორის მონუმენტური ტრადიციების რღვევა, ხშირ შემთხვევაში გაქრობა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ პოსტკლასიკური ფოლკლორი უფრო მეტად განსხვავდება კლასიკური ფორმებისაგან, ვიდრე ეს უკანასკნელი არქაულისაგან. თანაც ამ ახალი, თანამედროვე პერიოდის ფოლკლორთან დაკავშირებული ისტორიული თუ თეორიული საკითხები უფრო ნაკლებად არის შესწავლილი და ბევრ კითხვის ნიშანსაც სვამს, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ამას აქვს თავისი მიზეზები, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური: ჯერ ერთი, ფოლკლორისტები, ისე როგორც ჰუმანიტარული მიმართულების სხვა დარგების წარმომადგენლები, საკვლევი მასალის შერჩევის დროს ხელმძღვანელობენ პრინციპით - რაც უფრო ძველია, მით უფრო ღირებულია. შესაბამისად, სპეციალისტთა წრეში დღემდე პრიორიტეტულია სწორედ არქაული და კლასიკური ფოლკლორული ტრადიციების შესწავლა. მეორეც, ტრადიციული, კლასიკური ფოლკლორისგან განსხვავებით, პოსტკლასიკური ფოლკლორი ნაკლებმონოლითური, ნაკლებსტრუქტურირებულია. ზოგიერთი ჟანრი თუ ფორმა ფაქტობრივად მკვლევართა თვალწინ ყალიბდება. მათში, ხშირად ამორფულ მასალაში, ჩამოყალიბებული, გაფორმებული ტრადიცია ისე მკაფიოდ არც ჩანს და შესაბამისად, მათი შემჩნევა და სათანადოდ გააზრება ჭირს. მესამე, არქაული და კლასიკური ფოლკლორის კვლევის ხერხებით, მეთოდებით, სამანიპულაციო სქემებით, ცნებებითა და ტერმინებით სრულფასოვნად ვერ აღიწერება პოსტკლასიკური პერიოდის ფოლკლორი, პოლიფუნქციური და პოლიელემენტური სისტემა, რომელიც მოიცავს ბევრ ახალ, ტრადიციული ფოლკლორისათვის უცნობ ან ტრანსფორმირებულ ფორმას. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ სოფლად, ტრადიციული სიტყვიერების გვერდით, ნელ-ნელა ადგილს იკავებს ურბანული წარმოშობის ფოლკლორული ფორმები, სახეზე გვაქვს არა მარტო ურთიერთგავლენის, არამედ მათი ინტეგრაციის პროცესი. ამასთან, ქალაქში საბოლოოდ

ჩამოყალიბებულ, დასრულებულ სახეს იღებს ურბანული, ე. წ. ასფალტის ფოლკლორი, როგორც კულტურული მოვლენა. შესაბამისად, პოსტკლასიკურ ეპოქაში საგრძნობლად ფართოვდება ფოლკლორის (შესაბამისად, ფოლკლორისტიკის) საგნობრივი ველი და მასში მკაფიოდ იკვეთება ორი ძირითადი ნაკადი, პლასტი: 1) სოფლის ახალი და ძირითადად სახეცვლილი, ტრანსფორმირებული ტრადიციული სიტყვიერება, ნეოფოლკლორი 2) ურბანული, 'ასფალტის" ფოლკლორი. ამ უკანასკნელს სპეციალური ტერმინით, პოსტფოლკლორით, აღნიშნავენ.

ჰორაციუსიდან მოყოლებული XVIII საუკუნის ბოლომდე ფოლკლორი, ხალხური სიმღერები განიხილებოდა როგორც ერთგვარი *oprobria rustika* და, შესაბამისად, არ ხდებოდა მათი სპეციალური მიზნით არა თუ შესწავლა, არამედ ჩაწერა-ფიქსაციაც კი. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, ურბანული პროცესების დაჩქარების კვალდაკვალ, სოფლის ცხოვრების სოციალური ტრანსფორმაცია საფუძველს აცლიდა მონუმენტურ ფოლკლორულ ტრადიციებს, სათავეს უდებდა ფოლკ-კულტურის დეფორმაციას-კლასიკური ჟანრების სიკვდილს, გადარჩენილი ჟანრების სახეცვლილებას. ეს მოვლენა დროულად შენიშნეს ევროპელმა რომანტიკოსებმა, რომელთა აზრით, ისტორიის საზრისს გამოხატავს არა პიროვნების ნებელობა, არამედ ხალხის სული და ის ყველაზე მკაფიოდ თავს იჩენს ენაში, მითოლოგიაში, ფოლკლორში. შესაბამისად, მათ გადაუდებელ ამოცანად დასახეს ჯერ კიდევ შემორჩენილი თუ გადარჩენილი მასალის შეგროვება, არქაული ტრადიციების აღწერა. ამან, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ფოლკლორისტიკისა და ეთნოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინების, ჯერ აღმოცენებას, ხოლო შემდეგ მათ სტიმულირებას. თითქმის ანალოგიურ სურათს ვხედავთ საქართველოში, სადაც, მართალია, უკვე XVII-XVIII საუკუნეებში ჩანს ზეპირსიტყვიერებისადმი ინტერესი, მაგრამ ხალხური სიტყვიერების სისტემური, მიზანმიმართული შეკრება-შესწავლა შედარებით გვიან, მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იწყება. უკვე აქ, ჩვენშიც, ისმის წუხილი, შეშფოთება ტრადიციული ფოლკლორის ბედის გამო. მაგალითად, რაფიელ ერისთავი 1873 წელს წერდა: 'ყოველი მოყვარული მშობლის დედა-ენისა და ქართულის ლიტერატურისა უნდა დაეჩქაროს და იმეცადინოს შეკრებისათვის ესე გვართა, ვიდრე იგინი ჯერ კიდევ სრულებით არ დავიწყებია ხალხსა" (ქართული ხალხური პოეტური...1960: 144-145). აკაკი წერეთელი, ვინც, ილიასთან ერთად, ქართული ფოლკლორის შეკრება-შესწავლის სათავეებთან დგას, 1913 წელს წაკითხულ ლექციაში აჯამებს თავის თითქმის ნახევარსაუკუნოვან ფოლკლორისტულ საქმიანობას და აღნიშნავს: 'ქართული ზეპირგადმოცემები იკარგება. ტყუილა კი არ არის ნათქვამი: ბარში რომ ჭკუა დაიკარგება, მთაში მოძებნიანო. ბარში და ზღვისპირად, სადაც ახალი ცხოვრება ადვილად შემოვიდა, ძველი ჩვეულება და წესრიგი გადავარდნილია. მხოლოდ მთებში... მიუვალ ადგილებში ჯერ კიდევ შენახულია გაშაირება, ზღაპრები და ყოველგვარი ზეპირგადმოცემები დღესაც კიდევ ფეხმოკიდებულია" (ქართული ხალხური პოეტური...1960: 131), თუმცა ვაჟა-ფშაველა 1886 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევში 'ფშავლები" მიუთითებს, რომ ცვლილებების ქარი მთის პოეზიას უკვე შეჰხებია, რაც, პირველ რიგში, ლექსების შინაარსში, პათოსში გამოხატულა და ამის გამო თურმე 'მოხუცებულები ემდურებიან ლექსების შინაარსის გამოცვლას" (ვაჟა-ფშაველა, 1937: 102). თუკი XIX საუკუნეში ჯერ კიდევ ახსოვდათ სიძველეები, XX საუკუნეში ეს ხსოვნა საგრძნობლად შეამცირა, კიდევ უფრო გააფერმკრთალა დაჩქარებულმა ურბანულმა პროცესმა, სოფლის სოციალურმა

ტრანსფორმაციამ, მწიგნობრობის ფართოდ გავრცელებამ, მასკულტურის მოძალებამ, ტექნოლოგიურმა რევოლუციამ თუ სხვა არსებითმა და არაარსებითმა ფაქტორმა. შესაბამისად, მკვეთრად შეიწროვდა ტრადიციული ფოლკლორის საგნობრივი ველი. XX საუკუნის დასაწყისში ფოლკლორის კრიზისის თეორია ამტკიცებდა, რომ ფოლკლორის არეალი არა მარტო ვიწროვდება, შაგრენის ტყავივით ილევა, არამედ ისიც, რასაც დღეს ვიწერთ, გაქრობისთვისაა განწირული, ფოლკლორს ენაცვლება მასკულტურა, ხოლო ფოლკლორისტები სწავლობენ მოვლენას, რომელიც უკვე აღარ არსებობს. გავიზიარებთ თუ არა ზემოთ წარმოდგენილ რადიკალურ შეხედულებას, ერთი რამ ცხადია: XIX საუკუნეში დაიწყო და XX საუკუნეში დასრულდა მრავალსაუკუნოვანი კლასიკური ფოლკლორის ერა და საფუძველი ჩაეყარა ახალ ფოლკლორულ ტრადიციებს -ნეოფოლკლორს - სოფლად, ხოლო პოსტფოლკლორს - ქალაქად.

ნეოფოლკლორი: ზოგადად, გზა, რომელიც ფოლკლორმა, როგორც კულტურულმა მოვლენამ, კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე, პირველყოფილი საზოგადოებიდან მოყოლებული დღემდე, გამოიარა არ არის სწორხაზოვანი. ის ყოველთვის იცვლებოდა იმის შესაბამისად, როგორც იცვლებოდა მთლიანად ეთნოსის სულიერი კულტურა. განსხვავებულ ეპოქებს განსხვავებული შინაარსი, ფორმები, ჟანრები მოჰქონდა. ცვლილებები უპირატესად შეეხებოდა თემატიკასა და პრობლემატიკას, სიმბოლიკას, მხატვრული გამოსახვის სხვა საშუალებებს. თუმცა ეს ყველაფერი ხდებოდა მონოლითური, მთლიანი, ჯერ არქაული, ხოლო შემდეგ კლასიკური ფოლკლორული ტრადიციის საზღვრებში. 'ტრადიცია არის გადაცემა (ლათინური სიტყვა *traditio* ამას ნიშნავს), ხოლო რაც გადასაცემია, არასდროს იმავე მოცულობით და იმავე შინაარსით უცვლელად არ გადაიცემა, გადაცემული ყოველ ჯერზე სახეცვლილებას განიცდის. მაგრამ ყველაფერი ეს ხდება ისევ და ისევ მდგრადი ტრადიციის ფარგლებში, განახლებული ნაკადი კვლავ მიედინება, გზა და გზა გადახარშავს რა ამ ინდივიდუალურს“ (კიკნაძე, 2006: 12). ამიტომ არის, რომ 'ფოლკლორული ტექსტი გამოდის არა როგორც ნიმუში, რომელიც დაზეპირებას ექვემდებარება, არამედ ტიპების, კლასების, საერთოდ, ტრადიციის რეპრეზენტაცია, მანიფესტაცია“ (მაკარაძე, 2013: 60). სხვა მოვლენის მომსწრე ვართ XIX-XX საუკუნეში, როდესაც არნახულად, რადიკალურად შეიცვალა ჯერ ფოლკლორული გარემო, შემდეგ კი - თვით ფოლკლორი შინაარსობრივად და ფორმალურად, საფუძველი მოერყა კლასიკურ ტრადიციებს. ამან ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია სპეციალისტ-ფოლკლორისტთა შორის, რომელთა თვალწინ მიმდინარეობდა აღნიშნული პროცესი. ამიტომ იყო, რომ ისინი, ერთი მხრივ, ამჩნევდნენ და აღიარებდნენ, რომ ასპარეზს ტოვებდა ტრადიციული ფოლკლორის წამყვანი ჟანრები, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლოა, გარკვეული პოლიტიკური კონიუქტურის გავლენითაც, საუბრობდნენ, რომ, თითქოს, თანამედროვე ზეპირსიტყვიერება არნახული ინტენსიურობით ვითარდებოდეს და, თითქოს, XX საუკუნე საერთოდ ყველაზე ხელსაყრელი საუკუნე იყოს ფოლკლორული შემოქმედებისათვის. ამგვარი წინააღმდეგობრივი მიდგომა გასულ საუკუნეში კრიტიკის საგანიც გამხდარა. კერძოდ, პროფესორი გურამ ბარნოვი თავის პოლემიკური პათოსით გამსჭვალულ წერილებში: 'ფოლკლორისტიკის ზოგიერთი საკითხი“ (1976 წ.) და 'ფოლკლორი და თვითმოქმედება“ (1981 წ.) თანამედროვე ფოლკლორის ბევრ საჭირბოროტო საკითხზე ამახვილებს ყურადღებას. პირველ რიგში, მკვლევარი, აღნიშნავს, რომ აუცილებელია ერთმანეთისაგან მკაფიოდ გაიმიჯნოს ფოლკლორი და თვითმოქმედება, რადგან ამ

უკანასკნელს საფუძვლად უდევს არა ფოლკლორული, არამედ ლიტერატურული ტრადიცია. '..როცა მთლიანად საზოგადოება წიგნიერი გახდა და თვით ზეპირსიტყვიერებამაც ძირითადად წიგნებს შეაფარა თავი, ადამიანი, ბუნებრივია, უპირატესად ლიტერატურულ ტრადიციებზე იზრდება“ (ბარნოვი, 1989: 9). 1981 წელს გამოქვეყნებულ წერილში გურამ ბარნოვი ეხმიანება 'ლიტერატურული საქართველოს“ 1981 წლის მე-9 ნომერში დაბეჭდილ აკადემიკოს ნიკო კეცხოველის წერილს - 'კლდის ფხაზე თეთრო ყვავილო“, რომელშიც ცნობილი მეცნიერი მადლობას უძღვნის საქართველოს ტელევიზიასა და ვახუშტი კოტეტიშვილს იმ დროს საოცრად პოპულარული 'ფოლკლორული საღამოების“ ორგანიზებისა და, საერთოდ, ხალხური შემოქმედების ძიებისა და პოპულარიზაციისათვის. გურამ ბარნოვის შეფასებით კი, '...ყველა ლექსი, რომელიც ამ საღამოზე გაისმა, ფოლკლორული წარმოშობისა არ ყოფილა. ბევრი მათგანი აშკარად თვითმოქმედების ნაყოფი გახლდათ“, ხოლო 'თვითმოქმედება და ზეპირსიტყვიერება საკმაოდ მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შემოქმედებითი თავისებურების, ტრადიციების, ფორმის თვალსაზრისით...“ (ბარნოვი, 1989: 37). გ. ბარნოვი ბოლომდე არ ეთანხმება, მისივე სიტყვებით რომ ვთქათ, ნ. კეცხოველის 'სხარტ“ და 'ნათელ“ განმარტებას, რომ '...ხალხური სიტყვიერების კუთვნილია ყოველივე ის, რასაც არაპროფესიონალი მწერალი დაწერს, ან ზეპირად იტყვის და ხალხი აიტაცებს, დაამღერებს, თუ საჭირო ცვლილებასაც შეიტანს და ჩნდება ვარიანტები“ და იქვე აზუსტებს, რომ მსგავსმა მიდგომამ შეიძლება 'უნებლიეთ გაამართლოს მოყვარულთა ნებისმიერი ლექსის ფოლკლორში შემოტანის ტენდენცია... მხოლოდ ფოლკლორულ ტრადიციებზე აღმოცენებული და შემდეგ ხალხში გავრცელებული ლექსი შეიძლება იქცეს ზეპირსიტყვიერებად“ (ბარნოვი, 1989: 37-38). თუმცა რეალობა სულ სხვაზე მიუთითებს: 'რაც უწინ გამონაკლისს წარმოადგენდა, ახლა წესად იქცა - ხალხური ლექსი წერილობით იქმნება და თავისი კონკრეტული ავტორიც ჰყავს“, შესაბამისად, '...შემოქმედებითი პროცესის თვალსაზრისით, ლიტერატურასა და ფოლკლორს შორის (მხედველობაში გვაქვს პოეზია) ზღვარის დადება თითქმის შეუძლებელია... ხალხური პოეზიის ტრადიციულ სპეციფიკური ნიშანთაგან ფაქტიურად რჩება ერთადერთი, რომელსაც ყველა აღიარებს და იზიარებს - ეს გახლავთ ნაწარმოების ზეპირად გავრცელების აუცილებლობა“ (ბარნოვი, 1989: 39). თუმცა, მკვლევრის მოსაზრებით, ხშირად ამ ერთადერთ ნიშანსაც არ უწევენ ანგარიშს და სხვადასხვა ფოლკლორულ კრებულებში ხვდება ტექსტები, რომლებსაც ჯერაც 'არ მოუპოვებიათ მოქალაქეობრივი უფლება ზეპირსიტყვიერებაში“. თავი რომ დავანებოთ მოყვარულების მიერ შედგენილ კრებულებს, თვით ხალხური პოეზიის მართლაც უნიკალური, აკადემიური გამოცემის XII ტომში, გ. ბარნოვის აზრით, '588 ლექსიდან სულ ცოტა მესამედი მაინც არახალხურია, თანაც აშკარად არახალხური“. მკვლევარი თავის შეხედულებას ამყარებს იმ არგუმენტით, რომ ამ 588 ლექსიდან ვარიანტები ან იდენტური ჩანაწერები გააჩნია მხოლოდ 52 ლექსს, 'დანარჩენი 536! ტექსტი კი 'ეულია“ (ბარნოვი, 1989: 40). მართალია, გასულ საუკუნეში სპეციალისტ-ფოლკლორისტები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ ფოლკლორზე წიგნისა და წიგნიერების გავლენაზე, მაგრამ მხედველობიდან არ გამორჩენიათ სხვა ფაქტორებიც. დ. გოგოჭური და ვ.მაცაბერიძე შესავალ წერილში, ქართული ხალხური პოეზიის XII ტომს რომ აქვს წამძღვარებული, ხაზგასმით აღნიშნავენ: 'დღევანდელი ხალხური მელექსე თუ მთქმელი არა მარტო წერა-კითხვის მცოდნე, არამედ ხშირად მაღალი განათლების მქონეც არის. (ამჟამად ხალხური

ნაწარმოების მასებში გატანის მრავალი საშუალება არსებობს, რომელთაგან აღსანიშნავია მასიური თვითმოქმედება, ოლიმპიადები, ჟურნალ-გაზეთები, რადიო და ტელევიზია, ზეპირსიტყვიერების კრებულების გამოცემა და სხვა“ (ქართული ხალხური..., XII, 1980: 8). ვფიქრობთ, ტრადიციული ფოლკლორის ბედის გადაწყვეტაში განსაკუთრებული როლი ითამაშა მართლაც რევოლუციურმა აღმოჩენამ, ხმის და გამოსახულების ფიქსაციამ, რომელიც საფუძვლად დაედო ახალი კომუნიკაციური საშუალებების, პირველ რიგში, კინოსა და ტელევიზიის აღმოცენებას. უკვე XX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა პირველი ვიდეო და აუდიოჩანაწერები. მაგნიტოფონზე, ფირზე ჩაწერილი ფორმები კი ისევე მოქმედებენ ფოლკლორზე, როგორც ავტორის ტექსტები. გრამაფონით, მაგნიტოფონით, ტელე და კინო-ეკრანით გავრცელებული სიმღერის ტექსტები ერთგვარი მაკონტროლებელი ინსტანციაა ფოლკლორისა, რადგან ჩაწერილი და შემდეგ მოსმენილი სიმღერები სპობენ ვარიანტებს, ვერსიებს. სცენა, რადიო, ესტრადა, ეკრანი, პროფესიული და თვითმოქმედი ხელოვნება უკვე ფიქსირებულ რეპერტუარს იყენებს, ე. ი. აღარ იყენებს იმ ტექნიკას, რასაც ფოლკლორული შემოქმედება ტრადიციულად გულისხმობდა. ამდენად, სავსებით ლოგიკურია დასკვნა, რომ 'წერა-კითხვის საყოველთაო მცოდნეობისა და ტექნიკის განვითარების უმაღლესი დონის პირობებში ბუნებრივად დგება მხატვრული შემოქმედების იმ ფორმებისა და სახეების მდგომარეობის საკითხი, რომლებიც თავიანთი არსებობის მთელ მანძილზე უმთავრესად ზეპირ სიტყვასა და სიმღერას ემყარებოდნენ“ (ქართული ხალხური პოეტური...1973: 12). მართლაც, დაიკარგა ტრადიციული ფოლკლორისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი გარემო, ტრადიციულ მთქმელთა ინსტიტუტი და თვით ტრადიცია კი მოიშალა, მეხსიერება გაწყდა, ზეპირსიტყვიერებამ გადაინაცვლა არა მარტო წიგნში, არამედ ესტრადაზე, სცენაზე, ტელევიზორში, რადიოში, ბოლო ხანს - ინტერნეტში. ბუნებრივია, ასეთ ზეწოლას ვერ გაუძლო ტრადიციულმა ფოლკლორმა, რადიკალურად შეიცვალა, ხოლო მის გვერდით მყარად დამკვიდრდა, ან სულაც მისი ადგილი დაიკავა ახალმა ფორმებმა. უფრო კონკრეტულად, ცვლილება განხორციელდა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით. კერძოდ:

1) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრადიციული მონუმენტური ჟანრების გავრცელების არეალი მკვეთრად შეიზღუდა, ბევრი საერთოდ 'ხმარებიდან გამოვიდა“, გაქრა, რაც სულაც არ არის გასაკვირი თუ გავითვალისწინებთ, რომ ფოლკლორული ტექსტები ფუნქციონალურია, დაკავშირებულია ყოფასთან, გარკვეულ რელიგიურ-ეთიკურ შეხედულებებთან. როდესაც ეს გარემოებები გადის ასპარეზიდან, ისიც იკარგება. სწორად აღწერდნენ ვითარებას, როდესაც ამბობდნენ: 'დროის მცირე მონაკვეთში, რაღაც ორიოდე ათეული წლის მანძილზე, საქართველოში (და საბჭოთა კავშირშიც) რელიქტის მდგომარეობაში გადავიდა და დავიწყებას მიეცა რევოლუციამდელი ფოლკლორის ისეთი პოპულარული ჟანრები, როგორიც იყო სადღესასწაულო-კალენდარული პოეზია, სასულიერო ლექსები და ლეგენდები, სამეურნეო-საწესჩვეულებო სიტყვიერება, შელოცვები, რეკურტული მოთქმანი, მითები, ყაჩაღთა ლაშქარ-სიმღერები“ (ქართული ხალხური პოეტური...1973: 14).

2) გადარჩენილი ტრადიციული ფორმები მხოლოდ ნაშთია 'ძველი დიდებისა“, ფრაგმენტები, ნამსხვრევები, აჩრდილები დიადი წარსულისა. მათი მცირე ნაწილი აქა-იქ მეხსიერებამ შემოინახა, ხოლო უდიდესი ნაწილი მხოლოდ იმის წყალობით გადარჩა, რომ თავი შეაფარა წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, აუდიო და ვიდეო-ჩანაწერებს. ოდესღაც

საწესჩვეულებო, რიტუალურ-საკულტო, მაგიური, შრომისა თუ სხვა ყოფითი ფუნქციით აღჭურვილი ტექსტები ახალ პირობებში ინერციის ძალით აგრძელებს ცხოვრებას და საბოლოოდ დავიწყებისთვისაა განწირული. ამასთან, ბუნებრივ გარემოს მოწყვეტილი, პირვანდელ ფუნქციადაკარგული, მაგრამ ასე თუ ისე მაინც გადარჩენილი რეპერტუარი, ადაპტაციას განიცდის ახალ რეალობაში, ამ რეალობის შესაბამისად ტრანსფორმირდება. თემატურად გადახალისებულ ტექსტებში წინა პლანზე გამოდის მოქალაქეობრივი პათოსი და ესთეტიკური ფუნქცია. მათში მკვეთრად არის გაზრდილი იმპროვიზაციის, ინდივიდუალურ-შემოქმედებითი საწყისის როლი. ცვლილება თვალსაჩინოა თვით ისეთ მყარ, კონსერვატულ ჟანრშიც კი, როგორიცაა ზღაპარი. გამოცდილ შემკრებ-ფოლკლორისტს მხედველობიდან არ გამორჩება, რომ დღევანდელი მთქმელი, არც ისე იშვიათად, ტრადიციულ გარემოში ზეპირად ტრანსლირებულ და მოსმენილ-დამახსოვრებულ ტექსტს კი არა გვიყვება, არამედ რომელიღაც ზღაპრების კრებულში წაკითხულ-დასწავლილ ოპუსს.

3) ცვლილება-გადაჯგუფება აისახა ჟანრთა იერარქიაში. დაწინაურდა და ოდესღაც პრივილეგირებული ჟანრების ადგილი დაიკავა ისეთმა ფორმებმა, რომლებიც ადრე ჟანრთა იერარქიულ რეპუტაციაში შედარებით მოკრძალებულ ადგილს ჯერდებოდა. მ. ჩიქოვანი მიუთითებდა თანამედროვე ხალხურ პოეზიაში შაირისა და კაფიას დაწინაურებაზე (ჩიქოვანი, 1982: 3-4). პროზაულ ჟანრთაგან პროდუქტიულია ზეპირი ისტორიები, ავტობიოგრაფიული, ნოველისტური, იუმორისტული, სატირული თხრობები, მემორატები და ფაბულატები. სოფლად მყარად მოიკიდა ფეხი ურბანული ფოლკლორის ფორმებმა, მაგალითად: ქალაქურმა სიმღერებმა და ანეგდოტმა, პოლიტიკურმა და კრიმინალურმა ფოლკლორმა. ამათგან განსაკუთრებით პოპულარული ანეგდოტია, რომელიც ნეოფოლკლორის ჟანრულ სტრუქტურაში დღეს წამყვან პოზიციას იკავებს.

4) ტრადიციული სიტყვიერების გაქრობის ან ტრანსფორმაციის კვალდაკვალ ახალი სიტყვიერება, ახალი ტექსტები, ზოგჯერ ჟანრებიც იქმნება. შენიშნულია, რომ '...ტრადიციულ ზეპირსიტყვიერებაში გადამწყვეტი ძვრები მოხდა. ჟანრთა შეფარდება, გარდაქმნა-გადამუშავების გვერდით დაიწყო ახალი სიტყვიერების შექმნა, მისი ორგანიზება“ (ქართული ხალხური პოეტური...1973: 10). ამასთან, '...ახალი სოციალური პირობებით შექმნილი და ნაკარნახევი პოეზია არც ძველი ჟანრებისა და ფორმის ჩარჩოებში ეტევა ყოველთვის“ (ქართველ მთიელთა...1958: 96). ზ. კიკნაძე შენიშნავს, რომ 'მხოლოდ ადამიანთა შუაგულის მქონე ჯგუფებს, თუნდაც მცირერიცხოვანს, ძალუძს შექმნას *lore* და შეინახოს იგი“. ეს შეიძლება იყოს თუნდაც '..ფრთიანი შემახილი, მოსწრებული ნათქვამი, რომელიც ანეგდოტში და 'ლეგენდაში“, იქნებ 'მითოსშიც“ გადაიზარდოს“. ამის საილუსტრაციოდ მკვლევარი იმოწმებს XX საუკუნის 30-40-იან წლებში ფეხბურთის გულშემატკივართა წრეში შექმნილ ფოლკლორის ნიმუშებს: 'დათუნაშვილის მითოსს“, ლეგენდას ბასკების მეკარეზე (კიკნაძე, 2006: 5). ანალოგიურად თავისი ფოლკლორი აქვთ ჯარისკაცებს (ე. ვირსალაძე მიუთითებს მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ფრონტის ფოლკლორში ცალკე ჟანრის, 'წერილი ლექსად“, აქტუალიზაციაზე (ვირსალაძე, 1958:100), მოსწავლეებს, სტუდენტებს, კრიმინალებს და ა. შ.

5) წერა-კითხვის მცოდნე, მეტნაკლებად განათლებული მთქმელის თვალში წიგნური სიტყვის ავტორიტეტი, რეპუტაცია უფრო მაღალია და, შესაბამისად, ის ორიენტირებულია უფრო ლიტერატურულ დისკურსზე, ვიდრე ზეპირზე. ზეპირი სიტყვა ხშირად ჰბაძავს,

ცდილობს თავზე მოირგოს წიგნური ენისა და პოეტური მეტყველების ნორმები თუ ფორმები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამის არაერთი თვალსაჩინო ნიმუშია დაბეჭდილი ზემოთნახსენებ ქართული ხალხური პოეზიის XII ტომში. მეტიც, მ. ჩიქოვანი ცალკე გამოყოფს 'ზეპირსიტყვიერების თვალსაჩინო ნაკადს“, რომელსაც 'ლიტერატურულ ფოლკლორს“ უწოდებს. მისი აზრით, 'ინდივიდუალურმა პოეტურმა შედევრებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს სახალხო მთქმელთა ესთეტიკაზე“ (ჩიქოვანი, 1986: 12). ე. ვირსალაძე მთიულეთ-გუდამაყრის ზეპირსიტყვიერებაში ცალკე გამოყოფს ლიტერატურული წარმოშობის ტექსტებს (ქართველ მთიელთა...1958: 627-630). ისინი მწიგნობრული და ზეპირ პოეტური ტრადიციის ჰიბრიდს წარმოადგენს. საილუსტრაციოდ იმ ნიმუშს მოვიტანთ, რომელსაც ქართული ხალხური პოეზიის XII ტომის შემდგენელ-რედაქტორები იმოწმებენ (ქართული ხალხური... 1980: 90):

'მოგესალმები სამგორო-
მომაქვს სალამი გვიანი,
გილოცავ გამარჯვებასა
მოხუცი ჭაღართმიანი“.

როგორც ვხედავთ აქ სახეზე გვაქვს ლიტერატურული, წიგნური წყაროს ფოლკლორიზაცია, ვაჟა-ფშაველას პოემა 'ბახტრიონის“ ცნობილი სიტყვების ალუზია ('მოგესალმებით ქედებო, მომაქვს სალამი გვიანი, ჩემსამც სამარეს ამკობენ, შენი დეკა და ღვიანი“). თანამედროვე სოფლის ზეპირსიტყვიერ მიმოქცევაში ასევე ფართოდ არის წარმოდგენილი წიგნური წარმოშობის გახალხურებული ციტატები, ანდაზა-აფორიზმები, ფრთიანი გამოთქმები და სხვა.

6) XX საუკუნის კულტურის, მათ შორის ფოლკლორის, ფორმირებაში უდიდესი როლი ითამაშა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებმა, განსაკუთრებით, მისმა აუდიო და ვიზუალურმა ფორმებმა. ისინი ახდენენ მასკულტურის კულტივირებას, რამაც საგრძნობლად შეზღუდა არა თუ ფოლკლორის, არამედ თვით პროფესიული ხელოვნების სასიცოცხლო სივრცე. მასკულტურამ, რომელიც ბევრი არსებითი ნიშნით ჰგავს ფოლკლორს (სტანდარტულობა და შაბლონურობა, გამეორებაზე ორიენტირება, სტრუქტურა, რომელიც ადვილად ფორმალიზდება და ლოგიკურ სიმბოლოებში გამოიხატება), მკვეთრად შეავიწროვა ეს უკანასკნელი, განდევნა და კულტურულ პერიფერიაში მიუჩინა ადგილი, ხოლო გამოთავისუფლებული სივრცე თავად დაიკავა. თანამედროვე სოფელი მასკულტურის ისეთივე მომხმარებელია, როგორც ქალაქი. საგულისხმოა, რომ მასკულტურა, ერთი მხრივ, ფოლკლორით საზრდოობს, ხოლო, მეორე მხრივ, თავადაც უხვად გასცემს და ჰკვებავს მას. ხშირად იმის გარკვევაც ჭირს, სად მთავრდება მასკულტურა და სად იწყება ფოლკლორი ან პირიქით.

რადიო, კინო, ტელევიზია, ინტერნეტი ამარაგებს და ამდიდრებს ფოლკლორს ახალი თემებით, მოტივებით, სიუჟეტებით, სახეებით, სიმბოლოებით, მყარი სამეტყველო ფორმებით, ტექსტისქმნადობის პრინციპებით. მაგალითად, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან საოცარი პოპულარობა მოიპოვა სიმღერამ 'ასეთია ქურდი კაცის ბედი“ კინო-ფილმიდან 'განაჩენი“ (ფილმი ეკრანზე გამოვიდა 1959 წელს. სიმღერის ტექსტი ეკუთვნის პეტრე გრუზინსკის, მუსიკა-ბიძინა კვერნაძეს). სიმღერის ტექსტი მალე რუსულ ენაზე ითარგმნა და გავრცელდა უზარმაზარ ტერიტორიაზე, მთელს საბჭოთა კავშირში. სიმღერა, რომელიც კრიმინალური ფოლკლორის ლამის საკულტო ტექსტად იქცა, სრულდებოდა

სრულიად უწყინარ, არაკრიმინალურ გარემოშიც, როგორც ქალაქში, ისე სოფლად და ცოტას თუ ახსოვდა მისი თავდაპირველი წყარო, მითუმეტეს - ავტორები. არანაკლებ პოპულარობით სარგებლობდა ზეპირ ბრუნვაში მოქცეული ანეგდოტები შტირლიცზე, დათა თუთაშხიაზე, აგრეთვე, ცალკეული ციტატები, ფრაზები, ფრთიანი გამონათქვამები, რომელთა წყაროს წარმოადგენდა ცნობილი ტელე-სერიალები - 'გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ და 'დათა თუთაშხია“. პოპულარული ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმები უდევს საფუძვლად მთელს საქართველოში გავრცელებულ საბავშო ფოლკლორის ნიმუშს:

'იპოლიტე ხვიჩია
ფეხბურთელი ბიჭია,
გაიტანა გოლი,
გაახარა ცოლი“.

არაერთი მსგავსი მაგალითის მოტანა შეიძლება, თუმცა, ვფიქრობთ სურათი ისედაც ნათელია: მასკულტურა და მისი გავრცელების საშუალებები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ახალი ფოლკლორის ფორმირებაში.

7) სოფლის სოციალური ტრანსფორმაცია, მწიგნობრობის მასობრივად გავრცელება, მასკულტურის მოძალება, ტექნოლოგიური ცივილიზაცია თანამედროვე ფოლკლორს განამსგავსებს ტექსტის რეპროდუქციის, ტრანსმისიის, ფუნქციონირების აქამდე, ადრე არსებული ტრადიციისაგან. ეს კი მას გადააქცევს პროცედურად, კოლაჟად სახეებისა, სტერეოტიპებისა, ფორმულებისა, რომლებიც მომდინარეობს სხვადასხვა წერილობითი, ზეპირი, ვიზუალური ინფორმაციის წყაროებიდან. ვრცელი თხრობები ადგილს უთმობს მეტნაკლებად ფრაგმენტირებულ ნარატიულ კლიშეს, ტექსტ-სიგნალს, რომელიც იმდენად ინფორმაციას კი აღარ გადმოგვცემს, არამედ მიუთითებს თავის წყაროზე. ვრცელი ნარატივების რღვევასთან ერთად, იზრდება სახისა და ფაქტის სემიოტიკური ეფექტურობა. რადიკალურად შეიცვალა ჟანრები, მათი განლაგება, აღმოცენდა ახალი ჟანრები. მწიგნობრული და ზეპირი ტრადიციების დაპირისპირება ისეთ როლს აღარ თამაშობს, როგორც ადრე თამაშობდა. თემატური გადახალისების კვალდაკვალ, ტექსტებში მკვეთრად გაძლიერდა ინდივიდუალურ-შემოქმედებითი საწყისი და ამ მხრივ ფოლკლორული ნაწარმოები ლიტერატურას დაემსგავსა. მაგალითად, ზღაპარში არა მარტო ახალი რეალიები აისახება, არამედ მათში იმპროვიზაციული ელემენტიც ძლიერდება. ასეა სხვა ჟანრებშიც. საგრძნობია ტექსტებში სატირული პათოსისა თუ მოტივების წინა პლანზე წამოწევა. მცირდება განსხვავება სოფლისა და ქალაქის ზეპირსიტყვიერებათა შორის, ყოველ შემთხვევაში, სახეზეა მათი ინტეგრაციის პროცესი. შესაბამისად, ნეოფოლკლორი გვევლინება, როგორც მთელი მასის, მთელი მოსახლეობის შემოქმედების ნაყოფი და საერთო-სახალხო ხელოვნება.

ვფიქრობთ, ზემოთ ჩამოთვლილ-განხილული მხოლოდ არსებითი ნიშნებიც მოწმობს, რომ ნეოფოლკლორი, როგორც ფაქტი, კულტურული მოვლენა, უკვე შედგა და ის არსებობს. მაგრამ მაინც უნდა დავსვათ კითხვა: რამდენად მყარია მისი ტრადიცია, უკვე არსებობს ჩამოყალიბებული სახით თუ კვლავ ჩამოყალიბების პროცესშია, შესაძლებელია თუ არა მისი სრულფასოვნად აღწერა და ლოგიკურ სქემებში ფორმალიზება? ამ კითხვებზე მეტ-ნაკლებად სრულყოფილი პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, საჭიროა გაცილებით ვრცელი და ამომწურავი, სრულყოფილი სურათის მომცველი ემპირული მასალა. ასეთი მასალა კი, სპეციალური ინტერესიდან გამომდინარე, პრაქტიკულად დღემდე არავის

შეუკრებია და, შესაბამისად, არც არსებობს. სპეციალისტები და ენთუზიასტები დღესაც კრებენ და სწავლობენ აქა-იქ შემორჩენილ, ასე ვთქვათ, მხოლოდ 'პრივილეგირებული“ ჟანრების ნიმუშებს, ტრადიციულ ფოლკლორს რომ მიეკუთვნება. ყურადღების მიღმა რჩება ტექსტები, რომლებიც ჩვენს ირგვლივ არსებობს, ან სულაც ჩვენ თვალწინ ყალიბდება, მაგრამ ფოლკლორული წესითა თუ კანონით ცხოვრობს. მიუხედავად ამისა, ის მწირი მასალაც კი, რომელიც ხელთ გვაქვს, აგრეთვე, ცოცხალ პროცესზე ემპირული დაკვირვება გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ, მართალია, ნეოფოლკლორი, ტრადიციულ ფოლკლორთან შედარებით, ნაკლებსტრუქტურირებულია, ნაკლებმონოლითურია, მაგრამ ის უკვე არსებობს, როგორც ტრადიცია. ფოლკლორული ტრადიცია არის ტექსტების ტრანსმისია, მათი შესვლა ტრადიციაში, ათვისება და განხორციელება. შესაბამისად, როცა ახალწარმონაქმნი ტრადიციის სახეს იღებს ან იცვლება არსებული ტრადიციის მიხედვით, უკვე ფოლკლორთან გვაქვს საქმე. ცხადია, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ, ჯერ ერთი, ტრადიციის ჩამოყალიბება არ ხდება ნახტომისებურად, არამედ მისი ცალკეული ელემენტები აღმოცენდება მანამ, სანამ მთლიანად ტრადიციის კონსტრუირება მოხდება. მეორეც, ტრადიცია მუდამ მდიდრდება ახალ-ახალი შენაკადით. მაგალითად, ნეოფოლკლორის ფორმირებაში სულ უფრო მეტ როლს თამაშობს ინტერნეტი, რომელიც როგორც ტრადიციული, ისე ახალი ფოლკლორული ფორმების არა მარტო ტრანსლირების, არამედ რეპროდუცირების საშუალებაა. მაგალითად, კაფიობა, ეს ძველი, ტრადიციული ჟანრის ნაწარმოები 'დღევანდელ პირობებში“, ცოცხალ ყოფაში იშვიათად სრულდება, მაგრამ, სამაგიეროდ, გადაინაცვლა ინტერნეტში (მახაური, 2016: 500-501). უფრო მეტი, დღეს უკვე თამამად საუბრობენ, რომ ჩამოყალიბდა კულტურის ახალი ფორმა ე. წ. *Internetlore*.

პოსტფოლკლორი: ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის ქალაქური კულტურა დღემდე რჩება როგორც ერთგვარი *terra ingoknita*. ჩვენი კულტურის ეს დიდი და მნიშვნელოვანი ფრაგმენტი, როგორც შედარებით ახალი სივრცე ფართო ჰუმანიტარული კვლევებისათვის, დღემდე ელოდება სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს: ლინგვისტებს, ფოლკლორისტებს, ეთნოლოგებს, სოციოლოგებს, ფსიქოლოგებს. ქალაქური კულტურის, კერძოდ, მისი ვერბალური ტრადიციების უმნიშვნელოვანესი ნაწილია ე. წ. ურბანული, 'ასფალტის“ ფოლკლორი, რომელსაც აღნიშნავენ სპეციალური ტერმინით - პოსტფოლკლორი (ნეკლიუდოვი, 1995: 4). ტერმინი 1995 წელს პირველად გამოიყენა პროფესორმა ნეკლიუდოვმა და, შეიძლება ითქვას, მან დღეს უკვე მოიპოვა საერთაშორისო აღიარება.

ქალაქური ფოლკლორი, იგივე პოსტფოლკლორი, სტრუქტურულად, შინაარსობრივად, ფუნქციურად დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ტრადიციულ ფოლკლორთან და ნეოფოლკლორთან, ხოლო, მეორე მხრივ, მასობრივ კულტურასთან. (არსებობს გარდამავალი ფორმები, რომლებიც მიეკუთვნება როგორც ერთს, ისე მეორეს). ამიტომ, პირველ რიგში, საჭიროა დადგინდეს პოსტფოლკლორის ტიპოლოგიური მიმართება კულტურის აღნიშნულ ფორმებთან. კერძოდ: სოფლის ფოლკლორი მოიცავს მთელს აქაურ კულტურას, მონოლითურია, მკაფიოდ გამოკვეთილი ჟანრული სისტემით, მაშინ როცა, ქალაქური ფოლკლორი ფრაგმენტული და ამორფულია, უფრო მეტად არის ახლოს წერილობით ფორმასთან, მკაფიოდ გამოკვეთილი ავტორისეული საწყისით., სოფლის ფოლკლორი რეგიონალური და დიალექტურია. ის არის ერთი რეგიონის, სოფლის, ოჯახის

ტრადიცია, მაშინ როცა, ქალაქური ფოლკლორი სოციოლექტურია, ერთი სოციალური ჯგუფის შიგნით არსებობს და არ აქვს ტერიტორიული შემოსაზღვრულობა.

ასევე სპეციფიკური მიმართება არსებობს პოსტფოლკლორსა და მასკულტურას შორის. როგორ გავარჩიოთ ისინი ერთმანეთისაგან? მაგალითად ქალაქური სიმღერა ფოლკლორია თუ მასკულტურა? ცხადია, სანამ სიმღერის ავტორი ახსოვთ, ის ფოლკლორად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ნაწარმოები, რომელიც ხვდება ზეპირბრუნვაში და ტრანსფორმირდება ფოლკლორული ყოფის შესაბამისად, უკვე ფოლკლორია. ასევე, როდესაც ესტრადაზე ფუნქციონირებს ფოლკლორული 'ციტატა", მარამ შეცვლილი აქვს ფუნქცია და კულტურული კონტექსტი, რაც მექანიკურად იწვევს მის მორფოლოგიურ გარდასახვას, უკვე ფოლკლორი აღარ არის. ამის გარდა, მასკულტურა იდეოლოგიურად პოლიცენტრულია. ის იქმნება პროფესიონალების მიერ გასაყიდად და, შესაბამისად, თავის "პროდუქციას სერიულად აწარმოებს". პოლიცენტრულია პოსტფოლკლორიც, ფრაგმენტირდება სოციალური, პროფესიული, კლანური, ასაკობრივი, გენდერული დაყოფის შესაბამისად, არსებობს და ფუნქციონირებს სუბკულტურის, გარკვეული სოციალური ჯგუფების შიგნით, მაგრამ იქმნება ამ ჯგუფების მიერ არა გასაყიდად, არამედ საკუთარი მოხმარებისათვის. შესაბამისად, ის არ ხასიათდება 'სერიული წარმოებით", როგორც მასკულტურა.

ისე, როგორც ტრადიციულ ზეპირსტყვიერებასა და ნეოფოლკლორში, პოსტფოლკლორშიც გამოიყოფა ჟანრები. კერძოდ, ეს არის: ანეგდოტი, ქალაქური სიმღერები, ლეგენდები, მემორატები და ფაბულატები, ზეპირი ისტორიები, ურბანული მითოლოგია (ქალაქური დემონოლოგია), მცირე ჟანრები: პარემია, ფრაზეოლოგიური კლიშეები, კინო და სარეკლამო ციტატები, ეპისტოლარული ფორმულები, მილოცვები, სურვილები, ჭორი, უპოვართა თხოვნები, ე. წ. წერილობითი ფოლკლორი (პარაფოლკლორი): გრაფიტები, ხელნაწერი დღიურები (მაკარაძე, 2016: 496-497). მათში კარგად იხატება ქალაქელის სამყაროს სურათი (მაკარაძე, გაბეჩავა, 2015: 5-15).

როგორც ყოველგვარი სინკრეტული კულტურა, პოსტფოლკლორიც არ არსებობს სუფთა რეპერტუარის, მხოლოდ ვერბალური ტექსტის ან წეს-ჩვეულების სახით. ის ფუნქციონირებს მთლიან, ერთიან სემიოტიკურ ანსამბლში, ხშირად ურბანული წეს-ჩვეულების შიგნით. ეს გარემოება დღის წესრიგში სვამს ურბანული რიტუალებისა და სპონტანური კულტურული არტეფაქტების შესწავლის ამოცანას.

სავარაუდოა, რომ საქართველოს ქალაქებში უძველეს დროში, ყოველ შემთხვევაში, შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა ზეპირსიტყვიერი ტრადიციები. ამ პროცესს, ურბანული პროცესების დაჩქარების კვალდაკვალ, ინტენსიური სახე აქვს XIX - XX საუკუნეში. ქართული პოსტფოლკლორის კლასიკური ნიმუშია ყარაჩოხელთა სიტყვიერება და ტრადიციები, რაც ჩინებულად აღწერა ცნობილმა პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა. საგულისხმოა, რომ ავტორი გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავად იყო ამ კულტურის მატარებელი, შიგნიდან ჭვრეტდა მას და, შესაბამისად, მისეულ დაკვირვებებს ინტრა-კულტურული ხასიათი აქვს.

ი. გრიშაშვილი სწორად შენიშნავს: 'ბევრს ჰგონია, რომ ფოლკლორი მხოლოდ სოფლებში ინახება. ქალაქშიც არის. ამას კი თავისდადება უნდა, შესწავლა, გამომზეურება" (გრიშაშვილი,1985:137). პოეტის მოწოდება მოწოდებად დარჩა. 'თავისდადება", 'შესწავლა", 'გამომზეურება" მართლაც არ დაჰკლებია ტრადიციულ ფოლკლორს, მაგრამ არა ურბანულ

ფოლკლორს, რომელიც დღესაც შეუსწავლელია, ზღაპრის გერის მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი კულტურის ეს მნიშვნელოვანი ფრაგმენტი. მითუმეტეს რომ, როგორც ი. გრიშაშვილი აღნიშნავდა, უკვე XIX საუკუნიდან თბილისში 'ნელინელ იჭრებოდა ცივილიზაცია, თბილისი ევროპიელდებოდა“ (გრიშაშვილი, 1985:150) პოეტის სინანულით ადევნებს თვალს იმას, რომ '...თვალსა და ხელს შუა ქრება და ისპობა ძველი თბილისის ეგზოტიკური ნატიფობა, ყარაჩოღელთა ისტორიული სამოქალაქო თუ საოჯახო ადათები და ქალაქური ზეპირსიტყვაობის ძარღვიანი ნიმუშები“... (გრიშაშვილი, 1985: 183). ეს გულისტკივილი ი. გრიშაშვილის მთელს შემოქმედებაში აღიბეჭდა, მაგრამ განსაკუთრებით შთამბეჭდავად - პოეტურ აღსარებაში, რექვიემში - 'გამოთხოვება ძველ თბილისთან“.

ი. გრიშაშვილის 'ესთეტიკურ მოგზაურობა“ ქალაქური ფოლკლორის სამანებში გამოცდილი ფოლკლორისტის ალღოს ემყარება. მისი აზრით, თბილისური 'ცოცხალი სიტყვის“ ძალა, ხიბლი, მიმზიდველობა რომ შევიგრძნოთ, აუცილებელია, '...გავითვალისწინოთ ის არე, ის თბილისი და ის ყოფის ამსახველი ცხოვრება, რომელიც მათი შემოქმედების წყარო იყო და რომელმაც წარმოშვა ძველი თბილისის ეგზოტიკა და ქალაქური ხალხური პოეზიის თავისებურება“ (გრიშაშვილი, 1985: 153). ამიტომ არის, რომ პოეტი ასე წვრილად, გატაცებით აღწერს თბილისური ყოფისათვის დამახასიათებელ ცოცხალ ტრადიციებს: ყეენობას, ამქრობას, აშუღობას, კრივს, აბანოს, ყავახანებს, ქუჩის სხვადასხვა წარმოდგენას (ნაღლი, ყარაგიოზი). ეს ყველაფერი ავსებდა იმდროინდელი თბილისის ქუჩებს, 'სალხინო ბაღებს“, მტკვრის სანაპიროებს და ჰქმნიდა '...თავისებურ კულტს, ერთგვარ რელიგიურ სიმთვრალეს, რომელიც თბილისელებს ავგაროზივით უსვენიათ გულზე და თვალის ჩინივით უფრთხილდებიან ამ ყარაჩოღელთა ლოთურ ტრადიციულ თავდავიწყებას“ (გრიშაშვილი, 1985: 195). აი აქ, ამ გარემოში ჰგიებდა მხატვრულ-პოეტური სიტყვა: ლექსები, ანდაზა-აფორიზმები, გამოცანები, სადღეგრძელოები, ხატოვანი, ფრთიანი გამოთქმები, ზღაპრები, არაკები, ლეგენდები, თქმულება-გადმოცემები, რომელთა არაერთ ნიმუშს იმოწმებს პოეტი თავის მართლაც ფასდაუდებელ ესეისტურ ნაშრომში.

პოსტკლასიკური ფოლკლორის შესწავლა, თავისი ნეოფოლკლორითა და, განსაკუთრებით, პოსტფოლკლორით, შესაძლოა, მიჯნა აღმოჩნდეს ზეპირსიტყვიერების კვლევაში ტრადიციული შეხედულებების ტრანსფორმაციისა და მთელი რიგი დოგმატური წარმოდგენების მსხვრევის პროცესში. ფოლკლორის ნაირგვარი დეფინიცია ისედაც აჩენს არაერთ გაურკვევლობას კონკრეტული კვლევების დროს (სიმართლის მარცვალს შეიცავს ერთი მოსწრებული, ირონიანარევი გამონათქვამი: ფოლკლორი არის ის, რასაც იკვლევენ ფოლკლორისტები!). მითუმეტეს, ტრადიციულ დეფინიციების საზღვრებში ვეღარ თავსდება პოსტკლასიკური ფოლკლორი. ამიტომ, პირველ რიგში, დღის წესრიგში დგას ფოლკლორის თავდაპირველი, რომანტიკული, აგრეთვე, საბჭოთა გაგების დაძლევის, თვით ფოლკლორის ცნების შინაარსის გაფართოებისა და კვლევის ახალი პარადიგმის მონიშვნის ამოცანა. ეს ფოლკლორისტიკას გამოიყვანს 'ნოსტალგიური“ მეცნიერებების რიგებიდან, როდესაც მთლიანად წარსულის იმ მოვლენის შესწავლით არის დაკავებული, რომელიც, აწმყოში უკვე აღარ ან, ყოველ შემთხვევაში, იმ სახით არ არსებობს, როგორც ადრე. თანამედროვე ფოლკლორისტიკამ, რელიქტის მდგომარეობაში გადასული სოფლის ტრადიციული ფოლკლორის გვერდით, უნდა შეისწავლოს კომუნიკაციის ახალი, მრავალფეროვანი და პროდუქტიული ფორმები, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. მათ

შორის, ე. წ. ლიტერატურული ფოლკლორი, საერთოდ, სიტყვიერების არალიტერატურული ფორმები, ხელნაწერი ტრადიციები, გრაფიტები, რეკლამები, პლაკატები, ლოზუნგები, *Internetlore* , რომელთა რეპლიკაციაც ფოლკლორში აქტიურად მიმდინარეობს.

Folklore Studies

Post-classical Folklore

Elguja Makaradze

The era of classical folklore has started in the 19th century and ended in the 20th century. The foundation of the monumental oral traditions has fallen. The folkloric environment and then folklore itself have radically changed. New traditions were born, on the one hand, neo-folklore in a village, and on the other, post-folklore in the city.

The social transformation of the village, Education, spreading of the pop-culture, technological civilization turned the folklore of the modern village into the procedure or even collage of images, stereotypes, formulas which stems from different oral, visual or written sources. The extensive narration changed with fragmentary narrative stereotypes, messages;

Disposition of genres has also been altered, the themes renovated and the individualism strengthen as well.

The article defines the characteristic of the urban folklore (post-folklore) and outlines its main peculiarities. The peculiarity of the post-classical folklore inevitably requires to extend the meaning of the term *Folklore* and to overcome its romantic, Soviet understanding.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ბარდაველიძე, 1998: ჯონდო ბარდაველიძე, ლიტერატურამდელი ხალხური ლექსი, კრებული ლიტერატურული ძიებანი, XIX, თბილისი.
2. ბარდაველიძე, 1999: ჯონდო ბარდაველიძე, ხალხური ლექსი მწერლობის ჩამოყალიბების შემდეგ, კრებული ლიტერატურული ძიებანი, XX, თბილისი.
3. ბარნოვი, 1989: გურამ ბარნოვი, წერილები, თბილისი.
4. გრიშაშვილი, 1985: იოსებ გრიშაშვილი, თხზულებანი, III, თბილისი.

5. ვაჟა-ფშაველა, 1937: ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი.
6. კიკნაძე, 2006: ზურაბ კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბილისი.
7. მაკარაძე, 2013: ელგუჯა მაკარაძე, ტექსტის ტრანსმისია ფოლკლორში (ბალადური ნარატივის მიხედვით), კრებული ფილოლოგიური მაცნე, I, თბილისი.
8. მაკარაძე, გაბეჩავა 2015: ბათუმის გრაფიტები, კრებული ფილოლოგიური მაცნე, III, თბილისი.
9. მაკარაძე, 2016: თანამედროვე ქალაქის ზეპირსიტყვიერი ტრადიციები, მეშვიდე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბილისი.
10. მახაური, 2016: კაფიობის ტრადიცია ყოფასა და ინტერნეტსივრცეში, მეშვიდე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბილისი.
11. ქართველ მთიელთა...1958: ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, მთიულეთ-გუდამაყარი, ტექსტების მომზადება, რედაქცია, გამოკვლევა და შენიშვნები ელენე ვირსალაძისა, თბილისი.
12. ქართული ხალხური...1980: ქართული ხალხური პოეზია, XII, თბილისი.
13. ქართული ხალხური პოეტური...1960: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ნაწილი პირველი, თბილისი.
14. ქართული ხალხური პოეტური...1973: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ნაწილი მესამე, თბილისი.
15. ჩიქოვანი, 1982: მიხეილ ჩიქოვანი, თანამედროვე ქართული ხალხური პოეზიის ჟანრები, კრებული ქართული ფოლკლორი, თბილისი.
16. ჩიქოვანი, 1986: მიხეილ ჩიქოვანი, ხალხური შემოქმედების ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბილისი.
17. ხახანაშვილი, 1905: ალექსანდრე ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, I, ტფილისი.
18. ნეკლიუდოვ 1995: Неклюдов С. Ю., После фольклора, Живая старина, 1, Москва.

მუჰაჯირობის თემა მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში

გურამ ბახტაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მუჰაჯირობის პროცესი ავად მოსაგონარი რეალობაა ჩვენი ერის ისტრიაში. ამ მოვლენისადმი ინტერესი დღესაც არ განელებულა. ისტორიკოსები, ეთნოლოგები, ენათმეცნიერები, ფოლკლორისტები, სოციოლოგები თუ სხვა დარგის მკვლევარები კვლავაც განაგრძნობენ მის შესწავლას.

ბუნებრივია, მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა 'მუჰაჯირობის“ მიმართ გულგრილი ვერ დარჩებოდა. მართლაც, 80-იანი წლებიდან ეს პრობლემა აქტუალურ თემად იქცა. პრესამ შემოგვინახა მდიდარი მასალა, რომლის გაცნობაც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა აღნიშნული მოვლენისადმი დამოკიდებულებას. რასაც ქართული საზოგადოების ეროვნული გრძნობის გამოღვიძება და შექმნილი კრიზისული ვითარებიდან გამოსავალზე ფიქრი უნდა მოჰყოლოდა. მდგომარეობას ართულებდა ერთი მხრივ ოსმალეთის შორსგამიზნული პოლიტიკა - 'რაც შეიძლება მეტი მაჰმადიანი ქართველი მიეზიდა ოსმალოს უდაბურ ველებზე დასასახ-ლებლად“ (სვანიძე 1996:11), მეორე მხრივ - რუსეთის სურვილი აჭარა სწრაფად დაცლი-ლიყო მკვიდრი მოსახლეობისაგან: 'მთავრობა იმის ცდაში იყო, რაც შეიძლება მეტი გადმოესახლებინა შიდა რუსეთიდან და დაებინავებინა; მკვიდრნი აეყარა და სხვაგან გადაეგდო, აქაურობას მოეშორებინა“ - შენიშნავს დიდი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი და ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითი მოაქვს (კლდიაშვილი 1984:40)

ასეთ ვითარებაში ქართული მწერლობა ყოველნაირად ცდილობს - უზარმაზარი იმპერიების ურთიერთ ჭიდილს თავისი ერის შვილები გამოსტაცოს როგორმე. ცნობილია, რომ 1879 წლის თებერვალში ილია ჭავჭავაძე ჟურნალ 'ივერიის“ მე-2 ნომერში აქვეყნებს 'შინაურ მიმოხილვას“, სადაც შეშფოთებას გამოთქვამს 'მუჰაჯირობის“ დაწყების გამო. ილიას არ უნდა ეს ყველაფერი დაიჯეროს, მაგრამ იმედი აქვს, რომ ქართველობა არ დაუშვებს შემოერთებული აჭარის ხელახალ დაკარგვას. 'ქართველობავ ნუ იქ მაგ სამარცხვინო საქმეს... ხელი გაუწოდე შენს დებსა და ძმებსა... თუ მართლა აჭარა აიყრება და გადასახლდება, საკვირველი რამ იქნება... თუ ეს სამარცხვინო საქმე მოხდა და აჭარა გადასახლდა, ბრალი იმათ უნდა დავდოთ, ვინც მოხელეთაგანი აქამდე მიიყვანს საქმეს“.(ჭავჭავაძე 1957: 360) ამ სტატიის დაბეჭდვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიმუჰაჯირული მოძრაობის გააქტიურების თვალსაზრისით. სწორედ 'შინაურმა მიმოხილვამ“ განსაზღვრა პრობლემის აქტუალურობის ხარისხი. ქართულმა

საზოგადოებამ გულისყურით დაუწყო ამ მოვლენას თვალის დევნება. პრესაში მატულობს პრობლემის ირგვლივ მსჯელობა.

ერთ-ერთი პირველი ვინც, გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძის წამოწყებას, იყო ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე **პარმენ ჭანიშვილი.** ყურადღებას იპყრობს გაზეთ 'დროებაში“ დაბეჭდილი მისი კორესპონდენცია 'ქობულეთი“. ავტორი ამ პროცესს 'შამშეს“ უწოდებს და განმარტავს, რომ მუჰაჯირობის გამომწვევ სხვადასხვა მიზეზს ზედ ერთვის თურქეთის მხარის მზაკვრული პოლიტიკა, რომელიც არ გამორიცხავდა ძალადობას, რათა ადგილობრივი მოსახლეობა ოსმალეთისაკენ დაძრუყლიყო. მაგალითისათვის მოაქვს ერთი ფაქტი: '160 ცხენოსანი გაუგზავნია დევრიშ ფაშას ზემო ქობულეთში და აჭყვისთავში, რომ ყველა მცხოვრები ძალით გამოერეკათ. ეს ამბავი ნური ბეგმა აცნობა **გრ. გურიელს** და შემწეობა სთხოვა, რადგანაც ხალხს წასვლა არ უნდოდა“. (ჭანიშვილი, 'დროება“: 1878 N190) ამავე წერილში ვკითხულობთ, რომ გრიგოლ გურიელს გაურეკავს თურქები, ხოლო სოფლების მცხოვრებლები უკან დაუბრუნებია. პარმენ ჭანიშვილი წერილის მეორე ნაწილში აღწერს ოსმალეთში საცხოვრებლად მიმავალი ქართველების გულის შემაწუხებელ სურათს.

მუჰაჯირობის პროცესს აშუქებს აგრეთვე **ივანე გვარამაძე.** იგი შენიშნავს, რომ საქართველოს, თუ დაკარგული მიწები მთლიანად დაუბრუნდებოდა, მაშინ გადასახლებაც არ მოხდებოდა: 'უკეთესი ის იქნებოდა საზღვარი გასულიყო არზრუმის და ტრაპიზონის მახლობლად. მაშინ ჩვენი ნათქვამი ახალციხის 24 მაზრა ჩვენკენ დარჩებოდა და აღარც აჭარლები აიგდებდნენ გულს ოსმალეთისაკენ გადასახლებაზე“ (გვარამაძე, 'დროება“: 1878 N-43).

აქვე უნდა განვიხილოთ **სოლომონ ასლანიშვილის (ს. ბავრელის)** დამოკიდებულება მუჰაჯირობის მიმართ. ს. ბავრელი მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწეა. იგი აქტიურად თანამშრომლობდა 'დროებასა“ და 'ივერიასთან“. იგი იდეებით ახლოსაა სამოციანელებთან. მისი პუბლიცისტური საქმიანობა ძირითადად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან იყო დაკავშირებული.

პუბლიცისტი მუჰაჯირობის მიზეზად აჭარლებისადმი გამოვლენილ გულგრილობას მიიჩნევს: 'ქართველებმა რით დაანახეს, რომ აჭარლების მოძმენი იყვნენ. ამ შემთხვევაში ჩვენმა ახალგაზრდობამაც ვერ აასრულა თავისი მოვალეობა. იმათი 'ახი“ და 'ოხი“ ფუჭად დარჩა განა ასე შეგვფეროდა? გაუნათლებელმა თათრის მოლებმა აჯობეს ჩვენს ახალგაზრდა განათლებულებსა“. (ბავრელი, 'დროება“: 1879 N-208). ს. ბავრელი ასევე აკრიტიკებს მოხელე-ჩინოვნიკებს: 'არ იქნა ჩვენ თავი ვერ ვაყვარეთ მძიმე გადასახადებისა, დამოჟნის და მოხელე-ჩინოვნიკების გამო“.(იქვე). რგორც ვხედავთ, სტატია მამხილებელი ტონითაა გამსჭვალული. ამგვარი ტენდენცია, გარკვეული მოსაზრებით, დამახასიათებელი ხდება მე-19 საუკუნის 80-იანი წლების ქართული პუბლიცისტიკისათვის.

ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება **ლევან მჭედლიშვილის** პუბლიკაციებში 'წერილები აჭარიდან“, სადაც აჭარა მიჩნეულია სამოთხის მსგავს ქვეყნად. მისი აზრით, ჩვეულებრივი ადამიანი ვერ ვერ აღწერს ამ კუთხის სილამაზეს. ავტორი წუხს, რომ ეს მშვენიერი რეგიონი საქართველოსი იცლება მკვიდრი მოსახლეობისაგან და ვერანდება. ლ. მჭედლიშვილიც ამის მიზეზად ქართველი ინტელიგენციის მხრიდან გამოვლენილ გულგრილობას მიიჩნევს: 'იმან, რომ არ ვიცოდით, რანაირად მოვქცეოდით ამ ხალხს, იმ

გზაზე დააყენა ესენი, რომ აუღიათ თავი და მიდიან წყალში ჩასაცვივნლად. არა აქვსთ იმედი, არა ჰყავთ დამშოშმინებელი და იმედი სმომცემი“. (კრაზანა, 'დროება“: 1879 N-177).

ს. ბავრელისა და ლ. მჭედლიშვილის განხილული სტატიებისაგან შინაარსობრივი თუ იდეური თვალსაზრისით თითქმის არ განსხვავდება სერგი მესხის ვრცელი წერილი - **'რა გავაკეთეთ ბათუმში“.** ავტორი იხსენებს თბილისში 1878 წლის 20 ნოემბერს გამართულ ნადიმს, სადაც სუფრის წევრები მგზნებარე სიტყვებით ულოცავდნენ ერთმანეთს აჭარის სამშობლოსთან შემოერთებას. მაგრამ მისი თქმით ეს აღტაცება დრომ მალე გაანელა და როდესაც ჯერი კონკრეტულ საქმეზე მიდგა, დაპირებების შესრულება არავინ ისურვა - 'ამის შემდეგ რაღად უნდა გვიკვირდეს, რომ იმათ ჩვენ ვერ გვიცნეს ნამდვილ ძმებად“. სტატია მთავრდება მოწოდებით: 'ნაპოვნი ძმა ხელახლად არ უნდა დავკარგოთ!“(ს. მესხი `დროება’ 1880^ ~4&)

ამავე აზრის შემცველია ვინმე მესხის (ივანე გვარამაძე) პუბლიკაცია. სადაც ავტორი შენიშნავს, რომ 'ოსმალოს საქართველოს შემოერთებამ დიდი სიხარული მოჰგვარა ყველას, ლამის საფლავებზე მიდიოდნენ და ჩასძახოდნენ: 300-400 წლის დაკარგული ძმები დაგვიბრუნდნენო, მაგრამ ახლა აღარავის ახსოვს იმათ გასაჭირი. ისინი გარბიან ოსმალეთში ამ მიზეზის გამოძიებას და მოსპობას არავინ ფიქრობს“ (ვინმე მესხი, 'დროება“: N 1880, 196).

ამრიგად, ერის მთელი ყურადღების მობილიზების მიზნით, მე-19 საუკუნის პუბლიცისტიკა საზოგადოებას სიფხიზლისაკენ მოუწოდებდა და ყურადღების მოდუნების უფლებას არ აძლევდა. მით უფრო მაშინ, როცა საქმე აჭარის პრობლემებს ეხებოდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა რიცხვში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ზაქარია ჭიჭინაძეს. იგი მწერალთა და პუბლიცისტთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელმაც აჭარის საკითხი ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად აქცია. ზ.ჭიჭინაძის აჭარისა და აჭარლებისადმი გულთბილი დამოკიდებულება ყველა ქართველისათვის ცნობილია. აჭარის სახელით ჭიჭინაძის მიმართ მადლიერება არაერთ წიგნსა და საგაზეთო სტატიაში გამოიხატა.

ზ.ჭიჭინაძის თანამედროვე ალ. ფრონელის (ალ. ყიფშიძის) სიტყვებით, 'ზაქარია პეტრე უდაბნოელს მოგაგონებდათ, რომელსაც ერთ ხელში ჯოხი უჭირავს, მეორეში - წიგნები. აჭარის მკვიდრნი ძალიან აფასებენ მას. კალთებზე ეკორწიალებიან ბიძიავ, წიგნი გვაჩვენე და წერა-კითხვა გვასწავლეო“. ალ. ფრონელი, ამ შემთხვევაში სრულ სიმართლეს ამბობს. (ა. ფრონელი, 'ივერია“:1893, N-161.)

ზ.ჭიჭინაძე მუჰაჯირობის გამომწვევ მიზეზებთან ერთად მკითხველს მოუთხრობს უკვე თურქეთის სიღრმეში გადასახლებულ აჭარელთა შესახებ. მისი მიზანია, ერთის მხრივ მუჰაჯირთა მძიმე ყოფის ჩვენებით მაჰმადიან ქართველობას ხელი ააღებინოს გადასახლებაზე. მეორეს მხრივ კი - ქართული საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესის საგნად აქციოს ეს პრობლემა. არამარტო ზ. ჭიჭინაძე, არამედ სხვა ბევრი პუბლიცისტი ამახვილებს ყურადღებას უმძიმეს პირობებში ჩაცვენილი მუჰაჯირების ცხოვრებაზე. რომელთა დიდი ნაწილი ეპიდემიისა და სხვა მიზეზების გამო გზებში დაიღუპა.

ზაქარია ჭიჭინაძემ მუჰაჯირობის პრობლემას მრავალი წერილი და ბროშურა მიუძღვნა. ამ მხრივ საყურადღებოა მისი: 'ქართველები ოსმალეთში“, 'ჩაქვის ხეობა“, 'ქართველი მაჰმადიანები“, 'აჭარელი ფაშები“, 'ქართველი მაჰმადიანი ფაშები“ და სხვა.

ერთი სიტყვით, ზაქარია ჭიჭინაძემ ძალა და ენერგია არ დაიშურა, რომ ოდნავ მაინც შეენელებინა ქართველი მაჰმადიანების თურქეთში გადასახლება.

ქართველმა მწერლებმა, პუბლიცისტებმა და საზოგადო მოღვაწეებმა თავიანთი სიტყვითა და საქმით შემლეს მაჰმადიანი ქართველების შეგნებაში გარდატეხა მოეხდინათ, ეროვნული გრძნობა გაეღვიძებინათ და დაერწმუნებინათ ისინი სარწმუნოებრივ ხელშეუხებლობაში. მათი შრომა თანადათან იღებდა შედეგს. 'ოსმალოს ხასიათის მიტოვებას და თითქმის დღითიდღეობით ცვლილებას ხედავს კაცი ამათში, თითქოს დამთვრალი კაცი ფხიზლდებოდეს".(დ. წერეთელი, 'დროება", 1879: N-37) - წერს დავით წერეთელი.

მაჰმადიანი ქართველები იმედის თვალით მისჩერებოდნენ თბილისს. ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა აჭარელთა წერილები, სადაც ისინი შველას და მხარდაჭერას თხოულობდნენ. (იხ. ახმედ აღა გოგონოღლი, მოძმის აღსარება, 'დროება 1880, N-253).

არანაკლები სიცხადით ასახა მუჰაჯირობის პროცესი ქართულმა დოკუმენტურმა პროზამ. მოკლედ მიმოვიხილავთ რამდენიმე დოკუმენტურ ნარკვევს, რომელიც აღნიშნული მოვლენის განხილვას ეძღვნება.

1887 წელს გაზეთ 'ივერიაში" დაიბეჭდა მოგზაურული ჟანრის ნარკვევი 'ბათუმიდან სტამბულამდე", ნარკვევში ასახულია ავტორის მუჰაჯირებთან შეხვედრის შთამბეჭდავი სურათი. ტრაპიზონის ნავსადგურში მდგარ გემზე ავტორი გაიცნობს ორ ქობულეთელ მუჰაჯირს, რომლებიც აღტაცებულნი არიან თვისტომის ნახვით.

-საიდან ხარ? ეკითხებიან ისინი მგზავრს

-ქართველი ვარ, გურიიდან. როცა ვუპასუხე, მათ მთლად გაიხარეს". (საზღვარგარეთელი, (ფსევდონიმი), ბათუმიდან სტამბულამდე, 'ივერია",1887: N-221.) აღნიშნაშნავს ავტორი და შემდეგ მოგვითხრობს თუ რა მძიმე პირობებში უხდებათ ცხოვრება მათ, რომ ძალიან კი უნდათ სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ამის ნებას მთავრობა არ აძლევს და ა. შ. ამრიგად, ნარკვევი მკითხველის თვალწინ შლის მუჰაჯირობის მძიმე სურათებს.

საყოველთაოდ ცნობილია **დავით კლდიაშვილის** დოკუმენტური ნარკვევის - 'ჩემი ცხოვრების გზაზე", ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობის შესახებ, ამიტომ ძალიან მოკლედ ვიტყვით, რომ 'მემუარებში" მთელი სისრულით აისახა მუჰაჯირობის მიზეზები და მისი უარყოფითი შედეგები. დ. კლდიაშვილი გაბედულად აღნიშნავდა, რომ რუსეთი დაინტერესებულია, რაც შეიძლება სწრაფად დაიცალოს აჭარა, რათა იმპერიის სხვადასხვა გუბერნიიდან აქ ჩამოასახლოს ხალხი.

აქვე ორიოდე სიტყვით შევეხებით **გრიგოლ ორბელიანის** მიმართებას მუჰაჯირობის პრობლემისადმი. გრ. ორბელიანი აჭარის შემოერთებისადმი მიძღვნილ, თბილისში 1878 წლის 20 ნოემბერს გამართული ნადიმის დროს, კიდევ ერთხელ გამოხატავს იმ უდიდეს ისტორიული მოვლენის - აჭარის დედა-სამშობლოსთან შეერთების შედეგად განცდილ კმაყოფილებას.

პოეტმა პირველმა გამოთქვა შიში იმის თაობაზე, რომ ვაითუ რუსეთმა ისეთი პოლიტიკის გატარება დაიწყოს აჭარაში, რომელიც მათ შეაშინებს და დააფრთხობსო. გრ. ორბელიანის მიერ ლევან მელიქიშვილისადმი მიწერილ ბარათში ვკითხულობთ: დიდად

მეშინია, რომ აჭარაში არ დააფუძნონ ჩვენი მიროვოი სუდები, და ხალხი არ აღმოჩნდეს ახალს, შეუჩვეველ ხელში“&(მეუნარგია 1941:72)

ერისკაცის შიში, სამწუხაროდ, გამართლდა, - წერს ი.მეუნარგია, - თითქმის მთელი ყარსის მაზრა დაიცალა და წავიდა ოსმალეთს. აქვე მოჰყავს მას გრ. ორბელიანის წერილი, რომელიც დ. ი. მირსკისადმი მიუწერია პოეტს: 'სირცხვილი ჩვენთვის, რომ ვით ჭირიანებს, გაგვირბის ხალხი! მაშ, ამდენ სისხლს რაღას ვღვრიდით“.(იქვე :80)

გრ. ორბელიანის აზრით, სიბეცეა ხალხის ოსმალეთში გადასახლება მუსლიმანურ ფანატიზმს დავაბრალოთ. ორივე ამას ფანატიზმს ამიზეზებენ. რა სიცრუეა მიზეზი თვალითა სჩანს კარგადა“(იქვე :83).

გრ. ორბელიანი განსაკუთრებით წუხს აჭარის შესახებ. 'რიგი ახლა აჭარაზე მიდგა, ამ უძველეს საქართველოს ნაწილზე, რომელშიც დღემდე არის წმინდა ქართული ენა შემონახული, სადაც დღემდე არ მოსპობილა ნათესაური, მეზობლური და მეგობრული კავშირები საქართველოსა და იმერეთის მცხოვრებლებთან... ძველ ეკლესიებს სადაც განისვენებენ ჩვენი მეფეები... ხალხი დღესაც პატივს სცემს. სამწუხაროა მაგრამ ფაქტი კი უტყუარია“(იქვე :83).

როგორც ვხედავთ, გრიგოლ ორბელიანი აჭარასა და სხვა მიწებს, რომლებიც ოსმალოს ჰქონდა მიტაცებული, არ ივიწყებს. მისი პირადი წერილების განხილვა ადასტურებს, რომ ის, რაც ითქვა მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში აჭარის ირგვლივ, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულმა მემკვიდრეობამ მინიატურულად ასახა. თავისებურება მხოლოდ ისაა, რომ გრ. ორბელიანი, როგორც რომანტიკოსი პოეტი, აღნიშნული საკითხისადმი დამოკიდებულებას ამჟღავნებს პირად და არა პუბლიცისტურ წერილებში.

ასევე რუსეთ-თურქეთის ომის შედეგების მსვლელობის, მისი შედეგების მუჰაჯირობისა და სხვა საკითხებზე მსჯელობისას არ მალავს საკუთარ განცდებს და უხვად გამოხატავს ამ მოვლენებით გამოწვეულ სიხარულსა თუ ნაღველს.

მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში, ერთ-ერთი საინტერესო ლიტერატურული ფაქტია პეტრე უმიკაშვილის 'პატარა ახმედა“. აღნიშნული მოთხრობა მოკლედ განიხილა მკვლევარმა ვლადიმერ მგელაძემ (მგელაძე, საბჭოთა აჭარა, 1966, 07. 12.). მოთხრობა დღემდე გამოქვეყნებული არ არის. მისი ავტოგრაფი, (ვ. მგელაძის თქმით,) დაცულია თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში.

ვ. მგელაძის სტატიიდან ვიგებთ, რომ მოთხრობაში აღწერილია 1879 წელს აჭარის სოფელ დანდალოში გამართული 'ოლქობა“, ანუ სახალხო ყრილობა, სადაც ერთმანეთს შეეჯახა ორი საწინააღმდეგო პოზიცია: პირველნი სამშობლოში დარჩენის მომხრეები არიან, მეორენი კი - გადახვეწის. მოთხრობაში გამოკვეთილია აჭარელი გლეხის ტიპური სახე - თავით ფეხებამდე იარაღშია ჩამჯდარი და ჩაქურაშია გამოწყობილი. მისთვის დამახასიათებელია მჩქეფარე ლაპარაკი ბაასი და ქადაგება, წყრომა და ალერსი, ბუზღუნი და მოფერება“ (იქვე).

მე-19 საუკუნის მიწურულის მაჰმადიან ქართველთა წარსულსა და აწმყოს შეეხება, ილია ფერაძის მოთხრობა 'ელენე“. ილია ფერაძე ცნობილი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, პუბლიცისტი და მწერალია. ის მე-19 საუკუნის ბოლოს გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. დაინტერესებული იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს

ისტორიით. მან არაერთი ისტორიული ნარკვევი თუ გამოკვლევა მიუძღვნა ამ რეგიონს, კერძოდ, აჭარას.

ი. ფერაძის აღნიშნულ მოთხრობაში გადმოცემულია მე-19 საუკუნის 80-იანი წლების ამბავი. ამაზე მიგვითითებს ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟის, ელენეს სიტყვები, რომ მამამისი 6 წლის წინ, მუხაესტატესთან მომხდარი შეტაკების დროს დაიღუპა. მოქმედება მიმდინარეობს ბათუმის ოლქში, ერთ-ერთ ჭოროხისპირა სოფელში.

მოთხრობის სიუჟეტი ლავრენტისა და მომხიბლავი ელენეს სასიყვარულო ურრთიერთობაზეა აგებული და აჭარის სინამდვილეს ასახავს. ნაწარმოებში გამოკვეთილია ელენეს ძმის, ასანის სახე, რომელიც მკითხველის ყურადღებას იპყრობს თავისი მშვენიერი შესახედაობით. ავტორი მისი პირით გვაცნობს მუჰაჯირობის მძიმე შედეგებს. ოსმალეთში გადასახლების ყოველგვარი სისასტიკე ასანმა (ელენეს ძმა) საკუთარი თვალით ნახა და განიცადა. მიუხედავად ამისა, ბედმა იქ საკმაოდ გაუღიმა - ვაჭრობის წყალობით, ევროპის ბევრი ქვეყანა მოიარა, მაგრამ გულმა არ გაუძლო და მშობლიურ მიწას მოაშურა. ასანი თავის ძველ მეგობარს, ლავრენტის უყვება, თუ რა გაჭირვებაში ჩავარდა მაჰმადიანი ქართველობა: 'ყველა ეჭვის თვალით გვიყურებდა, ვინ არიან, რას მოეთრიენ აქ? მიწები ჩვენ არ გვყოფნისო - ბერძნებს იქ ვძულვართ, თათრები არ გვენდობიან, სომხები სასაცილოდ გვიგდებენ, მოგვცეს უნაყოფო მიწები. ბევრი უმიწოდ დარჩა და მოჯამაგირედ დაუდგა თურქებს. ბევრი დასნეულდა და წუთისოფელს უდროოდ გამოესალმა. განსაკუთრებით ბევრი ბავშვი დაიღუპა ...“(ფერაძე, 'ივერია“: 1900, N237)

ასანის სიტყვები მუჰაჯირობის რეალურ სურათს წარმოადგენს. ილია ფერაძე შეგნებულად ალაპარაკებს მას, რათა მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას ამ მოვლენის დამღუპველ შედეგებზე.

ელენე ვერ გაექცა თავისი დედის უგუნურ გადაწყვეტილებას. ამ უკანასკნელს კი გონება მოლა-ხოჯებმა დაუბნელეს. იგი ტოვებს თავის საკმაოდ კარგი შეძლების მომცემ კარ-მიდამოს.

სამშობლოსა და ლავრენტზე უზომოდ შეყვარებულმა ელენემ გადაწყვიტა ოსმალეთში წასვლის წინ თავი მოეკლა: იგი გადახტა ნავიდან, რომელსაც მისი ოჯახის ავლადიდება მიჰქონდა ბათუმისაკენ, სადაც ოსმალეთისკენ მიმავალ გემზე უნდა გადამსხდარიყვნენ.

ელენეს ტრაგიკული სახის შესახებ ავტორი კვლავ ასანს ათქმევინებს: 'ჩემი დის სახელი დიდხანს იცოცხლებს საქართველოში. ის არის მსხვერპლი ქართველი მაჰმადიანების შეცდომისა. მათი ცრუ ოცნებათა და ცრუ იმედებით გატაცებისა“(ფერაძე, 'ივერია“: 1900, N-237).

ამრიგად, მე-19 საუკუნის მწერლებმა და მოღვაწეებმა დოკუმენტური სიზუსტით გააშუქეს მუჰაჯირობის პროცესი; გადმოგვცეს თავიანთი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი და, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მის შესაჩერებლად გატარებულ ღონისძიებებში. მასალის ანალიზი ცხადყოფს გადასახლების მიზეზებსაც, რომლებიც ძალიან მოკლედ ასე შიძლება ჩამოყალიბდეს: რუსეთის სურვილი - ადგილობრივი მოსახლეობა მასობრივად წასულიყო ოსმალეთში; მოლა-ხოჯების აგიტაცია; ნაკლები ყურადღება მაჰმადიანი ძმების მიმართ.

Literary Studies

Muhajirism in the 19th Century Georgian Literature

Guram Bakhtadze

The Muhajirism started after the war between Russia and Turkey (1877-1878). This event became a viral disputable issue for the Georgian writers and public figures. The educated Georgians' attitude towards Muhajirism is clearly illustrated in Georgian press of 1970-80s. The analysis of the press of that period also reveals the reasons why the Georgian Muslims deserted their motherland.

ლიტერატურა და წყაროები

1. მიხეილ სვანიძე, ქართველები თურქეთში, თბ., თსუ გამომც., 1996.
2. დავით კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., გამომც., 'საბჭოთა აჭარა“ 1984.
3. ილია ჭავჭავაძე, თხზ., თბ.,სახელმწ. გამომც., 1957.
4. პარმენ ჭანიშვილი, 'ქობულეთი“ 'დროება“: 1878, N-190.
5. ვინმე მესხი - ივანე გვარამაძე, კორესონდენცია, 'დროება“: 1878, N-43.
6. ასლან ასლანოვი - ბავრელი, ჰაეროსტატი, 'დროება“: 1879, N-208.
7. ლევან მჭედლიშვილი - კრაზანა (ფს.),წერილები აჭარიდან, 'დროება“, 1879, N-177.
8. სერგეი მესხი,რა გავაკეთეთ ბათუმში?, @დროება#^ 1880^ N-4.
9. ვინმე მესხი - ივანე გვარამაძე, ახალი შენიშვნანი, 'დროება“,1880, N-196.
10. ფრონელი - ალ. ყიფშიძე, ზაქარია ჭიჭინაძე, 'ივერია“:1893, N-161.
11. ახმედ-აღა გოგონოღლი, მოძმის აღსარება, 'დროება 1880, N-253.
12. დავით წერეთელი, დღიური, 'დროება“, 1879, N-37.
13. საზღვარგარეთელი (ფსევდონიმი), ბათუმიდან სტამბულანდე, 'ივერია“,1887: N-221.
14. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, წ.1, თბ. 1941.
15. ვლადიმერ მგელაძე, პ. უმიკაშვილის გამოუქვეყნებელი მოთხრობა, საბჭ. აჭარა, 1966, 07. 12.
16. ილია ფერაძე, 'ელენე“ 'ივერია“: 1900, N-237

ჟურნალი ,,ცისფერი ყანწები'' , მანიფესტი, რეიტინგი და რეალობა

შოთა ზოიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ყოველ ლიტერატურულ მიმდინარეობას დრო წარმოშობს. XVIII საუკუნის ბოლოს დასავლეთში ფეოდალური საზოგადოების გოდებამ წარსულზე რომანტიზმი შვა, ხოლო ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ, იმავე დასავლეთში, კერძოდ საფრანგეთში, იმ სინამდვილის უარყოფით, რაც ხელოვნებისა და ცხოვრების გათიშვას მოჰყვა, დაიშალა სენტიმენტალიზმი. მას თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული დაცემულობის ლიტერატურულ მიმდინარეობასაც კი უწოდობდნენ. ზოგჯერ მოდერნიზმისა და ნეორომანტიზმის სახელითაც კი იცნობდნენ. რაც შეეხება ქართულ სიმბოლიზმს, იგი ირიბი გზით საქართველოში (ქუთაისში) რუსეთიდან შემოვიდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან XIX საუკუნეში ძალიან დიდი იყო ფრანგული ენისა და კულტურის გავლენა რუსულზე. ჩემს რომელიღაც ნაშრომში დაფიქსირებული მაქვს, რომ ყველაფერი, კარგიც და ცუდიც, საქართველოში ამ არხით შემოდიოდა. სწორედ რომ ამ გზოთ მოხდა XIX საუკუნის თბილისში ფრანგული ენის გაფეტიშება. მაშინ ქალიშვილი, რომელიც ,,ფრანცუცულად'' საუბრობდა, კარგ საპატარძლოდ ითვლებოდა.

XX საუკუნის პირველ მეოთხედში ქართული კულტურისა და პოეზიის სავანე ქუთაისი იყო. ამიტომაც სრულიად ბუნებრივად ახალი ლიტერატურული მიმართულება ქუთაისში ჩაისახა და არა - თბილისში. სიმბოლიზმის ნიშნები 1915 წლიდან მოჩანს ჩვენი პოეტების ლექსებში, მაგრამ იგი ორგანიზაციულად 1916 წელს გაფორმდა ჟურნალ ,,ცისფერი ყანწების'' გამოცემით. ამ ჯგუფებში შედიოდნენ ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, კოლაუ ნადირაძე, რაჟდენ გვეტაძე, შალვა აფხაიძე და სხვები. გარდა ,,ცისფერი ყანწებისა,'' მათი ლიტერატურული ორგანო იყო ჟურნალები ,,ბარიკადა'', ,,რუბიკონი'' და ,,ბახტრიონი.''

ცისფერყანწელების თემას არაერთი მკვლევარი და ღირსეული კალამი შეეხო. ქართულ სიმბოლიზმს თავისი სადოქტორო-საკვალიფიკაციო ნაშრომი (მონოგრაფია) მიუძღვნა პროფესორმა ნელი დუმბაძემ (იხ.დუმბაძე, 1973). დიდი ამაგი მიუძღვით ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორებს და არა მარტო მათ. ბევრი მათგანი დღეს ჩვენს კონფერენციას ესწრება. ცისფერყანწელთა ცხოვრებისა და შემოქმედების ე.წ. დარიანული ლექსების წარმოშობისა და ლეგენდების შესახებ ხანგრძლივი და უკომპრომისო პოლემიკაც კი გაიმართა, რომლის ერთ მხარეს წარმოადგენდა პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი. საკამათო ლექსების ავტორად მე ვერაფრით წარმოვიდგენ პაოლო იაშვილს. ჩემი ფიქრით, სიმართლე ჯავახიშვილის მხარესაა. ძალიან მნიშვნელოვანია მისი წიგნი ,,ელენე დარიანი - მითი და სინამდვილე.'' რაც მთავარია, ის ლექსები არაფერს ჰმატებენ პაოლოს პოეზიას.

პირიქით _ დისონანსად მოჩანს. მხატვრული ფერწერითაც არ ემთხვევა პაოლოს ხელწერას. თავის დიდებულ მონოგრაფიაში პაოლო იაშვილზე, რომლითაც ძეგლი დაუდგა პოეტს, პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, დარიანული ლექსების ავტორად პაოლო იაშვილს მიიჩნევს, მიუხედავად ამისა, დაეჭვებულია. ,,დარიანული ციკლის ლექსები,'' - წერს იგი. - ,,თემატურადაც და პოეტური ოსტატობის თვალსაზრისითაც, პაოლო იაშვილის პოეზიის თვისებრივად ახალ მნიშვნელოვან შენაკადს წარმოადგენს.“ აქ სიტყვა ,,შენაკადი“ მკლევარს შემთხვევით არ უხსენებია. ან კიდევ: ,, ელენე დარიანის დღიურებში რიტმულ-მუსიკალური მელოდიურობითა და პოეტური ხელწერით ხშირ შემთხვევაში არსებითად განსხვავდება პაოლოს სტილური ინდივიდუალობისგან და მკაფიოდ გამოვლენილი ორიგინალობითაა აღბეჭდილი'' (ნიკოლეიშვილი, 1995 :34). ესეც იმის მინიშნებაა, რომ ეს ლექსები არ თავსდება პაოლოს ჩარჩოში. აქ მკვლევრის კითხვები ლეგიტიმურია.

მინდა, უპირველესად მკითხველის ყურადღება ცისფერყანწელთა მანიფესტს მივაპყრო, რომელიც მათი ჟურნალის პირველ ნომერში დაიბეჭდა. მის მთლიან ციტირებას არ შევუდგები, რადგან საყოველთაოდ ცნობილია იგი. 1990 წელს გამომცემლობა ,,საქართველოს'' ქუთაისის განყოფილებამ აღადგინა და ერთად გამოსცა ,,ცისფერი ყანწების'' პირველი და მეორე ნომერი, რაც ძალიან მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩია. ყველაზე უფრო ღირებული, ორივე ნომერში დასტამბულ მასალებს შორის, ეს არის გალაკტიონ ტაბიძის ორი ლექსი ,,მთაწმინდის მთვარე“ და ,,ლურჯა ცხენები“. მე არ ვიცი, გამომცემლები - თავად ცისფერყანწელები მაშინ აცნობიერედნენ თუ არა, რომ ამ ლექსებით დაიწყო სრულიად ახალი ეპოქა ქართულ პოეზიაში და ასი წლის შემდეგაც დაუძლეველი მწვერვალია. რაც შეეხება პირველ ნომერში დასტამბულ სხვა ლექსებს, მოჭარბებული ეპითეტებით ვამკობთ. გრიგოლ რობაქიძის ,,სირენას სიმღერა'' და იოსევ გრიშაშვილის ,,სძინავს დედოფალს,“ ახლანდელითაც და გნებავთ, ასი წლის წინანდელი მკითხველის თვალსაზრისითაც თუ შევაფასებთ, საშუალო დონის ლექსებია და ტექნიკური გადაიარაღების ნიშან-წყალიც არ ატყვია. ცისფერყანწელებმა ვერც ,,ცისფერ ყანწებში'' დასტამბული ლექსებითა და ვერც შემდგომი პუბლიკაციებით ვერ შეასრულეს თავიანთი დანაქადნები, ნიაღვარივით ვერ მოედო საქართველოს მათი პოეზია. სამაგიეროდ, ის რაც ვერ შეძლო სიმბოლისტთა მთელმა დაჯგუფებამ, შეძლო ერთმა პოეტმა და ის ერთი გალაკტიონ ტაბიძე იყო, რომელიც მეგობრობდა ცისფერყანწელებთან, მაგრამ მათგან გარკვეულწილად დისტანციურად იყო დაკავშირებული.

პირველ ნომერში დასტამბული პაოლო იაშვილის ,,პირველთქმა,“ ფაქტობრივად, მათი მანიფესტია, რომლის თვისობრივ გაგრძელებას წარმოადგენს პირველ და მეორე ნომერში დაბეჭდილი ტიციან ტაბიძის ,,ცისფერი ყანწებით'. პაოლო იაშვილის ,,პირველთქმა“, რომელსაც ავტორი ქადაგებასაც კი უწოდებს, ასე იწყება: **,,მრავლის სასიკვდილოთ გავჩნდით ჩვენ ბინძურ მზით გამთბარ ქვეყანაში, სადაც ხალხმა დაჰკარგა შვენება სითამამისა**“ (ხაზგასმა ჩვენია - შ.ზ.). გაიგე რამე, პატივცემულო მკითხველო, ხაზგასმული სტრიქონებიდან?! ვერც მე გავიგე. სამაგიეროდ ძალიან კეთილშობილური მიზანი მოჩანს მომდევნო ფრაზიდან - ,,საქართველოს ლანდურ არსებას მოვევლინეთ ჩვენ ახალი სხივმოსილებით და ოცნება დაკარგულ ხალხს ვასწავლით განწმენდილ გზას ცისფერი ტაძრისაკენ“.

ძალიან ხმამაღალი განაცხადია. ეს არის გზა, რომლის გაკვალვას ბევრი თაობა ემსხვერპლა, ეს არის საკაცობრიო, ანუ ქრისტესმიერი გზა, რომელიც უდიდეს მსხვერპლს მოითხოვს. თავად იესო ქრისტეს ცხოვრება ამისი სწორუპოვარი მაგალითია.

ცისფერყანწელებში მსხვერპლის გაღების რისკ-ფაქტორი ზალიან მაღალია. ისინი არ უფრთხილდებიან და ჯიუტად წვრთნიან საკუთარ სულს სამსხვერპლოზე მისატანად. თუ როგორ შეძლეს ეს, ვფიქრობ, ამისი შეხსენება საჭირო აღარ არის. რადგან ყველაფერი ხელისგულზე დევს. არჩეული გზით წინსვლის უკომპრომისობა ზოგმა სიკვდილითაც დაგვიდასტურა. პაოლომ თავი მოიკლა. ტიციანი მოკლეს. ეს ორი სურათი ოცდაათიანი წლების პოლიტიკური მკვლელობის სერიალიდანაა. სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვა ქრისტიანული მორალის წითელი ხაზია.

ათიან წლებშიც და შემდგომაც, ცისფერყანწელები და მათი ჟურნალი აღვირახსნილი კრიტიკის ობიექტი იყო. კლასობრივი თეორიის იდეიდან გამომდინარე ქირდავდნენ ფილიპე მახარაძე, პლატონ ქიქოძე, ბენიტო ბუაჩიძე, ჟურნალ ,,ცისფერ ყანწებს" უდიდეს ლიტერატურულ დანაშაულად თვლიდნენ! იმ მცირერიცხოვან ავტორთა შორის, ვინც ცისფერყანწელებს იცავდა გრიგოლ რობაქიძე და კიტა აბაშიძე იყვნენ. საბედნიეროდ, რეპრესირებულთა რეაბილიტაციის შემდეგ, 50-იანი წლების შუახანებიდან სურათი შეიცვალა და რაც ადრე ნეგატივად ითვლებოდა, ახლა ხოტბის საგანი გახდა. მინდა აღვნიშნო, რომ ორივე შემთხვევაში, კრიტიკაც და ხოტბაც, განსაკუთრებით ჟურნალისა, ობიექტურობის ჩარჩოში არ თავსდება. არც ფრანგული სიმბოლისტების გაფეტიშება მოგვიტანს სიკეთეს. მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის უკან იაკობ ცურტაველის ,,შუშანიკის წამება" დგას, რომელმაც 1500 წლის წინათ ანტიკური ტრაგედიების შემდეგ, პირველმა დასვა ჯალათისა და მსხვერპლის პრობლემა. ჩვენს პოეზიას რუსთაველისა და გურამიშვილის ქარი უბერავს.

პაოლო იაშვილის პირველთქმა - მანიფესტში წინაურდება წარსულთან დაპირისპირება, რაც ტიციან ტაბიძის სტატიაში (,,ცისფერი ყანწებით") კიდევ უფრო გამძაფრებულია. პაოლო იაშვილი აღავლენს ,,ლოთი ძმების" ვერლენის, ბოდლერის, მალარმეს და არტურ რემბოს აპოლოგიას. მისთვის მნიშვნელოვანია ,,უარყოფის სილამაზე", ,,გმირული სიჩქარე", ,,დამსხვრეული იდუმალება", ,,მეზურნე მისტერიები", ,,სიკვდილის ძახილი" და ყოველლივე ეს ესახება თავისუფალი მომავლის გზად. მიმაჩნია, რომ ეს მათი ,,გაბედული აღსარება" ქაღალდზე დარჩა, ქაღალდზე დარჩა მანიფესტში გაცხადებული მათი თეზისები. სამართლიანად შენიშნავს აღდგენილი ჟურნალის წინასიტყვაობის ავტორი ვლადიმერ ყავლაშვილი: ,,ცისფერყანწელების" ლიდერთა ტრაგიკული ბედის გამო, ჟურნალი ,,ცისფერი ყანწები" ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად" იქცა. უფრო მეტიც: ისინი სრული სახით ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება".

ისევ პაოლო იაშვილს მოვუსმინოთ: ,,ჩვენ გვსურს შევქმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები. ჩვენ სიმღერებში თქვენ დაინახავთ მრავალ ფერებს, რომელთა ხალისიანი ცეკვა გააგიჟებს თქვენს მიძინებულ თვალთა ცქერას. ყოველი სიტყვა ჩვენი ლექსებისა ამაყობს თავისი სიცოცხლით ისე, როგორც ჩვენ ამიერიდან ვიამაყებთ ჩვენი ,,პირველთქმით", ჩვენი გაბედული აღსარებით" (ჟურ. ,,ცისფერი ყანწები"). ცისფერყანწელთა ლექსებიც და მანიფესტიც თავის დროზე სხვადასხვაგვარად აღიქმებოდა მკითხველებში, ზოგისათვის მისაღები და ბევრისთვის მიუღებელი იყო. ტიციანი ამბობს: ,,ეს მუხამბაზი არ იმღერება". პაოლოს სურს, სიმღერებში მრავალფეროვნება გამოავლინოს. აქვე მინდა განვაგრძო

ვლადიმერ ყავლაშვილის აზრი და ვთქვა, რომ შემდგომში მათი ტრაგიკული ბედის გამო, ბევრი რამ თუ არა, ზზოგი რამ გავაფეტიშეთ და ბევრი ჩვენი კომენტარი მათ შესახებ ვერ ან არ ასახავს ობიეტურ რეალობას. პაოლო იაშვილის ,,პირველთქმის" ანუ მანიფესტის გაგრძელებაა, როგორც უკვე ვთქვით, ტიციანის ,,ცისფერი ყანწებით". მგონი ჩვენს მწერლობაში პირველად ტიციანმა დააფიქსირა, რომ ვაჟა-ფშაველა ხელუხლებელი ბუნებაა. ტიციანი იმასაც ამბობს, ქართულ კრიტიკაში ერთმანეთში ერევათ სიმბოლიზმი, როგორც მეთოდი და სიმბოლიზმი, როგორც შკოლა, მაგრამ უფრო უარესია, როცა ირევა ერთმანეთში სიბოლიზმი და ალეგორია. იგი ასკვნის, რომ სწორედ აქედან დაიბადა ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტობის ლეგენდა. ტიციანი წერს: ,,ესთეტიკაში უფრო საგულისხმოა, რომ რუსთაველი იცავს პრიმატს მუსიკისას ლექსებში, რაშიც ის ხვდება ედგარ პოს და პოლ ვერლენს". რუსთაველი რომ ლექსებში მუსიკის პრიმატს იცავდა, ეს სიმართლეა, მაგრამ იგი ედგარ პოს და პოლ ვერლენს ვერ შეხვდებოდა, რადგან მაშინ ისინი დაბადებულნი არ იყვნენ. ტიციანი იმასაც წერს, რომ რუსთაველის შემდეგ უდიდესი პოეტია ბესიკი. ჩემთვის ახლაც გამოცანაა რატომ გამოტოვა რუსთაველის შემდეგ მართლაც უდიდესი და კინაღამ მისი ტოლი პოეტი დავით გურამიშვილი.

ცისფერყანწელებზე ადრე ლექსის ევროპული ინსტრუმენტი ნიკოლოზ ბარათაშვილთან ჩანს. ამის შესახებ ტიციანიც მიუთითებს. აგი ამბობს, რომ ,,საუკუნის პირველ ნახევარში გამოდის შკოლა, რომელსაც ევროპული კლასიფიკაციით რომანტიზმი ეწოდება". აქ არის მინიშნება იმის შესახებ, რომ ნ. ბარათაშვილმა ჩვენში შემოიტანა ევროპული პოეზიის ორკესტრის ინსტრუმენტი. უთუოდ მართალია ტიციანი, როცა ამბობს, რომ კიტა აბაშიძემ თავის ,,ეტიუდებში" ქართველი რომანტიკოსების ძველი ქართული პოეზიის ტრადიციები სპარსულის გავლენად ჩათვალა.

ამით ვამთავრებ ჟურნალის შესახებ საუბარს. ძნელი სათქმელია, რით და როგორ დამთავრდებოდა ცისფერყანწელი პოეტების შემოქმედებითი ცხოვრება, რომ არა სიმბოლისტური სახადი, რას დაკარგავდა და რას შეიძენდა მათი პოეზია. შორიდან კარგად ჩანს, რომ ცისფერყანწელთა შორის ყველაზე წარმატებული პოეტია ტიციან ტაბიძე. სტაბილურია მისი თემატიკური არეალი და მხატვრული ფერები. იგი კარგი პოეტია სიმბოლისტობის დროსაც და შემდგომ წლებშიც. რაც შეეხება ვალერიან გაფრინდაშვილს, კარგი პოეტია პირველ პერიოდში, ხოლო ცისფერყანწელობის შემდეგ გაუფერულდა მისი გამომსახველობითი საშუალებები. პაოლო იაშვილის შესახებ ბორის პასტერნაკი ამბობს, იაშვიოლი კარგი პოეტია ცისფერყანწელობის შემდგომ წლებში (Пастернак, 1985:236). ჩვენი ფიქრით, მის რეიტინგზე უარყოფითად იმოქმედა დარიანულმა ლექსებმაც. შეიძლება ამის გამო გამკიცხონ კიდეც, მაგრამ არაუშავს, როგორმე ამასაც გავუძლებ. მოხდენილად თქვა გურამ ასათიანმა: ,,ცისფერყანწელები სინამდვილეში იყვნენ სწორედ ის გულჩვილი, გასული საუკუნის იდეალებზე გაზრდილი ბავშვები, რომლებიც ახალმა საუკუნემ დიდი ქალაქის ქუჩებში გამოჰყარა და რომელნიც ამაოდ ცდილობდნენ ჭრელი ქაღალდის ნიღბებში დაემალათ თავიანთი შიში და რძწოლა ამ უცნობი სინამდვილის შესახებ. ესენი იყვნენ ადრე დაბერებული, წამებული ბავშვები, რომლებიც სულის სიღრმეში ატარებდნენ სიყვარულის, ალერსის, სათნოების მწვავე მოთხოვნილებას.

Literary Studies

Magazine 'Tsisperi Khantsebi' – Manifest, Rating, and Reality

Shota Zoidze

In 1916 the journal was published in Kutaisi, with the same name as the corporation. The authors that were published include Titsian Tabidze, Pailo Iashvili, Shalva Apkhaidze, Kolau Nadiradze, etc.

Only two copies of the journal were published, where Paolo Iashvili was the author of the manifest. The corporation existed till 1928. The rating of the poets because of their tragic fate was high, but only three or four poets were unable to fulfill their promise. The only one who was able to do this was Galaktion Tabidze, who made later befriended 'Tsisperkhantselebi'.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟურ. „ცისფერი ყანწები", გამომც. „საქართველო", თბ. 1990.
2. დუმბაძე, 1973 - ნელი დუმბაძე, ქართული სიმბოლიზმი, გამომც. „აჭარა", ბათუმი.
3. ნიკოლეიშვილი, 1995 - ავთ. ნიკოლეიშვილი, პაოლო იაშვილი, გამომც. „საწუთრო", ქუთ.
4. ნიკოლეიშვილი... 2004 - ავთ. ნიკოლეიშვილი, ო. გიორგაძე, ო. გვეტაძე, გ. ხოფერია, ბ. კუტივაძე, ზ. კიკვაძე, ხ. გულუა, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკის ნარკვევები, 1, ქუთაისი.
5. ასათიანი, 1977 - გურამ ასათიანი, კრიტიკული დიალოგები, წერილები, პორტრეტები, ესკიზები, თბ.
6. ზოიძე, 2013 - შოთა ზოიძე, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. მეორე, გამომც. „აჭარა", ბათუმი.
7. ქიქოძე, 1985 - გ. ქიქოძე, წერილები, ესეები, ნარკვევები, თბ.
8. სიგუა, 2002 - ს. სიგუა, ქართული მოდერნიზმი, თბ.
9. ქართული პოეზია, ტ. 12, თბ. 1982.
10. ჯავახიშვილი, 2001 - გ. ჯავახიშვილი, ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე, თბ.
11. Пастернак, 1985 – Б. Пастернак, Воздушные пути. წიგნში: წითელი მიხაკის ლეგენდა, თბ.

დისტოპიური რომანის გმირი

ნაზი ჯინჭარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თითქმის ყველა დისტოპიურ ნაწარმოებში მთავარი გმირი, პროტაგონისტი გამოხატავს მწერლის მთავარ სათქმელს. იგი არის ერთადერთი მთელ საზოგადოებაში, რომელიც ხედავს, რომ ისე არ არის ყველაფერი, როგორც თავს გვახვევენ, რომ უნდა გათავისუფლდნენ არსებული წნეხიდან და ისინი ხშირად მარტონი იბრძვიან ამ მიზნის მისაღწევად. ისინი არინ დადებითი პერსონაჟები მთელ ნაწარმოებში. ასეთები არიან მაკმიორფიკენ ჯიზის რომანში 'ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა", რომელიც იბრძვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არსებული 'brainwashing'-ის ანუ 'ტვინის გამორეცხვის" წინააღმდეგ; მონტეგი რეი ბრედბერის 'ფარენჰაიტი 451"- ში, სადაც ის გამოდის ე.წ ' მხსნელი მეხანძრეების" წინააღმდეგ. იგი წინააღმდეგია წიგნების დაწვის და საერთოდ არ იზიარებს საზოგადოებაში მასშტაბურად დამკვიდრებულ აზრებს და სტერეოტიპებს. მთავარი პერსონაჟია ასევე მწერალ ენტონი ბერჯესის რომანში 'მექანიკური ფორთოხალი", რომელიც წერს წიგნს მექანიკურ ადამიანზე, თანამედროვე საზოგადოებამ რომ შექმნა. პროტაგონისტია უინსტონი ჯორჯ ორუელის '1984"-ში, სადაც იგი გამოდის არსებული ტოტალიტარული რეჟიმის წინაშე, რომელიც საკუთარ აზრებსაც კი უკონტროლებს მოსახლეობას. პროტაგონისტია ფრედისა მარგარეტ ეტვუდის რომანში 'მხევლის წიგნი", რომელიც გრძნობენ რამხელა ტყუილში აცხოვრებენ, რომ მის და სხვა ქალების სხეულებს იყენებენ, რომ არაფერი შერჩათ ადამიანური.

თუმცა ხშირ შემთხვევაში პროტაგონისტების ბრძოლა უშედეგოა. ისინი ტრაგიკულად ამთავრებენ ცხოვრებას - ზოგი გიჟდება, ზოგი კვდება. თუმცა სწორედ მათი პირით გადმოსცემს ავტორი ნაწარმოების მთავარ მესიჯს და ისინი არიან მთავარი პერსონაჟები. რაც შეეხება ანტაგონისტს, დისტოპიურ რომანებში ანტაგონისტები ხშირად ან მთელი საზოგადოებაა, ან ხელისუფლება და მმართველი ფენა, ხოლო საზოგადოება ხშირად მორჩილ, ადვილად სამართავ ბრბოდ არის გამოყვანილი.

გმირი ხშირად თავს გრძნობს ხაფანგში მომწყვდეულად და ცდილობს გაქცევას იმ პოლიტიკური და სოციალური სისტემიდან, სადაც ის ცხოვრობს. ის გრძნობს რომ საზოგადოებაში ისე არ არის ყველაფერი, როგორც ყველა სხვა ხედავს და ცდილობს რომ საზოგადოების სხვა წევრებსაც დაანახოს იგივე. იგი არის ძლიერი ცენტრალური ფიგურა, რომელმაც უნდა გაარღვიოს ბარიერი და გამოიწვიოს განხეთქილება დისტოპიურ საზოგადოებაში.

არსებობს ორი სახის პროტაგონისტი. ერთი, რომელიც გრძნობს, რომ საზოგადოებაში რაღაც ძალიან ცუდადაა და იბრძვის მის შესაცვლელად, სჯერა, რომ შესაძლებელია დიქტატორული რეჟიმის დამხობა ან გაქცევა ამ საზოგადოებიდან. ხშირად მისი შეხედულებები აბსოლუტურად განსხვავდება მის ირგვლიმ მყოფი ხალხის

შეხედულებებისგან. იგი ხშირად მარტოსულია, იშვიათ შემთხვევაში მას ჰყავს რამდენიმე თანამოაზრე.როგორც მონტეგს ფაბერი და სხვა პროფესორები. ფრედისას რამოდენიმე მხევალი და მთელი 'მაისის დღის“ საიდუმლო ორგანიზაცია.უინსტონს ჯულია და საიდუმლო საძმო, რომელიც ზუსტად არავინ არ იცის არსებობს თუ არა.

პროტაგონისტები იმითაც არიან საინტერესოები, რომ ისინი წარმოადგენენ მთელი სისტემის კრახს, რომ სადღაც, რაღაც შეცდომა გაიპარა, რომ ჩვილობიდან წვრთნას, ძილში გამუდმებულ შეგონებებს, მედიკამენტებს და სხვადასხვა ლაბორატორიულ ექსპერიმენტს ადამიანის გონების სრული მართვა და ჩახშობა არ შეუძლია, რომ ადამიანი მაინც მოაზროვნე არსებაა და თავისუფლება სწყურია.ჰაქსლის 'ახალ საოცარ სამყაროში“ ვხედავთ როგორ მობეზრად ბერნანდს თავს მოხვეული 'ფორდმსახურება“ და მის თავისუფალ სულს ახალი შეგრძნებები სწყურია:

“Did you ever feel, as though you had something inside you that was only waiting for you to give it a chance to come out? Some sort of extra power that you aren’t using – you know like all the water that goes down the falls instead of through the turbines?'.

“I feel I’ve got something important to say and the power to say_ only I don’t know what it is? I try to teach my students how to write piercingly. However,what on earth is the good of being pierced by an article about a Community Song, or the latest improvement in scent organs? Can you say something about nothing? That is what it finally boileddown to. I try and I try…'

მეორე ტიპის პროტაგონისტი არის პატივცემული მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც თავად არის ამ დისტოპიური საზოგადოების წევრი და ნაწილი, თუმცა შემდეგ აცნობიერებს რა იმ საზოგადოების მანკიერებებს, რომელშიც ცხოვრობს და იბრძვის მის შესაცვლელად. აქედან გამომდინარე, დიტოპიურ რომანებს ახასიათებს ერთგვარი შერეული დასასრული (mixed bag endings). პროტაგონისტი აჩვენებს, რომ მათ უნდა იცხოვრონ სამყაროში, სადაც არსებობს კარგი და ცუდი და არა იმის ილუზია, რომ ყველაფერი იდეალურადაა. მათ უნდა შეძლონ ამის გარჩევა. თუმცა მკითხველს უჩნდება განცდა რომ ისინი ვერ შეძლებენ მათთვისუჩვეულო გამოცდილების სწორი მიმართულებით წაყვანას. მათთვის ხომ უცხოა ტკივილი, უსამართლობა, ცრემლი. მათ საზოგადოებაში ყველაფერი იდეალურადაა მოწყობილი ისე, რომ არავინ არ დაიტანჯოს.

გმირს დისტოპიურ სამყაროში უჩნდება იმდენად დიდი პროტესტის გრძნობა, რომ იგი შედის კონფლიქტში მთელს ხელისუფლბასთან და საზოგადოებასთან. მაგ: მონტეგი '451 ფარენჰაიტ“-ში იმდენად გრძნობს, რომ სიცრუეში ცხოვრობს, იმდენად გაუცხოებულია გარე სამყაროსთან რომ წარმოუდგენელ ამბოხს ბედავს, ხოცავს მის მეხანძრეებს და გარბის, გაურბისმექანიკურ ძაღლს, რომლისგან გაქცევა ფაქტიურად შეუძლებელია. მაგრამ მისთვის ასევე შეუძლებელია ამ სამყაროში ცხოვრება, სადაც არაფერი ადამიანური არ დარჩა, მხოლოდ მექანიკური ურთიერთობები.

ასევე გმირები მარგარეტ ეტვუდის 'მხევლის ამბავში“ ამბოხს აწყობენ არსებული სისტემის წინააღმდეგ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოირა 'წითელი ცეტრიდან“, რომელიც გაქცევას ბედავს ამ ჩაკეტილი სისტემიდან. იგი იჩენს საოცარ სიმამაცეს თავისუფლებისთვის. მისი დაჭერა კი ნიშნავდა გარდაუვალ სიკვდილს.

მებრძოლი გმირი არის აგრეთვე უინსტონი ორუელის '1984“-ში, რომელსაც მთელი ნაწარმოების განმავლობაში ახრჩობს არსებული რეჟიმი. მუდმივად ეძებს რაშია ჭეშმარიტება? რა მოხდა? როგორი იყო ცხოვრება მის ბავშვობაში? ეძებს ძველ ნივთებს.

ეძებს თანამოაზრეებს, თან აქვს შიში, რომ დაიჭერენ, აწამებენ, თუმცა არ შეუძლია შეჩერება. გრძნობს, რომ ეს ყველაფერი ცუდად დამთავრდება, მაგრამ არ შეუძლია შეჩერება.იგი ფარულ ბრძოლას იწყებს ხელისუფლების წინააღმდეგ.უინსტონი აღსანიშნავია იმითაც, რომ იგი ყველაზე უფრო ღრმა პერსონაჟია სხვა პროტაგონისტებს შორის. იგი საოცრად მგრძნობიარეა და მოვლენებს ძალიან მძაფრად აღიქვამს. მისთვის ფაქტიურად ჯოჯოხეთი ხდება ოკეანიაში ცხოვრება. მას ძალიან კარგად ესმის, რაც ხდება ირგვლივ და არ შეუძლია პარტიის მთავარ პრინციპს დაემორჩილოს:

"To know and not to know, to be conscious of complete truthfulness, while telling carefully constructed lies, to hold simultaneously two opinions, which cancelled out; knowing them to be contradictory and believing in both of them, to use logic against logic, to repudiate morality while laying claim to it, to believe that democracy was impossible and that the Party was guardian of democracy, that was the ultimate subtlety'.

დისტოპიური რომანის ეს გმირები ფაქტიურად არის გარანტია, რომ საზოგადოება სრულიად არ დაბრმავებულა, რომ სადღაც კიდევ არის საღი, განსხვავებული აზრი, რომელსაც თავისუფლება სწყურია და რომელიც მზად არის აჯანყებისთვის. ისინი არიან ერთადერთი ნათელი წერტილი იმ საშინელებათა სამყაროში, რასაც დისტოპია ჰქვია.

Literary Studies

A Hero in a Dystopian Novel

Nazi Jincharadze

Batumi ShotaRustaveli State University

The article deals with the main characters– protagonists - of a dystopian novel. They are mostly expressive characters in a way they see the reality they are living in. It is not in their nature to obey the rules of the totalitarian government. They struggle against the hidden brainwashing process that is taking place in the dystopian world. Their struggle is mainly unsuccessful. In the end, the government puts them into prison, tortures or kills them, but their struggle is very important, because they show that the society can survive only through resistance against violence. They show that something is false in the perfectly made dystopian universe; something does not work. All dystopian novels have their heroes and their role is essential.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Booker, Keith “The Dystopian Impulse in Modern Literature. Greenwood Press, 1994.
2. Gerber, Richard “Utopian Fantasy'. London, 1995.
3. Gottlieb, Erika. “Dystopian Fiction East and West: Universe of Terror and Trial. Montreal McGill Queen’s Press, 2001.
4. Haschak, Paul “Utopian and Dystopian Literature'. Scarecrow press, 1994.
5. Jameson, Fredric “The Desire Called Utopia and other Science Fictions'. London, Verso, 2005.
6. Tod, Ian “Utopia'. London, Orbis, 1978.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის 2016 წლის ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის მიერ განხილულ იქნა სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შესრულებული თემატური გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშების რეცენზიები, რომლებიც გადაეგზავნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესაბამის განყოფილებას.

შესწავლილ იქნა აჭარის სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მიღებული კვლევის თემატური გეგმით გათვალისწინებული მეთოდური უზრუნველყოფისა და ხარისხის საკითხები; საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო დაწესებულებების დეპარტამენტებს (სადაც ამის საჭიროება და აუცილებლობა მოითხოვს) მიეცათ წინადადება სასწავლო გეგმების შესრულების პარალელურად ჩართული იქნენ აქტუალურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში; შემუშავებული იქნა რეგიონში ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადებისა და სამეცნიერო-კვლევით საქმიაობაში მათი ჩართვის ეფექტური წინადადებები.

რეგიონული ცენტრის გეოგრაფიის, გეოლოგიისა და ექსტრემალურ-ეკოლოგიური დარგობრივი კომისიის მიერ შემუშავებული იქნა რეკომენდაციები და წინადადებები ცალკეულ პროექტებსა და პროგრამებზე, რომლებიც დაკავშირებულია ისეთი ექსტრემალური პრობლემების გადაჭრასთან, როგორიცაა ნაპირსამაგრი სამუშაოების დაგეგმვა, პროექტირება და პრაქტიკული განხორციელება, ინერტიული მასალების მოპოვება, ჰიდროტექნიკური ნაგებობების აშენება, ხელოვნური პლაჟების შექმნა, ტექტოგენური მოვლენების განვითარების მონიტორინგი და ა. შ.

ფიზიკა-მათემატიკის დარგობრივი კომისია სწავლობდა ტოპოლოგიურ რიცხვთა და უწყვეტ ასახვათა ჰომოლოგიურ ფაქტორებს, განზომილების ტიპის ფუნქციებს და მათ გამოყენებას. გაწეულმა სამუშაოებმა ასახვა სხვადასხვა პუბლიკაციებში, ფორუმებსა და კონფერენციებში, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში.

ქართული ენის, ლიტერატურის და ფოლკლორის კომისიის მიერ, მოეწყო ექსპედიციები და ჩატარდა კვლევები ისტორიული საქართველოს – კლარჯეთის ისტორიის, მატერიალური კულტურის ძეგლების, ეთნოლოგიის, ფოლკლორის, დიალექტოლოგიის, ტოპონიმიკისა და სხვა საკითხებზე. ჩატარებული კვლევების შედეგები აისახა სამეცნიერო გამოცემებში, მოეწყო სამეცნიერო ფორუმები და კონფერენციები.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების დარგობრივი კომისიის მიერ ჩატარდა კვლევები აჭარის რეგიონში მცენარეთა ბიომრავალფეროვნების გენეტიკური რესურსების გამოვლენის, დაცვის, შენარჩუნებისა და გამოყენების მიმართულებით.

საზღვარგარეთის ლიტერატურისა და ლიტერათურათმცოდნეობის დარგობრივი კომისიის წევრებმა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებმა, ადგილობრივ და უცხოურ გამოცემებში გამოაქვეყნეს 11 სამეცნიერო ნაშრომი.

დამთავრდა სამწლიანი სამეცნიერო-კვლევითი თემით გათვალისწინებული საკითხების შესწავლა, რომელიც ეხებოდა აჭარაში ექვსკბილა ქერქიჭამიისა და ხანძრის შედეგად განადგურებული ნაძვნარი კორომების ხელოვნურ და ბუნებრივ განახლებას. 2017 წლიდან დაიწყება მუშაობა სამეცნიერო-კვლევით თემაზე: „დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი ზონების ნიადაგურ-კლიმატური და აგროსაწარმოო პირობების შესწავლა ტყის კულტურებისა და სამრეწველო დანიშნულების პლანტაციების შექმნის მიზნით“.

აგრარულ სფეროში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვის სტიმულირების, ორგანიზაციულ-მეთოდური უზრუნველყოფის ეკონომიკური მოდელების დანერგვის სამუშაოთა მიმართულებით შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა აჭარის და მის მიმდებარე რეგიონების ცალკეულ ზონებში წარსული და

არსებული მდგომარეობა, აგრობიზნესის განვითარებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის ძლიერი და სუსტი მხარეები; ჩატარდა კვლევები სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწის ფონდის სხვადასხვა სექტორში გადანაწილების, მიწათმოქმედებისა და აგროსაწარმოო ბუნებრივი ზონების ნიადაგურ-კლიმატური პირობების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავებისა და ზემდგომ ორგანოებში წარდგენის მიზნით.

მრავალმხრივი ეკონომიკური კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებებიდან გამომდინარე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო კულტურების - ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების, მევენახეობა-მეღვინეობის, აბორიგენული და ინტროდუცირებული ძვირფასი ნაყოფის მომცემი მცენარეების, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის და ა. შ. ფართო მასშტაბით წარმოებას, რომლებიც ხასიათდება ფართობის ერთეულზე შრომითი და ფულად-მატერიალური დანახარჯებისა და შემოსავლის მაღალი დონით.

სათანადო ორგანოებს მიეცათ რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებს სოფლად ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის მცირე სიმძლავრის საწარმოო ობიექტების გახსნას, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების, შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებას, მშობლიურ სოფელში ცხოვრების პერსპექტივის შექმნას, მიგრაციის პროცესის შეჩერებას, სოფლად სასურსათო ბაზრის იმპორტზე დამოკიდებულების მნიშვნელოვან შემცირებას და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

ცენტრის მიერ მომზადდა და სათანადო ორგანოებს წარედგინა წინადადებები და შენიშვნები საქართველოს და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროების მიერ აგრარული სფეროს განვითარების პრობლემებთან დაკავშირებით შემუშავებულ სტრატეგიებზე.

ცენტრის მიერ რუსეთის ფედერაციის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ფედერალურ საბიუჯეტო დაწესებულებასთან - „რესურსდაზოგვისა და ნარჩენების მართვის პრობლემების სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან“ გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის საფუძველზე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო ბიზნესსტრუქტურების წარმომადგენლობით. მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებულია სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, დანერგვითი და სხვა მიმართულების ბიზნესპროგრამის განხორციელება. გათვალისწინებულია აგროსფეროში ციტრუსოვანთა ნაყოფის, ხურმის და სხვა სუბტროპიკული კულტურების ნედლეულის გადამუშავების საწარმოების შექმნის და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ერთობლივი სამუშაოების განხორციელება.

ცენტრი აქტიურად ჩაერთო დემოკრატიული მართვის განვითარების პროექტით გათვალისწინებული არსებული მდგომარეობის შესწავლის, ბიზნესის სხვადასხვა სფეროში სამეწარმეო საქმიანობის პროექტების შემუშავების მეთოდურ-ორგანიზაციული მასალების მომზადებასა და გადასაჭრელი პრობლემების განხორციელებაში აჭარის და გურიის რეგიონებისათვის.

შეიქმნა მონაცემთა ბაზა, გამოვლენილი იქნა რესურსები და ბაზრის სეგმენტები, რომელთა შეფასებაც შესაძლებელი იქნება საკუთარი და მოზიდული რესურსებით.

მიმდინარეობს კვლევები განათლების, მეცნიერების და ბიზნესის ინტეგრაციულ პრობლემათა შესწავლის მიმართულებით, რომელიც შეტანილ იქნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით თემატურ გეგმაში.

ტურიზმის განვითარების მიმართულებით შესწავლილ იქნა აჭარაში ზაფხულისა და ზამთრის პირობებში არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებისა და განვითარების პირობები. კვლევებმა აჩვენა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წარმოებული კვების პროდუქტები ვიზიტორთა შორის დიდ ინტერესს იწვევს. რეკომენდაცია მიეცათ ტურისტულ ორგანიზაციებს ბუნებრივი სამკურნალო ბალნეოლოგიური წყლების გამოყენების, სამთო სასოფლო ტურიზმის ეფექტიანად განვითარებისათვის.

რეგიონული ცენტრის, ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტ დიმიტრის ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა ოჯახური ტექნოლოგიებით დამზადებული ღვინოების მე-9 ფესტივალი, ასევე საერთაშორისო ღვინის ფესტივალი, რომელიც განსაკუთრებული იყო იმით, რომ მასში მონაწილეობდა არამარტო ქართველი, არამედ სხვადასხვა ქვეყნის მევენახე-მეღვინეებიც.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და თანადგომით უკვე მე-10 წელია მიმდინარეობს რეგიონული ცენტრის, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და „სოროპტიმისტ ინტერნაციონალის“ კლუბის - „ბათუმის“ მიერ ქართველ და აფხაზ ხალხს შორის, სახალხო დიპლომატიის კუთხით დაახლოების, შერიგებისა და საუკუნოვანი ტრადიციების აღდგენისათვის მიძღვნილი ღონისძიებები: ჩამოყალიბდა აფხაზი და ქართველი ახალგაზრდობის კავშირი, ბათუმის მუსიკალურ ცენტრში ჩატარდა ახალგაზრდობის კავშირის პირველი კონფერენცია თემაზე - „ჩვენ დავბრუნდებით“, სლოვენიასა და პოლონეთში მოეწყო ქართველი, აფხაზი და ოსი ახალგაზრდების ორკვირიანი ტურნე; ტრადიციად დამკვიდრდა წლის ყოველ 22 მაისს მუჰაჯირობის დროს მასობრივად დახოცილი აფხაზების ხსოვნისადმი მიძღვნილი მსვლელობა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ვახტანგ ყოლბაიას ინიციატივით ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატისათვის მომზადდა აჭარაში მცხოვრები აფხაზი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ფილმი; ყოველწლიურად ტარდება ფართომასშტაბიანი ღონისძიება - „ბათუმი ძმობისა და მეგობრობის ქალაქი“ და სხვა ღონისძიებები.

რეგიონულმა ცენტრმა ორგანიზება გაუკეთა აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გასვლითი სხდომის ჩატარებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში. სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის დაფუძნებასთან დაკავშირებით, რომლის ხელმძღვანელად (საზოგადოებრივ საწყისებზე) დამტკიცდა აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ვანო პაპუნიძე; გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონულ სამეცნიერო ცენტრს შორის. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრისა და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ მოეწყო ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე - „ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები – ისტორია და თანამედროვეობა“. გამოსაცემად მომზადდა გასვლითი სხდომის და კონფერენციის ანგარიში-კრებული.

რეგიონული ცენტრი იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას სახელის უკვდავსაყოფი წიგნის - „მამულისთვის თავდადებული“- მომზადებისა და გამოცემის, ქ. ბათუმის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩისათვის მისი სახელის მინიჭებისა და გმირის ბიუსტის დადგმის ერთ-ერთი ინიციატორი და მოთავე.

გამოიცა რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ჟურნალის პირველი ნომერი, მომზადდა მასალები მომდევნო ნომრის გამოსაცემად.

პროფესორი თემურ კარაპუტაძე

ცნობილი მეცნიერი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ კარაპუტაძე დაიბადა 1939წლის 29 მარტს საქართველოს უმშვენიერეს მხარეში, აჭარაში (სოფელი დაგვა). მისმა მშობლებმა ბატონმა მუსამ და ქალბატონმა ხატიჯემ ქვეყანას გაუზარდეს 10 შვილი (5 ვაჟიშვილი და 5 ქალიშვილი)

1958 წელს ბატონმა თემურმა წარჩინებით დაამთავრა ბობოყვათის საშუალო სკოლა, გაიარა სამხედრო სამსახური შუა აზიაში და 1961 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე. 1964 წელს იგი, როგორც წარჩინებული სტუდენტი, გადაიყვანეს სასწავლებლად მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1966 წელს და როგორც პერსპექტიული ქიმიკოსი იგი დატოვეს ცნობილი მეცნიერის, აკად. ვ. კაბანოვის კათედრაზე საასპირანტოდ. 1971 წელს ბატონმა თემურმა მოსკოვში წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მას მიენიჭა ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1971 წელს ბატონი თემური მიიწვიეს სამუშაოდ მსოფლიოში ცნობილ ერთ-ერთ საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და შემდეგ ლაბორატორიის ხელმძღვანელად, სადაც მსოფლიოში ცნობილ მეცნიერებთან აკად. ვ. კაბანოვთან, ნ. პლატესთან, დ. ტოფჩიევთან თანამშრომლობით რუსეთისა და საზღვარგარეთის რიგ რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში გამოაქვეყნა 200-მდე სამეცნიერო წერილი, მიიღო 150-მდე საავტორო მოწმობა გამოგონებაზე.

ბატონი თემურის ხელმძღვანელობით 20-მდე ასპირანტმა დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იგი მრავალი საერთაშორისო კონფერენციების და კონგრესების მონაწილეა, სადაც მისმა მოხსენებებმა სამედიცინო ქიმიაში დიდი მოწონება დაიმსახურა და გამოხმაურება ჰპოვა უცხოურსა და რუსულ პრესაში.

ბატონი თემური სტუმართმოყვარე და ძალზე გულისხმიერი ადამიანი იყო, მოსკოვში მისი სახლის კარი ღია იყო ყველა ქართველისათვის, მაგამ მაინც დიდი სიხარულით ის ხვდებოდა თავისი კუთხის ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს. ბევრ მათგანს მან გაუკაფა გზა მეცნიერებისაკენ და მზრუნველობას არ აკლებდა, ბევრს ფინანსურადაც ეხმარებოდა.

ბატონი თემური მოულოდნელად გარდაიცვალა გულის შეტევით 2016 წლის 17 ივნისს ქ. მოსკოვში. დასფლავებულია იგი თავის მშობლიურ სოფელში, დაგვაში, საგვარეულო სასაფლაოზე.

ბატონ თემურს დარჩა მისი საქმის გამგრძელებელი, ქალიშვილი ნინო, მოსკოვში მოღვაწე ცნობილი ქიმიკოსი.

ზნეობისა და სიკეთის განსახიერება
(თამარ ცხოიძე, დაბადებიდან 80 წლისთავი)

აჭარაში პირველ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას და მსოფლიოში ცნობილ ბათუმის ბოტანიკურ ბაღს ყოველთვის ამშვენებდნენ პიროვნებები, რომლებიც უხმაუროდ და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ მინდობილ საქმეს, ცდილობდნენ, თავიანთი წვლილი შეეტანათ ბოტანიკური ბაღის განვითარება-აღორძინებაში, მის ჩამოყალიბებასა და სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სანახაობრივი დანიშნულებით მსოფლიო არენაზე წარმოჩენაში.

დღეს, როცა სულიერ ღირებულებებს გადაგვარების საფრთხე ემუქრება, საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით- მომავალი თაობისთვის, საჭირო და სასარგებლო იქნება ჭეშმარიტ ფასეულობათა წარმოჩენა, თუნდაც ერთი ისეთი მაღალზნეობრივი ადამიანის ცხოვრებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მაგალითზე, როგორიც ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ექვსი ათეული წლის მანძილზე მოღვაწე ქალბატონი თამარ ცხოიძე გახლავთ, მას ახლახან დაბადების 80 წელი შეუსრულდა.

თამარ ცხოიძე დაიბადა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ქალბატონ რისიმესა და მაღალი ინტელექტითა და ყოველნაირი ღირსებით გამორჩეული კაპიტონ ცხოიძის ოჯახში. 1957 წელს, სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ, სიცოცხლითა და მომავლის იმედებით აღსავსე, სრულიად ახალგაზრდა გოგონა მუშაობას იწყებს ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მეთესლეობის ლაბორატორიაში მეთესლედ. 1958-1959 წლებში მუშაობდა მუშად, ხოლო 1960-1964 წლებში მებაღე-მეთესლედ, პარალელურად სწავლობდა და 1964 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მიიღო სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია. ქალბატონი თამარი 1965-1985 წლებში მუშაობდა მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, 1986 წლიდან 2005 წლამდე უფროს მეცნიერ თანამშრომლად, პარალელურად კი მეთესლეობის ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა.

2005 წლიდან 2014 წლამდე ქალბატონი თამარი ბაღის მთავარი დენდროლოგია, 2014 წლიდან -ბოტანიკური ბაღის ეგზოტურ მცენარეთა კოლექციის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტია. ღრმად და საფუძვლიანად იცის ბათუმის ბოტანიკური ბაღის ფლორისტული განყოფილებების მცენარეთა სახეობრივი შემადგენლობა, მათი ბიოლოგია. სამეცნიერო ინტელიგენცია ქალბატონ თამარს იცნობს როგორც ფართო დიაპაზონის პიროვნებას, წესიერების, სულგრძელობის, კეთილშობილების, მაღალი პასუხისმგებ-ლობისა და საქმისადმი თავდადების მისაბაძ მაგალითს. მისი უშუალო დახმარებითა და ხელშეწყობით აღიზარდა ბიოლოგთა და ეკოლოგთა მრავალი თაობა, რომელთა არაერთმა წარმომადგენელმა ღირსეულად დაიმსახურა საერთაშორისო აღიარება.

ქალბატონ თამარს უდიდესი დამსახურება მიუძღვის ბათუმის ბოტანიკური ბაღის ფლორისტული განყოფილებების უცხო მცენარეთა კოლექციის გაზრდა - გაფართოებაში, მერქნიან მცენარეთა ინტროდუქცია-აკლიმატიზაციის, შეცვლილ გარემო პირობებში მათი

შეგუების ეკო-ფიზიოლოგიური თავისებურებების და ბიოლოგიური საკითხების შესწავლაში, ტყე-ნარგაობებსა და დეკორატიულ მებაღეობაში ძვირფასი სწრაფმოზარდი ეგზოტების სეზონური განვითარების რიტმის, ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მცენარეთა ინტროდუქციის შედეგების და მათი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის, ზღვისპირა აჭარაში სუბტროპიკულ და ტროპიკულ მცენარეთა ინტროდუქციის კანონზომიერების, ადგილობრივი ფლორის ფიტოლანდშაფტების ბიოლოგიური, მორფოლოგიური და სხვა აქტუალური თემატური გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესწავლაში.

მისი აქტიური მონაწილეობით გამოიცა ბათუმის ბოტანიკური ბაღის შრომათა 30-ზე მეტი ტომი, რომლებშიც გაშუქებულია ბაღის მეცნიერ-თანამშრომელთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის აქტუალური საკითხები. თამარ ცხოიძის კალამს ეკუთვნის 60-მდე ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი, თანაავტორობით გამოქვეყნებული რამდენიმე მონოგრაფია, რომელთაგან აღსანიშნავია ბათუმის ბოტანიკური ბაღის ინტროდუცირებულ მცენარეთა 'ანოტირებული სია“ (რუსულ ენაზე), ‘ბათუმის ბოტანიკური ბაღის ხეები და ბუჩქები“ (რუსულ ენაზე) - ორ ნაწილად (შიშველთესლოვნების I ნაწილი, ფარულთესლოვნები II ნაწილი). ამ ნაშრომებმა დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და არამარტო საქართველოს, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ბოტანიკური ბაღების მეცნიერთა ძირითად სახელმძღვანელო წიგნებად იქცა. ქალბატონი თამარს მონაწილეობა აქვს მიღებული რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში, ფორუმებსა და შეხვედრებში.

ადამიანის სიცოცხლეში არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი რამ, ვიდრე ყველა ვითარებაში შენარჩუნებული პიროვნული ღირსება, როცა იგი არა მხოლოდ გენეტიკური, არამედ გონისმიერი და ზოგადადამიანურიცაა.

ცხოვრებაში ადამიანს დიდი ქარტეხილები, სევდა და ტკივილი ხვდება, მაგრამ დიდი შოთასი არ იყოს, 'წესი არის მამაცთაგან, მოჭირვება ჭირთა თმენა“. ქალბატონი თამარი დიდმა ტრაგედიამ -ვაჟიშვილის გარდაცვალებამ კი არ გააბოროტა, პირიქით, გააფაქიზა მისი შინაგანი სამყარო, რაც უზენაესთან მიახლოების საწინდარია. მას ძალუძს სხვათა გულების გათბობა, ხელჩაქნეულთა შემობრუნება-მოქცევა, რამეთუ თავად ბრძანდება მაგალითი იმისა, რომ სიცოცხლე, მიუხედავად უამრავი უსამართლობისა, უკეთურობისა, მაინც ღირს.

ქალბატონი თამარის მიერ განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სახელოვანი გზა არ დარჩენილა უყურადღებო და შეუმჩნეველი.

1988 წელს - ამიერკავკასიისა და მისი რეგიონების ფლორის შესანარჩუნებლად და გასამრავლებლად გაწეული ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, 2007 წელს - აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის საპატიო სიგელით, 2012 წელს- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით - 'ღირსების ორდენით“; 2012 წელს - ბათუმის მერიის მიერ 'ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის“ - საპატიო სიგელით. 2015 წელს ბათუმის ბოტანიკური ბაღის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის - ბათუმის ბოტანიკური ბაღის 'საპატიო სიგელით“. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია ქალბატონი თამარის ჯილდოებისა, რომელთა რიცხვი ათეულს აღემატება.

ფუტკარივით მშრომელი, მოკრძალებული, საოცრად თავმდაბალი და უპრეტენზიო, განგებისაგან უხვად მომადლებული გარეგნული მომხიბვლელობის სულიერი სიმხნევის

და ფიზიკური ენერგიის მქონე ქალბატონი თამარი, კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით აგრძელებს ბოტანიკურ ბაღში მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობას. იგი, ულამაზესი ოჯახით, შვილით, შვილიშვილებით გარემოსილი ერის, ოჯახის, მეგობრების და სამშობლოს წინაშე უკვე ვალმოხდილი, ვალს კვლავაც პირნათლად იხდის.

ღმერთს შევთხოვთ მის ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრი

მეგზური ავტორთათვის

ნაშრომი წარმოსადგენია შემდეგი სახით:

1. ნაშრომი შეიძლება წარმოდგეს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე.

ა. ქართულ ენაზე წარმოდგენილ სტატიას დაერთვის რეზიუმე უნგლისურ ან რუსულ ენებზე;

ბ. ინგლისურ/რუსულ ენებზე წარმოდგენილ სტატიას დაერთვის რეზიუმე ქართულ ენაზე.

გ. რეზიუმეს მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ნახევარ ნაბეჭდ გვერდს.

2. ნაშრომის მოცულობა რეზიუმეს ჩათვლით შეიძლება იყოს A4 ფორმატის მაქსიმუმ 10 (ათი) ნაბეჭდი გვერდი (2 ინტერვალი, შრიფტის ზომა - 12, ზედა და ქვედა არეები - 2 სმ. გვერდითი არეები - 3 სმ; შრიფტი - Sylfaen, Time New Roman).

3. სტატია უნდა გაფორმდეს შემდეგი სახით:

- მეცნიერების დარგი
- სტატიის სათაური
- ავტორის/ავტორების სრული სახელი და გვარი
- სამუშაო ადგილი, საფოსტო მისამართი, ელ-ფოსტა
- რეზიუმე
- საკვანძო სიტყვები
- ტექსტი
- ლიტერატურის სია ტექსტში ციტირების მიმდევრობის მიხედვით (ციფრებით კვადრატულ ფრჩხილებში, მაგ.[1.25])
- ნახაზები და ცხრილები მოცემული უნდა იყოს ცალკე გვერდზე. ფოტოები ორიგინალის სახით.
- სურათებს უნდა ახლდეს წარწერები.

4. ავტორი ვალდებულია რედაქციაში წარმოადგინოს სტატიის ამონაბეჭდი და ელ. ვერსია. ელექტრონული ვერსია: CD-ROM, ცხრილები და ნახაზები წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე ფაილად, ნახაზები უნდა შესრულდეს TIFF, EPS, მაღალი ხარისხის PDF, JPEG, ცხრილები: Word, Word Perfect, RTF.

5. ჟურნალი იბეჭდება სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით და შეიძლება იყოს დაწუნებული ან ექვემდებარებოდეს გადასინჯვას. სტატიის გასწორებული ვერსია ავტორს/ავტორებს არ უბრუნდება.

6. ნაშრომის გამოქვეყნება უფასოა.

ბათუმი, ნინოშვილის ქ. N 35

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ოთახი N 306

მობ.: 579 262687; 599 380626

ელ-ფოსტა: vano_papunidze@mail.ru

GUIDE FOR AUTHORS

Manuscripts should be presented in the following form:

1. The manuscript may be submitted in Georgian, Russian, and English.

a. A Georgian manuscript should have a summary in English or Russian;

b. An English/Russian manuscript should have summaries in Georgian;

c. A summary should not exceed half page.

2. The page limit of a manuscript including the summary is 10 (ten) pages of A4 format (line spacing: 2, font size: 12; upper and lower margins margins: 2 cm; left and right margins: 3 cm; font: Sylfaen, Time New Roman).

3. Manuscript order:

- Classification;
- Title;
- Full name(s), surname(s) of the author(s);
- Affiliation(s), postal address, e-mail;
- Abstract;
- Key words;
- Text
- References in the order of citation (numbers square brackets, e.g. [1.25]);
- Figures and Tables must be given on separate pages. Pictures and photos must be original;
- Figure legends;

4. Manuscripts shall be submitted in chard copy and electronic form. Electronic form: CD-ROM in Times New Roman. Text: Supply Word, Word Perfect, RTF. Figures and Tables must be submitted as separate files. Provide figure images in TIFF, EPS, high resolution PDF, JPEG. Tables: Supply Word, Word Perfect, RTF.

5. Manuscripts will be evaluated by the Editorial Board and may be rejected or subjected to further review. Corrected version is not returned to the author(s).

6. Publication is free of charge.

Batumi, Ninoshvili str. N35

Batumi Shota Rustaveli State University, Room N 306

Mob.: 579 262687; 599 380626

E-mail: vano_papunidze@mail.ru